ჯემალ მეხრიშვილი

სიცის ტუჩები

გამომცემლობა
Carpe diem

უაკ (UC) 004.7738-1
მ-626

ერთი შეხედვით ყოვლად უხიფათო, მაგრამ აუცილებელი ციდიანი ანოტაცია შეიძლება საბედისწერო გამოდგეს როგორც მკითხველისთვის, ასევე თვით ნაწარმოებისა და მისი ავტორისთვისაც, ვინაიდან პირველმა მათგანმა ჩათვალოს, რომ მის მხატვრულ აზროვნებას არ ენდობიან ან უფრო უარესი – ტენდენციური ანოტაციით წინდაწინვე აკვალიანებენ მის გემოვნებასა და საბოლოო შეფასების უნარს, რათა ავტორისთვის სასურველი გზით წარმართონ! ეს კი ბევრს აღიზიანებს და ნაწარმოებისადმი თავიდანვე უსარგებლო ეჭვითა და სიფრთხილით განაწყობს!

ანდა, გამოუცდელი მკითხველი სახარებასავით მიენდოს ტრაფარეტულ ანოტაციას, მხატვრული ყურადღება მოუდუნდეს და ამ მიზეზით სრულყოფილად ვეღარ შეიცნოს მწერლის გულისნადები და ნაწარმოების ღირსება.

ამიტომ ამ წიგნზე შეგნებულად არაფერს ვამბობთ – დაე, თითო ეულმა მკითხველმა თვითონ განსაჯოს!

რედაქტორი ალ. ალადაშვილი

© ჯემალ მეხრიშვილი

© გამომცემლობა Carpe diem, 2021

ISBN 978-9941-9739-5-6

სარჩევი

დაუვიწყარი შემოხედვა..... 5
ბუნებრივი კიბე..... 11
განზომილებათა ქარიშხალი..... 48
კაცობრიობას დაპირისპირებული 59
კალიბრი 65
კობრა 133
კონტაქტური ზოოპარკი 171
მასივის მაწამებელს!..... 177
Carretera panamericana 182
ვერმახტის მეტყვიამფრქვევე..... 212
„ობობების ციხე-კოშკები“ 224
მტირალა ტირიფები..... 235
ბაწრის შალი..... 251
საიტის ტურები..... 263
შეიხი..... 275
ტობრუკის ალხი 291
უკანასკნელი სათხოვარი 311
ასტეროიდის ნატეხები..... 326
მყრალი მადა..... 387
მთავარი ენა..... 395
იურისპრუდენციის სიღატაკე..... 397
ღია წერილი ბ-ნ ქსეფარუნგს! 400
დროის პერიოდები..... 402
Ostfront..... 409
შეკითხვა..... 426
ტოპოგრაფიული რუკები 455
ამოუხსნელი საიდუმლო..... 491

დაუვიწყარი შემოხედვა

ეხლა არ დამიწყოთ ესაო და ისაო: დედამიწის ზურგზე ქართველისთანა დაუდევარი, უდარდელ-უნაღვლელი, ცუდმედიდი და უთადარიგო სხვა ხომ არავინ იქნება!

ეს ყოველ ნაბიჯზე და ყველაფერში გვეტყობა!

აი, თუგინდ ამას ჩაუკვირდით. სალთად სიარულის მოყვარული ეს ჩვენი სისხლი და ხორცი საიმედო ყაბს თან ხომ არასოდეს წაიყოლებს, ხოლო გარეთ გამოსულს თუ ალალბედად მოეგუნება, ცელოფნის გროშიან პარკს იქვე ჰაიჰარად შეიძენს და სურსათ-სანოვაგით რჯულზე გამოტენის! მაგრამ ეს უსიფრიფანესი პარკი ადამიანი ან ნახედნი პირუტყვი როდია, ბეჩავურად აიტანოს უდიერი ძალდატანება: თავგადადებულ კამიკაძესავით თავის შეურიგებლობას ელვისებური თვითმკვლელობით გამოგვიხატავს ხოლმე – გაიფხრიწება და! .

ამიტომ სადღა არ დაინახვება მინის ქილის ნამსხვრევეებში აზელილი პამიდორის პასტის, არაჟნის, თაფლის, კარაქისა თუ მაწვნის ფაფა... საფერავის ტბორი... რძის ნაგვიანი გუბე... ერთმანეთში ჩაფეფქვილ-აზელილი კვერცხები... ქუჩის ჭუჭყში მკვდარი მტრედებივით მიმოყრილი რქაწითლის მტევნები... დაბნეული შაქრის ფხვნილი, ბრინჯი, წიწიბურა, ჩამიჩი, სიმინდის ფქვილი, ლობიო, ლებანი, ვერმიშელი, თხილ-კაკალი... ავტობუსში ზევით-ქვევით დაუღალავად მგორავი კომშები... აქა-იქ გაფანტული ფორთოხლები... ძეხვის ბოხვერა მონაჭერი... ფეხდადგმული ჩურჩხელა... ბავშვების საბურთაოდ გამხდარი ხახვი, ლიმონები... ეჰ, რომელი ერთი დაგისახელოთ!

არადა, ამოდენა ავლადიდება ხომ ვერასოდეს მოხვდებოდა მეეზოვის ცოცხქვეშ, მერე კი სანაგვე ურნის გაუმაძღარ სტომაქში, ჯერ შესაბამის ყაბზე რომ გვეზრუნა! მაგრამ ეგეც არაფერი, მერე რა მოხდა, დიდი ამბავი – ჩვენ ხომ ქართველები ვართ!!!

ეეეჰ!..

* * *

1993 წლის დეკემბრის ბოლო დღე მიწურვაზეა. ყინავს. გაუბედურებული თბილისელები ქუჩებსა და ბაზრებში თოფნასროლი ტურებივით დალაწლაწებენ – თავიანთი ჭკუით პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჟამტიალობას ვითომ არ შეჰპუებიან და საახალწლო თადარიგის დაჭერა მაინც უცდიათ!..

უშუქო ქალაქს მიმწუხრის ბინდი შეუმჩნევლად ეპარება. რუსთაველის ცარიელ, ჩაყრუებულ პროსპექტზე ტრანსპორტი არ ჭაჭანებს. ზეზელა, ავტომატებიანი პატრულიც კი აღარსად მოჩანს. ოღონდ ეგაა, წეღან მელიქიშვილის ქუჩიდან ერთმა ძველისძველმა მსუბუქმა ტანკმა – ხორთუმაწეულ რკინის გასულელებულ კოლოს რომ ჩამოჰგავდა – ისეთი ჟღარაჟღურით ჩამოირახრახა, კაცს ეგონებოდა, სადაცაა, სულ ნაწილ-ნაწილ დაიშლება და ჯართად ასაკრეფი გახდებაო! ეს გზააბნეული კოლო-ტანკი მეტროს წინ უაზროდ შეჩერდა და გაკვირვებული გამვლელ-გამომვლელები მოულოდნელად უცნაური თუ სასაცილო სურათის მოწმენი გახდნენ.

ტანკის ლუკიდან ვითომდა ოპერატიული ვითარების გასაკონტროლებლად საქამრემდე ამომძვრალ რაღაც სამხედროფორმიან ლაწირაკს ტანკისტის ტრადიციული ჩაფხუტი კი არა, მწყემსის ვეებერთელა ბოხოხი ეხურა, ახალბედა ყაჩაღს რომ ამსგავსებდა! ტანკისტმა-ყაჩაღანამ ბოხოხის ბეწქვეშ ძლივს მოჩინარი ჭრუტა თვალებით ჩამკვდარი მიდამო და წვნიკად მიმომავალი, დაბეჩავებული თანამოძმეები ეჭვით მიზვერ-მოზვერა, მაგრამ რაკი თავი დაირწმუნა, ბედკრულ საქართველოს აქ საფრთხე არსაიდან ელოდა, წეღანდებური სიმარდით თავის ბოხოხიანად უკანვე ჩაძვრა. ტანკმაც გაზს მოუმატა და ყურთასმენის წამღები ღრჭიალ-რახრახითა და სქელი გამონაბოლქვის შლეიფით დანგრეული რუსთაველის პროსპექტს გამწარებით გამოუდგა!

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წინ, დანაგვიანებულ გაჩერებაზე შეჯარებული, სასწაულებრივად გამომვლელი ავტობუსის მოლოდინით გაწამებული ხელბარგიანი მგზავრები ავადმყოფურად მოუსვენრობენ – ყველას ერთი სული აქვს შინ დროიანად მიიტანოს თავისი რაღაც ნაშოვნ-ნაპოვნი!

მეტროდან გამოშურებულმა ერთმა შუახნის ტანთხელმა ქალმა ცარიელი პროსპექტი ირიბულად გადმოსერა და აღელვებული მგზავრების ნახირს მოკრძალებით შემოემატა. ფერფლისფრად თმაშეღებილს, ხელში ღვთის გამოტანებულივით უჭირავს ოთხიოდე კილოგრამი მსხვილ-მსხვილი, ჩაყვითლებული ვაშლებით მოპირთავებული ცელოფნის მომქრქალო პარკი.

უშედეგო ლოდინით ყველაფერზე ასაღრენად შეწკეპილი, ირგვლივ ალმაცერად მაცქერალი თანამოძმეების თვალში ამგვარი ნავაჭრით ცოტა არ იყოს, ახირებულადაც კი გამოიყურება: საახალწლოდ ყველა ხორცზეა დახაციცებული, ამას კი არჩევანი მაინცდამაინც ვაშლზე შეუჩერებია! თუმც ვისი რა საქმეა – კაცია და გუნება! ანდა, ამ საწყალს შეიძლება ხორცის ფული არც ექვავა, ვაშლს კი შემთხვევით სადღაც ჩალის ფასად გადასწყდომია და ეს უფრო სამჯობინაროდ მიუჩნევია!.. ეჰ, ფული იყოს, თორემ ხორცი არც ნაახალწლევს დაიწუნება!.. მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს – უფალს ამ ქალისთვის თურმე ესეც შეშურებოდა: ერთ-ერთი ქვეშითა ვაშლის შემხმარ, სადგისისებურ ყუნწს პარკი ოდნავ გაესერა. ქანაობა-ქანაობისას კი ამ ნასერმა სიმძიმეს მეტი ვეღარ გაუძლო და მოხდა ის, რაც მსგავს შემთხვევაში უსიკვდილოდ ხდება ხოლმე – ნაგვიან ასფალტზე ბოხვერა ვაშლები დასულდგმულებულებივით მიმოიფანტა, გადაფითრებულ პატრონს კი გამხდარ თითებში პარკის ნაფხრეწილა შერჩა!!!

ქალების თანაგრძნობიანმა წიოკმა და ვიშვიშმა ქარაშოტივით შეიშრიალა. ერთმანეთში ფიცხლავ მოიკითხეს, მაგრამ რამე ცარიელი ყაბი არავის აღმოაჩნდა.

– მოიცა, ქალბატონო, ახლავე! – დაზარალებულს ხმაათრთოლებით მიეახლა ერთი სქელლოყება ახალგაზრდა დიასახლისი და თავისი შემძიმებული, პირღია ჩანთა მიუშვირა, – თქვენ ცალ ყურზე მომიკიდეთ ხელი, თხილს ლობიოს ტოპრაკაში ჩავყრი და პარკს გაგითავი...

– აჰ! – გაბეცებულ ვაშლის პატრონს ენიდან ისე მოსწყდა, თითქოს სანანური არაფერი აქვსო, – ძირნაყარი რაღად მინდა!

– ვიშ, ქა, რაღა ვქნა! – მოშორებით მდგომმა ერთმა პირშმაგმა ქალმა უკმეხად ამოშაქრა თმაშეღებილის მისამართით.

სქელლოყება გაფანტულ ვაშლებს ცივად მოსცილდა.

აშკარად დაეტყო, თავი შეურაცხყოფილად რომ იგრძნო, უცნობ ქალს ნაგავში გაფანტული ვაშლების წამოკრეფა რომ შესთავაზა და სახალხოდ გამოჭენდა! მოდი შენა და ამის შემდეგ ვინმეს კიდევ უთანაგრძნე!..

სად იყო, სად – არა, სწორედ ამ დროს ერთი ორკარიანი, მარშრუტმიუთითებელი რაღაც ცარიელი ავტობუსი მედგრად მოდრიგინდა და ზედ მგზავრების ცხვირწინ დამუხრუჭდა!

ავტობუსს ყველანი დამშეული ძაღლებივით მიესივნენ – ვიღას ჰქონდა გაფანტული ვაშლების ჯავრი!

გაუპარსავმა მძღოლმა კაბინიდან მხეცური თავი გადმოყო და რაღაც პირობების წამოყენებას მბრძანებლურად შეუდგა. მაგრამ ზედმისეული მგზავრები არც უსმენდნენ და ავტობუსს ყოველი მხრიდან მუშტებს გაავებით უბრახუნებდნენ, გაგვიღეო!

ეტყობა, ამგვარ ზედმისევას მძღოლი დიდი ხნის შეჩვეული იყო! ამიტომ კარს მაინც არ აღებდა და ისევ თავისას აწვებოდა: ვაკე-საბურთალოს გავლით დიდუბეში, დიღმის მასივსა და „ნახალოვკაში" იმ პირობით წავიდოდა, თუ.

გაღიზიანებულ მგზავრებს კი კარის გაღების გარდა არაფრის მოსმენა და გაგება არ სურდათ! მათ უშედეგო ბრახაბრუხი შეწყვიტეს და ავტობუსს ახლა სასოწარკვეთილი ქანაობა დაუწყეს – კარს თუ არ გაგვიღებ, აი, გადაგაყირავებთო!

– არა, გადახდა წინასწარ!.. აბა, რა გეგონათ – იცით, რა დამიჯდა ერთი კანისტრა ბენზინი?! – ნიშნმოგებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხაოდა ხმაჩახრინწული მძღოლი, ზღვის ტალღებზე მოხვედრილ მენავესავით რომ ქანაობდა, – რაო?.. ჰმ! ეგ საკენკი... ჯერ გადამიხდით, არადა...

თავისი მიმოფანტული ვაშლების შორიახლო დაზარალებული ქალბატონი ისევ ისე იდგა. თუმცა რა ქალბატონი, რის ქალბატონი – წუთისოფლისგან უმოწყალოდ კლანჭგაკრული ერთი ჩვეულებრივი ინტელიგენტუნა ჩანდა. თავით ფეხებამდე საკმაოდ ჩამოცვეთილი, სულ იაფფასიანი მეორადი ტანსაცმლით იყო შემოსილი. ვერცხლისბალთებიან ძველმოდურ ფეხსაცმელებსაც აშკარად ეტყობოდა ნასხვისარობა. ოღონდ ეგ იყო, ფერფლისფრად შეღებილი მოხდენილი თავი გასაოცარი ღირსებით ეჭირა!

ავტობუსთან ატეხილი ვაჭრობა-ჯიყჯიყი თანდათან ცხრე-

ბოდა – ჩანდა, მალე ორივე მხრისთვის მისაღები დასასრული ექნებოდა! ასეც მოხდა! მოღორებული მგზავრები ავტობუსის ქანაობას მოეშვნენ და ჯიბე-საფულეების ქექას შეუდგნენ!

– რიგი, რიგი დაიცავით! – მშვიდი ბანით ბრძანა გმირულად გაელელილმა თავშიშველა მამაკაცმა, შელახული ჩანთიდან ლალისფრად შეღებილი ფუჩეჩით თავდაცობილი მომცრო ბოცა რომ მოუჩანდა, – ყველანი დავეტევით!

ფერფლისფრად თმაშელებილმაც ავტობუსის კარს კრაზნებივით მიხვეულ მგზავრებთან მგლოვიარე ნაბიჯით გადაინაცვლა.

ავტობუსის კარიც გაიღო!

პირველობა წარმოსადეგ, თვალებმწუხარე ქალს ეკუთვნოდა, მაგრამ ჯერ ერთი სმენადაქვეითებული ბებრუკა გამოატარეს. კაცებმა აბგა გამოართვეს და თან ასვლაშიც წაეხმარნენ, ის რაღაც მუშტისოდენა თავისი აბგა კი მერე ააწოდეს.

– რო ამოვალ, ამისასაც მე გადაგიხდი! – მძღოლს ხმააწევით ასძახა ერთმა ჯეილმა.

– შენ შენი გადაიხადე, – წარბაწკეპით დაუბრუნა მძღოლმა და მოხუცებული საპატიო ადგილას დასვა. – ამისი მე ვიცი!..

ყოველი მგზავრის ასვლისას ჯაბახანა ავტობუსი მოთმინებით კვნესოდა.

ნაგვიან ასფალტზე გაფანტულ თავის ვაშლებს თმაშელებილმა ქალბატონმა შორიდან უკანასკნელად ისეთი თვალით გამოხედა, რომ მხატვრულ წარმომსახველობაში წელან გამოკვეთილი მომავალი ნოველის მთავარი პერსონაჟის ნიშან-თვისებათა შესავსებად იქვე, ჭადარს ამოსაფრებულმა და მასზე თვალდაჭერილმა მწერალმა მეტს ველარ გაუძლო. თანნაქონი კაპრონის ნალურჯო, კონვერტივით დაკეცილი პარკი ამოიღო, მსუბუქად ჩაუცუცქდა, მისკენ მოხედული მგზავრების გაკვირვებული მზერის ქვეშ ვაშლები ბერვა-ბერვით სულ სათითაოდ წამოკრიფა და პატრონს მიუტანა.

– გამომართვით!

– აჰ, რას ლაპარაკობთ! – უაზროდ ითაკილა თავტანდაკარგულმა ქალმა, – ასეთ ნაგავში...

– ნაგავიო?! თქვენა გგონიათ, ბაზრის დახლები ამაზე

სუფთაა?!. გაირეცხება, გაიფცქვნება და! – მწერალმა სულ ღიმილ-ღიმილით დამოძღვრა, მაგრამ უცებ მიხვდა – აქ თუ მამრულ რიხიანობასაც არ გამოიჩენდა, ვაშლები იქნებ ისევ გადასაყრელი გახდომოდა! ამიტომ მოულოდნელად შუბლზე კოხები დაისხა და სიხარულისაგან ალეწილ ქალს მოჭმუხვნით შეუხმამკვახა.

– რას მაყბედებ?! გამომართვი, რო გელაპარაკები!

ქალი წამიერად მოულბა! სავსე პარკი მოწიწებით ჩამოართვა და ესღა ჩაუნიავა.

– უი... დიდი მადლობა...

მწერალმა ქალის თვალების შემოფეთებასა და გამომჭკნარ უპეებში ისეთი მადლიერება ამოიკითხა, ალბათ, სიკვდილამდე არ დაავიწყდებოდა!

ბუნებრივი კიბე

თუ კაცმა შენიშნა და იგრძნო თანამოსაუბრის გონებრივი უპირატესობა, ის ვარაუდობს, რომ თანამოსაუბრემ შენიშნა და იგრძნო მისი შეზღუდულობა. აი, ეს ვარაუდი იწვევს მის მწარე გაბოროტებასა და სიძულვილს.

არტურ შოპენჰაუერი (1788-1860)

ტყეპარკში ძაღლების მოსაგერიებლად მხატვარმა კეტი კი გამოიჭრა, მაგრამ მისი წაღება ხანდახან მაინც ავიწყდებოდა. ამ კვირადღის დილაგრილზეც ასე დაემართა. მუხნარს როგორც კი მიუახლოვდა, თითქოს შორიდანვე უთვალთვალებდნენ და ერთმანეთს განზრახ მიუქსიესო, სადღაც ახლაც ატყდა ნებაზე მიშვებული ძაღლების მრავალხმიანი, შეუპოვარი ყეფა-ღაღვავი და უწყალოდ დაკბენილთა ყმუილ-წკავწკავი!

– როკი, როკი!.. ტუგო, მომეშველე! – ძაღლების ღავღავს ფარავდა იმ ქალის კიდით კიდემდე გამწვდომი ისეთი ხალისიანი წივილ-კივილი, გონებაჩლუნგიც კი შეფიქრიანდებოდა – ნუთუ ეს ქალი ნორმალურია ანდა როგორ შეიძლება, ამხელა ეშვბასრი ძაღლის ყოლის უფლება ამასაც ჰქონდესო!

ყოველდღე ამგვარმა ჯიბრიანმა ძალმომრეობამ მხატვარს ახლა კი თვალი აუხილა! რა ბედენა იქნებოდა კეტის ქონა-უქონლობა?! აუცილებლობისას კეტით მხოლოდ ძაღლების მოგერიება შეიძლებოდა, მაგრამ რით ან როგორ მოეგერიებინა სმენის დამხშობი და ტვინის ამრევი ეს ყოველდღიური ღაფღაფი და ძაღლის პატრონების სადისტური ქედმაღლობა?!

გუნებაგაფუჭებული უხალისო ნაბიჯითლა მიდიოდა. ეს აღავლავებული ტყეპარკი უცებ სულ შეეზრზინა და თავისდა უნებურად ავტოსტრადის გაღმა, შორს მოჩინარი სოფლის სანახებისკენ გაუწია გულმა. ცდუნება მით უფრო ძლიერი გამოდგა, ვინ იცის, იქითკენ რამდენჯერ გაჰქცევია თვალი, მაგრამ საიმისო დრო ვერა და ვერ მოიხელთა! თან სასიარულოც საკმაო ჩანდა!..

ჯოჯოხეთისებურ ტყეპარკს გვერდი აუქცია და ცალმხრივი მოძრაობის ავტოსტრადის გასწვრივ კარგა ხანს იარა. ვიწრო

გვირაბში რომ გაძვრა, სოფლისკენ მიმავალ გამართულ შარაგზას აუბრუნდა. რაც ზევით და ზევით მიიწევდა, თანდათან კლებულობდა ავტომობილების გაბმული ღმუილის ხმა...

გვიანი ზაფხულის მობუდული დილა იდგა. მზე თითქოს თვალებს იფშვნეტდა ღრუბლებიდან გამოსაჭყეტად. შარაგზას ორივე მხრიდან ერთმანეთზე გააბერჩხრებული ბაღ-ვენახები მიუყვებოდა. შიგადაშიგ უკვე ჩაედგათ ეული ორ-სამსართულიანი სახლები. ვიდეოკამერებით აღჭურვილი და შეუფერებლად მაღალი გალავნები – უცხოს მაშინვე შუასაუკუნეობრიობა რომ ახსენდებოდა – შენობის თანამედროვე არქიტექტურის დახვეწილ სტილზე კი არა, სურვილახდენილი პატრონის ყიზილბაშურ მედიდურობაზე მიუთითებდა!..

ყველაფრიდან ჩანდა, მთელ ამ მყუდრო შემოგარენს თანდათან სულ ამგვარი კერძო სრა-სასახლეები დაიპყრობდა: თითქმის ყველა ბაღ-ვენახის კარზე ეწერა ან რაღაც ფირფიტა კონწიალობდა – **„იყიდება ნაკვეთი“** ფართისა და მობილური ტელეფონის მითითებით...

გზისპირა ბუჩქები სულ საქონლისგან იყო გადაკორტნილი... ხეებს უკვე იმდენი გაყვითლებული ფოთოლი მორეოდა, ეტყობა, ნაადრევი შემოდგომა დადგებოდა, ზამთარი კი მკაცრი იქნებოდა...

გადაღმა, აშარავებულ ბაღებში მენახირე ყვირილით გარბოდა ორიოდე მოუსვენარი ძროხის შემოსაბრუნებლად...

ვაკიანს ახლა დამრეცი ფერდობები შეენაცვლა და სერის ზურგზე დასკუპული სოფელიც თანდათან უჩინარდებოდა. აქაიქ ხეებით ჩაჩრდილულ ფერდობებზე პატარ-პატარა ბოსტნები გამოჩნდა...

საქონლის ამოსარეკი გზა გადაჭრა და ერთ-ერთ ხლართულად ამავალ ბილიკს ანგარიშმიუცემლად შეუდგა, რადგან მისთვის სულ ერთი იყო, ბილიკი სად მიიყვანდა. მთავარია, ერთი აევაკებინა და მერე იქიდან თვალმოსაველებ მიდამოსთვის გადმოეხედა.

მოსახვევში კუნელის ბუჩქებს რომ ასცდა, უცებ გახევდა და თვალებად იქცა! განგებამ თუ შემთხვევამ ზედ წამწამებზე დაუსვა მომავალი ნახატის ესკიზი!

დაქანებულ ბილიკზე ბოსტნიდან მომავალი ქალიშვილი ჩამოდიოდა. ცალ ხელში პამიდვრითა და მწვანილეულობით სავსე მომცრო ვედრო ეჭირა, მეორეში – კიტრით მოპირთავებული კალათა.

უცხო მამრის მოულოდნელმა შემოფეთებამ მოკლეკაბიან გოგონას ღაწვები ალისფრად შეუღება, დათმობილ ცალბილიკზე წამწამებდახრით ჩაიარა და ცერეცოს სუნი დატოვა...

გაქვავებული მხატვარი თვალს ველარ სწყვეტდა გოგონას ჩამოვლილ ციცაბო ბილიკს!.. თვითონ, ალბათ, ვერც კი გრძნობდა, როგორ ერეოდა იღბლიანობის ღიმი... ასეთ რამეს, თანაც ამ სახით, ვერასოდეს წარმოიდგენდა!.. რატომღაც ჯერ ბილიკ-ბილიკ ფეხაჩქარებით ჩამავალ ქალიშვილს გახედა, მერე კი მივიდა და დათვლას შეუდგა!.. ზედ ბილიკისპირას ერთი გაბარჯღლული მუხა იდგა. ხის ხუთი ზეზელა ძირკვი ერთმანეთის მიყოლებით ბილიკს რკალად გადარტყმოდა და ბალახებში ღრმად ჩაკარგულიყო. საკვირველია, სქელ-სქელი ძირკვები ერთმანეთისგან ისეთი თანაბარი მანძილით იყო დაშორიშორებული, თითქოს დურგალს დაუნაწილებიაო! წინა დღის ნაწვიმრის ჩამონალექი თითოეულ ძირკვს ისე ერთნაირად შეეჩერებინა და შეეშრო, კაცს ქაფჩით გადასწორებული ეგონებოდა!.. ჰოდა, წელან ისე ჩანდა, ის ქალიშვილი ბილიკზე კი არა, თითქოს სასახლის კიბის საფეხურებს ჩამოსდევსო!... დალამულ საფეხურებს ბეჭდებივით აჩნდა გოგონას კოპწია ჩანაბიჯები!.. მომავალი ნახატის სათაური თავისთავად ამოუციმციმდა – **„ბუნებრივი კიბე...“** ნახატზე ვინ გამოესახა?.. ბოსტნიდან წამოსული ის გოგონა თუ...

ქვემოდან ხნიერი კაცის გაბმული ხრანტალი გაისმა. მხატვარი დაბლობს გადააჩერდა. ის გოგონა და მენახირე ბიჭი შეტყუპებულებივით იდგნენ... ვიღაც კაცი კი მენახირეს ხმაგაბმით უყვიროდა – საქონელი წაგივიდ-წამოგივიდაო!..

მხატვარი ისევ თავის საფიქრალს მიეცა. ან იქნებ სტაფაჟის[1] სახით უკანა პლანზე ის მენახირეც დაეხატა თავისი ნახირით, „კიბეზე“ კიდევ მასთან პაემანზე მიმავალი მოუთმენელი ეს ან

---

1 სტაფაჟი (გერმ.) – პეიზაჟის ამსახველ ნაწარმოებში: ადამიანთა ან ცხოველთა ფიგურები, რომელთაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ და მხოლოდ სურათის გასაცოცხლებლად არის ჩახატული.

სხვა ქალიშვილი?!. ანდა სულაც ბორძიკ-ბორძიკით ჩამომავალი ყავარჯნიანი მოხუცებული!.. ეს მერე თანდათან გამოეკვეთებოდა, რომელი უფრო ემჯობინებოდა!.. ან იქნებ სამივე ვარიანტი შეექმნა?!. აქ მთავარი იყო, ყველაზე დამაჯერებელი რაკურსის შერჩევა – წინა პლანზე გამოსახულ ამ დაკორძებულ ძირკვებსა და პერსონაჟის გამომეტყველებას მაყურებელში ცხოვრების კიბის სიმბოლიკა რომ აღეძრა!..

ახლაც მოერია ნაცნობი განცდა – მოზღვავებული შთაგონებისაგან მოგვრილი ქანცმოწყვეტა!.. ისევ უკან, კუნელის ბუჩქებისკენ დაიხია, ბრეზენტის საწვიმრის კალთები შეიგო და ბალახზე ისე დაჯდა, კვლავ იმ ბუნებრივი კიბისთვის ეცქირა!..

ბილიკს ნალურად შემოსალტულ ძირკვებს თვალს კი უშტერებდა, მაგრამ მათზე ფიქრს ველარ ახერხებდა. ამ შემთხვევამ შემოქმედის ბედ-უბედობაზე ახლა სულ სხვანაირად აუხილა თვალი!

წელან აქეთ რომ გამოსწია, საკუთარი უიღბლობისაგან გული ეკეპებოდა – დილას ჯოხი რამ დამავიწყაო! მაგრამ... მაგრამ რომ არ დავიწყებოდა, მაშინ ხომ ტყეპარკში იტრიალებდა, ამ სანახავს კი ვერასოდეს გადააწყდებოდა!!!

რა გამოდიოდა?! ბრბოს მიერ წარმონადგენ ბედ-უბედობას არ შეიძლებოდა შემოქმედიც იმავე გაგებით მოჰკიდებოდა, ვინაიდან ის, რაც ფართო მასისთვის ბედ-იღბლად მიიჩნეოდა, ადვილი შესაძლებელი იყო, მისთვის დროის ფუჭი კარგვა და უბედობა ყოფილიყო! ანდა, პირიქით – შემოქმედის მიერ თავიდან წარმოდგენილი ვითომ უბედობა მოულოდნელად სასწაულებრივი იღბლიანობით შესცვლოდა, როგორც ახლა! ამიტომ წარმოსადგენ ბედ-უბედობაზე დედაბრულ მარჩიელობას სამუდამოდ უნდა შეშვებოდა!

დაწმენდილი შთაგონების შემართებამ ადგილიდან ნადირივით წამოაგდო. ჯიუტად მოკაკულ ძირკვებს კარგა ხანს უტრიალა. სასურველი კუთხე რომ შეურჩია, ადგილი მოინიშნა და უცებ მაღლა გულმავიწყივით აიხედა – მოკრიალებული ცა და მშვიდი მზე დღეს დარიანს ითვლევინებოდა! ეს დღეს, მაგრამ ხვალ, ზეგ, მაზეგ?!. ბუზღუნა შემოდგომა უკვე კარს იყო მომდგარი და ერთი თავისებურად თუ გააბამდა, ვინ იცის, მერე როდისღა...

მხატვარი გრძნობდა, მოუთმენლობისაგან ეკალი რომ ასხდებოდა!.. იმწუთას ამის მეტი აღარაფერი ახსოვდა და აგონდებოდა – შინ რაც შეიძლება მალე ჩაქანებულიყო, თავისი საკეცი მოლბერტი წამოეღო და რაშკულით[1] ჯერ სასინჯი მონახაზები შეესრულებინა!

* * *

გზას მგლური ნაბიჯით გამოუდგა. მოუთმენლობისაგან ხან ფეხს ფეხზე იბიჯებდა, ეს კი უარესად აღაგზნებდა!.. არც შეუმჩნევია, იგივე გზა როდის გამოიქროლა ან თავიანთი კორპუსის პირველ სადარბაზოსთან მოულოდნელად ძაღლიან გოგონას როგორ წაატყდა!

– ჰამ! ჰამ! ჰამ! – სამჯერ ზედიზედ მედგრად შეყეფებამ კინაღამ გული ბუდიდან ამოუგდო.

– ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ! – მაშინვე სიცილით მიაგებბა გოგონამ და მომქრქალო ცელოფნის პარკიდან ამოღებული მორიგი ბოხვერა კატლეტი მოსათვინიერებლად ძაღლს ისეთი სიფრთხილით წაუგდო, ჩანდა, მისი ჯერ თვითონაც ეშინოდა.

ძაღლმა კატლეტი აბივით გადაყლაპა და მედიდურად აიღო ვეებერთელა თავი – ახალ ულუფას მოითხოვდა!

– ნუ გეშინიათ, გაიარეთ!

შეურაცხყოფილი მხატვარი უკვე ხვდებოდა, აქ რაც ხდებოდა და უარესი ალმური შემოეგზნო. ღმერთო, ნუთუ ხსნა არსად იყო – თავის მომავალ ნახატზე ეფიქრა თუ ახლა ამ ვიღაც გოგუცანას... თუმც უცებ ბუნდოვნად გაახსენდა – საშუალო სკოლადამთავრებული ეს გოგონა ამავე, პირველი სადარბაზოს რომელიღაც სართულზე ცხოვრობდა! ოღონდ არ იცოდა, ვისი იყო ან რა ერქვა! საცა სამართალია, ეს არც უნდა დასძრახვოდა – აქ ხუთიოდე წლის უკან გადმოსახლებული მხატვარი შემოქმედის უღრანებში ისე იყო გადაკარგული, თავისი, მესამე სადარბაზოს ბინადრებშიც ძლივს ერკვეოდა, ვინ ვისი რა იყო, მეორე და პირველი სადარბაზოების მაცხოვრებლები ხომ ლამის უცხოპლანეტელებად ეჩვენებოდა!

პირგამშრალმა მხატვარმა ენა ძლივს მოიტრიალა.

---

1 რაშკული (გერმ.) – ნახშირის ფანქარი, რომლითაც ხატავენ.

– ძაღლი გაიჩინე?

– ჰი-ჰი-ჰი!.. რა გავიჩინე! – გოგონას ლოყები ისე ჩაეჩრუტნა, ჩანდა, სიამოვნებდა, კორპუსის საქალეთის მიერ „უკარებად“ მონათლულ მხატვართან გამოლაპარაკების შემთხვევა რომ მიეცა. ამავდროულად თან გულუბრყვილო აზრიც გაუკრთა – იქნებ ძაღლთან ერთად დამხატოს და ქვეყანამ გამიცნოსო, – მაწანწალა ძაღლია... ისა... რა ჰქვია... გუშინ ხეივანთან ამედევნა და... რაკი აქ ნარჩენი ხინკლები შევაჭამე... ისა... თურმე დახსომებია... ჰი-ჰი-ჰი!.. და დღესაც აქ დამლოდებია! აი, ახლა კიდევ კატლეტები ჩამოვუტანე, რომ შევიჩვიო!... ჰოდა, როცა შევიჩვევ... აი, უკვე შეჩვეულიცა მყავს!...

გოგონამ მოსაუბრე წუთით მიივიწყა და კატლეტის ზეაწევით მოუსვენარ ძაღლს ისე მიმართა, აშკარა იყო, როგორ ეოცნებებოდა, თითით საჩვენებელი მომთვინიერებლის სახელი გავარდნოდა!

– გაჩერდი!.. ვის ვეუბნები, გაჩერდი-მეთქი?!. აჰა, ესეც და მორჩა!.. გაიგე თუ ვერა?!. აი, უკვე მისმენს, არა?!.

გოგონა ენას ისე აჭარტალებდა, მოჩქარე მხატვარი იძულებული იყო, მისთვის ეცქირა და ესმინა. იგი ოცო-ბოცოს ედებოდა და უფროს კაცს თავისი ჭკუის თანატოლივით მიმართავდა.

მოულოდნელად სადარბაზოში თავის დღიურ საზრუნავ-საფიქრალს გამოდევნებულმა ქალმა შემოაბოტა. სავსე, თავლია ჩანთებიდან ჩანდა, ბაზარში ყოფილიყო! მან გესლიანი მზერა ჯერ გოგონას მიშტერებულ მხატვარს გაალოკა, მერე თავის მეზობელ გოგონას და კიბისკენ ისეთი ფეხაჩქარებით გაესწრაფა, თითქოს რაღაც სიბილწეს გაურბისო!

– აგერ, ხომ ხედავთ, – გოგონამ მხატვარს თითით უჩვენა სადარბაზოში, ვინ იცის, როდის აყორებულ სარემონტო ნარჩენებს შორის წაწვენილი, კარმოგლეჯილი ტუმბო, – აი, იქ კიდევ სოროს მოვუწყობ და...

– ეგ როგორ იქნება, შვილო! – სიტყვა გადაუსხიპა მოთმინებადაშრეტილმა მხატვარმა, – იცი, მერე აქ რა... – მაგრამ უეცრად ენა წაერთვა და თავისდა უნებურად ძაღლს ფეხი დაუბაკუნა, – ჰაიტ, შე!..

გოგონასაგან ორი დღის ნაპატრონევი ძაღლი როდი შეეპუა

– დაიძაგრა, კისერი გაიმრუდა და ეშვები ღრენით დაუკრიჭა.

მოზარდს სახე თავმოწონების პირღიმილმა გაუფურჩქნა.

სარემონტო ნარჩენებით სავსე ტომრების ბორცვზე შეგდებული, ორგან მავთულით ბოშად შეკრული კონიდან მხატვარმა პლინთუსის ნატეხი ხრიგინ-ხრიგინით რომ გამოაძრო და მოუღერა, ძაღლმა მაშინ კი მოცოცხა, გარაჟებს შორის გაძვრა და გაუჩინარდა.

მხატვარმა ლურსმნებგამოჩრილი პლინთუსის ნატეხი ისევ მტვერანადენ კონაზე მიაგდო.

გაცბუნებული გოგონა მოსხლეტით წატრიალდა და კიბისკენ გატუსტუსდა. წამი წამს მისდევდა, შახტიდან კი ჩქამი არ ისმოდა: ეტყობა, რომელიღაც ქვედა სართულზე ცხოვრობდა ანდა ლიფტისთვის აღარ სცხელოდა!

იმავე ადგილას გაქვავებულ მხატვარს ჯერ ისედაც არ ულაგდებოდა, ახლა კი უფრო ერთმანეთში აებურდა დილიდანვე წაწყობილი ამაფორიაქებელი შთაბეჭდილებები: ჯოხის დავიწყება... მქუხარე ყეფით გაყრუებული ტყეპარკი... როკის პატრონი ქალის შეშლილისებური წივილ-კივილი!.. სოფლის სანახები... გაპარტახებული ბაღ-ვენახები... მედიდური სრა-სასახლეები – ნეტავი რა ჭკუა-გონებისანი იყვნენ მათი ბინადარნი?!.. ბოსტნიდან მომავალი კრიალათვალებიანი გოგონა!.. საკვირველია – ისევ ნესტოებში ედგა ცერეცოს სუნი!.. ჭაბუკი მენახირე... მუხის დამატყვევებელი ძირკვები!!! რაშკული, საკეცი მოლბერტი და... აქაც ისევ ძაღლი!.. ყველგან ძაღლები!.. ეს ქალაქია თუ საძაღლეთი?! ნახატებზე თავდამავიწყებელ ფიქრებს მისცემოდა ხოლმე თუ სულ ამ ძაღლებთან თავარიდების თადარიგით ყოფილიყო შებოჭილი?!. ან ეს ამოდენა სარემონტო ნაგავი აქ ვინ დაახვავა – ოდესმე ხომ მაინც გაიტანენ და არ ჯობდა, ბარემ მაშინვე წაელოთ?! არადა, როდემდე უნდა უყურონ ნაგვის გორაკს და ისუნთქონ მისი მახრჩობელა მტვერი?!. ან ნუთუ არ არსებობს სანიტარული სამსახური... რაიონის გამგეობა... რეიდები... მერია... კოოპერატიული ბინის თავმჯდომარე... ბინადართა პრინციპულობა?! როგორ არა, მაგრამ რაც გამორჩენასა და პურ-მარილთან არ არის დაკავშირებული, საქართველოში ის არავის აღელვებს!..

მხატვარი უეცრად საკუთარმა მოუაზრებლობამ შეაძრწუნა. წელიწადზე მეტიც იქნებოდა, რაც ეს სარემონტო ნაგავ-ნარჩენი აქ ეყარა და ვინ მოსთვლის, გავლა-გამოვლისას თუ ამ სადარბაზოში პანაშვიდზე მისთვის რამდენჯერ მოუტანებია თვალი. შემოქმედის გონი კი ამწუთასღა გაეხსნა: მის წინ გენიალური... არა, გენიალური კი არა, გენიალობას თავი დავანებოთ – მის წინ დროგამძლე ნახატის შესაქმნელი მზა მასალა ეხვავა!!!

მომავალი ნახატის ზედგამოჭრილი სახელწოდებაც უმტკივნეულოდ დაებადა: **„თბილისის საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზო 2017 წელს“.**

ნაფეთქი სიხარულისგან უეცრად გულმა ისეთი ფართხალი დაუწყო, თითქოს აშლილ ფიქრებთან შეთარეშებას ლამობსო! „შეიძლება უცებ წავიქცე და აქვე გავთავდე კიდეც! – ჯერ შიშით გაევლო გუნებაში, მაგრამ ნანიშნ ხიფათს ნამდვილ შემოქმედთათვის დამახასიათებელი თავგადადებით მოუხუჭა თვალი, – ჯანდაბას ჩემი თავი – როცა იქნება, ხომ მაინც უნდა... ოღონდ ერთი ესეც მომასწრებინა და!..“

მაშ, დახატე ერთმანეთზე შეხოხოლავებული ტომრები, რომელთა დიდ-პატარა ნახვრეტებიდან ბეტონის კოხები, კაფელისა და მეტლახის ფერადი ნამტვრევები იჭყიტებოდა, ხოლო ოდნავ შეტოკებისას – როგორც წელან! – სქელი მტვერი ისე ჩამოიცრებოდა, როგორც წისქვილის ალადან ფქვილი!.. ფომფლად შეკრული ჭუჭყიანი ლინოლეუმის უთანაბრო გორგლები... თავღია უნიტაზი, ყბამოტრეტილ ბინძურ ხორცსაკეპს რომ დამსგავსებოდა!.. ტომრებს შორის აქა-იქ შეჭყუნული შპალერის გუნდები... ერთმანეთში ალუფხული ადამჟამინდელი სანტექნიკის ჟანგიანი ნარჩენები... უწესრიგოდ მიმოყრილი პარკეტის კონები!

ღმერთო, რა ძნელი დასაჯერებელი იყო, საგანგებოდ მოვლილ-მოსარკულ პარკეტს ქვედა მხარე თუ ასეთი ბინძური უნდა ჰქონოდა!.. გაძარცული გაზქურა... ეკრანდაუზიანებელი ტელევიზორი... ყვითელი შლანგის ნაწყვეტები... წებოჩამხმარი პლასტმასის ლურჯი ვედრო... ტომრებს შორის ჩაჩრილი ძველებური ტუმბო, ეს გოგუცანა იქ ძაღლის დაბინავებას რომ აპირებდა!.. ნაირფერი საღებავებისგან გახევებული მღებავთა ტანსაცმელი და დახეული, აქა-იქ მიმოყრილი უშნურებო ბოტასები... ეჰ,

ყველაფერს რა ჩამოთვლიდა!..

არა, სურათი მზად იყო და მხატვრის ენაზე ამეტყველებასღა უცდიდა!.. მაგრამ... მაგრამ ამგვარი ნახატი მომავლის დამთვლიერებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ააღელვებდა, თუ თბილისიც ოდესმე სუფთა ქალაქად გადაიქცეოდა! მაგრამ თუ უკუნისამდე ისევ ისეთად დარჩებოდა, როგორიც ახლა იყო, მაშინ მის ნახატს ვინ შეხედავდა, როცა შედევრულ ნატურებს თავ-თავიანთ სადარბაზოებში ყოველდღე ისედაც უყურებდნენ!.. თუმცა...

ქალის გამომწვევმა ბაკიბუკმა საგონებლიდან გამოათრია.

კიბე კორპუსის მამაკაცების ქათინაურებისგან დავთრებდაკარგულმა, მეორე ქმართანაც გაცილებულმა მაკამ ჩამოათავა. მისმა ელვისებურმა გაღიმებამ მხატვარი გონებასუსტ არსებას დაამსგავსა, სხვის სადარბაზოში მარტოდმარტო რომ გაქვავებულიყო და ნაგვისთვის თვალი ბეცურად მიეშტერებინა!

გამორკვეული მხატვარი გასწორდა და თავი ღირსებით დაუხარა, მაგრამ მეზობლის ქალმა სალამზე არც ახლა უპასუხა და ტუჩაპრუწვით ჩაუარა, ოღონდ ეგ იყო, „შანელის შანსის“ მათრობელა სურნელს ვერაფერი მოუხერხა!

მაკა მხატვარს დიდი ხანია ებუტებოდა: აბა, ეგ რა კაცია, ჩემს სილამაზეს ვერ ამჩნევს, რომ დამხატოსო.

ამ ენაჭრელ ქალს მეზობლის მანდილოსნებთან ერთხელ ესეც კი წამოეტორტლა – გაშიშვლებით კი მაგას რას გავუშიშვლდები (ვითომ ჯერ არავის გაშიშვლებოდა ან აღარავის უშიშვლდებოდა!!!), მაგრამ ჩაცმულს თუ დამხატავდა, უარს ნამდვილად არ ვიტყოდიო... **„გოიომ“** თუ **„შიშველი მახა“** დახატა, მე კიდევ **„ჩაცმული მაკა“** ვიქნებოდიო!..

ეს ჭორიც მისი გავრცელებული იყო. ვითომ მხატვარს მოეჩივლოს: კორპუსში ერთი თვალგულმისასვლელი ქალი არავინა ჩანს, დააწვინო და დახატოო!

მხატვარს კი, აბა, ამას ვინ მოუთმენდა!

ნეტავი რას მემართლებაო, თვალგაყოლებით გაიფიქრა თანაკორპუსელის ცხვირაბზუებით დაბნეულმა მხატვარმა, ქალის სახელიც რომ არ იცოდა და თავის გზას მორყეული ნაბიჯით გაუდგა.

* * *

რაკი თვითონ მობილურ ტელეფონს არ იკარებდა, შინ მეუღლის მაგიერ მისი ბარათი დახვდა: ლაურამ დაგიბარა, ხვალ პირველ საათზე უეჭველად აქ იყოს – ჩინური ტილო უნდა გავანაწილოთო. მზიამ დამირეკა, სოსომ ისევ აურია, ხოლო ვარა და მარეხი უარესს მიშვრებიან და სასწრაფოდ გამოდი, ლევანს მაინც მიმიხედეო! ღამითაც თუ მათთან დარჩენა მომიწია, შეგატყობინებო!... ამ ფორიაქში კინაღამ მავიწყდებოდა – დილას როგორც კი გახვედი, რატიმ დარეკა, ჯუანშერის მობილური ტელეფონის ნომერი გამიგეთ და სასწრაფოდ შემატყობინეთო!

ასეთი ქანცგამომლევი ცნობების მოულოდნელი მოყრა მაშინვე გულსა და გონებას მოუღლიდა ხოლმე, ვინაიდან თავის ჩვეულ შემოქმედებით საფიქრალს ჯალათურად სწყვეტდა! ახლაც ძლივს მიბარბაცდა სავარძლამდე და შიგ დაჭრილივით ჩაეშვა. ლაურა სამხატვრო აკადემიის კანცელარიის გამგის მოადგილე იყო... მზია – ქალიშვილი, სოსო – სიძე, ვარა – მზიას დედამთილი, შინაბერა მარეხი – მული!.. ლევანი წლინახევრის შვილიშვილი, რატი – ვაჟიშვილი, ჯუანშერი – რატის მეგობარი...

მხატვარს იმდენად ჩვეულად ქცეული სოსოს უსაფუძვლო აყალმაყალი არ უმწარებდა სიცოცხლეს, რამდენადაც მისი შინაგანი მოუწესრიგებლობა და ყოველგვარი ჭირთათმენის სრული უქონლობა! თუმც ეს ერთი და იგივე იყო!..

ვარა და მარეხი ხომ პირდაპირ ნეტარებდნენ, მხატვარს თავის საქმეს რომ წყვეტდნენ და მეუღლესთან ერთად, ხოლო როცა მოეგუნებებოდათ, მარტოსაც გაიძახებდნენ ხოლმე – სოსო ჭკუაზე დაგვირიგეო! ჰმ! ოცდარვა წლის კაცი ჭკუაზე როგორ უნდა დაერიგებინა – ის მხატვარი იყო და არა აცვენილთა მომთვინიერებელი!.. ვარა და მარეხი თან უშნოდ ეპრანჭებოდნენ – იქნებ დაგვხატოსო! მათ მხატვრობაც ფოტოგრაფია ეგონათ!..

კიდევ კარგი, ამხელად იმასაც არ იბარებდნენ!.. მათ ყოველ ამგვარ შეხვედრას უკუშედეგის მეტი არაფერი მოჰქონდა, ვინაიდან ერთმანეთისადმი უფრო და უფრო უცხოვდებოდნენ! მხატვრის თვალში ისინი განასახიერებდნენ გამოუსწორებელ მეშჩანებს, რომლებიც ცხოვრებისეულ სინამდვილეს თავიანთი შესაძლებლობებისა და მკაცრი ვითარების გათვალისწინებით კი

არ ეკიდებოდნენ, არამედ დრომოჭმული მაღალფარდოვნებით ხელმძღვანელობდნენ! ხოლო მათთვის მხატვარი იყო ცხოვრებიდან დეზერტილურად გაქცეული აუტანელი ეგოისტი, თავისი საღებავებისა თუ ჩარჩოების მეტი რომ არაფერი აინტერესებდა და არავინ ანაღვლებდა!

მათი აზრით, რაღა დროს საღებავების თითხნა იყო ან ვის რაში უნდოდა შენი რაღაც ნაჯღაბნები, როცა არავინ იცოდა, ქვეყნიერებას დღეს-ხვალ რა ელოდა და იქნებ თვით რაფაელისა და „მოდელიანოს“ ნახატებიც ნაცარმტვრად ქცეულიყო! ამიტომ არ ჯობდა, ამოდენა დრო ფუჭად არ ეკარგა, ისიც რამე სარფიან საქმიანობას მოჰკიდებოდა და ყველა ფუფუნებაში ეცხოვრებინა!

არადა, ადვილზე ადვილი მისახვედრი იყო, ამნაირებს ვერც ფუფუნება უშველიდა – ვარასა და მარეხს ენის სარსალს რა მოაშლევინებდა!..

თვითონ რატი? რატის ბედ-იღბალი უარესად აფიქრებდა და აშინებდა! უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქ თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტად მუშაობდა. თავი მოიკლა, სანამ აშშ-ის თავდაცვის უნივერსიტეტში ორწლიანი სტაჟირებისთვის არ გააგზავნიდნენ!

უკვე მესამე თვე იწურებოდა, რაც კალიფორნიაში, წყნარი ოკეანესპირა ქალაქ მონტერეიში ცხოვრობდა, თვით ამერიკის თავდაცვის სამინისტორს მიერ ნაქირავებ ბინაში. ამაში ცუდი არა იყო რა, პირიქით, დაე, აემაღლებინა კვალიფიკაცია და ისევ თავის სამშობლოს დაბრუნებოდა! მაგრამ იქაური ყოფა-ცხოვრების სასწაულებზე წარამარა ისეთი დაუოკებელი გულაფანცქალებით იტყობინებოდა ხოლმე, უბედურ მამას გაუმხელელი ავი წინათგრძნობა გულს ავეჯის ჭიასავით უხრავდა: ვაითუ მრავალთა მსგავსად ვერც იმას გაეძლო ცდუნებისათვის და ამერიკაში სამუდამოდ დარჩენის ვირუსით დასნეულებულიყო!

ჰმ, შენ ოღონდ დაამთქნარე და უარს ვინ ეტყოდა – ამერიკა ხომ დედამიწის ყველა კუთხიდან ცდუნებელთა ნიჭსა და გაბედულებაზე დგას!!! სწორედ ამიტომაცაა, ამ ქვეყანას თავისი შობადობის კლება-მატება მაინცდამაინც არ აღელვებს! ანდა, ეს რატომ უნდა ანაღვლებდეთ – იჯექი და ელოდე, ახალშობილი ამერიკელი როდის დავაჟკაცდება, რომ... არ ჯობია, მსოფლი-

ოს ყველა ქვეყნიდან ზრდასრული, ჯანსაღი, ნიჭით, ენერგიით, გაბედულებითა და ფანტაზიით დატენილი ახალგაზრდობა მიიტყუო და სამუდამოდ გაამერიკელო!!!

სწორედ მათი მიღწევებით ბობოქრობს გაამაყებული ამერიკა! და ასე იბობოქრებს მანამ, სანამ ბრძნულად თვალმოხუჭული უზენაესი რაღაცის ძირფესვიანად შეცვლას არ ჩაიფიქრებს!.. ან ასე ცამოწმენდილზე რისთვის დასჭირდა ჯუანშერის მობილური ტელეფონი – ისიც საამერიკედ ხომ არ უნდა შეაგულიანოს, მერე კი იალა!.. ოოო!..

თავისი შემოქმედებითი კალაპოტიდან ამოგდებულ მხატვარს ყველაფერი ადვილად აეჭვებდა და აფორიაქებდა ხოლმე!.. გული არც ახლა უსვენებდა – ასმათთან ერთად რატო მეც არ გამომიძახეს, რამე საშინელება ხომ არ ხდება და ჯერ მიმალავენო!..

რაღაც მუხის ძირკვები სულ გადაავიწყდა და ალახმალახ გადაწყვიტა, თვითონაც იქ გავარდნილიყო! მაგრამ ქ-ნ ვარას გამოუძახებლად ასე მიდგომაც მათდამი უნდობლობად ჩაეთვლებოდა! ტელეფონით დაერეკა? რა განსხვავებაა – ესეც ხომ იგივე გამოვიდოდა!

უეცარმა უგუნებობამ ასპიტის შხამივით დაუარა, რადგან მიხვდა – ამათ ხელში თავგზა ჰქონდა აბნეული და ჩვეული ასწრაფებულობა ახლაც მორევში მოხვედრილი ნაფოტივით ათამაშებდა!

შლეგიანივით წამოვარდნილი, ისევ სავარძელში ჩაეგდო და მოულოდნელად თვალახელილმა, აღარ იცოდა, ექვითქვითა თუ ხმამოდაბლებით ელმუვლა. რაკი მისი ნახატებით თავს იწონებდა კიოლნის ვალრაფ-რიხარტის მუზეუმი... ბელგიის სტოკლეს კოლექცია... ნიუ-იორკის გუგენჰაიმის მუზეუმი... ბუდაპეშტის ეროვნული გალერია, გულში უსაზღვროდ ეამაყებოდა, მაგრამ ეს წარმოდგენა ახლა ყირამალა გადაუტრიალდა: ერთ გაფურთხებადაც არ ღირდა მთელი მისი ნიჭიერება, რადგან ვერა და ვერ ისწავლა უმთავრესი – ყოფითი წვრილმანებისაგან გამიჯვნა!!!

არადა, სხვადასხვა დროის ჭეშმარიტი შემოქმედნი ამგვარი გამიჯვნის რა სწორუპოვარი დიდოსტატები იყვნენ! ტიტანთა გენიასაც ხომ სწორედ ამგვარი გამიჯვნა აყალიბებდა და ასაზრდოებდა – წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ჩანაფიქრს რა აახდენდა?!

ის?.. თვითონ?.. ჰმ, ქართულ სინამდვილეში ყოფითი წვრილმანებისაგან შემოქმედის რა გამიჯვნაზე ოცნება შეიძლებოდა!.. ვარასა და მარეხისნაირებს როგორ უნდა გამიჯვნოდი ან სად დამალვოდი?! სადაც უნდა შეხიზნულიყავ, ბავშვისა თუ ახალშეუღლებულთა წაკინკლავების მომიზეზებით ხმას ყველგან მოგაწვდენდნენ და თავიანთი ქაჯური ახირების დასაამებლად შემოქმედ კაცს წინ და უკან ფოსტის ცხენივით გარბენინებდნენ!.. თუმც... თუმც გაზვიადება ხომ არ გამოსდიოდა: იმ გენიოსთა გარემოცვის ზოგიერთი წარმომადგენელი იქნებ ათ ვარასა და ოც მარეხისთანას ერთად აღებულს გადაიწონიდა, მაგრამ...

ახალი, თავისებური მოსაზრება გულში ცივ სასოწარკვეთილებად გაეცლო – შემოქმედებითი იდუმალების ყოველგვარ წვრილმანზე თვალი რა გვიან-გვიან მეხილებაო!

ის ძველი ტიტანები ტვინს, ალბათ, ამაზე დაკვირვებით არც იქანცავდნენ – მათი გარემოცვიდან ვინ რას წარმოადგენდა და ვის როგორ უნდა მორიდებოდნენ!.. თავიანთ ფაქიზ სამყაროს შეუვალ გალავანს შემოავლებდნენ და მორჩა – მერე რაღაში ანაღვლებდათ, ამ უხილავი გალავნის მიღმა მოჩოჩქოლე ბრბოდან ვინ რას წარმოადგენდა!..

მხატვარი თან უცებ ამასაც ჩახვდა: უბედურების მიზეზი ვარა, მარეხი... ქართული ყოფა... სოსო თუ მზია კი არ იყო, არამედ მხოლოდ თვითონ, რაკი აქამდე არ ჰქონდა შემუშავებული თავისი შემოქმედებითი პროცესის შეუვალობის მტკიცე რეჟიმი და სულ ალალბედურად მოაზროვნე საახლობლოს შეხედულებების, ახირებებისა თუ ელდიანი შეტყობინების მძევალი იყო!!!

ამის მიხვედრამ გულისგულში აგრძნობინა, ისიც ჩამოყალიბებული მხატვარი კი არა, რჩეულ შემოქმედთა საუფლოს – ფერწერას ირაო საქონელივით ადევნებული ქონდრისკაცუნა იყო!.. არადა, იქნებ ძირფესვიანად შეეცვალა თავისი შემოქმედებითი ყოფა-ცხოვრება?! მაგრამ ამას ადრევე უნდოდა მიხვედრა – ახლა უკვე გვიანი იყო!.. თუმც იქნებ ჯერ კიდევ არ იყო გვიანი?!.. არა, თავისი ჩანაფიქრი რომ გადაერჩინა, დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო მისთვის შეუვალი გალავნის შემოვლება, თუგინდ ამ უხილავი გალავნის ხარაჩოებზე მოსწრაფებოდა სიცოცხლე!..

არა, მხოლოდ ბრძოლასა და ტანჯვაში იყო შემოქმედის ხსნა და ნუგეში!..

* * *

ხელახლა მოშიებამ საფიქრალს ჩამოაცილა და სამზარეულოში გავიდა. „ტეფალის“ თვალშეჩვეულ ტაფას საფარებელი რომ მოხადა და შიგ თავისი საყვარელი საუზმე – ჰერკულესის ფაფა დახვდა, ნერწყვი მოადგა, მაგრამ ვითომ დამახსოვრებული წინდახედულობა ვერც ამხელად გამოიჩინა – დაცვარული საფარებელი გვერდზე ციმციმ კი არ გასწია ამისთვის განკუთვნილ ფიალაში ჩასაწრეტად, არამედ ამოყირავებით ტაფაზევე შეუქანდა და იმოდენა ნაორთქლი ისევ ფაფაში ჩაეწურა!

ის იყო, ჩაიდანში ანადუღარი წყალი გამოცვალა და გაზქურა უნდა აენთო, კარლია მისაღებში ტელეფონის აწკრიალებამ გული ხალისით შეუთრთოლა. რატომღაც ეგონა, ისევ ლაურა იქნებოდა და ხვალ ჩინური ტილოს განაწილებასთან დაკავშირებულ კიდევ რაღაც წვრილმანებს ჩაუკენჭავდა! მაგრამ ხელში შინაომისაგან გასავათებული მეუღლე შერჩა!

– მოხვედი?!. ისაუზმე?!. – მიმხრჩვალი ხმით კითხულობდა ასმათი, – თუ ჯერ არა?

– არა!.. მეც ახლა... წეღან შემოვედი!.. რა იყო?

– შეგიძლია გამოხვიდე?

– რა მოხდა?

– ოჰ, არ იცი, რაც მოხდებოდა!.. – ქალს ხმა ეხრინწებოდა, – უეჭველად გამოდი!

– მე რაღა მინდა?! – ჯმუხად იკითხა მხატვარმა და მოულოდნელად ენაც დაუდგა, რადგან მისაგები ველარაფერი მოიფიქრა, – შენ მანდ არა ხარ!

– მე მარტო რას გავხდები?!

– რას ჰქვია „მარტო?!“ . აბა, ეგენი ვინ არიან?!

– უიმე, მანდედან ერთი ისე მელაპარაკები, თითქოს არ იცოდე... კარგი, კარგი, შენი არაფერი მინ...

– კარგი... აი, შევცეცხლავ და გამო...

– ოღონდ მალე!..

ისევ სამზარეულოში გავიდა და ღია სარკმლიდან მოპირდა-

პირე კორპუსების თავზე გადალურჯებულ სივრცეზე თვალი თავისდა უნებურად გაუშტერდა.

ამგვარი ელდიანი შეტყობინება სხვა დროს გონებას რომ უბნელებდა ხოლმე, ახლა წარმოუდგენელი განსჯისუნარიანობით ავსებდა. მარტო ეს ვარა და მარეხი კი არა, მთელი მსოფლიოს საქალეთიც ვარად და მარეხად რომ ქცეულიყო, მაინც არ უნდა დაეკარგა მოთმინება და წონასწორობა!.. როგორც კი მიუახლოვდებოდა მათ სადარბაზოს, იმავწამიერად უნდა გამხდარიყო ქვა... რკინა... ფოლადი... ვოლფრამი... ალმასი... მაგრამ არა! თითოეული მათგანი შეიძლება გაეხეხათ... გაექლიბათ... გადაედნოთ... დაემსხვრიათ... დაეხერხათ... გაებურღათ და... ამიტომ ისიც აგერ, იმ მოუხელთებელ წალურჯო სივრცეს უნდა დამსგავსებოდა!..

ჩაიდანს გაზი ისე შეუნთო, კვლავ ყურში უწიოდა ნასმენი.

კარადიდან პაპისეული თიხის ჯამიც რომ გადმოიღო, რამდენიმემ, თანაც ერთმანეთთან მოუთმენელი შეცილებით, კარს უცებ ისეთი რახარუხი აუყენა, პირუტყვსაც კი შეაფრთხობდა!

ეს რაღაა, ვინ უნდა იყვნენო, უელვა რეტდასხმულს. თან ჯამი რომ არ გასტეხოდა, უცებ ველარც მოტვინა – ისევ კარადაშივე შეებრუნებინა თუ ბარემ მაგიდამდე მიეტანა!

დასაყურადებლად წამით შეწყვეტილი ბრახუნი უფრო მეტი ეჭვითა და მუქარით განმეორდა და თან ისე გაგრძელდა, თითქოს მასპინძლის გამოხმობა კი არა, უკვე კარის ჩამოგდება განუზრახავთო!!!

თავმოთოკილმა მხატვარმა კარი ისეთი მოსხლეტით გამოაღო, ოპტიკურ თვალში არც გაუჭვრეტია.

გაჩახჩახებულ ბაქანზე მეზობელ სადარბაზოთა საქმეგაჩენილი, ალმურანადენი კაცები ყელყელაობდნენ!

– აბრეზას გოგო შენ ატირე?!

– აბრეზა ვინ არი?!

ამგვარად წანაცდენმა უკუკითხვამ მომხვდურებს ყინულწყალი გადაავლო, მაგრამ იხტიბარს რას გაიტეხდნენ!

– ჰმ, ჰმ!.. აბა, ეგეც რომ არ იცი!.. ვინ არი და ხადავიკი ნოდარა!.. პირველის მეოთხეზე რო ცხოვრობს!.. პურიმჭამელი ნოდარა, რაღა!.. – ერთმანეთს არ აცდიდნენ დოგა-დოგად წამომ-

დგარი შუამავლები, – მაგრამ ეგ შენ საიდან გეცოდინება, ჩვენთან პურის გატეხას არა კადრულობ!.. აგე, ბაზრის მესასწვრე ვალიკო ბაქაქურის ქვისლი!.. ეხლა მაინც მიხვდი თუ ვერა?!. კაროჩე, წელან შენ ატირე აბრე... ნოდარას გოგო, მავრა?!

– მე არავინაც არ მიტირებია.

– ერთი უყურეთ!.. ძაღლს არც ჯოხი დაუკარი?!

– აააა!.. არ კი დავუკარ, მხოლოდ მოვუღერე, ძაღლმა კი მაშინვე...

რიხიანმა შემოხარხარებამ სადარბაზოს მინები შეაზრიალა.

– აბა, რაღას იძახი, არავინ მიტირებიაო!.. წამო, წამო, მაგას დაბლა გავარჩევთ!

– გაზზე ჩაიდანი მიდგა!.. ჩადით და მეც ჩამოვალ.

– იცოდე, მეორედ არ ამოგვიყვანო!

საქმეგანაღდებული კაცები კიბეზე თავლაღად დაეშვნენ – თითქოს სადარბაზოში ნამწყვდევი რემა მითოხარიკობსო!

გაზქურის გამორთვისთანავე მხატვარი საგონებელმა შთანთქა – ეს მოულოდნელი ცვლილება რამდენ დროს წაიღებდა და მეუღლეც გაეფრთხილებინა თუ არა. არადა, ვაითუ... „უხილავი გალავანი! – მწარედ გაევლო გულში, – გალავანი შემოვივლო კი არა, ესენი საძირკველსაც არ გაგაჭრევინებენ!“ თუმც უცებ მოეჩვენა – განგების ნებით ეს ახლავე იწყებოდა და საძირკვლის გაჭრა-გაუჭრელობას მას არავინ ეკითხებოდა! ის თავის ბედისწერას უსიტყვოდ უნდა მინდობოდა!

ძირს რომ ჩავიდა, სახტად დარჩა – პირველი და მეორე სადარბაზო თითქოს ძირბუდიანად ჭადრის ქვეშ ჩამოხვეტილიყო! შორიდან ზოგიერთ თავის სადარბაზოელსაც მოატანა თვალი.

მხატვრის გამოჩენისთანავე ერთად შეყრილი სამეზობლო აზავთდა.

მხატვარი ახლაღა მიხვდა, ვინ ყოფილიყო მავრას დედა – ვითომ სახედამწუხრებული ქალები შემოეჯარა, ქალიშვილი მკერდზე მიეხუტებინა და გაალმასებით იმზირებოდა.

მავრამ მათკენ მომავალი მხატვარი რომ დაინახა, ზლუქუნი ამოუშვა.

თვითონ აბრეზაც ცოლ-შვილის გვერდით ეყუდა. სამაგ-

ალითო იყო მისი გამომეტყველება – როგორც დაზარალებული ოჯახის უფროსი, მე ხმასაც არ ამოვიღებ, ჯამაათის განსჯასა და განაჩენს ვენდობიო!

განზრახ აფორიაქებული ზოგიერთი ქალი, თანაც შილიფად გამოწყობილი, ისე გალაჯულ-გაბოტილიყო, მამაკაცსაც კი მოერიდებოდა. უმრავლესობა, მათ შორის მანდილოსნებიც, სიგარეტს ავი მოთმინებით ეწეოდა და ირგვლივ ქეშად იყურებოდა.

მხატვარი მომლოდინეებს საპატიო მანძილზე გაუჩერდა და უსიტყვო თავდაკვრით მიესალმა.

მისალმებაზე არავის უპასუხია.

ნაამებმა ქალებმა მაშინვე იგუმანეს მხატვრის უეცარი დაბნეულობის მიზეზი – ეტყობოდა, სახით ყველა მათგანს იცნობდა, სახელდებით კი არავის!

მხატვრის ახლოდან დანახვამ მავრას დედას პირისახე გაუფითრა. მარცხენა ხელით მკერდზე უშნოდ მიხუტებული, აზლუქუნებული ქალიშვილის თავი ეჭირა, მარჯვენა კი მხატვარს მოკლე ხმალივით მოუქნია.

– აი, ველარ დამიწყნარებია!. ბავშვს შიში უნდა დააჩემო და სამუდამოდ გამიუბედურო?!. ჩემს ქალიშვილს დახატვა არა სჭირდება!.. საკუთარი ცოლ-შვილი ხატე – ჩვენ თავი დაგვანებე!

– ქალბატონო...

– რა „ქალბატონო", ტო! – მხატვარს გულადურად წამოეჭალყვა ერთი ღრეცელა ყარაჩი, თავგამოჩენის წადილისგან კისერი უარესად რომ ეღრიცებოდა, – ეგ რა კაცობაა, ქალიშვილი გოგო „პადიეზდში" დაიმარტოხელე და...

– თქვენ მარტო დამარტოხელებასა ჩივით! – „ჩაცმულმა მაკამ" ღრეცელას სიტყვა პირში გააწყვეტინა და წინ გამომწვევად წამოდგა, თავისი ტანმოქნილობა კაცებისთვის უფრო გამოკვეთილად რომ ეჩვენებინა, – ატირებული ბავშვი კიბეებზე ისეთი ყოფით ამორბოდა, თითქოს მოსა... კლავად მოსდევენო!

ქალების თვალთმაქცურმა შეშფოთებამ შემოდგომის ჩალიანში წამონაქროლ ნიავწანწალასავით შეიშრიალა. გახევებულ აბრეზას თან წამქეზებლურად გადახედ-გადმოხედეს – კაცი არა ხარ, რაღაც უცდიო!

– მე თვითონ რომ არ დამენახა, შეიძლება სხვისთვის არც

დამეჯერებინა! – ახლა წელან სავსე ჩანთებით შემოსწრებულმა დიასახლისმა გაიმჭევრა ენა და ბაყაყა თვალები გულგადაღლილის გამომეტყველებით წამოაჭყიტა, – გოგო აგერ, იმ კუთხეში მიემწყვიდია და... ამხელა ქალი ვარ და მე რომ ვყოფილიყავი.. მეც ვერ... ბავშვი კი რა დღეში ჩავარდებოდა?!. არ ვიცი, არ ვიცი!..

– არ იცით და სხვის მაგიერ თქვენ რატომ ლაპარაკობთ, – გულღიად შენიშნა მხატვარმა, – თვითონ გოგონა აგერ, აქ არა დგა?!. აქ ძაღლი უნდა დავაბინაო და...

– სტყუი! – მხატვარს სიტყვა შურმაძიებლურად გადაუსხიპა „ჩაცმულმა მაკამ", – მეც ხომ მაშინვე ჩამოვიარე და აქ სად იყო ძაღლი ან კატა?!. ჰოდა, ერთი მოგვახსენე – სხვის სადარბაზოში რისთვის ჩასაფრებულიყავ და...

– რას ჰქვია „ჩასაფრებულიყავ?!" – გაიკვირვა მხატვარმა, – ძაღლი რომ გავუგდე და გოგონაც წავიდა... ამ ნაგვის გორას სულ სხვა თვალით შევხედე და... მისი დახატვა მომივიდა აზრად!

კაცების ხარხარი და ქალების წივილნარევი კისკისი დომხალივით აირია. თან ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედ-გადმოხედეს – აი, თურმე რა ჭკუამხიარული მეზობელი მალიარი გვყოლია, ჩვენ კი აქამდე არ ვიცოდითო!

– ნაგავს რა დახატვა უნდა – ზოგიერთი კაცივით ნაგავი ნაგავია!.. ნაგავს ვინ ხატავს?!.. ვის ატყუებ! – ნიშნის მოგებით შემოსძახოდნენ იქით-აქედან, – იქნება აქ რემონტის ნარჩენებს არ ჩამოიტანდნენ და მაშ, რა გეშველებოდა?!. თუ არადა, სანაგვეების მეტი რა არი – წადი და ხატე, რამდენიც გინდა!

– რაღა ნაგავი! – უშნოდ გაეკრიჭა ერთი ნიკაპწამოგდებული ვაჟბატონი, – ბარემ აი, ლამაზი მაკა დახატო!

– უჰ! – ტუჩაპრუწვით წამოიკრუსუნა „ჩაცმულმა მაკამ" და ქალწულებრივი სიმორცხვით უკუდგა.

მხატვარი მდუმარედ მისჩერებოდა ნიშნის მგებლებს.

– ეგ ჩვენ რაში გვეკითხება – რაც უნდა, ისა ხატოს! – ქალები სახემოლუშვით გააჩუმა საქეიფო ფაცხის უცვლელმა უსტაბაშმა და მხატვარს ძველბიჭურად მიუბრუნდა, – ბავშვს ძაღლი რატო დაუფრთხე?

– აბა, რა უნდა მექნა?! – მიუკიბ-მოუკიბავად აუხსნა მხატ-

ვარმა, – აგერ, იმ ტუმბოში უნდა დავაბინაოო და... სადარბაზოში ძაღლის დაბუნაგება სად გაგონილა?!

ახლა ერთ ფარჩხატულვაშიან შუახნის კაცს აევსო მოთმინების ფიალა.

– შე კაი კაცო, ეგე, მერამდენე წელი იქნება, რაც აქ გადმოხვედი და ფაცხაში ჩვენთან ერთად ერთხელ ჭიქა არ აგინევია! ჰოდა...

– დიდი ამბავი თუ მხატვარი ხარ! – ბრაზიანად გამოსძახა რომელიღაც კაცმა.

– ამ შემთხვევაში რა შუაშია მხატვრობა, – მოკამათეთა დასაშოშმინებლად თვითირონიით შენიშნა მხატვარმა, – ან ამას რა კავშირი აქვს ძაღლთან?

– ის კავშირი აქვს, რო ჩვენთან ერთად ერთხელ მაინც როგორ არ უნდა დამჯდარიყავი?!. რატო არა გვკადრულობ?!

– ეგ უკადრისობით როდი მომდის, – სიტყვის შემოსაბრუნებლად მხატვარმა ხმა გაირბილა, – მეც შედარებით მოცლილი და თქვენი წრის თუ არ ვიქნები, ერთხელ კი არა, ფაცხაში გაშლილ სუფრას ათჯერაც რომ მივუჯდე, მაინც არ ექნება მადლი !

– რატო, რატო?

– რატო და ცალკე მე დავიტანჯები, ცალკე – თქვენ, რადგან მე მოქეიფე კაცი არა ვარ და...

– არადა, მაშინ ვინ გეკითხება ჩვენი „პადიეზდის“ ავანჩავანს?! – მხატვარს მოჩქარებით სიტყვა აუწონა ერთმა სქელლოყება დიასახლისმა.

– ქალბატონო, რა შუაშია ჩვენი და თქვენი „პადიეზდი“, როცა საკითხი სისუფთავესა და აქ მაცხოვრებლების უსაფრთხოებას ეხება!

– იმ შუაშია, რომ ბავშვს ცხოველები ჰყვარებია, – ჯგუფიდან გასისინებით გამოეკამათა რომელიღაც ქალი, – შენ კი უშლი! რა უფლებით, თუკი ბავშვს უნდა, რომ აქ...

– რას ჰქვია „უნდა?!“ ასე რომ მივუშვათ, ვინ იცის, ვინ რას მოინდომებს! – გაფანტულ მზერაზე მხატვარს ეტყობოდა, ვერ ხვდებოდა, ვინ გამოაცალა პირიდან სიტყვა. ამიტომ ყველასადმი მიმართვა გამოსდიოდა, – ეს მაროს კერძო ბი...

– მავრა, მალიარო, მავრა! – ხალისით აუხარხარდნენ.

– დიახ, მავრა! – სიტყვა გაასწორა მხატვარმა, – ეს მავრას კერძო ბინა ხომ არ არის – ამ სადარბაზოში მაგათ გარდა კიდევ ოცდასამი ოჯახი ცხოვრობს! ჰოდა, დანარჩენებსაც ენდომებოდათ, აქ ძაღლები რომ შემოიჩ...

– გვინდა, გვინდა! – ბრმა სიშმაგით აუყაყანდნენ ქალები.

– რანაირად შეიძლება, აქ ძაღლების დაბინავება გინდოდეთ?! ეს საცხოვრებელი კორპუსია თუ ძაღლების ბუნაგი ან მანეჟი?! – მოშიებულ მხატვარს თანდათან არაქათი ეცლებოდა, – აბა, წარმოიდგინეთ, აქ ძაღლის... მაპატიეთ და... განავალი... შარდი... დორბლი... ბეწვი... რწყილები...

– უი, მომიკვდეს თავი – თუკი ეგ გაწუხებდათ, თავიდანვე ასე გეთქვათ! – უბანში განთქმული ენაპიროსანი თალიკო მხატვარს ისეთი მიმტევებლური კილო-გამომეტყველებით აულაპარაკდა, როგორც გონებადაქვეითებულს, – ყველამ ჯერ პირი გამოირეცხოს და მავრუშა ისე გვიხსენოს!.. წარამარა ოჯახიშვილი კი არ არის – ისეთი სუფთა დედის გამოზრდილია, ისეთი სუფთა დედის, რომ... დოდონას ეგ შეეშლებოდა?!.. ჰოდა, მავრუშკა თავის საყვარელ ძაღლსაც ბუნაგს ყოველდღე ისე დაუწკრიალებს, აი, თქვენ თვითონ ნახავთ – სადარბაზოში ერბო აიკრიფებოდეს!

თალიკოს ნასიბრძნი ერთსულოვანი ღრიანცელით მოიწონეს.

– ქალბატონო, აქ რა შუაშია ერბო ან კარაქი! – მხატვარს თანდათან ილაჯი უწყდებოდა, – მერე ის აქ სხვა ძაღლებს მოიყოლებს... იმაკებენ... ლეკვებს დაყრიან... დაახლოებით მაინც ხვდებით, აქ რა დატრიალდება?! იქნება...

– როგორმე!.. დიახ, ვხვდებით!.. რაკი მხატვრად მოგაქვს თავი, რატო გგონია, ყველაფერს მარტო შენ ხვდები, სხვები კი ვერა!.. ის გიჯობს, თქვენს „პადიეზდს" მიხედოთ!

– რამე უბედურება... თუ... რომ... დატრიალდეს, – სასოწარკვეთისგან მხატვარს სიტყვები ერთმანეთში ერეოდა და ეყლაპებოდა, – მერე... ვინ... მაშინ „პადიეზდს" რაღა... ექნება... რაღა მნიშვნელობა ექნება?!

აქ უცებ მოულოდნელი რამ მოხდა!

აქამდე ყველასაგან შეუმჩნეველი სათოკე ომა, თანაც უკვე არაყნაყლურწი, მხატვართან ძლივს მირაცრაცდა და მბრძანებლურად აულუღლუღდა.

– მალიარო, ამას რათ უნდა მაგდენი გრიმასების კერვა და რიჟა ბაზარი, ჰა?!. ჰოდა, ეხლა მიდი და... აბრეზას პატარა ანგელოზს ბოდიში მოუხადე!!!

შეკრებილებს სახეები მოუქურუშდათ, რადგან ლოთის სიუჭკოვეს შეიძლება ნაადრევად დაესრულებინა მათი საკვირაო თავგართობა.

ასეც მოხდა!

მხსნელი რჩევისთვის მხატვარმა ომას მადლიერებით დაუხარა თავი. მერე ისევ დედიკოს უბეს მიხუტებულ მავრას – ნამტირალევ თვალებს დროდადრო აქეთ-იქით რომ აპარებდა! – კრძალვით მიუახლოვდა.

– მაპატიე, შვილო... ბოდიშს გიხდი... მე სულაც არ მინდოდა, შენთვის გული მეტკენინებინა!.. უბრალოდ... ეს... აქ ძაღლის ადგილი არ არის-მეთქი, მაგრამ...

მხატვარმა, მექანიკურ თოჯინას რომ დამსგავსებოდა, ახლა მავრას მშობლებს მოუხარა ქედი, მერე კი ჯარად მდგარ დანარჩენებს.

– ყველას ბოდიშს გიხდით!.. მაპატიეთ, ჩემი მიზეზით საქმეს რომ სცდებით!.. ბოდიში მომითხოვია!.. მაპატიეთ!..

მოქანავე ომას პირისახიდან ლოთიფოთური აღტაცება არ შორდებოდა – აი, რა მაგარი ბიჭი ვარ, მალიარს სუ ბოდიშებს ვახდევინებო!

– ყველას ბოდიშს ვუხდი! – დააგვირგვინა მხატვარმა, მერე წამოტრიალდა და შინისაკენ აკრეფილი ნაბიჯით გაეშურა.

* * *

მეორე დღეს, ორშაბათს, საღამო ხანს მხატვარი აკადემიიდან ნავაჭრით რომ დაბრუნდა, მეუღლე ისეთი ამრეზილი შეხვდა, მოხდენილად შეფუთული ტილოს სქელი თოფის დაბინავება არც უცდია – იქვე ააყუდა.

– რა იყო?

– ოჰ, დამანებე თავი!!!

– რა მოხდა?

– ვითომ არ იცი!!!

– რა არ ვიცი?!

ჩანდა, ქალს რაღაც უზომოდ აგულჩვილებდა და ცრემლი ყელში ეჩხირებოდა.

– მეტი თავლაფილა მინდა, – თვალები თავისით აეცრემლა, – შენს უსაქციელობაზე მეზობლის ქალები აღფრთოვანებით მიყვებიან!

– რას გიყვებიან მეზობლის ქალები?

– რასა და რაც გუშინ დილას ჩაგიდენია!

– არ მესმის, მაგით რა გინდა მაგულისხმებინო!.. რა ჩამიდენია?

– რა და აგერ, დოდონასა და აბრეზას გოგო, მავრა თუ რა ჰქვია, იმათ სადარბაზოში დაგიმარტოხელებია – ძალიან დიდი, ლამაზი მკერდი გაქვს და ერთხელ ტიტველა უნდა დამეხატვინოო!.. რა გაცინებს?

– სასაცილოა და მეცინება! – ბეჯითი ხმით დაბეჭდა მხატვარმა, – მერე, შენც დაიჯერე?

– როგორ არ დავიჯერებდი – შეშინებული გოგო ძლივს გაგშვებინებია და ტირილ-ტირილით გაგგზავნია!.. შენ პატარა გოგოებს რას უთვალთვალებ – ვის როგორი... არა გრცხვენია?!

– ეგ ვინ გითხრა?

– ვინა და ვინც ზედ წამოგაწყდა!.. ან შენთვის რაღა მნიშვნელობა აქვს?

– მაინც?

– ვინა და ზაირამ!

– ზაირა ვინ არი?

– აბა, როგორ აგიხსნა – ზაირა ზაირაა!.. სანამ რამე ხიფათს არ გადაიკიდებ, მანამ არ გაჩერდები?!

– მოიცა, მომისმინე... აბა, მოდი აქა!.. თუ არ მომისმენ... ეგ ყველაფერი ჭორია და შენგან მიკვირს – რას უსმენ ენის მკრეფავ ქალებს! როგორ, შენ...

– მეტი რაღა გეთქმის!.. ოჰ, აიღე ხელი!.. ნეტავი აქ რას ჩამჩურჩულებს?! ჩვენ საჩურჩულო არაფერი გვაქვს!.. აბა, გუშინ კაცებმა ძირს რაზე ჩაგიყვანეს და ლამაზი მაკა რომ არ გამოგქომაგებოდა (მხატვარს უნირო ღიმი მოერია), ალბათ, ჯვარზე გააკრავდნენო!

მხატვარმა მეუღლე საწოლზე გვერდით მოისვა და ყვე-

ლაფერი გადაუსხვაფერებლად უამბო.

ქალი ამან უარესად გააგულისა.

– თუკი მართლა ყველაფერი მაგრე იყო, წუხელ რომ მოვედი, რატო მეც არ მიამბე?

– არ მინდოდა გუნება მოგშხამვოდა.

– ჰმ!.. ეხლა უარესი არ მემართება?!. ეს არის ცოლქმრობა?!

– შენ მართალი ხარ – აბა, ეს რა ცოლქმრობაა, ყურს ვიღაც ჭორის მზიდავებს უგდებ, ჩემს სიტყვას კი ახლოსაც არ იკარებ!

– თან რაღაც სისულეები გილაპარაკია – ეს ნაგვის ტომრები უნდა დავხატოო!

– დავხატავ კიდეც!!!

– უიმე!.. ან შენ ვინ გეკითხება, თავიანთ სადარბაზოში ძაღლებს მიიჩვევენ თუ აფთრებს!!!

– აბა, შენც რო მაგას გაიძახი, სხვებს რაღა... რაღა... რაღა...

– ოჰ, გააჩერე ხელი!.. ვის ველაპარაკები?! მე სიცოცხლე მიმწარდება, ეს კიდევ... კაცო, აქ მაგისთვის შემომიყვანე?!. წადი და ვისაც გუშინ... უიმე, ამას ელაპარაკე, არ ელა... – ხმა მიუთრთოლდა ტახტზე მიწვენილ ქალს და თვალები სიამით მიეხუჭა...

კუბოკრული პლედის ქვეშ გვერდიგვერდ გაუნძრევლად იწვნენ და ხმას არც ერთი მათგანი აღარ იღებდა – საკამათო უკვე ამოწურულიყო!

ცოტა ხნის შემდეგ თვალებჩახუჭულმა კაცმა ხმაგამოცვლით იკითხა.

– ამ საღამოს რა გაქვს საკეთებელი?

ქალს სახე გამოუცოცხლდა.

– საქმის მეტი რა მაქვს!.. მაგრამ მითხარი, შენ რა გინდა და მეც იმას...

– ხვალ პირველ საათზე სერბ მხატვრებს ვხვდებით!.. ჩემი საყვარელი პერანგი „Marc o Polo" კი შეჭუჭყული გდია! ჰოდა, თუ არ დაიზარებ, გარეცხე, გააშრე და გააუთოე!... თან მარცხენა სახელოს ერთ-ერთი ღილი აწყვეტაზეა!

ახალი საქმის გამოჩენამ ლაფანივით მოშვებული ქალი თვალსა და ხელს შუა გამოაცოცხლა.

* * *

მავრამ და ძაღლმა ერთმანეთი იმავე დღეს იპოვეს.

გოგონამ მარკეტში შებოლილი ძეხვი უყიდა და იმ ტუმბოსთან ასადილა, ძაღლს ოღური რომ დასდებოდა.

საერთოდ, უსაქმური, მაგრამ ამ ძაღლის გადამკიდე, საქმეგაჩენილი მავრა მის ფარეზობაში ათენ-აღამებდა. ტარდამოკლებული ახალთახალი ცოცხი და ახალიევე აქანდაზი ტუმბოს გვერდით ეყუდა. ხოლო ცელოფნის პარკში გადახვეული რეზინის სტაფილოსფერი ხელთათმანები ტომრებს შორის ჰქონდა შეჩურთული.

ორიოდე დღის შემდეგ მავრამ მამიკოს ნაგვის ტომრები რის ვაი-ვაგლახით მიაწ-მოაწევინა და ტუმბოს წინ საჭმლისა და წყლის სხვადასხვა ფერის პლასტმასის ფიალებიც გაჩნდა!

ძაღლი რაკი დედალი გამოდგა (მავრამ არ იცოდა, ძაღლთან მიმართებაში ძუ და ხვადი რომ ითქმოდა!), როგორც ჰოლივუდელ კინოვარსკვლავზე თავდავიწყებით შეყვარებული, თავის მეგობარს ანჯელინა ჯოლის თაყვანისცემის ნიშნად მისი სახელი უწოდა. მალე ერთმანეთს ისე შეეთვისნენ, ძაღლი გვერდიდან აღარ შორდებოდა. გოგონა თუ ვინმესთან სტუმრად ფეხით მიდიოდა, ისიც უკან მისდევდა და გარეთ ერთგულად უცდიდა. წარმატებით თავბრუდახვეულმა მავრამ ავტობუსშიც მოიპრიანა უღვედო და უალიკაპო ანჯელინას აყვანა, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს!!! ამიტომ დარსა თუ ავდარში ძაღლი გაჩერებასთან ეყუნტა ხოლმე!

მავრა თანატოლებში ნამდვილ გმირად იქცა! თუმცა რაღა თანატოლებში – მთელ კორპუსს გოგონასა და ძაღლის გასაკვირი მეგობრობა ეკრა ენაზე. თან მხატვარს დაჟინებით თათხავდნენ ხოლმე – მავრუშკას, აბა, რატომ უშლიდა ძაღლის ყოლას, ეს რა მართლა უცხვირპირო ვინმე ყოფილაო!

– აბა, ქალო! – ტუჩაბურცვით უდასტურებდნენ ჭორაკუდაობას მოწყურებული მომუსაიფენი, – ნეტავი ასმათი მაგას როგორ უძლებს?!

– ეჰ, ვინ იცის, უძლებს კი?!

– შენ ეგა თქვი და!.. ეს კი აქედან სად წავა და... ასმათს ტატკასთან მოეჩივლა...

ერთი სიტყვით, მავრუშკას მფარველობით ძაღლი პირველი

სადარბაზოს სრულუფლებიანი ბინადარი გახდა.

– აბა, როგორა გყავს ანჟელინა? – მანდილოსნები პირფერული ღიმილით ეკითხებოდნენ ხოლმე.

რომელიმე ლირწი მამაკაცი კი ძაღლის მოსაბაბებით გადმოვარდნილ მკერდზე ვითომ სხვათა შორის ეფათურებოდა.

– როგორ გეტყობა, ანჟელიკას სიყვარული აი, აქ რო გიზის!.. გულზე ხელდადებით მითხარი, ხო არ ამშევ?

– უჰ, არა! – თავგაზვიადებით პასუხობდა თავის შტერულ საფიქრალში გადავარდნილი მავრა, – წელან ღორის კატლეტები შევაჭამე!

– მართლა გულიანი გოგო ყოფილხარ! – ქურდული გახედ-გამოხედვით პასუხობდა ენამოხერხებული თახსირიც და თავისი ნათქვამის დასადასტურებლად მშიერი ნიანგივით ხელი კვლავ მავრას მკერდისკენ გაურბოდა.

შემთხვევით შეხვედრისას მავრა მხატვარს თვალს გამარჯვებულის ჟინიანობით უშტერებდა. სალამსაც ქედმაღლურად იმეტებდა და ამნაირადვე პასუხობდა.

როგორც მეზობელი სადარბაზოების ჭრელ ბინადრებთან, ისე მავრას მშობლებთანაც მხატვარს არც ადრე აკავშირებდა დიდი სალამ-ქალამი და მხოლოდ მჩატე, ვალმოსახდელი თავდაკვრით იფარგლებოდნენ. იმ ამბის შემდეგ ესეც დაიკარგა, რადგან მისასალმებლად პირგაღებული მხატვრის დანახვისას აბრეზასა თუ დოდონას სახე ელრუბლ-ელუშებოდა და კისერიც გონჯად უმრუდდებოდა.

* * *

მხატვარმა პირველი სადარბაზოს წინ ჩვეული გავლა-გამოვლა აიკვეთა, რამაც გაჩერებისა და ტყეპარკისკენ სასიარულო ცოტათი დაუგრძელა. მაგრამ ამან ვერ უშველა.

საკუთარ ეზოში კი არა, ძაღლს სადაც უნდა შეესწრო თვალი, ისეთი მქუხარე ყეფა-ყეფით გამოუქანდებოდა ხოლმე, კორპუსები ბანს იძლევინებოდა, ხოლო უცხოები საკვირველიდან გამოდიოდნენ – ამ პატიოსან კაცს რას ერჩის, რა დაუშავაო!

გასაკვირი იყო – მხატვარზე ძაღლი საკბენად კი არ მიიწევდა, არამედ შორიახლოდან ადევნებით ისე უყეფდა, იტყვი, ჟინსა

და მახსოვრობას ამზეურებს – შენ ერთხელ ჯოხი მომიღერე და სადარბაზოდან გამამაძევეო!!!

მხატვარი თავის კორპუსს რომ მოუახლოვდებოდა, თითქოს სუნი იკრაო, ძაღლი მაშინვე გამოუქანდებოდა ხოლმე. ნირშეუშლელ მხატვარს თავის სადარბაზოში მედგარი ყეფა-ყეფით რომ შეაცილებდა, უმალ მშვიდდებოდა. მერე სხვადასხვა სართულის აივნებზე გადმოყუდებული მოსეირეების მიერ ჯილდოდ ჩამოყრილ ნუგბარ ნაჭრებს ერთმანეთის მიყოლებით სანსლავდა და ისევ თავის ფიჩვჩაფენილ ტუმბოს უბრუნდებოდა.

– ძაღლი კი არა, გულთმისანია! – ერთმანეთს შეჰხითხითებდნენ ფაცხაში შექეიფიანებული ერთფეროვანი კაცები და ანჯელინას სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით მიირთმევდნენ, ხოლო მწვადს პირდაპირ შამფურებიდან აჭმევდნენ, – არა, ძაღლიც კი ატყობს, რა ფრუქტიც არი ე ჩვენი მალიარი!..

* * *

მართალია, ზამთარი რიგისამებრ გაიწურა, მაგრამ გაზაფხული, როგორც ყოველთვის, ახლაც თვითნებურად შემოჭრილ მოძალადეს ჰგავდა! მოშავბნელებული ღრუბლები თავადაც ვერ შველდებოდნენ ერთმანეთში და ისეთი მიმორევა ედგათ, კაცი ვერ იტყოდა, ცა იმწუთას რას ჰგავდა ან ცოტა ხნის მერე რას დაემსგავსებოდა!

არც ფრთააშვებული ქარი ისვენებდა. ჰაერში ატაცებული ცელოფნის ცარიელ-ცარიელი პარკები კორპუსებს შორის ძირს დაუშვებლად დაქანაობდა და დახურული სარკმლებიდან გაშტერებით მაცქერალ ნაზამთრ ქალწულებს რაღაც ბუნდოვანი მღელვარებით ავსებდა.

გაცრიატებულ ეზო-ყურეში მხოლოდ ნასკოლევი ბიჭუნების ჟივილ-ხივილი ისმოდა: გარაჟებს უკან, ყურმიუგდებელ ბუჩქნარსა და აყვირებულ შარშანდელ ლიხნარში პირატის ქოხისა თუ მეტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტილის ჩადგმა განეზრახათ.

– ო, ლულაც რომ გვქონდეს, – ინატრა ერთ-ერთმა ბიჭუნამ, სანაგვედან მოთრეულ რაღაც მიხრილ-მოხრილ, სახელურებიან დანადგარს რომ უკირკიტებდა, – ნამდვილ ტყვიამფრქვევს გავაკეთებდით!

– ლულების მეტი რა ვიცი! – წამოიტრაბახა ცოცხალთვალება თანატოლმა და თავიანთი სადარბაზოსკენ გაკურცხლა.

მავრას ძაღლის ტუმბოსა და ნაგვის ტომრებს შორის ჩაჭედილი, სანტექნიკური რემონტიდან მონარჩუნებული პლასტმასის მწვანე მილების გრძელ-მოკლე მონაჭრები გამოჩანდა.

გიო მოუთმენლად მიუცუცქდა ნაგვის ტომრებს და სათამაშო ტყვიამფრქვევზე ფიქრგართული, სულ ვერ ატყობდა, ამძუვნებული ანჟელა თავისი ასუნებული ტუმბოდან გამრუდებული თვალებით რომ გამოიცქირებოდა!

რაკი პლასტმასის მილების მონაჭრები ნაგვის ტომრებსა და ტუმბოს ქვეშ იყო მოტანებული, ორ მათგანს გიომ მოწადინებით დაუწყო ნჯღრევა-ჩუჩხური. ყველასაგან განებივრებულმა ძაღლმა კი ეს თავდასხმად მიიჩნია – თავისი ტუმბოდან უცებ ნახევრად გამოხოხდა, ბიჭუნას სწვდა მაჯაში და გაავებით დაუწყო ღრღნა და ქნევა.

– ვაიმეეე!.. მიშველეეეთ!..

ვინც იმჟამად შინ იყო, სულ ძირს ჩამოცვივდნენ!.. მეზობელი კორპუსებიდანაც მოზღვავდნენ... ქალების წივილ-კივილი ცას სწვდებოდა...

სახეშეშლილი ცირა ცოცხალმკვდარ, ნაგვის ტომრებთან გართხმულ პირმშოს უაზროდ დასწიოდა. ჯანიანმა ქალებმა მაჯაგადაღრღნილი, სისხლით მოთხვრილი ყმაწვილი ციმციმ ასწიეს და სალოთაო მაგიდაზე გააწვინეს... რომელიღაც ქალმა კაცების მზერის ქვეშ კაბის კალთა ღრმად შემოიხია და შეხვევა დაუწყეს... ოჯახისთავი, ტაქსისტი ლერსო შინ არ აღმოჩნდა. ან შინ რა გააჩერებდა – საშოვარზე იყო! დაურეკეს, მაგრამ მომსახურების სფეროდან გასული ყოფილიყო... ლერსოს ჭერზედა ძმაკაცმა, კაპიამ მაშინვე ჩამოაქანა ორლულიანი თოფი და ლიხნარს შეფარებული, ლაშებგაბასრული ძაღლი ორი, ერთმანეთს მიყოლებული გასროლით იქავ მიასიკვდილა! მაგრამ იმ ფორიაქში ვარაუდი ვეღარ დაიჭირა – მეორე გასროლისას კარტეჩი გარაჟის რკინის კარმა აისხლიტა და მეზობელი კორპუსის ეზოში „Toyota"-დან ის-ის იყო ტორტითა და ცოცხალი ყვავილებით გადმოსული სტუმრები – ბებია და შვილიშვილი წვივებში დაიჭრა!

ახლა იმ კორპუსწინ ატყდა წივილ-კივილი.

– გვიშველელეეთ!.. გვხოცავეენ!..

უბანი საგიჟეთს დაემსგავსა!.. ხსნას მობილურ ტელეფონებში ეძებდნენ!..

ერთმანეთის მიყოლებით მოფრინდა საპატრულო პოლიციის ორი ეკიპაჟი... სასწრაფო დახმარების სამი ბრიგადა... რომელიღაც ტელეარხი... რაიონის გამგეობის წარმომადგენელი...

სასწრაფო დახმარების ხელგაწაფულმა ექთანმა განაცრეებულ გიოს რაღაც ნემსი გაუკეთა. დანარჩენებმა გადაღრღნილი მაჯა ხელახლა, თავიანთებურად დაუბინტეს და ჰაიჰარად გამზადებულ დედასთან ერთად ტრავმატოლოგიურში გააქანეს. მეორე ბრიგადამ ფეხებში დაჭრილ ახალგაზრდა ბებიასა და თოთხმეტი წლის გოგონას ხელად აღმოუჩინა სასწრაფო დახმარება და ისინიც წაიყვანეს!..

მიკროფონმომარჯვებული ტელერეპორტიორი მარჯვნივ და მარცხნივ ისეთ-ისეთ კითხვებს იძლეოდა, ყეყეჩიც მიხვდებოდა – მათ თანამოძმეების უბედურება კი არ ანაღვლებდათ, არამედ პირველ რიგში თავიანთი ვიწროპროფესიული ინტერესი ამოძრავებდათ!!!

პოლიციელებმა თავტანდაკარგულ კაპიას თოფი და ერთი ზურგჩანთა ტყვია-წმალი ჩამოატანინეს და წაიყვანეს... მეორე ეკიპაჟმა კი მავრა, როგორც უპატრონო ძაღლის „ერთადერთი მეურვე", მანქანაში მოუთმენლად ჩაისვეს.

სახეგაფითრებული დოდონა და აბრეზა პოლიციელებს თავგამოდებით წარუდგნენ.

– ჩვენც წამოგყვებით!

– თუ საჭირო იქნება, ჩვენ თვითონ გამოგიძახებთ! – მოუჭრა ერთ-ერთმა პოლიციელმა. მერე მავრას აქეთ-იქიდან ამოუსხდნენ და პატარძალივით გააქროლეს.

დამსწრეთა ორაზროვანი გამომეტყველება უფრო საზიზღარს ხდიდა ისედაც მძიმე დუმილს.

კაცების ერთ ჯგუფს ატმასნილ, დალეულ ომას პირისახეზე დებილური აღტაცება უთამაშებდა.

– ეხლა ყველაფერს გაუერთიანებენ!

ეზოში მოზღვავებული იმოდენა ხალხი უმწყემსურ ნახირს დამსგავსებოდა – არ გაიგებდა, ვინ რისთვის მოძრაობდა, ან რას

გაიძახოდა!... უბანში განთქმული ენაპიროსანი თალიკო კი ამჟამად დუმილს ამჯობინებდა.

– შემოქმედიო! – „ჩაცმულმა მაკამ" უაზროდ წაკბინა მხატვარს, – აბა, რომელიმე მაინც თუ ჩამოვიდეს!

კი მაგრამ, ვინ უნდა ჩამოსულიყო?! მხატვარს ბუდაპეშტში პერსონალური გამოფენა ჰქონდა და წინა დღეს გაფრინდა. სოსოს კი ისევ თავისებურად აერია და მესამე დღეა, რაც ასმათი მზიასთან იყო – სამსახურშიც იქიდან დაიარებოდა!

რაიონული გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, წარბგადაკალმული ქალბატონის მიერ გამოძახებული ნაგვის ღია სატვირთო მანქანაც მოვიდა.

სასიგნალო სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მენაგვეები კი „რაფით" მოაყოლეს.

სატვირთო უკუსვლით მძიმე-მძიმედ უახლოვდებოდა ნაგვით გამოტენილ სადარბაზოს. ახალბედა მძღოლს ერთი ხშირწარბა მენაგვე აკვალიანებდა.

– მიდი, მიდი!... არა, არა – იგრევ წინ წადი და მარცხნივ აიღე!... აიღე, აიღე!.. ეხლა გაასწორე!.. სტოპ, სტოპ!.. ზედა ხარ, გაჩერდი!..

ავტომანქანაზე ნიჩბებითა და ხელით ნაგვის შეყრა რომ დაიწყეს, ისეთი მტვრის ბუღი დადგა, მენაგვეებმა რესპირატორები გაიკეთეს, ადგილობრივი ქალები კი სულ ცალ მხარეს მიგროვდნენ და ცხვირსახოცები მოიმარჯვეს.

– არა, შეიძლებოდა სადარბაზოში სანაგვის მოწყობა?1 – ტუჩებს ბუშტავდა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, წარბებგადაკალმული ქალი და ერთადერი ის არ ეპუებოდა მტვრის ღრუბელს, – თან აქ ძაღლების დაბინავება! ჰმ!.. პირდაპირ გასაკვირია – ამხელა კორპუსში ნუთუ ერთი მაინც არავინ მოიძებნა, მთელ ამ საშინელებას წინ აღსდგომოდა?!. თუმც აქ ჩვენი დანაშაულიც იკვეთება – უბნებში კონტროლი მოვასუსტეთ!..

იმოდენა სარემონტო ნარჩენი და დაწუნებული საყოფაცხოვრებო ტექნიკა მანქანაზე ძლივს დატიეს. ხოლო დარჩენილ ნაგვის ფქვილსა და წიკომაკო ნამტვრევ-ნამსხვრევზე ხშირწარბამ მშრალად მოჭრა.

– ამას კიდევ ქალები მოგავენ და მორეცხავენ!

აჭრიალებული ავტომანქანა ეზოდან სულ ტაატით გაიყვანეს, მოპირთავებული ძარადან ნაგავი რომ არ გადმოფანტულიყო.

მუშებმა ნიჩბები და ბლაგვწვერა ფიწლები მხარზე გაიდეს და რომელილაც უბინსკენ ბაწარაღებით გაილალნენ, გზადაგზა თან სიგარეტს უკიდებდნენ.

რაიონული გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ფეხი არ მოუცვლია, სანამ სადარბაზოს ქალებს იქაურობა ძირი-ძირობამდე არ მოაგვევინა და მოარეცხინა. მერე სამტუჩა ელამ მუხლებზე რაღაც ნაკაბია შემოიხვია, შემომდგარ კაცებს რომ არ შემოეხედათ (გაწყდა მაგათი სინსილა! კაცებს ხომ სულ იმაზე უჭირავთ თვალი, ერთი რას დაუნახავენ ქალებს!), აპეურით გადაბმულ ორმაგ კიბეზე თხასავით ახტა და გრძელტარა ჯაგრისით აბლაბუდის სქელ-სქელი არშიები სულ ძირს ჩამოყარა!

– დედააა!.. ხედავ, ქალო!.. დედააა! – წარამარა გაიძახოდნენ თავიანთივე სადარბაზოს სიხალვათით გონს მოსული ქალები.

ყველაფერს რომ მორჩნენ, რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სამსახურებრივი ავტომობილი გამოიძახა და ჯერ ტრავმატოლოგიურ კლინიკაში გაემგზავრა...

მოკრიალებულ სადარბაზოში ქალების გასაკეთებელი აღარა იყო რა, მაგრამ შინ გული არავის მიუწევდა. ეზოში იმდენ ხანს იდგნენ და იდადანეს, ყბები გადაიცვითეს. მერე კი მაინც დაიშალნენ.

ჭადარქვეშ ჯოგად შეყრილმა კაცებმაც ელნათურების ანთებამდე ილაყბ-იუბნეს, მაგრამ ისინიც ქალები ხომ არ იყვნენ, ატაბატა ლაპარაკს დასჯერებოდნენ – სასმელი მოიტანეს და თავიანთ მობღუნძულ ფაცხაში შელაგდნენ!

რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით და იმავე წარბებგადაკალმული ქალის მონაწილეობით მეორე დღეს კოოპერატიული კორპუსის ამხანაგობის კრება გაიმართა.

სადარბაზოში ნაგვის დამყრელი, ბაზრის მებაჟე ბერდო ოთხასი ლარით დააჯარიმეს. ამხანაგობის „უპრინციპო" თავმჯდომარე, ლენა კი გადააყენეს და ქალების ერთი ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, კაცების მხურვალე მხარდაჭერით თავმჯდომარედ „ჩაცმული მაკა" აირჩიეს!

* * *

კაპიას ბინა იმავე დღეს გაუჩხრიკეს და დააპატიმრეს კიდეც. ოთხიდან შვიდ წლამდე მუხლი უდგებაო, გაიძახოდნენ.

ეზოს კაცებს მთელი კვირა სისხლის სამართლის ამ მუხლების მეტი სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ.

გზადაგზა გამოკვეთილი „ახალ-ახალი გარემოებების" გამო მავრას თითქმის ყოველდღე იბარებდნენ პოლიციის განყოფილებაში. ერთი-ორჯერ მისი მშობლები და კორპუსის ამხანაგობის ყოფილი თავმჯდომარე, ლენაც დაიბარეს.

ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებმა საქმე უფრო გაართულა...

მეზობლის დაუდგრომელ ქალებს ტრამვატოლოგიური კლინიკიდან ამაღელვებელი ცნობები მოჰქონდათ. საწყალ ბავშვს მაჯის ძარღვები ისე აქვს გადაღრღნილი, მარჯვენა ხელის მტევნის „სრული ამპუტირება" კი აიცილეს, მაგრამ იქ არანაირი „სენსორული შეგრძნებები" აღარ ექნება და მთელი სიცოცხლე სამედიცინო ხელთათმანის ტარება მოუწევსო!

სადარბაზოს ენადაუყენებელ ქალებს როგორც კი „საწყალ გიოზე" ჩამოუვარდებოდათ სიტყვა, უნგრეთში მყოფ მხატვარს ისე ჭორავდნენ და წყევლიდნენ, თითქოს ეს უბედურება მისი მიზეზით მომხდარიყოს! ამიტომ მხატვრის მაშინდელ ნაბჭობს მიიჩნევდნენ არა როგორც კეთილგონივრულ გაფრთხილებად, არამედ ასახდენად განზრახ ნაწინასწარმეტყველევ ბოროტმოხარულობას!

– საწყალი ცირა იძახის – დანახვა კი არა, მისი სახელის გაგონებაც აღარ მინდაო!

– აბა, რა იქნება! – ცხრა ენას გამოიბამდა ხოლმე ენაპიროსანი თალიკო, რომლის ნალაპარაკევიდან აშკარად ჩანდა – მხატვრის მაშინდელი ნაბჭობი სულ პირწმინდად აეკენჭა, – ხომ გახსოვთ, როგორ დაგვინავსა ეზოს ბოვშვები! ჰოდა, აგერ, ისეც გვიხდება!

ნაკლები ენის ქავილი არც ზიზოს სჭირდა.

– ვინ იცის, წინ კიდევ რა გველის!.. მხატვარი!.. რაღა ჩვენს კორპუსში გადმობარგდნენ!.. გაუხმეს იმას ის ენა-პირი!..

არა, ესეც ყისმათი იყო?! მხატვარი უნგრეთიდან რომ ჩამოფ-

რინდა, მესამე დღეს აკადემიაში მოხსენებით წარსდგა. მოსაღამოებულზე შინ რომ დაბრუნდა, მეუღლემ მაშინვე შეაჩერა.

– ნუღა გაიხდი, ბარემ...

– პირველ სადარბაზოსთან ის რა ხალხი ტრიალებს, – მეუღლეს დაბნეულად გააწყვეტინა დაღლილმა მხატვარმა, – ვინმე ხომ არ...

– არა, არა!.. დღეს ის საწყალი ბავშვი გამოიყვანეს და!.. – განუმარტა გულსაფრიანმა ქალმა და მწვანე სალათის ჭრა წუთით შეწყვიტა, – წეღან თინა და ქეთინო შემომეძრახნენ და ჩვენ უკვე ვიყავით!.. შენც მიდი... უთანაგრძე... ეამებათ... მადლია!

შეფიქრიანებული მხატვარი ძირს ლიფტით ჩავიდა.

პირველ სადარბაზოსთან იმდენი ნაცნობი და უცნობი ხალხი იდგა და მიმოდიოდა, პანაშვიდი გეგონებოდათ.

ერთმანეთთან ოდითგანვე შეხმატკბილებული კორპუსის საკაცეთი ფაცხის გვერდით მიგროვებულიყო. სახედამწუხრებული ქალები ცალკე, გარაჟებწინ შეჯგუფებულიყვნენ. ისინი მომსვლელებს დაკვირვებით უთვალთვალებდნენ და იმახსოვრებდნენ.

საგანგებოდ მოკრიალებულ სადარბაზოში დაღონებული გულშემატკივრები გაბმით შედიოდ-გამოდიოდნენ. მთელი კვარტლის ტაქსისტები ლერსოს „შევროლეს" ირგვლივ იდგნენ.

მხატვარი ალალბედზე შედგა და განურჩევლად ყველას უსიტყვო სალამი მიართვა. მერე კი, სადარბაზოსკენ რომ აიღო გეზი, კორპუსის საკაცეთს აბრეზა გამოეყო და მხატვარს გზა გადაუღობა.

– ცოტა ხანს აქ მოიცადე! – რაღაც ბევრის მცოდნესავით ჩაულაპარაკა და სადარბაზოში საქმიანად შეაბოტა. მალე ისევ გამოჩნდა და ყველას გასაგონად მოუსყიდველი შუაკაცივით აუწყა.

– ცირამა თქვა... ნუ შეწუხდება... არ არის საჭიროო!

თანაკორპუსელმა კაცებმა და ქალებმაც ორივე მხრიდან ისე გადმომზირეს, როგორც სათვალავში ჩაუგდებელ არაკაცს. უცნობებმა კი უნებურად თვალები შემოაჭყიტეს – ამ უბედურს, თუკი ასეთი რამ დანაშაული ჰქონდა ჩანადენი, აქ რაღამ მოაბედინაო!

ყოველივე ამას მხატვარი იოტისოდენადაც არ დაუმცირებია.

პირიქით, იმ წამებში მანამდე განუცდელი სიდიადე იგრძნო: მისი პიროვნების ღირსების დამცავ უხილავ გალავანს განგების ნებით მკვიდრი სარტყლები როგორ ემატებოდა და მაღლდებოდა!!!

თან მოულოდნელმა აღმოჩენამ უცნაური ჟრჟოლება მოჰგვარა: თვალგაშტერებით შემოჩერებული ნაცნობი და უცნობი ადამიანები უცებ ცხოვრების ბუნებრივი კიბის ისეთ ამოუხსნელ საფეხურებს დაემსგავსნენ, რომ სოფლის სანახებში მაშინ ნანახი მუხის ის დაკორძილი ძირკვები ახლა ქინძის ფესვებად წარმოუდგა!

ისედაც შებოჭილი მოსეირეები თავშეკავებული თვალდაცებით იცდიდნენ – გარიყული არაკაცი ახლა როგორ მოიქცეოდა! აქ შეუბოჭავი მხოლოდ ნაირ-ნაირი სიგარეტის ბოლი და სუნი იყო!

ქალბატონ ცირას ნება-სურვილის ძირს დაუშვებლობის ნიშნად მხატვარმა მგლოვიარეთა სადარბაზოს მოწამებრივი მორჩილებით დაუხარა ქედი. მერე ისევ გასწორდა, გამოსასალმებლად ახლა საგულშემატკივროდ შეკრებილებს დაუკრა თავი და უკან გამობრუნდა.

ფიქრებგაყოლილი შინ რომ შევიდა, მაშინღა ჩახვდა, გამოუსწორებელი შეცდომა მოუვიდა – ცოტა ხნით სადმე უნდა შეყოვნებულიყო!

ვახშმის გამწყობ მეუღლეს მოულოდნელობისაგან წარბები მოერკალა.

– ასე უცებ?!

– აბა, იქ ხომ არ...

– საბრალო ბავშვი!.. ცირამ... ცირა როგორ შეგხვდა?

– ეჰ, როგორ შემხვდებოდა! როგორც კი... – უნდილად მიუგო მხატვარმა, თუმც რაღაც ლუგუმი სათქმელი ენის წვერზელა დაიჭირა და საუბარი სხვა არხში გადააგდო, – წელან სულ დამავიწყდა, გამეფრთხილებინე... სამხატვრო გალერეადან ზარს ველოდები! ხომ არავის...

– არა, არა!.. ვინმეს რომ დაერეკა, აგერ, აქ მიდევს და!.. კაცო, ნუთუ ვერ ხვდები, მობილური ტელეფონი შენც რომ გჭირდება!.. ჰოდა, იქნებ... სხვაც არა იყოს რა, ქვეყანამ რატო...

ქალი ახლაც ჩვეულად მიხვდა – ქმარი ყურადღებით კი

შემოჰყურებდა, მაგრამ ფიქრით ძალიან შორს, ვინ იცის, სად იყო! ამიტომ თავი ანება და ისევ წვნიანის ქვაბს მიუტრიალდა.

კაცი ტანსაცმლის გამოსაცვლელად გავიდა.

* * *

მეორე დღეს მხატვარი აკადემიიდან რომ დაბრუნდა, სამსახურიდან ცოტა ადრე მოსული, სავარძელში დასჯილივით განმარტოებული მეუღლე ნამტირალევი ეჩვენა. როგორც კი ქმარს თვალი ჰკიდა, ავაზასავით წამოუხტა და მიუტირა.

– რა ხარ ამისთანა, რა, რა, რა?

– რა იყო, ქალო?! – ყასიდად მაინც იკითხა მხატვარმა, თუმც მისახვედრს მაშინვე მიუხვდა.

– რა იყო და, ჩვენი ოჯახის უბედურების ამბებს სულ სხვებისაგან როგორ უნდა ვიგებდე?!. არ იტყვიან: ეს კაცი ცოლს ძაღლადაც არ აგ... რატო არ მითხარი, გუშინ ბავშვის სანახავად რომ არც კი შეგიშვეს და...

– არ მინდოდა, შენთვის გუნება გამეფუჭებინა!

– ახლა უარესი არ მემართება?!. როგორ, ეს მაინც არ უნდა მცოდნოდა?!

– აჰა, ახლა ხომ იცი!.. აბა, შენ რაღას შეცვლი?!

ქალი აღარ შეჰკამათებია. ქმრის გულმკერდზე ახუტებული, თან მწარედ ჩაიტიროდა.

– ასე რატომ გიშვრებიან, რატომ?!

– ასი, დამიჯერე – ასე შენ უარესს მიშვრები!

ქალმა უფრო უმატა სლუკუნს.

– ნეტავი ის მაინც ვიცოდე, ვის რას უშავებ, შე საწყალო!

მეუღლის ალალგულად წამონაცდენმა მხატვარს სახე გაუცისკროვნა და ახუტებული ქალი ლოჯიის ღია სარკმელთან ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანა.

– ვინა, მე ვარ საწყალი?! – ჩაცინებული მხატვარი ცოლს ისე აულაპარაკდა, თითქოს პირველად ახლა ხედავსო, – საწყალი კი არა, ჩემზე ბედნიერი არავინა მგონია – რაც მიყვარს, იმას ვემსახურები და ჩემს გულს არასოდეს გაჰკარებია შური და მტრობა, როგორც, აგერ, იმ ფიჭვების კენწეროებს!

ქალს უმალ გამოუკეთდა გუნება.

– ახლა გამოიცვალე და მერე ვივახშმოთ!

– მე ჯერ შხაპი უნდა გადავივლო... ბარემ შენც გადაგევლო! ქალი ისე აემრიზა, როგორც ოდესღაც, როცა...

– გმადლობ... მე არა მჭირდება!

– როგორ არა გჭირდება – სამზარეულოს სუნით...

– ოჰ, დამანებე თავი!.. შენ თუ გინდა, შედი და ეგე, იბანავე!

– არც შენ მოგივა მეტი! მაგ სამზარეულოს სუნიანს...

– უიმე!.. მიდი... მოვალ!

კაცი გავიდა. წამოტკრეცილმა ქალმა სამკარიანი კარადა გამოაღო.

* * *

გიოს შავხელთათმანიანი ხელი თავიდან ყველას ზარავდა, მაგრამ თანდათან თვალი შეაჩვიეს.

მხატვარი სულ იმის ცდაში იყო, ბავშვს სადმე ისე გადაჰყროდა და ორიოდე გამამხნევებელი სიტყვა ეთქვა, ეს ბუნებრივად გამოსვლოდა. მაგრამ აშკარად ჩანდა, გამჭორავების ჭაჭამაქით ტვინგადაბრუნებული გიო განზრახ გაურბოდა, როგორც თავის „კვიმატ დამთარსავს“ .

პირველი და მეორე სადარბაზოს გოგო-ბიჭებმა უფროსების გავლენით მხატვარს თავიანთებური სასჯელი გამოუგონეს. მოულოდნელად საცა უნდა წასწყვეტებოდნენ, უცებ საშინლად აწივლ-აკივლდებოდნენ და სხვადასხვა მხარეს ისეთ ფხაჭას მოადენდნენ ხოლმე, თითქოს ეს კაცი გიჟია და თუ მაშინვე არ გავასწარით, სულყველას დაგვხოცავსო!

ამის შემსწრე გაოგნებული უცნობები შედგომით აკვირდებოდნენ როგორც კისრისტეხით გამფრთხალ გოგო-ბიჭებს, ისე თავისთვის მიმავალ შეუკრთომელ ინტელიგენტურ მამაკაცს და ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა!

– რა იქნებოდა, ეს მაინც შენგან გამეგო, – მხატვარს უკვე თავშეკავებით უსაყვედურა მეუღლემ, – რატო არ მითხარი?

– კი მაგრამ, ამის ცოდნა ან შენ რას მოგიტანდა, ან მე რას მიშველიდი?!

– აბა, ასე როდემდე გაუძლებ?

– აქ გასაძლები არაფერია – მალე მობეზრდებათ და თავისით გაჩერდებიან!

– შენ ასე გგონია?

– მგონია კი არა, ასე იქნება!

მართლა ასეც მოხდა! მაგრამ თვალმოსახვედრ ადგილებში ახლა ცარცით წანაწერები გაჩნდა – **„ნაგვის მხატვარი“**. ამან მარტო კორპუსში კი არა, მთელ უბანში გამოიწვია მითქმა-მოთქმა. თუმც ესეც მალე მობეზრდათ – ახალ-ახალი წარწერებისთვის თავს აღარავინ იტკიებდა, ძველი კი თანდათან გადავიდა...

მხოლოდ ცხოვრება მიტბორავდა დაუძინებლივ და ვინმესთან წვრილმან-მსხვილმანების შეუთანხმებლად!..

კაპიას ხუთი წელი მიუსაჯეს... მავრამ პოლიციის რაიგანყოფილებაში ერთ-ერთ დამლაგებლად დაიწყო მუშაობა... „ჩაცმულმა მაკამ“ გასაოცარი ფხიანობა გამოიჩინა – გამგეობის თავმჯდომარეს საჭირო თანხები გამოაყოფინა კორპუსის „დამპალი“ წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაცვლელად და ეზო-ყურე სულ ათხარ-დათხარეს...

ნაგიორგობევს სოსოს ისევ აეწყვიტა: თავისი „ტრუსიკის ძმაკაცებთან“ ერთად ბათუმში ვიღაც ამერიკელი ჯაზმენის გალა-კონცერტზე წასულიყო და მერე ახალგაცნობილ რუსის ტურისტ ქალებთან თურმე მთელი კვირა იქვე „გრიმიტობდნენ!“.

ვარასა და მარეხის თანდასწრებით მზიას მშობლები უკვე მოურიდებლად ეხვეწებოდნენ – ამდენ სიმწარეს, ადექი და ბავშვიანად ისევ ჩვენსა გადმოდიო! მზია კი ფიცილით ენას ითხელებდა – თავცოცხალი **იქ** ვერ დავბრუნდები, რაც მიწერია, **აქ** უნდა გადამხდესო!.. ამასობაში მარეხმა მხატვარი საბოლოოდ მოიძულა – რატო არა მხატავს, თანაც ტიტველასო! სოსო კი იმუქრებოდა – დაგხატავს და მაშინვე დავხევო!.. ვარა და ასმათიც ერთმანეთთან ძაღლკატურად იყვნენ – ასმათს სიცოცხლე უმწარდებოდა, მძახალი პატარა ლევანს სასტიკად რომ ექცეოდა, ვარას კი ბოლმა აღრჩობდა – ბავშვს ჩვენა ვზრდით, ეს ძაღლის ლეკვი კი სულ ასმათი ბებიის ხსენებაშიაო!..

მეზობელ კორპუსებში ვიღაც გაჭირვებულებმა ბინები უცხოელ სტუდენტებს მიაქირავეს და ახლა აქ იმოდენა ინდოელები

ირეოდნენ, თბილისის ეს კვარტალი ბომბეის გარეუბანს ჰგავდა!..

დაფხავებულ სანადიმო ფაცხის აღსადგენად „პურიმჭამელმა“ კაცებმა რაკი წნელი ვერსად გააიმასქნეს, რბილი მავთულითა და სანაგვედან მოთრეული ლარტყებით მიჩხლართ-მოჩხლართეს... აბრეზას კარის მეზობელს, ელიავას ბაზრობაზე კარბიდით მოვაჭრე პავლეს აბრეზასთან რაღაც სანაძლეო წაეგო და პირობა კაცურად შეასრულა – დუშეთში ნაყიდი ბოჩოლა დაკლეს და იმ თავიანთ ფაცხაში სამი დღე-ღამე რჯულზე იქეიფეს!..

ქსენია კი ყველას, ვინც სანდოდ მიაჩნდა, სიფრთხილით შესჩურჩულებდა: გაფენილი სარეცხიდან ჩამოვარდნილი ჩემი შალის კაბა ტურფას აეღო, მაგრამ აღარ გამომიჩინა – ფოფოლამ მითხრა, სოფელში თავის დას წაუღებდაო!..

შავი ზღვის ქვეყნების მხატვართა სტამბოლის გამოფენაზე თბილისელი მხატვრის ნახატი **„თბილისის ჩვეულებრივი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზო 2017 წელს“** პირველი პრიზით – დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ნახატი ინტერნეტით მაშინვე მთელ მსოფლიოში გავრცელდა და გახმაურდა. ყველგან ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მასზე ასახული იყო საყოველთაოდ საცნაური მოვლენა!!!

ბილბორდის სახით იგი ერთმანეთის მიყოლებით ბევრი ქალაქის ქუჩა-მოედნებზეც გამოფინეს, როგორც ფაქიზი მხატვრული ენით ეკოლოგიური გაფრთხილება!..

თბილისის ცენტრალურ მოედნებზეც აპირებდნენ მის დადგმას, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრეს...

განზომილებათა ქარიშხალი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის, ბიზანტიოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დოცენტს, არმაზ თართულაძეს 2015 წლის 10 ივლისს ერთ-ერთი მივარდნილი რაიცენტრიდან ძველისძველმა თანამშრომლებმა სამწუხარო ამბავი აცნობეს: ნასყიდა ჭიღიტაშვილს მეუღლე გარდაეცვალა, კვირას, 12 ივლისს ვასაფლავებთ და იქნებ ახლა მაინც გვეჩვენოო.

საწერ მაგიდას შენაწილებულ არმაზს უნებლიე სიხარულის შენავარდებამ გული მტარვალურად შეუთახთახა! თავისი სადოქტორო ნაშრომი – ოვიდიუსის „ტრფობანი" გვერდზე მიაცურა, მობილური ტელეფონი ზედ შეუგრძნობლად დაასვენა და მსუსხავ მოგონებებს შეება...

* * *

ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ასპირანტი გახდა და „პატარა" პროტექციით განათლების სამინისტროში მეთოდისტად აიყვანეს. ასპირანტურას რომ ამთავრებდა, სწორედ მაშინ, 1983 წელს, N რაიონის საშუალო სკოლებში **„სასწავლო საგანთა სწავლების მეთოდიკაში დაშვებული სერიოზული ხარვეზების აღმოსაფხვრელად"** იქ სამინისტროს ერთ-ერთი კონსულტანტის მივლინება გახდა აუცილებელი. მაგრამ ყველამ ინტელიგენტუნას გაუბედაობა გამოამჟღავნა – არავის სურდა ორიოდე წლით თბილისს მოწყვეტა!

ვითომ ერთგული და საქმისათვის თავგადადებული ხელქვეითებით იმედგაცრუებული მინისტრის უფრო მეტი კეთილგანწყობა რომ მოეპოვებინა, ყველას გასაკვირად არმაზი – ეს ძირძველი თბილისელი – თავისი სურვილით დაჰყაბულდა, მე წავალო! თან მომავალი მეცნიერის საცდურმაც აიტანა: ხელისუფლებისთვის მიუღებელი ეროტიკული „სატრფიალო ელეგიების" შეთხზვისთვის იმპერატორ ავგუსტუსის მიერ შერისხული და რომიდან შორეულ დასახლება ტომისში (რუმინეთის დღევანდელი პატარა ქალაქ კონსტანცას მახლობლად) სამუდამოდ გადასახლებული თავისი საყვარელი პოეტის, **ოვიდიუსის** (ძვ.წ. 43, სულმო – ახ. წ.

17, ტომისი) მწარე ხვედრი რომანტიკული ელფერით მაინც გაეზიარებინა! ოღონდ ერთი პირობით: რაიონის განათლების განყოფილების გამგეს, მასზე ხუთიოდე წლით უფროსს, ნასყიდა ჭილიტაშვილს ღირსება რომ არ შელახვოდა, მას კი არ ჩაანაცვლებდა, როგორც ეს თავიდანვე იყო გადაწყვეტილი, არამედ იქაც მეთოდისტ-კონსულტანტის პოსტსა და ხელფასს დასჯერდებოდა.

არმაზის ამგვარი კეთილშობილება ჯეროვნად დაფასდა გაურკვეველი მოლოდინით განაბულ რაიონში: რაიაღმასკომმა კირქვების კარიერების სამმართველოს მუშათა ხის საერთო საცხოვრებელში მაშინვე გამოუნახა ცალსარკმლიანი ოთახი, ხოლო ნასყიდამ და მისმა მეუღლემ, ქ-მა ანიკომ ღვიძლი ნათესავივით შეიტკბეს!

იმავე შემოდგომით, მაჭრობისას, ბიუროკრატიული ზარზეიმით გახსნეს რაიცენტრის განაპირა უბანში ბულგარელების მიერ აშენებული და აღჭურვილი ორსართულიანი პურსაცხობი. ტურნიკეტიანი დაბალი კედელი მთელ რაიონში ირჩეოდა: აგურის ქონგურებს ერთმანეთთან გრძელ-გრძელი შავპრიალა რიყის ქვის ყირაწყობა აკავშირებდა!.. მზა ნაწარმს უკანა მხრიდან გაიტანდნენ, ყვავილნარებით უგემოვნოდ შეჭრელებული მოლიანი წინა ეზო კი მუდამ სამაგალითოდ მოვლილ-მორწყული ექნებოდათ!..

მკაცრად შერჩეულ აქტივისტებსაც პირველი თოვლივით უმტვერო ხალათები ჩააცმევინეს! საცხობის დირექტორი, მოსული, გრძელკბილებიანი ქალი გაფაციცებით ისმენდა ხელმძღვანელების შეკითხვებსა და შენიშვნებს. ახსნა-განმარტებებს მარილიანი ქალიშვილი, ინჟინერ-ტექნოლოგი მაისო გოგილაშვილი იძლეოდა. იგი ადგილობრივი კადრი ყოფილიყო – შარშან დაემთავრებინა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და რაიონის ხილის კონსერვების საწარმოდან ახლა აქ გადმოეყვანათ...

სტუმრები შეცბუნებით დასცქეროდნენ ერთმანეთში უხიფათოდ მბრუნავი პირჩლუნგი ფოლადის თათები რეზერვუარიდან მდოვრედ მცოცავი საფუვრისსუნიანი ცომის უწყვეტ ნაკადს ზომა-ზომა როგორ ჭრიდა, თან აგუნდავებდა კიდეც და მერე ერთმანეთის მიყოლებით აუცდენლად ისროდა ვიწრო კონვეიერზე, უხმაუროდ რომ შესრიალებდა გახურებულ ჰაერლუმელში!

ნანახით მოთვინიერებულ აქტივისტებს დირექტორი ახლა მზა პროდუქციის საამქროს დასათვალიერებლად წაუძღვა. არმაზი და ინჟინერ-ტექნოლოგი ქალიშვილი კი გვერდიგვერდ მონუსხულებივით იდგნენ და ფეხის მოცვლას ვერც ერთი მათგანი ვეღარ ახერხებდა. თან მიმზიდველი გაშტერებით დასცქეროდნენ ცომის მოგუნდავების ერთფეროვნებას.

თეთრხალათიან არმაზს ენის წვერიდან უაზროდ წამოუფრინდა.

– ეგ თათები უცებ ერთმანეთში რომ გაიხლართოს, მერე?!.

– რანაირად? – თვალების შემონათებით იკითხა ღიმილდაჩნეულმა ქალიშვილმა და თითქოს ორივემ იგრძნო – ამიერიდან მათ უერთმანეთოდ ყოფნას აზრი აღარ ექნებოდა!

– მაია... მაისო, სადა ხარ?! – ყვედრებით მოაძახა ასაკოვანი ქალისთვის შეუფერებელი სისხარტით შემოვარდნილმა დირექტორმა, არმაზს ეჭვიანი მზერა ქამანდივით ესროლა და ამრეზილობისგან გრძელი კბილები უფრო დაუგრძელდა, – მოდი, გელოდებით!..

არმაზმა ბანკეტზე გაყოლას თავი აარიდა – შეტოკებული გული მარტო ყოფნას ითხოვდა. პურსაცხობიდან ერთი ფეხით ადრე გამოსხლტა, რაისაავადმყოფოს ფეხაჩქარებით გასცდა, უნაგირა მთა მხარმარცხნივ მოიტოვა და ნაწვერალიან მინდვრებში ხეტიალისას შემოაბინდდა! წყურვილმა და გრილი სიბნელის ჩამოწოლამ მოაგონა თავისი ხის ბუდე... ნაშფოთარს ეგონა, გამოძინება ფიქრებსა და განცდებს დაულაგებდა, მაგრამ სიყვარულის უარესმა შემოგზნებამ დილით უფრო აურია თავგზა! ისიც ჯერ პურსაცხობში გამოცხადდა და ახალმოსულ ქალიშვილს პირდაპირ თავის კაბინეტში აუხსნა სიყვარული!!!

ყვავილებით მოჩითული მოლიანი ეზო რომ გადმოსერა და ისევ დაუბრუნდა ფერგონი, კინალამ შეიშალა: როგორ იქნებოდა სიყვარულის ასე სულელურად ახსნა, ჩემზე რა შთაბეჭდილება დარჩებოდაო! აქეთობას გზა უკვე გაშუალებულიც ექნებოდა, ახლა ასეთმა აზრმა უელვა: უკანვე მიტრიალებულიყო და სიყვარული სულ ახლებურად – თავისი საკადრისი „ინტერლექტუალურობით" აეხსნა!.. მაგრამ უკვე გვიანი იყო!..

თუმც „სულელურად" ახსნილმა სიყვარულმა უფრო დიდი

კოცონი აანთო – ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ!.. მაგრამ თბილისურმა მოვლენებმა მოულოდნელად სულ სხვანაირად დაიწყო განვითარება: არმაზს არაორაზროვნად აგრძნობინეს – მისი სამეცნიერო კარიერა უფრო საიმედოდ წარიმართებოდა, თუ ერთ-ერთი დიდმოხელის არცთუ ურიგო ქალიშვილს შეირთავდა!!!

საბედისწერო არჩევნის გარდაუვალობამ სასურველი სასიძო ორცეცხლშუა მოატანა. რაიონში თავისი სურვილით წამოსვლა ახლა მატრაკვეცულ ოვიდიუსობანად ეჩვენებოდა და თანდათან ზეციურ სასჯელს ემსგავსებოდა!.. თვე თვეს ტანჯვით მისდევდა, ფარ-ხმლის დაყრას კი მაინც არ აპირებდა – თავს მტკიცე პირობა დაუდო, არამც და არამც არ ეჩქარა და გულის კარნახისთვის მოთმინებით დაეცადა!..

გასათხოვარი ქალიშვილის კურდღლისებურმა სიფრთხილემ კი ვაჟის საეჭვო გასხვანაირება თავისებურად ახსნა: ალბათ, თავს მაჩვენებდა, მხოლოდ შესაცდენად ვუნდივარო და მოულოდნელად გათხოვდა – თავისივე გრძელკბილება დირექტორის ნათესავს გაჰყვა!

თავზარდაცემულ არმაზს გულში თან მაცდური შვებაც ჩაუსხივდა, მაისომ გადაუწყვეტელი არჩევნის შაკიკისგან რომ გაათავისუფლა! თუმც სიცოცხლეს უშხამავდა მთელი რაიონის საქალეთის ნაჩურჩულევი: ის (ეგ, ეს...) საწყალი არმაზი თურმე სულ ჩოქითა და ცრემლების ფრქვევით ეხვეწებოდა, მაისომ კი დაიწუნაო!..

სიყვარულმოდებულ არმაზს ვინ იცის, რამდენჯერ უოცნებია: მაისო შეერთო, სამუდამოდ აქვე დასახლებულიყო და როგორც მისი კერპი, ოვიდიუსი ტომისში, ის კიდევ სათაყვანებელ მეუღლესთან ერთად აქაურ მყუდრო სასაფლაოზე დამარხულიყო!.. მაგრამ მაისოს ამოუხსნელი ნაბიჯითა და ამგვარი გაუთავებელი ჭორებით გულნაჩხვლეტს ახლა აქ ყველაფერი შესაზრზენი ეჩვენებოდა! ერთი პირობა გადაწყვიტა, დაეკრა ფეხი და წასულიყო, მაგრამ თავისი სურვილით აღებული ვალდებულება ბოლომდე იყო მისაყვანი! თანაც ნაადრევი წასვლა გაქცევას უფრო დაემსგავსებოდა! ამიტომ მტკიცედ დაიფიცა, არაფერი დაემჩნია და დარჩენილი ოთხი თვისთვისაც თავისი საყვარე-

ლი ეპოქის – ძველი რომის სახელოვან მოღვაწეთათვის დამახასიათებელი დიდსულოვნებით გაეძლო, თუმც თითოეული დღე საუკუნედ ეჩვენებოდა!..

გამოსათხოვარი ბანკეტიც წამებად ექცა. ღვიძლი და-ძმებივით შეთვისებული კოლეგების თბილ-თბილი სიტყვები, ქება, მადლობა, გამხნევება, გამოხედვა, ფრთხილი შეხუმრება თუ მეგობრული დარიგება ახლა სიყვარულში მარცხგანცდილი ახალგაზრდა კაცისადმი შეფარულ სიბრალულად და ვალმოსახდელ თანაგრძნობად ეჩვენებოდა!..

მეორე დილით თავისი მცირე ბარგი-ბარხანა განათლების განყოფილების „ვოლგაში" რომ ჩაულაგეს და თბილისის გზას გამოუდგა, შვებით მაშინღა ამოისუნთქა და გუნებაში ჰანიბალის ფიცი დადო – აქეთ აღარასოდეს გამოეხედა!!!

* * *

არმაზი ბედისწერას აღარ შესდრკომია – თავისი კეთილმოსურნეთა მიერ ნარჩევი ქალიშვილი, ნია ქუთარელი შეუყოყმანებლად შეირთო! იგი ოქროსგულიანი მეუღლე და გემოვნებიანი დიასახლისი გამოდგა!.. ქალ-ვაჟი შეეძინათ... ორივეს სამეცნიერო კარიერა ისე წარიმართა, სამდურავი არც ერთს არ ეთქმოდა... N რაიონის განათლების განყოფილების მაშინდელი თანამშრომლები არმაზს არა და არ ივიწყებდნენ – რომელიმე მათგანს სულ უმნიშვნელო მიზეზიც რომ გასჩენოდა, უეჭველად ურეკავდნენ. თან ხვეწნითა და სამდურავით ენას ითხელებდნენ – იმისთანა რა გაწყენინეთ?!.. შეიძლება ასე მურის ჩამოსმა?!. რა იქნება, ამ ერთხელ მაინც ჩამოგვიხვიდეო!.. მაგრამ არმაზს გული არა და არ უშვრებოდა, რადგან გონებაში ასე ჩაეჭდია: რომელიმე მათგანის ჭირი თუ ლხინი მხოლოდ საბაბი იყო, სინამდვილეში კი მაისოს მიერ მოყენებული ნაჭრილობევის შემოწმება სურდათ!!!

* * *

წლები ერთმანეთის მიყოლებით შეუმჩნევლად ჩამოიძაფა. აჩიკო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე თბილისში გამართულ ხალხური ქსოვა-ქარგვის საერთაშორისო სიმპოზიუმზე შემთხ-

ვევით გაცნობილ ჩეხ ქალიშვილს სუნაღებულ ნამშევ ავაზასავით გაედევნა და ცამოწმენდილზე ქალაქ სტრაკონიცეში ამოყო ქარაფშუტა თავი! გამჭრიახი მასპინძლები მაშინვე მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე და, იცოცხლეთ, ხელად გამოუძებნეს ზედგამოჭრილი სამსახური – ავეჯის დიდი მაღაზიის მეკურტნეობა!!!

იმავე 2013 წელს ქ-ნმა ნიამაც აიხდინა თავისი დიდი ხნის ნაოცნებარი: ლათინური ენის დასახვეწად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ტურინის უნივერსიტეტში ორი წლით მიავლინა! ნიამ იმდენი მოახერხა, თან ქალიშვილიც ჩვენი უნივერსიტეტის მესამე კურსიდან იმავე ტურინის უნივერსიტეტის იტალიური ენის ფაკულტეტის პირველ კურსზე ჩაარიცხვინა! გეგმაც წინდაწინვე ჰქონდა მოხაზული: თავისი ვადის ამოწურვისთანავე თვითონ ისევ თბილისში დაბრუნდებოდა, უკვე გამოცდილებამიღებულ იზაბელას კი სწავლის დასასრულებლად ტურინში გულდანდობით დატოვებდა!

* * *

მეუღლის ხუთოთახიანი ბინის მოულოდნელ გამოყრუებას არმაზი არ უკრთებოდა. პირიქით, ცდილობდა ეს სიმარტოვე აკვიატებული თავისი ვითომ რომაული დიდსულოვნების გასაფოლადებლად გამოეყენებინა. არც ნაძალადევ თვითშთაგონებას ერიდებოდა: ამგვარი მარტომყოფობა თითქოს გადასახლებულ ოვიდიუსთან სულიერად უფრო აახლოებდა, ხან კი პირდაპირ მასთან აიგივებდა! ეს კი თავის საყვარელ პოეტზე სადოქტორო ნაშრომის დაგირგვინებას თითქოს უადვილებდა!.. მაგრამ სიმარტოვის ულმობლობამ მაინც თავისი გაიტანა და ზოგ რამეზე აზრი გამოაცვლევინა... ბოლო ხანს კი N რაიონთან დაკავშირებული მოგონებები ღამღამობით ხან თვალს აღარ ახუჭვინებდა!

გულმომბალი არმაზი მათთან ახლა კი უსიკვდილოდ ჩავიდოდა, მაგრამ იქიდან უკვე აღარავინ აღარაფრისთვის ეპატიჟებოდა! ჩანდა, იმათაც მობეზრებოდათ ამდენი უშედეგო, თავდამამცირებელი ხვეწნა-ღიჯინი და სამუდამოდ შემოსწყრნენ ან სულაც მიავიწყდათ კიდეც ვიღაც გაყოყოჩებული არმაზი თუ რამაზი!.. არც გაემტყუნებოდათ!..

არადა, ბოლო დროს ცხადად კი არა, უკვე არეულ სიზმრებშიც ელანდებოდა რიყის შავპრიალა ქვის ყირაწყობა... ყვავილნარებით დასარტყლული მოლიანი ეზო... პირველი სართულის კუთხის კაბინეტი, რომლის თაღოვანი ღია სარკმლიდან **ის** ნუგეშმწველად გადმოღიმებდა ხოლმე!..

დაუცადებელი მონატრება ისე აწამებდა, ბოლოს ესეც კი გაევლო გულში – ქურდულად მაინც ჩასულიყო! მაგრამ კარგად რომ ჩაუფიქრდა, შიშის ქარმა აიტანა: იმოდენა ნაცნობებიდან რომელიმე ან რამდენიმე მათგანი ნავსად პურსაცხობის აგურის კედელთან ატუზულს ზედ რომ წამოსწყვეტებოდა, რა უნდა ეთქვა?! ეს ხომ მაშინდელი ყველანაირი ჭორისა და ეჭვის ნაგვიანევ, თანაც ლაჩრულ აღიარებად ჩაეთვლებოდა! ასეთი რამ კი მის აჩემებულ რომაულ დიდბუნებოვნობას არ ეფარდებოდა!!! მაშ, როგორ მოქცეულიყო, როგორ?.. როგორ?.. როგორ?..

ბოლო დროს ხან შიშიც იპყრობდა: თავისივე გაუკუღმართებული წარმოსახვით ნაგვირისტალ გამოუვალ მდგომარეობას ჭკუაზე არ შეეშალა!

და აი, წელან ნასყიდას მეუღლის გარდაცვალება რომ აუწყეს, ღმერთო, შეუნდე და დაუმორჩილებელმა სიხარულმა თავისდა უნებურად გული ჩიტივით შეუფრთხიალა!..

* * *

კვირა დილას ღია ფერის მსუბუქ, ჟილეტიან შარვალ-კოსტიუმში ღელვით გამოეწყო და წასაბურავი ორასი დოლარი შიგნითა ჯიბეში საიმედოდ ჩაიღილა. მაგრამ ცოტა შეყოყმანდა, ჩაუფიქრდა და ასი დოლარი კიდევ დაამატა. მერე ავტოსადგურზე მივიდა და ცხრასაათიან მიკროავტობუსს აემგზავრა. ორი საათის შემდეგ უკვე რაიცენტრში შევიდნენ. გაღმა, კირქვების აბზინვარებული კარიერებისა და შორს, მინდვრების დასაწყისში ეულად წამოყუდებული უნაგირა მთის დანახვამ სუნთქვა შეუყენა!.. ავტოსადგურის ისევ ის მობღუნძული, მაგრამ უნგრეველი შენობა!..

გეგმა თბილისშივე ჰქონდა შედგენილი: ჯერ პურსაცხობის ცქერით მოიჯერებდა ოდესღაც დანაკოდ გულს, მერე კი... მოკლე ხიდიდან მარჯვნივ გადაუხვია, ცარიელი ქუჩით იარა, იარა

და სიკვდილამდე დამახსოვრებულ ადგილს უშეცდომოდ რომ მიადგა, იქვე გაშეშდა! აგურის გალავნის ნაკვალევიც კი აღარსად ეტყობოდა!.. ვარდისფერი კოპწია პურსაცხობიდან სახურავმოხდილი, სარკმლებამოგლეჯილი და მთლიანად გაძარცვული შიშველი კედლებიღა დარჩენილიყო! კედლების გარეპირნაკეთობაც კი სულ პირწმინდად აეყარათ და ჭადრაკულად შემხმარი ბეტონის ხსნარის უთანაბროდ მიმომტვრეული უჯრედები სენმორეული დრაკონის აქერცლილ ტანს ამსგავსებდა!..

აშარავებულ ეზოში წლების განმავლობაში ნებაზე მიშვებულ, აყვირებულ ლიხსა და ბარდნარს თითქოს ისტორიული სამართლიანობა აღედგინა: აქ ოდესღაც მხეცურად შემოჭრილი თვალხარბი ადამიანების მიერ მიტაცებული თავიანთი კუთვნილი საუფლო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით ისევ უკანვე დაებრუნებინათ!.. ივლისის მზით გაფიცხებული მაღალი, გაუვალი ბარდი და ბურახი ისეთი დაძაბული მუქარით იჯაგრებოდა, თითქოს ღმერთის საბოლოო ნიშანსღა ელოდნენ, რათა მათ მიწა-წყალზე ძალდაძალ ჩადგმული რაღაც უდღეური შენობის ნარჩენიც კიჟინიანი შეტევით გაეცამტვრებინათ და ისევ თავიანთი მწვანე მეუფება აღედგინათ!

ეტყობა, იატაკიც ყველგან აეყარათ ანდა დამცირებული სიცოცხლის ძალას თავისით ამოეხვრიტა: პირველი სართულის თვალამოთხრილ სარკმლებზე ბღუჯეულად ელაგა მიწამდე გადმოშვებული ბარდნარის სქელ-სქელი ყლორტები!.. ეს რაღა იყო: **მის** ყოფილ კაბინეტში ურჩად ამოზრდილი და მზის საძებნელად წამოსული მაღალი, მეჩხერ ტოტებგაბარჯღული ანჩხლი კუნელი გარეთ ისე გადმოფარჩხულიყო, თითქოს ერთი სული ჰქონდა, საიდანღაც გამომტყვრალ ამ ჰალსტუხიან გარინდებულ უცნობს როგორმე გადმოსწვდენოდა და მისთვის ის გაშტერებული პირისახე ჩამოეკაწრა, როგორც დაუპატიჟებელი სტუმრისა თუ არამკითხე ადვოკატისთვის!

გაარარავებული არმაზი გაუნძრევლად იდგა და მაცდური მოლოდინით მისჩერებოდა პირველი სართულის კუთხის ოთახის ოთხკუთხედად გამოთხრილ თვალს, შიგ ახლა კაპასი კუნელი რომ ჩახატულიყო. ეგონა, უნდოდა, სჯეროდა, ელოდა: ეს მოჩვენებისებური ეკლიანი კუნელი უცებ ისევ გაქრებოდა და იქიდან

გულთბილად გადმოღიმებდა... კი მაგრამ, ვინ გადმოღიმებდა: გრძელკბილებიანი დირექტორი?.. **ის?**.. ნია?.. იზაბელა?.. ოვიდიუსის პოეტური მუზა, კორინა?.. თუ სარკომისაგან ნაადრევად დასამარებული დედა?!.

ნანახ-განცდილით გაბრუებულს მოეჩვენა, თავისი წინდაუხედაობითა თუ ოვიდიუსებური ბედგანწირულობით უცებ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ განზომილებათა ქარიშხალში მოჰყვა, რაც მოსაზრებას აკარგვინებდა. ამიტომ ვეღარ გარკვეულიყო თუ უკვე აღარც აინტერესებდა, ახლა სად იმყოფებოდა: N რაიონის განაპირას, უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში, მშობლების საფლავებთან, კიკეთის სიმამრისეულ აგარაკზე, ტურინში ცოლ-შვილთან, სადღაც სტრაკონიცეში, ოვიდიუსისდროინდელ მიყრუებულ ტომისში თუ თანამედროვე კონსტანცაში?!. ან თვითონ მართლა ვინ იყო: აქ წინა კვირას მოვლენილი ხალისიანი მეთოდისტი... ასპირანტი... პირველი სიყვარულით თავტანდაკარგული ჭაბუკი... ჭკუადამჯდარი ოჯახისთავი... დოცენტი... ლექტორი... დოქტორი... ოვიდიუსის გონებაჩლუნგი მოთაყვანე... მისი საცოდავი ორეული... თუ ამ უკიდეგანო სამყაროში ეგოისტურად მოხეტიალე ერთ-ერთი უმნიშვნელო ნამცეცთაგანი?!

სასონარკვეთის ბურუსიდან თავდასაღწევად ფიქრით ისევ თავის საიმედო კერპს, ოვიდიუსს დაუტრიალდა და შეეცადა, მაშველი რგოლივით ჩასჭიდებოდა! მაგრამ ელვისებურმა მიხვედრამ ლამის გული გაუჩერა – ამწუთას ოვიდიუსისაგან ისე შორს იდგა, როგორც არასოდეს!.. გულში ახლა კი აღიარა – თავის დროზე ვერც მაისოს მოექცა ოვიდიუსისებურად!.. იგრძნო, მრავალი წლის განმავლობაში წრფელი თაყვანისცემით, ოღონდ რაღაც მომხმარებლური სიჯიუტით საკუთარ მარტივ თარგზე გამოჩორკნილი **ეს** თავისი ოვიდიუსი პრიმიტიულ ხატს წარმოადგენდა, ხოლო ჭეშმარიტი **ის** ოვიდიუსი – თავისი პოეზიითა და იმდროინდელი საზოგადოების სულისკვეთებით, მისთვის სამუდამოდ მიუწვდომელი და შეუცნობელი დარჩებოდა!..

მოეჩვენა, განსხვავებულ განზომილებათა ქარიშხალი სადაცაა ოვიდიუსზე დაწერილ თავის სადოქტორო ნაშრომიანად მოწყვეტილი შემჭკნარი ფოთოლივით სადღაც წააფარფატებდა...

* * *

ნაპარტახალ ადგილს მოშორდა და გზა ისე გულგრილად განაგრძო, თითქოს მართლა განსხვავებულ განზომილებათა ქარიშხალი აბიჯებინებს და მის ყოფაქცევაზე პასუხისმგებლობასაც ამიერიდან თვითონ კისრულობსო!.. ანდედ მიმავალმა პირველივე მრუდ ქუჩაში ჩაუხვია, მერე იქიდან ახლა ზევით აუბრუნდა და ერთ ვიწრო, ტოტებგადმოწვდილი კაკლის ხეებით სევდიანად ჩაჩრდილულ ქუჩას სასაფლაოდან მომავალი ქვრივი კაცის გამომეტყველებით დაუყვა... კანტიკუნტად შემოყრილი ადგილობრივები გვერდს ლანდებივით უვლიდნენ... წარამარა ხვდებოდა დამასევდიანებელი წარწერებით დამძიმებული რკინის ჭიშკრები: „იყიდება ბინა...“ „სასწრაფოდ იყიდება ბინა...“ „იყიდება ბინა – ფასი შეთანხმებით...“ „სასწრაფოდ... სასწრაფოდ...“

ჰმ, სადაც ამდენი ბინა ასე თათარიახნად იყიდებოდა, იქ ვიღა უნდა ყოფილიყო მყიდველი?!

გამოხუნებული ფარდებჩამოფარებული სარკმლებით დასაჭურისებული მხრებგაშლილი, ოდესღაც რიხით ანაგები აგურის ორსართულიანი სასახლეები ქუჩის ორივე მხარეს დამგლოვიარებული ჩადრიანი ქალებივით ხვდებოდნენ და აცილებდნენ... თავს ძალას ატანდა, მაგრამ ველარ იხსენებდა – ამ ქუჩაზე ოდესმე იყო თუ არა გავლილი?!. მაგრამ მაშინ აქ რისთვის, რასთან დაკავშირებით უნდა გაევლო?! თანაც...

ჭადრის ჩრდილში შეყვანილ „მერსედესს“ ზედ ბრმადმავალივით რომ წაატყდა, მაშინღა შეფხიზლდა – თურმე ისევ უკაცრიელ ავტოსადგურს მოსდგომოდა, ოღონდ სულ საპირისპირო მხრიდან!

ცხვირშემრუდებული ტაქსისტი სულთამხუთავივით ეკვეთა.

– თბილისში მოდიხართ?

– კი.

მან კარი შეუფერებელი სულწასულობით გამოუხსნა და უცნობი როგორც კი ჩაუჯდა, ტუსალივით მიუკეტა. მერე ისევ საჭეს მიუჯდა და რაღაც წვრილ სიგარეტს მოუკიდა.

არმაზის გვერდით ღრმა შავებში გამოხვეული ორი ქალი იჯდა, ეტყობა, დედა-შვილი. წინა სავარძელი ორმოციოდე წლის თავმსხვილ კაცს გამოეჭედა. ისიც იმ ნახირიდან ჩანდა, ვის

გონებაშეზღუდულობასაც მობილურმა ტელეფონმა სულ სხვანაირად ჩამოგლიჯა ნიღაბი: შინიდან, ალბათ, ოციოდე წუთის უკან გამოსული, ახლა თავის ჯალაბობას ხბოს აღტაცებით ისე ეჟიჟინებოდა, თითქოს სადაცაა, კოსმოსში უნდა გაფრენილიყო ანდა უკვე კოსმოსში დაფრინავდა! ყველაფრიდან ჩანდა – თავშესაქცევად თბილისამდე სალაყბოს არ შემოილევდა! არმაზს ეს აქედანვე უნდა გაეთვალისწინებინა და გაეძლო!.. თუმც ყურადღება ახლა სულ სხვა რამეზე გადაუვიდა – ისევ ერთ ადგილას იდგნენ!

– რატომ არ მივდივართ?

– ერთიც ავიყვანოთ და... – გაუნძრეველმა ტაქსისტმა შეპარვით წათქვა.

არმაზს შუბლი ჩაეკეცა და ის იყო, ცივად უნდა შესიტყვებოდა – კიდევ ერთი სადღა უნდა დასვათო, მაგრამ გადაიფიქრა და უფრო გონივრული გადაწყვეტილება მიიღო.

– იმ ერთისასაც მე გადავიხდი – წავიდეთ!

ტაქსისტმა სიგარეტის ნამწვავი წკიპურტით უნიროდ ისროლა და სავარძელზე შესწორდა. ავტომობილის გასაღებმა მორჩილად დაისლოკინა. „მერსედესი“ ჯერ უხმაუროდ დაგორდა, მერე კი აენთო, სვლას თანდათან უმატა და გაქროლდა.

სავარძელზე მომაკვდავივით მისვენებულ, თვალებმილულულ არმაზს ეჩვენებოდა, „მერსედესი“ თავისით კი არ მიქროდა, იმასაც განსხვავებულ განზომილებათა ქარიშხალი მიაქროლებდა...

კაცობრიობას დაპირისპირებული

ჩემი ცოდვა ისაა, რომ მქონდა თვალები.
ოვიდიუსი

როგორ ვარ?! ეჰ, აბა, როგორ ვიქნები, ჩემისთანა სათვალავში ჩაუგდებელი პიროვნება მთელ კაცობრიობას რომ დაუპირისპირდება!!!

მოიცათ, მოიცათ, ასე რატომ გაგელიმ... თუმცა მე რის დამპირისპირებელი ვიყავი – კაცობრიობა თვითონ დამიპირისპირდა! მაგრამ არც ასე გამოთქმა იქნება სწორი – კაცობრიობას მეტი საქმე არა ჰქონდა რა, ჩემისთანა უმნიშვნელო პიროვნებას დაჰპირისპირებოდა!

მე მგონია, ეს ჩვენი დაპირისპირება თავისთავად, სრულიად ბუნებრივად მოხდა, ოლონდ კაცობრიობის მიზეზით! ჩემი ბრალი კი მხოლოდ ის არის – თუკი შეიძლება ამას ბრალი ეწოდოს – რომ სხვა ყოველნაირ ტანჯვას, ჩაგვრა-შევიწროებას თუ ნივთიერ სიდუხჭირეს ხარული მოთმინებით ვუძლებ, გარდა ცინიკური დაცინვისა!

აი, რას ვერ ვპატიობ კაცობრიობას!!! ხოლო რაც პიროვნული ღირსებისა და დაკვირვების განცდა უკიდურესად გამიფხავდა, იმ თავით ამ თავამდე კაცობრიობა თავზე ბრეს დაცინვით მაყრის და მაყრის! ამიტომ ჩემი სვეკრული ყოფნა-ცხოვრება სხვა აღარაფერია, თუ არა ცერზე კვნესის ჭამა!!!

დარწმუნებული ვარ, ჩემებრ ბევრი იტანჯება, მაგრამ ხმას მაინც ვერ იღებენ. ჯერ ერთი, მხოლოდ თავს გავისასაცილოებთ და ქვეყნის, მეტადრე კი ქალების ყბაში ჩავცვივდებითო! მეორეც, თქვი, არა თქვი – სულ ერთია, ამას მაინც აღარაფერი ეშველებაო!

რა დასამალია, ეს ჯერხანად მეც უსაშველოდ მეჩვენება, მაგრამ აგერ, უკვე რამდენიმე ათწლეულია, უკვე აუტანელი ხდება კაცობრიობის მხრიდან ამდენი დაცინვა-აბუჩად აგდება და ვეღარც გულის ბუხარს ვიოკებ! თუმცა, ვინ იცის, ბევრმა იქნებ ტუჩმოპრუწვით გამქირდოს კიდეც – ოჰ, მაგასაც უპოვია რაღა, თაროზე კოვზიო!..

ჩემი სატანჯველი ნათელი რომ გავხადო, ყველაფერს მოკლედ და შეულამაზებლად აგიხსნით. ოღონდ, ღვთის გულისათვის, თავს შეურაცხყოფილად ნუ იგრძნობთ, თუკი ამგვარი გულუბრყვილო შეკითხვით დავიწყებ! მაშ, აბა, თუ სწორად მეტყვით, ათასნაირი დაწესებულების კიბეებზე, დერეფნებსა და დარბაზებში რისთვის აგებენ ნოხებსა და ნოხის ბილიკებს?!

ცხადია, თქვენს კეთილშობილურ სახეებზე უბოროტო, დაუმთავრებელი ღიმი მიმტევებლური დაცინვით გაკრთება და რამე ამდაგვარს შეუყოყმანებლად მიპასუხებთ – იქ მიმომავალმა ადამიანებმა ბოლომოულებელი ბაკიბუკით ერთმანეთს ყურები რომ არ დაუყრუონ და ტვინი არ აუბურდ-დაუბურდონო!

აგაშენათ ღმერთმა!

აბა, ახლა მარტო ზერელედ მაინც გაივარაუდეთ, ჩვენი პლანეტის გამორჩეულ დაწესებულებებში, რაიმე განსაკუთრებულ მოვლენასთან დაკავშირებით საერთაშორისო აეროპორტებსა თუ დიდი ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე ფაქიზად გაგებული ნოხ-საფენების რაოდენობა, მათი ღირებულება, მოვლა-შენახვის ხარჯები!

შთამბეჭდავი ციფრები წარმოგიდგათ, არა?!

ხედავთ, შორსგამჭვრეტელი კაცობრიობა თურმე რა გულხმიერად ზრუნავს ისედაც გატანჯული თავისი შვილების სიმშვიდის დასაცავად! მაგრამ ესეც არ იკმარა და ბოლო ხანებში მისი ანუ კაცობრიობის გამაოგნებელი წინდახედულობა უფრო შორს წავიდა: რამედ ღირებული დაწესებულების კარებმა უნაღვლელისა თუ ხეძგერიას მიზეზით ქვემეხივით რომ არ იჭექ-იქუხოს, კარს თავისივე ჩარჩოს წირთხლს, ზედა კუთხეში ისე გონებამახვილურად გამოგონებული მარტივი მექანიზმით ამაგრებენ, თვით ჯღანმანიანად გიჟმაც რომ მოიწადინოს, მაინც ვეღარ შეიჯახუნ-გაიჯახუნებს – გაღებული კარი ამ მექანიზმის წყალობით ზანტი სითანაბრით უკუმოძრაობს და დახურვითაც ხომ უჩამიჩუმოდ იხურება!!!

მაშ, მიწამდე ქედის დადრეკით როგორ არ უნდა გამოხატო აღტაცება და მადლიერება გულმოწყალე კაცობრიობისადმი, არც ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს რომ შეჰკრთომია და საჭიროდ მისაჩნევ ყველა კარს „რკინის ხელით" აიარაღებს, რათა თავისი მო-

ქალაქეები შეძლებისდაგვარად სასურველ სიწყნარეში ამყოფოს!..

უჰ, უსაშველო საშფოთავმა გონი ისე ჩამომიბინდა, უმთავრესი კიდევ მავიწყდებოდა – ფხიზელი კაცობრიობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩვენი ეპოქის უპირველეს უბედურებად წარამარა **ხმაურს** რომ გვისახელებს და მის წინააღმდეგ ყოველგვარი ღონისძიებით შეურიგებელი ბრძოლისკენ მოგვიწოდებს!

ჰმ!.. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ დაცინვაა და მეტი არაფერი!

რატომ? ო, ღმერთო, ნუთუ თქვენ თვითონ ვერ ხვდებით?!. კი მაგრამ, რაღას გვიშველის აქა-იქ მიფენილ-მოფენილი ნოხის რაღაც ფალასფულასი, კარის იკლიკანტური მექანიზმი თუ ხმაურის წინააღმდეგ გაჩაღებული თვალთმაქცური პროპაგანდა, როცა კაცობრიობამ მილიარდობით ქალი რკინის ბოხ-ვერაქუსლიანი ჩექმა-ქვემეხებითა და რკინისავე წვეტნისკარტა ფეხსაცმელ-ტყვიამფრქვევებით აღჭურვა და ყურთასმენის დამხშობი მათი გამომწვევი, განზრახ გადაჭარბებული, ჯიბრიან-ჯალათური, შეუოკებელი, გაუთავებელი და ამოუხსნელი ჭახაჭუხი, ბაკიბუკი, ბრახუნი და კაკაკუკი ჩვენი პლანეტის განწირულ მოსახლეობას ყველგან ტვინს უკეპავს და ჭკუას უშრობს!..

ამგვარი დამაყრუებელი კანონადის ჯვარედინი „ცეცხლისგან“ რეტდასხმული კაცი, მეტადრე კი შემოქმედი, მაშინვე ითიშება და ავიწყდება – წამის წინ რაზე ფიქრობდა ან რისთვის ფიქრობდა! ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან თავისი სანუკვარი საფიქრალიდან ცამოწმენდილზე სადისტურ-ჯალათურად ამოგდებულ ადამიანს ეჩვენება: დაუპატიჟებელი ხეპრე დურგლები თავში ორზომა ლურსმნებს მაჭედებენო!

ცხადია, თქვენც გექნებათ შემჩნეული ქალის წვეტნისკარტა ფეხსაცმელებისგან დაფაცხავებული ასფალტი... დაკეჭნილ-დასახიჩრებული პარკეტი... ხის კიბეების დაღრღნილი საფეხურები... დაკაწრული მარმარილოს იატაკი... გონჯად ნაკვერი რკინის საფეხურები... აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეშიღა იქნება ნებისმიერი მოქალაქის და მეტადრე შემოქმედის ფაქიზი აზროვნება... შთაგონება... იდუმალი აღმაფრენა... პიროვნული ღირსება... მოთმინება... ამ ჯოჯოხეთისაგან ხსნის უიმედო მოლოდინი!..

ოდესღაც, სტუდენტობისას, სოფლელმა ყმაწვილმა ეს პირველად რომ ვიხილე, კინაღამ შევიშალე! ჰაერგაუწმენდავ, სავსე სამკითხველოში ჯდომა არამცთუ აუტანელი, შეურაცხმყოფელიც მეჩვენა! მცივანა ბიბლიოთეკარები კი ერთ სარკმელს მაინც არ მაღებინებდნენ! მაშინ გამოწერილი წიგნი უბით შეუმჩნევლად გამოვიტანე და იქვე, უზარმაზარ, იღბლად იმ დღით ცარიელ საკონფერენციო დარბაზში შევიძურწე. ერთ-ერთ სარკმელთან სკამი მივითრიე და იატაკამდე დაშვებული მძიმე ფარდების უკან საგულდაგულოდ დავიმალე, ვინმეს შენიშვნა რომ არ მოეცა ან სამკითხველოდან გამოპარებული წიგნის გამო ალიაქოთი არ ატეხილიყო. ხელად მოვკალათდი და გატაცებით განვაგრძე ტარლეს „ნაპოლეონის" კითხვა!

მე წარმოსახვით აუსტერლიცთან ნაპოლეონის მხარეზე რომ ვიბრძოდი, მოულოდნელად აქაც ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, მეგონა, მიწა იძრა და სადაცაა, მაღალჭერიანი შემინული დარბაზი თავზე ჩამომენგრევა-მეთქი! ფარდების ვიწრო ღრიჭოდან შიშით გავიჭვრიტე და რასა ვხედავ: მოკლეკაბიანი ახალგაზრდა თანამშრომელი ქალი, რაღაც საქაღალდეები რომ მოჰქონდა, ნოხის ბილიკზე კი არა, მის გასწვრივ მოალაჯებდა და თან შიშველ პარკეტს ჩექმებს ისეთი სიმედგრით უბრახუნებდა, ალბათ, ფრიდრიხ დიდის გრენადერებსაც შეშურდებოდათ!!!

ეგეც თქვენი ნოხის ბილიკები!!!

იმ ქალს, ეტყობა, სტადიონისოდენა დარბაზში თავი მარტოკა ეგონა, ანდა, შეიძლება ეს მისთვის სულ ერთი იყო! მე კი ჩემი სამალავიდან კარგად ვხედავდი როგორც ქალის დაუოკებელ გარეგნობას, ისე მის გამომეტყველებას! მაგრამ, ჩემი აზრით, ვერც ერთი გენიოსის ყალამი ვერ შეძლებდა მისი იმჟამინდელი გამომეტყველების ზუსტად გადმოცემას! მან ჭექა-ქუხილით გალია თავისი გზა და დარბაზის ბოლოს, ერთმანეთის მიჯრით მდებარე, ერთნაირ პატარკარიან რომელიღაც კაბინეტში გაუჩინარდა!

იმ ქალის ამოუხსნელი ჟინით თავრეტდასხმული, აზრის მოკრებას ვეღარ ვახერხედი. ბოლოს მაინც შევძელი კითხვის გაგრძელება, მაგრამ, აბა, მე საიდან მეცოდინებოდ, განგებას იმ დღით ჩემი დასჯა თუ თვალახელა ექნებოდა ჩაფიქრებული!

ცოტაც და უცებ თავს წელანდელზე უფრო შეუპოვარი ბრახაბრუხი დამატყდა! კვლავ გავიჭვრიტე და სახტად დავრჩი: ერთი სნეული ქალბატონიც ნოხგარეთ მოჩერჩეტობდა და ჩანდა, მთელი თავისი დედაბრული ძალ-ღონის ნარჩენებს ძაბავდა, რაც შეიძლება, მჭექარედ რომ ებრახუნებინა! ჩექმების ქუსლებს არ იკითხავთ? სოფლის მჭედელი უროდ გამოიყენებდა!

მზეგადახრილ ქალბატონს სნეულ სახეზე ეწერა, როგორ ცდილობდა, ამ გონებამიღმური ბრახაბრუხით დამტკბარიყო, მაგრამ სიუძლურის გამო ამას ვეღარ ახერხებდა და ჩამომდნარი პირისახე სევდიანად ემანჭებოდა!..

მერე და მერე უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეული სურათები დღესაც მაწამებს და მამცირებს: ფეხშეწყობილ ქალთა მარაქა ისეთი გამომწვევი სილალით მოაბრახუნებს ხოლმე, იატაკი ირყევა და კედლები ქანაობს!..

ნეტავი ვინმე ან თვითონ ქალები მაინც თუ ახსნიან – ეს რას ნიშნავს?!.

არა, ჩვენმა თვითრჯულმა ეპოქამ ეს რა მახინჯი ტრადიცია დაგვიმკვიდრა: ცხვირმოუხოცავი გოგუცანა როგორც კი წამოჩიტდება, მოუთმენლად შედგება რკინის მაღალქუსლებიან ფეხსაცმელებზე და მერე ურა კვიცივით ყველგან აღმაშფოთებელი თავდაჯერებით დაერაკუნება! ირგვლივ მყოფებს ოღონდ ყურები კი დააცქვიტინოს და თავისკენ თუგინდ ამრეზით მოახედოს და მორჩა, მეტი აღარაფერი მიაჩნია საჭიროდ – ეს ბარბაროსული ბრახუნ-ბაკიბუკია მისი სავიზიტო ბარათი... ცხოვრების უტყუარი საგზური... თვითგამოხატვა... სასურველ საპატარძლოდ თავის მიჩნევა!

არავის ეგონოს, ქალის ფეხსაცმელების მოდაში ჩაჩრას ვაპირებდე! არამც და არამც – ეგ რა ჩემი საქმეა! მე მხოლოდ კაცობრიობის მიერ ნებაზე მიშვებულ მოდის რჯულმდებელთა გონებაშეზღუდულობა, თავგასულობა თუ ზღვარდაუდებელი ცინიზმი მტანჯავს, მთელ ქვეყნიერებას, განსაკუთრებით კი საქალეთს, როგორც მოეპრიანებათ, ისე რომ ასულელებენ!

აჰა, თქვენც დაუკვირდით: საქუსლე მასალად უმეტესწილად რაღა მაინცდამაინც მჭექარე რკინას იყენებენ, როცა სიარულისას რკინა მალევე ხურდება და გაცვეთითაც ადვილად ცვდება!

არადა ისეთ-ისეთი გამძლე, თანაც უხმაურო მასალები იქმნება! აგერ, თუნდაც პლასტმასის მილებმა სანტექნიკიდან რკინის მილები სულ გამოაძევა! თუმც ეგ რად გვინდა: ზეგამძლე რეზინით შემოსალტული შასები თუკი მრავალტონიან სამგზავრო ლაინერებს უძლებს, ნუთუ ქალის ფეხსაცმელების შედარებით უხმაურო ქუსლებადაც ვერ გამოყენებდნენ?! როგორ ვერა, მაგრამ...

ო, რა აუტანელი ხდება კაცობრიობის მიერ განწირული მსოფლიო, როცა მოდის რჯულმდებლებმა საქალეთს სატანურად ჩააგონეს: მამაკაცების ყურადღების მისაპყრობი ერთ-ერთი უპირველესი საშუალება მკვრივქუსლებიანი ფეხსაცმელების გამომწვევი ბრახუნ-ბაკუნიაო! მაგრამ მათ რაში ენაღვლებათ ან საქალეთი ანდა საკაცეთი, ოღონდაც კი მოდის ინდუსტრია ეფურჩქნებოდეთ და მათმა თავკაცებმაც სცენაზე ტვინამოცლილ კენგურუებივით იყელყელაონ – ჩვენა ვართ, რაცა ვართო!!!

არადა, ჯალათური ბრახუნ-ბაკუნი კი არა, კაბის ერთი იდუმალი შეშრიალებაც კმარა, მამრმა სმენა ლომივით რომ მოიმახვილოს და იმავწამიერად სიყვარულის ალმური შემოეკიდოს! მაგრამ რომელ შეშრიალებაზეა ლაპარაკი, როცა ქალთა უმრავლესობა ოქროსმაძიებელთა უხეშ ჯინსებში ისე კადნიერად გამოკვართულა, ყველაფერი აღმაშფოთებლად ეძერწებათ!!! თუმც ბევრ მათგანს ჯინსის კაბაც აცვია, მაგრამ ვინმეს გსმენიათ ჯინსის კაბის ამათროლებელი შეშრიალება?!. არადა, განაწამებ საკაცეთს ამდენი დაუკვირვებელი ბრახუნ-ბაკუნისაგან ყური გაეხედნა და თითები გადაეყვლიფა ჯინსის კაბებთან შეუპოვარი ძიძგილაობით...

შეუძლებელია, ეს ასე უსასრულოდ გაგრძელდეს! გაივლის დრო, ყველას თვალი აეხილება, ბევრი რამ შეიცვლება და რკინისქუსლებიან ბრახუნ-კაკუნა ფეხსაცმელებს გაოგნებული მომავალი თაობები მუზეუმებში შიშით დაათვალიერებენ, როგორც გარდასული ეპოქების მაცხოვრებელთა უმოწყალოდ წამების ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ იარაღს!..

ცხადია, მე ამას ვეღარ მოვესწრები, მაგრამ, რა ვქნა, ასე მწამს! და როცა ჩამომიკრავს აღსასრულის საათი, სწორედ ამ მტკიცე რწმენით გამოვესალმები ჩემს ძაღლუმადურ წუთისოფელს და დაპირისპირებულ კაცობრიობასაც...

კალიბრი

2000 წლის ეს ბოლო ორი დღეც თვალსა და ხელს შუა გაილეოდა და ქვეყნიერება ახალ, XXI საუკუნეში შეაბიჯებდა!!!

შეუფერებლად აფორიაქებული, ერთმანეთისადმი თითქოს საბოლოოდ გაუცხოებული ადამიანები ყველგან ბუდეაშლილი ჭიანჭველებივით ირეოდნენ – განსაკუთრებულად თუ ვერა, რამენაირად მაინც აღენიშნათ ეს ამაღელვებელი თარიღი და თავიანთი ჭია გაეხარებინათ!..

თბილისის ერთ-ერთ ხელმოკლე ოჯახში ვითარება ცოტა სხვანაირად გახლდათ!

სულ ბოლო, მერვე სართულის ოროთახიან ბინაში შუახნის ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მათი ერთადერთი ვაჟიშვილი ამ ათიოდე წლის უკან ივრისპირეთის ალესილებში ინდიელებზე კინოფილმის რაღაც ეპიზოდების გადასაღებად ჩამოსულ ჰოლივუდელებს ასტრღიალებოდა და კალიფორნიაში ამოეყო თავი!... ათასში ერთხელ, ისიც ხუთიოდე წუთით თუ დარეკავდა ხოლმე და მაშინაც არ იტყობინებოდა, იქ რისი მაქნისი იყო ან საერთოდ, რას აპირებდა!..

დამწუხრებულ მშობლებს შვილის ბედ-იღბალზე მარჩიელობა სიგიჟემდე სწყუროდა, მაგრამ ორივე გაურბოდა, რადგან ამას საჯავრელის მეტი არაფერი მოჰქონდა, დედას კი ლოყები ცრემლებით ეღარებოდა...

თვითონ ცოლ-ქმარს თბილისის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. შეყვარებითაც მაშინ შეჰყვარებოდათ ერთმანეთი და შეუღლების შემდეგ გაგებით ცხოვრობდნენ.

სასტიკი თვალახელა მოგვიანებით, განსაკუთრებით შვილის გადახვეწის შემდეგ სწვეოდათ.

– შენი გამძლე ქვაც არ იქნება! – უკვე აღარაფერს ერიდებოდა ქალი.

– ეჰ, შენც მეშჩანად ყალიბდები, თორემ... – იმედგაცრუებით პასუხობდა აუღელვებელი ქმარი, – თორემ ჩემზე ადვილი გასაძლები ვინ უნდა იყოს?!

– დედააა!..

ამგვარმა ხშირ-ხშირმა პირმთქმელობამ ბოლოს წარმოუდ-

გენელი ნაყოფი გამოიღო! თითოეული მათგანი თავს აღარ ზოგავდა, მოწინააღმდეგის ბრალდება რომ გაებათილებინა, რათა მეუღლისთვის თავისი უპირატესობა და შეუცვლელობა დაემტკიცებინა!!!

ამან ცოლ-ქმრის შერყეული ურთიერთობა ისეთ ინტელექტუალურ სიმაღლეზე ატყორცნა, ახლა ორივეს შიშიც კი იპყრობდა – რაიმე წინდაუხედაობით ან თავშეუკავებლობით ეს სასწაულებრივი ურთიერთობაც რომ გაჰფუჭებოდათ, იმის მერე რაღა იქნებოდა, ერთად როგორღა უნდა ეცხოვრათ!.. მაგრამ ჭკვანასწავლი ქალის დათმობა-მოთმინებასაც თავისი საზღვარი ჰქონდა – ბოლოს და ბოლოს ახალი ათასწლეული დგებოდა!!!

ჰოდა, დიასახლისს იმდენად საახალწლო უქონლობა არ აღელვებდა, რამდენადაც ქმრის უნაღვლელობა!

– კაცო, ჯანდაბას ჩვენი თავი, მაგრამ... – ნაშუადღევს მაინც ვერ მოუთმინა ქალმა, – ახალ წელს იქნებ ვინმემ გამოგვიაროს და რა ვქნათ, შინ რომ არაფერი გვაბადია!

– როგორ თუ არაფერი გვაბადია?! – გაიკვირვა კაცმა, – პური გვაქვს! მარილი გვაქვს!.. კარტოფილი... ლობიო... ბრინჯი... მაკარონი... ვერმიშელი!.. ხახვი... ნიორი... ძმარი... ზეთი... იმოდენა სუნელ-სანელებლები!.. კომპოტები... მურაბები... ტომატ-საწებლები... შაქარი... ყავა... ხსნადი კოფე... შენი ჩადებული მწნილები?! ჰმმმ!.. სიმინდის ფქვილი... არ დამავიწყდებს – ეთერას მოწვდილი გუდის ყველი, თხილ-კაკალი, ერბო, თაფლი, წაბლი, ვაშლი, მსხალი, ზღმარტლი, ლელვის ჩირი!.. დაიცა, კიდევ რა?! ჰეეე – „ჰერკულესი“, წიწიბურა, ბარდა, მანანის ბურღული, ფეტვის,..

– უჰ, ეგენი რა არის!!!

– აბა, მეტი რა გინდა?!. უეჭველად ბურვაკი, ინდაური ან ხბო უნდა... როგორმე ერთ ქათამსა და ცოტაოდენ საქონლის ხორცსაც ვიყიდით და ისეთი სუფრა გაიწყობა, ხონთქარმაც...

– მერე, არ შეგრცხვება?!

– ვისა, მე?! რისი ან რატომ უნდა შემრცხვეს?!. საქართველო ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეს დაამსგავსეს და ამას ყველანი გაგებით უნდა მოვეკიდოთ!

– უიმე!.. ჩვენ სხვებთან რომ გვიხდება მისვლა, წიწიბურა-მი-

წიბურათი და ფეტვის ფაფაფუფებით გვხვდებიან?! – ქალმა ტუჩები შეიბურცა, თუმც იმავწამიერად მაამებლურ მაღალფარდოვნებაზე გადავიდა, საახალწლო მსჯელობა ისევ ძველებურ კინკლაობაში რომ არ გადასვლოდათ, – თუმცა მაგას რა მნიშვნელობა აქვს, სხვები რითი გვიმასპინძლდებიან – მთავარია, შენ თვითონ რას მიირთმევ ხოლმე! შენ... შენ ხომ დიადი რასის განსახიერება ხარ და ყველასთვის სამაგალითო უნდა იყო: ციცქნა პური... ბოსტნეული... ერთი კოვზი ვინეგრეტი... ყოველგვარ ნამცხვარზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია!.. შეიძლება რაღაც ხორცის ნაჭერზეც წაგიცდეს ხელი!.. ერთი პეშვი მხალეული და ორიოდე ჭიქა ღვინო, ისიც ყლუპ-ყლუპებით! თანაც...

– აბა, რა გინდა – სუფრაზე ჩემ გარშემო ყველაფერი გადავჭამო და ზოგ-ზოგივით მეც ხორაგის გადამამუშავებელ აგრეგატს დავემსგავსო?! – პირში სწვდა კაცი და ჭერს მწუხარებით ააშტერდა, – არ მესმის, როგორ უნდა ჩაისხა ორი... ხუთი... ექვსი... შვიდი... ცხრა... თორმეტ-ცამეტი ბოთლი ღვინო!.. ეტყობა, ისე ჩავალ საფლავში, ვერ მივხვდები, – ამდენი სასმელი სად ჩასდით ან ამას ვისთვის რა სარგებელი მოაქვს!

– შენა გგონია, მე კი მომწონს, მაგრამ რას იზამ – ჩვენთან ასეა და ჰა!... ხსენებაზე – სასმელზე რა ვქნათ?

– რა უნდა ვქნათ?! – იმედიანად შეუტრიალა კაცმა, – გიგლას ჩამოტანილი ის ათლიტრიანი რქაწითელი სარდაფში ისევ ხელუხლებლად მიდგას!

უნირო ღიმი ქალმა ადვილად შეიკავა.

– მართლა რომ გამოგვიარონ, ეგ მარტო ნორას ქმარს არ ეყოფა!

კაცი ახლა კი მიხვდა, წყლის ნაყვას ვერ მორჩებოდნენ და თავი გაიფხიზლა.

– კარგი, როგორც შენ იტყვი, ისე მოვიქცეთ!.. „ჰერმესის“ დასადგმელად პანორამული ბინოკლი ხომ გამაყიდინე და ახლა რაღას მაგულებ, რა გავ...

– მე რას უნდა გაგულებდე?!. ისიც შენ თვითონ...

– ერთი ეს „პელიკანის“ ავტოკალამიღა მაქვავია და თავცოცხალი მაგას ვერ გავი... ან თუგინდ გამოვიმეტო, ვინ დაიჯერებს, შტუტგარტში ოთხას სამოცი მარკა გადავიხადე! ეს

ვინმეს რომ ვუთხრა, გიჟი ან თაღლითი ვეგონები და მაგაში დაწებებულ ათლარიანსაც არვინ შემომაძლევს!

– ვინ გეუბ...

– ათი ლარი კი არა, რომც აჩუქო, შეიძლება არც გამოგართვან! დღეს მელნით ვიღა ითხუპნება – ქვეყანა ნაირ-ნაირ პასტის კალმებზეა გადასული!.. ჰოდა, პირდაპირა თქვი, ახლა რაღა გავყიდოთ?

იდუმალებით მოცული მდუმარება ჩამოვარდა.

– არაფრის გაყიდვა არ არის საჭირო! – დამამშვიდებლად ამოთქვა ქალმა და ტუჩები უცნაურად შეუცმუკდა, რაკი სარისტიანი დიასახლისებისთვის დამახასიათებელ პატარა ფინანსური ეშმაკობისთვის ახლა კი ფარდა უნდა აეხადა, – ორივეს ხელფასიდან ცოტცოტაობით ვიზოგავდი... თან სამსახურში სარვამარტოდაც გამოგვიწერეს და...

ქალმა ქმარს გამომცდელი მზერა შეავლო.

– მე აქაურობა ცოტათი მაინც უნდა მოვაწესრიგო!.. შეგიძლია, საყიდლებზე შენ მარტოკა ნახვიდე?

– რას ჰქვია „შეგიძლია?!“ რატო არ შემიძლია!.. ოღონდ შენ სია ჩამომიწერე!

– ჩამოწერილიცა მაქვს!

ქალმა სამზარეულოდან ცელოფნის ხეშეშ პარკში ჩაკეცილი ორი ჩანთა გამოუტანა, თან სიაშიც ჩაახედა.

– აი, ყველაფერი სიის თანამიმდევრობით შეიძინე!.. რასაც ვერ შესწვდები, თავი დაანებე!.. ოღონდ... შენი ჭირიმე, შენებურად არ...

– არა, ნუ გეშინია!

– შეუვაჭრებლად ნურაფერს იყიდი!.. ჯერ მოუსმინე, სხვებს რას უფასებენ და მერე როგორ აძლევენ! თუ...

– ვიცი ვიცი!

კაცმა ფული და სია საიმედოდ შეინახა. აიღო პარკში წახვეული ჩანთები და წავიდა.

* * *

უკვე ხშირბინდი წვებოდა, კაცმა რომ მოაკაკუნა. ქალმა შუქი აანთო, კარი გამოაღო და უეცრად მოეჩვენა, ფრთები ესხმებო-

და! ქმარს ისე გასხივოსნებოდა თვალები, როგორც ოდესღაც, სიყვარულს რომ უხსნიდა!!!

კაცმა სავსე ჩანთები მოწყვეტით დააწყო, მეუღლე ნაზად ჩაიკრა გულში და ფერება დაუწყო.

– არა, ეტყობა, ეს განგების ნება იყო, თორემ!.. სულ შენი... შენ რომ არ გაგეგზავნე, ვერც... მეც შემთხვევით გავიხედე იქით და!...

ქალმა გაიბრძოლა, მეუღლეს რომ გაშვებინებოდა: ამჯერად მოფერებაზე მეტად მისი გაცისკროვნებული თვალების ცქერა უფრო სწყუროდა! და აჰა, იმდენი ქნა, მკლავებიდან გამოუძვრა!

– რა იყო, რა მოხდა?!. რამე იაფად იშოვე?!. ვინმე ჩვენიანს გადაეყარე?!. ჰა, მითხარი ჩქარა!

– ო, შენ ვერასოდეს წარმოიდგენ, რა ვიყიდე!!!

– რა?

ერთ-ერთი შეუკრავი ჩანთიდან კაცმა აჩქარებით ამოაქანა მკვრივყდიანი წიგნი „Оружие Вермахта".

ქალმა შტერად მიაცივა თვალები ფერად ყდაზე ერთმანეთის მიჯრით გამოსახულ სწორხორთუმიან ტანკებს... ჯვრებმიხატულ თვითმფრინავებს... ქვემეხებს... რკინის რაღაც ავტომობილებს... მუზარადიან ჯარისკაცებს...

კაცის ალმურიანი მზერა ხან წიგნს ეალერსებოდა, ხან – მეუღლეს.

– ცხრა ლარს ფეხი არ მოუცვალა! – ცოლს ბავშვურად უღიარა და განაჩენსაც მორჩილად შეუცადა, – ძვირია?

ქალის შეუკრთომლობა სანიმუშო იყო.

– თუკი გულით გინდოდა, ფასს რა მნიშვნელობა აქვს!

ცოლის პასუხმა კაცი მეცხრე ცაზე ააფრინა. წიგნი საძინებელში შეიტანა და უკან საეჭვო მოუთმენლობით შემობრუნდა.

სავსე ჩანთებს ქალი საქმიანად დასტრიალებდა.

– რაც მეწერა...

– იმაზე მეტიც...

– მაშინ რაღას ვუყურებთ – შევიტანოთ და ამოვალაგოთ! – აფუსფუსდა ქალი და ერთ-ერთ ჩანთას დაეწოდა, მაგრამ კაცი მაჯაში სწვდა და ჩანთამდე აღარ მიუშვა. წახრილმა ქალმა ალმაცერად ამოხედა თვალამღვრეულ მეუღლეს და გამომწვევად აემრიზა.

– ოჰ, ერთი!..

კაცი ზურგიდან მოეხვია, წელში გაასწორა და პირი საძინებლისკენ აქნევინა, თან ბიბილოსთან ჩასჩურჩულებდა.

– წამო, რაღაც უნდა გითხრა.

– რა უნდა მითხრა?

– იქ გეტყვი.

– არა, აქ მითხარი!

ზურგით ჩახუტებულ ცოლს კაცი ნაბიჯებს ისეთი მოთმინებით ადგმევინებდა, თითქოს სიარულს ახლა ასწავლისო. საძინებელში რომ შეიყვანა და ზურგს უკან კარი მიხურა, ლაფანივით მოშვებულ ქალს აღარ შესწევდა წინააღმდეგობის ძალა და სურვილი.

– უჰ, რა დროს ახლა ეს იყო!..

– მაშინ გრაფიკი შემიდგინე და მეც...

– ოჰ!..

კაცმა სავარძელზე მიკეცილი „ადიელა" აიტაცა და იატაკზე ერთი მოქნევით გააგო.

– რას შვრები? – გაშტერდა ქალი.

– მე პარკეტზე მინდა!

– შენ ხომ არ გაგიჟ...

კაცმა მეუღლე ციმციმ აიტაცა და „ადიელაზე" ზურგით გააწვინა.

– ღმერთო, – შეიჩურჩულა ქალმა, – ბალიში მაინც მომაწოდე!

– ამ დროს ხმელ პარკეტზე უფრო რბილი რა შეიძლება იყოს!

– უიმე, ისე იქცევი, თითქოს პირველად მხედავდე!

– პირველად გხედავ!.. წეღან პირველად დაგინახე!.. შენ რომ არა, მაგ წიგნს სხვა დამასწრებდა!.. თანაც ეგ ერთადერთი ეგზემპლარი ჰქონოდა!..– თავშეკავებით გმინავდა და ახლა ანთებიანივით აბუტბუტდა, – მიყვარხარ!.. ოოო!.. „Оружие Вермахта" !.. „Оружие Вермахта" !.. „Ору...

* * *

სააბაზანოში რიგრიგობით შევიდნენ და თავი რომ მოიწესრიგეს, საწოლზე თავფეხშექცევით მიწვნენ. საზურგედან გადმოცურებული პლედი ქალმა ისე გაშალა, სიგანით ორივეს გადას-

წვდენოდა... თითქოს კედლებსაც კი ჩაეთვლიმა.

– ხო არ წაგეძინა? – კარგა ხნის შემდეგ ხმა გაიღო თვალწახუჭულმა ქალმა, – არ ამოვალაგოთ?

ჩანთები სამზარეულოში გაიტანეს და საქმეს შეუდგნენ. სახედაწმენდილი ქალი ქმარს სიყვარულით მიეხმატკბილა.

– მე ხომ ვიცი, ახლა შენი სული იმ წიგნს უტრიალებს!.. წადი, ყველაფერს მე მივხედავ!

– შენ დაამთავრე?

– კი.

– ახლა მე მომისმინე! – ჩაგონებით დაიწყო კაცმა, – თვალი მაშინვე ჩავკარი – ოთხას ოთხმოცი გვერდია! მაგის წაკითხვას ორი-სამი დღე მაინც უნდა, შენ კი მარტოკას როგორ მიგატოვებ!.. ამიტომ ჩემთვის თუ მართლა კარგი გინდა, ასე შევთანხმდეთ: რაც საჭიროა, ყველაფერი გამაკეთებინე, მაგრამ თუ საჩემოც არაფერი გექნება, ფეხებში ტყუილად რომ არ გებლანდებოდე, გამიშვი და წიგნს ჩავუჯდები! როგორც კი დაგჭირდები, მაშინვე გამოდი და...

– კი, კი!

– თან ამაზეც შევთანხმდეთ: ჩემი აყენება ყოველ ათ წუთშიც რომ იყოს საჭირო, შესავლის გარეშე ორი სიტყვით მითხარი და მორჩა! გაიგე?

– გავიგე!

– იცოდე, არ ჩამამწარო წიგნიცა და დამდეგი ახალი საუკუნეც!

– მესმის!

ჩანთები ამოალაგეს და ყველაფერს თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინეს.

ქალმა ხორაგსა და სამზარეულოს ნაცადი მზერა შორსმჭვრეტელურად მიმოავლო.

– ჯერჯერობით აქ საშენო აღარაფერია!.. როგორც დამჭირდები, დაგიძახებ!

კაცი საძინებელში გავიდა, მაგიდას მიუჯდა, ფარანი აინთო და წიგნი გადაშალა.

თავგადადებულ მკითხველს ჯერ მარტო სარჩევი შეუყენებდა

სუნთქვას: პისტოლეტები... კარაბინები... ხელის ტყვიამფრქვევები... ტანკსაწინააღმდეგო მსუბუქი არტილერია... საველე არტილერია... ხელყუმბარები... საზენიტო არტილერია... ტანკები... რეაქტიული არტილერია... ჯავშანავტომობილები...

სუნთქვაშეკრულმა იგრძნო, მის ქუჩაზეც დგებოდა გაზაფხული! ბავშვობაში თავდავიწყებით უყვარდა მეორე მსოფლიო ომის შესახები წიგნების კითხვა, მაგრამ არ იცოდა, სინამდვილეში რას წარმოადგენდა იქ ამოკითხული, მხატვრულ ფილმებსა და კინოქრონიკებში თვალმოკრული ესა თუ ის იარაღი! ამიტომ ეს უცოდინარობა არასრულფასოვნების განცდით ტანჯავდა და მისი დანალექი დღემდე მოსდევდა!

ახლა კი ხელში ეჭირა ქ. მინსკის გამომცემლობის, „харвест" მიერ 1999 წელს დასტამბული წიგნი-სასწაული! ყველა იარაღი წარმოდგენილი იყო როგორც მთლიანი ფოტოთი, ისე ნაწილ-ნაწილ დაშლილი და ჭრილში! რაც მთავარია, თითოეული მათგანის სტატიას ბოლოში სრული ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების ცხრილი ახლდა!!!

თავბედდაკარგულს, აღარ ესმოდა, საიდან ან რომლით დაეწყო! თუმც ბავშვობისდროინდელი გაუხუნარი შთაბეჭდილებებიდან თავისთავად წამოუტივტივდა „ვალტერი" გერმანელ ოფიცერს „ვალტერი" ეკიდა... „ვალტერმა" სამჯერ ზედიზედ იჭექა... დაპატიმრებული შიშით მიაჩერდა „ვალტერის" შავპრიალა ლულას... ესესელმა ტუსაღს ნიკაპი „ვალტერის" ლულით აუწია... კოვპაკელ პარტიზანს ეს „ვალტერი" გერმანელ პარაშუტისტებთან შეტაკებისას ჩაენაშოვნებინა... „ვალტერი!" „ვალტერი!" ... „ვალტერი!"

წიგნის 21 გვერდზე დასურათებული „ვალტერი" თავისი მედიდური გარეგნობითა და მკაცრი მოხაზულობით შიშის მომგვრელიც იყო, მაცდურად მიმზიდველიც, ავის მომასწავებელიც!

ამ პისტოლეტზე წანაკითხს, ფილმებში ნანახსა თუ ომის ვეტერანების ალალბედურ მონათხრობს ახლა ამომწურავი სტატია აგვირგვინებდა.

გერმანელმა მეიარაღემ, გეორგ ლიუგერმა 1900 წელს საგრძნობლად გააუმჯობესა ბორხარდტის მიერ 1893 წელს შე-

ქმნილი პისტოლეტი, რომელსაც „პარაბელიუმი“ (ლათ. „ემზადე ომისათვის“) ეწოდა. პირველ მსოფლიო ომში კაიზერული გერმანიის არმია ბორხარდტ-ლიუგერის პისტოლეტით იყო შეიარაღებული. ეს პისტოლეტი 1938 წელს სრულყვეს და „ვალტერ-P-38“ -ის სახელწოდებით მისი გამალებული წარმოება დაიწყეს.

წონა უვაზნებოდ – 0.955 გრ. მთლიანი სიგრძე – 215 მმ. ლულის სიგრძე – 127 მმ. მჭიდის ტევადობა – 8 ვაზნა, დამიზნებითი სროლის მანძილი – 50 მ. კალიბ...

მოულოდნელად კარი შემოიღო.

– ხორცია დასამუშავებელი!

კაცმა წიგნში სანიშნო ჩადო, ფარანი გამორთო და მეუღლეს ფეხდაფეხ მიჰყვა.

ღორის ფელიკზე საამდღეოდ გაალმასებული სათული იდო.

– მოსახარშად დამიჭერი, – აუხსნა სახელოებაკაპიწებულმა ქალმა, თან ისპანახს რომ რეცხავდა, – ოღონდ ამ მხრიდან ჯერ ერთი ჯამფილა საბასტურმე გამოარჩიე!

კაცმა ხორცი მითითებისამებრ დაუხარისხა.

– ახლა?

– ამხელად მეტი არაფერი!

კაცმა ხელები საპნითა და თბილი წყლით დაიბანა, გულსაფარი მოიშორა და ისევ საძინებელში განმარტოვდა. „ვალტერს“ თავიდან უნდა ჩაჰკირკიტებოდა, მაგრამ უეცარმა გახსენებამ გული აუფრიალა – მთელ მსოფლიოში განთქმული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, ჩვენში შეცდომით შმაისერის ავტომატს რომ ეძახდნენ! აი, ისიც, თავისი გაუხუნარი გარეგნობით! კალაშნიკოვის ავტომატის განიერი და თანაც კუზიანი მჭიდისაგან განსხვავებით ისევ რა შთამბეჭდავად მოქმედებდა მისი ვიწრო, სწორი მჭიდი!.. ეჰ, ჭაბუკობისას რამდენჯერ უნატრია, ამ ავტომატით სოფელს შემოჩვეული მგლების ხროვისთვის რამდენიმე ჯერი მიეშვა! რომელიმე კინოფილმით მოხიბლული კი გასროლასაც აღარ დაეძებდა – მარტო ხელი მაინც შეევლებინებინათ და კისერზე ჩამოეკიდა!...

სტატია მოკლე და ნათელი იყო. ვერმახტის შეიარაღების სამმართველოს შეკვეთით ფირმა „ერფურტერ მაშინენფაბრიკის“ მიერ 1938 წელს შექმნილი, ხოლო 1940 წელს სრულყოფილი

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „MP-40“ აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმჟამად მსოფლიოში არსებული ამ სახის იარაღთა შორის. თავისი ანალოგებისგან განსხვავებით მას არსად ერია ხის თუგინდ პაწია დეტალი – მთელი კონსტრუქცია მხოლოდ მეტალისაგან შედგებოდა! ხის ვეებერთელა კონდახს საკეცი მხარსაბჯენი ცვლიდა, ხოლო სახელური ჩვეულებრივი პისტოლეტიდან იყო გადაღებული.

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის კალიბრი – 9 მმ. წონა ვაზნების გარეშე – 4 კგ. სიგრძე – 851 მმ. სიგრძე აკეცილი მხარსაბჯენით – 635 მმ. მჭიდის ტევადობა – 32 ვაზნა. სროლის ტემპი – წუთში 500 ვაზნა, დამიზნებითი სროლის მანძილი – 200 მ.

ეს ყველაფერი რომ ამოიკითხა, მყისვე საოცარი შება იგრძნო, რადგან მაშინვე გაუქრა ამ იარაღთან დაკავშირებული ადრეული კითხვები... ზღაპრები... ტყუილ-მართალი... ლეგენდები...

მოულოდნელმა გონს მოსვლამ გუნება წაუხდინა – ამ ჯადოსნურ წიგნს მშვიდი თანამიმდევრობით კი არ ეკიდებოდა, არამედ ბავშვობისდროინდელი განცდების ალალბედური წამოგონებებით ხელმძღვანელობდა!

მაშ, ჯერ რა დროს „ვალტერი“ და სწორმჭიდიანი ავტომატი იყო ან ისინი სად გაექცეოდა, როცა... მაგრამ საკუთარ თავს ახლა მიმტევებლურად გაუღიმა, ვინაიდან უცებ ყველაფერი თავისთავად გათვალსაჩინოვდა: სარჩევის ნაიძულევი თანამიმდევრობით რომ არ დატანჯულიყო, პირველხანად სწორედ ბავშვობისდროინდელი გაუხუნარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებით უნდა მოეკლა წყურვილი!!!

ნუ გეშინია, თანამიმდევრული კითხვის დროც დაუდგებოდა! მაგრამ რა ექნა – მოულოდნელი სიხარულით თავბრუდახვეულს „ვალტერი“ და სწორმჭიდიანი ავტომატი ხელის ტყვიამფრქვევზე წინ გაახსენდა! არადა...

სარჩევში გულაფანცქალებულმა იპოვა და აი, ისიც – მილიონთათვის შეუცნობელი, ფოტოზე გამოსახული გერმანული ხელის ტყვიამფრქვევი, რომლის გამაოგნებელი, ლამის კუსტარული სისადავე მოწინააღმდეგეთა თიბვისა და სიკვდილის თესვის უნარს მოთმინებით რომ ინახავდა!

ნაალაფევი კინოქრონიკებიდან მის მგრძნობიარე ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაეჭედა სამფეხაზე ლულადაბჯენილ ტყვიამფრქვევთან მხარწახრით მიჩოქილი, თავის უღალატო ტყვიამფრქვევს შენაწილებული მუზარადიანი მეტყვიამფრქვევე, რომლის საბრძოლო დავალების პირნათლად შესრულებას ზედ მომდგარი სიკვდილიც ვერ ავიწყებდა!

მსხვილი პლანით გადაღებული კინოქრონიკის კადრების ცქერისას ო, როგორ ინუსხებოდა ტყვიამფრქვევის ლულის ნასვრეტებიანი გარსაცმით, ჭეშმარიტების საძიებლად აკაკანებულ ფლეიტას რომ ემსგავსებოდა!

* * *

მივარდნილი სოფლიდან თბილისელ ნათესავთან პირველად ჩამოსული, სამი დღის განმავლობაში რომელიღაც ფრანგული მხატვრული ფილმის ყველა სეანსზე ბილეთს ბილეთზე იღებდა, რა არის, კონოჟურნალის სახით წამძღვარებული ამ სადა, მაგრამ გამარინდებელი გერმანული სამხედრო კინოქრონიკის უტყუარი კადრებისათვის კიდევ და კიდევ რომ ეცქირა!.. ოღონდ აკვირვებდა საკავშირო ოფიციოზის სიბეცე: გერმანიის განადგურება-დაყოფის მიუხედავად, როგორ შეიძლებოდა, საბჭოთა ხალხისთვის ამგვარი ჰეროიკული კინოქრონიკის ჩვენება, რომელსაც უკუშედეგი მოჰქონდა!.. მაგრამ აჩვენებდნენ და ისიც უყურებდა!..

პირველი ნახვის შემდეგ იმ მხატვრული ფილმით აღარც დაინტერესებულა. ამიტომ კინოქრონიკა როგორც კი ჩამთავრდებოდა, კინოდარბაზიდან მაშინვე გამოდიოდა და იქვე, კინოთეატრის უსახურ, პატარა ბაღში ჰამაკივით მოქანავე მერხზე ცოცხალმკვდარივით მიგდებული, მოუთმენლად ელოდა შემდეგ სეანსს!

ყოველ მომდევნო სეანსზე კინოქრონიკის კადრებში ისეთ ახალ-ახალ რამეს აღმოაჩენდა ხოლმე, წინა სეანსისას რომ ვერ შეამჩნია ანდა თავისი გამოუცდელობით ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია! ეს კი აზროვნებაში ავარჯიშებდა და გამჭრიახობას უფხავებდა! ამიტომ ძალიან წინდახედულად უნდა მოქცეულიყო, ვინაიდან ამ გერმანულ კინოქრონიკას აქ სრულიად შემთხვევით გადააწყდა, ხოლო კინოთეატრის სქელტუჩა ადმინისტრატორი

ქალისგან შეიტყო: ორი დღის შემდეგ კინოჟურნალი შეიცვლებოდა და ღმერთმა უწყის, ახლა თბილისის რომელ კინოთეატრში გადანაწილდებოდა! შეიძლება, სულაც რაიონებში გაეგზავნათ!

– ეგ სად შემიძლია გავიგო?

– არ ვიცი! – წარბშერჭმით მიუგო თავმობეზრებულმა ადმინისტრატორმა, თან ეჭვით აათვალ-ჩაათვალიერა ეს სოფლურად ჩაცმული ჭაბუკი – ასეთი რამეები რაში აინტერესებსო?!

ერთ-ერთი სეანსის შემდეგ ბუნებრივად მიხვდა – კინოთეატრის ეს ბაღი სალოდინოდ აღარ გამოადგებოდა! კინოდარბაზის გვერდითა ორი კარი სწორედ ამ ბაღში გამოდიოდა და სეანსის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა მდოვრე ტალღა მის თვალწინ მიტბორავდა!

ო, რა დაკმაყოფილებული სახეები ჰქონდათ, გამოცვეთილი კინორეჟისორის მიერ მაყურებელთა ფართო ფენისთვის გათვლილ სიყვარულის „ამაღელვებელ" სამკუთხედსა თუ იაფფასიან მელოდრამას რომ უყურეს! არ იყო ძნელი მისახვედრი: ბნელი დარბაზიდან ისევ დღის სინათლეზე გამოსულ ბევრ მაყურებელს საკუთარი თავი ზოგიერთი კინოპერსონაჟის ადგილას ჰყავდა წარმოდგენილი! ეს განსაკუთრებით ჩაბნელებული დარბაზის ფარგლებში ნაალერსებ ქალიშვილებს ეტყობოდა!

ეს ყველაფერი კი სოფლელ ყმაწვილს ერთფეროვანი ქალაქური მასისაგან აუცხოებდა და გულში ჩასაჭდევად შთააგონებდა – არასოდეს გამხდარიყო მათი მსგავსი და მათი წევრი!

ამგვარი შეურიგებელი გაუცხოების მიზეზი უფრო სხვა რამ იყო! მაყურებელთა უმრავლესობას არ ანაღვლებდა, კინოქრონიკაზე რომ აგვიანდებოდა ანდა სულაც დააგვიანდა! ბევრი კი ადრეც იყო მოსული, მაგრამ „მოსაწყენი" კინოქრონიკის ყურებას ისევ ბაღში ბოლთის ცემა და თავის მანდილოსანთან ფლირტი ერჩია! დახუთულ დარბაზში კი ერთმანეთის დასწრებით მაშინღა შემორბოდნენ და ფაცურით ეძებდნენ თავ-თავიანთ ადგილებს, კინოქრონიკა რომ მთავრდებოდა და ის-ის იყო, კინოფილმი უნდა დაწყებულიყო!

ამნაირთა გონებამდე ვერ დადიოდა ამ კინოქრონიკის დამატყვევებელი მიმზიდველობა. ეს იქიდანაც ჩანდა, დარბაზშიც რომ მსხდარიყვნენ, კინოქრონიკას მაინც არ უყურებდნენ – ზო-

გიერთი უკვე ხვრინავდა, ბევრი კი ურთიერთალერსითა და მოსათმენი ფათურით იყო გართული!

ამის ცქერა და პატიება კი როგორ იქნებოდა!

მისთვის პირიქით – მთავარი იყო არა იმ ფრანგულ ფილმში მრავალნაცადი კინოხერხებით შეფუთული სიყვარულობანა, არამედ სასიკვდილოდ თავგადადებული ქრონისტის მიერ მაშინდელი სადა კინოაპარატის პირდაპირი მიშვერით გადაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო სიმართლე: იქ მსოფლიოს ბედ-იღბალი წყდებოდა!.. ორივე მხრიდან იმოდენა ჯარისკაცები და უდანაშაულო მოქალაქეები ბუზებივით იჟუჟებოდნენ!.. გოეთეს სამშობლო თანდათან ნანგრევებსა და ნაცარში იძირებოდა... მესამე რაიხის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ვერმახტი და ფოლკსშტურმის გამოფიტული მოხუცები თუ ჰიტლერიუგენდელი ღლაპები ცრემლის მომგვრელი თავგანწირულებით აკლავდნენ თავს აღმოსავლეთიდან მოვარდნილ ტანკების ნიაღვარს, რა არის, ომის ფორტუნა იქნებ ისევ სამშობლოს სასიკეთოდ შემოებრუნებინათ!

აგერ, ფოლკსშტურმის ერთ-ერთმა შემდრკალმა მოლაშქრემ რუსებს ზურგი უჩვენა და საბრძოლო პოზიციიდან გაიქცა! უნტერ-ოფიცერმა მაშინვე მდევრები დაადევნა და გაქცეული უკანვე მოიყვანეს! განაჩენიც უმალ გამოუტანეს – გაშტერებით მაცქერალი მოხუცების, ქალებისა და ბავშვების თვალწინ აუღელვებლად დახვრიტეს! აღარავისი ლოლიაობის წუთისოფელი აღარ ჰქონდათ – აღმოსავლეთიდან წამოსული სკვითურ-მონღოლური ურდო ბერლინს უახლოვდებოდა!!!

როგორც მთელ კინოქრონიკაში, ისე ამ სცენაშიც ყველაფერი გამაოგნებელი ბუნებრიობით აღიქმებოდა! თვით უკუქცეული ხნიერი მოლაშქრეც კი თავისებურ თაყვანისცემას იმსახურებდა, რადგან გმირული შეუკრთომლობით მოისმინა თანამოძმეთა განაჩენი და თითქოს წელან გამოჩენილი სიჯაბნის გამოსყიდვას ლამობსო, სიკვდილსაც სამაგალითო სიმშვიდით შეეგება!..

სოფლელ ყმაწვილს არ ესმოდა, რანაირად შეიძლებოდა, თბილისელი ახალგაზრდების დიდ ნაწილს ან ამ კადრებისთვის არავითარი ყურადღება არ მიექცია და ჩაბნელებული დარბაზით გულმოცემულნი, მხოლოდ ერთმანეთის ხვევნა-ალერსით ყო-

ფილიყვნენ გატაცებულნი?! ეს ხომ ირგვლივ მსხდომთა შეურაცხყოფა იყო! ამგვარი მოურიდებლობა მასზე უფრო მტკივნეულად მოქმედებდა, რადგან ჯერ გოგოსთვის არ ეკოცნა!!!

მაშ, ნუთუ კინოში ამისთვის დაიარებოდნენ?!. ნუთუ ამით გამოიხატებოდა მათი თბილისელობა?!

ერთ-ერთი სეანსისას თვალი თავისთავად აეხილა: აქ არაფერ შუაში იყო სოფლელობა თუ თბილისელობა! თვით განგებამ მიახვედრა – თავის ირგვლივ წუწკური ხვევნა-ლოკვით გართულ ამგვარ თბილისელებზე თვითონ გაცილებით მაღლა იდგა და თავი არასოდეს უნდა დაეზოგა, ეს უპირატესობა სიკვდილამდე შეენარჩუნებინა!

რა დროს ახლა ხვევნა-კოცნაობა იყო, როცა ზღაპრულად მოშრიალე კინოდანადგარი ისეთ კადრებს ამზეურებდა, შეიძლება მერე ველარასოდეს გენახა! მაგრამ გონებაშეზღუდულებს ეს ჩირადაც არ უღირდათ – მათთვის მთავარი იყო ჩაბნელებული კინოდარბაზით ობივატელური სარგებლობა, ერთფეროვანი კოცნაობა და შოკოლადის ფოლგის გაუთავებელი ჭრაჭაჭრუჭი!..

არადა, აგერ, სასიკვდილო ალყაში მომწყვდეული, მოფარფატე ლანდებს დამსგავსებული ბერლინელები როგორ უდრტვინველად იდგნენ სადღეღამისო ულუფის – ერთი თხელი ნაჭერი შავი პურის რიგში!

აქ გონებაგახსნილ მაყურებელს ეუფლებოდა არა იმდენად თვეობით ნამშევი უდანაშაულოებისადმი სიბრალული, რამდენადაც რიგის წესრიგიანობით გამოწვეული აღტაცება და მათდამი ცრემლნარევი თაყვანისცემა! არავითარი ჩოჩქოლი, ჯგლეთა, რიგის შეგნებული არევ-დარევა, რაიმე ცუღლუტობა!..

ამ კადრების პირველად მაცქერალს, კინაღამ გული შეუღონდა! სწორედ წინადღით, როგორც ამბობდნენ, კვარტალური გეგმის ამოსაწევად, უნივერმაღის უკანა ეზოში მამაკაცის ბულგარული პერანგები გამოეტანათ. ო, აღარ გაირჩეოდა ქალი და კაცი – პირდაპირ ერთმანეთზე გადადიოდნენ! ისეთი წეწვა-გლეჯვა, წაკვრა-ნატანება და წივილ-კივილი ედგათ, იქაურობას გაფრენილი ნაბიჯით გაეცალა, თუმც თვითონაც არ ესმოდა, საით მიიჩქაროდა!

ის გერმანული კინოქრონიკაც ბედისწერამ სწორედ მაშინ აპოვნინა და სეანსს აღარც აცდენდა!

* * *

კიდევ ერთმა გარემოებამ აუხილა თვალი, ამ ბაღს აღარასოდეს გაჰკარებოდა.

ბაღის ყველაზე მოფარებულ კუნჭულში, ჟასმინის ბუჩქნართან მიმჯდარი ოთხიოდე ლოთი დილიდან საღამომდე, თანაც დღეჩაუგდებლად, ცარიელ არაყს ყლურწავდა! უბნის ძველბიჭებად მოჰქონდათ თავი და აღარავის ეპუებოდნენ! დაწამლულებივით მიმოყრილებს, თქორსა თუ მზისგულზე ხან იქვე ეძინათ. ზოგიერთ მათგანს კი თავისივე ერთფეროვანი ამონარწყევი გულმკერდზე ლავასავით აშრებოდა!.. გვერდზე შემთხვევით გავლილ მოზარდებს მათი ღრენანარევი ხვრინვა აკრთობდა!.. ისინი არყის თავაწყვეტილი სმისაგან ნაადრევად ჩამობერებული ახალგაზრდები ჩანდნენ!..

ხელიდან წასულების შორიდან მაცქერალ სოფლელ ყმაწვილს პირდაპირ ეზრზინებოდა: მის ასაკში ამათაც ხომ ექნებოდათ სანუკვარი ოცნებები და მისწრაფებები! მაშ, აქამდე როგორ...

ამის ელვისებური პასუხიც, ეტყობა, თვით უზენაესმა შთააგონა და სამუდამოდ დაამახსოვრებინა. ცდუნებებით სავსე ახალგაზრდობა გარანტიას კი არა, მხოლოდ ხანმოკლე შესაძლებლობას გვთავაზობს, ღირსეულ პიროვნებად რომ ჩამოყალიბდე და მით უმეტეს, სახელოვანი გახდე! მაგრამ ეს შესაძლებლობა თუ ვერ შეამჩნიე ან დროზე ვერ გამოიყენე, თავისთავად სიახალგაზრდავე რამე ღირებულს ძალდატანებით ვერ შემოგაჩეჩებს, როგორც, აგერ, ამ უბედურებისთვის არყის მეტი ვერაფერი შეეჩეჩებინა!..

ამას რომ მიხვდა, არყის მყლაპავების საბუდარს აღარც წაჰკარებია. ყოველი სეანსისას, კინოქრონიკა როგორც კი ჩამთავრდებოდა, გარეთ ისევ მთავარი შესასვლელიდან გამოსხლტებოდა ხოლმე. შემდეგი სეანსისათვის მაშინვე ნაყიდ ბილეთსაც საგულდაგულოდ ინახავდა და კინოთეატრის მიმდებარე ქუჩებში დაჩერჩეტობდა. თან წამდაუწუმ საათზე დაიყურებოდა: სარკმლებიდან გადმომზირალი გოგონების ცქერასა და მემორიალური დაფების გატაცებით კითხვას კინოქრონიკაზე არ დაეგვიანებინა!

სეანსიდან სეანსამდე ეჩვენებოდა, ეჩვენებოდა კი არა, ჭაბუკური აღმაფრენით უკვე ასე იწამა – იმ გერმანული ხელის

ტყვიამფრქვევის კაკანისას თავისი ბედ-იღბალიც იჭედებოდა!..

* * *

განსაკუთრებით 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში ბერლინის დამცველი...

კარის უცაბედმა შემოღებამ გული შეუკრთო. ფეხაკრეფით, თუმც გაბედული გამომეტყველებით შემოსულმა მეუღლემ, ნივრის სუნი რომ შემოიყოლა, მაგიდის კიდეზე ხის სანაყელა უსიტყვოდ დაუდგა და ნაბიჯებაკრეფილი გავიდა.

კაცმა წიგნი გვერდზე გადადო და სანაყით ლოჯიაში გავიდა. ფარდაჩამოფარებული კუთხიდან მუხის დაბალი მორგვი გამოაცურა, ქვეშ თავისი ხელით შეკერილი სქელი საფენი დაუდო და ზედაც მეორე, ისეთივე თხელი საფენი დააშალა, კაკაკუკს მეზობლები რომ არ შეეწუხებინა. მერე პატარა სკამზე სახერხოდ მიუჯდა და მარილმოყრილი ნივრის ნაყვას შეუდგა... ეჩვენებოდა, ნიორს კი არა ნაყავდა, ჭაბუკობისას ნაყურებ-ნაოცნებარ გერმანულ ტყვიამფრქვევს აკაკანებდა!..

ნაყვას რომ მორჩა, მორგვი და საფენები ისევ თავის ადგილას შეინახა. მერე სანაყი სამზარეულოში გაიტანა და ოხშივარში გახვეულ, ვაზის ფოთლის მთუთქავ მეუღლეს ზურგს უკან, კარადის თაროზე შემოუდგა.

საძინებელში დაბრუნებულმა, წიგნი ისევ ხელის ტყვიამფრქვევზე გადაშალა და წელან გაწყვეტილი ფიქრის გაგრძელებას შეუდგა.

განსაკუთრებით 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში ბერლინის დამცველთა ერთ-ერთი გამორჩეული ბატალიონის...

კარი ისევ შემოიღო და სანაყმომარჯვებული ცოლი მისკენ დამიზნებით წამოვიდა.

„ვააა!.. ნეტავი რაღა ენდომება – ამწუთს იქ არა ვყავდი?!" – კაცს ლამის გული ამოხტომოდა, თუმც თავი მაშინვე მოითოკა, გამომეტყველებაზეც რომ არაფერი დასჩნეოდა.

ცრემლმოგუბებულმა ქალმა წიგნს მეტოქესავით გადახედა, მერე მეუღლეს ჩაეხუტა, ნაზად აკოცა და სანაყში ჩაახედა.

– რაც ჩვენ ერთადა ვართ, შენ ჩემთვის ნიორი ჯერ ასე არასოდეს დაგინაყავს – წყალივითაა!.. დიდი მადლობა!

ქალი ისევ გასწორდა და ქმარს ისეთი სიმკვირცხლით გაშორდა, თითქოს თავისი ჩანადენის თვითონვე ერცხვინებაო.

კაცმა შვებით ამოისუნთქა და გაწყვეტილი ფიქრის გახსენებას შეუდგა. ჰო, ისა... განსაკუთრებით 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში ბერლინის დამცველი ერთ-ერთი გამორჩეული ბატალიონის მეთაურის – საოცარია, ამდენი წლის შემდეგ მისი გვარი და წოდება თავისთავად გაახსენდა! – გენერალ ვაიდლინგის თავგანსაწირავად გამოსული მეტყვიამფრქვეები ჩარჩა მახსოვრობაში. ნანგრევთა ბორცვებიდან თუ ნახევრად ჩამოქცეული, გამჭვარტლული შენობების ფარღალალა სარკმლებიდან ლულაგამოყოფილი თითოეული ტყვიამფრქვევი გამორჩეული შეურიგებლობით კაკანებდა! სულშეგუბებულს, თავისებური მსგავსებაც თავისთავად ამოუტივტივდა – რა კოდალასავით უკაკუნებსო!!!

ტყვიამფრქვევის ფოტოს თვალი ძლივს მოსწყვიტა და სტატიის კითხვას შეუდგა. ფირმა „რაინმეტალის“ ინჟინრების მიერ 1934 წელს შექმნილი შესანიშნავი ტყვიამფრქვევი „MG-34“ 1942 წელს სრულყო ფირმა „გროსფუსის“ დოქტორმა გრუნოვმა და სერიულ წარმოებას გადაეცა კიდეც ახალი ტყვიამფრქვევი „MG-42“ სწორედ ამ ტყვიამფრქვევით შეიარაღეს ტანკებიც... მაღალ სამფეხაზე დამაგრებულმა, მოწინააღმდეგეთა ავიაციის წინააღმდეგაც გასაოცარი შედეგი აჩვენა... გადახურებული ლულის შეცვლა ხელთათმანებიან მეტყვიამფრქვევეს 6 წამში შეეძლო...

გრუნოვის შედევრი პირველად 1942 წელს, ფელდმარშალ ერვინ რომელის აფრიკულმა საექსპედიციო კორპუსმა გამოიყენა, მერე კი!... ყველა ქვეყნის სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, ამ სახეობაში ეს ტყვიამფრქვევი მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე საუკეთესო იყოო.

ერთი წინადადების ამოკითხვამ კინაღამ გული გაუჩერა.

„მოკავშირეთა ჯარისკაცები შორიდანაც კი ცნობდნენ გერმანული ტყვიამფრქვევის კოდალასებურ კაკუნს“

გულისცემა ისევ რომ იგრძო, თითჩატანებულ წიგნიანად წამოვარდა, მეუღლესთვის რომ ეხარებინა – თავიდანვე აი, თურმე რა მახვილი დაკვირვება მქონია!.. ეს მსგავსება ოდესღაც კინოქრონიკის ყურებისას მეც აღმოვაჩინეო! მაგრამ თა-

ვისი ფეთქებადი განაზრახი მაშინვე ჩაუკვდა – მეუღლე დაუჯერებდა?! თუმც რატომ არ უნდა დაეჯერებინა?! ანდა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, დაუჯერებდა თუ არ დაუჯერებდა – შვილგადახვეწილ ქალს რაში აინტერესებდა რაღაც რევოლვერები... კარაბინები... ტანკები... ვაზნები... ხელყუმბარები... ტყვიამფრქვევები.... ქვემეხები...

გაუნდობელი სიამაყით გულჩაკლული, ისევ დაეშვა და მტკივნეულად იგრძნო – ამ წიგნით გამოწვეული ყოველგვარი სიხარული, აღტაცება, გაკვირვება თუ გაშტერება სხვის უთანაგრძნობოდ უნდა განეცადა და გადაეხარშა!

აბურდული ფიქრები ისევ რომ დაულაგდა, ტყვიამფრქვევის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების კითხვას შეუდგა.

კალიბრი – 7,92 მმ. წონა სამფეხა სადგარით – 11,4 კგ. მთლიანი სიგრძე – 1220 მმ. ლულის სიგრძე – 670 მმ. ლენტის ტევადობა – 50 ვაზნა. სროლის ტემპი წუთში – 1200-1250 ვაზნა. დამიზნებითი სროლის მანძილი – 2000 მ. სროლის საერთო სიშორე – 3500 მ...

გულსაფრიანმა მეუღლემ კარი გაუბედავად შემოაღო და ისე მიმართა, როგორც ბავშვს, დიდი ხნით თავი რომ არ დანებდებოდა.

– არ მოგშივდა?

– მომშივდა კი არა, შიმშილითა ვკვდები! – მიაგება გამორკვეულმა კაცმა, – მაგრამ ახლა რაღა დროს ჭამაა!

– მეც საქმეს შევყევი და!.. გამო, გამო, მსუბუქად მაინც წავივახშმოთ!

ხორაგით, სავსე თუ ჯერ ცარიელი ქვავებითა და წარიგებული ჯამ-ჭურჭლით სამზარეულო ისე გადავსებულიყო, გაუფრთხილებლად აღარ გაივლებოდა... ერთმანეთში არეული ნუგბარი კერძების მიმზიდველი სუნი კაცს გონებას უბრუებდა და მადას უფრო აკარგვინებდა... გადატვირთული მაგიდის კუთხეს გვერდულად მიუსხდნენ და ნაგვიანევ ვახშამს შეუდგნენ.

ქალს ერთი სული ჰქონდა, ქმრისთვის ჩაეკაკლა, უკვე რა და რა კერძები მოამზადა და სახვალიოდ კიდევ რას აპირებდა. მაგრამ რაკი შეატყო, ფიქრები სამზარეულოდან შორს დაუქროდა, დუმილი არჩია. თუმც უცებ ახალი აზრი დაებადა – სათადარიგო

მაგიდაზე ჩამწკრივებული საწვეულო კერძებიდან რამე ხომ არ ემსუნაგებაო და კისერი წამოიგრძელა.

– იქიდან ხო არაფერი მოგაწოდო?

ქმარმა მიმიკურად ანიშნა – არაფერი მინდა, ესეც საკმარისიაო!

ძველისძველმა, მაგრამ გამძლე მაცივარმა ჭაკივით შეიფრუტუნა და ჩაჩუმდა.

ივახშმეს და სავსე მაგიდას ისეთივე სიფრთხილით მოსცილდნენ, როგორც მიუსხდნენ.

– ეს რამდენი ნაგავი დაგროვებულა! – კაცმა ახლაღა შენიშნა მოპირთავებული ვედრო და მის ირგვლივ შემოწყობილი, მონდომებით გაბანტული წვრილი პარკები, – ბარემ ჩავიტან!

– მაშინ ამ დიდ პარკში ჩაგიყრი, არ დაგეფანტოს!.. წამივლე ხელი!.. ესეც ზედ მიაყოლე – აღარ მჭირდება!

კაცმა ჩაიცვა, აიღო ნაგვით გამოტენილი პარკი და ძირს ულიფტოდ ჩავიდა. მსუბუქად ყინავდა... ქუჩაში სულიერი არ დაინახვებოდა... მასივი მთის მივარდნილი სოფელივით ჩაყრუებულიყო – სამაგიეროდ ყველა მიმდუმარებული ბინის სარკმლებიდან გამოკრთოდა მრავლისმეტყველი შუქი!..

გაჩახჩახებული ელექტრობოძის სიახლოვეს მიდგმული ნაგვის ურნა ისე გავსებულიყო, თავის პარკს ზედ საიმედოდ თუ არ გაასწორებდა, ძირს ჩამოუვარდებოდა.

უცებ გული რაღაცის პოვნის ნაცადმა განცდამ შეუტოკა! ურნისკენ წამოშვერილი ჭადრის წვრილი, გახრეკილი ტოტი რაღაცას შეემძიმებინა და ჩამოედრიკა! ტოტის ბოლოზე ფაქიზად დაკეცილი რაღაც საცმელი იყო გადაკიდებული!!!

შეეწოდა, ჩამოიღო და გულაფანცქალებით დაუწყო სინჯვა. მამაკაცის შალის უცხოური სვიტერი იყო!.. თითქმის ახალი!.. თანაც თავისი ზომის!.. საამო ოდეკოლონისსუნიანი!.. ეტყობა, ვიღაცას საახალწლოდ თავისი გარდერობის განახლება და თან ვისიმე გახარებაც მოსურვებოდა!.. თუმც, ვინ იცის, იქნებ ნამკვდრევიც იყო! „მერე რა!“ – უშიშრად გაიფიქრა და მაშინვე საბჭოთა კინოქრონიკა წამოაგონდა – სტალინგრადთან ტყვედ ჩაცვივნული გერმანელი ჯარისკაცები რაღაში არ გამოხვეულიყვნენ, თავი რომ გადაერჩინათ! „რა, ჩვენ უკეთეს დღეში გვამყ-

ოფებენ?! – სევდიანად გაევლო გუნებაში, – საქართველო ხომ ალყაში მოტანებულ ერთ დიდ სტალინგრადს დაამსგავსეს!“ ...

უნაკლოდ დაკეცილი ცელოფნის სიფრიფანა შავი პარკი – მსგავსი შემთხვევებისთვის შარვლის უკანა ჯიბით სულ მუდამ თან რომ დაჰქონდა – ამოიღო. დიდი ხნის უხმარი პარკის გვერდები ერთმანეთს ისე შესწებებოდა, ძლივს გაათავთავა. უკვე თავისი სვიტერი მზურნველობით მიკეც-მოკეცა და შიგ ჩაიდო. უხერხულობას სულაც არ განიცდიდა!.. არც საითკენმე გაუხედ-გამოუხედავს – შემთხვევით მეზობელი ან ნაცნობი ხომ არ მიყურებსო!.. განგებას ეს საახალწლო ნობათი მისთვის ჩაეფიქრებინა და იმანაც მადლიერებით მიიღო!..

რაკი სუფთა ჰაერი აღარ ეთმობოდა, თავისი ყველაზე საყვარელი სამყოფელის, გზის გადაღმა მდებარე მუხნარისკენ გასწია. დასავლეთის ქარებისაგან ცალ მხარეს გაშლით მიგროვებულ ფოთლის სქელ საბანს ფეხქვეშ ყრუ შარიშური გაუდიოდა... მუხნარში არავინ ჭაჭანებდა. ან ამ დროს იქ ვინ გამოვიდოდა!.. ავტოსტრადის ლამპიონების გამონამკრთალ შუქში მყვინთავი ცარიელი მერხები უფრო ამძაფრებდა ტყეპარკის სიობლეს... ისევ შვილის ბედ-იღბალზე საფიქრალი შემოეგზნო, მაგრამ სინამდვილე ახვედრებდა: ოკეანესგაღმა გადავარდნილ პირმშოს მშობლების გამუდმებული ფიქრი კი არა, მხოლოდ თავისი გონებაგხსნილობა უშველიდა!..

ახალნაყიდი წიგნიდან აშლილმა მძაფრმა შთაბეჭდილებებმა ისევ მეორე მსოფლიო ომის საფიქრალში გადაიტყუა. „რაღაზე გაიმარჯვებდნენ!“ – შიშმა გაჰკრა. „მაგრამ რომ გაემარჯვათ, მაშინ?!“ – ახლა ამ მაცდურმა კითხვამ დაუწყო წამება.

იგრძნო, გონებაგადაღლილი ხეირიანად ველარ აზროვნებდა და შინ წასვლა ამჯობინა...

მეუღლისთვის გული რომ არ ეტკენინებინა, სვიტერი სართულის ბაქანზე გამოტანილ თავიანთ ძველ, უბრალოდ გადარაზულ კარადაში ჩამალა. მერე, როცა დროს იპოვიდა, დამდუღრავდა, გარეცხავდა და გაამზეურებდა. ცოლს კი ეტყოდა, მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში ვიყიდეო.

ერთხელ მეუღლესაც ასე „უყიდა“ მოდურღილებიანი ჟაკეტი – საშინაოდ მაინც ჩაიცვამსო. ქალს კი ისე მოერგო და მოუხდა,

მხოლოდ საგარეოდ ხმარობდა!..

სამზარეულოში რომ შეიხედა, მეუღლე დაგანგლული ჯამ-ჭურჭლის რეცვას ამთავრებდა. გადაქანცული სახე ნაწამებს მიუგავდა. ეტყობოდა, ძილს ძლივსღა უმკლავდებოდა და უკვე ეყვინთებოდა.

– ძალიან დავიღალე... უნდა დავწვე... – ქმარს თვალების ლულვით ამოხედა, – შენ?.. ისევ წიგნს ჩაუჯდები?

– არა, რას ამბობ, ფეხზე ძლივსღა ვდგავარ – მეც უნდა დავწვე!

– მაშინ თუ შენ ამასწარი, აი, ამ ქვაბს რვა საათზე შეუნთე, იმას კი ასე, ცხრისკენ... მანამ მეც ავდგები.

– გასაგებია.

იქაურობა თავიანთებურად მიალაგ-მოალაგეს და დაწვნენ.

* * *

შუაღამე გადასული იქნებოდა, კაცი დამსიზმრებელივით რომ აბოდდა და კიდეც გამოელვიძა. მეუღლეც ხომ არ გავაღვიძეო, შიშით გაევლო და ქალის სუნთქვას კარგა ხანს უსმინა. თავი რომ დაირწმუნა, სძინავსო, ლოგინიდან უჩამიჩუმოდ გამოუძვრა და იმ სიბნელეში წარმოუდგენელი სიფრთხილით დაიძრა. სწორედ ზედმეტმა სიფრთხილემ დაღუპა – სკამი დაურახუნდა!!!

– ჯერ ოთხიც არ იქნება! – მოულოდნელად ძილნარევი ხმით გამოეძრახა მეუღლე, – ქვაბებს არ შეუნთო, კაცო!.. ან მანდეთ რა გინდა?

კაცი ქურდობაზე წასწრებულივით გაშეშდა. აღარ იცოდა, მეუღლეს როგორ გაჰპასუხებოდა.

– ა... ა... რაფერი.

– ოჰ, ნეტავი რას მიმალავ!

– აქ დასამალი რა მაქვს, – მომბალი ხმით წათქვა კაცმა და მოეჩვენა, სულიერ არსებას კი არა, სიბნელეს ელაპარაკებოდა, – პირდაპირ გასაკვირია!

– რა?

– არ ვიცი, გასაგებად ვერ ამოვიკითხე და ერთმანეთში მე თვითონ ავურიე თუ... „ვალტერის“ ვაზნის კალიბრი 9 მილიმეტრიაო, იმხელა ტყვიამფრქვევის კი – 7,92 მილიმეტრიო!.. არ მე-

სმის, რანაირად შეიძლება, პისტოლეტი ტყვიამფრქვევზე უფრო დიდი კალიბრის იყოს!.. ჰოდა, უნდა ვნახო!

– მერე, დილაზე ვერ ნახავ?

– დილამდე რა გაძლებს!

უნდო დუმილი ჩამოუვარდათ. ქალმა ხმაგამოცვლით იკითხა.

– ბრა აგინთო?

– არა, არა, სამზარეულოში გავიტან და იქა ვნახავ!

კაცმა ფათურით აიღო წიგნი და საძინებლიდან ფეხაურევლად გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემობრუნდა და ჩამთბარ მეუღლეს შეციებული შეუწვა.

ქალის თანაგრძნობიან კითხვას თითქოს ირონიული კილოც დაჰკრავდა.

– რა გაიგე?

– მართალია, „ვალტერის" პისტოლეტი ტყვიამფრქვევზე უფრო დიდკალიბრიანი ყოფილა! – ძლეულივით უღიარა კაცმა და მეუღლე ნაზად ჩაიხუტა. ოღონდ ამხელად ეფერებოდა არა როგორც ქალს, არამედ როგორც თავისი უცნაურობისა და აკვიატებების ერთადერთ მოწმესა და მომთმენს.

* * *

დილას კაცი რომ ადგა, მეუღლე უკვე სამზარეულოში დახვდა – ჭრელყვავილა ჯენჯო მოემარჯვებინა და აქაფქაფებულ ქვაბებს უტრიალებდა.

წვერი გაიპარსა და დიასახლისს შეგირდივით წარუდგა.

– საშენო კარგა ხანს არაფერი მექნება, – გადაწყვეტით მიმართა ქალმა, – შეგიძლია, გაისეირნო!

კაცი უსიტყვოდ გავიდა წინკარში და ჩაცმას შეუდგა. მეუღლემ ნაგვის პატარა პარკი გამოუტანა. კაცმა გამოართვა პარკი და ძირს ახლაც ულიფტოდ ჩავიდა.

მეზობლებიდან არავინ შეხვედრია. გარეთ ციოდა, მაგრამ არ ყინავდა. ცას ტყვიისფერი გადაჰკვროდა... ნაგვის პარკი დაცარიელებულ ურნაში ჩააგდო და მადლიერებით ახედა ჭადრის გადმოწვდილ ტოტს, წუხელ ახალივით სვიტერი კუმსი მტევანივით რომ ეკიდა!

მუხნარს სათოფეზე აუქცია გვერდი – ვაითუ რომელიმე

ალალბედა ნაცნობს თავგასართობ უაზრო მასლაათში ჩაეთრია და დროიანად ველარ გაშვებინებოდა.

მეექვსე კვარტალს გეზად წამოუარა, მოშაბმული ვრცელი ველობი გალია და უდაბურ ღელე-ღრანტობებს გადასერვით შეუდგა... ირგვლივ საოცარი სიმშვიდე იდგა... გამხმარი კენწეწურათი შემობურული კუტა ჯაგიდან უეცრად წამოფრენილი ნარჩიტა თავზევით გადაევლო და გაუჩინარდა... როგორც იქნა, ავაკდა.

ქალაქს მძიმედ შემოუბრუნდა. აქედან უფრო გამორჩევით მოჩანდა თავიანთი მასივი... მტკვრის კლაკნილობა... მშენებარე ეკლესია... სქელ ბურუსში გახვეული თბილისი... ამოღმა მოფანტულად მდებარე კოპწია ქოხმახები – აგარაკობანას განუსჯელი ნაყოფი!.. ძმურად ხელგადახვეული, ჩამდუმარებული შორეული მთები...

მიდამო თითქოს ახალ ათასწლეულთან შესახვედრად გარინდულიყო!..

შვილის უეცარმა გახსენებამ გუნება ჩვეულად მოუშხამა, რადგან შეუძლებელი იყო განეჭვრიტა, გამოსატირებელი ვაჟიშვილის ბედ-უბედობას რანაირი ფიქრი მიუდგებოდა! ან აქედან მშობლების ალალბედური ფიქრიანობა იქ რას უშველიდა, თუკი შინისკენ გზას თვითონ არ გამოიკაფავდა!.. გულმა უგრძნო, მიტოვებული მეუღლეც, ალბათ, შვილზე იკურცხლებოდა!.. ან ახლა რა დროს გამოსეირნება იყო!.. ოჰ, ეს მოურეველი ჩვეულება!..

ჩამოდაღმა გვერდულად დაეშვა... ხევგადაღმა, ფერდობის შემოყოლებით ზურგჩანთიანი ჭაბუკები და ქალიშვილები გაწალიკებით მიიწევდნენ გორის თხემისკენ, თან ერთმანეთში რაღაცაზე შეხმატკბილებით კამათობდნენ... მათმა ცქერამ და წკრიალა ხმამ გუნება გამოუკეთა და უფრო მარდი ნაბიჯით გასწია შინისაკენ...

მეუღლის გამოჩენამ ქალს ნამტირალევი სახე გამოუცოცხლა.

– ეს ქვაბი სამიოდე წუთში გადმოიდუღებს და მერე ვისაუზმოთ, – ხალისიანად აულაპარაკდა, – აბა, რა ხდება გარეთ?

– ბუჩქებიდან ნარჩიტა წამომიფრინდა.

– უი!.. ეგ იქნებ კარგის ნიშანი იყოს!.. ნეტავი მეც იქა ვყოფილიყავი!

– მერე ზურგჩანთიანი ახალგაზრდები დავინახე – მშრალგორისაკენ ადიოდნენ, – აუწყა კაცმა და გულიც აუკორკოტდა, – იმათ რომ გავყურებდი, უცებ... ნეტავი ისიც იმათთან ხო არ იქნება-მეთქი! მაგრამ... გახსოვს, სამივეს როგორ გვიყვარდა იქ ასვლა და იქიდან...

– კარგი, კარგი! – წამოიჩურჩულა ქალმა და ნამტირალევი თვალები ხელახლა მოუწყლიანდა, – იქნებ წელს მაინც გადმოგვხედოს ღმერთმა!.. პატარა თუშფალანგი და სამტკიცი გადმომიღე!

ნასაუზმევს ქალმა პირველი დავალება მისცა.

– ეს მწვანილები წმინდად დამიჭერი, თან ქინძი თანაბრად შეაკეპე!

კაცმა დავალება ოთხიოდე წუთში შეუსრულა.

– ყოჩაღ, როგორც მინდოდა, სწორედ ისე დაგიჭრია! – ნასაქმარი მოუწონა მეუღლემ და ახლა მთელი ღამით წყალში ამომბალი შაშხის ნაჭერი გადმოუდო მეორე ფიცარზე, – ეს ცოტა მარილნაჭარბი იყო, მაგრამ ცივ წყალს უშველია!.. აი, ამ ზომაზე დაჭერი!

კაცმა შაშხიც უსიტყვოდ და უნაკლოდ დაამუშავა.

– ჰო, აი, ასე! – შესძახა საქმიანობით თავდავიწყებულმა ქალმა, რომლის პირ-ტუჩი ახალ-ახალ ბრძანებებს ველარ იკავებდა, – ახლა ის ბადია ჩამომიღე!.. არა, არა, ეგ არა!.. მეორე, პირდიდი!.. წელან ცომსაჭრელიც ველარსად ვიპოვე – ერთი მომიძებნე!.. ეს ტკბილ-მჟავე რომ გამოვიდეს, ერთმანეთში კარგად გალესე!.. ეგ ცხიმმოხდილი წვენი ემალ... ბოდიში!.. მინანქრის ქვაბში გადაიღე და აივანზე გაიტანე!.. მერე ამისთვის ცალკე სადღა გეძახო – რაკი აქა ხარ, ბარემ ესეც ამისვრიმე! ოღონდ მაგრა, მაგრა! ჰო, მასე!.. შენი ჭირიმე, ერთი ჩაბასტურმებული ხორციცა ნახე – არ ჩალორწოიანდეს!..

კაცს უცებ ნეტარება მოერია: რა შვების მომგვრელი იყო სხვისი ბრძანებების უსიტყვოდ და უნაკლოდ შესრულება! ღმერთმა დასწყევლოს ბრძანებების გამოგონება-გაცემა!.. ამ უთავბოლო საახალწლო სამზადისისას თავად რაიმე ბრძანებას კი არა, მეუღლეს უბრალო წინადადებასაც ვერ წამოუყენებდა, ამას რაიმე გართულება რომ არ მოჰყოლოდა! ანდა, ახლა რა ბრძანე-

ბა-წინადადებების გამოგონების დრო ჰქონდა, როცა მაგიდაზე უპატრონოდ მიტოვებულ წიგნს, ალბათ, ალმური ასდიოდა და შეიძლება აფეთქებულიყო!!!

წუხელვე გამოწლული კალმახებიც რომ გაქილა, შვებამოგვრილმა ცოლმა მოწყალედ შეჰღიმა.

– ახლა შეგიძლია წახვიდე!

კაცი საძინებელში გავიდა. ის იყო, ცხვირი წიგნის ექვსგვერდიან სარჩევში უნდა ჩაერგო, ბავშვობისდროინდელმა მოგონებამ მეხივით გამოიჭექა – „სამეფო ვეფხვი!“

კინოქრონიკებში, წიგნებსა თუ ფრონტელთა მონათხრობში რა საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ტანკი, მაგრამ დღემდე არ იცოდა, რას წარმოადგენდა! ახლა კი, აგერ, მაგიდაზე ედო!

მძიმე ტანკი „Королевский Тигр“ 1943 წელს ფირმა „პორშეს“ შეექმნა. იგი მოკავშირეთა ტანკების ნამდვილ რისხვას წარმოადგენდა: 1000 მეტრი მანძილიდან 20 სმ ფოლადის ჯავშანს მუყაოსავით ხვრეტდა, ხოლო სახელგანთქმულ საბჭოთა 46-ტონიან ტანკს, „T-34“ ერთი მოხვედრებით თოჯინასავით ამსხვრევდა!

ტანკის საბრძოლო წონა – 68 ტ. სიგრძე – 7260 მმ. სიგანე – 3760 მმ. სიმაღლე – 3080 მმ. კორპუსის შუბლის ჯავშანის სისქე – 80 მმ. კოშკურის – 100 მმ. ეკიპაჟი – 5 კაცი. შეიარაღება – ერთი 88 მმ ნახევრადავტომატური ქვემეხი და ორი 7,92 მმ ტყვიამფრქვევი. საბრძოლო კომპლექტი – 92 ჭურვი და 4800 ვაზნა. მოტორის სიმძლავრე – 700 ცხ. ძ. უმაღლესი სიჩქარე სთში – 38 კმ. სვლის ერთჯერადი მარაგი – 140 კმ...

„სამეფო ვეფხვის“ გვერდითვე იყო მსუბუქი ტანკი „პანთერა“ იგი ფირმა „MAN“ -ის პირმშო იყო და 1943 წლის 1 იანვრიდან გადაეცათ სერიული წარმოებისთვის. ეს საბრძოლო მანქანა თურმე ნახტომს წამოადგენდა გერმანულ ტანკმშენებლობაში. სპეციალისტების მიერ „პანთერა“ შეფასებულია, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე საუკეთესო გერმანული ტანკი.

საბრძოლო მასა – 43 ტ. სიგრძე – 6880 მმ. სიგანე – 3400 მმ. სიმაღლე – 2550 მმ. ეკიპაჟი – 5 კაცი. შეიარაღება – ერთი 75 მმ ქვემეხი და სამი 7,92 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი. საბრძოლო კომპლექტი – 79 ჭურვი და 4500 ვაზნა. კორპუსის შუბლის

ჯავშნის სისქე – 80 მმ. კოშკურის – 100 მმ. მოტორის სიმძლავრე – 650 ცხ. ძ. მაქსიმალური სიჩქარე სთ-ში – 46 კმ. სვლის ერთჯერადი მარაგი – 200 კმ.

„პანთერა“ „სამეფო ვეფხვზე“ უფრო მოძრავი, გამძლე და მრისხანე ყოფილიყო: კურსკთან, არდენთან და ნორმანდიაში...

სწორედ ამ დროს კარიც შემოიღო! კაცს თავით ფეხებამდე ცოფმორევის ალმურმა დაუწყო სუსხვა: ვერასოდეს წარმოიდგენდა, მეუღლეს თუ ასეთი ჯალათური გამომეტყველება ექნებოდა!

– სამიოდე წუთში ღორის ხორცი იქნება მოსაქაფავი. – თქვა ქალმა და თითქოს ქმრის განცდები ამოიკითხაო, დამნაშავესავით გაიხურა კარი.

კაცი უარესმა გაცეცხლებამ ააბურბურა – რა დროს ახლა ღორის ხორცი და მისი ქაფი იყო, როცა „სამეფო ვეფხვი“ და „პანთერა“ ლამის წიგნის ფურცლებიდან გადმოგრუხუნებულიყო და ეს უბედური მასივი ნანგრევებად ექციათ!.. მაგრამ საკუთარ თავში უმალ იპოვა ყინულის ნატეხი და გონება ისევ გაინათა: ამგვარ უაზრო შინაგან გაშმაგებას არც ეს წიგნი იმსახურებდა, არც კარს მომდგარი ახალი ათასწლეული და მით უმეტეს, არც უდანაშაულო მეუღლე – აქ ყველაფერი ერთმანეთს ბუნებრივად ენაცვლებოდა და ამას გაგებით უნდა მოჰკიდებოდა!

წიგნი დახურა და სამზარეულოში გავიდა. მეუღლემ ჯამი და ქაფქირი სარკმლის რაფაზე დაახვედრა. თვითონ რაღაცას მონდომებით თითხნიდა.

ქვაბი უკვე ნაქაფს იყენებდა. შეუპოვარი ამონადული ოქროსფერი ხორცის ნაჭრებს თანდათან შავი ქაფის მსხვილ-მსხვილი ბუშტებით ახუჭუჭებდა. მოქაფვას კი მონდომებით შეუდგა, მაგრამ შავი ჭუჭყი ვულკანის ლავასავით ამოდიოდა და ამოდიოდა!

შავ, სქელ ქაფზე სასოწარკვეთით თვალმიშტერებულს, მოულოდნელად სულ სხვანაირად გაეხსნა გონება: ვთქვათ და ეს ხორცი მწვადად შეეწვათ, მაშინ ამოდენა შავი ნაქაფი სად წავიდოდა? მაგას რაღა კითხვა უნდა – მისი დიდი ნაწილი ჩვენს სისხლძარღვებში, ღვიძლსა და თირკმელებში სამუდამოდ ჩაილექებოდა!!! მერე? რაღა მერე: მერე სტენოკარდია... მიოკარდია და ათასი კარდია!.. შემდეგ სტენდირება!.. შუნტირება!.. თირკმელ-

ებიდან ამოცლილი კენჭები, მეტეორიტის ნატეხებს რომ უფრო მოგვაგონებს!.. ხშირად კი შეუცნობელ სიცოცხლესთან ორმოც წლამდე მონური ან ვითომ დარდიმანდული გამოთხოვება!.. მაშ, ასეთი მსუნაგურ-პათეტიკური ხოტბა რატომ ესხმება მწვადს... ხინკალს... ქაბაბს...

კაცი შეურიგებლობის წყურვილმა აღაგზნო: თითქოს თავისი მოჩლუნგებული კეთილგონიერების განახლება თუ ახლებურად გამოცდა მოესურვაო, უცებ სამუდამო ზიზღი იგრძნო ყოველგვარი შემწვარ-შეხრაკულ-მოხრაკულ-ჩახრაკულ-დაბრაწულ-შებრაწული ხორცისადმი!

მაშ, ამაღლდი კუჭით მოაზროვნე ბრბოს თავდაუჭერელ ვნებებზე!.. ქუსლქვეშ მოიქციე საკუთარი სტომაქის განურჩეველი მადა და სურვილები!.. დასჯერდი ხილ-ბოსტნეულს, წვნიანს, მოხარშულს, ორიოდე პეშვ კეთილთვისებიან, მსუბუქ საზრდოს და შენი ოცნების ჭურგაუვალი უხილავი ტანკით დასახული მიზნისკენ ბოლომდე მოთმინებით იარე!.. მაგრამ რატომ არის ეს ძნელი გასაგები და მით უმეტეს, აღსასრულებელი?!.. რა გვემართება, გაშლილ სუფრას რომ დავინახავთ ხოლმე?!. საიდან იღებს სათავეს ან როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ამდენი ზღვარდაუდებელი ღორმუცელობა... კვეხნა... ბაქიაობა... ჭამა-სმაში იდიოტური ურთიერთგაჯიბრება?!.

კაცს ძვირად დაუჯდა მტანჯველ ფიქრებს გამოდევნება და წამიერი საამო გათიშვა: მოთუხთუხე ქვაბს ქაფი ჩაეტეხა და ჩაებრუნებინა კიდეც!.. ოოო, აქ სხვა გამოსავალი აღარ იყო, უნდა...

– კაცო, მაგ ხორცისთვის წყალი ხომ არ გამოგვეცვალა?

– ამწუთას მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობდი! – შვებით მიუგო ქმარმა, – დაიცა, წყალს ავადუღებ და!..

– ადუღებულიცა მაქვს – აის ლურჯი ქვაბი მდუღარეთია სავსე!.. ეგ რას ეყოფა, დიდი თუშფალანგი ჩამოიღე!.. ოღონდ ფრთხილად, ეს არ გადამიყირავო!

კაცმა გაზქურა გამორთო, თუშფალანგი წყლის ბაკანში ჩადგა და ხორცის ქვაბი შიგ წამოაპირქვავა.

– უი, სუნს აიყოლებს! – წამოიკივლა ქალმა და აოხშივრებულ ხორცს თაროდან ბაჟეთი სავსე პირვიწრო ფინჯანი მარდად მოაშორა.

ჩაბრუნებული ნაქაფი ქვაბის ფსკერს შავი ხავსივით გაჰკვროდა.

კაცმა მეუღლე ქვაბში სევდიანად ჩაახედა.

– აი!

– ჰო, ვხედავ! – სევდიანადვე უპასუხა ქალმა.

კაცმა ჯერ ქვაბი მოაკრიალა, მერე ცხელი წყლით სათითაოდ გარეცხილი ხორცის ნაჭრები შიგ წყობისად ჩაალაგა და თავიდან დაუწყო დუღება.

– გაზს სულ დაუწიე – ეგ ხარშვანაკლები უნდა გამომივიდეს! – შენიშნა ქალმა. მერე კამკამა ნახარშს ცხიმი მოსწვნია და ქვაბში რომელიღაც გამხმარი მწვანილი ჩააფქვა, – მორჩა, ახლა შეგიძლია წახვიდე!

კაცმა ისეთი შვება იგრძნო, თითქოს ოცდახუთწლიანი პატიმრობის ყავლი ამოეწურაო! გაქონილი ხელები ჯერ სარეცხის, მერე კი თხევადი საპნით დაიბანა და ისევ თავის წიგნს მიუბრუნდა. კვლავ „პანთერასა" და „სამეფო ვეფხვს" უნდა ჩაშტერებოდა, მაგრამ იმაზე მეტს რაღას შეიტყობდა, რაც სტატიებიდან უკვე ამოიკითხა! რაკი თავში ტანკები უტრიალებდა, თავისთავად გაიტაცა ზედმობმულმა ქვეთავმა – „თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები"

ამგვარ ქვემეხებზე საერთოდ არაფერი იცოდა! არადა, თურმე!.. ომის დასაწყისისათვის „დაიმლერ-ბენცის" ქარხნებში დაემზადებინათ ტანკსაწინააღმდეგო №1 ქვემეხი. მიუხედავად იმისა, იგი საკმაოდ სახიფათო ყოფილიყო მოწინააღმდეგეთა ტანკებისთვის, მისი მონაცემები მაინც ღიმილს იწვევდა შემდეგი თაობის ანალოგებთან შედარებით. წონა – 6,4 ტ. ეკიპაჟი – 3 კაცი. შეიარაღება – ერთი 47 მმ ქვემეხი. საბრძოლო კომპლექტი – 85 ჭურვი. კორპუსის შუბლის ჯავშნის სისქე – 15 მმ ანუ სანტიმეტრნახევარი!!! მოტორის სიმძლავრე – 100 ცხ.ძ.

ომის გაფართოება-გამწვავების კვალდაკვალ კი მოდიოდა და მოდიოდა ახალ-ახალი, უფრო გაუმჯობესებული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები: 225 ერთეული „მარდერ-I" (10 ტ.), 344 „მარდერ-II" (11 ტ.), 2600 „ჰეტცერი" (16 ტ.), 500 „ნახჰორნი" (24 ტ.), 930 „T-IV" (26 ტ.)...

აგერ, ტანკების მმუსრავი, 46-ტონიანი „იაგთპანთერა" (392

ცალი), რომელიც ამ კლასის ქვემეხებში ყველაზე საუკეთესოდ იყო მიჩნეული!..

კურსკთან ბრძოლისას გერმანელებმა პირველად გამოიყვანეს 65-ტონიანი გიგანტი „ელეფანტი" (ომის დამთავრებამდე 120 ასეთი ქვემეხი დაემზადებინათ)...

დასასრულ, სუპერქვემეხი „იაგტიგრი", რომლის ერთი ჭურვის მოხვედრას ვერა ტანკი ვერ უძლებდა! მეორე მსოფლიო ომის მანძილზე „იაგტიგრი" თურმე ყველაზე მძიმე თვითმავალი მანქანა (სულ 157 ერთეული) ყოფილიყო!

წონა – 70 ტ. ეკიპაჟი – 6 კაცი. შეიარაღება – ერთი 128 მმ ქვემეხი და ერთი 7,92 მმ ტყვიამფრქვევი. საბრძოლო კომპლექტი – 40 ჭურვი და 1500 ვაზნა. კორპუსის ჯავშნის სისქე – 25 სმ. მოტორის სიმძლავრე – 700 ცხ. ძ. მაქსიმალური სიჩქარე სთ-ში – 38 კმ. სვლის ერთჯერადი მარაგი – 170 კმ.

კაცმა გადაშლილი წიგნი უცებ მაგიდაზე პირქვე დააგდო, ტანსაცმლის კარადას ეცა და ქოთება დაუწყო. მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, სამზარეულოში გავარდა.

– კალკულატორი სად არი?

– ახლა კალკულატორი რად გინდა? – წარბების მომშვილდით შეიოცა ბროწეულის ჩირჩნით გატაცებულმა ქალმა, მაგრამ ქმრის გამომეტყველების მიხედვით იმავწამიერად იგრძნო თავისი უკუკითხვის დაუშვებლობა, – ეტაჟერის ზედა თაროზე უდევს!

კაცმა კალკულატორი აიღო, თან სუფთა ფურცელი და კალამიც მოიმარჯვა. ერთი და იგივე ციფრები – ხან თავიდან, ხან ბოლოდან – რამდენჯერმე მიუმატა და გადაამრავლა, შეცდომა რომ არ მოსვლოდა! წიგნში დახასიათებული ცხრა სახეობის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების რაოდენობა 5460 უდრიდა, მათი საერთო წონა კი 131 788 ტონას შეადგენდა!

ღმერთო, სად ჰქონდათ იმდენი რკინა და ფოლადი, როცა... უცებ მწარედ გაეღიმა, რადგან გონებაშეზღუდული ბავშვივით აზროვნებდა! ეს მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, მაგრამ თვითონ ტანკები?!.. ყველა სახეობისა და კალიბრის არტილერია?!.. ნაღმსატყორცნები?!. მილიონობით ავტომატი, კარაბინი, პისტოლეტი, ტყვიამფრქვევი... ყველანაირი ვაზნა, ხელყუმბარა, ნაღმი, ჭურვი, ტორპედო?!. საიდან სად გადაჭიმული რკინიგზა

– რელსები, შპალები, ვაგონები, ცისტერნები, პლატფორმები!.. სასოფლო-სამეურნეო მანქანები!.. პორტები და აეროდრომები!.. პოლიგონები!.. თავდაცვითი ზღუდეები!.. თვითონ გერმანიის, მისი სატელიტებისა და დაპყრობილი ქვეყნების შიგამოხმარება?!. ყველა სფეროს რა ჩამოთვლიდა! ამისთვის კი, ვინ იცის, რამდენი შავი და ფერადი ლითონის მთები... ქვანახშირი, ნავთობი, მარგანეცი, რეზინი, ხე-ტყე... ბრეზენტი... ტილო... ხაკი... ტყავი... შალი... კაუჩუკი იქნებოდა აუცილებელი!!!

ამაფორიაქებელ ფიქრებში გახლართულმა მაინც იგრძნო: მისი გზაარეული გონი კუს ნაბიჯით როგორ მიხოხავდა ჭეშმარიტებისკენ! აქ კი აგრესიული ომის ფორმა თავისთავად გადადიოდა მოპირდაპირე განზომილებაში, სადაც მთავარი იყო არა ნედლეულისა და იარაღის ზღაპრული რაოდენობა, არამედ სულ სხვა რამ!

რანაირი სამრეწველო ტრადიციები და მასშტაბები, წარმოების კულტურა, ინჟინერ-გამომგონებელთა განსაცვიფრებელი გენია და ერთსულოვანი ერის უშრეტი პოტენციალი უნდა ჰქონოდათ, ჯერ იმოდენა მასალა დაეგროვებინათ, მერე კი გზადაგზა, გაჩაღებული ომის ახალ-ახალი მოთხოვნილებისამებრ, ამ მასალისთვის საბრძოლო იარაღისა და სხვადასხვა საჭირო საგნების სანიმუშო ფორმა მიეცათ! თან ეს ყველაფერი მტკიცედ მოექციათ საკუთარი კოორდინაციის ქვეშ და ერთ მუჭა ხალხს ლამის მსოფლიო დაეპყრო!.. ოოო!...

„მაშ, ჩვენ რა გვჭირს, რა, რა, რა?!" – კაცს გული აუტირდა და წლეულს, გაზაფხულზე შენამთხვევის უეცარმა გახსენებამ ისეთი მოლეშვა მოჰგვარა, თითქოს ერთი ციდა ძვალი აღარსად ურევიაო!

* * *

კორპუსების უკანა ეზოში, უბნის გოგო-ბიჭების აბალახებული სანავარდოს სიღრმეში რკინაბეტონის უზარმაზარი კოჭები იყო მიმოყრილი, ალბათ, ჯერ კიდევ ამ მასივის დაფუძნებიდან შემორჩენილი! სამივე კოჭის თავ-ბოლოს მაჯის სისქე არმატურის პირბასრი გამონაშვერები კაცს ბალახებიდან გამოჩრილ დევის ღრჯოლებს მოაგონებდა! ვინ მოსთვლის, ხაფანგისებურად

დაგებულ ამ კოჭებზე რამდენმა ბავშვმა და მოზრდილმა ჩაიმტვრია ცხვირ-პირი, გადიყვლიფა მუხლები და იდაყვები, გადაისერა კანჭები, მოიტეხა ხელ-ფეხი...

გაღიზიანებული უბნის კაცები დროდადრო მოწადინებით დაეჯავჯგურებოდნენ ხოლმე, რათა ანცობით თავდავიწყებული ბავშვებისთვის თვალმოსახვედრ ადგილას, თანაც წყობისად მაინც მიელაგებინათ, მაგრამ ძვრასაც ვერ უშვრებოდნენ – თითქოს უცხოპლანეტელების მიერ ჩამოტანილ ანდა აქვე, ოღონდ ამოუცნობი ტექნოლოგიით შედუღაბებულ ზოდებს ტროსებიანი ტანკი თუ მოერეოდა!..

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გონგასხივოსნებული უბნელები ამ საბედისწერო რკინაბეტონის კოჭებზე ვიღას არ შესჩიოდნენ და სადღა არ შეჰქონდათ შეხუჭუჭებული ხელმოწერებით აჭრელებული განცხადებები!

ყველა ინსტანციიდან დროიანად მოსული კომპიუტერული წერილობითი პასუხები დამაიმედებელი იყო, მაგრამ წელი წელს მისდევდა, ამ რკინაბეტონის კოჭებს ადგილიდან კი მაინც ვერაფერი ძრავდა!!!

უვაცო ფარას დამსგავსებული უბნელები რამდენიმე ჭკუის კოლოფის ხელმძღვანელობით იმედს მაინც არ კარგავდნენ – არზას არზაზე წერდნენ და ზოგიერთ ისეთ ინსტანციასაც აბარებდნენ, გონებაგახსნილი ადამიანი მოულოდნელობისაგან შეიძლება დამუნჯებულიყო!

ერთფეროვანი, ვალმოსახდელი და უწიგნურ-ჩინოვნიკურად შედგენილი კომპიუტერზე აკრეფილი პასუხები არც ახლა აგვიანებდა, მაგრამ გაგიგონიათ?!

აი, ამგვარი ქაღალდომანიით გაჩაღებული ბიუროკრატიული გუნდაობა წლების მანძილზე გრძელდებოდა!

1999 წლის გაზაფხულზე ერთმა გოგონამ ამ რკინაბეტონის კოჭებზე თიკნისებური ხტუნვა-ხტუნვისას კეფა და ხერხემალი რომ დაიზიანა და ტრავმატოლოგიურ კლინიკაში მოხვდა, მალე მასივში დაუჯერებელი ხმები დაირხა: ჩვენი „დამპალი“ ხელისუფლების უსულგულობით იმედგადაწურულ უბნის თავკაცებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ, დახმარება უცხოეთს სთხოვონო! ოღონდ ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, პირველში ვის მიმართონ: გაეროს

უშიშროებისა თუ მეურვეობის საბჭოს, ევროკავშირს, იუნესკოს, აშშ-ის კონგრესს, საქართველოდან ისრაელში ამოსულ ებრაელ ძმებს, ეუთოს, მოძმე თურქეთის ხელისუფლებას თუ...

მოთმინების ფიალის მოულოდნელად ავსებამ კაცს გონება გაუნათა და გადაწყვეტილებაც იმავწამიერად მიაღებინა: ჭირად გამხდარ ამ რკინაბეტონის კოჭებს სხვების დაუხმარებლად, მარტოდმარტო გასწორებოდა!

ელვისებური ზეშთაგონება სადა, მაგრამ ამ შემთხვევისათვის ზედგამოჭრილი იყო. არ დაეზოგა დრო და ძალ-ღონე, თითოეული კოჭის გასწვრივ სამარესავით გაეჭრა ღრმა თხრილი და მათთან ერთად სხვების თვალასახელად ხელისუფალთა უნაღველობა და საზოგადოებრივი გამოთაყვანებაც ჩაემარხა!!!

ო, გამორჩეულ ნიჭსა და კეთილშობილურ აღმაფრენას ამავე დროს ხშირად თან რა იდიოტური გულუბრყვილობაც ახლავს ხოლმე!!!

ელიავას ბაზრობაზე შეიძინა ყველაზე მძიმე წერაქვი. ბარი და ნიჩაბი ძველთაგანვე ჰქონდა. 15 აპრილს, შაბათის რიჟრაჟზე ძირს ჩავიდა და დახელფეხებული შეუდგა საქმიანობას. ყველაზე გრძელი კოჭი აირჩია. ისეთი ძალ-ღონის მოზღვავებას განიცდიდა, ბარი თითქოს თავისით მიძვრებოდა ქვესკნელისკენ, ის კი ფეხის მიყოლებასაც ძლივსღა ასწრებდა!...

უბანს ტკბილად ეძინა... ცისპირს ეტყობოდა, დღესაც დარიანი იქნებოდა!.. თხრილს მალე გამოკვეთილი სახე მიეცა... ფაშარი მიწა ადვილად მოსდევდა და თხრილის გასწვრივ თანდათან მაღლდებოდა... შუბლი და საულვაშე დაეცვარა, ზურგზე მაისურიც შეუტენიანდა. ამიტომ ხალათი და მაისური გაიძრო, ხოლო ბრტყელი ქამარი ერთი ნახვრეტით შეივიწროვა... კვლავ გულგაუტეხლად განაგრძობდა მუშაობას! იმედიანობა ძალას მატებდა – როგორც კი მოდღევდება და გადმომხედავენ, სხვადასხვა კორპუსის კაცებიც ჩამომეშველებიან, ამ სამივე ურჩხულს დღესვე დავასამარებთ და ყველა მოისვენებსო!!!

გათენდა. ყველაზე ახლომდებარე კორპუსის რომელიღაც სართულის აივანზე გადმოყრდნობილმა თვალდაგეშილმა ალქაჯმა ეზო-ყურეს ნამშევი შაბარდუხივით მოავლო მზერა და რკინაბეტონის კოჭებთან როგორც კი მიწის მთხრელი მამრი შენიშ-

ნა, უცებ ისეთი განუსჯელი წიოკობა ატეხა, კორპუსთა აივნები თანდათან ივსებოდა ნამძინარევი სახეებით, ძირს ბეცურად რომ ჩამოიყურებოდნენ.

– ერთი უყურეთ, რას უშვება ბოვშვების სათამაშო კუთხეს! – ყაშყაშებდა მართლა შეშლილი თუ შეშლილს დამსგავსებული თმაშეღებილი ხნიერი ალქაჯი, – სადა ხართ, კაცებო, გამოდით ჩქარა!..

ვისაც გული ერჩოდა, ყველანი დაბლა ჩამოხროვდნენ. მოსეირეები აივნებიდან ცქერით შემოიფარგლნენ. მიწის მთხრელი ჯერ გონს არც მოსულიყო, იმ ასისინებულმა ალქაჯმა გაღიზიანებული ბრბო რომ შემოასია!

ბრბოს თან კიდევ ემატებოდნენ და ემატებოდნენ! ლოგინიდან ის-ის იყო წამომდგარი ვაჟკაცები შარვალსა და ხალათის ღილებს გზადაგზა იკრავდნენ!.. თვალაღგზნებული ქალები აღტკინებას ვერ იოკებდნენ, უცებ საქმე რომ გაიჩინეს და ამ დილაობაზე უბნის რჩეულ კაცებს ეჩვენებოდნენ – გაღეღილ საკინძესთან ხელს გამომწვევად იფათურებდნენ!..

რაინდთა გამომეტყველება ერთსულოვანი იყო – ცხადია, უბნის მანდილოსნების წინაშე სირცხვილს არ ჭამდნენ და ეგერ, იმკორპუსელ არამკითხეს ისევ იქ შეაძვრენდნენ, საიდანაც გამომძვრალიყო!

ნალურად შემოჯარულებმა მიწის მთხრელს არაფერი ათქმევინეს – მაშინვე პირი ამოუქოლეს. ქალების ბოროტმოხარულობას საზღვარი არ ჰქონდა, კაცებს თავიანთ ნებაზე რომ ათამაშებდნენ!

აღარ გაიგებოდა, ვინ რას გაიძახოდა.

– კი მაგრამ, შენ ვინ გეკითხებოდა?!. ვერ უყურებთ, მთელი ღამე ქურდივით უთხრია!.. კიდო კაი, დროზე შევასწარი თვალი!.. ამისთანას ნება რომ მისცე, ახლა იქნებ კორპუსის ჩამარხვაც მოინდომოს!.. კი, კი, არც მაგი გაუკვირდება – ზედ არ ეტყობა, რაც არის!.. ჰა, ამოხვალ თუ ამოგიყვანოთ?! ვაახ, ეს მაინც თავისას აწვება – ჩვენც მოგეხმაროთ კი არა, შენც ამოდი მაქედან და ისევ ისე მოასწორე, რავარც იყო!.. გაიგე თუ ვერა, რას გეუბნებიან, ჰა?!

უნაკლოდ გაჭრილ სამარე-თხრილში მუხლამდე მდგარ კაცს

თავი სიზმარში ეგონა. თუმც ყველაფერს მაშინვე მიხვდა: ახლა მისი სიმართლე ნორჩი ლერწამივით ირწეოდა, ამ ლერწამს კი ტანდაკორძილ ბერმუხასავით ეზმორებოდა ჯოგური ბოღმა და ჯიბრიანობა!!!

– კეთილი, ისევ ამოვავსებ!

საქამრეს ზევით ტანშიშველი მიწის მთხრელი უცებ ავად შემომდგართა შეურაცხმყოფელ თვალსაჩინოებად გადაიქცა: თავისი აღნაგობით იგი ძველბერძენ ათლეტს ჩამოჰგავდა, მის ირგვლივ გაბოტილ ბევრ მამაკაცს კი მეცხრე თვეში მყოფი ორსულ ქალივით გადმოვარდნოდა ღიპი! მაგრამ აქ სამარცხვინო იყო არა იმდენად ასეთი გარეგნული განსხვავება, არამედ სულ სხვა რამ: დოგა-დოგა წამომდგარ მამრებს თურმე არ ჰქონოდათ გამომუშავებული კეთილგონივრული კვების კულტურა, თორემ ისინიც მიწის მთხრელივით ანდა მასზე უფრო უკეთესი აღნაგობისანი უნდა ყოფილიყვნენ! თუმც ეზოს კუთხეში, საიმედოდ თავგადახურულ საღრეობო ფანჩატურქვეშ უბნის შეხმატკბილებულ „პურიმჭამელთა“ უთავბოლო ჭამა-ყლაპვის პირობებში რა კვების კულტურაზე ლაპარაკი შეიძლებოდა! არადა, ეგე, შედეგიც – ზოგიერთს ღიპი მუხლებზე ედო, ღაბაბი – მკერდზე, ლოყები – მხრებზე!

– ჰა, დიდხანს უნდა გელოდოთ?!. – შუბლის შენაოჭებით გაუმეორა ერთმა ბოხხმიანმა, – ამოდი და მიაყარე ეგ მიწა!

– ამოსვლა რაღა საჭიროა – ასე უფრო ადვილად არ მიეყრება?! – გაკვირვებით მიუგო ძლეულმა. მერე მოკლედ ჩავლებული ნიჩაბი თავისკენ ხელუკუღმა შემოიტრიალა და ნათხარს ისეთი სიადვილით დაუწყო თხრილში ხვავრიელად ჩაყრა, უმალ გაცხადდა – მოდავეებმა არ იცოდნენ მიწის ხელი!

– ჰო, როგორც გაგიხარდება! – თხლენაჭამივით ესღა წაიტუტუნა ბოხხმიანმა და თითქოს ნებას რთავსო, ბოტასიანი ფეხი ისე წაჰკრა ამოყრილ მიწას, თხრილში მოსაქმეს ცოტაოდენი შიშველ მკლავზე შეეფრქვა და ჩექმებშიც ჩაეფანტა.

..კაცს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია – იგი ისეთი შთაგონებიანი გამომეტყველებით ირჯებოდა, მოშულრებისთვის ეგრძნობებინა: აქ მთავარი იყო არა ბრმა ძალმომრეობა, არამედ მიწის ყადრი!

ამას შაქზე შემდგარი მოწინააღმდეგეებიც მიუხვდნენ. თან ისიც იგრძნეს, ძალდატანებული ისეთი გატაცებით მუშაობდა, ირგვლივ ვეღარავის ამჩნევდა! უხერხულობის გასაფანტად თავდამსხმელები თხრილში მომუშავე „მონას“ მოსცილდნენ, მაგრამ არ დაშლილან – ვაითუ სამუშაო შუა გზაზე მიგვიტოვოს და მერე სადღა ვეძებოთო. ამიტომ მცირე ჯგუფებად დაიშალნენ და ერთმანეთში ხმადაბალი, გესლიანი ტატანი გააბეს. თან ცალი თვალი თავიანთ მონა-მსხვერპლისკენ ეჭირათ.

კაცებთან ერთად სიგარეტი რამდენიმე მანდილოსანმაც გააბოლა. ხმასა და ნაფაზზე ეტყობოდათ, გამოჯეკილი მწევლები იყვნენ!

ჩექმებიანი „მონა“ მიწას თხრილის გასწვრივ ყველგან თანაბრად ყრიდა და თან მოწადინებით ტკეპნიდა, ისევ რომ ჩატეულიყო. თხრილი თანდათან ივსებოდა, „მონა“ კი ზევ-ზევით იწევდა და შორიდან თვალდაჭერილებისთვის უფრო შეურაცხმყოფელი ხდებოდა მისი აღნაგობა.

მზე კორპუსებს ამოსცდა და მოწინააღმდეგეთა შორის მომრიგებელ მოსამართლესავით ჩამოდგა.

და აჰა, თხრილმა ისევ უკან დაიბრუნა თავისი მიწა! ოდნავ აბორცვილი ადგილი „მონამ“ ლაზათიანად მიასწორ-მოასწორა და ჟინასრულებული მოძალადეებიც ის-ის იყო, უნდა წასულ-წამოსულიყვნენ, მაგრამ მოულოდნელმა სურათმა ფეხი არავის მოაცვლევინა!

„მონა“ იქვე, ტუიის ბუჩქებთან მიდგა და მის ჩრდილნარს ამოფარებული, წელან სათუთად მოთხრილი და ცელოფნის შვიდ პარკში თავის მიწიანად გამონასკული წივანას, ნაცარქათამას, კოინდრისა და ვარდკაჭკაჭას ქუჩქუჩად ამონაყრები ახალამოვსებულ თხრილთან მიზიდა. მერე რკინაბეტონის კოჭის მთელ სიგრძეზე ფანქრით აღნიშნული ნიშნების მიხედვით თითოეულ ქორფა მცენარეს ისევ თავის ძველ ადგილას დაუწყო ჩარგვა!

ისედაც აღრენილი, თან იოლი გამარჯვებით იხტიბარგატეხილი მოწინააღმდეგეებისთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო! რამის თქმის სურვილი აღარავის აღმოაჩნდა – ერთმანეთს უმძრახებივით გაშორდნენ! ამიტომ შემდეგ სურათს ზოგიერთმა მათგანმა თავისი აივნიდან შემთხვევითღა უყურა.

ბრბოსგან ძლეულმა „მონამ" ბალახების გადარგვა რომ დაასრულა, მეეზოვე ტიტალეს ხუხულიდან წურწურა გამოიტანა, მერე „პურიმჭამელთა" ფანჩატურში თავის სიცოცხლეში პირველად შევიდა, წყალი აიღო და ახალგადარგული ბალახები მოთმინებით მორწყო... წურწურა ისევ თავის ადგილას რომ დააბრუნა, პერანგი და მაისური დაბერტყა და ჩაიცვა. ბოლოს თავისი იარაღები კავსაფხეკით დაასუფთავა, მხარზე გაიდო და შინისაკენ გასწია.

აივნებზე გამოფენილი თანაკორპუსელები ისე გადმოჰყურებდნენ, თითქოს მხარზე გადებული თავლია კუბოთი ამერიკაში დაღუპული ვაჟიშვილის ცხედარს მოასვენებსო!..

* * *

სამიოდე დღის შემდეგ უბნის ბავშვები უკანა ეზოში ჩვეულებისამებრ ჟრიამულობდნენ. ერთ თორმეტიოდე წლის გრძელკანჭებიან ყმაწვილს ახალნაყიდ ველოსიპედზე „Rockrider" თავისი მეზობელი გოგონა შემოესვა და თავდავიწყებით დაქროდნენ!

სად იყო, სად – არა, რომელიღაც კორპუსელის მიერ უღვედოდ და უალიკაპოდ გამოყვანილი, თამაშს დანატრებული ლომისოდენა ბეწვლამაზი ბულდოგი ველოსიპედიან ბავშვებს ყეფა-ნავარდით გამოეკიდა და სადაცაა, წამოეწეოდა! უკან მოხედულმა, შიშისაგან დამფრთხალმა ყმაწვილმა საჭე ველარ მოიარშია და გაქანებული ველოსიპედით პირდაპირ რკინაბეტონის კოჭების გამოშვერილი არმატურის ღოჭებს შეასკდა! თვითონ ცალი თვალი წამოიგდებინა და ენა თითქმის შუაზე გადაიკვნიტა, ბურთივით გასროლილმა გოგონამ კი კბილები ჩაიმტვრია, ჩანა დაემსხვრა და მსუბუქი ტვინის შერყევა მიიღო...

ველოსიპედის პატრონი თურმე იმ ბოხხმიანის მეორე შვილი ყოფილიყო, შვიდიოდე წლის გოგონა – თმაშეღებილი ალქაჯის პირველი შვილიშვილი.

იმკორპუსელი კაცები სადაც კი შეეჩეხებოდნენ, უაზროდ უბღვერდნენ, ის თვალდაგეშილი შაბარდუხი კი მაშინვე ქოქოლას აყრიდა.

– ისე დაგწყევლოს ღმერთმა, რავარც შენ ანგელოზივით ბოვშვს თვალი მიკარი!..

ის რკინაბეტონის კოჭები დღესაც იქ ეყარა!.. უბანში ხმა დადიოდა: ჩვენი კაცები ახლა ისეთ არზას აშანშალებენ, ქვასაც გახეთქვას და როგორც კი ინგლისურად ათარგმნინებენ, მაშინვე გააგზავნიანო!.. კი მაგრამ, სად გააგზავნიანო?! ეშმაკმა იცის ამათნაირების თავ-ტანი – წადით და გაიგეთ, სად!.. ოოო!..

აი, ამნაირი ხალხისთვის ან ამნაირ ხალხთან ერთად რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ახალ წელს, ახალი საუკუნის დადგომას... შობას, აღდგომასა თუ ჯვართამაღლებას!..

* * *

ზაფრიან კაცს გულმა უგრძნო: ახლა კითხვის მეტი ვეღარაფერი უშველიდა!

წიგნს დასწვდა და სარჩევში ჩაჭვრეტა სურდა, მაგრამ ტკიცინა ფურცლები მოდუნებული თითებიდან ერთმანეთის მიყოლებით დაუსხლტა და წიგნი თვითნებურად გადაიშალა – შაშხანა-კარაბინები!

აქაც ყველაფერი თვალმოუშორებლივ საკითხავს წარმოადგენდა! 1898 წლიდან 1944 წლამდე 7,92 მმ კალიბრის რანაირი შაშხანა არ იყო გამოგონებული და გაუმჯობესებული: „მაუზერი“, „ვალტერ-41“, „ვალტერ-43“, „ჰოლიკი“, „ფოლკსტურმგეევერი...“

გერმანიის მრეწველობას 1939-1945 წლებში ჯერ მარტო „მაუზერის“ 10 327 000 შაშხანა და კარაბინი გამოეშვა!..

ყველა სისტემის კარაბინის წონა 4 კგ ფარგლებში თამაშობდა. მჭიდის ტევადობა – 5 ვაზნა. დამიზნებითი სროლის მანძილი – 2000 მ. ტყვიის სისწრაფე წამში – 760, 810, 895 მეტრი!

თითოეული შაშხანა ისე მიმზიდველად გამოიყურებოდა, კაცი თვალს ვერ მოსწყვეტდა: მოხდენილი, მკვიდრად დასალტული... ხარისხიანი... ნდობის აღმძვრელი... მათში არაფერი ჩანდა ზედმეტი და თავგადადებული ჯარისკაცისთვის ხელის შემშლელი!

რა იქნებოდა ადამიანებიც კარაბინებს ჰგვანებოდნენ – უნაკლოდ ჩამოსხმული... მკვიდრად შეკრული... გამძლე... კეთილშობილური მიზნისკენ კარაბინის უღალატო ტყვიასავით მიზანმიმართულად წასული!..

კაცს თავ-პირი მოექრუშა, რადგან მაშინვე მიხვდა თავისი სულელური ნაოცნებარის შეუსაბამობას: სად მკაცრ სამხედრო

კონტროლს დაქვემდებარებული კარაბინების ქარხნული წარმოება და სად გულგრილი ბუნების მიერ თვითდინებაზე მიშვებული ადამიანების უთავბოლო შტამპვა!..

წიგნი სევდიანად გადაფურცლა და როგორც კი დახედა ბოლო, საშტურმო შაშხანას, „CTG-44“ ფოტოსურათებს, სახტად დარჩა: ეს ხომ კალაშნიკოვის სახელგავარდნილი ავტომატის ასლი თუ ტყუპის ცალი იყო!!! მაშ, აქ საიდან, როგორ?!.

1944 წლის შუახანს გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობისთვის ნათელი გახდა – ვერმახტის ქვეითებს უმოკლეს დროში თუ ვერ შეიარაღებდნენ განსაკუთრებული სიძლიერის საშტურმო ავტომატური კარაბინებით, მაშინ მათი საცეცხლე სიმძლავრე აშკარად ჩამორჩებოდა საბჭოთა ისედაც მრავალრიცხოვანი ქვეითების მაჩვენებელს!

ასე გადასცეს წარმოებას ფირმა „ჰენელის“ მეპატრონის, სახელგანთქმული კონსტრუქტორის, ჰუგო შმაისერის მიერ შექმნილი საშტურმო ავტომატური შაშხანა „CTG-44“, რომელმაც ბრძოლის ველზე მალე „чудо-оружие“-ს სახელწოდება დაიმკვიდრა. წონა – 4,31 კგ. სიგრძე – 940 მმ. მჭიდის ტევადობა – 30 ვაზნა. სროლის სისწრაფე წუთში – 500 ვაზნა. დამიზნებითი სროლის მანძილი – 800 მეტრი!

უცნაურად გახეტებულ კაცს უეცრად გაახსენდა ბოლო ხანს სადღაც ამოკითხული: ომის შემდეგ საბჭოთა ოფიცერ-მეიარაღე კალაშნიკოვს პირწმინდად გადაელო შმაისერის ავტომატური შაშხანის კონსტრუქცია და მისთვის... კალაშნიკოვის ავტომატი ენოდებინათ!...

* * *

ბავშვობისდროინდელ მოგონებებს ახლა კი მოერია, წიგნიც მკვიდრად დაიჭირა, ფურცლები წელანდელივით რომ არ დასხლტომოდა და ამჯერად სარჩევში ჩაიხედა. ერთმა ქვეთავმა მისი მზერა ზედ მიიყინა.

განსაკუთრებული სიმძლავრის 807 მმ ქვემეხები – „დორა“ და „გუსტავი“.

მოუთმენლობისაგან სუნთქვა შეეკვრა. ამ საშინელი ქვემეხების შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით გაეგონა, დანახვით კი არც

კინოქრონიკებში დაენახა, არც – მხატვრულ ფილმებში. წიგნებშიც კი არსად ამოეკითხა!

„დორა“ და „გუსტავი“ კრუპის ფირმას 1942 წელს დაემზადებინა. თითოეული მათგანი 1350 ტონას იწონიდა. მომსახურე პერსონალი 4000 კაცს ითვლიდა. ქვემეხი მხოლოდ რკინიგზით გადაჰქონდათ, ისიც დაშლილი სახით. მის ხელახლა აწყობას ერთი კვირა სჭირდებოდა. სევასტოპოლთან, სადაც პირველად გამოიყენეს, დაჩქარებული წესით რკინიგზის განშტოება გაიყვანეს და სპეციალური სასროლი რკინაბეტონის პლატფორმა ააგეს. ერთი გასროლის მომზადებას 20 წუთი სჭირდებოდა. ბეტონსანგრევი ჭურვის სროლის სიშორე 38 000 მ. იყო, ფუგასურის – 47 000 მ. პირველი მათგანი 7 100 კგ. იწონიდა, მეორე – 4 800 კგ-ს. თითოეული ჭურვის სიგრძე 5,2 მ. შეადგენდა...

კითხვის ილაჯი გაუწყდა – ახლა იმასღა ცდილობდა, ფიცხელი წარმოდგენისგან გული არ შეღონებოდა! ამნაირი ჯოჯოხეთური ჭურვებისთვის რა უნდა დაეპირისპირებინათ ყირიმის ნახევარკუნძულის სასაკლაოზე ცხვრის ფარასავით შერეკილ, მეფისდროინდელი ხიშტიანი „ვინტოვკებით“ შეიარაღებულ უბედურ საბჭოთა ჯარისკაცებს?!. ან რა ევაკუაციაზე ლაპარაკი შეიძლებოდა – ერთი ასეთი ჭურვის დაცემა და პრიმიტიული ნავსადგური თავის გემებიანად ნაფოტებად იქცეოდა!.. იქ იმიტომაც ამოწყდა იმოდენა ქართველობა! მაშინ როცა...

დროზე ვერც კი შენიშნა, თავს როგორ წამოადგნენ.

– რა გატირებს? – ძლივგასაგონად იკითხა გაცბუნებულმა ქალმა.

– ეს შენ არ გეხება... მერე აგიხსნი!

მეუღლემ ტყემლის ნახევარლიტრიანი ბოთლი შეაჩეჩა.

– მე ვერ მოვხსენი – მომიხსენი!

შემხმარ-შენივთებული ხრახნიანი თავსაცობი კაცსაც გაუძალიანდა, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდა და ისევ ქალის ხელში გადავიდა.

– არ ვისადილოთ?

– ვისადილოთ?!. წეღან არ ვისაუზმეთ?!

– ჰმ!.. ის „წეღან“ იყო?!. აბა, საათს ახედე!

– მე ჯერ არა მშია!.. შენ შენს თავს მიხედე!

ქალი გაბუსხული გაეცალა.

კითხვით განაბრუებ კაცს ყურებში ისევ „დორასა“ და „გუსტავის“ ოთხ-ხუთტონიანი ჭურვების წარმოსხვითი აფეთქებების შორეული ექო უშხუოდა და უიმედო ალყაში სასიკვდილოდ განწირული საბჭოთა ჯარისკაცების წარმოდგენა აწამებდა – მისი ორი უცოლშვილო ბიძაც იქ დაიღუპა!.. უფროსის უკანასკნელ სამკუთხა ბარათში...

უცნაურად გახალისებული მეუღლე ისევ გამოეცხადა.

კაცს ტანზე ეკალი აასხდა – მოეჩვენა, მოთმინების ძაფი ახლა კი გაუწყდებოდა! მაგრამ უეცრად ოკეანისებური სიმშვიდე დაეუფლა – „პანთერას“ კოშკურის ფოლადივით მტკიცე უნდა ყოფილიყო, ამ დღეებში მაინც!

ქალს მოუთმენლობისაგან თვალები უგიზგიზებდა.

– კაკალამ დარეკა – შარშანდელი არ იყოს, თქვენ ხომ ფეხი არ შემოგიცდებათო! ჰოდა... ისა!.. რა ჰქვია... მოკლედ, დაუფიცავი აღარავინ დაიტოვა – ხვალ ჩემი ქმარშვილიანად მოვდივარო!

– მობრძანდნენ!

– ოღონდ აქედანვე იცოდეთ – მერე ყველანი ჩვენთან წავალთ, ჩვენიდან კი ღობნელიშვილებთან გადავალთო!

– იქიდან მერე ვიღასთანო?

ქალს სტუდენტობისდროინდელი ღიმილის მსგავსი რაღაც გაუკრთა.

– ეგ აღარ უთქვამს!

– შენ უნდა გეკითხა!!!

ქალი ისეთი სიმკვირცხლით გაესწრაფა, თითქოს წელან ნახსენებმა სტუმრებმა უკვე მოაკაკუნესო!

ხვალინდელი დღის განუჭვრეტლობამ კაცს „დორა“ და „გუსტავი“ უცებ გადაავიწყა და ახლა შიშნარევმა ვარაუდმა დაიმორჩილა – საახალწლოდ, ვინ იცის, ვისთან რა ელოდა! ამგვარ უამურ განცდებს ძველი გამოცდილება უმძაფრებდა – ამ დღეებში „დორასა“ და „გუსტავის“ ადგილს მაგარ-მაგარი მსმელები დაიკავებდნენ და დაუპირისპირდებოდნენ! მაგრამ რა ექნა, ასეთი იყო მისი მრწამსი და ბუნება – ნებისმიერი სუფრიდან დაუმთვრალი დგებოდა!!! დასატრაბახებლად გამობრუჟულ თანამეინ-

ახეებს კი ეს თან აკვირვებდა, თან დამცინავ, თუმც უბოროტო ჯიბრიანობას უღვივებდა!

ლენას ქმარი გემოზე რომ ჩათვრებოდა, ხელს ისე გადახვევდა ხოლმე, როგორც უიმედო შეგირდს.

– მაშ, ერთხელ მაინც ვერ უნდა შეგაქეიფიანოთ?!

– შემაქეიფიანეთ და ეგ არი!

– ორი-სამი ჭიქით?! – „პურიმჭამლებს“ ისეთი ხარხარი აუტყდებოდათ ხოლმე, კარადაში ჩაწკაპულ ბროლის ჭიქებს ზრიალი გაუდიოდა, – თავს არ გვიყადრი, თუ მართლა ეგეთი მალალიტრაჟკა ხარ, ჰა?

– მაიცა, რა, ვახო, რის მალალიტრაჟკა, რა მალალიტრაჟკა, როცა ერთ ლიტრასაც ვერა სვამს! – ჩაერეოდა მესამე „პურიმჭამელი“ და თან ქალებს თვალებს უჟუჟუნებდა, – შენ მალალიტრაჟკა კი არა, ჩვენი საყვარელი მცირეკალიბრიანი ხარ!

– ჰო, მაგრამ თქვენს მსხვილკალიბრიანობას რა მოაქვს?

– ელაპარაკეთ! – ამგვარ კითხვას ლამის ქართული სუფრის შეურაცხყოფად უთვლიდნენ, – ამაზე მეტი სხვა რაღა უნდა მოგვიტანოს – ვსხედვართ და ვქეიფობთ!

– კი მაგრამ, როდემდე?

– როდემდეო?!. როდემდე და... ორი დღე!.. სამი დღე!.. ოთხი დღე!.. სანამ არ... სუფრასთან უნდა დავიხოცოთ!

– რატომ?!. რისთვის?!

– აბა, ქართველი რო ამას იკითხავს! – თავისი ადგილიდან წამოუვარდა ნაირას ქმარი, განთქმული მსმელ-მჭამელი ზორბეგი, – დაგავიწყდა, სკოლაში ნიკოლოზ ბარათაშვილს რო გვასწავლიდნენ: „ჰოი, არაგვო, არაგვის პირნო, მობიბინენო ლაღო ჩრდილებო, ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, სუ მაგ ჩრდილნარში არ იქეიფოს“ -ო!.. ე... ეეეხ! ახლა ეს ჭიქა არ დამაკვნეტინოთ!.. ლამრო, ერთი ეგ ყანწი ჩამომიღე, ვნახო – შიგ ობობამ ქსელი ხომ არ გააბა!..

– როგორ, არ გაგიგონია, – მაგიდის მეორე მხრიდან შემოსჩიჩინებდა მესამე „პურიმჭამელი“, – კაი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო!.. ბერდოს ამოდენა ხარჯი გაუწევია, ჩვენ კიდევა სუფრაზე წიხლი ვუკრათ და გავექცეთ?!. ჰმ, ეგრე სად არი – ერთი კვირა აქ უნდა ვისხდეთ და ვიქეიფოთ!

– მერე, ქვეყანა?!. ქვეყანას ვიღამ უპატრონოს?!

უდარდელი სიცილ-ხარხარი სეტყვასავით წამოაყარეს.

– შენ მაგაზე ნუ იდარდებ – უპატრონებენ!.. პატრონობენ კიდეც!.. პატრონების მეტი რა ჰყავს! – ამხნევებდნენ იქითაქედან.

– ღვთისმშობლის ნაპატრონევ ქვეყანას რა ჩვენი პატრონობა უნდა?! – ენა გაიმჭევრა ყოყნიამ, ერთ იჯრაზე ათ-თორმეტ ბოთლ ღვინოს თავისუფლად რომ სვამდა და ერთი შებრაწული ბატკანი მისთვის არაფერი იყო, – დაგავიწყდა თუ არც იცოდი – საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა!.. აბა, როგორ?!

– ვაი, შენ რა გითხარი! – ახლა როზას ქმარმა, ღიპგადმოვარდნილმა დურომ გადმოულაპარაკა, – მაშ, სულ მუდამ სამშობლოზე ფიქრობ და იმიტომაც ისმუსნები ხოლმე?!. აქეთ დამიგდე ყური: ვასილ პავლოვიჩის დროს ჩვენს სოფელში ერთი ზემოურელი ბუაძე მასწავლებლობდა! ისიც შენსავით სუ „სამშობლო-სამშობლოს“ გაიძახოდა და ლხინისას პიწკად ჭამა იცოდა! ჰოდა, ერთ პურ-მარილზე მამაჩემს ძალიან რო გაუხურა, იმ ცხონებულმა, იცი, რა უთხრა?

– რა?

– ზემოურო ბუაძეო, გვიან მოხვალ ჭკუაზეო!

ამას კოკისპირული ხარხარ-კასკასი, ტაში და მლხენელთა შემაგულიანებელი ყიჟინა მოჰყვა.

– ჩაგეთვალა!.. მაგარი ხარ!.. დაკა ხელი!... გადმოიხარე, გაკოცო!.. ეხლა?!. დაასხით!..

იქით გაბღენძილი დურო იდგა მოჭიდავესავით – სასმისს როდის შეუვსებდნენ; აქეთ დუროს მეუღლე, სამკაულებით შეჩურჩხლული როზალინა ისედაც არკალურ წარბებს უფრო რკალავდა – აი, რა ენამოხერხებული ქმარი მყავს: სიტყვას ვერვინ გადაუსხეპავსო!

ახლა თაზო შეტლინკდებოდა და თავის აჩემებულ სადღეგრძელოს ლექსად ჩამოარაკრაკებდა ხოლმე.

ეს ერთი ჯამი დავლიე,
მეორეს რაღა მიშლისა,
ისევ ღვინის სმა ვარჩიე,
უქმად გდებას და შიმშილსა!

– უუუ!.. გენაცვალე მაგ ენა-პირში!.. მოვიდა ქეიფი!.. ჩახერგეთ კიბე!.. მოშალეთ ლიფტი!.. დაკეტეთ კარი – აქედან დილამდე ველარავინაც ვერ გავა!..

– ისე გავალ, როგორც დაგიბარებია! – აიკლაკნებოდა თავგამოჩენის წყურვილით აღტკინებული კაკალა, – შენ არ გაგიგონია ქართული ანდაზა: სადაც გავა გავაო, თეძოც გავად გავაო!!!

მჭახე ტაშისა და სიცილ-ხარხარისგან ჭაღი ინძრეოდა...

ქეიფ-ღრეობებში გამოუცდელი, თავის შეცდომას მოგვიანებით მიხვდა: კუჭმოკუპრულ „პურიმჭამლებთან“ არც კამათი უნდა წამოეწყო, არც მათ ანკესს წამოჰგებოდა და წინდაუხედავ პაექრობაში არასოდეს ჩაჰთრევინებოდა, ვინაიდან მათ წრეგადასულ ღრეობებს ახსნა-გამართლება რომ ჰქონოდა, ისეთი ანდაზები, შაირები თუ მოარული სხარტულები დაეზეპირებინათ, რაც ქართველი კაცის უპირველეს ღირსებად და მოვალეობად მხოლოდ ქეიფ-დროსტარებას აცხადებდა!!! ამიტომ ეს ენაგალესილი მსხვილკალიბრიანი „გუსტავები“ ცამდე მართალ, მაგრამ ამისთანებში გამოუცდელ და მით უმეტეს, ზრდილობიან მოკამათეს ნებისმიერ ნათქვამს პირში ისე ოსტატურად გამოუღლეტდნენ ხოლმე, კრინტმიწყვეტილს ლაპარაკის ხალისს უკარგავდნენ და თანაც ქეიფის ჟინით ატანილთა ყბად ასაღებადაც ხდიდნენ!.. ამიტომ ნებისმიერ კამათში იშვიათად ერეოდა, ისიც რამდენიმე სიტყვით, თუმც ზოგჯერ არც ეს შველოდა!..

* * *

მამრებს არც ქალები ჩამოუცვივდებოდნენ. სამიოდე ყლუპისაგან ღაწვებშეფაკლულ თამილას, ქმარი ისე რომ დაეთვრებოდა, მზერას ადგილს ძლივსღა უნაცვლებდა, თავის სათქმელს საბრძოლო ლოზუნგივით გადმოისროდა ხოლმე.

– ვილხინოთ, მაგის პატრონი ქვეყანაც არ იყოს – მივდივართ, ხო არ მოვდივართ!!!

და აქ აზრზე მომყვან მზერას ისე მოურიდებლად გამოუწვდენდა ხოლმე, ის მაშინვე თავის თეფშს აშტერდებოდა, რათა ირგვლივ არავის შეენიშნა, ვინ იყო ასეთი მწველი მზერის ადრესატი!..

ფათუშა?! უჰ, მისი დანაკვეხი ხომ გინესის რეკორდების დავთარშია შესატანი! როცა წამოუვლიდა, მზერას აიმაღლებდა

და მომლხენ კაცებს ტუჩაკვრით აქიაქებდა.

– თქვენა?! თქვენ რა მოქეიფეები მყავხართ?!. მოქეიფე ცხონებული ბიძაჩემი იყო – სამი დღე-ღამე რომ მჯდარიყო და ექეიფა, გარეთ ერთხელაც არ გავიდოდა!!!

ფათუშას ბიბლიური ბიძის ხსოვნის თაყვანისცემის ნიშნად კაცებს ქედი თავისთავად ედრიკებოდათ, ხოლო თვინიერი გამომეტყველებით თითქოს ბოდიშს იხდიდნენ, ისინიც ამგვარი ღირსებით რომ ვერ გამოირჩეოდნენ!

საერთო სულისკვეთება რომ არ დარღვეულიყო და არც ქ-ნ ფათუშას სწყენოდა, სხვების დასანახად ისიც თავს კრძალვით ხრიდა, მაგრამ გონებას სულ სხვა საწუხარი უმდუღრავდა.

„სამი დღე-ღამე კუნძივით როგორ უნდა იდო და იქეიფო – ნეტავი სხვა საქმე და საზრუნავი აღარ გაკისრია?!. ან ამას ვისთვის რა სარგებლიანობა მოაქვს?!. ანდა სამი დღე-ღამე გადაბმული ქეიფისას რანაირად შეიძლება ნორმალური აგებულების ადამიანს შარდზე გასვლა არ დასჭირდეს – ეს ხომ უფლისგან დანათლებული ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ბუნებრივი დაკმაყოფილებაა! მაშ, ამაში რა არის სათაკილო ან სამარცხვინო – აბა, ჯიბრიანი შეკავებით შარდის ბუშტები დავიხეთქოთ?! კი მაგრამ, რატომ, რისთვის?! ხოლო ფათუშას ბიძა თუ მართლა არ გადიოდა, ეს რა საკვეხურია და მით უმეტეს, სხვებისთვის რატომ უნდა იყოს სამაგალითო ან სავალდებულო?!. ღმერთო, შენ გადმოგვხედე: ამგვარი სისულელეებით გატაცებულმა ერმა თანამედროვე დაუნდობელ მსოფლიოში რითი და როგორ უნდა დაიმკვიდროს თავგადასარჩენი ალაგი?!“

* * *

„ანდა, ნეტავი რა გვექეიფება?!. ვქეიფობდეთ კი არა, ჩვენ რომ გონი და სინდისი გაგვაჩნდეს, ორ-ორი აგური უნდა გვეჭიროს და თავში ვირახუნებდეთ!.. სამშობლო თვალსა და ხელს შუა გვეღუპება, ამათ კი გაუთავებელი ქეიფ-ღრეობების მეტი სხვა არაფერი ახსოვთ და აინტერესებთ!.. ერთი პატარა, გაუბედურებულ-გაწამებული სამშობლოს პატრონები კი არა, მსოფლიოში ყველაზე უძლიერესი ზესახელმწიფოს შვილებიც რომ ვიყოთ, რა არის ამდენი და ასეთი უზომ-უსაზღვრო ჭამა-სმა – ნუთუ

ვერა ხვდებიან, ქონით რომ ეტენებათ წვივები, ბარძაყები, მუცელი, დუნდულოები, მენჯი, წელი, ბეჭები, იღლიები, მკლავები, ღაბაბი, ყელ-კისერი, ლოყები, პირ-ტუჩი, შუბლი, ნესტოები, უპეები... გულსისხლძარღვები, ტვინი! – ღმერთო, ნუთუ არ გააჩნიათ ღორმუცელობით ნაადრევად სიკვდილის შიში!.. სიცოცხლის მხეცური წყურვილი!.. ოჯახის სიყვარული და სიბრალული, საზოგადოებისა და მანდილოსნების წინაშე რიგიანი გარეგნობით თავმოწონების მამრული ჟინი!.. ერთი შეხედვით თითქოს ჩამოყალიბებულ ვაჟკაცებს რა ემართებათ ხოლმე, სავსე სუფრას რომ შემოუსხდებიან?!. ეს რა ღვთის წყრომაა ჩვენ თავს?!. ქეიფი!!! ქართული წარმომავლობის სიტყვა მაინც იყოს – არაბებმა შემოგვიტანეს ეს ქეიფ, ქაიფ, კაიფ, საუკუნეთა მანძილზე ჩვენმა ავმუცელებმაც აიტაცეს და შეისისხლხორცეს!..

ო, სუფრაზე მოხვედრილი ქართველი კაცი ხომ კორიდაზე პირველად გამოშვებულ ხამ ხარს ემსგავსება! მაშინვე ეკარგება კეთილგონივრული განსჯის უნარი და მხოლოდ თავისი ემოციის, იაფფასიანი თავგამოჩენისა და ჩლუნგი პატივმოყვარეობის კარნახითლა მოქმედებს: პირდაპირ ნემსის ყუნწში ძვრება, ყველაზე უკეთ მან იმახვილსიტყვაოს!.. ყველას თავი მოაწონოს!.. ყველა მანდილოსანი მოხიბლოს!.. ყველაზე „ლამაზი“ სადღეგრძელო თვითონ წარმოთქვას!.. ყველაზე უკეთ მან იცეკვ-იმღეროს და იმხიარულოს!.. სმაში ყველას აჯობოს!.. ყველაზე დიდხანს ის შემორჩეს სუფრას!..

ერთი სიტყვით, ნებისმიერ ქეიფზე სულ მთლიანად უნდა დაიხარჯოს, დაიწვას და დაიფერფლოს!!! კი მაგრამ, ამით სამშობლოს რა ემატება ან ეს ვის სჭირდება?!. კარგით, რა! დღეს სამშობლო ვიღას აგონდება!.. მაშ, ეს ვის სჭირდებაო?! ვისა და პირველ რიგში თვითონ მას!.. მასპინძლებს!.. მოსუფრალ-მოსეირეებს!.. ქართული ქეიფ-ღრეობების ტრადიციებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ზეპირ მატიანეებს, ენციკლოპედიებსა და ქრესტომათიებს!.. თვალგაფაციცებულ ჭაბუკებს!.. ერის ღირსებასა და მომავალს!..

კარგი და შედეგი? ო, თავშეუკავებელი ქეიფ-ღრეობებისას სასმელში დამბალი, ტვინაქოთებული და შეშფოთებული შინაურებისგან თვალდაჭერილი ჩვენი სახლიკაცი რამდენიმე დღე

ცოცხალმკვდარივით გაშოტილა ლოგინზე და აზრზე ვეღარ მოსულა: ვინ არის?.. ეს ორი დღე ვისთან იყო?.. იქ რას აკეთებდა?.. ან ახლა სად არის და საერთოდ, რა ხდება ირგვლივ!

აბა, ამისთანა კაცები რაში არგია ან ოჯახს ან სამშობლოს?!

არადა, ასე მეორდება ყოველდღე, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულის ბევრ ოჯახში!..

აი, ამგვარი მუცელგადაყოლილი ვაჟბატონები თავისას მაინც არ იშლიან და, ვითომ მართლა სამშობლოს გულშემატკივრები მყავდნენ, ყოველ ქეიფზე გაუწითლებლად ჭრელსიტყვაობენ – ეს ჩვენი ლამაზი საქართველო დღითი დღე შაგრენის ტყავივით გვიპატარავდებაო!!!

კი მაგრამ, მაგას ვილას გასაგონადღა ბღავით?! შაგრენის ტყავს თავი დაანებეთ და ბარემ თქვენი თავისა თქვათ!.. თითოეულმა ჩვენგანმა სამშობლოს თუ თვალმოუშორებლივ არ ვუპატრონეთ და სულ მუცლების ამოყორვას გადავყევით, შაგრენის ტყავივით დაგვიპატარაონ კი არა, ერთ დღესაც საპნის ბუშტივით გაგვიქრება და ჩვენი სახსენებელიც ზედ მიჰყვება!.. მაგრამ სამშობლოსთვის ვისა სცალია?! ქართველი ხალხის მთელი ენერგია, გულისყური და თავგადადება ხომ სულ ამ ქეიფების ღელვიან სამზადისს, გამართვას, ზღვარდაუდებელ ღრეობას, ნაბახუსევიდან ხუთ-ექვსდღიან გამოსვლას, მერე იმავე ქეიფების გახსენებას, გარჩევას, მის ხოტბა-ქებას, ნატვრას, საქეიფო რიტორიკა-პათეტიკას და ისევ ახალ-ახალი ქეიფების მომზადება-გამართვასა და მსუნაგურ მოლოდინს ეწირება!!!

ქართველ კაცს ვერა და ვერ შეუგნია, რომ ის ღვთისგან საქეიფოდ კი არა, სამშობლოს მსახურებისთვის არის გაჩენილი!!!

ო, დღევანდელ ქართულ სუფრას როგორ კამკამა ჰაერივით სჭირდება დავით აღმაშენებლის, ჩინგიზ ხანის, პეტრე დიდისა თუ ნაპოლეონის მსგავსი ულმობელი რეფორმატორი!.. თუმც ესენი ვის რას მოუსმენენ და დაუჯერებენ?! არა, აქ რეფორმატორად არანაირი პიროვნება არ გამოდგება – არაფერი გამოუვა!!!

აქ მხოლოდ ერთადერთი რეფორმატორი გვიშველის – ერის გონს მოსვლა!!!

ოჰ, ერთი არა მინდა რა...“

– რა იყო, სადა ხარ?! – სიმხიარულით შეაფხიზლებდა ხოლმე

გვერდზე მჯდომი, – აბა, ჩაშუშული გადიღე!.. მალე მწვადიც მოვა!..

* * *

არა, ამ საახალწლო დღეებში გადაპატიჟ-გადმოპატიჟებისას მაინც ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყო! თუმც ყოველგვარ სიფრთხილეს ბოლოს აზრი ეკარგებოდა, ვინაიდან მის მიერ ნათქვამი თუ გამომჟღავნებული ჩვეულებრივი რამ – თვითონ საყოველთაოდ ცნობილი რომ ეგონა – ირგვლივ მყოფთათვის უცებ სასაცილო ან საჭორაო ხდებოდა და მერე პირიდან პირში გადადიოდა! ამიტომ მათთან ან სულ პირამოკერილი უნდა ყოფილიყავი, არადა, გულთან არაფერი მიგეტანა – ეცინათ და ეჭორავათ, რამდენიც უნდოდათ!

ოდესღაც მევლუდის მეუღლის, ქ-ნ ციცინოს დაბადების დღეს იხდიდნენ. შუა ივლისი იდგა – თბილისი გაუსაძლის პაპანაქებაში იხარშებოდა! აბა, რაღა გესწავლებათ – გამოწრთობილი „პურიმჭამლები“ მაცივარში ნადგამ ყინულივით ღვინოს ძაბრავდნენ, თან ყოველი გადაყლურწვისას დაატანდნენ ხოლმე – „იფ, იფ, იფ!“ მან კი ყინულწყალივით სასმელს პირი არ წააკარა და მხოლოდ ოთახის ტემპერატურის ღვინოს ნრუპავდა!

თანამეინახენი გაკვირვებას ვერ იმაგრებდნენ – ამ პაპანაქებაში „ჩაივით“ ღვინოს რას გასმევსო?!

მათი უცოდინარობით თავის მხრივ განცვიფრებული კითხული ყველაფერს ალალგულად მარტავდა, მაგრამ ვინ უჯერებდა – იმათ მაინც ის თავიანთი „იფ, იფ, იფ!“ ერჩიათ!..

ჰოდა, ენის მკრეფავი ქალების მიერ საახლობლოში აგორებული ჭორი მეუღლისთვისაც ჩაეწვეთებინათ: შენი ქმარი, ალბათ, ნაღვლის ბუშტს ან ღვიძლს იტკივებს და ჩაცივებული ღვინო სწყენს, ჩვენ კი გვიმალავთ – ნეტავი ეგ რა დასამალია?!. ღმერთმა ას წელს გიცოცხლოსო!..

– შენც რა მოგივიდა, – აუსლუკუნდა სავარძელში მიხუტებული მეუღლე, – როგორსაც სხვები სვამენ, შენც ისეთივე დალიე და მორჩი – ნუთუ გსიამოვნებს, პირში რომ გაგიჩრიან ხოლმე?!

– ძალიან! – ორჭოფულად მიუგო და აღელვებული ქალი

ფერება-ფერებით დაამშვიდა...

ეს რა არის, ეს კიდევ არაფერი!

* * *

მთაწმინდელი ნოდარი აღდგომის სწორზე თავისი პირველი შვილიშვილის, სამი წლის ნოდარიკოს ნათლობას იხდიდა. გლდანელი ქვისლის მიერ ტიბაანიდან ჩამოტანილ ქვევრის თავანკარა რქაწითელს სვამდნენ. ოჯახისთვის „ტრუსიკის ძმაკაცი", ხიდისთავიდან წამოსული მიშა ქორთიაშვილი ცოტა მოგვიანებით შემოემატათ.

ოკამთან მსუბუქი ავარია შემთხვეოდა – ოთხკარა „კოლხოზნიკს" წინა ფრთა შესტყლეჟოდა, ხოლო გადაქცეულ, ატენურით სავსე პლასტმასის ორმოცდაათლიტრიან ბალონს ყელთან ლურსმანი შერჭმოდა და ცოტაოდენი ღვინოც დაღვროდა!

სუფრიდან წამოშლილი სტუმრები ვრცელ ლოჯიაში მიხროვდნენ. დაბალ ჯორკოებზე ცალფეხშედგმულ ყველაზე ჯანღონიან ორ მამაკაცს მუხლებზე სიფრთხილით გადმოწვენილი ბალონი ყურებით საიმედოდ ეჭირა. ნალურსმიდან ბალონს ღვინო კვლავ გასწურწურებდა და მიდგმულ ხელადაში გროვდებოდა. მიცუცქული ნოდარი კი მუცლიან ძაბრს ორივე ხელით აწონასწორებდა, სასუნთქი რომ ჰქონოდა. დანარჩენი კაცები თვალხარბად მისჩერებოდნენ, ოცლიტრიან შტოფში ჩალისფერ ატენურს როგორ ჩაჰქონდა ჩქაფაჩქუფი!

ეს ჟამუღრანებიდანვე ცნობილია: ერთად შეყრილი, თანაც შეღვინიანებული მამრებისთვის სისულელეზე უფრო საამო მოსასმენი და შესასრულებელი არაფერია! ჰოდა...

– მოდი, ახლა ატენურზე გადავიდეთ! – ისიბრძნა ერთმა წარბებჩამობარდნილმა კაცმა, ღვინის ჩამოსხმა რომ დაამთავრეს.

აბა, ამის მოსმენაღა უნდოდათ – მაშინვე ყაყანით დაუკვერეს!

მან კი გამოიჩინა წინდაუხედაობა და სიტყვასიტყვით აი, რა თქვა.

– სასმლის არევა გვაზნევს!... თან ატენური ნამგზავრ-ნაჭანჭყარევი და დაღლილია! ჰოდა, ამაღამ დაისვენოს და ხვალ კიდევ ეგ დავლიოთ!

უეცრად ჩამოვარდნილი წამიერი სამარისებური სიჩუმე მოულოდნელად ისეთმა სიცილ-ხარხარმა და წივილნარევმა კისკისმა გააპო, ბებია მაშინვე საძინებლის კარს ეცა გამოსახურად – პაწია ნოდარიკო არ დამიბნედიანოთო!!!

კაცები ერთმანეთს ხალვათად შეჰხარხარებდნენ – აი, რა მოვისმინეთო!

ქალები მამაკაცებზე უფრო მეტად იფხრიწებოდნენ და ველარ ჩერდებოდნენ, ოღონდ პირზე ხელაფარებით: შეზარხოშებულ კაცებს ნამეტანი ყბამოღიავებულები რომ არ სჩვენებოდნენ, თორემ ვინ იცის, რა არ იფიქრონ – გაწყდა ამათი სინსილაო!..

საერთო სიცილ-კისკისი რომ ჩაცხრა, მათ წრეში ცნობილმა მოქეიფე-მოცეკვავემ, პედიატრ იზოლდას ქმარმა, გულთაზმა დანარჩენებს მხარდაჭერის იმედით გადახედა.

– დაღლილი რა, უღელში ნაბამი კამეჩია?!. ღვინო რამ უნდა დაღალოს?!.

ეს ისეთი მიამიტური კილო-გამომეტყველებით წაიხარხარა, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ წელანდელზე უფრო წრფელმა სიცილმა იფეთქა.

– ნაჭყაპურტევიო, თუ როგორა თქვით?! – უნდოდ შემოუტრიალდა გულნატკენი ღვინის ჩამომტანი და უხერხულად დადუმებულებს ეჭვმიტანილივით აულაპარაკდა. ზედვე ეტყობოდა, თითოეულ სიტყვას გულიდან იღებდა, – როგორ, ტრუსიკის ძმაკაცს წამხდარ ღვინოს ჩამოვუტანდი?!. მაშინ მოგიკვდეთ მიშა ქორთიაშვილი!.. ერთი უხადი ქვევრი ნოდარისთვის მქონდა გადანახული და წელან სწორედ ის დავხარჯე!

ორაზროვნად მოღიმარ ნორასა და იზოლდას შუა მდგარი მეუღლისკენ მზერა თავისით წაუვიდა. სვეკრული ქალი ნელ ცეცხლზე იხრუკებოდა, თან ცდილობდა, ეს არ დასტყოდოდა!

– აბა, ერთი ეგ „ნამგზავრ-დაღლილი“ ღვინო გამასინჯეთ! – დარბაისლურად ითხოვა მეორემ, განთქმულმა მსმელ-მჭამელმა გიგუშამ და სავსე ჩაის ჭიქა სულ ყლარწაყლურწით რომ ჩაისხა, პირისახეს ისე დაუწყო წვალება, შეუმცდარი ჭაშნაგირის იერი დასდებოდა, – მე ამას ვერაფერი შევატყვე დაღლისა!.. ამ ღვინოს დასვენება კი არა, სმა უნდა!!!

გიგუშას კვერდაკრულს წინ ვინ აღუდგებოდა – ისევ სუ-

ფრას მიაშურეს და თავ-თავიანთ ადგილებს ისეთი ფაცაფუცით იკავებდნენ, თითქოს გაცდენილი დროის ანაზღაურება სურთო! დაბმული ლხინი გაგრძელდა – ახლა ატენურზე გადავიდნენ!!!

იმასაც რა ექნა – პატარა ნოდარიკოს, მასპინძლისა და თანამეინახეების ხათრით თვითონაც ატენურს დაუწყო წრუპვა!

ზოგიერთი შუბლშეხურებული მამრი ჭიქას ძირს რომ აუკრავდა, თვალებს გადმოანათებდა ხოლმე – ატენური თუ მართლა დაღლილია, აბა, როგორ ჩადის რაკრაკითო?!

* * *

– **ტყუილად** კი არ გაგამასხარავა გულთაზმა! – შინ შესვლისთანავე ენაზე ნიორწყალი გადაისხა ცოლმა, – ღვინოც მართლა კამეჩი... ხბო... თუ ბავშვი ხომ არ არის, დაიღალოს!.. ან ვის გაუგონია ღვინის დასვენება?!. ღმერთო!.. – ქალს უეცრად ქვითინი აუვარდა და სავარძელთან რომ არ მდგარიყო, შეიძლება ძირს ისე დაცემულიყო, მეუღლეს ველარც მოესწრო ხელის შეშველება, – ერთი დაგენახა, რა სახეები ჰქონდათ!

– ვხედავდი.

– მით უმეტეს!.. რომ გავმქრალიყავი, ის მერჩია! – თითქოს თავისთვისღა სლუკუნებდა ცხვირსახოციან ხელში ცხვირჩარგული ქალი, – რამდენჯერ უნდა გთხოვო: ჯერ დაუკვირდი, რის თქმას აპირებ ხოლმე და მერე ისე...

– რის თქმას კი არა, ვისთან აპირებ-თქო, – მშვიდად შეაწყვეტინა ქმარმა, – ვისაც მელვინეობის ინჩიბინჩი გაეგება, ეს დიდი ხანია, ცნობილია: მოგზაურობისას ღვინო იღლება და ღირსება უქვეითდება! ამიტომ მერე ისევ რომ ალიდგინოს გემო, ფერი, ბუკეტი, არომატი და მთელი თავისი ბუნებრივი ღირსება, სულ მცირე, ერთი დღე-ღამე მაინც უნდა დაასვენონ!

– უიმე, ეს მაინც თავის „დასვენებას“ გაიძახის!.. ბარემ ისიც გესწავლებინა, რომელ ღვინოს რომელი კურორტი უხდება!.. თუმცა რა, შენ რაღაცას რომ აიჩემებ, მერე ხომ ველარავინ... – ქალს გაავებისაგან სახე ებღუნძებოდა, – ნამგზავრ ღვინოს რომ დასვენება უნდა, ეგ ვინა თქვა?!. ან სადა წერია – ერთი მეც წამაკითხე!

– რაკი ასე დაინტერესდი!

კაცმა თაროედიდან ვარაყფრქვეული წიგნი „ეტიუდები ღვინოზე“ გადმოიღო და ქალს საჭირო ადგილას გადაუშალა.

– აი, ბევრი ძებნა და კითხვა რომ არ დაგჭირდეს – მხოლოდ გახაზული ადგილებიც იკმარებს. – გულხმიერად განუმარტა და ტანსაცმლის გამოცვლას ზურგშექცევით შეუდგა, მოდარაჯე მზერას ქალი რომ არ შეებოჭა.

თითქმის ერთდროულად დაამთავრეს – ცოლმა კითხვა, ქმარმა ტანსაცმლის გამოცვლა. განაცრებული ქალი სავარძელში თითქოს ჩაკარგულიყო, თან ენასაც ძლივსღა იტრიალებდა.

– რა ვიცი... სულ ღვინის აქია აქვთ... ესენი ვართ... ისინი ვართო და!.. – ესეც ძლივს ამოღერღა, – მაშ, ეს... როგორ არ უნდა სცოდნოდათ?!

კაცმა არაფერი უპასუხა. სარკმელი გამოაღო და საგათენებო სიბნელეს თვალი უაზროდ გაუშტერა...

პატარა ნოდარიკოს ნათლობისას მისი ეს წამონაცდენი ენაზე დაიკერეს და მერე თუ სადმე წვეულება შეუხვდებოდათ, ხელს ცუღლუტური ღიმილით გადახვევდნენ ხოლმე.

– აბა, დღეს რომელი ღვინო ვსვათ – დაღლილი თუ დასვენებული?!. ხე-ხე-ხე!..

* * *

სმა კი, იცოცხლეთ, მართლა მაგარი იცოდნენ! ნამდვილი სატანჯველი იყო, ამათთანებთან მოწმესავით მჯდარიყავი და აღუშფოთებლად გეყურებინა, ერთმანეთთან გაჯიბრებული თითოეული მათგანი ყიზილბაშური მედიდურობით როდის ან როგორ ჩაისხამდა ხოლმე ხუთ-ექვს, რვა, ათ, თორმეტ, ცამეტ და მეტ ლიტრ ღვინოს! ნეტავი ამდენი სასმელი სად ჩასდიოდათ, როგორ ინელებდნენ ანდა გაოგნებული მაყურებლების მაინც რატო არ რცხვენოდათ! თუმცა რა სისულელეა – ვისიმე შერცხვენოდათ კი არა, თავ-თავიანთი კუჭის ტევადობა, გამძლეობა და გაუმაძღრობა ეამაყებოდათ კიდეც! როგორც გამორჩეული სპორტსმენი ოლიმპიურ თამაშებს, ისინიც ისე ელოდნენ ხოლმე სანატრელ ლხინ-ქეიფებს, სმაში მეტოქეები რომ დაეჯაბნათ და სახელი გაეთქვათ! მათ მიერ ვირეშმაკურად ჩაფიქრებული გამომწვევი დაცინვისთვის ზოგიერთის მსგავსად თვითონაც რომ

ვერ გაეძლო, აცეტებულიყო და სუპერკალიბრიან „გუსტავებს“ სმაში გასჯიბრებოდა, ეს ხომ დაახლოებით იგივე იქნებოდა, გამძვინვარებულ მუჰამედ ალის ან მაიკ ტაისონს რინგზე ძველბიჭურად ავარდნოდა!

არადა, მოსეირეები სულ მუდამ როგორ ოცნებობდნენ, სასმლის მხაპავ მარტორქათა ულმობელ რინგზე ბევრის მსგავსად თუგინდ ერთხელ ისიც ეხილათ ნოკაუტით გაშოტილი მთვრალი!.. ან თუგინდ უწმაწურობის მფრქვეველი... ვინმესთან წაჩხუბებული... ცოლს შეხირებული... უკანასკნელი სიტყვებით მანდილოსნების მაგინებელი... დასაბმელი... საკუთარ ნარწყევში მომაკვდავივით მოფართხალე...

ეჰ, სასმლით კაცის გაბრიყვებაზე ადვილი არაფერია, მაგრამ რა ექნა – ეს არ იყო მისი სტიქია და მოწოდება!.. თუმც სად გაექცეოდა ბუნებრივად შეკრულ საახლობლოთა წრეებს? ხსნა ესღა იყო – ყველაფერი მოთმინებითა და დიდსულოვნებით გადაეტანა! მაგრამ ამჯერად ამაზე წინასწარი ფიქრით თავის გაცხელება აღარ უნდოდა – წიგნის სარჩევი მაგნიტივით იზიდავდა!

საზენიტო არტილერია!

ჭაბუკობისას კინოქრონიკებში რა სუნთქვაშეკვრული უსმენდა ხოლმე გერმანიის სამრეწველო ქალაქების თავზე, პროჟექტორებით დასერილ ცაში პირველად გამოჩენილ „გათავხედებულ“ მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენების შეუპოვარ გუგუნს... საზენიტო ქვემეხების მწყობრ ბათქაბუთქს... სროლის თანმდევ მოკლე-მოკლე ნათებით წამიერად გაშუქებულ მუზარადიანი მეზენიტეების თავდაჯერებულ სახეებს... დედამიწისკენ ყირამალა წამოსულ ცეცხლმოდებულ ზოგიერთ ბომბდამშენს!.. საკვირველი იყო, როგორ ახერხებდნენ ამის გადაღებას!..

მაშინ მას მხოლოდ საზენიტო ქვემეხების მწყობრი რაკრაკი და მისი შედეგი უკუმშავდა გულს, რადგან ეს ყველაფერი მეტის-მეტად რომანტიკულად ეჩვენებოდა, ხოლო თვითონ საზენიტო ქვემეხების მონაცემების გაგება აზრადაც არ მოსდიოდა! თუგინდ მოსვლოდა კიდეც, ვინ რას ეტყოდა ან მივარდნილ სოფელში სად ამოიკითხავდა! ახლა კი!..

პირველი გერმანული საზენიტო ქვემეხი „FLAK-30“ 450 კგ-ს

იწონიდა. კალიბრი – 20 მმ. ჭურვის წონა – 0,675 კგ. სროლის ტემპი წუთში – 170 ჭურვი. სროლის სიშორე – 2500-3700 მ. ჭურვის ჯავშანგამტარობა 100 და 800 მეტრის მანძილიდან – შესაბამისად 23 და 11 მილიმეტრი...

საომარ მოქმედებათა კვალდაკვალ ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა 50, 55, 88, 105, 128, 150 მილიმეტრი კალიბრის საზენიტო ქვემეხები...

ომის მიწურულს „კრუპის" ფირმებში შექმნეს მთლიანად ელექტროფიცირებულ-ავტომატური საზენიტო სუპერქვემეხი „Герст-80" წონა – 32 000 კგ. კალიბრი – 238 მმ. ჭურვის წონა – 200 კგ. ჭურვის საწყისი სიჩქარე წამში – 1 200 მ. სროლის ტემპი – წუთში 9-10 ჭურვი. სროლის სიმაღლე – 36 000 მეტრი! მაგრამ ვაგლახ – როგორც ყველა საზენიტო ქვემეხიდან, ისე ამ ახალმოდური ქვემეხიდან ნასროლ ჭურვსაც მოცემული ნერტილისკენ მკაცრად განსაზღვრული მიმართულება ჰქონდა. ხოლო დიდი მანძილით დაშორებული სამიზნე კი ამასობაში კურსს იცვლიდა და პროფესიონალ მეზენიტეთა ძალისხმევა ხშირად არაეფექტური ხდებოდა.

ამრიგად, რაღაც ფანტასტიკური სიახლე იყო საჭირო და გერმანელი სამხედრო გამომგონებლებიც უკონტაქტო, დედამიწიდან მართვადი საზენიტო რაკეტების შექმნის გენიალურ იდეამდე მივიდნენ, სადაც თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყოდა რადიოლოკაციური სადგურები და გამოთვლითი ხელსაწყოები!

„აი, თურმე სად და როდის ჩაჰყრია საფუძველი სარაკეტო ერას!" – გულმა უაზრა და იგრძნო, უცნაურად აფორიაქებული, როგორ მოექცა შემოქმედებითი წყურვილის თავგამტაც ფრთებზე! ისიც მზად იყო, ამ აღმაფრენას ბოლომდე აჰყოლოდა და მხოლოდ მასზე ეფიქრა, მაგრამ კარს მომდგარი გადაბმული ლხინ-ქეიფებითა და მასთან დაკავშირებული ფაციფუცობით წინასწარ შეშინებული გონება აღარ უჯერებდა! მეტი რა ჩარა ჰქონდა – თვითონაც მონური მოთმინებით უნდა ეყურებინა საამდღეოდ მომზადებული მსხვილკალიბრიანი „გუსტავების" სმაში უშეღავათო შებმა-შეტაკებისა და შინ წასაღები შებრაწული გოჭის თავით გამარჯვებულის დაჯილდოებისთვის! თუმც მათი ბრუჟვის ცქერაზე უფრო დამთრგუნველი იყო გამორჩეულ მსმელთა ერთფეროვანი სახეები და ხანგრძლივი ქეიფისთვის თავშენახვის

ნაქანდაკევი გამომეტყველება!..

თავიდან დაწყებული ვითომ ჩვეულებრივი ქეიფი თანდათან აუტანელ ღრეობაში რომ გადაუვიდოდათ, მერე იწყებოდა, რაც იწყებოდა!

– ახლა ერთმანეთს ჩავეხუტოთ, რა!.. მართლა „ქრისტესმიერი და-ძმებივით“ ჩავეხუტოთ! – ბლუკუნებდა თავისი სათამადო ადგილიდან წამომდგარი, საახლობლოს უცვლელი ბელადი გიგუშა. მერე აბარბაცებული სუფრას შემოუვლიდა, თითოეულს ხბოს აღტაცებით იხუტებდა და ბუბნიდა. თან ერთმანეთში არეული დანარჩენებისგანაც იგივეს მოითხოვდა.

– საქართველოს გამთლიანებისა და ერთმანეთთან შერიგებისთვის ჩავეხუტოთ!.. აი, ეგრე, რა!.. ამასა გთხოვთ, სხვას კი არაფერს!..

უკანდაუხეველი გიგუშას მეოხებით აგერ, უკვე მერამდენე წელი ილეოდა, წრფელად, ხუმრულად, ვალმოსახდელად, ამრეზით, იძულებით, ცივად თუ საარშიყო მინიშნებით ვინ მოსთვლის, ერთმანეთს როგორ ეხვევ-ეხუტებოდნენ და კოცნაობდნენ, მაგრამ რა?!.

გიგუშას და კამპანიას არ ესმოდა, ასე წარამარა ერთმანეთს კი არა, საკუთარ სინდის-ნამუსს, სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებას, პირად პასუხისმგებლობას, ზომიერების ოქროს შუალედს, შრომისმოყვარეობას, შურგაუკარებლობას, კეთილგონიერებას, რწმენას უნდა ჩახუტებოდნენ! ისინი – კი...

სამზარეულოდან მომდინარე სატყეპელას ყრუ ბასტაბუსტი უფრო აფორიაქებდა და ახალნაყიდ წიგნში ამოკითხულ იარაღებისა და აქედან წარმოდგენილი ბრძოლების მინელებულ გაგრძელებად ეჩვენებოდა!

* * *

ვინ იცის, ახლა რა ამბავში იქნებოდა კაკალას ქმარი! ნებისმიერი ლხინ-წვეულების წინ ოჯახში იმოდენა სურსათ-სანოვაგეს შეზიდავდა ხოლმე, თუგინდ თამარ მეფისებურ ქორწილს გადაიხდიდი! მისი გაუხუნარი ოცნება ეს იყო: უაზრო სიუხვით ყველა დაეჩრდილა და განთქმული პურმარილიანი კაცის სახელი დაეგდო!

– აბა, როგორ?! – დასალხენად შეყრილი სტუმრების საამებლად ხელმწიფურად ბრძანებდა, – სუფრაზე ჩიტის რძეც უნდა მქონდეს!!!

ალექსანდრეს ამგვარი ბღენძვა მაშინვე გულს ამოუყირავებდა ხოლმე. თან თავს ძალას ატანდა, სახეზეც იგივე არ დასჩნეოდა, თორემ შეიძლება ეს შურიანობით აეხსნათ!

„ჩიტის რძე! – იზაფრებოდა იმედგამშრალი და მწარე-მწარე ფიქრები თავისთავად ულაგდებოდა, – დღეს ვინ არის ჩიტის რძის ღირსი – ქვეყანა დაღუპვის კარამდე მივიყვანეთ!.. ჩიტის რძე კი არა, პურის ნატეხი, ერთი ჯამი წყალტურტურა, ორიოდე ჭიქა ღვინო და რამე მისაჭმელი ღვთის წყალობად უნდა იყოს მიჩნეული!.. ცხრა ძმა ხერხეულიძესა და სამას არაგველს იმ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების წინა დღეებში ნეტავი ექნებოდათ, ელოდნენ ანდა აგონდებოდათ მაინც ჩიტის რძე თუ შემოსეულ მტერს მშიერი ლომებივით აკლავდნენ თავს?!.

1626 წლის ბაზალეთის ძმათამკვლელი ბრძოლა?!. ო, ღმერთო, მემატიანემ თვე და რიცხვიც კი ვერ შემოგვინახა – გვიანი შემოდგომის ცივი, ავდრიანი დღეები იდგა... ირგვლივ გუბეები და საფლობი იყოო... იმ თავსხმაში ნაბრძოლ, დალუმპულ დაჭრილ-დაჩეხილებს და უგზო-უკვლოდ ოტებულ უბედურებს ჩიტის რძე კი არა, ალბათ, არტაშანები, ერთი წაცხება მალამო და მუშტისოდენა ქუმელიც სანატრელი ექნებოდათ!

ეს ამოდენა მუქთამჭამელები კი ჩამწკრივდებიან ხოლმე და!..

ასპინძის ბრძოლა? ამ მხრივ ის უფრო ტანჯვიანი იქნებოდა!.. ჰმ, ამათ ამპარტავნულ სადღეგრძელოებში თავბრუდამხვევად ჟღერდა – ერეკლემ ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალედ გაიმარჯვაო! მართალია, გაიმარჯვა, მაგრამ...“

მაგიდიდან წამოუდგომლად შეეწოდა მეოთხე თაროს, ენციკლოპედიის ტომი ცოფმორევით გამოგლიჯა და „ასპინძის ბრძოლა“ მონახა. კარგად ნაცნობ სტატიაში საჭირო ადგილებს თვალგაკვრით დაუწყო კითხვა.

„... 1770 წლის მარტში სურამში რუსებისა და ქართველთა ჯარი შეერთდნენ... რუსთა სამხედრო რაზმს (1200 კაცი) გენ. გ. ტოტლებენი მეთაურობდა, ქართველთა ლაშქარს (დაახლ. 7 ათასი კაცი) ერეკლე II... 24 მარტს შეერთებული მხედრობა ბორ-

ჯომის ხეობით ახალციხისკენ დაიძრა და 14 აპრილს სადგერის ციხე აიღო... 17 აპრილს კი ალყა შემოარტყეს აწყურის ციხეს... 19 აპრილს ტოტლებენი თავის რაზმით მოულოდნელად უკან გაბრუნდა... 20 აპრილს ქართველები მტრის პირისპირ საბრძოლო წყობით განლაგდნენ..."

ენციკლოპედიის ტომი თავის ადგილას ხელაკვრით შეტენა და მოეჩვენა, თავის მიჩვეულ სკამზე კი არა, ნარის კონაზე იჯდა.

„ქართველთა შვიდიათასიანი ლაშქარი მტკვრის ხეობაში აგერ, მთელი თვე მოძრაობდა! – გონებაში გამომაფხიზლებელ ჭვალივით გაერჭო და მსუსხავი განსჯის მორევში ნაფოტივით დაატრიალა, – ამ მხარეს ჯერ ივლის-აგვისტოშიც როგორ გრილა ხოლმე, ადრე გაზაფხულზე კი რაღა იქნებოდა – ღამღამობით, ალბათ, ყინავდა კიდეც! ყინვაც თავისთვის იყოს! მტკვრის ხეობაში გამუდმებით მქროლავი ქარები?!. გაზაფხულის შხაპუნა წვიმები?!. კოხშინშხლა?!. თავით ფეხებამდე დალუმპულები, ნეტავი სად ან როგორ შრებ... თუ გაჟივებული ტანსაცმელი ზედვე აშრებოდათ?!. ან სად და როგორ ითენ-იღამებდნენ – ვინ ვის გვერდით ეგდო და თავის ნაბდიძველაში გამოხვეულს, როგორ ეძინა?! თანაც ერთი-ორი ღამე ხომ არ იყო – თვეზე მეტი!.. ესენი? თბილ ბინაში ღამით საბანი ოდნავ რომ მოუცურდეთ, მაშინვე კისერი უშუშდებათ, დილით კი უბნის ექიმთან გარბიან და ერთ პარკ წამლებს აწერინებენ! მერე მთელი თვე კისერშეხვეულები მობუზულან და ჯალაბის გულშესაწუხებლად ვახვახებენ!!!

ერეკლეს მეომრები? ისინიც ხომ ღვთის გაჩენილი ადამიანები იყვნენ – იმ ავსავალში, ავდრიანსა და ძაღლუმადური ღამის თევისას ვინ იცის, ვინ რა მოიტეხა, გაიბზარა, იღრძო, დაიჟეჟა, გაიჭრა, იტკინა!.. გაციება?!. კისრის გაშეშება?!. ყვითა?!. წელკავი?!. თიაქარი?!. უჩუხი?!. ტაბასტა?!. აყოლილი?! მუცლის გვრემა?!. სურდო?!. ფერდის ქარი?!. ციებ-ცხელება?!. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფაღარათი?!. ფაღარათიანს როგორ უნდა ევლო ან ემგზავრა და მით უმეტეს, ებრძოლა!.. ისინი მაინც არაფერს ეპუებოდნენ – მტერს უკანდაუხევლად ერკინებოდნენ, იხოცებოდნენ და იმარჯვებდნენ!..

ან მთელი თვე ხელ-პირს სად და როგორ იბანდნენ?!. საცვლები, აბანო?!. ჰმ! იმ სულკურთხეულებს იქ სუფთა საცვლებსა

და აბანოს ვინ მიაშავებდა ანდა აბანოში ნებივრობის წუთისოფელი სად ექნებოდათ, როცა წამისწამ სისხლისმღვრელი ბრძოლები ელოდათ!..

იმ ადრეულ გაზაფხულზე ნეტავი ცხენებს რას აჭმევდნენ ანდა თავად როგორ იკვებებოდნენ?! ლაშქარს ახლდებოდა კი ჯერისამებრ მომარაგებული აღალი და სრულყოფილად აღჭურვილი საველე სამზარეულოები, რომელთა ცხელ-ცხელი, საყუათო კერძები ყველას გასწვდებოდა?! თუ რაც თავ-თავიანთ გუდებსა და ხურჯინებში მოეძებნებოდათ ანდა მტრისაგან შევიწროებული გზისპირა სოფლების გაღატაკებული მკვიდრნი რასაც გამოიმეტებდნენ, კუჭს იმითი იტყუებდნენ?!. ჩიტის რძე კი არა, ნეტავი სამყოფი სასმელი წყალი მუდმივად თუ ექნებოდათ?!

მაშ, ამათ რა სჭირთ?! ეს მსხვილკალიბრიანი „პურიმჭამელები" როხი ქვისაგან გამოჩორკნილი ძეგლებივით რომ შემოუსხდებიან სუფრას, ქეიფ-ნადიმში დღე-ღამეც რომ გაილიოს, არც თვითონ იცვლიან ფეხს და არც სხვებს აცვლევინებენ, თავ-თავიანთი კუჭის ტევადობისა და გამძლეობისთვის ყველას რომ აყურებინონ!.. მერედა, ეს რა საყურებელია?! უზომო სმა-ჭამით ადამიანმა თავი როგორ უნდა მოიწონოს?! პირიქით, ღირსებიანი კაცი ღორმუცელობამდე არ დაეშვება, ხოლო თუ თავს ვეღარ მორევია, თავის გაუმაძღრობას დამალავს მაინც, ესენი კი საზოგადოებას თავსაც აწონებენ! ნუთუ ეს არის ამათნაირთა უმთავრესი მოწოდება და მისწრაფება?! არ ვიცი, არ ვიცი!..

დარიკოს ქმარს – ნიძლავზე ოთხმოცდაერთ ხინკალს შევჭამო! ჰოდა, ისინიც დანაძლევებოდნენ! რაზე? კარგით რა, ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილოები ხართ?! ვერ ხვდებით, ქართველები რაზე დანიძლავდებოდნენ – ისევ და ისევ ერთ „ხოშიან" პურ-მარილზე!!! მაგრამ სამოცდაშვიდზე მეტი ვერ შეეჭამა – ძალიან მსუყე შემომაპარეთო! იმ უბედურს ნაშუალამევს ნაწლავები ერთმანეთზე გადახლართვოდა და ექიმებსაც ვეღარაფერი ეშველათ! ანდა, რაღანაირად უშველიდნენ?!.

რაჟდენას ქვისლი? წლების მანძილზე უზომო ჭამა-სმისგან დაგროვილ საკუთარ ქონში რომ არ ჩამხრჩვალიყო, ორმოცდარვა წლის კაცს სიმსუქნის აღმოსაფხვრელად ბარიატრიული ოპერაცია გაუკეთეს: კუჭის რაღაც ბანდაჟირება, კუჭის საყელოსე-

ბური რეზექცია თუ კუჭის შუნტირება. მაგრამ რად გინდა – ოპერაციიდან შვიდი თვეც ველარ გაატანა! არადა, შესაშური აღნაგობისა და სიჯანსაღის პატრონს რა სჭირდა საიმისო – მხოლოდ სუფრასთან უკადრისი თავშეუკ...

მოულოდნელად საკუთარი მუცლის გაბმულმა ყურყურმა გამოაფხიზლა.

– სიკვდილის მათრახი!.. რა იყო?!

მუცლის ღურღური უფრო შეუპოვრად და თანაც ყველრებით განმეორდა – დღეს ჩემთვის სადილი არ გიჭმევიაო!

– სადილი კი არა, ვახშამსაც ვერ ელირსები! – მეამბოხე სტომაქს კბილებდაჭერით ჩაუღრინა, – ახალ ათასწლეულს ორივენი მჩატედ უნდა შევხვდეთ!

დატუქსულმა მუცელმა ყასიდად ერთი კიდევ გაიჭყრიალა – ნეტავი, ან მე რა მალაპარაკებს, არ ვიცი, რაცა ხარო და ხმა ჩაიწყვიტა. ის კი ისევ სულის შემხუთველმა მოგონებებმა ჩაითრია!..

გულნაზის ქმარი?! ერთ უმნიშვნელო წვეულებაზეც კი მისთვის თექვსმეტ-ჩვიდმეტი ლიტრი ღვინო რა იყო, არაფერი! ეს ყველა მასპინძელს უნდა სცოდნოდა და თადარიგიც საკადრისი დაეჭირა!!!

ნებისმიერ ლხინში ფალავნურად გამობრუჟული, მსუბუქ ავტომობილში რომ ველარ იკეცებოდა, წინდაწინ გაფრთხილებულ ნაცნობ ტაქსისტს გამოიძახებდნენ ხოლმე და შინ ღია „პიკაპზე" ბეჰემოთივით დაბმული მიჰყავდათ. ცოლ-შვილი კი სხვა, ჩვეულებრივი ტაქსით მიჰყვებოდა უკან! ზოგიერთის მსგავსად ისიც თავისივე ამონარწყევში რომ არ გაგუდულიყო, ცელოფნის პარკებით შემოფენილსა და დიდ-პატარა ტაშტებით შემომწკრივებულს, ღვედებითა და საბლებით საწოლში წამომჯდარს აბამდნენ! თან ცოლი და ქალიშვილები „სახელგავარდნილ" ოჯახისთავს ერთმანეთის მონაცვლეობით მთელი ღამე ბადრაგობდნენ!

ნათქვამია, კოკა წყლის გზაზე გატყდებაო! თანამეინახეებისგან ბოროტმოხარულად ნაქეზებულს – თუკი მოინდომებ, შენ ოც ლიტრზეც ახვალო, ჯანოს მეულლის, ჩარიტას დაბადების დღეზე როგორც თამადას, ოცი ლიტრი და ერთი ჩაის ჭიქა დაელია!.. მეზობლის კაცებიც რომ ვერაფერს გამხდარიყვნენ,

გადაღმა კორპუსში მცხოვრები, ავეჯის მაღაზიის ქურთი მტვირთავები გაელვიძებინათ და ეს მთლად გათიშული ნათამადარი მესამე სართულიდან როიალივით იმათ ჩაეტანათ და დაებათ „პიკაპზე“

შინაც, ბერკეტებითა და ჯაჭვიანი ელექტროჭოჭონაქებით აღჭურვილ მეზობლის ბიჭებს რის ვაი-ვაგლახით აეტანათ მეოთხე სართულზე!

დივანზე ფეხშეკეცით მიმჯდარ, დაღლილ-დაქანცულ ცოლს წასთვლემოდა, რუმბადქცეულ ქმარს კი ძილ-ღვიძლში იმდენი ებორგა, თოკები დაჰბოშებოდა, ლოგინში გაშოტილიყო და იმოდენა ამონარწყევს მოეგუდა!

ორადგილიანი საწოლი თავისი საბან-ლეიბებითა და თეთრეულით იმავე ღამეს მოშორებულ სანაგვეზე გაეტანინებინათ!..

გასვენებაში მოყვანილი რომელიღაც ანსამბლის ჩოხა-ახალუხიანი და წოპწოპაბოხოხიანი მედუდუკეთა დასტა განთქმული თამადისა და ტოლუპოვარი მსმელის სადიდებელ რაღაც სევდიან ბაიათებს გაიმღეროდა! გარდაცვლილის წამქეზებელ-თანამეინახეები კი მექელეხეებს თავების სვავისებური მიტრიალ-მოტრიალებით გადასცქეროდნენ – აი, რა მაგრები ვართ ქართველებიო!

კაცმა იგრძნო, გონება რომ გადაეინისლა.

„რა გვჭირს?!. რა ხდება?!. ჯერ საერთოდ და მით უმეტეს გვიანობისას, ძილის წინ ადამიანს ერთი პეშვი რაღაც მსუბუქი საჭმელი და ერთი ჭიქა ღვინოც ჰყოფნის, ეს მსხვილკალიბრიანები კი ამ მძიმე-მძიმე კერძებს ისე დააცხრებიან ხოლმე, თითქოს მთელი წლის ნამშევები არიან ანდა სასმელ-საჭმელს მალე ვეღარსად მოხვდებიან და აქლემებივით მარაგი უნდა აიღონო!.. მსუბუქი კერძებიო?! ჰმ! ქეიფში ერთი ფინჯანი ბულიონი, მწვანე სალათა და ერთი პეშვი მხალეული რომ იკმარო, საანეკდოტედ გაგხდიან! არა, მსხვილკალიბრიან „პურიმჭამლებთან“ სულ ჩასაბეტონებელი, საცოდავ კუჭში მკვიდრი გალავნის ასაგები კერძებია პატივში: ხაშლამა!.. მწვადი!.. ხინკალი!.. მუჟუჟი!.. კუპატი!.. ქაბაბი!.. „ოსტრი!“ ხაში!.. აპოხტი!.. საცივი!.. ყაურმა!.. ჩობან-ყაურმა!.. შებრაწული ვარია!.. გოჭი!.. ინდაური!.. ბატკანი!.. ჭედილა!.. ხბო!.. კამეჩი!.. ბიზონი!.. ზუბრი!.. სპილო!.. ან ერთხელად თხუთმეტი-ოცი ლიტრი ღვინო როგორ უნდა ჩაისხა – მართლა

აღარ არის მამრული ღირსება?! რა გამოდის? ათიოდე ამისთანა მსმელი ერთად რომ შეიყაროს, ხელმოკლე, თანაც ვიწროდ მცხოვრებმა თბილისელმა მასპინძელმა საიდან გააჩინოს ან სულაც სად დატიოს ორასიოდე ლიტრი ღვინო?!

რა არის ეს? ქვისხანისდროინდელთა ჯოგური თავაწყვეტილობა?!. ოჯახის დარბევის თურქულ-ყიზილბაშური ჟინიანობა?!. შენიღბული სიგიჟე თუ ცხოვრებაში ხელმოცარულთა თავგამოჩენის რეგვნული წყურვილი?!.

ვინ გიშლით მადლიან მოლხენას?! გაუბედურებული სამშობლოს დღევანდელი ვითარების, სახვალზეგიო საქმიანობისა და მოსუფრალთა ღირსების გათვალისწინებით რაცა გსურთ, ზომიერად ისიამოვნეთ, იმხიარულეთ, შეიტყვეთ ერთმანეთის ავანჩავანი და დროიანად დაამთავრეთ ნადიმ-წვეულება, მეორე დილით დასვენებული გულითა და ცინცხალი გონებით ხალისით რომ შეუდგეთ თქვენ თქვენს საქმიანობას! რა არის ამდენი... თქვე დალოცვილებო, ამდენ დროს ქეიფ-ღრეობებში ბუგავთ, აზრად კი არასოდეს მოგდით ზურგჩანთამოკიდებული თქვენი მოზარდები ერთხელ თბილისის შემოგარენში მაინც გაატაროთ და აჩვენოთ, სად მდებარეობს წოდორეთი... მსხალდიდი... მუხათწყარო... ბევრეთი... თხინვალა... ლელობი... ნახშირგორა... მაგრამ სხვებს რა უნდა აჩვენოთ, რაც თქვენც არ იცით და არც გაინტერესებთ!.. სწორედ ამიტომაც არის, ბევრი თბილისელი ახალგაზრდისთვის საქართველო გაბოლილი სამწვადე-სახინკლეებითაა შემოფარგლული!.."

მიხვდა, ამდენი შინაგანი კამათით თავს ტყუილად იღლიდა. უცებ ისე მოენატრა ადამიანის დანახვა და მასთან გამოლაპარაკება, გადაწყვიტა, მეუღლისთვის გაეხედა და რაღაცაში წახმარებოდა. მაგრამ ეს გუშინ დადებული პირობის დარღვევა და თავისებური სამზადისით გატაცებული დიასახლისის შემართების უპატიებელი შეფერხება გამოუვიდოდა!

გულმა მაინც ვერ მოუთმინა – სამზარეულოს ფეხმიპარვით მიადგა, კარი ოდნავ შეაღო და ცალი თვალით შეიჭვრიტა.

საწყალი ქალი თავის თავს აღარ ჰგავდა – დაუმთავრებელ სამზადისსა და სახვალიო საფიქრალს შთაენთქა!!! ფეხებდამოკლებულ პაწია მაგიდას წელმოკეცილად მისჯდომოდა და ცომს

გადაღლილი დიასახლისის მოწადინებით ზელდა. აქეთ-იქიდან პირმოკრული და პირმოხსნილი პატარა ტოპრაკები ეწყო. ფქვილიანი ხელი ქალმა უცებ ლოყაში შემოილაწუნა – გველნაკბენივით წამოხტა, გაზქურასთან გაჩნდა და ოთხიდან ერთ-ერთ, აქაფქაფებულ თაღლია ქვაბს სულზე მიუსწრო!!! ამონადულს უშნო ჩამჩით აუქარვა და გაზს ბოლომდე დაუწია. დანარჩენ ქვაბებსაც რიგრიგობით რომ ჩახედა და ერთ-ერთ მათგანში ყანჩის ნისკარტისებური ხის პინცეტით რაღაც შეამოწმა, ისევ ცომს მიუტრიალდა და ხელგაკვრით წაახვია. მერე იატაკზე, კედლის გასწვრივ ორმწკრივად ჩარაზმულ ქვაბებსა და ფაიფურის ბადიებს ისე ბეცურად ხდიდა და ისევ სარქვლავდა, აშკარა იყო – ველარ იხსენებდა, რაღაც რომელ მათგანში ჰქონდა შენახული!

მოღიაო კართან ქურდივით ატუზულ კაცს რისხვა მოერია – რატო მეც არ მიხმობს, რაღაცაში ცოტას მაინც ხომ წამიხმარებდაო... მაგრამ უმალ ჩახვდა – თავტანდაკარგულ მეუღლეს საგანგებო სამზადისი მხოლოდ თავის გემოზე, ქმრის მოსალოდნელი როყიო წინადადებებისა და შენიშვნების გარეშე ერჩია!

ქალი გაშტერებით განაგრძობდა რაღაცის ძებნას. როცა კარადის თავზე ეულად შემოდგმულ მინანქრის ყვავილებიან ქვაბში მიაგნო, სიხარულისა თუ გულმავიწყობის მიზეზით ლამის ატირებულიყო! ეს უბედურიც ნემსის ყუნწში გაძრომას ლამობდა, ხვალინდელ სუფრაზე კაკალასავით ჩიტის რძეც თუ ვერ ექნებოდა, სტუმრებთან ოდნავ მაინც გამოჩენილიყო!.. მერედა ვის შეუძლია განჭვრიტოს, რომელი შეზარხოშებული სტუმარი უცებ რომელ კერძს მოიგუნებებს! მაშინ რაც კი ქართული სამზარეულო კერძებს მოითვლის, სტუმრების საამებლად უკლებლივ ყველა უნდა მოამზადო!!! მერე, სად არის სამაგისო შესაძლებლობა, დრო, ხელი, მომზადების ილაჯი, ჯამ-ჭურჭელი ანდა დასატევი ადგილი?! ხოლო ზოგიერთი ორგუნება მოსუფრალი თუ მარტო ქართულ კერძებს არ დასჯერდა და რაიმე მსოფლიო სამზარეულოდანაც მოიპრიანა, მაშინ?!.

ო, ამ მუცლიმონებს არასდიდებით არ სურთ შეიგნონ, რომ ამდენი გაჭიანურებული ქეიფ-ღრეობებისას დანა-ჩანგლის ხარბი ტრიალით სამარეს ნაადრევად ითხრიან! მაშ, ეს კუჭდაუოკებელი რასა გადაიყვანე საალყო წესების ულუფაზე და მორჩი!!! მაშინ

ყველას უფრო მეტი დრო ექნება აზრიანი ცხოვრებისათვის... უფრო ჯანსაღი, მოხდენილები და ხალისით აღსავსენი იქნებიან!.. მაგრამ ეს ჩვენს წრეში რომ განვაცხადო, ყველას გიჟი ან სადისტი ვეგონები და სამუდამოდ თავს მოვიჭრი – ქართველურ ლხენა-ქეიფს გვიკრძალავსო!..

არა, უკვე გვიანია, ხალხს ვეღარაფერს შეასმენ – წელში უნდა გაწყდე და სტუმრებს ჩიტის რძეც გაუჩინო!... აბა, როგორ – სახელის განსათქმელად ერთჯერობაზე ვინ თხუთმეტი-ოცი ლიტრი ღვინო უნდა ჩაჭყაპოს!.. მავანმა მლხენელთა გასაცვიფრებლად შებრაწულ-შეხრაკული ბატკანი და ბურვაკი შესანსლოს!.. ვინ ასი ხინკ..."

თითებდამწვარი ქალის თავშეკავებულმა წამოკივლებამ და პარკეტზე დაცემული დანადუღარი ალუმინის ქვაბის საფარებლის შეჟღრიალებამ გული გადაუტრიალა. საწვეულო სამზადისს დასაკვდომად თავგადადებული მეუღლისადმი უცებ ზიზღი და გაუცხოება მოერია – ნეტავი ამდენს რას ეწამებაო! თუმც ზიზღიანი განცდა ახლა სიბრალულითა და თანაგრძნობით ჩაენაცვლა! ამ საწყალსაც რა ექნა – ასიათასობით ქართველი დიასახლისის მსგავსად ესეც დამახინჯებულ-გაქვავებული ადათ-წესების უიმედო მძევალი იყო!

ჰოდა, ახლა გამოუძახებლად რომ შესვლოდა, ამით მხოლოდ დაძაბულ შემართებას ჩაუქრობდა და რაიმე გაუთვალისწინებელი ჩავარდნა ან მარცხი შეიძლება მერე მისთვის გადმოებრალებინა, როგორც ეს საერთოდ, ქალებს მოსდგამთ ხოლმე!

თან სიმართლეს კიდევ ერთხელ გაუსწორა თვალი – შაჰის კარზე მძევლად გაგზავნილი ქეთევან დედოფლისა და მისი უმცროსი შვილიშვილის, ალექსანდრეს... შაჰაბასის ბრძანებით აყრილი და სპარსეთისაკენ გარეკილი ქართველების... სამკვდრო-სასიცოცხლო წინა დღეებში ცხრა ძმა ხერხეულიძის... ლეკების ტყვეობაში და ამ ტყვეობიდან თავდაღწეული დავით გურამიშვილის... კრწანისისკენ გამოსწრაფებული სამასი არაგველის სავარაუდო ულუფისადმი მოწიწების ნიშნად მისი ბუნება ვერ ჰგუობდა ადამიანის გამომათაყვანებელ ამგვარ კულინარიულ გაწამაწიას!

ოდნავ შეღებილი მსუბუქი კარი შიშით გამოიხურა და ჩაბნელებულ წინკარში უცებ რაღაცამ გაარინდა. „ნეტავი ამდენს

რაზე წვალობენ, – ელვასავით დაურბინა და თითქოს გონებაც აერია, – მაშინ როცა!.. მაშინ როცა!.. მაშინროცა!.. მაშინროცა!.. მაშ...“

უცებ მოეჩვენა, გიჟდებოდა!

შიშისაგან გულგადაქანებული, ფეხსაცმლის ტუმბოზე მოდამბლავებულივით დაებერტყა. ბინდბუნდადღა ხვდებოდა – აქ მეუღლის ხმობა იყო საჭირო, მაგრამ განძრევის ან დაძახების ნიათი აღარ შესწევდა... ნეტავი როგორი იქნება შეშლის წამები... მერე რას მოვიმოქმედებ... ან ეს წამები დამამახსოვრდება თუ არა?!. ანდა, ქალი როგორ მოიქცევაო, ესღა აძრწუნებდა.

გახურებული გონება კი ისე აგუგუნებდა აკვიატებულ სიტყვებს, ლამის საფეთქლები გამომტვრეოდა.

– მაშინ როცა!.. მაშინ როცა!.. მაშინროცა!.. მაშინროცა!.. მაშ...

დაუტეველი სიხარულის მომგვრელმა უეცარმა თვალახელამ კინაღამ გული ბუდიდან ამოუგდო, რადგან ელდისებური მიგნება თურმე ზედ მომდგარ გაგიჟებად მოსჩვენებოდა!

XX საუკუნის გასვლას რაღაც სამიოდე საათიღა რომ უკლდა, მიხვდა, ამდენ ფიქრს ასწლეულის სავალალო აღმოჩენამდე მიეყვანა!

რწმენის მომგვრელი სულიერი წონასწორობა თანდათან უბრუნდებოდა. ისევ საძინებელს მიაშურა და ბოლთის ცემას შეუდგა. თან საფიქრალიც უწყნარდებოდა და გასაოცარი სისადავით ულაგდებოდა.

„ფიროსმანი უკვდავი ქართული გენიააოო!.. ფიროსმანს ვეთაყვანებით!.. ფიროსმანს ვაღმერთებთ!.. ფიროსმანის გვესმისო! – იმედგამტყუნებით გაევლო გუნებაში, – ამათ თავიანთი უწვრთნელი კუჭის გარდა არავისიც არ ესმით!.. ხოლო თუ მართლა ესმით და აფასებენ, მაშინ რანაირადღა შეიძლება ფიროსმანის სადა, მადლიანი სუფრის ამსახველი გენიალური ნახატების პატრონი იყო და თავს მაინც ასეთი წრეგადასული სამზადისით იტანჯავდე?!. მაგასაც რომ თავი დავანებოთ, სად ფიროსმანის მოსუფრალთა ღვთისნიერი, ღირსებით აღბეჭდილი სახეები და სად უზომო სმა-ჭამისაგან მხეცურ-პათოლოგიურად დამახინჯებულ თანამედროვე მოქეიფეთა ფიზიონომები!.. ეს არის

ფიროსმანის გაგება და თაყვანისცემა?!. ოოო!.."

იგრძნო, ამ საგანზე საფიქრელად გონებამ აქ დასვა წერტილი. მაგიდას ისე მიუჯდა, როგორც ავიაგამანადგურებლის შტურვალს. წიგნს წაეწოდა და ალალბედად გადაშალა – ერთჯერადი გამოყენების ტანკსაწინააღმდეგო ნაღმსატყორცნი „ფაუსტპატრონა" ანუ როგორც სხვანაირადაც უწოდებდნენ „პანცერპატრონა"

მაშინ ნაყურები გერმანული კინოქრონიკიდან სამუდამოდ დაამახსოვრდა ამაღელვებელი კადრები: ამ ნაღმსატყორცნებით შეიარაღებული ფოლკსშტურმის გამოფიტული მოხუცები და ჰიტლერიუგენდის თორმეტ-ცამეტი წლის ქერაქოჩრიანი ბიჭუნები რა წარმოუდგენელი თავგანწირვით იცავდნენ ნანგრევებში მოტივტივე ბერლინის ყოველ მტკაველ მიწას!

არანაკლებ იხიბლებოდა ამ ზღაპრული იარაღითაც, მაგრამ მაშინ ან თუგინდ მოგვიანებით ვინ აუხსნიდა, რას წარმოადგენდა! ახლა კი შეეძლო, რამდენიც სურდა, იმდენი ეკითხა!.. თან წიგნი უკვე საკუთრება იყო!.. როცა რაიმე დააინტერესებდა ან დააეჭვებდა, გადმოიღებდა და სხვების ზღაპარნარევი მონათხრობის ნაცვლად ყველაფერს თვითონ შეამოწმებდა!

ნაღმსატყორცნი „ფაუსტპატრონა" ლაიფციგის ფირმის, „ნაზაგი" კონსტრუქტორებს შეექმნათ და 1943 წლის აგვისტოდან ფართოდ გამოიყენებოდა ყველა ფრონტზე.

ომის ბოლო ექვსი თვის მანძილზე მესამე რაიხის მრეწველობას 5 600 000 „ფაუსტპატრონა" დაემზადებინა. ამ იარაღის ათვისება რამდენიმე წუთში შეიძლებოდა. სხვადასხვა მოდიფიკაციის მიხედვით მისი წონა 2,7 კგ-დან 9,4 კგ-მდე ადიოდა. კალიბრი – 100-149 მმ. უშუალოდ ნაღმის წონა 0,70 გრამიდან 500 გრამამდე მერყეობდა. დამიზნებითი სროლის ეფექტი 60-დან 150 მეტრამდე იყო. კუმულაციური მოქმედების ნაღმი 30-150 მეტრი მანძილიდან ადვილად ხვრეტდა 320, 280, 140 მმ ფოლადის ჯავშანს და ცეცხლს აჩენდა!

„ფაუსტპატრონა" ტანკების ნამდვილ ღვთის რისხვას წარმოადგენდა. ბერლინის მისადგომებთან საბჭოთა ტანკების 30%-ს, ხოლო უშუალოდ ბერლინის ქუჩებში 70%-ზე მეტს სწორედ ამ იარაღით ანადგურებდნენ!

ოდესღაც ნანახი კინოქრონიკის კადრების ახლებურმა გახსენებამ უეცრად სტიქიური კუპლეტები მოიყოლა.

მახსოვს ის ძველი კინოქრონიკა,
როცა „ჩვენები“ ანგრევდნენ ბერლინს
და იქაური ბავშვების თავზე
ხარბად წიოდა რუსული ცელი!

განუკითხავად ბომბავდნენ ირგვლივ:
ტაძრებს... საცხობებს... სკოლებს... ვენახებს...
მე კი ფარულად უხმოდ ვტიროდი,
გვერდით ვინმეს რომ არ დავენახე!..

მთრგუნავდა ბრძოლა უთანასწორო,
სასას სიმწრისგან ეკვროდა ენა...
და გულს მირევდა ნანგრევთა ფონზე
ყბებგაბღენძილი ჟუკოვის ცქერა!..

როს გაუჭირდათ, ბავშვებს მიმართეს,
გამოიმეტეს კარლი და კურტი...
ვიხსენებ, იმ ერთს მღელვარებისგან
გვერდს მოჰქცეოდა კაპრალის ქუდი!

ძლივს მოათრევდნენ ტანკების რისხვას:
ახალ იარაღს – ნაღმსატყორცნ „Fay“ -ს
და ის ბავშვები სისხლით იცავდნენ
ყოველ ძეგლს... კორპუსს.. და დამშრალ აუზს!

ალმოდებული სახლის სარკმლიდან
როგორ წიოდა ნაზი სესილი,
ხოლო მისი ძმა – პატარა ჰანსი
შტრასეზე ეგდო თავგასრესილი!..

მახრჩობელა სულის ხუთვა იგრძნო. თავის ოჩანი ცხენისებური აქნევით მოიშორა გერმანული კინოქრონიკის მოგონებები, მაგრამ უფრო უარესი დაიმართა – ახლა საბჭოთა სამხედრო კინოქრონიკა

აელანდა და უთავბოლო სტროფებიც სეტყვასავით წამოუშინა.

„დამთავრდა ომი!“ – გვამცნო ქრონიკამ
აღსდგება ბუნდი... კრება... სეიმი...
და რაიხსტაგის ეზოს მოედო
გამარჯვებულთა შმაგი ზეიმი!

ო, ბრანდენბურგის დიდებულ სვეტებს
სირცხვილით თითქოს სდიოდა ხვითქი:
მათთვის უცხო და ველურ ცეკვას
თავხედურ სტვენით ბუქნავდა სკვითი!!!

იცეკვე, სკვითო, ღმერთმანი არ მშურს,
ვიცი, შენც ბევრი სისხლი დაღვარე,
რადგან შიშით და ძრწოლით გაჰყევი
ულვაშიანი ზევსის ნაღარებს!

მაშ, თქვენებურად დაითარეშეთ!
შარდით წაბილწეთ მდინარე შპრეე...
ყველგან დაჯღაბნეთ – „Я из...“, მერე
ციმბირის გზები აჩვენეთ ტყვეებს!..

ტყვიით დაცხრილეთ ლუდის კასრები,
(ო, ფრაუ ზელდამ ეს რაღა ნახა!!!),
კათხა რად გინდათ?! მიუჩოქეთ და
ჭავლს შეაგებეთ მონღოლის ხახა!..

ცხარედ ატირეთ ყველა ქალწული...
(რა შეგაჩერებთ ტყიურ ნაკაცრებს!)
და რაიხსტაგიც დიდხანს დაიჩნევს
რუსული ხიშტის უშნო ნაკაწრებს!!!

გაძარცვეთ ბინა... ქარხანა... გემი...
და ჩააფურთხეთ შიგ სულში ფრიცებს,
მაგრამ გახსოვდეთ, მალე მათ შესთხოვთ...
ძეხვის ნარჩენს და ერთჯერად შპრიცებს!!!

სახეზე მჟავე ღიმილმა გადაუარა – როდის იყო ლექსებსა ვწერდი... ან ეს რა ლექსებიაო!..

კიდევ შემოესმა მუცლის გაუბედავი ჭყურჭყური, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

უცებ ენაზე იკბინა – როგორ ვერ მოვიფიქრე, სანიშნო ადგილები სახაზავითა და პასტით ფაქიზად გამეხაზაო. მაგრამ მაშინვე აზრი გამოეცვალა – ასე ნაჩქარევად დახაზვა უეჭველად წუნს მოიყოლებდა!.. რამდენიმე წაკითხვის შემდეგ კი ყველაფერი ბუნებრივად დაულაგდებოდა – რა იყო გასახაზავი და რა არა!..

წიგნი მაგიდის უჯრაში შეინახა და სამზარეულოში გავიდა, მაგრამ მეუღლე იქ არ დახვდა. ქალი არც ლოჯიაში ჩანდა. ირგვლივ მიწყობილ-მოწყობილი იმოდენა ქვაბები და თავდახურული ფაიფურის ბადიები იქაურობას საახალწლოდ დანაღმულს ამსგავსებდა!!!

მეუღლე მისაღებში იპოვა – მაგიდაზე შემოდგმულ კაპრონის პანია, შვილის ბავშვობისდროინდელ ნაძვის ხეს მონდომებით რთავდა.

– მოგშივდა, შე საწყალო, – ქალმა მოფერებით მიმართა, – აი...

– შენ მაინც ისადილე?

– უჰ, არა!

– ყოჩაღ! – კაცმა გატეხილი ღიმილით წამოუპოტინა.

– აი, ამას მოვრჩები და სუფრასაც გავაწყობ!

– უნდა დავწვე!

ქალს მწვანე ბურთულა ხელში შეეყინა და თვალების გაგანიერებით იკითხა.

– როგორ, ახალ წელს არ შეხვდები?!

– ახალ წელს შენ შეხვდი!.. მე კი... სად წამივა – მე დილაზე შევხვდები!

ქალმა კარგად იცოდა, მეუღლე გულგრილად რომ იყო განწყობილი ყოველგვარი ოფიციალურისადმი, მაგრამ წყალწაღებულივით ხავსს ჩაეჭიდა.

– ის მაინც არ გაინტერესებს, საახალწლო სუფრასთან რომელ ტელეარხს ვინ ეყოლება მიწვეული და სად რა ითქმება?!

– მაგას ხვალ შენ უფრო გასაგებად მომიყვები, – უნიათოდ მიუგო კაცმა და მეუღლე ნაზად ჩაიხუტა, – ერთ სიკვდილს ვათ-

ავებ, მარტოკას რომ გტოვებ, მაგრამ... გთხოვ, მეც გამიგო...

– მაგას რა თხოვნა უნდა, ძვირფასო, – აუჩურჩულდა ქალი და თავისი ლოყა ქმრის ლოყას აუყოლა, – ერთმანეთს ჩვენც თუ ვერ გავუგებთ, მაშ, ვიღამ უნდა...

მათი ლოყები ერთიმეორეს ისე ეალერსებოდა, თითქოს ფაქიზ ხელსაფქვავს მიმავალი საუკუნის დარჩენილი წუთების ჩამოფქვა განუზრახავსო...

– აბა, წინასწარ გილოცავ დამდეგ ახალ წელს, – თქვა კაცმა და მეუღლეს შუბლზე აკოცა, – იქნებ...

– იმედია!..

კაცი ისე გაეშურა საძინებლისკენ, თითქოს მატარებელი აეძრო.

ქალმა კაპრონის ნაძვის ხის მორთვა განაგრძო...

* * *

კაცი ლოგინში რომ ჩაწვა, ისეთი შვებანარევი დაღლილობა იგრძნო, გაკვირდა – ან აქამდე ფეხზე რა მაჩერებდაო! არეული შთაბეჭდილებებით დამძიმებული, თან თითქოს ველარ გარკვეულიყო, სად იწვა: თავის ლოგინში თუ მარუხის... სტალინგრადის... კურსკის... ბრესტის... კარპატების... პომერანიის... არდენის დენთისსუნიან სანგრებში... ამნაირი ზმანებები უფრო აბრუებდა და თან ძილს აპარებდა!

მალე ჩაეძინა კიდეც! მაგრამ ვინ დააძინებდა – ჯერ თერთმეტის ნახევარიც არ გამხდარიყო, თბილისელებმა, ვისთვისაც უცხოა ინტელექტუალური მოთმინება და ერთსულოვნება, ისეთი არეული სროლა წამოიწყეს და თანდათან გაახშირეს, თითქოს მესამე მსოფლიო ომი დაიწყოო!!!

ძილ-ღვიძილში მოტივტივე კაცს ეს სულაც არ აწუხებდა – ჭკუამხიარულთა მიერ ნაადრევად ატეხილ ფუყე ბათქაბუთქში გამორჩეულად აგონდებოდა ოდესლაც კინოქრონიკიდან დამახსოვრებული გერმანული ტყვიამფრქვევის კოდალასებური კრიალი...

აბა, აქ რაღა დასამალია და როგორც მამრთა უმრავლესობა, ეს კრიჟაც ეჭვიანზე ეჭვიანი იყო – ცოლს რაღაზე არ აუხირდებოდა ხოლმე!

– მანდ ვის გადაჰყურებ? – ფეხმიპარვით მისული, ხმას უცებ ისე დაიბოხებდა, ქალს გული გადასტრიალებოდა, – ვის უყურებმეთქი?!

– ვის უნდა ვუყურებდე – ვერა ხედავ, მტვრის ტილოსა ვბერტყავ!

– მერე, მაგდენ ხანს? – კრიჟა მეუღლეს ჯერ ეჭვიანი მზერით გაბურღავდა, მერე სარკმელში გადაეკიდებოდა და მეხუთე სართულიდან თვალმოსავლებ მიდამოს ჩაძიებით ათვალიერებდა...

2001 წელს ორივენი უმუშევრები დარჩნენ. იმავე წელს ელისო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ბესო მერვე კლასში დადიოდა, თან ნორჩ ძალოსანთა სექციაში ჩაწერილიყო – მსოფლიოს სახელგანთქმული შტანგისტი უნდა გავხდეო!!!

ჰოდა, რაღა გესწავლებათ, როგორ გაუჭირდებოდათ!

უმუშევარ ოჯახს ცოტცოტაობით მაგულის ზოგიერთი თბილისელი მოკეთე ეხმარებოდა, თორემ ღმერთმა უწყის, თავს როგორ გაიტანდნენ! ამის მიუხედავად, კრიჟამ ეჭვიანობა მაინც ვერ მოიშალა! ანდა, რაღას უნდა მოეშლევინებინა – უფრო და უფრო უარესი ხდებოდა! მტრისას, თუ იმხელად ბავშვებიც შინ არ ტრიალებდნენ და ცოლ-ქმარი მარტოკა იყო.

ამ დროს კრიჟა ცოლის კაბაზე გამოკერებულს ემსგავსებოდა!

ეს კი მაგულის ნერვებს უწიწკნიდა!

– ნეტავი აქ რას წამომიწექი და შემომხვნეში! – წარბებს ინასკვავდა გაზაფხულის მზით შემთბარ ლოჯიაში საკერავ მანქანასთან მოფუსფუსე, მოკლეკომბინოიანი, ფეხშიშველა მაგული, დარღვეული კაბის დაზომება-გაბლანდვას რომ ეშურებოდა, – ხო ხედავ, მე არა მცალია – წადი, გადასახადები მაინც გადაიხადე!.. თან შაქარი და წიწიბურაც ამოიყოლე!..

კრიჟა აინუნშიც არაფერს იტარებდა. მეუღლის ხორცსავსე ბარძაყს ორივე ხელით სათუთად ბღუჯავდა და თვალს მკურნალი ექიმივით უშტერებდა.

– ე რამ ჩაგილურჯა?

– ჭირი რო გეცეს!.. – ეხლაღა დაინახე?! – მაგული უფრო ანჩხლდებოდა, თან ცდილობდა, ქმრისთვის ხელი გაეშვებინებინა, – ვერა და ვერ გადაგაადგილებინე მაცივარი და იმ სივიწროეში მაგიდის კუთხემ...

– მერე, სამგან?

– სამგან კი არა, რატო ათგანაც... გამიშვი ხელი!..

– შენ ვის ატყუებ, – კოპებს იკრავდა თავტანდაკარგული ქმარი და თან დათვურ ფათურზე გადადიოდა, – ვერ ვატყობ, ნათითრებია!

– ნათითრები არა, ნაფეხურები!.. თუ არადა, ეგეც შენი ნათი... ახლა ნერვები არ მომიშალო – დაიმოკლე ეგ ხელები!.. არ გესმის, კაცო?!

– მე კი მესმის, მაგრამ ამას არაფერი არ ესმის!

– უი, გაწყდა თქვენი სინსილა!.. ერთი ეს ოხერი კაბა დამაბლანდვინე!

– ეგ სად გაგექცევა!

– მე სადღა... თან სადაც არის, ბავშვებიც უნდა მოვიდნენ!

– ჰოდა...

– კაცო, რო ტიტვლდები, ფარდები გააფარე – კორპუსებიდან არ...

– მიდი, მიდი!

– უიმე!.. აბა, ნაჭრები მაინც მოტა...

– ეგე, ვერა ხედავ?!

– მომზადებული ყოფილხარ და!.. ოჰ, მაცალე ახლა – მე თვითონ! – ხმაგამოცვლით წაიტყოდა ფარხმალდაყრილი მაგული და ძაფიან ნემსს ხელსაქმეში გამოუბნევდა. მერე ამღგზნები ჭოჭმან-კრუსუნით აბლაბუდასავით იშორებდა კომბინოს, ბიუსტჰალტერს, საცვალს და გატიტვლებულ-გაბოტილი ქმრის ნიშნებისამებრ მკვიდრ ტახტზე მუხლებითა და იდაყვებით დაბჯენილი, გამომწვევად უშვერდა მინანქრის ბორცვებს, რომელთა სიღრმეში ჩამალული, შეხუჭუჭებული ნაპრალ-სამიზნე მამრის

ყოველგვარ ეჭვსა და ვნებათაღელვას თხელი ნისლის ფარტენა-სავით ჩაისრუტაყდა ხოლმე!

* * *

გაჭირვებაში მომწყვდეულ ოჯახს მოულოდნელად იღბალმა გაუჭრა.

მაგულის ინსტიტუტელი დაქალი, თავდანებებული ისაბელა შპატანაშვილი თავისმა ახალმა საყვარელმა, ზოზო კონდახიშვილმა ახალდაარსებულ ფირმაში საქმის მწარმოებლად დაიყენა. ისაბელამ კი ცოტა მოგვიანებით ზოზოს ეს მაგული ერთ-ერთი დილერის, შმაგი აღნემაშვილის თანაშემწედ დაანიშვნინა, ოღონდ ჯერ გამოცდის ვადით – ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, „როგორ ჩაივლიდა რეკრუტინგი"[1]

ფირმა „კონდახი" თბილისთან ახლომდებარე რაიონებში ყოველგვარ საკვებ პროდუქტს წონითა თუ კალათობით ყოველდღე ყიდულობდა და დედაქალაქის პარტნიორ ობიექტებს შეუფერხებლივ ამარაგებდა!

ხასიათმოუტეხელ სოფლელებთან ურთიერთობისას მაგულიმ ისეთი მოთმინება, გულისხმიერება და საზრიანობა გამოავლინა, ეს თანამშრომლების სალაპარაკო გახდა და ფირმასაც დაეტყო. მალე საქმე იქამდე მივიდა, სოფლის ნებისმიერ ოჯახთან პროდუქტების დამზადება-მოწოდების პირობების ზეპირი შეთანხმება მაგულის გარეშე აღარ ხდებოდა!

ფირმის გენერალურმა დირექტორმა მაგული უფროს დილერად გადაიყვანა და ხელფასი ორას ორმოცდაათი ლარით გაუზარდა.

ჩარაგაწყვეტილმა ოჯახმა ახლა კი ამოისუნთქა. ელისოს ჯერ დემისეზონური პალტო, მერე კი ოქროს საყურეებიც უყიდეს. ბესოს – შტანგის დისკოები და პაკისტანური ფირმის „MATSA" სამჭიდელის სარტყელი. თვითონ მაგულიმ ყელმოქარგული ჩექმები შეიძინა, ქმარს კი თავის მიერვე ამორჩეული ახალთახალი თბილი ქურთუკი „HELLY HANSEN" -ი მოუტანა... მამაპაპური სქელძირა ტაფაც გადააგდეს (თუმც მერე მწარედ ინანეს!!!) და „ვესტელის" კოპწია, გამჭვირვალესაფარებლიანი ტაფუკელა დაიდგეს!

---

1 **რეკრუტინგი** (ინგლ.) – ვინმეს შერჩევა, სამსახურში დაქირავება სათანადო ანაზღაურებითა და გამოცდის ვადით.

სასმელ-საჭმელს ნულარ იკითხავთ – თავზე საყრელი აქვთ! დუშეთიდან ჩამოტანილ ახალშედღვებილ კარაქს ბესო ისე შეეთვისა, ფაფასავით სადილის კოვზით ჭამდა!

– წონაში უნდა მოვიმატო, თორემ! – ჩამუქარობდა პირგამოტენილი მომავალი მსოფლიო ჩემპიონი, – აკვრაში პირველი ვარ, მაგრამ ატაცში ჯერ ჯუხუ იზორია მჯობნის!..

ბორჯგადგმულმა ეჭვიანობამ კრიჟა უფრო უარეს დღეში ჩააგდო. სიცოცხლე უმწარდებოდა, დილდილაობით „კონდახის" ხან რანაირსიფათიანი და ხან რანაირსიფათიანი „შებერტყილი დედაბოზი" პაროლისებური მოსიგნალებით მაყარივით რომ შემოქროლდებოდა ხოლმე მათ ეზოში. მერე აივნებზე საამისოდ გადმოყრდნობილი კორპუსელების თვალწინ მის ცოლს ანუ ფირმის უფროს დილერს დახურული „პიკაპის" კაბინაში პატარძალივით მოუთმენლად ისვამდნენ და ვითომც აქ არაფერიაო, იალა – მცხეთა!.. მარნეული!.. კასპი!.. თიანეთი!.. ასურეთი!.. დუშეთი!.. თეთრიწყარო!.. მანგლისი!.. აბა, როგორ გინდათ – სულ დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას რომ გაიძახოდით, ასეთია საბაზრო ეკონომიკა და ფირმის ბიზნესინტერესები!

არა, კრიჟასაც ესმის – მომწოდებელ-შემკვეთები რომ არ დააღალატონ, დროიანად უნდა გამოზიდონ შესახელებული რძის ნაწარმი... კვერცხი... იმოდენა ხილ-ბოსტნეული... ახალთახალი ხორცი... თაფლი... სოკო... საწებელი... მაგრამ... მაგრამ ვიღაც ჯიბიდან გავარდნილი პირშმაგი არამზადა, დამხრჩვალი კატაც რომ არ ენდობა, სხვის ცოლს რას დაუხვალიებს – ლაყაფით გააბრუებს, ამხელა გზაზე შეუხვევს ტყეში და!... ტყეში შეხვევაც არ უნდა: სადმე გადააყენებს, თავს დააღუნვინებს და პირდაპირ კაბინაშივე... ოოო!..

კრიჟას ბოლო ხანს შიში დასჩემდა – ამგვარი სურათების წარმოდგენას ჭკუიდან არ შეეშალა ან გააფთრებული, თუმც ყოველთვის უშედეგო კამათისას ცოლი არ შემოჰკვდომოდა!.. მაგრამ შვილები?!. ამიტომ გამოუვალი სატანჯველი ისევ საბჭოთა წეს-წყობილებასა და მაშინდელ გასტრონომს ანატრებდა!

მართლაც, ავი იყო თუ კარგი, ყველაფერი რა უბრალოდ ჰქონდათ აწყობილი: გასტრონომი, გასტრონომის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბულალტერი, სექციის გამგეები,

გამყიდველები, მუშები და დამლაგებელი! მომარაგებით კი ყველაფერს თვითონ მთავრობა ამარაგებდა!!! რითი იყო ცუდი?! შეხვიდოდი და რაც გინდოდა... უფრო სწორედ, რაც ექნებოდათ, იყიდიდი და მორჩა!

უბედურ კრიჟას თან ყურში უწმაწურ სიტყვებზე უარესად ეწვეთებოდა და ნერვებს უავადებდა ცოლის მიერ სამსახურიდან მატრაკვეცული თავმოწონებით მოტანილი ახალ-ახალი ინგლისური სიტყვები: ბროკერი... ბროკერაჟი... დილერი... ბაიდაუნი... დისტრიბუტორი... ადვაიზერი... ტრენინგი... რეკრუტანტი... რეკრუტინგი... ავანტაჟი... ტოლინგი... ტრეიდერი... ტრეიდინგი... ბაკეტინგი...

არადა, რა დაეწუნებოდა ქართულ სიტყვებს – ვაჭარი... დიდვაჭარი... ქორვაჭარი... სოვდაგარი... ჩუბაჩი... გადამყიდველი... ფეხზე მოვაჭრე... მეწვრილმანე... მევახშე... ჩოდარი... შუამავალი... სირაჯი... დალალი... ხამარი... ბაყალი... მოგება... წაგება... ზარალი... სარფა... ხეირი... თავნი... სართი...

ღმერთო, ყველაფერი თითქოს კრიჟას საწამებლად იყრიდა თავს! არა, ახლა მაინც რამ გაახსენა ოცდახუთიოდე წლის უკან, სტუდენტობისას უბის წიგნაკში თავგასართობად ჩაწერილი რომელილაც ეპოქის ესპანელი პოეტის, ფრანსისკო დე ლა როსას ერთადერთი სტროფი. გულცხელზე ძლივსღა მიაგნო მაშინდელ უბის წიგნაკს და ისეთი გულმოდგინებით ამოიწერა, თითქოს ეს რამესღა უშველიდა!

ეს რა მადა აქვთ ამ წყეულ ბრიტებს!
ასეთი მადა ავსა და ბოროტს:
ისე ყლაპავენ მარცვლებს და სიტყვებს,
ქვეყნიერებას შეჭამენ ბოლოს!

ჰმ! ეს გაიძვერა ინგლისელები ცხვრის ინფექციურ სენს – მკრეჭავ მუნს დამსგავსებული თავიანთი ენით სანამ სხვა ენებს მთლად არ გადაჭამენ და ქვეყნიერებაზე საკუთარ დუდღუნა ენას არ გააბატონებენ, მანამ არ მოისვენებენ!... იაპონიას რას ემართლებოდნენ?! იაპონიაში კი არა, რაც ქვეყნად ატომური ბომბებია, სულ ინგლისში უნდა ჩამოყარონ – მსოფლიო იქნებ

გადარჩენილიყო მათი საზარელი ენობრივი ძალადობისაგან!..

ეჰ, მაინც რა დალაგებული ცხოვრება იყო მაშინ – კაცი კაცობდა, ქალი ქალობდა!.. არა, განა მაშინ კი არა ხდებოდა რა! უჰ, რამდენიც გინდა – შენ ქალს მოარჯულებ და მოიარშიებ?! მაგრამ რა შედარებაა! მტრისას, რასაც ახლა ამ ვითომდა დამოუკიდებლობითა და დემოკრატობანობით ლაგამწაყრილი ქალები ბედავენ!.. უუუხ!.. ქალი, თანაც ქმარშვილიანი, რა მიგდია, დილერობას აშაღლარულად ამოფარებული, დილიდან დაღამებამდე ფირმის „შებერტყილ დედაბოზებთან" რიგრიგობით დააშლაპუნებს სოფელ-სოფელ!.. ფერმებში!.. ტყე-ტყე!.. სასაკლაოებზე!.. ვიღაცეების ბაღ-ბოსტნებში!.. იალაღებზე!.. წადი და სდიე, ვისთან რას აკეთებს!.. მაგულის დილით ერთი ფეხი ჯერ ისევ თბილისში რომ აქვს ხოლმე, მეორე ფეხი უკვე თიანეთში უდგას! ჰმ, კაი საყურებელი კი იქნება ჯვრის მონასტრიდან!.. მორჩა, ყელში ამაზე მეტი აღარ ჩასდის!.. ველარც ქვეშქვეშა მეზობლების ქვეწარმავლურ შემოხედვასა და მათ ორაზროვან გამომეტყველებას უძლებს – ვითომ თვითონ მამა აბრამის ბატკნები იყვნენ!.. დაიცა, საღამოზე მოეთრეს აქა!..

ყოველ საღამოს ხომ ჯერ ისედაც, ხოლო თუ დაუხანდა კიდეც, დაღლილ, მაგრამ თავისი დღიური საქმიანობით ნასიამოვნებ და თან სანოვაგით დატვირთულ ცოლს რომ მოუყვანს ხოლმე „კონდახის" რომელიმე „შებერტყილი დედაბოზი", ასაღრენად აკანკალებულ კრიჟას ძალიანაც რომ ეწადოს თავშემაგრება, მთელი დღის ნაგროვები ეჭვი და ბალღამი თავისდა უნებურად ამოელვრება ხოლმე.

– ეგ ვიღა იყო – გზადაგზა კაი დრო ატარეთ?

მკლავებჩამოდამბლავებულ მაგულის მძიმე ჩანთები თავისით გაეშვა და მაცივრის კიდეს დაჭრილივით ჩამოებჯინა.

– შე უღმერთოვ, ერთი არ შემომიყვან?! – ნერწყვგამშრალ ქალს გაბზარულ ხმაში ცრემლი გაერია, – ან შენ თვითონ როგორ არ გბეზრდება ყოველ საღამოს ერთი და იგივე, ერთი და იგივე! ხომ არ უნდა გამაგიჟო?!. იმის მაგიერ შუბლგახსნილი დამხვდე და ჩანთები მაინც ჩა...

– სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ!.. ვინ იყო-მეთქი, გეკითხები!.. კაი დრო გატარებინა?!

– რას ბოდავ, შე მართლა უსინდისოვ!.. ეგ ჩვენი ფირმის ადვაიზერია... თან ისაბელას ალალი მამიდაშვილი!

ამგვარმა პასუხმა კრიჟა შეშლილს დაამსგავსა.

– ო, ქალის მზაკვრულმა მსჯელობამ კაცი შეიძლება ჭკუიდან გადაიყვანოს! – დანჟღრეული ხმით დაიხავლა და ცოლს ორივე ხელით ყელ-კისერში მსუბუქად სწვდა, სასურველ მანძილზე რომ ეყოლიებინა. მერე მოულოდნელად გასაკვირი მორბილებით ჩამოუმარცვლა, – შენგან არაფრის გაგება აღარ მინდა!.. რაც გინდა, ის გიქნიათ!.. ოღონდ მარტო აი, ამ ერთადერთ კითხვაზე გამეცი პასუხი: ვილაც პირშმაგ ოხერ-ტიალს ფირმის ადვაიზერობა და ნათრევი ისაბელას მამიდაშვილობა რა ხელს შეუშლის, გადაგიყვანოს ტყეში და...

– ოი, შე გაოხრებულო!.. ვინ უნდა... გამიშვი ხელი!.. ოი, შე გათახსირებულო! რა...

– ვინა, მე ვარ გათახსირებული, მე?!. გაღმა მედავები, არა, გამოღმა რო...

– რაც გაღმა ყოფილხარ, გამოღმაც თურმე ისა ხარ!.. ჰმ! ეგ ისაბელამ ან ვეფხომ რომ გაგიგოს...

– ძირში არავის მოსჭამოს ერთმაცა და მეორემაც!

– ფუჰ, რა ყიამყრალი გახდი!.. რამდენჯერ უნდა გითხრა – იმკურნალე-მეთქი, შე უბედურო!

– რა მჭირს სამკურნალო, შე მართლა...

– ჰმ, ვერ უყურებ, რა უფიქრია ჩემს თანამშრომელზე!

– „ჩემს თანამშრომელზე!“ – მამრული ტუჩაპრუწვით გამოაჯავრა გაფრანგებულმა კრიჟამ, – თუ ვიეჭვიანებ, ცხადია, „შენს თანამშრომლებზე“ ვიეჭვიანებ, დილიდან დაღამებამდე ტყე-ღრეში რომ დაგატარებენ, თორემ, აბა, ამერიკელ კონგრესმენსა თუ მეირმე ჩუქჩაზე ხო არ ვიეჭვიანებ?!. რა, არ იცი, ეს როგორც ხდება ხოლმე?!

– უიმე, ამან სულ გააფრინა!.. მე რა ვიცი... მე საიდან უნდა ვიცოდე, ეგ როგორ ხდება?!. ეგ თურმე შენა გცოდნია და ეგე, აკი წამოგცდა კიდეც!

– უუუ! – წამოიყმუვლა კრიჟამ, – ქალს ლაპარაკში აჯობებ – ამათ ხომ ყველაფერზე წინდაწინვე მოფიქრებული პასუხები აქვთ!

– აბა, აბა! პირდაპირ ბლოკნოტებში გვაქვს ჩამოწიკწიკებუ-

ლი! – ღიმილდაუფარავად მოუჭრა მაგულიმ და ხმა გაირბილა, – რა მოგივიდა, შე ოხერო, მართლა ვირის ტვინი გაჭამეს?!. თუმცა რა – კაცი რაღაცას რეგვნულად რომ ჩაიგონებს, მერე იმას ხომ ველარავინ გადააფიქრებინებს!

მაგულიმ ძლივს მოიბრუნა სული.

– კარგი, აღარ დავეძებ, თავშიც ქვა გიხლია, რაც შენა გგონია თუ გეჩვენება, ყველაფერი მართალია! მაშინ მითხარი, როგორ მოვიქცე – ფირმას თავი დავანებო და შვილები შიმშილით დავხოცო, ჰა?!. რაღა ჭირი და ნაცარცხელი გინდა, ხო ხედავ, მთელ ოჯახს მე ვინახავ!!!

– მერე, მაგის სანაცვლოდ...

– რა „მაგის სანაცვლოდ“ ... რა „მაგის სანაცვლოდ“, შე გაოხრებულო! – მაგულიმ გასისინებით მიაყარა, – მითხარი, რა გაკლია?! რაც ფირმაში მუშაობა დავიწყე, ქვაცა გაქვს და კაკალიც!.. თუ არ გინდა და წადი ჩემი სახლიდან!!!

– მაგით მაშინებ?! – კბილების მოკრაჭუნებით ეკვეთა კრიჟა, – წავალ, მაგრამ იცოდე, არ გაგახარებ!

ამ დროს მაგული გულს აიჩვილებს ხოლმე და ხმას მოითაფლავს.

– ტკბილად თუ არ მომექცევი, სიცოცხლეს მაინც ნუღარ მიშხამებ!.. ვერ ატყობ, თავს რომ იუბედურებ და მეც მაუბედურებ!.. კაცი არა ხარ, ერთი ბეწო კაცური ცოდვა-მადლი როგორ არ უნდა გეცხოს?!. დაღლილ-დაქანცული შემოვალ და სულ შეკრული შუბლით მხვდები!

– არა, ბიჭო!..

– ან წეღან რას ჰგავდა შენი საქციელი: ღია სარკმელში დაგინახე, ფარდას ჯაშუშივით ამოფარებული რომ გადმოიმზირებოდი! შენც დაინახე, რომ დაგინახე და ხელი დაგიქნიე, ჩამომეშველე-მეთქი!.. ერთი სიტყვით, დაინახე, რომ მოვედი!

– არ კი მოხვედი, მოგიყვანეს!!!

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, როცა...

– ჩემთვის აქვს!!! აქვს!!! აქვს!!! აქვ...

– თან იცოდი, ლიფტიც გაფუჭებულიყო! ლიფტამდეც ვეფხომ...

– ვეფხო და ვეფხო!.. ვეფხო არა, მგელო!

– დიახაც, ვეფხო! შენ კი არა გგავს – ისეთი ყურადღებიანია, ისეთი...

– რატო არ იქნება, რა!!!

– უუუ, თვალებს როგო მსუნაგურად აციმციმებ, შე... არ ვიცი, ახლა რას ჩავიდენ!.. ამ სიმძიმე ჩანთებს შენ როგორ მოერევი, მე აგატანინებო! მე ვუთხარი, სარკმელში ქმარს ვანიშნე და ის ჩამომეშველება-მეთქი!.. მაგრამ მე უბედურს სადა მყავს ქმარი?!. ვაი ასეთ...

– „კონდახში" ქმრების მეტს რას იშოვიდი!.. „კონდახი!" კიდევ ერთი ლულაც ხომ არავისთვის გჭირდებათ?

– ოჰ, შე გათახსირებულო!. ახლა კი მართლა ამოგწინწკნი მაგ თვალებს!

– გაიწი იქით!... გაიწიე-მეთქი, ქალო, თორემ...

მოულოდნელად შემოსასვლელი კარი დაჯახუნდა. ერთმანეთისკენ გაავებით წაწეული მოპაექრები უმალ დაშორიშორდნენ. მაგულიმ ცალ მუხლზე კვნესით წაიჩოქა და ჩანთებიდან მაცივარში რძის ორლიტრიანი „ნატახტარის" ბოთლების, ხაჭოს, ყველის, კარაქისა და ხორცის შელაგებას შეუდგა. თან ცდილობდა, წამოჭეხებული პირისახე მაცივრის კარისთვის ამოეფარებინა.

კრიჟამ წვრილმანი სახელოსნო იარაღების ყუთს ყასიდად დაუწყო ქექვა.

სამზარეულოში რჯულზე ნავარჯიშევი, ფეხზე გახდილი ბესო შემოვარდა.

– დედი, დედი!.. იქითა შაბათს შტანგისტი ძმაკაცები უნდა მოვლალო და... თიანეთიდან რკოზე გაზრდილი ბურვაკი ცოცხლად ჩამოგვიყვანე – აქ ჩანკას მამა დაგვიკლავს!

კრიჟას თავ-პირი მოეხრუშა.

– ჩანკას მამა რად გინდათ – აქ არა ვარ!!!

– ოჰ, შენ რის დამკვლელი ხარ!

– ფუჰ, თქვენი! – ოჯახისთავი წინკარში აღრენილი გავარდა და კარი შურმაძიებლურად გაიჯახუნა.

* * *

დილაა და საღამოზე უარესი!

ბავშვები ერთმანეთის მიყოლებით შინიდან როგორც კი გაესწრაფებიან, ბოღმამორეული კრიჟა სააბაზანოში შეკეტილ მეუღლეს რომელიმე სადგურს მიახლოებული მატარებლის კონდუქტორივით მკვახედ უკაკუნებს.

– ჰა, მაგდენ ხანს მანდ რას აკეთებ?

სააბაზანოდან თავგამოყოფილ მაგულის შეურაცხყოფისაგან ტუჩები ებრიცება.

– რა იყო?!. მოვრჩი, მოვრჩი!. მიდი, შედი!

– მანდ რა მინდა?! – ბაიყუშურად პასუხობს კრიჟა, – ერთი იგრე ემზადები... იტყვი, პირველი ღამე უნდა...

– უიმე, რა შუაშია აქ პირველი ღამე?!. სულ ამგვარი რამეები როგორ გელანდება!.. თავი არ მოვიწესრიგო – აბა, სუნი ამდიოდეს და...

– სუნი?! – კრიჟამ ცოლს კბილებდაჭერით მაშინვე სიტყვა ჩაათქმევინა და უშნოდ დაეძიძგილავა, პირი საძილე ოთახისკენ რომ ექნევინებინა, – მიდი!

– გაგიჟდი?!. არა!.. თუ რამე გინდოდა, წუხელ სად... რა დროს ახლა ეგ არის – სადაცაა მომიპიპინებენ!

– მოგიპიპინებენ და მოგიცდიან! შედი-მეთქი!

მაგულისაც მეტი რა ჩარა დარჩენია – ქმარს მონურად უჩუმდება და ნებისმიერ სურვილს გაუჯანჯლებლად უსრულებს! კრიჟას ეს უფრო აეჭვიანებს და უარესად აღაგზნებს, ვინაიდან ასე ჩაიგონა: ამგვარ მტარვალურ ჯავრამოყრას ქალი თვალთმაქცური მორჩილებით იმიტომ უთმენდა, მერე იქ, შეხავსული წიფლნარის სიმყუდროვესა თუ ბარდნარების სიღრმეში ამ დამცირებას გუნებაშერჩევით ერთიათად ინაზღაურებდა!..

როგორც კი საქმეს მოითავებენ, უფრო სწორედ, კრიჟა ცოლის წამებას რომ მორჩება, მაგული ისევ სააბაზანოში შევარდება ხოლმე, კრიჟა კი ტრელაჟის შორიახლო ღრმა სავარძელში ავ მეთვალყურესავით მოიკალათებს და ყველაზე მძიმე წუთებს მამრული საცოდაობით უცდის.

სააბაზანოდან გამოვარდნილი მაგული გაწაფულად იმოსება და მერე ტრელაჟწინ ისეთი გატაცებით ირთვებ-იკაზმება, ზუ-

რგს უკან, სავარძელში მობღუნძულ ქმარს თითქოს ველარც კი ამჩნევსო!

ამ დროს ცოლ-ქმარი ერთმანეთს მხოლოდ სამკარედიანი სარკიდან ელაპარაკება.

– ეგ რა, ახალია? – მოგუდული ხმით იკითხა კრიჟამ, როგორც კი სარკეში ცოლის ფრთხილი მზერა დაიჭირა, – მაგეთი სუნამო როდისა გქონდა?

– გუშინ ვიყიდე!

– სუნამოების მეტი რა გიწყვია?!. მაგის ფულებიღა გქონდა?! – ჩაეჩინჩა კრიჟა, – რა ღირდა?

– რა შენი საქმეა, რა ღირდა – შენი რა მივეცი?!. ღმერთო!.. მეზობლის კაცებმა ტყუილად კი არ შეგარქვეს კრიჟანგა ვატო და აკი შეგრჩა კიდეც ეგ სახ...

– შენ ცოტა წესიერად ილაპარაკე!..

მაგულიმაც მაშინვე გაიტვრინა და თავდავიწყებით განაგრძო მორთვა.

კრიჟას სახე მხეცურად მოემანჭა და ხმაც გაუმკვახდა.

– ფერმებსა და ტყეებში ნეტავი, რად გინდა ეგ მძივები და საყურეები, ჰა?!

– ახლა კიდევ!.. აბა, ერთი წამომყევი და დაინახე, როგორი მოკაზმულები გვხვდებიან სოფლის მწველავი თუ მექათმე ქალები! – სარკიდან გაალმასებით მომზირალმა მაგულიმ წარბმოღუშულ ქმარს მაშინვე ენა დაუდუნა და მორთვა უფრო გამომწვევად განაგრძო, – მე კი... თბილისელი ქალი... თან ფირმის უფროსი დილერი მათხოვარს ვგავდე?!. რას იფიქრებენ?!. ვინ მოისურვებს ჩემთან საქმის დაჭერას?!. ლაპარაკობ, რა!

ამ დროს კრიჟას სიტყვა პირზე შეეყინება ხოლმე და პაწია ორხაოზე გამოსახულ პანდას მხსნელივით აშტერდება, მაგრამ ცოლი ტონალურ კრემსა და ტუჩის ბალზამზე რომ გადადის, გუნება ეშხამება და უეცრად ისე სავათდება, მძულვარე ხმით საკუთარ თავსღა თუ აულაპარაკდა.

– ი, ი, ი!.. როგორ იგუდრონება!.. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი!.. „კონდახის“ ტოპმოდელი!.. აბა, რა – კაცებს ხომ უნდა მოაწონოს თავი!

– დიახაც!.. რატომაც არა!.. რა – მე ქალი არა ვარ?! – ხუმ-

რობანარევი კილოთი ეძრახება მაგული და თვალ-წარბის კრემს განსაკუთრებული სიფაქიზით ეკიდება.

– გეყოფა! – უმწეო მძვინვარებით ფეთქდება სავარძლიდან წამოვარდნილი კრიჟა და ცოლს ხანჯალივით გაუძრობს ხოლმე ხშირი ხმარებისაგან უკვე ფხამოჩლუნგებულ ფრაზას, – მორჩა, დღეიდან ფეხს ველარსად გადაადგამ!!!

– შენს პირს შაქარი! – ენასხარტად უყაბულდება საქმე-მოთავებული მაგულიც და კოსმეტიკურ ჩანთას ისევ თავის ადგილას ინახავს. მერე ქმრის პირდაპირ, მეორე ასეთივე სავარძლის კიდეზე კაბააწევით ჯდება და ხმაათრთოლებით განაგრძობს, – თუკი მაგ სიკეთეს მიზამ!.. მენატრება შვილებთან ყოფნა!.. შენ მართალი ხარ – ქალი რა მყავს, რომ... ოჯახს კაცი უნდა ინახავდეს, ქალი კი შინა ტრიალებდეს!.. ჰოდა, ახლა რომ მომიპიპინებენ, მე არც გამოვჩნდები! მიდი და რაც გინდა, ის გადასძახე!

აქ ორივე თავს დაიმუნჯებს ხოლმე და წუხილიან მდუმარებაში ალესილმა მოლოდინმა ლამის ბეტონის კედლები გაბურღოს!

ერთმანეთისადმი უნდობლობით ატანილი ცოლ-ქმარი ამ დროს ველარც გრძნობს, წამ-წუთები გადის თუ საუკუნეები!

და აჰა: ნაცნობი მოტორის შეუპოვარი ღმუილის მოახლოება, მოწყვეტით დამუხრუჭება და ჟინიანი მოსიგნალება!

სახეალეწილი მაგული არც ინძრევა – თავჩაქინდრულ ქმარს თვალს მოლოდინით უშტერებს. კრიჟას ენა უდუნდება და უიმედო კუტს ემსგავსება.

„პიკაპის“ ხრინწიანი სიგნალი კი უკვე გაკვირვებით გნიასებს და მოპირდაპირე კორპუსების აივნებს თანდათან ჭორიკნებით ავსებს – რატო არ ჩამორბის მაგული, მის დებილ ქმარს ბოლოს და ბოლოს თვალი ხომ არ აეხილაო!

– ჰა, რა ვქნათ?

ტყვიასავით მიხლილი ცოლის კითხვა კრიჟას უფრო აქვავებს.

გაუცემელი პასუხით გულმოცემული მაგული მოურეველი შენავარდებით მიაწყდება ხოლმე ღია სარკმელს და მხმობელს ხელის ქნევით გადასცინებს – მოვდივარ, მოვდივარო! მერე ხელჩანთას უცნაური შეფრთხიალებით აიტაცებს, უთოსსუნიანი კაბის შარიშურით ქმარს ცხვირწინ უცხოსავით გაუსრიალებს და

როგორც კრიჟას ეჩვენება, თვალსა და ხელს შუა დასაპეპლავი მტრედის მოუთმენლობით გაუფრინდება ხოლმე!

ამ წუთებში კაცს ლამის ტვინში სისხლი ჩაექცეს... მისი საცოდაობა ქვასაც კი ცრემლს გადმოაგდებინებს... ცოტაც და „პიკაპის" მოტორი ჟინაშლილ ბუღასავით შეიბღუვლებს და იალა – წადი ახლა და გაიგე, საით გაქროლდნენ, ან აქეთიქითობას სად რას ჩაიდენენ!

– ავკუწავ! – კბილებს შეაღრჭიალებს ხოლმე უბედური ქმარი და უმალ შტერული სიამაყით ივსება, რაკი სამუდამო პატიმრობაც აღარ აშინებს!.. მთავარია, მეორე დღეს „კურიერით" ნაჩვენებმა ელდიანმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეაძრწუნოს და ეს ქვეწარმავლურად მომზირალი მეზობლებიც დაარწმუნოს – უბნის ლუდიყლურწია ნაკაცრებისაგან კრიჟანგად მონათლულ ვატოს მკერდში თურმე შეურიგებელი შურმაძიებლის გული სდებია!

ამგვარი განცდებით ტვინაფორიაქებული კრიჟას ფიქრები აჩეხილი ცოლიდან ახლა შვილებისკენ გადაიელვებს ხოლმე.

– მაგრამ შვილები?!. შვილები ხომ სულ დამიწიოკდება და!.. – გონჯად წამოაქვითინებს.

ეეეჰ, ვინ მოსთვლის, ასე რამდენჯერ წამოუქვითინია! ამიტომ შვილებზე ფიქრითა და ზლუქუნით გულმომბალს, ყოველთვის საპირისპირო აზრები მოსდის: საღამოთი ცოლი რომ მოუვა, უფრო სწორედ, „კონდახის" რომელიმე „შებერტყილი დედაბოზი" ცოლს რომ მოუყვანს, შეუძლია იმდენი ებუზღუნოს, რამდენიც სურს, ოღონდ თან ფრთხილადაც უნდა იყოს, თავი გონების დაბნელებამდე არ მიიყვანოს და მართლა რაღაც საშინელება არ ჩაიდინოს!.. ამასთან ჯობია, სამზარეულოს კედელზე მიკიდებული ხორცის საჭრელი ხელცუღიც კარადის კუნჭულში გადაინახოს!.

აი, ამგვარ ცეცხლში იხრუკება ვაგლახიანი ქმარი და აზრზე არ არის, ამას როდემდე გაუძლებს ან რითი დამთავრდება.

* * *

ჯვარცმულმა ქმარმა თავისებური თავგასართობი გამოიგონა. აწკრიალებულ ტელეფონთან ახლოს აღარავინ უშვებს და ყურმილს მაშინვე თვითონ იღებს, რათა ის მაინც იცოდეს, მის

ცოლს ვინ ურეკავს – თავისი ეჭვების დამადასტურებელ რამეს იქნებ ხელი ჩაავლოს!

ჰმ, ტელეფონით საყვარლის ქმართან რომელი ჭკუათამყოფელი მამრი წაიცდენს რამეს! პირიქით, თავიანთი მრუშობის საიდუმლოს – თავად ამქვეყნად ყველაზე დიდი მოვლენა რომ ჰგონიათ! – რაღაც ყოფითი წვრილმანებით ისე ვირეშმაკურად შენიღბავენ, რქებდადგმული ქმარი იშვიათად, ისიც მოგვიანებითღა თუ ჩახვდა იქ დაფარულ მზაკვრულ მინიშნებას! ამას დავთრებდაფანტული კრიჟაც გუმანობს, მაგრამ მეტი რა დარჩენია – წყალწაღებულივით ხავსს ეპოტინება!

კრიჟას გასაკვირად, ამ მხრივ მაგულის არასოდეს გამოუმჟღავნებია იოტისოდენა უკმაყოფილება ან წინააღმდეგობა. ანდა რისთვის უნდა ამჟღავნებდეს, როცა ქმრის ამგვარი ახირებით დრო და ილაჯი ეზოგება! ამიტომ როცა ოჯახისთავი შინა ჰყავს და ტელეფონი დაიზრიალებს, ყურს იყრუებს და თავის საქმიანობას ნირშეუშლელად განაგრძობს. თავის დღეში არც იმას იკითხავს – ვინ იყო ან რა უნდოდაო. მოლუშული ქმარი მოქმედი არმიის შტაბის მორიგე ოფიცერივით თვითონ წარუდგება ხოლმე და ყველაფერს კუშტად პატაკობს.

მაგულიც ყველაფერზე სადად და ჩაულრმავებლად პასუხობს.

დილაბინდია. ბავშვებს ჯერ ისევ სძინავთ. კრიჟამ ტელეფონის ზარს უპასუხა, ყურმილი გადადო და ლოჯიაში ცოლს თავზე პოლიციელივით წაადა.

– „სამეფო საქაბაბიდან" ვიღაც ფირანა ტოხიშვილია – შეგიძლიათ, ხვალ საღამოსთვის ორის მაგიერ იმავე ფასად სამი დაკლული თოხლი ჩამოგვიტანოთო?... რა გადავცე?

– ვეფხოს უეჭველად გამოვატან-თქო, – ფრთხილი წამღერებით თავაუღებლივ აკვალიანებს ჭვარჭვალიტა კაბის გაუთოებით თავდავიწყებული მაგული, – შენი ჭირიმე, მერე ქვაბს მიმიხედე, მაშინდელივით არ მიიწვას!.. ბარემ ყავაც მომიდუღე – აი, მოვრჩები და მეც მოვალ!..

ზოგჯერ ისეთ დროს რეკავენ, მაგული ჯერ არც არის მოსული. საქმეგაჩენილ კრიჟას ახალი თუ უცნაური საუწყებელი მთელი დღე არ ასვენებს. შელამებისას ცოლი როგორც კი მოუვა... ცოლს რომ მოუყვანენ, დაღლილ ქალს იმოდენა სანოვაგის

ჯერისამებრ დაბინავებას არც აცლის და ამოსათქმელს სალდათურად ურაკრაკებს.

– სამს ოცი აკლდა, ელიავადან რომ დარეკეს – ტურფა ჯამბაზიშვილი ვარო!.. ეს რაღაა – ეგეთი გვარებიც არი?!

– რომ არ იყოს, აბა, თვითონ ხომ არ გამოიგონებდა?!

– წინდები მომაშველოსო! რა წინდები-მეთქი და თვითონ იცისო!.. რა წინდებსა კითხულობდა... შენ წინდები ვინ მოგცა?

– ოჰ, პირველად ახლა გაიგონე, კაცო?!. იარაჯულელი დედაკაცებისაგან დიდ პარტიებს შედარებით იაფად ვყიდულობ, ჩვენი ფირმა კი...

– ერთი უყურე! – შეხტა და შემოტრიალდა კრიჟა, – თუკი წინდებითაც ვაჭრობდი, რატო ერთხელ მაინც არა თქვი – ე ფეხები კაპრონის „ნასკებში“ რო მეხარშება!

– როგორ არა ვთქვი, მაგრამ შენ...

– არც როდისაც არ გითქვამს! – კრიჟას გაანჩხლება ბანგივით ერეოდა, – ამაშიაც კი მატყუებ!

– ღმერთო, რა ვუყო ამ კაცს?! – დაძმარებული ხმით შეიღაღადა მაგულიმ, – სხვა რაში გატყუებ, რომ... ბესიკი ვარჯიშზე სულ ჩემი ჩამოტანილი წინდებით არ დაიარება!.. რამდენიმე წყვილი კი ამხანაგებსაც წაუღო! მაშ, აღარ გახ...

ხსენებაზე ბესოც მოვარდა.

– დედი, დედი, დო რო დაგაბარე, ჩამომიტანე?

– ჰო, დედა გენაცვალოს!

– აბა, სად არი – დამისხი!.. მართლა, მერე არ დამავიწყდეს: ბიჭებმა დამაბარეს, ერთი შვიდი წყვილი წინდა კიდე გვინდა – მაგაში ფეხები სუ არ გვეოფლებაო!

მაგულიმ ქმარს ნიშნის მოგებით მიაცივა თვალები.

– ახლა?!

ბესო გაკვირვებით შეაცქერდა ერთმანეთს ამოუხსნელი იდუმალებით მიშტერებულ მშობლებს.

– რა „ახლა?!“

– არაფერი, შვილო!... მამაშენმა – დოს ზიდვით წელს რაზე იწყვეტ, რძეც ეყოფათო!

– ერთი უყურე! – ბესომ მამას ყვედრებით შეანათა თვალები და ისევ დედას მიუტრიალდა, – სიცხეში დოს რა სჯობია, შენ

ჩამომიტანე ხოლმე!.. მე და ელისოს ეს ერთი ბოთლიც გვეყოფა, იმ ორლიტრიანს კი ხელი არავინ ახლოს – ხვალე ბიჭებს უნდა წავუღო!

კრიჟას დო სულაც არ ეკნაჭებოდა, მაგრამ წინდების გამო გამარჯვებული ცოლისადმი ბრმა ჯიბრი თავის ნებაზე ათამაშებდა.

– იმოდენა თხილ-კაკალი ხო გაგაზიდინეს და ახლა დოზე დამიჩვიე! – შენანებული ხმით დაიგმინა და ხმა ჩაეხლიჩა, – აქედან ვერაფერსაც ველარ წაიღებ!.. ოოოხ!

– რას ამბობ, მამა!.. სულ ჩემი მეგობრები არიან!.. საგიორგობოდ სამების ტაძარში ფიც-ვერცხლით ძმებად უნდა გავიფიცოთ, მამუკა ძამუკაშვილის მოძღვარი ბიძა კი მირონს მოგვაწუწებს და...

– საქმეს მარტო მირონის მიწუწ-მოწუწება რო შველოდეს!.. ეეეხ!

– რა იყო, კაცო, რა ყველაფერზე „ოოოხ!“ და „ეეეხ!“ გაიძახი?!

– მაგას ყურს ნუ უგდებ, დედა გენაცვალოს! – მაგულიმ ენა მოიტკბო და მაგიდასთან გვერდულად მიმჯდარ ვაჟიშვილს დოთ სავსე ლუდის კათხა წინ დიდი კაცივით დაუდგა, – შენ რამდენიც გინდა, წაიღე!.. როცა მეტყვი, კიდევ ჩამოგიტანე!

– რა კარგი დედიკო მყავხარ! – წამომხტარი ბესო დედას ისე ჩაეხუტა, მაგიდაზე დგმული სავსე კათხისთვის ხელი არ გაუშვია, – იმ დღესაც...

კრიჟამ ძლეულივით ამოიხვნეშა. მოალერსე დედა-შვილი მიატოვა, წავიდა და ლოჯიის მიბნელებულ კუთხეში ტახტზე გულალმა გაიშოტა.

არა, ეს წინდები მაინც რამ დააავიწყა და თავი ცოლის გასაკილად გაიხადა! ეჰ, მისი თხოვნა-დავალებით იმოდენა საოჯახო სარეცხთან ერთად ბესოს წინდებიც რამდენჯერ აუკრეფია! მაგრამ მეუღლემ და ფირმის „შებერტყილმა დედაბოზებმა“ იმზომ აურიეს ტვინი, ყველაფერი ერთმანეთში უკვე დომხალივით ერევა! მაგრამ არავის ჯავრს არ შეჭამს! დაიცა, ყველას ოხტში ამოვა!... ფუჰ, რა ტუტცურად წამოუროშა – მაგაშიც მატყუებო! იმანაც მაშინვე ჩაავლო და თავი გამოილამაზა – სხვა რაში

გატყუებო! ჰმ! ვითომც არაფერში ატყუებდეს! მაგასაც ვნახავთ!.. არავის რას შეარჩენს!..

ან რა გიჟია, ცოლს ლაქიასავით ტელეფონისტად დაუდგა! ამოუხსნელი ეჭვებისა და ტანჯვის გარდა რას იმკის?! თავშიც ქვა უხლიათ – ვინც უნდა, იმან დაურეკოს, რაც უნდა, ის უთხრან!.. მორჩა, ტელეფონს აღარ წაეკარება! ჯერ ერთი, ის ვიღას ახსოვს ანდა ვის რაში სჭირდება, ხოლო თუ მოხდა სასწაული და ვიღაცამ ისიც მოიკითხა, დაე, ახლა ამათ მოძებნონ და მოახსენონ! აბა!.. მაგრამ მოურეველია ცდუნება – როგორც კი აწკრიალდება ტელეფონი, იმავწამიერად კრიჟაც ითიშება და გონი მაშინღა უბრუნდება, როცა ყურმილში ვიღაცის ნალაპარაკევს ისმენს ანდა აბნევით რაღაცას პასუხობს!..

* * *

შუაღამე ახლოვდება. ბავშვებს დიდი ხანია, რაც სძინავთ. მაგული შხაპს ივლებს. თავისებური წარმოდგენებით გონარეული კრიჟა კი სააბაზანოს ისე უტრიალებს, როგორც ფარეხს მშიერი, მაგრამ ოდესღაც ასეთივე ფარეხთან თოფნაკრავი და სამუდამოდ ფეხაკანჭურებული მგელი.

მოულოდნელად ტელეფონი ნაღმივით აფეთქდა. კრიჟამ ყურმილი ჩვეული ხელგაწაფულობით აიტაცა, ყველაფერი მოისმინა და მეუღლეს სააბაზანოში შეუვიდა.

თავის განცდებსა თუ ოცნებებს გამოდევნებულმა ქალმა უმალ შეიცვალა გამომეტყველება. გულმკერდის სათუთი წმენდა შეწყვიტა, შხაპი ონკანში გადართო და ნახევრადგაფარებულ ცელოფნის წალურჯო ფარდას ყასიდად ამოეფარა.

– რა იყო?

– ტუშურებიდან თათარა დოჯურიშვილმა ხვალ დილის შვიდი საათისთვის პირდაპირ იალაღზე დაგინიშნა პაემანი! – შუბლშეკვრით ჩაუკაკლა კრიჟამ, – ახლა ლეკებთან და თათრებთან დაიჭირე საქმე?!. თათარა რაღაა – ქართული სახელები აღარ იყო, რომ...

– თავის მშობლებს ასე დაურქმევიათ და მე ხომ ვერ...

– ეგ ვიღა ოხერ-ტიალია?!

– ოხერ-ტიალი კი არა, ჩვენი ყველაზე სანდო ფერმერ-პარტ-

ნიორია! – გაზუნზლული მაგული ცელოფნის სამალავიდან გამოვიდა და ქმარს თამამად ეჩვენა, – მაგრამ სხვა მუშტრებიც რომ არ შემოიფრთხონ... თქვენი ბალონებით წველის წინ იალაღზე დამხვდითო!.. საათი კი არ ვიცოდი! ჰოდა...

– აჰა!

– ჰოდა, შმაგი დილით პირდაპირ თათარასთან ამიყვანს და დამტოვებს, თვითონ კი შეპირებული ვარიებისა და კვერცხებისათვის სოფლებში გავარდება! სანამ მეც...

– მანამ შმაგაა თუ ვიღაცა, სოფელ-სოფელ იჯაყჯაყებს, შენ კიდევ იალაღზე თათარასთან მარტოკა უნდა იყო, არა?!

– ასეც რომ იყოს, მერე რა მოხდა!.. ჩვენ ბიზნესპარტნიორები ვართ, ბიზნესპარტნიორები, ეს რატო არ გესმის?! ო, შენ სულ გამაციებ! – გაანჩხლებულმა მაგულიმ ფარდა ხელგაკვრით ბოლომდე გასწია, თავი ისევ შხაპქვეშ მოიქცია და ქმარს შირმის იქიდან გაუგრძელა გაწიწმატებული კამათი, – დაგეწვას ეგ ხასიათი – ავკაცობის მეტი რომ არაფერი გაგონდება!.. იმ თათარას იალაღზე ჰყავს მეუღლე, ბიჭი, ორ-ორი გოგო, სიძე, რძალი, პატარა შვილიშვილები!.. კიდევ რა გითხრა?! კვიციანი ცხენი, ძაღლები, გოჭები, ქათმები, ინდაურები!.. ორმოცდაშვიდი ძროხა ეწველებათ!.. საქმეს მარტო თვითონ რომ ვერ ასვლიან, ზარიძეებიდან ორი მენახირე და სამი მწველავი ქალი ჰყავთ დაქირავებული! შენ კი...

ახლა კრიჟამ გამოსწია ფარდა.

– თუკი...

მაგულიმ ონკანი დაკეტა და ქმარს გასაპნული სახეხელი მიაჩეჩა.

– ერთი ე ბეჭებზე გამისვი შენა!

მერე ქმარს ზურგით შემოუტრიალდა და კაფელის კედელს ხელებით აებჯინა. კრიჟამ ცოლს ორივე ხელით ბეცურად დაუწყო ხეხვა, თან გული ეჭვისა და თავდამცირებისაგან ებურებოდა: მაგული არც წინასწარ შესთანხმებია, არც ძველებურად მოუკაკუნებია – მოდი, გამხეხეო! ეს თავისით შეეხეტა და იმანაც ჩვეული მოხერხებით მაშინვე ისარგებლა შემთხვევით!!!

ჰოდა, ბოლო ხანებში კრიჟასაც ცოლის სწორედ ეს ეჭვშეუტანელი ბუნებრიობა აგიჟებდა! ყველაფერში წინგამხედავი მაგული

ხელიდან არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა, ქმარი თავის ქეიფზე ბუნებრივად რომ მოემსახურებინა ანდა, საერთოდ, ნებისმიერი ვითარება მისთვის ისე დაეხატა, ყველაფერს აუცილებლობის, დამაჯერებლობისა და უმწიკვლობის ელფერი ჰქონოდა!

ეს კი, კრიჟას ჭკუით, შეუძლებელს ხდიდა ცოლქმრულ ღალატში მის მხილებას!

კაცს უცებ მოეჩვენა: მეძებარივით გამოწვრთნილ ქმარს მაგული ახლა ზურგს კი არ ახეხინებდა, არმედ თავისი ფირმის „შებერტყილი დედაბოზების" მიერ გზადაგზა, სადღაც იალაღებზე თუ ტყე-ბუჩქნარებში მოყენებული ჭუჭყის, ოფლის, მარილის, კენჭების, ხავსისა და ნეშოს ანაბეჭდების ნაკვალევს აშლევინებდა!!!

– ოჰ, მანდ მეცა ვწვდები!.. შენ ეგე, ბეჭები, ბეჭები! – ამრეზით წამოუტრიალდა საპნის ქაფით გაბუმბლული მაგული, – მოიცა, ბარემ წყალს გადავივლებ!.. ერთხელაც გამისვ-გამომისვი და მეყოფა!..

კრიჟა მეუღლის წყალგადავლებულ ტანს მალვით ათვალიერებდა, იქნებ სადმე ღალატის თუგინდ პაწია დაღი შეენიშნა! მაგრამ უეცრად უცნაური მოლანდებები დაეწყო: ცოლის სხარტი წელი, გადგმული მენჯი, ალერსით აუსრულებელი ბარძაყები, ფაფუკი მუცელი, მკვრივი დუნდულები და მძიმე მკერდი ადრე უკადრისი ვარაუდით რომ ავსებდა და ეჭვიანობით სიცოცხლეს უმწარებდა, ახლა მის თვალში უეცრად გადაიქცა მდედრის მიმზიდველი ლეშის უმწეო და უდანაშაულო ნაწილებად!

ერთადერთი და მარად უხილავი დამნაშავე – გველის ტვინი ქალის თავის ქალაში იყო ჩაკუმშული და ძეხორციელი ვერ განჭვრეტდა, თავისი სხეულის ამ მორჩილ ასოებს როდის, ვისთან და რა სახით მოიყვანდა მძვინვარე მოქმედებაში!!!

– რა იყო, ზურგი ნუ გადამიყვლიფე! – გამწარებულმა მაგულიმ თავშეკავებით შემოსწივლა და შემოუტრიალდა, – შენი არაფერი მინდა – მოიტა აქა!

გარინდებულმა კრიჟამ მეუღლეს სახეხელი პლასტმასის ხიდაკზე დაუგდო, აბაზანიდან დამიზეზებულივით გამოლასლასდა და ხელები სამზარეულოში გადიბანა...

* * *

დრო გადის და კრიჟა გრძნობს, რომ ეს ტელეფონუხუცესობა შვილებთან უფრო და უფრო აუცხოებდა.

კვირა-უქმის აშუადღევებულია. ყველანი შინ იყვნენ. ელისო თავის კუთხეში მასალას აკონსპექტებდა. ბესოც რაღაცას... მისაღების მრგვალ მაგიდასთან პრემიერ-მინისტრივით მიმჯდარ მაგულის კი წინ სქელი უბის წიგნაკი და კალკულატორი დაედო და თავისი ნავაჭრის შემოსავალ-გასავალს, ვინ იცის, მერამდენედ ანგარიშობდა! თან ამ დროს რომ არ ეხმაურათ ან არვინ მიახლოებოდა, შუბლს ისე ინაოჭებდა, თითქოს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურას მანდილოსანი ბალზაკი მოვლენიაო!

ამის ცქერით დათრგუნული კრიჟა ირგვლივ თავგაბეზრებული ზედამხედველობით დააფრატუნებდა. თუმც მოულოდნელად იმასაც გამოუტყვრა საქმე – ტელეფონი აუზრიალდა! ყურმილი მარდად აიტაცა, მოსასმენი მოისმინა, მერე ყურმილი განზე გადადო და დავალების შესასრულებლად გაეჩქარა.

– ბესო!.. ბესიკ!.. არ გეყურება?!. რა იქნა ბიჭი?!. ბესო!.. ე სად შემძვრალხარ?! – დაუტატანა ვაჟიშვილს, – მანდ რას ეძებ?

– მე ვიცი, რასაც ვეძებ! – მოგუდული ხმით გამოეკამათა ღრმა, სამთაროიანი საკუჭნაოს ფსკერზე თავიან-ტანიანად შემძვრალი ბესო, – თავი დამანებე!

– რა თავი დაგანებო, ბიჭო, გოჩა ცქიმანაური რეკავს – ათკილოიანი „ბლინები" მათხოვოსო!.. რა „ბლინები" უნდა, ან ათკილოიანი „ბლინი" როგორ უნდა გამოაცხონ?!.

– ხი-ხი-ხი! – გულიანად ახითხითდა ბნელ სათავსოში წაწოლით შეხოხებული ბესო, – შტანგის დისკოებს ხუმრობით „ბლინებს" ვეძახით!.. წაიღე, მიჩუქებია-თქო!

– ელაპარაკე!.. შენ რო დაგჭირდება?!

– მე რაღაში უნდა დამჭირდეს – ოცკილოიანებზე ვარ გადასული!.. წაიღე, შენი იყოს-თქო!

– ეეე, შენ იმ ორმოცდაათლარიან ტყავის ქამარზეც მაგრე იძახოდი და!

– ის სხვა იყო!

– მემრე ესეც „სხვა" გამოვა!.. ჰა, ბიჭი მელოდება – რა გადავცე?

– რა და, ეგე, რაც გითხარი – წაიღე, მიჩუქებია-თქო!

თავპირჩამობნელებული კრიჟა უმძრახივით გამოტრიალდა და ისევ ტელეფონთან გაჩნდა.

– ისა... ბიჭო... შვილო... გოჩა! – შვილის ძმაკაცს ხმამოდაბლებით აუბუტბუტდა, – რაზეა ლაპარაკი – თხოვებით როგორ ვერ ვათხოვებ, წაიღოსო, მაგრამაო... რა ჰქვია... მალე მეც ისევ დამჭირდება და არ დამიკარ...

კედლისა და კარადის კუთხეში ცხვირშერგულმა კრიჟამ მხარში ჯერ მოულოდნელი ჩაბღუჯვა, მერე კი მიწისძვრისებური შექანება იგრძნო – ეჭვაღებული ბესო თურმე ფეხაკრეფით ასდევნებოდა!

შვილმა მამას წრფელი თვალები გადაუბრიალა და ყურმილი უხმაუროდ გამოსტაცა.

– გოჩუნა, ცოტნეს ნაჩუქარი გერმანული კედების მოსაძებნად „ჩულანში“ შემძვრალმა მე სხვა რამ გამოვძახე, ამას კიდე თურმე სულ სხვანაირ „პონტში“ გაუგია! – ძმაკაცმა ძმაკაცს ალალგულად გაუცინა და გაუგრძელა, – მე აღარ მჭირდება – შენი იყოს!.. თუ გინდა, ახლავე გადმოდი და წაიღე, არადა, ხვალ პირდაპირ ვარჯიშზე, მუხნარში გადმოგიტან!.. რაო, რაო?.. ეგ ვის უთქვამს, რუსულ სკოლას?!. შეგვეჯიბრონ, რა!.. სადა და აგე, გამაჯანსაღებელი ცენტრის, „დევგმირის“ სპორტდარბაზში! ჩვენმა „ტრენერმა“

კრიჟამ დრო იხელთა – შინიდან გასხლტა, წავიდა და მუხნარში შეყო თავი. სწორედ იქ, სადაც ყეყეჩ ვაჟიშვილს ათკილოგრამიანი „ბლინები“ შეიძლება ხვალ თავისი ფეხით მიეტანა ძმაკაცისთვის! ეეეჰ, ეს ჯერ რას მიხვდება – ძმაკაცებს რა დალევს! ასე რომ მიჰყვეს, ოჯახს ქარ-წყალს წააღებინებს!.. ოჰ, როგორ ანერვიულებს მამას! თუმცა რაღა ბესო – რაც შეყვარებული გაუჩნდა, ელისო უარესად აწამებს! შეყვარებული დაუღალავად ურეკავს და ურეკავს – უნდა, რომ სულ ყურმილზე ჰყავდეს გამობმული! პირდაპირ არ ისვენებს! ეტყობა, მანამ არც მოისვენებს, სანამ...

საწყალი კრიჟა ქალიშვილს ლაქიასავით წარუდგება ხოლმე და სიტყვაუთქმელად ანიშნებს – შენა გკითხულობენო! მაგრამ ვერც ეს ლაქიური თავდამცირება შველის! ქალიშვილი მაინც

უცხოსავით ემრიზება – როგორ თუ ჩვენი საიდუმლო იციო! მერედა, ვისი ბრალია?! ამხელა გოგო ნუთუ ვერ უნდა ხვდებოდეს – ეს ოჯახში გაუგებარი არ დარჩებოდა!.. კრიჟა იმაზე უფრო იბოღმება, მაგული ამას ჩვეულებრივ მოვლენად რომ მიიჩნევს! არადა, ვაითუ...

ელისომ ამას წინათ ათმეტრიანი დამაგრძელებელი კაბელი მოიტანა. ტელეფონზე ბესოს მიაერთებინა, ლასოსავით დაახვია და ბავშვობისდროინდელი ბანტით განასკვა.

ჰოდა, როცა შეყვარებული დაურეკავს, ბანტს გამოხსნის, ტელეფონს წაიღებს, კარმოხურული ლოჯიის კუთხეში ფოცხვერივით მიიყუჟება და საათობით ლაპარაკობენ! თან დროდადრო მინებს იქიდან იმნაირ ეკლიან მზერას გამოაკვესებს ხოლმე, აჯამიც მიხვდება – ამ დროს დასანახად ველარავის იტანს!!!

საქმეგამოლეულ კრიჟას კი ეს ჩლუნგი შეუპოვრობით ტენის – თავცოცხალი ტელეფონუხუცესობას არავის დაანებებს!.. ის მაინც უნდა იცოდეს, მის ცოლ-შვილს ვინა და როდის ურეკავს!!!

* * *

ერთ საღამოს კრიჟა შვილებთან ერთად სამზარეულოში იჯდა და ახალგარეცხილ ოჯალეშს შეექცეოდნენ.

ამ დროს მაგული მეტისმეტად ნაადრევად გამოჩნდა.

ელისოს ეხამუშა შეუფერებლად გახარებული დედის დანახვა.

– რა იყო, დედა?

მაგული ბედნიერებისგან ენას ველარ იტრიალებდა.

– აი! – ესეც ძლივს ამოღერღა და ხელჩანთიდან მობილური ტელეფონი „NOKIA" ამოიღო.

ქმარ-შვილმა თვალები დაუჭყიტა პაწაწინა ზღაპრულ აპარატს.

– შენ მაგის ფულები გქონდა, ქალო?! – მაშინვე წამოაყვედრა ქმარმა.

– მე საიდან უნდა მქონოდა, – აქეთ უსაყვედურა მაგულიმ, – ფირმამ მიყიდა!

– რისთვის? – ეჭვიანობის კრატერიდან ამოიგმინა კრიჟას ჩაყრუებულმა ხმამ.

– რისთვის და, სანიმუშო სამსახურისთვის! – თავგაზვიადებით განაცხადა მაგულიმ, – ბატონმა ზოზომ – საქმე რომ არ გვიფერხდებოდეს ხოლმე, მალე ერთ ავტომობილსაც გიყიდითო!

– რა კარგია! – ტაში შემოჰკრეს ბავშვებმა, – როდისო, დე?.. რა მარკისო?...

– შენა და საჭესთან?! – არევით იკითხა კრიჟამ და ხმას მუქარით დაუწია, – ეგ მეორედ აღარ გამაგონო!

– აი, სასწაული! აბა, რისთვის ამაღებინე მართვის მოწმობა?!. – გულღიად იკითხა მაგულიმ, თან მიმხრობილ შვილებს იმედიანად გადახედა, – შენ ის ბიჭი არა ხარ, მუდამ რომ მაგულიანებდი – სტუმრად მე ქეიფს გავწევ, შენ კიდევ გვატარებო! დაგავიწყდა?!

კრიჟამ იგრძნო, სათქმელი ამოეწურა და კრინტი ჩაიწყვიტა. ავბედითი დუმილი ჩამოვარდა.

– დედა, – მათხოვრული ხელგაწვდით შეემუდრა ელისო, – შენ მერეც... იყიდი... გიყიდიან!.. ეგ მე მომეცი... მე უფრო მჭირდება – ამოდენა დაქალები... თანაც ლექციების არეული გრაფიკი... – თავის სიტყვებზე თვითონვე აელანძა ღაწვები და ხმაამოჯდომით წაამატა, – გთხოვ, რა!

– რას ამბობ, შვილო?! – მიაგება შეცბუნებულმა დედამ და მობილური ტელეფონი ისევ იქ ჩადო, საიდანაც წეღან ქმარშვილს ამოულო, – მე რომ მჭირდება, ის ვის... ან ფირმაში რას მეტყვიან – ჩვენი ნაყიდი ტელეფონი რა უყავიო?!

– დე, – ელისოს ყვრიმლებზე შეუპოვრობის ალმური აედინა, – გეხვეწები, რა!

– აჰ!

კრიჟას ძარღვებში ცეცხლი წაეკიდა, რადგან მოეჩვენა: ახლა ერთმანეთს დედა-შვილი კი არა, ორი ამძუვნებული მდედრი ეტოქებოდა!

მძიმედ ჩამოვარდნილი სიჩუმე გადმოსაქცევად მოფამფალებულ კედელს დაემსგავსა.

– არადა, მე კომპიუტერი აღარ მინდა! – უცებ გაიბუტა ელისო, – ჯერ მობილური ტელეფონი მიყიდეთ!

– შენ ხო არ გაგიჟდი?! – ტახივით წამოუტრიალდა ბესო, – მობილური ტელეფონი რასა ჰქვია – შეყვარებულს ამ ტელე-

ფონითაც ხოშიანად ებაზრები!

– იცოდე, ამოგაძრობ მაგ ენას!

– ვერაფერსაც ვერ მიზამ! – ბესო დაიკოს ფალავნურად გაეჭიმა, – მთავარი კომპიუტერია, რომ ინტერნეტში რაც კი რამ შტანგისტებზეა, სულ...

– ოჰ, შენ და შენი შტანგა და შტანგისტები!

– აბა, სხვასთან როდემდე ვიარო?! – ყველას გასაგონად მოიჩივლა ბესომ და უცებ დაუძლეველმა აღმაფრენამ გაიტაცა, – იმ დღეს შტრასბერგერს, ანდერსონს, ვლასოვსა და ჟაბოტინსკის ვუყურეთ... აი, თვალს ვერ მოაშორებდი!.. ეხლაც თომა ზავრა-დაშვილთან ვიკრიბებით – მამამისმა დიტო შანიძე და გიორგი ასანიძე უნდა მოგვინახოს!.. ო, არ დამაგვიანდეს!

მამის დაძაბული მზერის ქვეშ ბესომ ყველაზე კუმს-კუმსი მტევნები ცელოფნის პარკში გასაკვირი სისათუთით ჩაიწყო და გაიქცა.

კრიჟას თავშეკავებული ოხვრა აღმოხდა. ელისო თავის საძინებელში გაცალკევდა, თუმც ვალმოსახდელად მორთული მალე ისევ გამოჩნდა. თან ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა.

– მამა! – ისე მიმართა, თითქოს ირგვლივ მათ გარდა სხვა აღარავინ არისო, – მე თეკლე ბუცინაშვილთან მივდივარ... მაგრამ არ ვიცი, მერე იქიდან ვის გავუვლით!.. ჰოდა, თუ ვინმემ დამირეკა, აი, ამ ნომრებზე მომძებნონ! – ფურცელი მაგიდის ლინგზე ცივად შემოდო, თან ამრეზით წათქვა – აი, ასე უნდა ვწვალობდეო და შინიდან განუკითხავი მათხოვარივით გავიდა.

მაგულიმ შვილები გარეთ რომ გაიგულა, შებოჭილობა თითქოს შეუმსუბუქდა. მობილური ტელეფონი ახლა უშიშრად ამოაქანა და ქმარს თანასწორულად მიეხმატკბილა.

– მოდი, კაცო, გასწავლო, როგორ უნდა ხმარება!

– ოჰ, დამანებე თავი! – კორძიანი ხმით მიუგდო კრიჟამ და სახეტიალოდ წაჩერჩეტდა.

– ღმერთო, რა მოვუხერხო ამ ხალხს?! – ორაზროვნად ჩაეცინა ეულად დარჩენილ მაგულის. მერე ხელჩანთიდან მომცრო უბის წიგნაკი ამოიღო და წაღმა-უკუღმა დაუწყო ფურცვლა, რათა საჭირო ნაცნობ-მეგობრებისა და საახლობლოსთვის თავისი მობილური ტელეფონის ნომერი ეცნობებინა!

* * *

იმ ღამეს კრიჟას არა და არ ეკიდებოდა რული. ცოლს ახლალა ჩაუხვდა ფლიდობას: ბინის ტელეფონზე ქმრის ხანმოკლე ბატონობას თურმე იმიტომ ითმენდა, მობილური ტელეფონი ჰქონოდათ ჩაფიქრებული!.. ო, ქალის სიცრაგევ!.. აბა, მაშინ კრიჟა ამას რას მიუხვდებოდა?!. მორჩა, ახლა კი მოიმწყვდიეს კამეჩის რქაში!.. დღეის ამას იქით ველარ გაიგებს, მის ცოლს ვინ ურეკავს ან რა უნდათ!.. ყველაფერი კრიჟას ზურგს უკან გათამაშდება!.. ოოო!..

ძილგამკრთალს გამარჯვებული მაგულის მშვიდი სუნთქვა ყოველნარ ეჭვს უდასტურებდა და უფრო აღაგზნებდა!.. ნაშფოთარს როდის როდისღა წასთვლიმა...

ახალი ნანათი იქნებოდა, მოულოდნელად მობილური ტელეფონი შეუპოვრად რომ ასისინდა.

კრიჟამ თვალები მაშინვე კი გააჭყიტა, მაგრამ ჯერ ვერ ხვდებოდა, ეს რა უნდა ყოფილიყო!

კედლისკენ გადაბრუნებულ მაგულისაც გამოეღვიძა და პანია ბრა თვალხუჭელამ ხელგანვდით აანთო.

– არ გესმის, მობილური ტელეფონია, – ქმარს ნამძინარევი ხმით ასწავლა, – გადმომაწოდე!

კრიჟა ვითარებაში ახლა კი გაერკვა და წამოჯდა.

– ოი! – უცებ დამდუღრულივით შეიბღავლა და ცოლს ბავშვივით აეკრა.

გულგადატრიალებული მაგულიც მეყსეულად წამოუჯდა.

– რა მოგივიდა, კაცო?!

– ერთი შეხედე!.. კობრა!.. ნამდვილი კობრა!..

– რას ამბობ, სად?..

მაგულის უცებ დარცხვენით გაეღიმა და ქმარს პირისახეზე თითები მოწყალედ ჩამოუვლო.

– არა, სხვა რაც უნდა იყოს, თვალის სიმახვილეში ვერავინ შეგედრება!

წუხელ, სექსის წინ კრიჟას მიერ ხელუკუღმა მოსროლილი მაგულის ხალდაკრული კოლჰოტის ერთი ტოტი სავარძლის ზურგს უკან გადაფრიალებულიყო, მეორე კი ამათკენ, საწელურსა და სანიდაყვეზე მართლა სქელტანა გველივით ჩამოკლაკნილიყო!

მერე მაგულის სიბნელეში ტელეფონი ხელმისაწვდენად ალალბედზე სავარძლის თავზე, ზედ კოლჰოტის შებღუნძულ საქამრეზე შემოედო! ჰოდა, ახალ აციმციმებული და ასისინებულ-აძაგძაგებული მობილური ტელეფონი ბრის სუსტ შუქზე კოლჰოტის ტოტს ცოლ-ქმრის დასაგესლად სავარძელზე ამოხოხებულ, გამძვინვარებულ თავბრტყელ კობრას ამსგავსებდა!!!

მაგული დასწრებაზე წაეპოტინა და ერთდროულად აიტაცა თავისი გაჩაჩხული კოლჰოტიცა და ასისინებული მობილური ტელეფონიც. კოლჰოტი ამრეზით მიკეც-მოკეცა და იმავე სავარძელზე, თავისი აბრეშუმის ხალათქვეშ მიაფანიერა, მოსისინე „კობრა" კი უმალ დაამუნჯა. თან ასალაპარაკებლად პირგაღებულ ქმარს ხელით ანიშნა – ხმა არ ამოელო!

– ვინა, ვინა?.. უი, შენა ხარ, გოგო, უცებ ვერ გიცანი!.. თან ამას ჯერ შეჩვეულიც არ ვარ!.. არა, არა, რას ამბობ – სარეცხს ვუტრიალებდი!.. ააა!.. კიდევ ვინა?.. კარგი, კარგი!.. ოლონდ...

ლოგინში წამომჯდარ, გარინდებულ კრიჟას ეჩვენებოდა, თავწაწყვეტილი კობრას ტანი ცოლმა ხალათქვეშ ამოაფარა, ჩაბღუჯული საზიზღარი თავი კი ლოყაზე მიეკრა და ვიღაცასთან ნეტარებდა! ფუჰ!..

მაგული საუბარს მორჩა და ტელეფონი მაგიდაზე მედიდურად გადაიდო.

– ისაბელა იყო!.. უცებ გადავწყვიტე, დუშეთში მეც წამოვიდე – ჟანის დაბადების დღისთვის რაღაც-რაღაცეების ყიდვა მინდაო!.. ამიტომ ნუ იჩქარებ – ცოტა მოგვიანებით, ასე, თორმეტისკენ გამოგივლითო! – აუწყა ცოლმა, ბრა გამორთო და ისევ მიწვა, – შენც დაწექი და დაიძინე!.. ოლონდ, შენი ჭირიმე, გველები არ დაისიზმრო და...

მაგულიმ მალე ძილი შეიბრუნა, კრიჟას კი თვლემა არ ეკარებოდა. ეჩვენებოდა, მის მოსადრეკად ცოლმა შინ კობრა დააბუდა და ამიერიდან სიმშვიდეს ვეღარ ელირსებოდა!

მეუღლეს ლოგინიდან ფრთხილად გამოუძვრა და სამზარეულოში გავიდა. მაგრამ არც ეჯდომებოდა, არც ედგომებოდა. არადა, რა გაათენებდა ამ სატიალოს!.. წელან თითქოს გულიც დაედო, რაკი თავის ცოლს მთელი დღით ისაბელასათან დაიგულებდა, მაგრამ როგორც ამ ბოლო ხანებში დასჩემდა, ახლაც

უცებ მიხვდა – კვლავ რეგვნული მსჯელობა გამოსდიოდა! არა, მაგული მალე მართლაც ისაბელასთან გაემგზავრებოდა, მაგრამ ეს რას წყვეტდა – სხვა დროს?! დანარჩენ დღეებში ვისთან ერთად დაქროდა და იქ რას სჩადიოდნენ?!. ო, რა მოუაზრებელია!.. ან ისაბელამ მართლა ეს უთხრა თუ რაღაც მიანიშნა?!. ანდა დღეს ისაბელასთან ერთად გამგზავრება რის თავდები შეიძლება ყოფილიყო?! არა, მის მოსაღორებლად ინსტიტუტელი ერთგული დაქალები მათი ეზოდან კი ერთად გაქროლდებოდნენ, მაგრამ ალაჰმა უწყის, მერე საით წატრიალდებოდნენ და თვალთმაქცური მოსაბაბებით ვინ ვის ავტომობილში გადაჯდ-გადმოჯდებოდა!.. ან ცოტა მოგვიანებით აქედან აუვიდოდნენ, დათქმულ ადგილამდე შეიძლება კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ ანდა სულაც იქ დახვდებოდნენ!!! ჰმ!.. თავის დროზე ბუნების წიაღში თავადიშვილურად იპურმარილებდნენ, მერე კი წინასწარ შეთითხნილი ვალმოსახდელი საბაბით საგანგებოდ დაწყვილებულნი, ტყის გადმობურულ გზებზე დაიქსაქსებოდნენ და!..

ეგეც შენი ჟანის დაბადების დღის თადარიგი!..

შენ კი ფეხმომწვარ კატასავით ეგდე შინა და მაგულის მიერ კუდიანურად შეხანხლული არაკები ისმინე ყოველ საღამოს!..

არა, მაინც როდემდე შეიძლებოდა ამის ატანა?!.

საგათენებო მღვიძარება და დამამცირებელი მარტოობა ნიათს აცლიდა, თან რაღაც უმისამართო მზადყოფნით ავსებდა! თუმც იგრძნო, ასეთი განცდებით მხოლოდ თავს იქანცავდა! ამიტომ გადაწყვიტა, თვითონაც ისევ მიწოლილიყო და იქნებ წასძინებოდა კიდეც!

საძინებელში ფეხაკრეფით შევიდა, მაგრამ „თავის სახლში" მშვიდად მსუნთქავ მაგულის რომ დააცქერდა, მოულოდნელად ეს სურვილიც გაუქრა. უცებ მოეჩვენა: ეს მართლა მისი ცოლი კი არა, ცოლის სახელს ამპარტავნულად ამოფარებული და თავმომძინარებული შეწივლება – „თუ არ გინდა, წადი ჩემი სახლიდან!" – ჩასაფრებოდა!.. ახლა უფრო ნათლად წარმოუდგა საკუთარი უკანასკნელობა – მისთვის უკვე საბედისწეროდ ქცეულიყო „სხვის სახლში" მონური ცხოვრებაც, ცოლ-შვილიც, თვით სიცოცხლეც!..

ჰაერი აღარ ჰყოფნიდა!.. ისევ სამზარეულოს მიაშურა და

მჭიდრო სარკმელი უხმაუროდ გამოაღო, მაგრამ მაინც ვერ იგრძო საგათენებო სიგრილე. ცას შავი, დაბალი ღრუბლები სქლად ებურებოდა და შეხუთულ ჰაერს უფრო ხუთავდა...

უცებ იგრძნო: ჯერ ჩამოუყალიბებელი შურისძიება ძარღვებში კობრასავით დაუდიოდა და ტვინისკენ წვალებით მოხოხავდა!

* * *

ყველაფერი ერთმანეთზე მართლაც საფათერაკოდ წაეწყო: მაგულის პირველ დღეს უჩვეულოდ დააგვიანდა, მეორე დღეს უფრო მეტად დააგვიანა! მესამე დღეს კი უკვე ღამის პირველი საათი დაიწყო, ის კი ჯერ კიდევ არ ჩანდა და რაც უფრო ჭკუაზე შემშლელი იყო, არც ამჯერად რეკდა! მატრაკვეცა გოგონასავით, აბა, რილასთვის ჩაინაშოვნა მობილური ტელეფონი – საპაემნოდ?!

ბავშვებიც ვიღაც უცხოელი მომღერლის გალა-კონცერტზე იყვნენ წასულები და შინ მარტოდ მოტანებული კრიჟა ლამის დასაბმელი გამხდარიყო, რადგან ცოლის ამგვარ ურცხვ გაგარეულებას „გამომგონებელძაღლ" მობილურ ტელეფონს უკავშირებდა!

არადა, ჩვენში რომ ითქვას, აქ რა შუაში უნდა ყოფილიყო მობილური ტელეფონი?!

აკანკალებულ-აცახცახებული, სულში კობრაშებუდებული ქმარი გუნებაში ღმერთს ამასღა ევედრებოდა: ცოლი ბავშვებზე ადრე მოსვლოდა, მაშინვე რომ სცემოდა და ახლა კი თუგინდ წიხლებით შესდგომოდა! მაგრამ მერე ამას რა მოჰყვებოდა, სულ არ ეფიქრებოდა ანდა აღარც ანაღვლებდა!

მას ამჟამად ყველაფერზე წამსვლელი ქმრის შეუოკებელი ცოფმორევა აცდუნებდა!

დაუკეტავი კარი მოულოდნელად მძიმე ჩანთის ჯიბრიანი მორტყმით შემორახუნდა, რასაც ორივე სავსე ჩანთის გაუფრთხილებელი დახეთქება მოჰყვა! კარი ახლა უფრო ღონივრად მიჯახუნდა, შუქიც აინთო და შუაკარის კვამლოვან მინაზე ბუნდოვნად აილანდა მაგულის თავ-ტანი!

კრიჟაც სწორედ ამ წამს უცდიდა! სავარძლიდან მოკრივესავით წამოვარდა და თავდასაცემად გაექანა, მაგრამ მეუღლემ

დაასწრო – წინკარი წივილ-კივილით შემოგლიჯა და ქმარს დაქანცული აფთარივით ეკვეთა!

– რას მაწამებ, შე გარეწარო!.. რა გინდა ჩემგან – რა, რა, რა, რა!..

– რა იყო, ქალო?!

– რა იყო და შენი სიკვდილი, მოსპობა, არგადარჩენა და... აქედან გასვენება!!!

– ვააა!.. გამაგებინე, რა მოგივიდა?

– კიდევაც რო მეკითხება, ეს, ეს... არ იცი, რაც მომივიდოდა შენისთანა არაკაცის ხელში?! – სხაპასხუპით წიოდა მაგული, თან მკლავებს გამწარებით უქნევდა, – ჯერ თავს ვიკავებდი, არაფერს ვამბობდი – იქნებ თავისით... მაგრამ საქმეში ხარ?!..

– რა იყო-მეთქი, მართლა და მართლა!

– რა იყო და ეს სამი დღეა, ლამის სისხლი გამიშრო: მალმალ დამირეკავ – მაშინვე გამითიშავ! დამირეკავ – გამითიშავ!.. დამირეკავ–დამიკიდებ! დამირეკავ – დამიკიდებ!.. საქმე ვაკეთო თუ... რა გინდა, რას მამოწმებ?!. მაგით მაინც რის გაგებას ცდილობ, შე...

– არა, გოგო... ალბათ, სხვები... გირეკავდნენ... – ყლურწუნი შეუდგა კრიჭას ენა-პირს, – შენ კი გგონია... გეგონებოდა, მე... მე ერთხელაც არ დამირეკავს!

– უიმე!

– არა, შვილებს გე...

– არ დაიფიცო, არ დაიფიცო! – მაგულიმ შეშლილივით შეუწივლა და ქმარს დედა არწივივით მიაფრინდა. მარცხენა ხელი ქეჩოში მარწუხივით გამოსდო, მარჯვენა კი პირზე მთელი ძალღონით დააჭირა, – ბავშვები ტყუილად არ დაიფიცო, თორემ აი, თვალებს ამოგთხრი!

გადაფითრებული ცოლ-ქმარი ერთმანეთს ავი მოლოდინით შეაჩერდა. თუმც მაგულის უკვე ეტირებოდა და აჰა, აეტირა კიდეც! თან მეუღლის თვალებში კარგად ნაცნობი ჯაბნური ლივლივიც რომ შენიშნა, ცივად ანება თავი და იქვე, დივანზე დაებერტყა. ხელისგულებში თავჩარგული, თან საცოდავად ხუჩხუჩებდა.

– ღმერთო, ეს რა დღეში ვყავარ!.. ნუთუ ამის ღირსი ვარ?!

კრიჟა ცოლს მჩხავანა კატასავით მიუჩოჩდა და მხარზე გაუბედავად გადასდო ხელი.

– კარგი... დაწყნარდი ახლა!.. წყალი ხომ არ მოგ... რატო არ გჯერა ჩემი – მე არ...

მაგულიმ მხრების უკმეხი შეთამაშებით მოიგდებინა ქმრის მკლავი. მერე წინკარში გაესწრაფა და თავის ადგილს მობილური ტელეფონით დაუბრუნდა.

– მაშინ როგორ გეხვეწე, მოდი, ხმარება შენც გასწავლო-მეთქი, შენ კი გამექეცი!. ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, ეს ხომ აღარ დაგემართებოდა?! – ბეჯითი ხმით დაუწყო და მობილური ტელეფონი ქმარს ცხვირთან მიუტანა, – ვინც უნდა დარეკოს, მისი ტელეფონის ნომერი აი, ეკრანზე იწერება!!!

კრიჟამ უჩვეულო გულშელონება იგრძნო. თან ეჩვენებოდა, მტარვალურად მოჩერებული მეუღლე მობილურ ტელეფონს კი არა, კისერში ხელჩავლებული მგესლავი კობრას თავს უტურტურებდა! მაინც ეგონა, ქალი ახლაც თავისებურად მეხუმრება, მატყუებს, მაშინებს ან გამოცდას მიწყობსო. ამიტომ ნათხოვარი ხმით ესღა შეიჩურჩულა.

– კაი, ახლა რა, გული!..

– რა ვქნა, რა მოვუხერხო ამ კაცს?! – წარბების შეხრით მაგული ჯერ თავის თავს ჩაეკითხა, მერე ისევ ქმარს მიუტრიალდა, – ვარა დეიდას ბინის ტელეფონის ნომერი ხომ ზეპირად იცი, არა?!. ახლა უყურე!

მაგულიმ მობილური ტელეფონი კალთაში ჩაიდო, თმები მიისწორ-მოისწორა და გახრინწიანებული ხმა მუჭში მსუბუქი ხველებ-ხველებით ჩაიწმინდა. მერე მობილური ტელეფონი ისევ აიღო და ნომერი აკრიფა.

– მე ვარ, ვარა დეიდა!.. ხომ არ გაგაღვიძე?!. რასა იქმთ, როგორ არის იოსები ძია?.. – შინაურულად იკითხა და გამამხნევებელი კილოთი განაგრძო, – ჰო, ჰო, როგორც გუშინწინ გითხარი: კარგად დანაყილი მრავალძარღვა მაისის თაფლში გალესეთ და ყოველ დილით მსუბუქად წასცხე ხოლმე!.. თან ფუფხსაც ხელი არ ახლოთ – გამოცხვება და თავისით მოვარდება!.. ჰო, ჰო, ასე!.. აჰ, რა დროს ამის გათხოვებაა – ჯერ დაამთავროს და!.. ბესო?! უჰ, ეს ან გვასახელებს ან სულ დაგვღუპავს – იმისიმძიმე შტანგას

ეწევა, გული მეწურება, ხერხემალი არ დაიზიანოს-მეთქი! თან ყოველთვე თითო-თითო კილოს უმატებს!.. არ ვიცი, არ ვიცი!.. ესეც არის, რა!.. გადავცემ, უეჭველად გადა... თუმცა რაღა გადავცე, აგერ, აქვე მიზის და ყველაფერი ესმის! თან ხელით მანიშნებს (ცოლის თვალთმაქცობამ კრიჟას შუბლი მოუჭმუხნა!), ჩემგანაც მოკითხვა გადაეციო!

მაგული უცნაურად შეცმუკდა.

– ვარა დეიდა, უფრო რისთვის გირეკავ!.. მობილური ტელეფონით რომ მირეკავენ, ეს ჩემი მობილური ყველა ნომერს მაშინვე აისახავს ხოლმე, მაგრამ ბინის ტელეფონებით დარეკვისას ზოგჯერ ხაზმუზიანობს, მიზეზს კი ჯერ ვერ ვხვდები! ჰოდა, აბა, ერთი გადმომირეკე!

მაგული ქმარს აეტყუპა და ტელეფონიანი ხელი ბარძაყზე ისე დაიყრდნო, ყველაფერი მას უფრო უკეთ დაენახა. ცოტაც და „NOKIA“ სუფთა ხმაზე აწრუწუნდა. მაგული ტელეფონის გაჩუმებას ისე აყოვნებდა, თითქოს თანამეცხედრეს მოთმინებას უმოწმებსო. ქმარს კლასის ხელმძღვანელივით მიაჩერდა და თვალი ამპარტავნულად ჩაეკიჟა, თან შეღებილი ფრჩხილით ეკრანზე ასახულ ნაცნობ ნომერს უთითებდა.

– ხედავ?.. ვისი ნომერია?!. ახლა მაინც რაღას იტყვი?!.

კრიჟა აღარც ცოცხლებში ეწერა, აღარც – მკვდრებში.

მაგულიმ ფეხი ფეხზე შემოიგდო, მობილური ტელეფონი ჩააჩუმა და ყურთან არხეინად მიიტანა.

– ჰო, ვარა დეიდა!.. კი, კი... მაშინვე და თანაც ისე სუფთად, რომ... არ ვიცი, არ ვიცი! ალბათ...

მოკაკული კრიჟა შუქანთებულ წინკარში გაძვრა.

მაგული ვარა დეიდას მალევე დაემშვიდობა და რაკი ეგონა, სავსე ჩანთებს, ჩვეულებისამებრ, ქმარი მიმიხედავსო, ნაცნობი შვება და დაღლილობა ერთდროულად მოერია. მაგრამ კარადის გამოღებისა და ხელიდან გავარდნილი ერთ-ერთი „ბათინკის“ ბრაგვანის ხმაზე რომ მიხვდა, კაცი გარეთ გასასვლელად ემზადებოდა, მაშინვე წინკარში გაუვარდა.

– ჩანთები სამზარეულოში მაინც შეიტანე და ამოალაგე! – ყვედრებით უბრძანა, – მე ისეთი დაქანცული ვარ, აღარაფრის თავი... ან ახლა რაღა დროს წასვლაა – გარეთ რომ იყო, შინ

უნდა ბრუნდებოდე!.. თან რძეც ასადუღებელია!

დაცუცქებული კრიჟა ფეხსაცმლის ზონრებს ისე ინასკვავდა, ვითომ არ ესმის ან ამას არ ელაპარაკებიანო.

გადაქანცულ მაგულის ნერვებმა უმტყუნა და წვრილ ხმაზე შეუწივლა.

– ამას მარტო მოართვი და აჭამე!.. წასვლა და შენი არდაბრუნება!.. ან ისეთი მოგიტანონ, როგორც, აგერ, ჯერანა მოიტანეს!

გამწარებული ქალი უფრო მოდიდო ჩანთას ორივე ხელით დააცხრა და სამზარეულოსკენ თრევა-თრევით წაიღო.

კრიჟამ ჯიბეში გასაღები მოისინჯა და კარი ფრთხილად გამოაღო, მაგრამ უჯობდა, საკირეში ჩავარდნილიყო, კარი კი არ გაეღო: ყურაცქვეტილი სულ ბოლოსართულელი მეზობელი მათ კარნინ მხრებწახრილი ერჭო და მაგულის წივილ-კივილს თურმე გაფაციცებით იწერ... უკაცრავად, ისმენდა!

საძრახის საქციელზე წასწრებული მეზობელი არ დაბნეულა: უმალ საჭირო გამომეტყველება მიიღო და კვნესა-ხვნეშით გულმკერდის სრესას შეუდგა – ვითომ კიბის ყოველ ბაქანზე შეუსვენებლად ასვლის ილაჯიც აღარ შემწევსო! ხოლო თუ რომელმე ბინაში ვიღაცა წივის, ეგ მე სულაც არ მეხება და საერთოდ, ვერცა ვხვდები, ვინ ვისა და რისთვის უწივისო!

კრიჟა მეზობელს არ მისალმებია (დიდი ხანია, ისინი ერთმანეთს აღარ ესალმებოდნენ!) და კარის გამოკეტვას შეუდგა. იხტიბარგაუტეხელი მოყურიადე კი თავისი საქციელის გასამართლებლად კიბეს ავადმყოფური ნაბიჯდამძიმებით შეუდგა.

მეორე ჩანთის შესათრევად გამოვარდნილ მაგულის ქმარი იქ რომ აღარ დახვდა, მისი ფეხის ხმა კი შემოისმოდა, კარი ალაჯურად გამოგლიჯა და მისი მონაძახევი კრიჟას ქვედა სართულის საქცევთან ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ჭურვივით დაეწია.

– თუ არ გინდა, ჩემი სახლიდან სულ წაეთრიე, შე არაკაცო!

ამაზე უკეთესს რას მოისმენდა კიბეზე ზოზინით ამავალი სადარბაზოს ჯაშუში – ეს ხვალ მარტო უბანს კი არა, იქნებ მთელ მასივსაც სცოდნოდა!!!

თავრეტდასხმული კრიჟა ამასღა ცდილობდა: ფეხები ერთ-

მანეთში არ გახლართვოდა და ცოლის გასახარებლად უცებ ცხვირ-პირი არ ჩამტვრეოდა! ძირს რომ ჩავიდა, შორს ჯერ წინდახედულად გაიხედა. შინისკენ მონაშურ ელისოსა და ბესოს თვალი რომ მოატანა, გარაჟების მჭიდრო მწკრივს უკანიდან გულაფანცქალებით წამოუარა და შეიცადა, სანამ შვილები სადარბაზოში გაუჩინარდებოდნენ. მერე სამალავიდან ისევ გამოვიდა, გალია უბანი, გადაჭრა გზატკეცილი და ცრემლმოგუბებულმა, თავის ერთადერთ უღალატო მესაიდუმლესა და მეგობარს – ტყეპარკის მუხნარს შეაფარა თავი.

* * *

იმ დღიდან კრიჟას თავისებურად ჩამოუყალიბდა მობილური ტელეფონით შეიარაღებული ქალის შინ მომწყვდეული ქმრის სივალალე. რაიმე უკადრისი ჩანაფიქრის წინ ცოლს თავდასარწმუნებლად გამოგონილი საბაბით გარედან ისე შეეძლო დარეკა და შემოწმება – სამიწე ქმარი შინა ჰყავდა თუ არა – თავისი ვინაობა არც გამჟღავნებულიყო! ხოლო თუ ბინის ტელეფონით უბედური ქმარი თვითონ დაურეკდა, ეს მისი მობილურის ეკრანზე მაშინვე აისახებოდა! თან ვერც იმას შეიტყობდა – ამ დროს მისი ცოლი მართლა სად იყო ან ვისთან რას აკეთებდა! ამიტომ მეტი რა დარჩენოდა – ქალის მოწვდილ ცნობას მონურად უნდა დასჯერებოდა! ეს ხომ უთანასწორო, კაბალურ-კოლონიური ურთიერთობა გამოდიოდა!... ხოლო ცივსხმიანი ოპერატორის ორაზროვანი კილოს საგამოცანო ფრაზას – „მობილური ტელეფონი გამორთულია ან აბონენტი გასულია მომსახურების ზონიდან!" – ლამის ჭკუიდან შეეშალა!..

ო, ეს ჯადოსნური გამოგონება რა დაუძლეველ საცდურს წარმოადგენდა ყველასთვის, ვინც მოუსვენარი ბუზივით სულ ასაფრენად იყო შეწკეპილი და ხელის აქნევასღა უცდიდა!!! კრიჟას ვარაუდით, ჯერ ძვირადღირებულ ამ მობილურ ტელეფონს მალე კიტრის ფასი დაედებოდა, საყოველთაო კუთვნილებად იქცეოდა და ვინ გიჟი დაიჯერებდა, მის სასწაულებრივ შესაძლებლობებს თითოეული მფლობელი მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილური მიზნებითა და გაუბედურებული სამშობლოს უანგარო მსახურებისთვის გამოიყენებდა?!

ისემც რა გითხარით! თქვენ ფსიქიკადაკეჭნილ კაცობრიობას მოარჯულებთ?! ქვეყნიერება ჯერ ისედაც რა ამბავში იყო და ამათ მობილური ტელეფონიღა ჩაუვარდებოდა ხელში?!

მობილური ტელეფონი!!!

მობილური ტელეფონი კი არა, ამათთვის ყველა ტექნიკურ-სამრეწველო მიღწევა უნდა ჩამოერთმიათ და მხოლოდ ათანბაბამდელი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, თიხის ჭურჭელი, ტალ-კვესი, კვარი და საქსოვი ჩხირებიღა დაეტოვებინათ!!!

კრიჟა სულ შეეშვა ეჭვიანობასთან დაკავშირებით ცოლთან გულის გამასივებელ ჯიჯღინს, ვინაიდან ამას მათ ურთიერთობაში ვერანაირი გარკვეულობა ვერ შეჰქონდა და ორივეს მხოლოდ ყოფნა-ცხოვრებას უშხამებდა! ხოლო საკუთარ სინდის-ნამუსიანობაზე მაგულის ამდენ ნაიძულევ ფიცილს აღარც დამაჯერებლობა ჰქონდა, აღარც მნიშვნელობა! თუმც კაცს ეჭვიანობაზე მეტად ისევ და ისევ მთელი უბნის საყურებელი საზარელი სინამდვილე აქონდრისკაცებდა – ყოველ დილით „კონდახის" სხვადასხვანაირსიფათიანი „შებერტყილი დედაბოზი" მის ცოლს ანუ უფროს დილერს „პიკაპის" კაბინაში გვერდით ფასიან მეძავივით რომ მოისვამდა ხოლმე და გამომწვევი მოუთმენლობით გააქროლებდა!!! მაგრამ სხვა რა გამოსავალი იყო – რა წყალსა და ღვარს მისცემოდა?! ამიტომ მამაცური დიდსულოვნებით დაიდგა ყმური მოთმინების უღელი.

მაგულიმ ეს თავის მიღწევად მიიჩნია და ქმარზე უფრო თავდაჯერებით განაგრძო მბრძანებლობა! თუმც ბოლო ხანს კრიჟას ფარულმა სატანჯველმა დაუწყო ღრღნა – მის არსებაში გაღივებული შეურიგებლობის მამრული წყურვილი დღითი დღე უშხამო კობრასავით იზრდებოდა და გამოსავალს ითხოვდა!

ერთ დღეს ეს გამოსავალიც ბუნებრივად გამოუცხადდა.

ზინა!!!

* * *

ეს თვალშეხედული, მაგულიზე, ალბათ, რამდენიმე წლით ახალგაზრდა ქალი ხუთიოდე თვის უკან რომელიღაც სოფლიდან დედაქალაქში ბედის საცდელად ჩამოსულიყო. კვარტლის უფერული სავაჭრო ხუხულების მოკლე მწკრივში პლასტმასის შიფრით

ცალფად თვგადახურული ერთი საწვრილმანო ღია დახლუკა ეჭირა. თავიდან ჯერ ქსენია ძალოსთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ მალე ქალ-სიძემ დედაბერი თავისთან, ვაზისუბანში გადააბარგა, ეს ერთოთახიანი კი მთლიანად მდგმურს მიაქირავეს.

კრიჟამაც და ზინამაც კარგად იცოდნენ, ერთი და იმავე კორპუსის სხვადასხვა სადარბაზოში რომ ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთმანეთს მაინც არ ესალმებოდნენ – უბრალოდ, არ იგრძნობოდა ამის საჭიროება ან აუცილებლობა!..

სააღდგომოდ მაგულის დავალებით კრიჟა ენდროსთვის იყო გამოსული. უეცრად დაქროლილი კუდიანი ქარი ღია დახლებზე რასაც მოერია, ფართიფურთით ერთად აფანტა, მერე კი დამცინავად აქეთ-იქით მიმოყარა.

დახლებიდან გამოცვენილმა ძველმა გამყიდველმა ქალებმა ერთი წიოკობა ატეხეს და მიმოფანტულ შეშუდს ერთმანეთის წახმარებით დაუწყეს კრეფა.

ზინა მარტოკა აგროვებდა თავის გაშანშლულ საქონელს. თან ირგვლივ შიშით იყურებოდა, რადგან მსუბუქი ქარი მაინც არ ისვენებდა – ხან აქედან გამოუთამაშებდა, ხან იქიდან. ზოგჯერ კი ფრთას დახლსაც ხელახლა გაუკრავდა ხოლმე და რაღაცას წიწილასავით ასტაცებდა!

– შენ დახლს გადააფარე რამე! – კრიჟამ მოჭრით მიაძახა, – ცელოფანი არა გაქვს?

– მაქვს, მაქვს!

ზინა დახლს დაუტრიალდა, კრიჟა კი ზინას ნაჭერ პლასტმასის ტაშტს მიუცუცქდა და ყველაფერი პირწმინდად წამოუკრიფა, თანაც სულ შებერვით ან მუხლზე გასმით. ბოლოს კი მოუსვენარი ცელოფნის საფენის გასაჩერებლად სადღაც აგურის ნატეხებიც მოუნახა.

– თქვენ რომ არ მომშველებოდით... – საოცრად სუფთა თვალების შემონათებით შესჩურჩულა ზინამ, – დიდი მადლობა და.. მევალოს!

უკანასკნელ სიტყვაზე კრიჟამ გულღიად გაუღიმა და ენდროს კონების გამყიდველი დედაკაცებისკენ გაემართა...

* * *

უცაბედად გახსენებული ზინას სუფთა თვალები კრიჟას ახლა ისე წარმოუდგა, როგორც ხსნა და სამოთხე!.. იმავწამიერად ამაფორიაქებელი ფიქრებიც აეშალა და კითხვებს ფეხდაფეხ ველარ მისდევდა!.. რას წარმოადგენდა ეს ქალი?!. მართლა უჭირდა თუ ისიც ფეხისხმისაყოლით შემოჰხიზნოდა ამ აქოთებულ თბილისს?!. ან რომელი სოფლიდან იქნებოდა?!. შეიძლება ახლოს კალმახიანი მდინარე ჩამოუდიოდათ, საძოვრებგაღმიდან კი ისეთი ტყიანი მთა-გორები იწყებოდა, იქ ხეტიალსა და განმარტოებას არაფერი შეედრებოდა!.. მაშ, ზინას დაუკავშირე ბედი და ერთად დაუბრუნდით ბუნებას!.. ამ ნაბიჯსაც გადადგამს, ოღონდ მაგულის ყოველდღე წაყვან-მოყვანას აღარ უცქიროს და აღარც მისი დამაჩიავებელი ბრძანება-საყვედურები ისმინოს!.. ხოლო „კონდახმა" ახლა ავტომობილი კი არა, თუგინდ შვეულმფრენი და წყალქვეშა ნავიც უყიდოს!.. ველარც მეზობლების ქვეწარმავლურ-გამომცდელი ცქერისთვის გაუძლია!.. ლუდიყლურწია ქვევრმუცელა ნაკაცრების მიერ დაყენებული შარდის დაუმშრალი გუბეებისაგან ხომ გარაჟებს უკან მთელი ზაფხულ-შემოდგომა აღარ გაივლებოდა, გოგირდისებური მქისე სუნი კი სართულებსაც სწვდებოდა! მაგრამ ვითომც არაფერი! აი, ესღა იყო თბილისი და თბილისელობა!.. რაკი დილიდან ნაშუაღამევამდე ეზოს ჭადარქვეშ ამ ჯოგურ ლუდიყლურწიაობაში ის არასოდეს მონაწილეობდა, ნუთუ ამისთვის კრიჟანგად უნდა მოენათლად?! ო, რატო ღმერთი არ გაიცინებს!.. არა, უნდა მოშორდეს აქაურობას და ახალი ცხოვრება დაიწყოს!.. იქნებ იქ მაინც გამოავლინოს თავისი ჭკუა-გონება, შემართება და მუყაითობა: როგორი გაპარტახებული კარ-მიდამოც უნდა დახვდეს, არაფერს შეუდრკება – დღესა და ღამეს გაასწორებს, ყველაფერს ისე აღადგენს და ააყვავებს, მთელ მხარეში თითით საჩვენებელი გახდეს!.. დაუძლურებული დედ-მამაც რომ ჰყავდეს, ღვიძლი მშობლებივით მიიღებს!.. მიწას გლეხური მოწადინებით მოეჭიდება, ოღონდ დაუყვედრებელი ლუკმა ჰქონდეს!.. მაგრამ შვილები? ეჰ, პირველხანად შვილებს კი გული ეტკინებათ, მაგრამ თანდათან ისევ შეიჩვევს, იქაც ხშირ-ხშირად ისტუმრებს და ბუნების წიაღში ისეთ მშვენიერებას აზიარებს, მადლობელიც დაურჩებიან!..

მშვიდობა იყოს და... მერე მთელი ზაფხულობით შვილიშვილებს ბოკვრებივით იქ იყოლიებს და სოფლის სუფთა ჰაერზე... თან, ვინ იცის, იქნებ ამათაც ეყოლოთ ბავშვები და...

ამგვარ საფიქრებელში ჩავარდნილს, უცებ სევდა დაეცა და თავის თავს კიდევ ერთხელ გამოუტყდა: მეტისმეტად მგრძნობიარე კაცი იყო და ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა სჩვეოდა!

ჰოდა, ზინასთვის ბედი რანაირად უნდა დაეკავშირებინა, როცა ჯერ ისიც კი არ იცოდა, გასათხოვარი იყო, გაუთხოვარი, განათხოვარი, ქვრივი, გერ(ებ)იანი თუ... თუ... თუ ქმარშვილიანი?!

გულშეღონებამ სუნთქვა შეუყენა და უცებ თვით განგებამ შთააგონა: ამ ჯოჯოხეთიდან თავი რომ დაეღწია, საკუთარ ბედისწერას ნაპოლეონისებურად უნდა მინდობოდა!!!

გული ისე უფეთქავდა, ეგონა, მთელი კორპუსი ქანაობსო. ძირს ჩავიდა და სავაჭრო დახლებისკენ გაეშურა. ზინამ თავისკენ დამიზნებით მომავალი თანაკორპუსელი რომ შენიშნა, რაღაც წვრილმანების უაზრო გადაადგილ-გადმოადგილებას შეუდგა.

– რა ხდება... როგორ მიგდის ვაჭრობა, ზინა?

– ისე, რა! რაც მერიამ...

– ეს დღეები... რაღაც არ ჩანდი... შავები რატო გაცვია?

– ეჰ, პაპიდაშვილის ქმარი ავარიაში დაგველუპა და ოთხი დღით სოფელში ვიყავი წასული!.. გუშინ ეს მებაჟე კი გამხეცცოფებული მეცა და – ყველამ ამდენი რომ გამიცდინოს, მე გეგმა როგორღა...

– ე თითზე რა მოგსვლია?

– ესა?! – დაბინტულ არათითზე ზინამ დამნაშავესავით დაიხედა, – წუხელ საღამოს დენი ჩამიქრა! მონტიორთან დავრეკე და ცოლმა მითხრა – ახალი რესტორნის გაყვანილობაზე მუშაობს და ორი კვირა არ ეცლებაო!.. ვითომ მე თვითონ გავიკეთებ-მეთქი, მაგრამ ვერც გავაკეთე და თან თითში მაკრატელიც წავიკარი!

– ერთი უყურე! მაკრატლით ვის გაუგია – ემანდ დენმა არ...

– აბა, რა მექნა?! მერე სხვა მონტიორთან დავრეკე! იმან კიდევ...

– ყველას თავი დაანებე!.. საღამოზე გადმოვალ და მე გავაკეთებ!

– უი, თუკი მაგ სიკეთეს მიზამ!.. აქედან, აბა, რომელი იზოლაცია წამოვიყოლო?

– ეგ რა არი – თურქული და ჩინური!.. მე გერმანული იზოლაცია მაქვს!.. შინ როდის იქნები?

– ცხრა საათიდან სულ შინა ვარ ხოლმე.

ზედ მომდგარ მუშტარს კრიჟა გულხმიერად ჩამოეცალა და მუხნარისკენ გასწია.

ახლა მთავარი იყო, გულისთქმას მორეოდა და სულიერი წონასწორობა აღედგინა.

დანარჩენი ბედისწერაზე ეკიდა!

უბნის გოგობიჭობაში ამაფორიაქებელი ამბავი გავრცელდა – მთაწმინდაზე თურმე კონტაქტური ზოოპარკი ყოფილაო!!!

– კონტაქტური ზოოპარკი რაღაა? – აყიჟინდნენ ბავშვები.

– რა არის და, ბაჭიებს, ციყვებსა თუ ბეკეკას შენ თვითონ რომ ეკონტაქტები, – განმარტა მეორეკლასელმა სალომე ჩიტუაშვილმა, – შეგიძლია აიყვანო კიდეც, მოეფერო... თან თუ გინდა, კომბოსტო და სტაფილოც აჭამო!

– შინიდან უნდა წავიღოთ?

– არა, არა! – გაეცინა სალომეს, – დაჭრილ კომბოსტოსა და სტაფილოს იქვე ყიდიან! მე და მამა რომ მივედით...

პირველკლასელ ლუკას მოთმინება აღარ ეყო და შინისაკენ ფხაჭა გაადინა. პედიატრი დედა სამსახურიდან ჯერ არ მოსულიყო, მამა კი სადღაც წასასვლელად ფაცურით ემზადებოდა.

– მამი, მამი, ფუნიკულიორზე კონტაქტური ზოოპარკი ყოფილა და...

– რა ყოფილაო?!

– კონტაქტური ზოოპარკი! – ლუკამ სალომეს მონაყოლი თავისებურად გადასცა და ყელგადაგდებით შეეხვეწა, – ხვალ ხომ კვირაა – წამიყვანე, რა!

– როდის იყო, მე... – გაცინებით მოუჭრა მამამ, ცალი მკლავი კოსტიუმის სახელოში რომ გაეყო, მეორე სახელოს კი ველარ პოულობდა, რადგან ფიქრით რესტორან „მონოპოლში“ ძმაკაცებთან უკვე გაშლილი სუფრა ეზმანებოდა, ხვალ კი მეორე ქეიფი ელოდა – თავისი უფროსი ასურეთის აგარაკზე რაღაც ლხინს მართავდა და მკაცრად შერჩეულ თანამშრომელთა სიაში ისიც ეწერა! ეხუმრებით?!

– რა იყო, ერთხელ მაინც... – ხმაატირებით ამოთქვა ლუკამ, – აბა, სალომე როგ...

– როდის იყო, მე... – გაფანტულად გაუმეორა მამიკომ, – რა იქნა საათი?!. აი, სად დამიდვია!.. ეგ მამიდას უთხარი, მამიდას!.. ის წაგიყვანს!

– უკვე მოვიდა?!. სად არი?

მამამ ერთ-ერთი ოთახის კარისკენ თითი შეთქმულივით ისე

გაუშვირა, აშკარა იყო – არ სურდა, შინიდან მისი გაპარვა დასაც შეეტყო. ამიტომ მოულოდნელად შვილს თვალი თანატოლივით ჩაუკრა, კარი უხმაუროდ გამოაღო და გაუჩინარდა!

ბავშვს წელანდებური აღმაფრენა თითქოს ჩაუნელდა...

მარტოხელა მამიდას ერთოთახიანი ბინა სხვაგან ჰქონდა, მაგრამ დედიკომ და მამიკომ სანამ აქ არ გადმოაბარგეს, ის კი არ გააქირავებინეს, მანამ თავისი დაიმართეს – უპატრონო ხომ არ ხარ, იქ მარტოკა რატომ უნდა იყოო! მარტოობა მარტოობად, მაგრამ მთელ საოჯახო საქმიანობას მამიდა უძღვებოდა!

ქალბატონი დიანა ხან სიამაყით, ხან კი შიშნარევი მადლიერებით ყველას ამას უმეორებდა.

– რას ლაპარაკობთ, ასეთი მული რომ არ შემხვედროდა, არ ვიცი, რა გვეშველებოდა!.. ორ-ორ ბავშვს რა გამაზრდევინებდა, ან მე როგორ უნდა მემუშავა?! მთელ ოჯახს ეგ მიწარმოებს!..

მამიდა ჯერ ისედაც მკაცრი და დუმილის მოყვარული იყო, ხოლო რაც პირველკურსელი თეონა შეყვარებულს შინაურების უკითხავად წაჰყვა, თითქოს უფრო მკაცრი და შეუვალი გახდა!.. მაგრამ სიძე რაკი რიგიანი გამოდგა, მამიდამაც გული მოიბრუნა და ბოლო ხანს სულ სამზითვო ლოგინის თეთრეულში იფუტკნებოდა...

ლუკამ გაუბედავად შეაღო მამიდის საძინებლის კარი.

– მამიდა, მთაწმინდაზე თურმე კონტაქტური ზოოპარკი ყოფილა!

– ეგ ვიცოდი. – მშვიდად მიუგო ჩარსავებში, ზეწრებსა და მითელებში ჩაფლულმა მამიდამ.

– იცოდი?!. მაშ, რატო მეც არ მითხარი?!

– მინდოდა, შენ თვითონ გაგეგო!

– ჰოდა, მოდი, ხვალ წავიდეთ და ვნახოთ!

– რანაირად?! – წარბები შეიყარა მამიდამ და მაგიდაზე ჩამოკეცილი ფეხის ჩითი თავისკენ გადაითრია, – ეს დღეები არ მეცლება – თეონას ქვეშაგებს უნდა მოვრჩე!.. აი, მომავალ შაბათს წავიდეთ!

– არ მომატყუებ?

– რას ჰქვია „არ მომატყუებ?!" როდისმე მომიტყუებიხარ?

– რა კარგი მამიდა მყავხარ! – გულაჩუყებით შეიძახა ლუკამ და სავარძელში მოკალათებულ მამიდას ზეზეურად აეხუტა. მამიდამ ნართიანი მახათი სანემსეში ხელგაწვდით გამოუბნია და ძმისწულს მშვიდი ფერება დაუწყო.

* * *

შაბათი გამორჩევით დარიანი გამოდგა. №124 ავტობუსის ღია სარკმლიდან მაცქერალ ლუკას ეჩვენებოდა, მაისის მზეც მათთან ერთად მთაწმინდისკენ მოექანებოდა!

როგორც კი შევიდნენ მოსეირნე ინდოელებითა და დედაწულიანად ამოსული არაბებით სავსე პარკში, ლუკამ მამიდას ხელი გამოსტაცა და ზევით უაზროდ გაიქცა.

– მოიცა, ჯერ სად გარბიხარ?! – ყვედრებით დაადევნა მამიდამ და იმოდენა უცხოელებში წამლად მოჩინარ ქართველ კაცს შინაურულად ჰკითხა, – ხომ არ გეცოდინებათ, აქ საით არის კონტაქტური ზოოპარკიო?

ტანმძიმემ ყავარჯენი იღლიიდან გამოუღებლად გაუშვირა ქვევით, ინგლისურენოვანი ფიცრის ისრისკენ. ლუკაც მაშინვე წამოტრიალდა და თავისი მოუთმენლობის გამოსასყიდად მამიდის გამოწვდილ ხელს მორჩილად ჩააბარა თავისი ხელი.

ფიჭვნარში მოქცეული ასფალტიანი გზა დაფერდებით ეშვებოდა, ორივე მხრიდან ნაირ-ნაირი ატრქციონები რომ მიუყვებოდა...

ჯერ რვალარიანი ბილეთი შეიძინეს, ხოლო თავიანთი სურვილისამებრ მუჭისოდენა პოლიეთილენის კონტეინერში ჩაჭრილი სტაფილო და კომბოსტოც რომ იყიდეს, დამთვალიერებლებით სავსე ზოოპარკში შეატარეს.

სისუფთავის მიუხედავად, ჰაერში მქისე სუნი იდგა. დაბალ, ღია ვოლიერებზე რეზინის ხელთათმანები ეკიდა გამაფრთხილებელი წარწერით „რეკომენდირებულია ხელთათმანების ჩაცმა“, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა! პატარები თანმხლებ უფროსებს აღარ უსმენდნენ და ჟრიამულობდნენ – ყველას სურდა, რაც შეიძლება მალე შეხებოდა და თავისი ხელით გამოეკვება ზოოპარკის რომელიმე ბინადარი. ლუკაც უცებ გაერია მათ შორის და მისი მოუთმენელი ხმა ხან საიდან მოისმოდა, ხან – საიდან.

– მამიდა, მამიდა, ერთი უყურე, კუებთან გადმომძვრალი კურდღელი ბაკნიდან ბაკანზე როგორი სკუპ-სკუპით დახტის!.. აბა, რამეს თუ შეჭამს?!.. შეხე, მამიდა, ჭამს, ჭამს!.. აჰა, ეს შენ დამიჭირე, მე კი ავიყვან და მოვეფერები!.. მოდი, ჩემთან, ჩემო ყურცქვიტუნავ!.. აი, ასე!.. ო, რა მძიმე ყოფილა!.. რა ფაფუკი ბეწვი აქვს!.. მამიდა, რატომ შეწყვიტა ჭამა?

– იმიტომ რომ, ჭამას მოფერება ურჩევნია!

ლუკამ ნაფერები კურდღელი ისევ კუებთან კი არა, თავის მოძმეებთან ჩასვა და ახლა სხვა ვოლიერს მიუცუცქდა.

– რამსიგრძე ბოლო აქვს!.. ეს რაღ... აააა!.. ხო-ხო-ბიო! რა ლამაზი ყოფილა!.. ო, ხელს არც მავლებინებს – დახე, როგორ გამიძვრა!.. ჰა-ჰა-ჰა, ეს პატარა რა სულელურად დახტის – რომელი მაიმუნია, მამიდა?

– მაგასაც აწერია – აიხედე ზევით!

– „წმ.. მწ-ვა-ნე მაი-მუ-ნიო!" .. მწვანე მაიმუნი!.. მამიდა, მამიდა, უყურე, ეს რა მიძვრება – პაწია მელაკუდაა?!. სინდიოფალა?!. სინდიოფალა რაღაა?!.

ლუკაზე კი არა, მამიდაზეც არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ვიტრინაში გამოფენილი ზოგიერთი ფრინველის კვერცხებს შორის სირაქლემა ემუს ვეებერთელა, თანაც შავმა კვერცხმა!..

ზოოპარკიდან რომ გამოვიდნენ და ისევ სუფთა ჰაერი ჩაისუნთქეს, მაშინვე თავისუფლად ამოისუნთქეს. ცოტა ზემოთ, შემომესრილი ატრაქციონის, „მფრინავი ფუტკრები" მოედანზე მოფუსფუსე თანატოლებს რომ ჰკიდა თვალი, ლუკა ახლა იქით გავარდა. მამიდა გზაზევე დარჩა – გაფანტულად მიმომავალ მოსეირნეებსა და ბავშვების მომლოდინეთა შორის.

ატრაქციონი არ მუშაობდა. ერთი ცხვირჩაჭყლეტილი ელექტრომექანიკოსი გუშინ გადამწვარ მრავალძარღვა ელექტროკაბელს ცვლიდა.

– მალე გაკეთდება? – წამუწუმ ეკითხებოდნენ ბავშვები.

– ვნახოთ!

მამიდა შორიდან აკვირდებოდა, ლუკა და იქვე უცებ დაამხანაგებული მისი კბილა ბიჭუნა როგორ მოუსვენრობდნენ „მფრინავი ფუტკრის" ერთ-ერთი ღია კაბინის ქვეშ.

საიდანღაც შემოქროლილმა ნიავმა ტოტებში გადიშრიალა და ირგვლივ გაზაფხულის ისეთი სურნელი მიმოაფრქვია, მამიდას თვალები ნაეხუჭა.

უცებ ჰაერი კაცის გაძახებამ შეარყია.

– ნოდარიკო, მანდ სად მიძვრები!

ამ ხმამ მამიდას ჟრუანტელივით დაუარა, დამძახებლისკენ დედოფალასავით შეატრიალა და იმავწამიერად თავისდა უნებურად ამოსცდა.

– ლუკა, მივდივართ!

ქალის ხმას ახლა კაცი შემოუბრუნდა თოფნაკრავივით. ერთმანეთს პირველყოფილებივით შეაშტერდნენ.

– შე-ე-ე-ნა?! – ძლივს ამოღერღა კაცმა, თანდათან მიცვალებულის ფერი რომ ედებოდა და თვითონაც აღარ ესმოდა, რას ლაპარაკობდა, – ის... ალბათ... შვილია, არა?!

თვალებადქცეული მამიდა თანდათან მარმარილოს ქანდაკებას ემსგავსებოდა.

– თუმცა... მეც რანაირად... – კაცი უფრო გონდაფანტივით ალაპარაკდა, – ცხადია, შვილიშვილი იქნება!.. ეგ მერამ...

– ჰმ!

კაცს პირ-ტუჩი დამბლიანივით მოეღმიჭა.

– არ გათხოვილხარ?

– შენი აზრით, უნდა გავთხოვილიყავ?

ჰაერში გაშეშებული „მფრინავი ფუტკრის“ კაბინის ქვეშ გვერდიგვერდ გარინდებული ლუკა და ნოდარიკო განცვიფრებით იყურებოდნენ, მათი ახლობლები ერთმანეთს რომ ელაპარაკებოდნენ.

რაღაცის საუწყებლად კაცმა ძლივს გაიხსნა კრიჭა.

– დღესვე უნდა დავბრუნდე უკან... ჩემი მატარებელი ღამის თორმეტის ნახევარზე გადის... ბავშვს ჩავიყ... ბავშვებს რომ ჩავიყვანთ, მერე შეგიძლია, შევხვდეთ?

– რისთვის?

– როგორ მოხდა, ყველაფერს აგიხსნი!

– ოცდათორმეტი წლის შემდეგ?!. ლუკა, წავიდეთ!

რაღაცის მოლოდინით წახალისებულმა ბავშვებმა მეგობრულად მოირბინეს. უცნაურად გასწრაფებულ მამიდას ლუკა ხელზე

შეჩვეული ნუკრივით ისე გაედევნა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

ნოდარიკო წასულებს თვალს ვერ სწყვეტდა.

– ნოდარი ბაბუა, ვინ იყო ის ქალი?

– უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით..

– ისა და ბაბული ბებიაც იცნობდნენ ერთმანეთს?

– ჰო... არა...

ლუკამ და მამიდამ იაფფასიანი სამკაულების ფარდულს „Mademuiselle“ ნინ აუარეს და ავტობუსის გაჩერებისკენ გასწიეს.

– მამიდა, ვინ იყო ის კაცი?

– ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობდით.

– ერთ მერხზეც ისხედით?

– არა, ის სამი კურსით წინ იყო...

ლუკა ერთმა რამემ განაცვიფრა: უცხო ადგილას მამიდა ხელს რომ არ უშვებდა ხოლმე, ახლა რამდენჯერაც კი წაატანა ხელი, მამიდამ იმდენჯერვე აირიდა! ბოლოს მაინც სწვდა!

– მამიდა, მამიდა, ეს რანაირად გიცახცახებს ხელი?!

– წეღან ხიწვი შემესო!..

შინ რომ ჩავიდნენ, ლუკამ ჰაიჰარად ისამხრა და ეზოში თანატოლებთან ჩაქანდა. საღამოთი დედა მორიგეობიდან რომ დაბრუნდა, ყველაფერი წვრილად უამბო. მამასაც გვიანობამდე უცადა, მაგრამ, ეტყობა, ახლაც სადმე საქეიფოდ იყო. ამიტომ ცოტა გულნაკლული შეწვა ლოგინში...

დილაუთენია წინკარში ატეხილმა რაღაც უჩვეულო ხმაურობამ გამოაღვიძა.

ბრაგოვან მინებში არაფერი ჩანდა, მხოლოდ ადამიანთა მქრქალი ჩრდილები ილანდებოდა და ირეოდა ერთმანეთში.

ლოგინიდან გამოძვრა, რათა გაეგო, რა ხდებოდა, მაგრამ წინკარში დედა გადაეღობა და უკანვე შემოაბრუნა: სავარძელში გაუხდელად მიმჯდარი მამიდა წუხელ მომკვდარიყო...

მასივის მაწამებელს!

შემეძლო ეს ყველაფერი თქვენთვის პირადად მეთქვა ან თქვენს მშობლებს მაინც გამოვსაუბრებოდი. სულ თავიდან მართლა ასეც მსურდა. მაგრამ არავინ იცის, ვინა ხართ ან სად ცხოვრობთ. თან დარწმუნებულიც არ ვიყავი – თქვენივე ლექსიკა რომ ვიხმაროთ – ვიღაც სირსა თუ ქლიავს სასაუბროდ გაუჩერდებოდით თუ არა!

ამას ვარაუდით არ ვამბობ. იქნებ გაგახსენდეთ: ადრე ხეივნის შემოსაბრუნთან რამდენჯერმე ხელაწევით გთხოვე გაჩერება. მაგრამ რაკი გუმანობდით, თქვენგან რაც მინდოდა, ძაღლადაც არ ჩამაგდეთ – მაგ გათლილი ნიკაპის დამცინავი აკვრით გაზს უფრო მოუმატეთ და მოტოციკლი ჯიბრიანად აწეული კივილით გააქროლეთ! ამიტომ სათქმელის ამ ფორმის მეტი აღარა დამრჩენია რა – საახლობლოდან იქნებ ვინმეს ეცნო და როგორმე... არადა...

მაშ, დავიწყოთ!

დახედულობით ოცდასამიოდე წლის ქართველი ყმაწვილკაცი იქნებით. თქვენ აქ შარშანწინდელი გაზაფხულიდან გახდით ცნობილი, როცა „Kawasaki"-თ მოგვევლინეთ! ამაში არაფერი იყო ახალი ან მიუღებელი. აგერ, თუგინდ რამდენი გოგონა უზის საკუთარი ავტომობილის საჭეს! ჰოდა, დიდი ამბავი, ჭაბუკმა თუ იაპონური ნახმარი მოტოციკლი შეიძინა! ვისი რა საქმეა: შეიძლება მოტოსპორტითაა დაინტერესებული და ისეთი შნოება გამოიჩინოს, საქართველოს მსოფლიოში გაუთქვას სახელი! სამუშაოზე ამ სწრაფი ტრანსპორტით სურს სიარული ანდა ჩვენი გაუბედურებული სამშობლოს სიყვარულითაა შთაგონებული და მისი იმ კუთხე-კუნჭულების მონახულებაც ამოუჭრია გულზე, საცა სხვა ვერა ტრანსპორტით ვერ მიუდგებით. რა იცი!..

ჩვენდა სამწუხაროდ, აქედან არც ერთი ვარაუდი არ გამართლდა! თქვენ ამოჟინებულ სათარეშოდ გაიხადეთ ეს ჩვენი მასივი და სიდუხჭირისგან ისედაც დაბეჩავებული მაცხოვრებლების ულმობელ მაწამებლად გადაიქეცით! თან, როგორცა ჩანს... თუმც რაღა „როგორცა ჩანს" – სწორედ ასე იქნება, თორემ სადმე რომ სწავლობდეთ ან მუშაობდეთ, სულ მაგ მოტო-

ციკლზე დასკუპებული აღმა-დაღმა როგორღა იქროლებდით?!.

ყველას ახეტებს თქვენი ენერგიის უშრეტობა: უთავბოლო კვება-შესვენებისა და კურდღლისებური წაძინების გარდა თითქმის მთელ დროს მასივის უკვე გაზეპირებულ უბნებს ოკუპანტი მოტოპატრულივით ჩაფხუტით, ხანაც უჩაფხუტოდ დღედაღამ დაჟინებით უვლით და ადამიანის დამარეტიანებელი მჭახე კივილ-ღმუილითა და საზენიტო ქვემეხისებური ჭექა-ჭექით სისხლს გვიშრობთ!

პირველი დღიდანვე თქვენი მოურეველი ჟინი, ეტყობა, სწორედ ეს იყო: გაზის მკვეთრი მოკლება-მომატების წამწუთიერი მონაცვლეობითა და მოტოციკლის წარამარა უხეში დამუხრუჭებით, მერე კი ადგილიდან შლეგურად მოწყვეტისას განზრახ ატეხილი გამაყრუებელი ღმუილითა და ჭექა-ტკაცუნით თითოეული ჩვენთაგანის ტვინში მტკივნეულად ამოგეშანთათ – ეს თქვენა ხართ!.. ამას თქვენ გარდა სხვა ვერვინ შეძლებს!.. სანამ თქვენ გენდომებათ, მანამ არ გვიწერია ადამიანური ძილი და მოსვენება!!!

ბოროტმოხარულ მონადინებას ვერ დაგიკარგავთ – მთელი მასივი საკუთარი პათოლოგიური ახირების მძევლებად გვაქციეთ! მაგ თქვენი მაყუჩმოშლილი **„კავასაკი“** -ს ყურთასმენის დამხშობი ღმუილითა და ჭექა-ქუხილით გვაძინებთ და გვაღვიძებთ!

თქვენი ყველაზე საყვარელი ვადა მგლის ალიონია! თანაც ცარიელი ქუჩები ამ დროს გაცილებით ფართო გასაქანს აძლევს თქვენს თავაწყვეტილ მოტოხულიგნობას! და რაც მთავარია, საგათენებო სიწყნარეში უფრო დამარეტიანებლად შემოგვესმის გაკაპასებული მოტოციკლის დამიზნებული კივილი! ბნედადაცემულებს მოგვეჩვენება ხოლმე, ჩვენკენ სასიკვდილო წერასავით წამოსული გამკივანი მოტიციკლი სადაცაა პირდაპირ ღია სარკმელში რაკეტასავით შემოგვიფრინდება და სულყველას ამოგვწყვეტს! ამიტომ თავებზე ბალიშებს ორივე ხელით ვიტკეპნით ხოლმე!!!

მოხეტიალე ასტეროიდივით ჩაქროლილი თქვენი მოტოციკლის მშრალი კივილი მალე შორეულდება, მაგრამ ალაჰმა უწყის, იმჟამად რა გუნებაზე იქნებით – მარტო პირველ შტურმს როდი დასჯერებიხართ?! საკონტროლო ტყვიასავით რამდენიმე წრე

კიდევ ხომ უნდა „დაგვახალოთ!“

სადისტურ მოთხოვნილებას რომ დაიამებთ – მთელ მასივს დილის ძილი ჩავაშხამეო, მოულოდნელად უჩინარდებით, ოლონდ ცოტა ხნით – საუზმეზე „დესერტი“ ხომ უნდა დაგვაყოლებინოთ და სამსახურშიც მოტომარშით გაგვრეკოთ!.. აღარაფერს ვამბობ სადილობის, სამხრობის, ვახშმობისა თუ გვიანი ძილისპირულის მოტოსიმფონიაზე!.. პირადად მე კი აი, რა უფრო მტანჯავს: მოტოციკლის ღმუილ-კივილისაგან დარეტიანებული მასიველების ცქერით გამოწვეული მაგ თქვენი პირისახის დებილურ-თვითკმაყოფილი ღრეცა!!!

საქმე იქამდე მიიყვანეთ, საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. თქვენდა სასიხარულოთ, ბოლომდე არც მოგვისმინეს: ვისაც რითი უნდა, იმით ივლის!.. ჩვენ სამაგისო დრო და ბენზინი სადა გვაქვს, ვილაც ბაიკერებსა „ვსდიოთო!“ ეგ ჩვენ არ გვეხება, ხოლო თუ აღარ დაგიშლიათ, სასამართლოს „მიმართეთო!“ ..

სასამართლოს ხარჯები კი ვის აქვავია?!. მაშ, რიღას მოხელეა საპატრულო პოლიცია?!. ო, რა ჩალით დახ... თუმც ჩალა მაინც რომ გვეხუროს, კიდევ რა გვიშავდა! ჩალით დახურულ კი არა, ვაი, რომ სახურავგადახდილ ქვეყანაში გვაცხოვრობენ!..

მოღრიალე მოტოციკლით თქვენი ყოველი გამომწვევი გამოჩენა მასიველებში ელდას, შიშს, ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს – აგერ, „Kawasaki~-ავაზაკი მოდისო! ამიტომ ხანდაზმულები სულ მუშტებისა და ყავარჯნების ღერება-ღერებით გხვდებიან და გაცილებენ! ერთმა ორყავარჯნიანმა ინვალიდმა კი ერთხელ ერთ-ერთი ყავარჯენი გესროლათ, მაგრამ აგცდათ! თუმც ძნელი მისახვედრი იყო, მართლა აუცდა თუ განზრახ ისე გტყორცნათ, აგცდენოდათ! თქვენ კი სვლა სულ შეანელეთ, წამოგვიტრიალდით, მოტოციკლიდან გადმოუსვლელად ყავარჯენს ჯიგიტურად დაეწოდეთ და ელექტრობოძზე შემონარცხებით ორად გადაუტეხეთ.

–სირებო!.. ქლიავებო!.. დარეხვილებო!.. აახვიეთ აქედან, თორემ!... – ხელდაურეველის იერით გადმოგვჭყივლეთ და მოტოციკლი შეშლილს დაამსგავსეთ – შემკრთალ-შეშინებული მოვაჭრეების ცხვირწინ წრეს წრეზე ჭექა-გრგვინვით უვლიდით, ხან კი ცირკისტულად შეყალყავდით ხოლმე! ბოლოს აწივლებულ

ქალებს საშიშრად წაუქანდით და ტყვიასავით გავარდით!..

მეტისმეტი ხომ არ მოგდით?!.

ბოლოს და ბოლოს, არ გენამუსებათ – სხვას როდემდე უნდა აჯდეთ კისერზე?!. ან ოჯახში როგორ ითმენენ თქვენს ამ უაზრო მოტომუტრუკობას?! თუ მათ ხვეწნა-მუდარას აინუნშიაც არ იტარებთ?!.. კარგი, საკუთარი თავი მაინც როგორ არ უნდა გაფიქრებდეთ – ამდენმა სადისტურმა ერთფეროვნებამ გონებრივად არ დამაქვეითოსო თუ... თუ მოტოციკლის შეძენამდეც ჭკუასუსტი იყავით და უდანაშაულოთა ულმობელი წამება თვითმკურნალობის სავარაუდო საშუალებად გეჩვენებათ?!

ღმერთო, შემინდე – შენცა ხედავ, ამის თქმას როგორ მაიძულებენ!..

ყველაზე მეტად კი აი, რა მახეტებს! რაც ამ სვეკრულ მასივს უაზროდ ქსელავთ და ქსელავთ, დედამიწას, ალბათ, რამდენჯერმე შემოუვლიდით! ჰოდა, საქართველოს შორეულ კუთხეებს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ არ გიჩნდებათ ამაღელვებელი სურვილი – გაფრინდეთ მაგ მოტოციკლით და მოინახულოთ: არმაზი... დიდგორი... ტანძია... ანანური... მარტყოფი... ბაზალეთი... საგურამო... წერაქვი... უფლისციხე... თმოგვი... მარაბდა... დავით გარეჯი... ნოსტე... ჩარგალი... ნინოწმინდა... მაშ, თუ სინდის-ნამუსის ნატამალი გაგაჩნიათ, ერთი ადამიანურად მიპასუხეთ: აქ ნახსენებ სახელებში იგრძენით გულის შემტოკებელი მიზიდულობა თუ ისინი თქვენთვის რაღაც გაუგებარი სიტყვების არეული ჩამონათვალია?!

ეს ნოველა კი აი, რამ დამაჩქარებინა. ნამარიობევს შემთხვევით შევესწარი, თქვენ თან თურმე მოტომატრაკვეცობასაც მისდევთ – ცალი ხელით მიმქროლავ მოტოციკლს მართავთ, მეორეთი კი გახევებულ მაყურებლებზე შთაბეჭდილების მოსახდენად თან მობილური ტელეფონით მარიაჟობთ!!!

ჰოდა, აგერ, რა დაგემართად: საჭე ველარ მოიარშიეთ და ჩამწკრივებულ გარემოვაჭრეებში შევარდით! მართალია, სამფეხაზე დაფისული დედაბერი მხოლოდ გადააყირავეთ და ფეხები ააშვერინეთ, მაგრამ დააფრაკებულ მოძრავ დახლუკაზე შემომწკრივებული მაწვნის ქილები ერთიანად დაუმსხვრიეთ, თქვენ თვითონ კი მოხრეშილ მოედანზე უგვანოდ გაიშხლართეთ და

იდაყვი გადაიყვლიფეთ, ხოლო ცხვირი მსუბუქად აგეცირცნათ!

იხტიბარი მაინც არ გაიტეხეთ და ეს ყველაფერი ვითომ სიცილადაც არ იმყოფინეთ! აწიოკებული ქალების მოწმეობით კი დედაბერს ზარალი ერთიორად აუნაზღაურეთ!..

დარწმუნებული ხართ, მუდამ ასე იოლად გამოხვალთ?!..

მაშ, მოეშვით მაგ მოტოიდიოტობას და საქმე გამონახეთ, თორემ ერთხელაც იქნებ ვინმეს სიცოცხლე მოუსწრაფოთ, თქვენც ზედ წააკლათ თავი და მოულოდნელი ელდით შეშლილ დედათქვენს ერთი ადგილი გამოსაღადრი გაუხდეს...

ოროველ მეგუთნიშვილი

მარიეტამ მაშინვე აიხდინა მოულოდნელად ნაფეთქი სურვილი – მსუბუქი ავტომობილი...

ოღონდ აქ ვეღარ გადამიწყვეტია, რომელი სიტყვა ვიხმარო! მეთქვა, იყიდა-მეთქი, ეს მკითხველების მოტყუება გამომივიდოდა, ვინაიდან იგი ერთი ხელმოკლე თბილისური ოჯახიშვილია და ავტომობილი შეეძინა კი არა, ადრე თავი ძლივძლივობით გაჰქონდათ. ხოლო თუ დასაწყისშივე სიმართლეს ვიტყოდი, უყიდეს-მეთქი, მაშინ ბუნებრივად დაგებადებოდათ ჯიქური კითხვები – ვინ უყიდა და რატომ უყიდაო?

ეს კი... აი, რა მიკრავდა კრიჭას!

თუმც ჩემი კრიჭის შეკვრა-შეუკვრელობას მხოლოდ მანამდე შეიძლებოდა ჰქონოდა აზრი, სანამ თვითონ მარიეტა საქვეყნოდ ჩირქს მოიცხებდა და ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ნაცნობობით პირველად მიწვეული, თანაც გასათხოვარი ახალგაზრდა ქალი გაუწითლებლად განაცხადებდა: ქალწულობის ინსტიტუტი დრომოჭმულია და ეს დრომოჭმულობა ქართველებმაც დროზე უნდა დავძლიოთო! თან აქ ისეთი ყინჩი კილოთი განაგრძო ენის ტრიალი, მიმხვედრი მიხვდებოდა – ეს „დრომოჭმულობა“ მას უკვე დაძლეული ექნებოდა!!!

ამ ტელეგადაცემამ მანამდე უცნობი ქალი მთელ საქართველოში სკანდალურ პიროვნებად აქცია – ყველას მისი გვარ-სახელი ეკერა პირზე!

მარიეტასაც სწორედ ეს აამაყებდა!!! მისი ბავშვობის დაქალის, ზემფირა ხომალდიშვილის დედას, ქ-ნ ჭაუტას ქალიშვილი ლამის ხატზე დაეფიცებინა – მაგასთან გავლილი აღარ დაგინახო, თორემ „ადიდებულ“ მტკვარში გადავვარდებიო! ხოლო იმხანად ამერიკაში ბედის საცდელად მიმავალი მეორე დაქალი, ლიკა აეროპორტამდეც არ გაუცილებია – როგორ თუ ტელევარსკვლავობა არ მომილოცაო! მესამე, სხვებზე უფრო გულმინდობილ მეგობარს, ელისო ბაქაქურს კი... ეჰ, უპირველესი დაქალების ხალვათი ჩამოშორება მარიეტას ნუგეშმწველ სიამოვნებად და თავისი დიდვინმეობის ჩასაგონებელ ფანდად ექცა!

სამაგიეროდ სხვადასხვა ტელეარხი ერთმანეთის დასწრებით

იწვევდნენ თავ-თავიანთ უხამს გადაცემებში და რაც არ იქნებოდა, იმას ალაპარაკებდნენ!

ერთი სიტყვით, ამისთანებში გამოცვეთილმა მაცდურებმა ეს მარიეტა ნამდვილ ტელევარსკვლავად აქციეს. დისკუსია რა თემაზეც უნდა ჰქონოდათ, ისიც ივლიდა, ივლიდა და ბოლოს მაინც ამ ქალწულობის დრომოჭმულობას მიადგებოდა ხოლმე!..

ამის კვალობაზე ყდაკრიალა ბომონდური ჟურნალებით უგზო-უკვლოდ განათლებულმა მარიეტამ მელოდეკლამატორის თავდაჯერება შეიძინა და ამოჩემებული „პრობლემის" მიმზიდველად შეფუთვაც ისწავლა.

– ეს კარგად დაიმახსოვრეთ, – გულდებით მოძღვრავდა ტელეშოუს სუნთქვაშეკრულ გოგონებს, – ქალად არ იბადებიან – ქალი შენ თვითონ უნდა გახდე!

ხანგრძლივი, თუმც გაუბედავი ტაში გაისმა.

– შეკითხვები ხომ არ გექნებათ?

ასეთი სწავლებით გულმოცემულმა ბუთხუზა ქალიშვილმა ყველას დაასწრო.

– მართალია თუ არა, რომ იძახიან – ახალთახალი „Volkswagen-Golf" -ი საყვარელმა უყი...

დაუფიქრებლად წამონაცდენმა გამოუსვლელ გოგონას ლოყები აუტკრიცა. ახლაღა ჩახვდა, მეტისმეტად ღრმად შეატოპინეს და შეკითხვის კუდი ენის წვერზე დაეყინა. მაგრამ აქ თვით მარიეტამ იხსნა.

– დიახ, მართალია! – შემკითხველს თან შემბრალებლურად გადმოავლო თვალი, – ოღონდ ამ შემთხვევაში სიტყვა „საყვარელი" უადგილოა!.. ავტომობილი, როგორც თქვენ ბრძანეთ, საყვარელმა კი არა, ჩემმა სულიერმა მეგობარმა მამაკაცმა მიყიდა!

მარიეტამ მიმზიდველად მოიმშვილდა წარბები, ხოლო თვალები ისე გადაიტრიალა, ამ გოგუცანებისთვის მიუწვდომელი გამხდარიყო და ხმაგამოცვლით განაგრძო.

– თუმც აქ პატარა განმარტებაა საჭირო!.. მართლა პირადად ჩემთვის რომ ეყიდა, ამგვარ ძვირადღირებულ საჩუქარს არც მივიღებდი, მაგრამ თავისი სურვილი მან ასე ჩამომიყალიბა: ამ ავტომობილს პირადად შენ კი არა, შენს სილამაზეს ვუძღვნიო! სილამაზისადმი თაყვანისცემას კი მამაკაცებს ვერ ავუკრძალავთ!!!

მქუხარე ტაშმა კინალამ სტუდიის ჭერი ჩამოიღო!

ნაამებმა მარიეტამ გამომეტყველება უცებ გაიმკაცრა და ბოჩოლებივით შემოჩერებულ გოგონებს დედოფლურად გადამზირა: ოღონდ ეს იცოდეთ, გომბიოებო, ყველას მოდურ ავტომობილზე რომ დაგიჭყეტიათ ეგ თვალები, მარტო სურვილი არა კმარა – სილამაზეც თუ არ მოგდევთ, ავტომობილს კი არა, ნესესერსაც არავინ გიყიდითო!

მარიეტას ახლა სულ უკანა რიგიდან წამოუდგა კლაკნია ქალიშვილი. ტანსწრაფმა, სახეგაწამებულმა ტელეწამყვანმა ქალმაც – მიკროფონი ოლიმპიური ჩირაღდანივით რომ აეშვირა, წრიულად აკეცილ კაბელს კი ლასოსავით მიიქნევდა – ამფითეატრული დარბაზის კიბე კენგურუსებურად აირბინა და უმალ მასთან გაჩნდა. ოღონდ მიკროფონს ხელი არც მას წააკარებინა და პირსახოვან გოგონას გესლიანი ღიმილით ანიშნა – შენ რაც გინდა, ისა ჰკითხე, მიკროფონი კი მე უნდა მეჭიროსო!!!

– საინტერესოა, თქვენს ამგვარ ურთიერთობას როგორ უყურებს თქვენი „სულიერი მეგობრის“ ისა... კანონიერი ცოლი?

– ეგ თვითონ მას უნდა ჰკითხოთ!.. კიდევ იქნება შეკითხვები?

ხელაწევით წამომართული ერთი თავმსხვილი ჭაბუკი მიკროფონს არც დალოდებია.

– არ გეფიქრებათ, ყოველივე ამაზე რას იტყვის ხალხი?

– უკაცრავად... მე მხოლოდ ჭკვიანურ შეკითხვებს ვპასუხობ!

დამცინავმა მჩატე სიცილმა სტუდიაში მშიერ ტურასავით გადირბინა.

* * *

ტელეშოუს მონაწილეებს მარიეტამ ირიბული სიმართლე უთხრა – თანამედროვე ქალებისაგან განსხვავებით მას არასოდეს გასჩენია საკუთარი ავტომობილის ყოლის სურვილი. პირიქით, ვერ წარმოედგინა, „ერუდირებული“ ლამაზმანი შოფრად რასთან დაკავშირებით უნდა ჩამოქვეითებულიყო და უსაფრთხოების ღვედით საჭესთან ხბოსავით მიბმულს, შტერივით სულ წინ ეცქირა! ხოლო ბენზინის სუნით აყროლებული და ზეთში ამოგანგლული თავისი თლილი თითების მარტო წარმოდგენაც კი გულს

ურევდა!.. იმაზეც მადლობელს იყო, „სულიერმა მეგობარმა“ პრესტიჟულ უბანში იტალიური პროექტის ხუთსართულიან კორპუსში ოროთახიანი ბინა რომ უყიდა და თან მთელ ოჯახსაც უნახავდა!.. ადრე საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც მშვენივრად დადიოდა, რაღაც აუცილებლობისას კი ტაქსითაც უსარგებლია! ხოლო რაც ფული ბზესავით გაუჩნდა, ასუნებული მგზავრებით გამოჭედილ მეტროსა და ავტობუსებს აღარც გაჰკარებია – ტაქსი და მისი ჯანი!

* * *

„სულიერ მეგობარს“ კი გულ-მუცელი ემღვრეოდა, მარიეტა ყველგან ტაქსით რომ ეცხადებოდა და ნაირგვარი სიფათის ტაქსისტები ელიტარული საზოგადოების წარმომადგენელთა ორაზროვანი მზერის ქვეშ ქალს უზრდელი ღიმილით ეთხოვებოდნენ ხოლმე! ამიტომ საიდანღა არ შემოუარა, მაგრამ მას საკუთარი ავტომობილის გაგონებაც კი არ სურდა! ოღონდ დაცინვის შიშით მარიეტა უარის ნამდვილ მიზეზს ყოველთვის კუდიანურად უმალავდა.

– ძვირფასო, – ხმამინაზებით შესჩურჩულებდა აგარაკის ნიავიან აივანზე მოხერის საბნის ქვეშ მკერდბანჯგვლიან სატრფოს ბაჭიასავით მიხუტებული მარიეტა და თან ხელით ერთ ადგილას ნაზად ეფერებოდა – ძვირფასო, შტერი ან ხარბი ხომ არა გგონივარ?!. ჯერ ისედაც ძვირი გიჯდება ჩემი... ჩვენი შენახვა და ახლა კიდევ...

– შენ ოღონდ მოისურვე და ჩემთვის ერთი ავტო...

– გამოდის, რომ შენთან ანგარება მაკავშირებს და არა... აი, შენ თავს გეფიცები, მართლა არ მინდა – ბოლოს და ბოლოს, რატო არ გჯერა ჩემი?!

– როგორ არა მჯერა, მაგრამ... ქვეყნის საჭორაოდ ტაქსებითაც როდემდე უნდა იწოწიალო?!. იფიქრე-მეთქი, იფიქრე!..

დამთმენი „სულიერი მეგობარი“ იმედს არ კარგავდა, ქალს ადრე თუ გვიან მაინც ჩატეხავდა. მალე მართლა ასეც აცხადდა. ოღონდ ეს მისი მოწადინებით არ მომხდარა.

* * *

გაზაფხულის ჟღმურტლიან ნაშუადღევს „სულიერმა მეგობარმა" მობილური ტელეფონით გააფრთხილა – არსად გახვიდე, შინ დამხვდი... ექვსიდან ათ საათამდე მანდ ვიქნები, მერე კი სადმე რესტორანში გავიაროთო.

მოლოდინით ატანილმა მარიეტამ შხაპი მონდომებით გადაივლო, ჯერ საშინაოდ მოირთო და მამრის საყვარელი სუნამოც რომ იპკურა, სამზარეულოდან ეგზოტიკური ხილით სავსე კერამიკული ვაზა შემოიტანა. მერე სავარძელში ფეხმოკეცვით მოკალათებულმა, მენთოლის სიგარეტს მაგიდის სანთებელათი მოუკიდა და ტელევიზორში ის-ის იყო დაწყებულ ამერიკულ რაღაც კომერციულ კინოფილმს გონგაფანტვით დაუწყო ყურება.

წუთი წუთს მისდევდა, ის კი არა და არ ჩანდა! რაც უფრო შემაშფოთებელი იყო, არც ურეკავდა! ერთი დაპირება დააპირა კიდეც, თვითონ დაერეკა, მაგრამ მოურეველი ჟინიანობა ამის უფლებას არ აძლევდა!.. თან ამას წინათ გულსჩასახული ეჭვიანობაც თანდათან ასპიტის გესლივით ბანგავდა: ბოლო ხანს ერთი თვალშეხედული ტელეჟურნალისტი გოგო ჰყავდა ატორლიალებული და მასზე ხომ არ უპირებდა გაცვლას?! ვინ იცის, იქნებ გაცვალა კიდეც!.. სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა და ერთმანეთში არეული, დასაშვები თუ მეტისმეტად ნაადრევი სცენების წარმოდგენა ჯერ ჩამოუყალიბებელი შურისძიების წყურვილით თანდათან ამძვინვარებდა!..

უცებ გონება თავისებურად გაეხსნა და სახტად დარჩა: ტელევიზორს აქამდე გაფანტულად რომ მისჩერებოდა, ეს ფილმი თურმე ზუსტად მასზე... მათზე ყოფილიყო გადაღებული!!!

* * *

ნიუ-იორკში, საიუველირო ნაკეთობათა წარმატებული ბიზნესმენი, ცოლიანი ჩარლი ლიბლანდი და მისი „კანონიერი" საყვარელი, როზეტა ზატლერი შეხმატკბილებით ცხოვრობენ. მაგრამ აი, გაზეთ „The New-York Deily News"-ის თავხედი კორესპონდენტი „გოგოშკა", ვიღაც ლესლი ჩოხეტი გამოტყვრება და როზეტას ჩარლის წართმევას დაუპირებს!... ართმევს და ეგ არი! რესტორანში სიამოვნების შემდეგ ჩარლი ახალთახალი „Ford"

-ით ლესლის სადღაც თავდავიწყებით მიაქროლებს, როზეტას კი ასე უპირებს მოღორებას: მოულოდნელად დირექტორთა საბჭოს თათბირი მოიწვიეს (ჩარლის მხარზე თავმიდებულ, ქროლვისგან კულულებგაწეწილ ლესლის იქედნურად ელიმებოდა!) და დღეს ვეღარ შევძლებთ შეხვედრასო!

როზეტაც თავკატუნით პასუხობს: ძვირფასო, მე უნდა დამერეკა და შენ დამასწარი – პირველ საათზე უნივერმაღ „ბერგდორფ გუდმანში" მოდის კვირეული იხსნება. ჰოდა, მომავალი სეზონისთვის კაბები მაქვს შესარჩევი და დღეს საერთოდ, მეც არ მეცლებაო! არადა, ეჭვაღებული როზეტა დილას აქეთ უთვალთვალებს და ახლაც თავისი „Volkswagen-Golf" -ით წყვილს კუდს უკან მისდევს, რათა გაიგოს, როგორი იქნება მათი მარშრუტი და პროგრამა!

ნერვებდაჭიმულ მარიეტას უცებ მოეჩვენა, როზეტა ეს თვითონ იყო! გასაკვირია, თან ორივეს სახელი ერთნაირად ბოლოვდებოდა – **ეტა!** ეკრანს გასუსული მიშტერებოდა და მოუთმენლად ელოდა, როდის ან როგორ დაისჯებოდა ეს თმაგასაწიწკნი ლესლი თუ თესლი!..

აღტაცებას იწვევდა როზეტას გამომგონებლობა და გაბედულება. ნაირგვარი ავტომობილების მწყობრ ნიაღვარში ოთხიოდე წუთის უკან დაკარგული მსხვერპლი ისევ რომ აღმოეჩინა, გვერდიგვერდ მიმავალ ორ ტრეილერშუა შექმნილ ვიწრო ჯურღმულში ზვიგენივით ისე შესრიალდა, მარიეტას წამოაკივლა – მისი ავტომობილი ახლა კი კვერცხივით დაიფეფქვებაო!

როზეტა ტრეილერების კაბინებს დაუმხარდამხარდა და მარჯვენა ტრეილერის ქერაქოჩრიან მძღოლს მიმიკურად ანიშნა – მწვავე პრობლემა მაქვს და ცოტათი გზა მიტიე, თან მანდედან დამიცავიო!.. ღმერთო, როგორი მიხვედრა და თანაგრძნობა ისხივებოდა უკომპლექსო გამომეტყველების გოლიათი მძღოლის ღიმილში – ყველაფერს მიგიხვდიო!

მარიეტას უცებ ისტერიული ტირილი აუვარდა – ჩვენთან ასეთი შემოღიმება სად შეუძლიათ! ან თუგინდ შეეძლოთ კიდეც, შენთვის ვინ გამოიმეტებს?! პირიქით!..

მარჯვენა ტრეილერთან ურთიერთობა რომ მოიგვარა, მარცხენა ტრეილერის მარჯვენა, უკანა საბურავებს ამოსაფრებული როზეტა თავს უკვე საიმედოდ გრძნობდა – ტრეილერის ვეშაპისებური ძარის ძირიდან გარჩევით იზვერებოდა მოღალატე ჩარლის „Ford"-ის ნომერი!..

მარჯვენა ტრეილერის მძღოლს როზეტა დროდადრო მაინც ახედავდა ხოლმე. და აჰა, იმანაც ცერითა და წეღანდებური ღიმილით ანიშნა – მე მალე მარჯვნივ უნდა გადავუხვიო და თავს მიხედეო! როზეტამაც მისახვედრი ღიმილითვე უპასუხა – მეც მოვითავე საქმე და აქედან უკვე გამოვდივარო!.. მართლაც, ტრეილერების ვიწრო გვირაბს თავი უხიფათოდ დააღწია და თვალსადევნებელ ავტომობილს შორიახლოდან აედევნა!.. ო, ამერიკა, ამერიკა!.. ნეტავი სად იქნება ლიკა ან რას აკეთებს?!. ერთხელ როგორ არ გადმორეკა!.. იქნებ თვით... მაგრამ არა!..

არა, როზეტა ყველაფერში შეუდარებელი იყო! ჯერ ავტომობილს როგორი სინარნარით მართავდა! კეკლუცად აწეულ მარჯვენაში სიგარეტი და ყავის ფინჯანი ერთდროულად ისე ეკავა, ძირს წვეთიც არ ეღვრებოდა, საფერფლის გარდა ნამწვის ნამცეციც არსად უხვდებოდა, საჭეს კი მხოლოდ მარცხენათი ათამაშებდა!.. სიჩქარის შეცვლისას სიგარეტითა და ყავის ფინჯნით დაკავებული თითებით ბერკეტს ოდნავ წაეკარებოდა და მორჩა!.. ხოლო როცა მობილური ტელეფონი აუწრიპინდა, ეს ყავასა და სიგარეტს არც შეხებია – მიმფრინავი ავტომობილის ხის საჭეს მარცხენა ხელი რამდენიმე წამით შეუშვა, ტელეფონი მარჯვენა მხარზე თავით უწვალებლად დაიმაგრა და ვიღაცას ასე კისერმოცრეხილმა კარგა ხანს ებაზრა, თან არც ყავასა და სიგარეტს ღალატობდა!.. ოოო!...

არა, როზეტა ეს თვითონ მარიეტა იყო! უფრო სწორედ, მარიეტაც მალე როზეტასავით დაეუფლება საკუთარ „Volkswagen-Golf"-ს!... გაუსწრებს კიდეც – აი, ნახავთ!..

„წკაპ!" – წამოასლოკინა ტელევიზორს და ეკრანი ჩაბნელდა – დენი წავიდა! მარიეტას ახლა სულ აღარ აინტერესებდა, ფილმში როგორ განვითარდებოდა მოვლენები. რაც იხილა, საკმარისზე მეტიც აღმოჩნდა!!! როზეტას მაგალითზე თვალი აეხილა: „ერუდირებული" ქართველი ტელევარსკვლავი კი არა, თურმე ერთი

გაუთლელი ჩონჩა ყოფილა, საკუთარი მანქანის ყოლა ასე რომ აფრთხობდა!..

ათს შვიდი წუთი უკლდა, ნაფორიაქალმა „სულიერმა მეგობარმა“ რომ დარეკა.

– შინა ხარ?!. შენა ხარ?!. რანაირი ხმა გაქვს?!. წელან როგორც კი დაგირეკე, სწორედ მაშინ თავს საგადასახადო ინსპექცია დამასხეს!.. ვინა და რატომ, ამას მერე მოგიყვები!.. რაკი ყველა საბუთს მე თვითონ ვაჩვენებდი, ორივე ტელეფონი გამორთული მქონდა!.. არ ინერვიულო, ყველაფერმა კარგად ჩაიარა!.. ახლა რესტორან „სანტა-ბარბარაში“ გიცდი – ასე ჯერ არასოდეს მომნატრებიხარ!..

* * *

მარიეტა მოიკაზმა და „სულიერ მეგობარს“ განზრახ საათ-ნახევარი დაგვიანებით მიუვიდა.

– აქამდე სადა ხარ, ქალო?!. გადმოგერეკა მაინც!.. ან რატო არ მპასუხობდი?!. რაღა არ გავიფიქრე!.. – ნაჭერ-ნაჭერ ისროდა რესტორნის ეზოს ცარიელ თალარს ქურდივით თავშეფარებული „სულიერი მეგობარი“ და შინაგან გააფთრებას ძალნატანი ხმელი ღიმილი ველარ უფარავდა, – აღარ იტყვი, რა მოგივიდა?

– უჰ, როცა გეჩქარება, მაშინ უფრო... – მარიეტამ ხმაში ცრემლი გაირია, – ტაქსებიც სწორედ ჩემს ბედზე გაწყდა!.. მერე როგორც იქნა, ერთი კი გამოჩნდა, მაგრამ ლოთები შემეცილნენ!.. იმ ფაციფუცში მობილურიც შინ დამრჩენოდა, ორი სიტყვა კი არავინ გადმომარეკინა!

– ეგეც შენ!

– მეორე ტაქსი რომ ჩამოდგა, ახლა ვიღაც ქალებმა ფეხმძიმე გოგო შემაცოდეს!.. თან დღეს რაღაც დღეობაც ყოფილა!

– როგორ, ეგ არ იცოდი?!

– რა ვიცი!.. ეჰ, აქ ასე არაფერი გამოვა-მეთქი და აი, ამ ქუსლებით ჩვენი ხეივნიდან აააგერ, ხოსროს დუქნამდე...

– ხოსრო-მოსრო!.. შეწყვიტე – არ მაინტერესებს!.. არ მაინტერესებს-მეთქი!.. იცი, ასე რატომ ეწამები?!

– არ ვიცი, – მარიეტამ სახე მოინაღვლიანა და ტუჩები აიბურცა, – რაღაც ცოდვისთვის, ალბათ, ღმერთი მსჯის!

– ღმერთი კი არა, შენ თავს შენ თვითონა სჯი და მეც ზედ მაყოლებ!.. არც ახლა გინდა, საკუთარი ავტომობილი გყავდეს?

– მინდა, მინდა, მინდა!!!

კაცმა საკუთარ ყურებს არ დაუჯერა.

– არ მეხუმრები?

– არა, არა, არა!!!

ბიზნესმენმა ცალი წარბი მედიდურად აიზიდა.

– ჰმ!.. გადაგიყვანე ჩემს ჭკუაზე?!

მარიეტა მკერდმიბჯენით აეტმასნა და ბიბილოზე ენის მოსმით აკოცა.

– შენ ვის არ გადაიყვან, თუკი მოინდომებ!

* * *

ავტოსკოლის სასწავლო ტრასა-მოედნებით გათამამებული მარიეტა ახალთახალი „Volkswagen-Golf" -ით თბილისის ქუჩებში პირველად რომ გამოვარდა, იმ დღიდანვე ერთმანეთს წაება საკუთარი მოუაზრებლობით გამოწვეული იმედგაცრუება, მწველი სინანული და ჯოჯოხეთური წამება!!!

როზეტასებურად მარცხენათი ფიცხი ავტომობილი აქროლო, თან ყავის ფინჯნით, სიგარეტითა და მობილური ტელეფონით იმარიაჟო კი არა, საჭეს ორივე ხელით სულ დაძაბული უნდა ყოფილიყავი ჩაფრენილი, მედუზას საცეცებივით ერთმანეთში მიხლართულ-მოხლართულ ამ ვიწრო ქუჩებში რამეს არ წაჰქექებოდი ანდა სხვებს შენთვის გვერდები არ გაექლირთად! ჰოდა, ისე წამუწუმ უხდებოდა ხოლმე მუხრუჭისა და გაზის პედლების დაძაბული მონაცვლეობა, უბე უოფლიანდებოდა და საცვალი გასაწური უხდებოდა... ამიტომ სათადარიგო საცვლები მუდამ თან დაჰქონდა!.. ღმერთო, მემაწვნე მაგდანას ლურჯასთვის გათვალისწინებული ეს ოღროჩოღრო, მიკლაკნილ-მოკლაკნილი ქუჩა-ჩიხები როგორ შეიძლებოდა ამოდენა კერძო ავტომობილებით გამოეჭედათ – აქ მხოლოდ სახელმწიფო და ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრანსპორტს უნდა ეჯაყჯაყა!.. ადრე რომ ეგონა, საჭესთან დარდიმანდულად გამოჭიმული მიმზიდველი მამრები მართლა რამეს წამოადგენდნენ, ბევრი მათგანი თურმე გაბერილი ცარიელი ტიკი ყოფილიყო: გზაჯვარედინებზე

ხშირად ზედ ცხვირწინ მოწყვეტით უმუხრუჭებდნენ და ეშხიანი ღიმილით ანიშნებდნენ – როგორ გეკადრებათ, ქ-ნო, ჯერ თქვენ გაიარეთო! არადა, თურმე ამას აკეთებდნენ არა მართლა მანდილოსნის პატივსაცემად – ასეთ ვითარებაში რა დასაშვები იყო ამგვარი იდიოტური „პატივისცემა?!“ – არამედ პრიორიტეტებისა და ამკრძალავი ნიშნების, ზოლებზე მოძრაობის მიმართულების საეჭვო ცოდნა აშინებდათ!!! ფუჰ, შეურცხვათ ჭკუა და კაცობა – ასეთი მარტივი რამ როგორ ვერ უნდა აეთვისებინათ?! თუმც რას ერჩით – ამათი ღვიძლი საქმე ხომ სუფრასთან სხდომა და ენით ამპარტავნობაა!.. უჰ, ესენი კაცები უნდა იყვნენ, მარიეტა კი... მარიეტა ქალია, მაგრამ როზეტას ჯობნის წყურვილით ანთებულმა საგზაო ნიშნები და მოძრაობის წესები ისე შეისწავლა, ავტოსკოლის გამომცდელებს სულ პირჯვარი აწერინა – მსგავსი არაფერი გვინახავსო!!! „სულიერი მეგობარი?!“ – სიამაყისაგან აღარ იცოდა, რა ექნა!..

არა, ქუჩა-ჩიხების სივიწროვე და დაცრეხილობა არ კმაროდა: ყოველ კუთხესა და მოსახვევში საზამთროს ბორცვები... მემწვანილე ჩადრიანი დედაკაცები... ვაგონისოდენა ავტომობილების საჭესთან მატრაკვეცურად დასკუპებული ამოდენა ლაწირაკები, რომლებსაც ჯერ მოდურ ველოსიპედზე უნდა ეოცნებათ!.. წვრილმანით დახუნძლულ ტაბურეტიან დახლუკებთან დაფისული მუმიები... ზედ შუა გზაზე მობურთავე გოგო-ბიჭები!... ქუჩისპირა გრძელ-გრძელ მერხებზე ერთმანეთთან ათჩაფიანი ქვევრებივით მიგორებული ლუდიყლურწია ტიტველღიპიანები ანდა მთელი დღე ნარდის თამაშს აკადემიური სიდინჯით თავმიცემული ნაკაცრები!.. აი, ამგვარ პირობებში როზეტასავით გექროლა კი არა, ურმის სიჩქარითა და იუვილერის სიფრთხილით უნდა გევლო, რათა უნებლიეთ ანდა წამიერი გაანჩხლებისას ზედ კედელზე ბაღლინჯოსავით არავინ მიგესრისა!..

მარიეტა ლამის შეშლილიყო: ნეტავი რა აზრი ჰქონდა მთაწმინდაზე გიგანტური შპრიცივით აშვერილ ტელეანძას... რეკონსტრუირებულ მძიმე ნარიყალას... ამოდენა ფასიან სასწავლებლებს... ფიალამომარჯვებულ ქართლის დედას... უთვალავ პოლიტპარტიებს... ძველბიჭურად ხელაწეულ ვახტანგ გორგასლის ძეგლს... ყოველ უბანში საყდრების მშენებლობას... აურა-

ცხელ სახინკლე-სამწვადეებს, როცა უბედურ ქალაქს საავტომობილო არტერიების იშემია ხუთავდა და გულსისხლძარღვთა მაგისტრალები დასკდომაზე ჰქონდა!..

* * *

ნაახალწლევის კვირა საღამოს გულგამოფიტულ მარიეტას რაღაც საბედისწეროდ მოეგუნება: გათხოვების შემდეგ ახლა პირველად ენახა უმიზეზო ტუჩაკვრით შერისხული, თანაც უკვე სადღაც ელიას მთაზე მცხოვრები დაქალი, ელისო ბაქაქური! მარიეტას უნახავი ერთადერთი ბიჭუნა დღეს თურმე ოთხი წლისა უხდებოდა! ეგეც თავისთვის იყოს – ასერიგად რომ უქებდნენ, ერთი სული ჰქონდა, თავადაც შეეხედა, რა მასტის ქმარი გამოეჭირა!

უზომოდ გახარებული ელისოს მიერ მობილური ტელეფონით ახსნამაც ვერ უშველა! რაკი ბევრ მათგანს ჯერ ახალი წარწერა არ გააჩნდა ანდა ისევ ძველი შემორჩენოდა, თან ისიც აღარ იკითხებოდა, საათზე მეტხანს იბორიალა საინგილოს (ყოფილი ტიბაანისა და გურჯაანის) ქუჩისა და მისი მიმდებარე ნიაბის, კვალითის, ფშავის (ყოფილი სურბკარაპეტისა და კიბალჩიჩის ხევის), ბუხაიძის (ყოფილი არსენალის), სომხეთის (ყოფილი ნიაბის მეორე შესახვევის), ურბნისის (ყოფილი ციხის მაცხოვრის), ჟონეთის (ყოფილი სტეპანოვის) ერთფეროვან ქუჩებისა და მათი უამრავი ჩიხების, შესახვევებისა და ორღობისებური გასასვლელ-შესასვლელების ირგვლივ, მაგრამ მაინც ვერა და ვერ მიაგნო მათ შორის სადღაც ყაისნაღურად ჩაქარგულ საინგილოს ქუჩის მეორე ჩიხს!!!

იმ სიბნელესა და სუსხიან ქარ-თოვლში კაბინიდან განწირულივით თავგამოყოფილი, ვილას არ ეკითხებოდა, მაგრამ მერეღა გაირკვა: რაკი უმრავლესობა იქ შემთხვევით იყო მოხვედრილი ანდა აქეთ კი ცხოვრობდა, მაგრამ ჯერ ერთმანეთში ერეოდათ ეს ამოდენა წვრილ-წვრილი ქუჩა-ჩიხების ძველ-ახალი სახელწოდებები, მათი ალალბედური, თუმც თავდაჯერებული მისწავლება მიზანს თურმე უფრო აშორებდა!.. კითხვას აზრი აღარ ჰქონდა!.. აღარც ვინმე ჩანდა!.. თან ღრმა ნარვალებში ავტომობილი ორჯერ ისე დაუჯაყუნდა, სინანულისაგან სისხლი გაეყინა – მორჩა,

ეს აღარც გამოდგებაო!..

ნერვებდაჭიმულ მარიეტას ეჩვენებოდა, ეს მართლა ქალაქი კი არა, აურაცხელი და მიუგნებელი სოროებით დახვრელილი უზარმაზარი სათაგვეთი იყო!.. რომ არ შეშლილიყო, ამის მეტი ვეღარაფერი მოტვინა – მეტროსადგურ „ავლაბარსაც“ ძლივსღა მიაგნო და შველა იქიდან ითხოვა!!!

ელისოს ქმარი, დათუნა, ტაქსით ჩამოქანდა, საჭეს თვითონ მიუჯდა და უსწორმასწორო აღმართებს ფრენა-ჯაყჯაყით შემოუდგნენ. თან სულ ღიმილით უხსნიდა, მათთან ასასვლელად რომელი მისაბრუნ-მოსაბრუნებით სიარული უფრო სჯობდა!

დაქალის მეუღლით მოხიბლული მარიეტა ამას თითქოს ახლა თვითონაც ხვდებოდა და იმახსოვრებდა, თუმც გულისგულში მაინც ზიზღნარევ შიშს განიცდიდა: ხვალღამე რომ დასჭირვებოდა, ყველაფერი აჯაფსანდალივით ისევ ერთმანეთში აელინთებოდა და მისი ემოციური თავის პატრონი, თბილისური ქუჩა-ჩიხების დაუმახსოვრებელ ღიჭნარში კვლავ რეტიანი ცხვარივით გაიხლართებოდა!..

ერთი სიტყვით, დღეობიდან ისეთი მოულხენელი, შერცხვენილი და ნერვებაწეწილი დაბრუნდა, მტკიცედ გადაწყვიტა: საკუთარი ავტომობილით მხოლოდ და მხოლოდ „სულიერ მეგობარს“ გამოსცხადებოდა ხოლმე, ყველა სხვა შემთხვევაში კი ძველებურად ისევ ტაქსებით ექროლა!!! თან ამოუხსნელი კითხვა ტვინს უბურღავდა: რანაირად შეიძლებოდა, ელისოს ასეთი ქმარი შეხვედროდა?! ჰმ!.. „ღმერთო, დაგექცა სამართალი!“ – ამ ფიქრით შევიდა სააბაზანოში და გახდას შეუდგა.

* * *

შხაპი გულდამძიმებულმა გადაივლო და თავზე პირსახოცშემობორბლილი სულმოსათქმელად სავარძელში როგორც კი ჩაესვენა, მოულოდნელად ნიუ-იორკიდან დარეკეს!!!

– ალო, ალო!.. მარი ხარ?.. შენც კარგად გესმის?!. – გამოკვეთით ისმოდა ლიკას ნაცნობი, თუმც უკვე აქცენტიანი ხმა, – გუშინ ლისაბონიდან ალუდა მუმლაური შემეხმიანა: მარიეტა ტელევარსკვლავად გაიჩითა და თან „Volkswagen-Golf“ -იც იყიდაო!.. მომილოცავს!.. მეც სწორედ ეგა

მყავს – მაგარი მანქანაა!.. რავა არიან თქვენები?.. რა ჰქენი, გოგო, არ გათხოვდი?

– უჰ!.. შენ როგორ გიკითხო?

თითქოს ამას უცდიდაო, ლიკამ ცხრა ენა გამოიბა.

– ო, ჩემი ამბები რომ იცოდე, ჭკუიდან აიწეოდი!.. თავიდან ენის პრობლემა მიჩმახებდა, მაგრამ მალე ისეთი ალღო ავუღე, ინგლისურად ახლა ამათზე უკეთ მე ვლაპარაკობ!.. სულ პირველად ერთ გამოჩერჩეტებულ ბებრუკას მავლევინებდნენ! სიცოცხლეს მიმწარებდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა?!. გოგო, ჩვენს მეზობელ კორპუსში მილიარდერის ვაჟს, ბიზნესმენ ჯონის ეცხოვრა და თურმე შორიდან მაკვირდებოდა! აბა, ეს მე საიდან მეცოდინებოდა?!. ჰოდა, ერთ დღესაც თავის ფირმაში თანაშემწედ ამიყვანა და...

– როგორ, ეს ასე ადვილ...

– მარი, ეს ამერიკაა!.. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ხდება კიდეც!!! ამათ თავიდან ვერაფერს გაუგებ, თუ არ... ამათ მარტო უნდა აჰყვე და ო ქეი!.. ქალო, სულ ახალი გადასული ვარ და ერთ კვირა-უქმეს დაიჟინა – იაპონურ რესტორანში უნდა წაგიყვანოო! ნეტავი რა მერესტორნებოდა, მაგრამ რალა მექნა?! ეს არის თევზის რესტორანი „Masa", რომელიც ნიუ-იორკში ყველაზე ძვირადღირებულია – კაცი 600 დოლარი ჯდება!

– უიმე!

– აბა!... ერთი სიტყვით, მოვილხინეთ თუ ვითომ მოვილხინეთ!.. ეს ვაჟბატონი რალაც შემხიარულებული მეჩვენებოდა!.. ნაშუადღევს აპარტამენტში რომ დავბრუნდით, ფირმასთან დაკავშირებით კონტროლის შიდა ტრაექტორიის მასალები უნდა გადმოგცეო და თავის საძინებელში შემიყვანა – ჩვენი კუთხეები დერეფნის თავსა და ბოლოშია!.. ჰოდა, ვითომც აქ არაფერიო, გახდა დაიწყო!

– დედა!

– აბა, ქალო!.. გაშტერებული ვდგავარ და თავი სიზმარში მგონია! ის არის, ტრუსიც უნდა გაიხადოს, გაკვირვებული მეკითხება: რალას უცდი, შენც გაიხადე და მოდი, ჩამიწექიო!

– წარმოგიდგენია!!!

– მე ვუთხარი – შენ ლეტნად ხო არა ხარ?!. მაგას ვის უბედ-

ავ – მე კოკობინაძის ქალი ვარ-მეთქი! ის კი გადახდილ ლოგინთან გაშეშებული დგას და ისეთი გაკვირვებით გადმომცქერის, თითქოს რამეში მომეტყუებინოს – აბა, რესტორანში რისთვის დავხარჯე იმოდენა ფულიო?!. ვაი, შე საწყალო, რესტორნის ფულს მისტირი?! ეგეც შენ თვითონ აიხირე, თორემ ვინ გეხვეწებოდა ან რა ჯანდაბად მინდოდა ნახევრად უმი თევზის რაღაც „ტემპურა“ თუ „მემპურა“ – მთელი დღე მე ჩვენი ფირმის სასადილოს თექსმეტდოლარიანი „ვალდორფი“ და ერთი პეშვი „ენჩილადასიც“ მყოფნის-მეთქი!.. მასე თქვენი ქალები იქნებიან მიჩვეულები და რესტორნებში ისინი ატარე!.. ოღონდ არ იტირო და იმ დანახარჯს, აჰა, მე აგინაზღაურებ-მეთქი! ჩვენებთან გადმოსარიცხი ფული ბედად თან მქონდა! ხელჩანთა ამოვუპირქვავე და ორიათას ხუთასორმოცდაათი დოლარი მაგიდაზე დავუყარე – აქ ჩემი ფეხი აღარ იქნება-მეთქი! ახლა კი შეფუცხუნდა და კარში თავგამოყოფილმა სულ „ვეით, ვეით, ფლიიზ[1]!“ მეძახა!

– დედა, ეგ რა დაგმართვია!

– აბა, ქალო!.. ქუჩაში კი გამოვვარდი, მაგრამ აღარ მესმის, საით ან რისთვის მივდივარ!.. მორჩა, ყველაფერი დამენგრა!.. თან წარამარა ვითიშები და ვხევდები – ახლა რაღა წყალს მივეცე-მეთქი!..

ლიკამ შეიქაქანა და ხმაგამოცვლით განაგრძო.

– სკვერის კუთხეში კიდევ რომ გავთიშულვარ, თურმე ერთი ბოშა ქალი დიდხანს მაკვირდებოდა და გულდაგულ მომადგა – უნდა გიმკითხავოო! უჰ, ესღა მაკლდა-მეთქი და ხელი მაშინვე წავართვი – თავი დამანებე, შენი ლაილაის თავი არა მაქვს-მეთქი! ხელახლა ჩამავლო და აღარ მიშვებს! შენ წარამარა მკითხავუნა არ გეგონო – მე უნგრელ ბოშათა გვარტომიდანა ვარ და ჩვენი მისნობა მთელ დუნიაზეა განთქმულიაო! არ მაინტერესებს, ვინა ხარ ან სადაური... ქალო, მომეშვი... გამიშვი – ანდა, რა მოგცე, ერთი ცენტიც აღარ მაბადია-მეთქი! რომც გქონდეს და შემომაძლიო, მაინც არ ავიღებ – შენს შუბლსა და ხელისგულზე ისეთ ნიშნებსა ვხედავ, ამის უთქმელობას ღმერთი არც ერთ ჩვენგანს არ აპატიებსო! აბა, რაღა მექნა – მაშინ ჰა, დროზე მაინც მორჩი და თავი დამანებე-მეთქი!.. იქვე, სკვერის პატარა მერხზე წინ

---

1 ვეით, ვეით, ფლიზ (ინგ.) – მოიცა, მოიცა, რა იყო?!

დამისვა და გაშალა კარტი!.. კარგად გესმის ჩემი?

– კი.

– ქალო, დაიწყო და რა დაიწყო!.. კავკასიიდანა ხარ ჩამოსულიო!.. თავიდან ერთ ჭკუაგალაყებულ მოხუცს უვლიდი, მაგრამ შენმა სილამაზემ ამას წინათ ფულიანი ადგილი გაშოვნინაო!.. თუმც აგერ, ეშმაკს შეშურებია და გზა-კვალი აგრევიაო!.. მაგრამ ეგ არაფერიო!.. გაშლილ კარტებს ერთმანეთში იმდენ ხანს დაუწყო გადალაგ-გადმოლაგება, კინაღამ ავუწივლდი! ბოლოს ჭოტივით შემომაშტერდა: წინ მალე ისეთ გრძელი გზა გაგეხსნება, რომლის მსგავსი შენს არც ერთ თანამემამულეს გაგონილიც კი არ ექნებაო!.. გრძელი კი არა, რაცა მქონდა, ისიც ჩამეკეტა, ეს კი ნეტავი რომელ გრძელ გზაზე მეჯიმჯიმება-მეთქი, ლამის გული შემლონებოდა!.. ის კი თავისას განაგრძობს! იმ გრძელ გზაზე შენი ცხოვრება სულ შეიცვლება: ბედი გაგეხსნება... მოქალაქეობასაც მიიღებ და... თავის დროზე მთელ მსოფლიოში სახელოვანი დედა გახდები – შენ შობ ვაჟიშვილს, რომელიც ამერიკის პრეზიდენტი გახდება და...

– ლიკა, ნიუ-იორკშიც არის ჩიხები?

– ჩიხები?!. რა ჩიხები?

– აი, თბილისის ქუჩა-ჩი...

– ააა!.. ჰა-ჰა-ჰა! – ლიკას თავშეუკავებულ ტკრციალს ლამის მობილური ტელეფონი გაებზარა, – ეს მანდ, თბილისშია, გოგო, კონსტიტუციის, რევოლუციონერების, ხუთწლედების, პარტყრილობების, შრომისა და ომის გმირების... რაიონების, სოფლების... ციხეების... ხარაზების... დურგლების, ოქრომჭედლების... ფეიქრების, ტრაქტორისტების... მოჭიდავეების თუ რა ვიცი, კიდევ ვისი და ვისი ქუჩები და ერთმანეთში ჭიაყელებივით ჩახლართული მათი უთვალავი ჩიხები!.. გახსოვს, ლენა ბართიშვილი სად იდგა: სამრეწველო მეშვიდე ქუჩის მესამე თუ მეოთხე ჩიხის რომელილაც შესახვევში ან ჩასახვევში!..

– მახსოვს, როგორ არ მახსოვს!

– შეიძლება ისიც გახსოვდეს, პირველ კურსზე გოგოები გუდის ყველზე რომ დაგვპატიჟა, ჩვენ კი რამდენი ვიტანტალეთ, მაინც ვერ მივაგენით და მეორე დღეს თვითონ წაგვიყვანა!..

– ეგეც მახსოვს!

– ცხონებული ვარა მამიდა ნიაღვრის ქუჩის რომელიღაც ჩიხსა თუ შესახვევში ცხოვრობდა!.. შეჭიკჭიკებული ოსვალდ კუჭავა კი, ხომ გახსოს, ადა ჩხიტუნიძისთვის ექსკურსიაზე არაგვში რომ გვიხტებოდა, ბიჭებმა კი ძლივს დაიჭირეს, სამღებროს ქუჩაზე!.. ჰა-ჰა-ჰა!.. ნიუ-იორკში სულ სხვანაირადაა, შენ შემოგევლოს ჩემი თავი: ქალაქს სწორკუთხა დაგეგმარება აქვს! დანომრილი გასწვრივი ავენიუებისა და განივი სტრიტების ურთიერთგადაკვეთითაა შექმნილი კვარტლები!.. ასე რომ, აქ პირველად ჩაბოსული ყეყეჩიც კი ნებისმიერ ქუჩას, კვარტალსა თუ კორპუსს უწვალებლად მიადგება!..

ლიკამ კილო გამოიცვალა.

– ჰოდა, ამ ბოშა ქალს ისე ხომ ვერ გავუშვებდი – ოქროს ყელსაბამი შევიხსენი! მაგრამ ხელი უკანვე წამაღებინა – არაო, როცა ჩემი ნაწინასწარმეტყველებიდან რაიმე აგიხდება, ეგ მაშინაო! იიიმე, ვინ იცის, როდის რა ამიხდება, მაშინ სადღა გეძებო-მეთქი! მან კი თითი ცაში ამიშვირა – ვითომ ყველაფერი იქა წყდებაო და მედიდურად გამშორდა!

– ჰმ!

– ჯერ ისედაც რა დღეში ვიყავი, იმ მკითხავმა კიდევ უფრო ამაფორიაქა!.. თან უკვე მიღამდებოდა, მე კი თავშეუფარებელი ქუჩაში ვრჩებოდი!.. გოგო, ჩვენ მეხუთე ავენიუზე ვცხოვრობთ და ღამღამობით აქ ისეთი თავზეხელაღებულები გამოდიან, ქალს კი არა, მარტოკა ფეხით კაცსაც არ გაევლება!.. რა ვქნა, რა ვქნა? მერე ვიფიქრე – მოდი, ისევ იმ ჩემს ბებრუკას მივადგები! მომვლელად იქ ერთი იამაიკელი ზანგის ქალი, როზმარი აიყვანეს და თავს შევაცოდებ – ერთ ღამეს როგორ არ გამათენებინებენ, ხვალ კი მივდგებ-მოვდგები და არ შეიძლება რამე არ გამომიჩნდეს-მეთქი! წავედი, მაგრამ ვაი ამ წასვლას – ფეხები უკან მრჩება!.. შევედი სადარბაზოში და რასა ვხედავ – ამ ვაუბატონს კიბეზე გაზეთი დაუფენია, ზედ მათხოვარივით დასკუპებულა, მკლავები მუხლებისთვის შემოუხვევია და მელოდება!!!

ლიკას ხალისიანი კისკისი აუვარდა.

– გოგო, ეს ორმეტრიანი, ქერათმიანი ალენ დელონი საცოდავად მოკუნტულ-მობუზული რომ დავინახე, ნეტავი რა ჭირი მაცინებდა, მაგრამ იასა და შოთიკოს გეფიცები, თავი ველარ

შევიკავე და გამეცინა! იმასაც გაელიმა, მაგრამ ვაი, იმნაირ ღიმილს – იტყოდი, პირისახეზე ნიორწყალი გადაასხესო! წელმოწყვეტილივით აიზლაზნა, მოვიდა და ბოდიში მომიხადა: ფირმას არ ელალატება, რაც იყო, იყო, დავივიწყოთ და ისევ ძველებურად განვაგრძოთ თანამშრომლობაო! აბა, რაღა უნდა მექნა – მეც წავყევი!.. ხომ არ დაგღალე?

– არა, არა!

– იმ დღიდან სულ თვალ-წარბში შემომცქეროდა, რა მესიამოვნებოდა და რა–არა! – გაბუტული საპატარძლოს თვითკმაყოფილებით შეიძახა ლიკამ და სუფთა ხმის სიხალისემ უმალ გახაზა მისი სამეტყველო ენერგიის უშრეტობა, – მარი, თვითონ ამერიკის გარდა ამათი მარკეტების ქსელით მთელი ცენტრალური და სამხრეთ ამერიკაა მოფენილი! ხო აზრობ?!.. ჰოდა, ჯონიმ მამა-ბიძებისგან ერთ დღესაც ასეთი დავალება მიიღო: ინფორმაციის მართვის დასახვეწად დემოგრაფიულ გარემოში მყიდველის ფსიქოლოგიური ნიუანსების შეცნობაა საჭიროო! მოკლედ, თვე-ნახევრით სამხრეთ ამერიკაში ფირმის თანამშრომელთა ჯგუფის გამგზავრება გახდა აუცილებელი!.. ჯონიმ მეც თან წამიყვანა!... სამი მძღოლიანა სულ ცხრანი ვიყავით!. ჯონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: შეგვეძლო, ჩვენი რომელიმე თვითმფრინავითაც გვეფრინა, მაგრამ ავტომობილები ვამჯობინე, რათა ჩვენებური სასწაული – Carretera panamericana გაჩვენოო!

– ეგ რაღაა? – გულაფანცქალებით იკითხა მარიეტამ და იგრძნო, ამ ახალგაგონილი უცნაური ტერმინის მაცდურმა ჟღერადობამ უეცრად როგორ აღაგზნო და სადღაც თავდავიწყებით გაიტაცა.

– ო, **კარრეტერა პანამერიკანა – პანამერიკული გზატკეცილი!** – ლიკამ ცერცვივით წააყარა, – ჯონი გზადაგზა ყველაფერს დაწვრილებით მიხსნიდა!.. ჯონიმ ყველაფერი იცის!.. როცა რამეს გიყვება, ისეთი საყვარელია ეს საძაგელი, გინდა, მარტო უსმინო!.. ჰოდა, მისმინე: ამ საავტომობილო გზატკეცილის მშენებლობა ამერიკელებს 1923 წელს დაუწყიათ და ჯერაც არ... სამოცდათვრამეტიათას კილომეტრზეა გადაჭიმული, თან...

– რამდენზეო?! – სიტყვა გადაუსხიპა მარიეტამ, თანდათან

ყურები რომ ეჭედებოდა, – ლიკა, შვიდასსამოცდათვრამეტი ხომ არ უნდა გეთქვა?

– ჰა-ჰა-ჰა!.. ჰი-ჰი-ჰი!.. – ლიკა ენას პირში ველარ აკავებდა, – ხუმრობ, გოგო – შვიდასსამოცდათვრამეტი რა არის – მაგაზე მეტი, ალბათ, ერთ-ერთი რომელიმე განშტოებათაგანი ექნება!.. სამოცდა... თვრამეტი... ათასი... კილომეტრი!!! ტეხასის შტატის სამხრეთ საზღვრიდან რომ იწყება, გადაკვეთს მექსიკას, პანამას... კოლუმბიას, ვენესუელას... პერუს... ბოლივიას... ბრაზილიას, ურუგვაის... რა ჰქვია, ღმერთო!.. აი, მარადონა რომ... ჰო, არგენტინას... უჰ, რა ვიცი, გოგო, მანდ კიდევ რომელი ქვეყნებია!.. გაივლის მათ დედაქალაქებსა და დიდ ქალაქებს და ისა... ჩილემდე ჩადის!

ლიკამ წამიერად მოიბრუნა სული.

– ო, მარი, მარი, გზადაგზა რაღა არ შეგხვდება: ტროპიკები... უცნაურად მორთული ინდიელები... ჯუნგლები... თოვლიან-ყინულიანი მთაგრეხილები... გვირაბები... უდაბნოები... უფსკრულებზე გადატყორცნილი ხიდები... ჩანჩქერები... კანიონები... ზღაპრული სასტუმროები... საგზაო რესტორნები და ყავახანები... ზღვისოდენა მდინარეები... უნაკლო გზატკეცილები!.. რის ჩიხები, რა ჩიხები, დღედაღამ მიქრიხარ და წინ არაფერი გელობება! არა, ყოველივე ამის გადმოცემა შეუძლებელია, შენ თვითონ თუ არ... ცხადია, კომპიუტერი გექ... არა?! უი, შენ რა გითხარი – აბა, უმაგისოდ როგორ ცხოვრობ, ქალო?!.. მაგრამ არა უშავს რა! ვინმე კომპიუტერიან ნაცნობთან ვიკიპედიაზე მონახეთ **კარრეტერა პანამერიკანა** და შენ თვითონ ნახე, რა...

„კომპიუტერში კი არა, მაგას მეც მანდ ვნახავ!“ – მარიეტას არსებაში მოულოდნელად რაღაც თავგამოდებით დაიმუქრა აქამდე უცნობმა ორეულმა და ქალმა იგრძნო – ამ წამებში მეორედ იბადებოდა!

– რას წარმოვიდგენდი, რიო-დე-ჟანეიროსთანა ლამაზი ქალაქი ამქვეყნად თუ კიდევ იქნებოდა! – სატიკტიკოდ შეწკეპილ ლიკას ლამის ენა წაეჭამა, – მაგრამ ბუენოს-აირესმა ყველაფერი დახურა! თუმც შეიძლება ასე მე იმიტომ მომეჩვენა, რომ... ბუენოს-აირესში გვიან ღამით ჩავედით. დილით ჯონიმ ყველანი დავალებებზე გაუშვა, მე კი კოლონის პარკში სასეირნოდ წამიყ-

ვანა! აი, არ ვიცი!... მარი, იტყვი, ეს პარკი კი არა, ედემი, წალკოტი ან სამოთხეაო!.. ჯონიმ რაღა არ მაჩვენა!.. მერე კოლუმბის ქანდაკების ძირას იმდენი მოსეირნეების თვალწინ დამიჩოქა და ხელი მთხოვა!

გულგადატრიალებულ მარიეტას მოეჩვენა, სავარძელი გამოეცალა და ბნელ უფსკრულში ეშვებოდა.

ლიკა მაღალფარდოვან კილოზე გადაერთო.

– მე ვუთხარი, არ დაგიმალავ, მეც ძალიან მომწონხარ, მაგრამ ჯერ მშობლებს უნდა დავეკითხო – მომცემენ თუ არა ამერიკელზე გათხოვების უფლებას-მეთქი!

„უფლებას, თორემ!" – მოურეველი ნიშნის მიგება მარიეტას გუნებაში გველგესლასავით გაუსრიალდა.

– უიმე, ეს რომ ვუთხარი, სულ დაიშოკა! – დაქალის გაბასრებული ენა-პირი ნიუ-იორკიდან მეორე დაქალს შეუოკებლად უღიჭინებდა, – თუკი შენც მოგწონვარ, აბა, ამერიკელი მილიარდერის მილიონერ ვაჟზე უარი ვინ უნდა თქვასო!.. ეგ თქვენ მიგაჩნიათ ასე, მაგრამ საქართველოში სხვანაირად ფიქრობენ-მეთქი! ამან უფრო ინტერესი გაუღვივა! არა, ერთი ჩემი თვალით უნდა ვნახო, რა ქვეყანაა ეგ თქვენი საქართველოო! ის კი არა, ქორწილი ჯერ **ლისში** გადავიხადოთ, მერე კი... ქალო, თბილისს **ლისს** ეძახის! ჰა-ჰა-ჰა!.. ეს ენის მოსამტვრევი TBI რაღად გინდათ – **ლისი** უფრო სწრაფად და ადვილი გამოსთქმელი არ არისო! მე ვუთხარი, ჩვენთან **ლისი** ტბასა ჰქვია და ხალხი... მით უმეტესო – ერთნაირი სახელწოდების ტბაც გექნებათ და დედაქალაქიც! ელაპარაკე!.. მოკლედ, ჩვენი „თბილისი" თურმე ძნელი გამოსათქმელი ყოფილა, ამათი „მასაჩუსეტი" თუ „კონექტიკუტი" კი ადვილზე ადვილი!.. ეეეჰ!.. მარი, ჩემი გვარი ხომ საერთოდ ვერ გამოუთქვამს და მოფერებით **კოკოს** მეძახის! არადა, რა უნდა კოკობინაძის გამოთქმას?! აბა, ჩემი დაქალების მსგავსი გვარი რომ მქონოდა, მაშინ რაღას იზამდი-მეთქი და სულ მიყოლებით ჩამოვუთვალე: **ჯანჯიბუხაშვილი, ცალულელაშვილი, კბილცეცხლაშვილი...** ო, კინაღამ გამიგიჟდა და ყურებში თითები დაიცო – მაგნაირი გვარები რამ გამოგაგონებინათ, რანაირად იმახსოვრებთ ან როგორ წარმოსთქვამთო!.. არა, შენ ჩემო შეუდარებელო **ლიკა-კოკო შანელი** ხარო!.. ეჰ, ოღონდ ეს კარგად

მყავდეს და რა ვუყო – რაც უნდა, ის დამიძახოს!...

ერთი სიტყვით, ოქტომბრის მეორე ნახევარში ქორწილს ჯერ მანდ გადავიხდით!.. ჩემი მხრივ მე ყველაფერი მოვიგვარე!.. ჯონისლა აქვს შესათანხმებელი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ამერიკელ ელჩებთან: საელჩოების აუცილებელი შემადგენლობა და ამიერკავკასიის ბიზნესელიტაც რომ გვესწრებოდნენო! ოჰ, ამათ ძილშიაც ხომ სულ ბიზნესმოგება ელანდებათ!.. ჰოდა, მანამდე ჯერ საკმაო დროა და მეც კიდევ შემოგეხმიანები, მაგრამ აქედანვე იცოდე: აქაური ბეჭდის ნათლია შერჩეული მყავს, მანდ კი შენზე უკეთესი ვინ მეგულება – მანდაურ ნათლიად შენ მეყოლები! ყველაფერს ჩვენ...

„მანამდე აქ თუ დაგხვდი, კი!" – წელანდებურად დაიქადნა მისმა გაუხიაკებულმა ორეულმა და მარიეტამ – დაქალს ხეირიანად რომ აღარც კი უსმენდა და წელან ვერც გაბედნიერების მილოცვა მოაფიქრდა! – უეცრად თავი აიშფოთა.

ჰმ, მეტისმეტად ბეცურად აკვდება „სულიერი მეგობრის" სარეცელსა და ამ ჩაყრუებული თბილისის დაცრეხილ ჩიხმახებს!.. არა, Carretera panamericana-ს თვითონაც გაუსინჯავს მაჯას და მურაზს იქ, ამერიკაში ეწევა!.. იქნებ ჰოლივუდის კინოვარსკვლავობასაც გამოჰკრას ხელი – ვიზე რა ნაკლებია?! მორჩა, აქ აღარავინ და აღარაფერი ადარდებს!.. აღარც ოჯახის წევრები! ეყოთ!!! თავის თავს ყველამ თვითონ მიხედოს!.. აღარც ვისიმე სიტყვას მიიყენებს ახლოს – ამიერიდან მხოლოდ თვითონ იქნება თავისი ბედის მჭედელი!.. დაიცა, მისი ვაჟიც გახდება ამერიკის პრეზიდენტი!.. ც კი არა, ჯერ ის იქნება!.. ლიკას თუ კოკობინაძის ქალობით მოაქვს თავი, არც თვითონ არის უჯილაგო – ის კიდევ ჩაღლაღანაშვილის ქალია! ჰმ!..

მღელვარე ფიქრებისაგან მოხრუსტული მარიეტა სავარძლის სახელურებს მედიდურად დაეყრდნო და წელში დედოფლურად გაიმართა. უცებ მოეჩვენა: თავს აბანოს შენესტილი პირსახოცი კი არა, ამერიკის მომავალი პრეზიდენტის დედის ოქროს გვირგვინი უმძიმებდა!

* * *

ამერიკაში სასწრაფოდ გადავარდნა მარიეტამ გულში რაღაც შურისმაძიებლურად გამოინასკვა! თითქოს იღბალმაც გაუჭრა: სწორედ იმ დღეებში ბიზნესბაზრების პრობლემებთან დაკავშირებით „სულიერი მეგობარი“ შავი ზღვის ქვეყნების ბიზნესგრანდების ოცდღიან რაღაც სამიტსა თუ მონიტორინგზე ბულგარეთში უნდა გამგზავრებულიყო და სულ ამაზე ლაპარაკობდა!!!

ჰოდა, გამედიდურებულმა კაცმა ასეთი რამეც კი მოიფიქრა: სასწრაფოდ ტურისტული ვიზა გაეშანშალებინა და „კონფიდენციალური მიზნით“ მარიეტა სოფიაში დახვედროდა ანდა ორიოდე დღის მერე ჩასვლოდა! როგორია?!

გულგადატრიალებულმა ქალმა რაღაცეები მიუკიბ-მოუკიბა და შვებით მაშინღა ამოისუნთქა, უკვე თავმომაბეზრებელი „სულიერი მეგობარი“ ბულგარეთში რომ გაიგულა! თუმც მოულოდნელად ახლა ახალი სატანჯველი გამოუჩნდა. ხანდახან თავისიანებთან შერბენა რომ უხდება, უფროსი, ოთხი წლის ძმისწული, მამუკა მონატრებულ მარიეტას გულმკერდზე ტკიპივით მიეკვრება ხოლმე და ყველას თანდასწრებით გულამოსკვნით ეკითხება.

– მამიდა, მამიდა, რატო შენც ჩვენთან არ ცხოვრობ?!

ყველასა და ყველაფერზე გულამრეზილი მარიეტა აქაურს უკვე ვეღარაფერს იტანდა – ძილბურანშიც კი მხოლოდ პანამერიკული გზატკეცილის უნახაობა აწამებდა და აცდუნებდა! ამიტომ თავის მოულოდნელ წამოკაპასებას, გაწბილებას, სიხარულს, ხელიდან პომადის გავარდნას, დანანებას, რომელიმე მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის უხეშ დარღვევას, დაუნახავი რძლის უკმეხობას თუ მაცდური ზრახვების დაბადებას პისტოლეტის გაცლილი ვაზნებივით ამოსროლილი ორად ორი შეტკბობილი სიტყვითღა გამოხატავდა.

– O, Carretera panamericana!..

ღმერთი მოწმეა, თვითონ მარიეტას თავიდან არც ავტომობილი სურდა და ამ ოროთახიან ბინაზეც სულ ამას ეხვეწებოდა – მე არ მინდა, შენს ერთ-ერთ ვაჟზე გააფორმეო! მაგრამ თვითრჯულმა „სულიერმა მეგობარმა“ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა – არა, მე შენთვის მინდაო!!!

უნდა და უნდოდეს! ახლა ორივეს თუგინდ ჩალის ფასად დაყიდის ან დააგირავებს და იალა!.. მაგრამ ეს „იალა“ თურმე არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა, როგორც თავიდან თვითონ ეგონა!

უცხოეთში რომ მოხვედრილიყავი, განცხადებაში ნათლად უნდა მიგეთითებინა მოგზაურობის მიზანი, განსაზღვრული საგარანტიო თანხა და თან სამუშაო ადგილიდან ცნობაც წარგედგინა ხელფასის მითითებით! არა, მარიეტას საჭიროზე გაცილებით მეტი ფულიც მოუგროვდება... მაგრამ საელჩოში გასაუბრებისას უეჭველად ჰკითხავენ – შენს სიცოცხლეში თუკი არსად გიმუშავია, აბა, რა გარჩენდა ან ეს ამდენი ფული საიდანო?! ეს კი...

გერმანიის საელჩოსთან ალალბედური ბორიალისას შემთხვევით გადაეყარა ერთ მამალ ქალს, პირისახე დოღის ულაყის უკანალს რომ მიუგავდა: კაცს გაგაცნობ და თუ ოქროს აბებს გადააყლაპებ, თხუთმეტიათას დოლარად ამერიკის ოთხმოცდაათდღიან ვიზას უწვალებლად გაგიმზადებს, იქ კი ყველაფერი უკვე შენზე იქნება დამოკიდებულიო!

მარიეტას მოეჩვენა, ცა გაეხსნა!

ქალებმა ერთმანეთს მაშინვე გაუგეს და ნდობით გაცვალეს მობილური ტელეფონების ნომრები!..

* * *

მაცდური ოცნებებით გარემოცული მარიეტა ამერიკის ვიზისთვის საჭირო ცნობების მოსაგროვებლად უკვე შეზიზღებული თბილისის ქუჩა-ჩიხებში როგორც კი გამოსრიალდება, მაშინვე დაუძლეველი ალიაქოთი შეუდგება ხოლმე! თითქოს აქედანვე ემზადებაო, ღელვიანი გაბედულება აქეზებს, თავისი „Volkswagen-Golf“-იც როზეტასებური სილალით აქროლოს!.. მაგრამ დაეწვას იღბალი, ამ ყელისჭრაში ესღა უნდოდა, დრო შეურჩიეს, არა?! ჰმ! „სულიერი მეგობრის“ მეუღლემ, ქ-მა მირანდამ – ერთმანეთი თვალითაც რომ არასოდეს ეხილათ, ერთიმეორის ავანჩავანი კი წყალივით იცოდნენ! – თავისი გახალისებული დაქალების პირით შემოუთვალა: სადაც მოისურვებ, ამ დღეებში პირისპირ შევხვდეთ და ერთმანეთს ერთი ქალურად დაველაპარაკოთო!

– შეხვედრის რანაირი პირობებიც უნდა წამომიყენოს, შევუსრულებო, – მირანდას დანაბარები გულღიად აუწყა სამიდან

ერთ-ერთმა, სახიერმა ქალბატონმა, – და იმედი გვაქვს, თქვენც ასევე მოიქცევით!

ო, მარიეტა აქ კი ჩაიჭრა და მერე როგორ! გაანჩხლებულს ეს რომ წამოაგონდა, მიმქროლავი ავტომობილის საჭეს მუშტები ერთმანეთის მონაცვლეობით წაუშინა, მაგრამ ვეღარაფერი უშველიდა! ქ-ნ მირანდას შემოთავაზებისგან წაცდენილმა, მიაყოლა და გაკვირვებით მოშტერებულ შუამავალ ქალებს რაღა არ მოუჩმახა: ნახევარი საათით ადრე შეხვედრის ადგილს მობილურით მე თვითონ გაცნობებთო!.. შეხვედრაზე უნდა მოვიდეს მარტოდმარტო – არავითარი ფარული კამერა და დიქტოფონი... შვილები... ნათესავები... დაცვის ბიჭები... დაქალები... იარაღებიო!!!

თვითონ მირანდას ერთადერთი სათხოვარი ჰქონოდა – შეხვედრაზე შხაპგადავლებული გამოცხადდესო.

„იმან იმ თავის ბინძურ ხვრელს მოუაროს, თორემ მე შხაპს დღეში ხან ორ-სამჯერაც ვივლებ!“ – გულში წამოიკაპასა მარიეტამ და უცებ შვებისმომგვრელად იგრძნო – მირანდასთან ხვალინდელი შეხვედრა ჩირადაც აღარ უღირდა! ყველაფერში დაუთმობს, ყველაფერზე დაუყაბულდება! თუ ამის აუცილებლობა შეიქმნება, ბოდიშს ჩოქით მოუხდის!

მარიეტასთვის ახლა მთავარია, ერთი ამერიკაში ამოყოს თავი და მერე იქიდან სხვანაირი ყელმოღერებით შემოუთვლის: ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ეგ შენი კანონიერი თანამეცხედრეც, ყავარჯნებშებჯენილი ქოხმახებით სავსე დაფეხვილი თბილისიცა და მანდაური ცრუკაცებიცაო!.. მაგრამ მათი შეხვედრა ხვალისთვისაა დათქმული, დღეს კი ჯერ ბიომეტრიული სურათი აქვს გადასაღები, მერე ინგლისურად ნათარგმნი ავტობიოგრაფია უნდა გამოიტანოს და...

ავტომობილს როზეტასაგან ნასესხები მანერებით მიაქროლებს და ერთმანეთში ალინთული ფიქრებისაგან თავგაბრუებული, თან წინათმგრძნობელივით ეწამება, რათა საკუთარ თავს აქედანვე უმარჩიელოს: როგორი იქნება ჰოლივუდში სასინჯი გადაღებები?!. გამორჩეულმა შნოებამ იქნებ მსოფლიო კინოვარსკვლავთა ორბიტაზე ააფრინოს და!.. ნეტავი ან ვინ გახდება მისი გულის სწორი: მსახიობი?!. პროდიუსერი?!. რეჟისორი?!.

ტრეილერის მძღოლი?!. მილიარდერი თუ... განგსტერი! თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს – აგერ, სტალინის მამა ჩუსტების მკერავი ყოფილა, მაგრამ... ჰმ! მთავარი შემთხვევა და იღბალია!.. ანდა, რა ერქმევა მის მომავალ მეუღლეს: ჯონი?! არა, არა, ჯონი არ უნდა – ჯონი მეტისმეტად გავრცელებული, ძალიან ამერიკული სახელია და ამდენად გაცვეთილიც!.. აბა, ჰარი?!. ალენი?!.. ბილი?!. ჩარლი?!. არჩიბალდი?! უჰ, მოაშორეთ აქედან – ეს ქართველი არჩილებიც ყელში ჰყავს ამო...

– ჯაააახ!!!

* * *

გონს ტრავმატოლოგიული კლინიკის ერთადგილიან პალატაში, იტალიური ფირმის „Guma" ფუნქციურ-ორთოპედიულ საწოლზე მოეგო. თავთით მჯდომმა დედამ მაშინვე ღიმილი მიაგება, მაგრამ ვაი ამნაირ გაღიმებას – ლოყები მკვდარივით ჩაღრმავებოდა, სახეზე კი ურჩი სანაღვლებელი დაუქროდა.

არტაშანებითა და თაბაშირის სახვევებით შეკრულ მარიეტას პირველში კაპოტზე ბურთიანად შემოგდებული ბავშვი გაახსენდა!

– სიმართლე მითხარით, ბავშვს რა დაემართა?

– არაფერი, შვილო, თითიც არ...

– არა, მატყუებთ!.. – აწივლ-აკივლდა მისუსტებული მარიეტა, – თუ მართალია, მაშინ მომიყვანეთ და მაჩვენეთ!

შემოცვენილმა მედდებმა და მომვლელებმა პაციენტი ძლივს დააშოშმინეს. რამდენიმე საათის შემდეგ კი მოკითხული ბავშვიც მოუყვანეს თავის ბურთიანად. მამაც თან ახლდა. დარიგებული ბიჭუნა თავის „გადამრჩენს" დაეხარა და ლოყაზე კრთომით აკოცა. მამამ კი აზრიანობა და თავგანწირვა შეუქო – „პავაროტში რეზკად" რომ არ აგეღოთ, ახლა შვილი ცოცხალი აღარ მეყოლებოდაო.

მათი წასვლის შემდეგ მარიეტამ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ სარკმლებს მიმწუხრის ბინდი რომ ჩამოაწვა, ახლა ეჭვები აეშალა – ეს მართლა ის ბიჭუნა იყო თუ რაღაც საშინელება დატრიალდა, ძმამ კი ინსცენირება მოუწყო?!.

ტრამვებზე არანაკლებ ტანჯავს ტერმინები, მკურნალი ექი-

მის, ორდინატორებისა და ამოდენა უნაღვლელი სტუდენტ-პრაქტიკანტების შემოხორხოცებისას თავის სიცოცხლეში პირველად რომ ჩაესმის: მრავლობითი ტრამვები... ტრამვის თანმდევი სისხლდენა, შეშუპება, დაჟეჟილობა და ანთებითი რეაქცია... ნეიროქირურგია და გულმკერდის ქირურგია... ჩონჩხოვანი დაჭიმვა... ჩაჭედილი მოტეხილობა... სახსარშიგა მოტეხილობა... ორივე კიდურის ფუნქციის მოშლა... გასწვრივი და სპირალური მოტეხილობა... მოტეხილი ძვლების ერთმომენტიანი ჩასწორება... სახსრიდან ამოვარდნილი სეგმენტის ჩაყენება... ოპერაციული ოსტეოსინთეზი...

მარიეტა თვალის დასანახად ველარ იტანს მკურნალ ექიმს. მის ნომენკლატურულ მედიდურობასაც თავი რომ დავანებოთ, იგი გარეგნულად ვერ ესადაგება მარიეტას მიერ უცხოური კინოფილმებიდან დამახსოვრებული ექიმების სანიმუშო ხატს: მოხდენილი აღნაგობა, სახეზე აღბეჭდილი თავშეკავებული კვების კულტურა, დახვეწილი მანერები, პირისახის სწორი, ჭკვიანური ნაკვთები, პაციენტის განმკურნავი სწორუპოვარი მზერა!

ეს? ვეებერთელა ღიპი–რუმბი, გადაღეღილი ბანჯგვლიანი მკერდი – მაყვლის ბარდნარი, ლოყები – შებრაწული ხინკლები, ღაბაბი – ქაბაბი, კეხიანი ცხვირი – ამოტრიალებული ყანწი... მომლხენი კაცის ბდღვრიალა თვალებში კი სულ მუდამ ქეიფის ჟინი და მოლოდინი უგიზგიზებს!.. ჯერ დედას როგორ გაუმხნევებს ხოლმე!

– ქალბატონო ელენე, თქვენც ხომ აგიხსენით, რა გვიჩვენა რენტგენის სურათებმა!.. მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, მთელი სიცოცხლე საწოლს კი არ იყოს მიჯაჭვული, არამედ სხვის დაუხმარებლად ორი ყავარჯნით სიარული თავისუფლად შეძლოს!..

ორი ყავარჯნით სიარული! უჰ, დიდი შეღავათია!.. მარიეტას ადგომა რომ შეეძლოს, ახლავე გადაეშვებოდა სარკმლიდან!..

* * *

შაბათს, როგორც კი მნახველების დაშვების ჟამი დადგა, ექთანი საქმიანად შემოუძღვა სამ მანდილოსანს და თვითონ ისევ გარეთ გაესწრაფა. ორმა მათგანმა კუთხის მაგიდაზე მოკრძალებით შემოდგა გემოვნებით შეფუთული რაღაც ყუთები...

მარიეტამ დედას წარბაკვრით ანიშნა, ტელევიზორი გამოერთო!.. უკმურსაც კი მოალმობიერებდა ქ-ნ მირანდას დაუძაბაობა. მარიეტას ახლობლურად მიუახლოვდა და საბანზე დასვენებული, იღლიიდან მაჯამდე არტაშანდადებული მარჯვენის გამწვანებულ თითებზე თანაგრძნობით შეეხო.

– შვილებს გეფიცები, გულწრფელად ვწუხვარ... თან ვიტანჯები: შეხვედრა მე რომ არ მეთხოვა, იქნებ ეს არ...

– თქვენ რა შუაში ხართ!

მირანდა წელში გასწორდა, ხმა დაიდაბლა.

– არაფრის მოგერიდოს... ადამიანურად მითხარი... აი, როგორც ქალმა ქალს... სოფიაში თენგიზს რომ არ შევატყობინოთ?

– არ არის საჭირო. – მარიეტამ ბალიშს უპასუხა.

გაშტერებული ქ-ნი ელენე უცებ ჩახვდა, ეს ქალი ვინც უნდა ყოფილიყო და სირცხვილისაგან იწვოდა!

ქ-ნი მირანდა მარიეტას საწოლს მოსცილდა, თავისი დაქალებისთვისაც რომ მიეცა თანაგრძნობის გამოცხადების საშუალება და ქ-ნ ელენეს მიუახლოვდა როგორც თანასწორი თანასწორს. თან ხელჩანთიდან დოლარების სქელი დასტა ამოიღო. მაგრამ რაკი ქ-მა ელენემ ხელები გაასავსავა, ტუმბოს კარი გამოაღო და ფული ღრმად შედო.

– არ გატყდეთ!.. ყველაფერი ღვთის ნებაა – იმედი ვიქონიოთ, რომ... თუ საჭირო გახდა, არ მოგერიდოთ – აი, ამ ნომერზე ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დამირეკოთ!.. აბა, ჯერჯერობით... ჩვენ კიდევ გინახულებთ!

მანდილოსნები ერთმანეთის მიყოლებით გაიკრიფნენ. პალატაში წუხილიანი მდუმარება ჩამოვარდა. ქ-ნმა ელენემ, დაურღვეველი ჩვეულებისამებრ, შვილს ახლაც მაშინვე ჩაურთო ტელევიზორი და პულტიც თითებში ფრთხილად შეუცურა.

ტელევიზორში რაღაც გასართობი შოუ მიდიოდა. ქ-ნ მირანდას საქციელით შეძრული ქ-ნი ელენე კუთხეში თავისთვის მიკუნტულიყო და ცრემლებს აფრქვევდა. თან ქალიშვილზე შორიდან თვალდაჭერილს, ეგონა, ისიც ამავე მიზეზით იღვრებოდა ცრემლად, მაგრამ ამხელადაც ცდებოდა!

* * *

საშინელი ავარიის შემდეგ ძვალრბილიანად დაზიანებული მარიეტა შოკიდან როგორც კი გამოიყვანეს და არტერიული წნევაც მოუწესრიგეს, ყოველგვარ ტკივილებს გაუჯიქდა და თავსდატეხილი უბედურება ყველასგან ფარულად ერთმანეთის მიყოლებით აცნობა „თავისი“ ტელეარხების თანამშრომლებს! მაგრამ თქვენც ნუ მომიკვდებით – ეს აინუნშიც არავის გაუტარებია!!!

არადა, ეგონა, მისი აღმზეცებელი ტელეჯადოქრები კლინიკას ტელემექად აქცევდნენ: დერეფნებში მედპერსონალი გვერდს ვეღარ აუქცევდა ერთმანეთის დასწრებაზე მოცვენილი ტელეარხების წამყვანებს, ოპერატორებს, აპარატურას, ერთმანეთში მიმოხლართულ კაბელებს!.. მთელ საქართველოს აუწყებდნენ თავიანთი შეუდარებელი ტელევარსკვლავის ტრაგიკულ შემთხვევას!.. გადაიღებდნენ ავარიის ადგილს, დაჭეჭყილ ავტომობილს, შენგრეულ კედელს, გადარჩენილ ბიჭუნას!.. ინტერვიუებს ჩამოართმევდნენ კლინიკის დირექტორს, მკურნალ ექიმს, მედდებს... დედამისს... ქუჩაში მიმომავალ რიგით მოქალაქეებს... ერთი-ორი სიტყვა იქნებ თვითონაც ამოეღერღა!... მისი მონაწილეობით საქვეყნოდ გახმაურებული ტელეშოუს ჭკუანასწავლი გოგონები ცოცხალი თაიგულებით მოუვიდოდნენ!.. რომელიმე ტელეარხის თაოსნობით, ალბათ, საზღვარგარეთ მკურნალობის ფონდსაც დაუარსებდნენ!

ფონდიო?! ფონდი კი არა, არც ერთი „მისი“ ტელეარხის „დაქალსა“ თუ „ძმობილს“ ყასიდად ენაც კი არ დაუსველებია – ჩვენი შოუების ესა და ეს ტელევარსკვლავი ავარიაში მოყოლილაო! თუმცა მისთვის ვის ეცალა თუ ღმერთი გწამთ, როცა, აგერ, ახლა ახალ „ტელევარსკვლავს“ ძერწავდნენ!

მაღალ, უზურგო სკამზე წამოპოლორჭიკებულ ვიღაც მანჭია გოგონას, ფეხს ფეხზე ისე რომ იხარიხებდა, ისედაც მოკლე კაბიდან აპეურივით ამოკრული ბიკინი წარამარა გამოსჩენოდა, მოთაფლული ხმით აბრუებდა ამისთანებში გამოცვეთილი ტელეკაროჟნა.

– მაყურებლებს აინტერესებთ, თქვენ, როგორც ამომავალი ქართველი ტელევარსკვლავი, მაინც როგორ აპირებთ გულშემატკივრობის გამოხატვას?

– ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატიდან ჩვენმა ბიჭებმა ერთი ოქროს მედალიც რომ ჩამოგვიტანონ, პირობას ვიძლევი

– თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის ბიუსტისა თუ რა ჰქვია, პანოს ძირას სახალხოდ სულ გავიხდი!

მქუხარე ტაში თუნუქის სახურავზე სეტყვის წამოშენას დაემსგავსა.

– ო, ქართული სპორტის გულშემატკივართა მატეანეში ეს ოქროს ასოებით ჩაიწერება! – ქვეწარმავლურად აცდუნებდა სასურველი პასუხით ნაამები ვირთაგვასსახიანი ტელექალაჩუნა.

– დიახაც! – უმალ შეიშნოვა მკვახეტვინიანმა გოგუცანამაც!..

მარიეტა ველარ უმკლავდებოდა გულის დუღილს: იმოდენა ტელეალქაჯებმა და ტელეგველგესლებმა თავის დროზე ისიც ასე გააბუტბუტეს და თავბრუდამხვევ ტელეპოდიუმზე ატყუებული, საძრახისი პოპულარობის წყურვილით ისიც მთელ საქართველოს გამომწვევად გაუტიტვლდა და გაეჩაჩხა!!!

არადა, რა სჭირდა საიმისო – როგორ უყვარდა თავიანთი კარის მეზობლის მამიდაშვილს, აჩიკო, არჩილ იაშაღაშვილს! მან კი აბუჩად აიგდო მისი გრძნობები!.. დასცინა კიდეც! სადარბაზოს ქალებს ერთხელ ტუტუცურად წამოუტორტლა: ეგლა მაკლია, ტაბახმელელ ვირს გავყვეო! იმ უსინდისოებს კიდევ ამბავი მიეტანათ და როგორ სტკენოდა გული!!! ეტკინებოდა, აბა, რა მოუვიდოდა?!. ღმერთო, რა ვირი, რის ვირი: მაღალი, ტანსრული, გაშლილსახიანი... ზრდილობითა და მოკრძალებით სავსე – ყოველ შემოფეთებისას ლამის აალებულიყო!..

ფართოდ დახელილი თვალებიდან ღვარივით მოსკდა ცრემლი – ახლალა ხვდება, რა ჩაიდინა და როგორ გაიმრუდა ბედ-იღბალი!..

* * *

მორიგი გადახვევების შემდეგ სანიტრებმა და დედამ მარიეტა ისევ პალატაში რომ შეაგორეს, იქ დედა-შვილი – ქ-ნი ჭაუტა და ზემფირა ხომალდიშვილები დახვდათ! გახსოვთ ხომალდიშვილები?! აბა, ისინიც დაფაცურდნენ!.. ხელგაწაფულმა სანიტრებმა მარიეტა ბუმბულივით აიტაცეს და თავის ლოგინზე ბავშვივით გადააწვინეს, ზემფირამ კი უპირველეს დაქალს თავი ბალიშზე დაუსვენა და ზედ უხმო ქვითინით დაეხუტა!

– გეყოფათ, გეყოფათ! – ატირებულ დაქალებს ქ-მა ჭაუტამ გასამხნევებლად შეუძახა.

სანიტრებმა პალატიდან საკაცე რომ გააგორეს და წავიდნენ, ხმაწასულმა მარიეტამ მაშინვე დაქალის ავანჩავანი იკითხა.

ისიდორე ბიძია შარშან აგვისტოში გარდაცვლილიყო... დემური ცოლს თავის ჭკუაზე გადაეყვანა და სამუდამოდ ქობულეთში გადასახლებულიყვნენ... თვითონ ზემფირა საგარეჯოელ ცალხელა ბიჭზე – თუმცა რაღა ბიჭი, კაცზე გათხოვილიყო: მოწაფეობისას მარცხენა კომბაინის სალეწში მოჰყოლოდა!.. ნატო ხუთი წლისა ჰყოლოდა, ამირანი სამი წლისა და რვა თვისა! ქმარი ზედსიძედ მისულიყო და სადღაც არასაუწყებო დაცვაში მუშაობდა... მამამთილს იორზე პატარა ფერმა ჰქონოდა და ამირანისთვის დაბადების დღეზე ხბოიანი ფური ეჩუქებინა!.. თან ხუთი ოჯახი ფუტკარიცა ჰყოლოდა – ზემფირას მაისის თაფლი ლიტრიანი ქილით მარიეტასთვისაც წამოეღო!.. შენი სპეციალობით დღეს სადღა იშოვი სამსახურს! ჰოდა, ზემფირასაც იქვე, აფთიაქში დამლაგებლად დაეწყო მუშაობა, თან...

ქ-მა ჭაუტამ დრო იპოვა და სახეჩამომდნარი ქ-ნი ელენე განზე გაიყენა.

– ექიმები მაინც რას ამბ...

ელდანაკრავმა ქ-მა ელენემ მაშინვე თვალი ჩაუქნია – მარიეტას თანდასწრებით მაგას ნუ იკითხავო!

ქ-ნ ჭაუტასაც სახე მოუშავბნელდა და ორი თითი ტუჩებზე მწუხარებით მიიკრა. მერე თვითონაც დაქალებს შეუერთდა და საუბარში მაშინვე ჩაერთო.

– ვინა, ამირანი?! უი, ბებო ენაცვალოს, ისე უყვარს ხბორები, ისე, რომ უნდა, სულ პაპასთან იყოს!

– პაპასთან და!.. – ტუჩაკვრით შენიშნა ზემფირამ და უცნაურად აიმრიზა.

განზრახ დადუმებული დაქალის ამრეზილობამ თითქოს რაღაცას მიახვედრაო, მარიეტა უფრო გამოცოცხლდა.

– რატო, რატო?!. რა იყო?

– უჰ!

რაკი გვერდზე პირმიბრუნებული ზემფირა ხმის ამოღებას არ აპირებდა, ტრამვირებული კი პასუხს ელოდა, კვანძის გახსნა ქ-მა ჭაუტამ ითავა, ოღონდ ჯერ რაღაც სულელურად გაეცინა.

– პაპას უსწავლებია, ყველას გოგო ეგონები თუ არ ამოიღებ

და აჩვენებო! ჰოდა, ვინც კი მოგვივა, ისიც მაშინვე რეიტუზს ჩაიწევს ხოლმე და... აი, ბიჭი ვარო!!!

ქალებმა ერთმანეთს ჯერ ნელთბილი მელანქოლიური ღიმილით გადახედ-გადმოხედეს – უიმე, ეს კაცები თავიანთ თავზე რა დიდი წარმოდგენისანი არიანო, მერე კი არაგულწრფელი გამომეტყველებით შეიხარეს წარბები – ასეთი რაღაცეები ვითომ არც გვაინტერესებსო! არადა...

შპრიცაწეული ექთანი ნემსის გასაკეთებლად შემოვიდა და სპირტის სუნი შემოიყოლა.

ქ-ნი ჭაუტა გაძეკილ ჩანთებს დაუტრიალდა. ხომალდიშვილებს რაღა არ წამოელოთ იმ განზრახვით, რომ მარიეტას ერთ კვირას ერთმანეთის მონაცვლეობით ისინი უმორიგეევებდნენ, ქ-ნ ელენეს კი სულმოსაბრუნებლად შინ გაუშვებდნენ.

– არავითარ შემთხვევაში! თქვენ რატომ უნდა...

– ნუ ჯიუტობ, დედა, ხომ ხედავ, რას დაემსგავსე!

ქ-ნი ელენე შვილს ვეღარ შეეწინაღმდეგა და თავისი ბარგი-ბარხანის მოგროვებას შეუდგა. ოღონდ იმოდენა დასარეცხი ძონძმანძი ზემფირამ არასდიდებით არ დაანება.

– აბა, ჩვენ აქ რისთვის მოვედით, ელენე დეიდა?!. არა, არა, ნუ გეფიქრება – ყველაფერი წამოღებული გვაქვს: საპონი, სარეცხის ფხვნილები... ბაწრები, „შპილკები“ ...

ქ-მა ელენემ დედა-შვილს ჩაყოლით ასწავლა, რა დროს როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მერე შვილს ფრთხილი ხვევნა-კოცნით დაემშვიდობა და ხომალდიშვილებმა ლიფტამდე მიაცილეს.

დედის წასვლის შემდეგ მარიეტა თითქოს უფრო მომხიარულდა. დაქალებმა ვიღა და რაღა არ გაიხსენეს!

ნასადილევს ზემფირა სააბაზანოში შეიხიზნა და წეღან ჩამბალ სარეცხს დაუტრიალდა... ხოლო როცა ქოთანი გახდა საჭირო, მომვლელისთვის არც დაუძახიათ – ქ-მა ჭაუტამ მარიეტას ქოთანი თვითონ შეუდგა, დედაშვილურად გამობანა და შეუმშრალა. მერე კი სუფთა საცვალიც უმტკივნეულოდ ჩააცვა. მაგრამ ჭერს აშტერებული მარიეტა გრძნობს, აზრი აღარაფერს ჰქონდა!..

ყველაფერი დაემსხვრა!.. ცხოვრება დასრულდა!..

O, Carretera panamericanaaaaaa... aaaaaaa... aaaaaiiiiiiiiii... iiiiiiiaaaaaa!... აი, იააა!..

ვერმახტის მეტყვიამფრქვევე

ნოველის სათაურმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ – იგი მხოლოდ გამაოგნებელმა მსგავსებამ წამომაგონა!..

საქართველოს ერთ-ერთ მივარდნილ კუთხეში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მალევე დავბადებულვარ. არმიაში გაწვევამდეც იქვე ვცხოვრობდი. როგორც ყველა ბიჭუნა, მეც თავდავიწყებამდე მივყავდი ომის თემაზე გადაღებულ საბჭოთა კინოფილმებს! მწუხარებისაგან თან გული მესერებოდა, მეც ჩვენი გმირების გვერდიგვერდ რომ ვერ ვიბრძოდი ანდა მათ ადგილას მე თვითონ არ ვიყავი!!!

მოძრავ კინოდანადგარს სამ-ოთხ კვირაში ერთხელ ამოჰქონდა ჩვენი მიყრუებული სოფლის ერთადერთი სასწაული – კინოფილმი! ფილმების უმრავლესობა, ცხადია, დიდ სამამულო ომში წითელი არმიისა და პარტიზანების გაუგონარ გამძლეობას, გმირობასა და უძლეველობას ეძღვნებოდა!

მხოლოდ ერთგან, სოფლისაბჭოსთან გამოკრულ წაყვითლო აფიშაზე ბანჯგვლიანი ფუნჯით სქლად დაჯღაბნილი ფილმის ნებისმიერი სახელწოდება წინდაწინვე მაჯადოვებდა, ოღონდ ეგ იყო, დაღამებას მთელი საუკუნე უნდებოდა!

ჰოდა, ერთხელ ჩემს სიცოცხლეში პირველად მაშინ ვიხილე „მოსფილმის“ რომელიღაც ორსერიიან კინოფილმში უხვად ჩართული ნაალაფარი გერმანული კინოქრონიკის კადრები: გრანდიოზული მიტინგის სადა მიკროფონებთან ცოფმორეული და ქოჩორაშლილი, დასაბმელს დამსგავსებული ნამდვილი, უგრიმო (!) ჰიტლერი, თავისი დამაელექტროებელი ხორხისმიერი ღავლავით მთელ მსოფლიოს რომ ემუქრებოდა და თან წარამარა ხელს აღმოსავლეთისკენ იშვერდა!.. თავიანთი ფიურერით უკიდურესობამდე აღგზნებული აურაცხელი ხელაშვერილი გერმანელის ნამდვილი, უგრიმო (!) სახეები!.. მოიერიშე რაზმების მწყობრი, დაულეველი კოლონები... ველოსიპედიანი ფოსტალიონი ქალიშვილები... სწორი, სუფთა ქუჩები... კოპწია შენობები... სათუთად მოვლილი მწვანე ნარგავები... ჩემოდენა ჰიტლერიუგენდელთა ვითომ ფიზკულტურული ვარჯიში, მოახლოებული ომის

საბრძოლო ვითარებას რომ ესადაგებოდა!.. სამხედრო აღლუმზე ზევიდან გადაღებული მუზარადების შეუპოვარი ლავა, რომელსაც წინ ვერაფერი უნდა აღსდგომოდა!.. ტანკების, საბრძოლო თვითმფრინავების, წყალქვეშა ნავების, ნაირ-ნაირი ჭურვებისა და გრძელხორთუმიანი შორსმსროლელი ქვემეხების ქარხნების კონვეირებთან დინჯად მოსაქმე უგრიმო(!) გერმანელი მუშები, არაფრით რომ განსხვავდებოდნენ სხვა ეროვნების ჩვეულებრივი ადამიანებისაგან!.. მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება!.. პირველი ფანტასტიკური წარმატებებით გალაღებული, კბილებამდე შეიარაღებული ვერმახტი ნიაღვარივით რომ მოიწევდა მოსკოვისაკენ!!!

მოგვიანებით მივხვდი: გერმანელთა სამხედრო ტრიუმფის ხაზგასმა ჩვენს კინოხელოვანთ მომგებიანი კონტრასტისთვის სჭირდებოდა – მესამე რაიხის კრახსა და გერმანიის მიწასთან გასწორებას მაყურებელზე ჭკუის მასწავლებელი ზემოქმედება მოეხდინა და თან საბჭოთა სისტემის უპირატესობაც გათვალსაჩინოებულიყო!..

თავისი უტყუარობითა და ამაღელვებელი მიმზიდველობით იმ გერმანულმა შავ-თეთრმა კინოქრონიკამ ამ ჟანრის გამოუსწორებელ თაყვანისმცემლად მაქცია და მხატვრული ფილმებისადმი სამუდამოდ გულგრილი გამხადა!

მაშინდელ გერმანულ კინოქრონიკაში ნანახი ბრძოლებიდან განსაკუთრებით დამატყვევა და მოზარდის სათუთ მეხსიერებაშიც წარუშლელად ჩამეჭდია **ვერმახტის მეტყვიამფრქვევე.** ფოლადის ჩაჩქნით დაცული, საგანგებოდ შერჩეული ის ბრგე, ჯანღონიანი ჯარისკაცი საცა კი გამოჩნდებოდა თავისი მძიმე ტყვიამფრქვევით, იქ გარდატეხა შეჰქონდა!

მეტყვიამფრქვევის თვალში საცემ შემართებასა და თავდაჯერებულობაზე არანაკლებ მხიბლავდა მისი საბრძოლო გაწვრთნილობა და ხელგაწაფულობა. ბრძოლის წინ საიმედო სამყოფელის შერჩევისას უშეცდომოდ არჩევდა და სწრაფადვე იკავებდა ყველაზე ხელსაყრელ პოზიციას! მერე თავის უღალატო იარაღს სამფეხაზე ელვისებურად გაისწორებდა, მხარწახრით მიუჩოქებდა და ტყვიამფრქვევიც იწყებდა ან ისევ აგრძელებდა კოდალასებურ კრიალს!.. ხოლო როცა გადახურებულ ლულას ალმური

აედინებოდა, სროლას წყვეტდა, ხელთათმანებს უცებ იცვამდა და ტყვიამფრქვევს სათადარიგო ლულას რაღაც ხუთიოდე წამში უცვლიდა!..

„კი მაგრამ, რისთვის გვიყვები ყოველივე ამას?!“ – შემომეკითხებიან მოთმინებადაშრეტილი მკითხველები.

ო, ახლა სწორედ ამის ახსნას უნდა შევდგომოდი, მაგრამ თქვენ დამასწარით!

* * *

დღევანდელი თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა. ჯერ არც აშუადღევებულა, მაგრამ ვრცელი სამკითხველო დარბაზი უკვე შევსებულია!

მოულოდნელად დარბაზში კარშემოგლეჯით შემოაბოტებს ტანბრგე, სახეშეკრული ახალგაზრდა კაცი, ზედ ვერმახტის ჯანმოჭარბებული მეტყვიამფრქვევის შემართება და თავდაჯერებულობა რომ ახატია!!!

საოცარია, მსხვილ თავზე მუხის რკოსავით მჭიდროდ და ღრმად მორგებული ეს ახალმოდურად ნაქსოვი ფერადი თავსარქველიც მართლა მეტყვიამფრქვევის ფოლადის ჩაჩქანივით მოუჩანს!.. კარწინ წამით შეყოვნებული, დარბაზს არც ათვალიერებს – სადმე მისთვისაც მოიძებნება თუ არა ადგილი! ანდა ამის დადგენა რაში უნდა სჭირდებოდეს, როცა შავშალითიანი კომპიუტერი მხარიღლივ ტყვიამფრქვევივით ჰკიდია! მან მხოლოდ უმთავრესი იცის – რომელ მაგიდებთანაც არის კედლის როზეტი!!!

ჰოდა, ისიც ვერმახტის მეტყვიამფრქვევის თავდაჯერებით მიალაჯებს ერთ-ერთი „თავისი“ მაგიდისკენ. მაგრამ დახედე უყისმათობას – „მისი“ მაგიდა ახალბედა სტუდენტ გოგუცანას დაუკავებია და ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ტომიდან რაღაცას გატაცებით აკონსპექტებს!

დაგვიანებულ კომპიუტერისტ-მეტყვიამფრქვევეს ეს სულაც არ ადარდებს და საფლავის ქვასავით თავზე წამომდგარ გოგონას მჩატე შეხედვის ღირსადაც არ აგდებს! ანდა რატომ უნდა გახადოს ამის ღირსი, როცა აქ მთავარია არა პიროვნება, არამედ – როზეტი!!! ამიტომ ახალმოსული ლომკაციც სახეს უკ-

მაყოფილოდ ინაოჭებს და როზეტს ქეშად ისე გახედავს ხოლმე, შემკრთალ გოგონას რომ აგრძნობინოს – ის თავის ადგილს არ უზის!!!

დამორცხვებისგან ალეწილ გოგონასაც ღაწვები ალისფრად ეღებება, რაკი უგულოდ მიახვედრეს – გამოუცდელობით თურმე კომპიუტერიანი მკითხველებისთვის განკუთვნილი მაგიდა დაუკავებია! ამიტომ თავის ავლადიდებას ფაციფუცით კრეფს და საბუდრიდან ამოფრთხენილ ვარიკასავით სადღაც წყვეტებით გარბის!

თავაღებული მკითხველები შემბრალებლურ-აღშფოთებული მზერით მიაცილებენ ჯალათურად წამოხტუნებულ გოგონას, მაგრამ მეტყვიამფრქვევე-კომპიუტერისტს ეს ჩირადაც არ უღირს! შალითიან კომპიუტერს მხრიდან ტყვიამფრქვევივით იხდის და „თავის“ ახალგათავისუფლებულ მაგიდასთან გოროზი გამომეტყველებით ჯდება! სანამ საქმეს შეუდგებოდეს, როგორც ნამდვილი მეტყვიამფრქვევე ბრძოლის ველს, ისიც თვალს ჯერ დარბაზს ავლებს, მაგრამ ახალი ან რამე განსაკუთრებული არაფერია – ისევ ის თვალშეჩვეული სურათები: უსაშველოდ მოძველებული სადოქტორო ნაშრომების გაუთავებელი ჭრითა და გადაწებებ-გადმოწებებით გაწამებული დოცენტი ქალბატონები... ობისსუნიან მძიმე ფოლიანტებში ცხვირჩარგული ნამდვილი მეცნიერები და ოდესღაც მეცნიერებას დაუფიქრებლად ატორღიალებული ღრმა მოხუცები, ეს მყუდრო სამკვითხველო დარბაზი დიდი ხანია, რაც მათთვის დაუთმობელ არხაჯად რომ ქცეულა!.. მობილური ტელეფონებით გაწამებული თუ მობილური ტელეფონების მაწამებელი მოუთმენელი წვრილფეხობა... და აგერ, ერთიც სათვალავში ჩაუგდებელი შუახნის მკითხველი!

კაციშვილმა არ იცის, ვინ არის ან აქ რისთვის დაიარება – წიგნებს ის არ იწერს და არაფერი!!! ოქროსწვერიანი ავტომატური კალმით ერთთავად თავისთვის რაღაცას ჯღაბნის და ჯღაბნის! ის უბედური, ალბათ, ვიღაც უსახლკარ-უცოლშვილოა ანდა ჯალაბობისგან ხელნაკრავს, აქ უპოვია ამქვეყნიური სამოთხე! ჰოდა, ყოველ დილით პირველი მოდის, ხშირად კი ბიბლიოთეკარებს სეტერივით დაკეტილ კართან უცდის, ამოჩემებულ მაგიდასთან რომ არვინ მიასწროს და საღამოთიც უკანასკნელი

მიდის! თავდამავიწყებელ წერასა და ფიქრებში გადაკარგულს, ზოგჯერ თვითონ თანამშრომლები აფხიზლებენ – სამუშაო დღე დამთავრდა... მივდივართ... ვიკეტებითო!.. ჰმ, ან დღეს ვიღა ითხუპნება მელნის ავტოკალმით – ეს ხომ სამმაგი წვალება გამოდის! რაც გინდა, კომპიუტერზე აკრიფე და საცა გინდა, ტექსტი იქ გადააგზავნე!!! მაგრამ ამ საცოდავს, ეტყობა, კომპიუტერის მაყუთი არ უჭყავის ანდა გრძნობს, ზღაპრულ ტექნიკას ალღოს ველარ აართმევს და უფრო თავს გაიწამებს! ჰოდა, მეტი რა ჩარა დარჩენია – თავისი ავტოკალმით ურემივით მიჯაყჯაყებს!..

კომპიუტერი კი არა, მისთვის მობილური ტელეფონიც უცხო ხილი უნდა იყოს! თორემ რომ ჰქონდეს, რანაირად შეიძლებოდა, ამ ხნის მანძილზე მისთვის ვინმეს ერთხელ მაინც არ დაერეკა ან თვითონ არავის შეხმიანებოდა?! აპაპაპა! არა-მეთქი! თითოეულ მკითხველს წინ დატენილ რევოლვერივით ხელსატაცად უდევს მობილური ტელეფონი, მის მოშიშვლებულ მაგიდაზე კი იისფერი მჭიდრო ხელნაწერის გარდა არაფერი დაინახვება, რომელზეც ავტომატური კალმის ოქროს წვერი ისე დაცუცუნებს, როგორც მუშა ფუტკარი თაფლოვანი მცენარის ყვავილებზე!..

ჰმ, კომპიუტერი და მობილური ტელეფონი კი არა, ეს ასკეტური კაცი ხეირიანად სახესაც კი არ იჩენს! „მერსედესის“ ემბლემით დაგვირისტებული გრძელსაჩიხიანი ქუდი ისე ჩამოუფხატავს, მხოლოდ სუფთად გაპარსული ნიკაპ-საულვაშე და კეთილგონივრულად მოკუმული ტუჩები მოუჩანს!!!

ეჰ, ეს კი რა მოსატანია, მაგრამ ამას გარდა იგი არცთუ მთლად საკადრის ჩვევაშიც ჰყოლიათ შემჩნეული! როცა გაუჭირდება, ცელოფნის უჩამიჩუმო შავი პარკიდან პურის პატარ-პატარა ნაჭრებს ქურდივით ამოაცურებს ხოლმე და საკუთარ თავს ფასკუნჯივით კვებავსო!.. აგერ, აგერ, ახლაც!.. მაშასადამე, სიმართლე ყოფილა!.. თან პოლიეთილენის პაწია ბოთლით რძეც უტარებია!.. უბედური!..

კომპიუტერისტ-მეტყვიამფრქვეველმ მაშინვე თვალი მოარიდა: ასკეტის საცოდაობის ცქერას მისთვის შემოქმედებითი ჟინი რომ არ ჩაეცხრო – კარგა ხნის უკან დაწყებული თავისი პირველი რომანი ჰქონდა გასაგრძელებელი!... არა, მუშაობა შინაც შეეძლო, მაგრამ... გუშინწინ აქ რაღაც მასალას რომ ეძებდა, კატალოგის

ნახევრად გამოწეულ უჯრასთან შემთხვევით ერთი მკერდგამობურცული ბაკალავრი ქალიშვილი გაეცნო.

– რომანს წერთ?.. თანაც შეყვარებულებზე?! ოოო!... პრეზენტაციაზე თუ მომიწვევთ, უეჭველად მოვალ! – ნამიანი ტუჩებით ისე გაულიმა, მაშინვე მის შთამაგონებელ მუზად იქცა.

ვნახოთ, როგორ წაუვათ საქმე – იქნებ რომანიც მას მიუძღვნას!... თუმც დღეს რაღაც არა ჩანს!.. შეიძლება მოგვიანებით მოვიდეს!.. ჰოდა, მობილური ტელეფონის ნომერს მაშინვე გამოართმევს!.. ნომრები თუ გაცვალ-გამოცვალეს, მორჩა – მერე წინ რაღა დაუდგებათ!.. ეეე, ამასობაში კი დრო აგერ, სად გავარდნილა!..

ახალბედა რომანისტი წელში გაიმართა და „საბრძოლო“ სამზადისს ისეთი მიხრა-მოხრით შეუდგა, თანდათან ვერმახტის ნაცად მეტყვიამფრქვეველს ემსგავსებოდა! კომპიუტერის შალითის მკვრივ ელვასაკეტს ჯარისკაცურად სწვდა და ისეთი გამეტებით გაჰკრა ხელი, მისი გამომწვევი ფხრაწანი მთელ დარბაზს გადასწვდა!.. რაკუნით დადგმულ კომპიუტერს ელექტროდენის ბოხვერა მარეგულირებელიც მოაყოლა და მაგიდაზე ისე დაათხლიშა, თითქოს მუშაობით გართული დანარჩენი მკითხველების დასჯა თუ ბურანიდან გამოყვანა განუზრახავსო: „თქვე კრეტინებო, რას ჩაგიქინდრავთ ეგ თავები – ვერა ხედავთ, ვინ მოვიდა!“

ძნელი გასარკვევი იყო, როზეტი ჯიუტობდა, შტეფსელი თუ ორივე – არასდიდებით არ სურდათ ერთმანეთთან უჩხუბრად მორიგება! ამიტომ არც ელექტროწრედში ჩართვა მოხერხდა გაჭიანურებული ფხაკაფხუკის გარეშე! გაყინჩულმა კომპიუტერისტმა სტუმარი და მასპინძელი ანუ შტეფსელი და როზეტი ერთმანეთთან რომ მოარიგა და ეკრანიც აციმციმდა, წელში გამოყვანილი, უცხოენოვანი წვრილ-მსხვილი წარწერებით აჭრელებული ქურთუკის პორტფელისებური ჯიბეებიდან ერთმანეთს მიყოლებით ამოილაგა მობილური ტელეფონი, „ნაბეღლავის“ ლიტრიანი ბოთლი და შესაკრავიანი უბის წიგნაკი. მერე ქურთუკი წამოუდგომლად წვალება-წვალებით გაიხადა და სკამის საზურგეს წამოასხა. მოდურ პერანგში უფრო გამორჩევით გამოენაკვთა მოყვანილი მხარბეჭი... აქ კი ისე შეყოვნდა, თითოქს აღარ იცის, ახლა რაღა უნდა მოიმოქმედოსო და უცებ: ისედაც მჭიდროდ

მორგებული ჯვრებიანი მუზარადისებური ქუდი ორივე ხელით ისეთი მოწადინებით დაიტკეპნა თავზე, თითქოს სანუკვარი აზრების გაჟონვისა ეშინიაო!

და აჰა, საბოლოოდ მიინძრ-მონძრა და სკამ-მაგიდას ხერხიანად მოერგო! მერე აციმციმებული კომპიუტერიც საჭირო მანძილზე ტყვიამფრქვევივით რომ გაისწორა და გახედა, ეს უკვე მწვერვალი იყო: რაღა ეს კომპიუტერისტი და რაღა გერმანული კინოქრონიკიდან დამახსოვრებული ვერმახტის ნამდვილი მეტყვიამფრქვევე!!! იგივე მანერები, იგივე ხელგაწაფულობა, იგივე თავგადადება – ცეცხლის დამიზნებით გახსნაღა იყო საჭირო!!!

მხრებგაშლილ კომპიუტერისტს სახეზე უცებ ისეთი მედგარი შემართება ეხატება, გეგონება, ახლა კი მთებს შეძრავს, თანამედროვე მხატვრულ აზროვნებაში გადატრიალებას მოახდენსო!

სამხედრო აღლუმისთვის გამოწვრთნილი რობოტ-ჯარისკაცებივით ჩარაზმულ კლავიშებს საცდელად ჯერ ისე ეხება, თითქოს მართლა მეტყვიამფრქვევე ტყვიამფრქვევის ლენტში ვაზნებს აწყობს ან ამოწმებსო! მერე მოჭიდავის თითებით თითოეულ მათგანს მბრძანებლურად ეხება და ეკრანზე ერთმანეთის მიყოლებით მოთიბულივით ლაგდება მომავალი რომანის წინადადებები... აბზაცები!...

მუშაობს თავდაჯერებით, შეუპოვრად!... კომპიუტერ-სასწაულსაც რა ენაღვლება – მაცდური წამახალისებლობით ემსახურება და კუშტი პატრონი რომელ ოპერაციასაც მოიპრიანებს, ისიც ელვაზე უსწრაფესად უხვდება და უსრულებს!!! მაგრამ ორმოციოდე წუთის შემდეგ მოულოდნელად აზრი უწყდება... პრიმიტიული წარმომსახველობა ეურჩება... რაღაც უცნაურ ინტელექტუალურ მოთენთილობასაც გრძნობს... მზერა ერთ წერტილზე ეყინება – ბინდბუნდად წარმონადგენი სათხრობი კომპიუტერულ წინადადებებად აღარ იკინძება!.. აქამდე აკრეფილ უთავბოლო ტექსტსაც თვალჩაციებით კი ჩაშტერებია, მაგრამ ბოლოს მაინც ხვდება – არაფრის მომტანია ეკრანს ამდენი ხნით უაზროდ შტერება!...

არადა, ყოჩური თავდაჯერებულობა წონასწორობას აკარგვინებს: „საბას“ პრემიის მომტანი მზამზარეული რომანი სასწაულებრივ კომპიუტერშია ჩაკუმშული და იქიდან თვალმახარი

შრიფტით მისი გამოტყუება ისეთივე იოლია, როგორც საკენკით საქათმიდან მშიერი კრუხის! ოღონდ ჯერ საჭიროა რაღაცის ჩავლება და გაყოლა!.. თავდაუზოგავი შრომა!.. შეუპოვრობაც!.. ბრედბერისებური გაქანება!.. რა თქმა უნდა, ფორტუნაც და რომანიც მზად ექნება!..

მოთმინებიდან გამომყვანი ჩლუნგი ჟინიანობა მაინც ეიმედება და ტექსტსაც ძალდაძალ აგრძელებს, მაგრამ ვერა და ვერ განუცდია თავისებურად წარმოდგენილი ხალასი შემოქმედებითი აღმაფრენის გემება!..

გამოკვეთილი სათქმელის უქონლობა თუ მისი მხატვრულად ჩამოყალიბების უუნარობა მკლავებს ხელახლა უდუნებს, მუშაობას ისევ თავს ანებებს და ქიბორდის აქეთ-იქით მუშტებს ძლეულ მოკრივესავით ასვენებს!..

პირდაპირ გული ეკეპება, კომპიუტერის ფანტასტიკურ შესაძლებლობას იორღასავით რომ ვერ იყენებს და ამდენი დრო ფუჭად ეკარგება!.. არადა, ამას რა დიდი რამე უნდა?! ღმერთმანი, იცის, გრძნობს, გუმანობს, სჯერა – საკმარისია სათქმელის მთავარი ძარღვი თუ ღერძი ჩაბღუჯო და კოხტა რომანს კომპიუტერი ბანკომატის ამორტმულ ჩეკივით ამოგიგდებს!!! მაშ, რატო ვერ აუწყვია მუშაობა, რატო?.. რატო?.. რატო?... აბა, ის თურქი ფამუქი ერთმანეთის მიყოლებით რანაირად აცხობს და აცხობს იმისისქე რომანებს?! ნუთუ იმას უფრო უკეთესი კომპიუტერი ექნება?! ვინ იცის!.. იქნებ ახალი თაობის კომპიუტერი შეეძინა?! ეს ხანდახან უკვე უჩმახებს – ფოლდერიდან ეკრანზე ტექსტის გადათრევა ზოგჯერ უჭირს და საერთოდაც... ოოო!...

სასოწარკვეთა დროულად ახსენებს თავის „ნაბეღლავს!" ისიც ისე ეპოტინება, როგორც წყალწაღებული მაშველ რგოლს! ბოთლს ერთი შემოტრიალებით უგრეხს კისერს და მინერალურ წყალს წამუწუმ ისეთი მოწყურებით მოიწაფებს ხოლმე, თითქოს შთაგონების მომგვრელ ნექტარსა ყლურწავსო! მაგრამ ეს რას უშველის – პირიქით, გაზით იბერება და მძიმდება, მუშაობა კი მაინც ვერ აუწყვია!.. რაც აქამდე დაწერა, ან ის რა არის – ყალბი და უნდო!

მოულოდნელად ტელეფონი აუწრიპინდა. ერთ-ერთმა ძმაკაცმა აუწყა: წელან ბესოს ბიჭი შესძენია, მისალოცად ყველანი

სამშობიაროში მივდივართ და სადა ხარ, შენღა გელოდებითო!

– ვაიმე, ახლა მართლა არა მცალია, სანდრო!.. მე მერე მივუ... რასა და რომანსა ვწერ კოკისპირულად!!!

ახალმა ამბავმა უსაზღვროდ ააფორიაქა. ბესოს სამი წლის ანანო ჰყავს, მზევინარს ახლა კიდევ ბიჭიც უჩუქებია!.. თვითონ ბესოზე ოთხი წლით უფროსია, მაგრამ ჯერ არც ცოლი, არც შვილი, არც ძირი!.. არადა, როდემდე?! თუმც რა უნდა ქნა, როცა ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს!...

მაგიდიდან წამოვარდა, მობილური ტელეფონი ჩაბღუჯა და დარბაზიდან სახეარეული გავარდა!

და აჰა, ისევ საოცარი მსგავსება: მაგიდაზე უპატრონოდ დარჩენილი კომპიუტერი თავისთავად ემსგავსება მაშინდელი გერმანული კინოქრონიკის უკანასკნელ კადრებს – ბერლინის მისადგომებთან, გააფთრებულ ბრძოლაში განგმირული ვერმახტის მეტყვიამფრქვევის საბედისწეროდ დადუმებულ, ლენტჩამოღელვილ ტყვიამფრქვევს!

კარგა ხნის შემდეგ გაჩქარებით შემოალაჯებს. მობილურ ტელეფონს მაგიდაზე მოსათმენი დაუდევრობით აგდებს და თავის კომპიუტერს ნაიძულევი რიხიანობით უჯდება. წელან აკრეფილ უთავბოლო ტექსტს თვალს ისე უშტერებს, თითქოს მეტყვიამფრქვევე ცეცხლის გახსნის წინ ტყვიამფრქვევის ოპტიკურ სამიზნეს აკვირდებაო! მაგრამ ეს დაშტერებაც ერთობ ხანგრძლივი გამოსდის – ამდენი ხნით დაყოვნებას ვერც ფიცხელი შეტაკება მოითმენს, ვერც ეკრანზე გაციებული ტექსტის ნაწყვეტი და მით უმეტეს, ვერც თანამიმდევრული მხატვრული აზროვნების ანჩხლი პროცესი!

ეკრანს ბეცურად ჩამჩერეს, პირისახეზე უცებ ისეთი მოურიდებელი სასოწარკვეთილება ეწერება, ფარდა ეხდება საზარელ სინამდვილეს, რომელსაც, ეტყობა, ჯერ თვითონ ვერ მიმხვდარა – თავისი მწერლური ამბიციები მხოლოდ კომპიუტერის ზღაპრულ შესაძლებლობებზე ჰქონია დამყარებული!!!

სულიერი შფოთვა მოულოდნელად მჭიდრო ქუდს მუზარადივით ახდევინებს და უხეში ნაქსოვისგან აქავებულ შუბლს გამწარებით ისრესს, თან დაუმორჩილებელი მზერა ისევ ეყინება! აუღებელ ციხესიმაგრეს დამსგავსებული წელანდელი მედგარი

შემოქმედებითი გამომეტყველება სულ დანგრევია და ამ ნანგრევებზე ახლა ერთმანეთთან რაღაც შეუხამებლად გამოუჩანს წამოგდებული ნიკაპი... ზარივით ცხვირი... ვაჟკაცური საულვაშე... ჯიღა თვალები... გამოკვეთილი საწარბულები... ბრტყელი შუბლი... ხშირი თმა... აფარჩხული წარბები...

განუყრელ ქუდს ისევ მეტყვიამფრქვევის ჩაჩქანივით ირგებს და ნუგეშმიხდილს მკითხველიდან მკითხველზე თვალი ისეთი დაეჭვებით გადააქვ-გადმოაქვს, თითქოს უცაბედად მხედველობის გაორება დაემართაო!

ეეეჰ, ის მკვერდგამობურცული მუზა მაინც გამოსჩენოდა – შეიძლება წერის ხოშს მოჰგვრიდა!.. ნეტავი ახლა სად არი ან რას აკეთებს?! საკუთარმა მოუაზრებლობამ უარესად აუმღვრია გულ-მუცელი – მაშინვე უნდა გამოერთვა ტელეფონის ნომერი! ახლა გადაურეკავდა და ჰემინგუესავით კაფეში ან ბარში დაპატიჟებდა! მერე კი...

დღედაღამ ამ რომანზე ფიქრმა სულ აურია კარტები! ერთი დროზე მაინც მოახრჩოს!.. თუმც მერე სხვები აქვს დასაწერი!.. ჰმ, სიუჟეტებს რა გამოულევს – წყალივით მოსდის და მოსდის! რომ არ გადააივიწყდეს ან ერთმანეთში არ აელინთოს, მომავალი რომანების, მოთხრობების, ესეების, ფილოსოფიური იგავ-არაკების, ნოველებისა თუ მონოპიესების სახელწოდებები და სანიშნო მოკლე-მოკლე ამბები კომპიუტერის მეხსიერებაში აქვს შენახული!

თავს ძალას ატანდა, „მერსედესის" ემბლემისათვის არ შეეხედა, მაგრამ სად წაუხვალ – ეგერ, ცხვირწინ გიზის და რომც არ გეხახვებოდეს, თვალში თავისთავად ჩაგივარდება! ჰოდა, ეს ქუდჩამოფხატული ასკეტი თუ კერპი მხრებშეკუმშული არწივივით გადაჰფოფრებია ხელნაწერს და თავაუღებლივ წერს და წერს!!!

სახელრუბლიანმა დამწყებმა რომანისტმა თვალი ახლა მისი ავტოკალმის წვერს მიაჭდო და ველარც აურთმევია: ოქროს წვერი კალამზე კუდით შეხორცებულ გაწვრთნილ ფუტკარს დამსგავსებია, საქსოვის მაქოსავით რომ მიდი-მოდის და წინადადებას წინადადებაზე აქსოვს! ხან კი რომელიმე წინადადებას მოულოდნელად მოსწყდება ხოლმე, ისევ უკან ბრუნდებადა და

ხელნაწერში ზოგიერთი სიტყვის ან ფრაზის წაშლა-გადაკეთებისას თუ რამე ახლის ჩამატებისას ისეთი რუდუნებით გადად-გადმოდის, როგორც მართლა ფუტკარი ყვავილიდან ყვავილზე!

უცნობი შემოქმედის გამაოცებელი წერით შურატანილი კომპიუტერისტ-მეტყვიამფრქვევე გაოგნებას არის: ფხაჭნია კალამი როგორ უნდა სჯობდეს სასწაულმოქმედ კომპიუტერს?! ხოლო თუკი მართლა ასეა, მაშინ იქნებ თვითონაც... მაგრამ რა სისულელეა – სად თხუპნია კალმისტარი, სად – გულთმისანი კომპიუტერი!.. ადამჟამობა ხომ არ არის, კალამი მოიმარჯვოს!..

უკვე სათვალავი აერია, გარეთ რამდენჯერ გავარდა და ისევ შემობრუნდა. თან უხერხულობისაგან უკვე თავმოყვარეობაც ელანძება, რაკი ირგვლივ მსხდომნი აშკარად ხედავენ მის უნაყოფო მოუსვენრობას! ზოგიერთი მათგანი კი ნიშნის მოგებითაც გამოხედავს ხოლმე წელან მორცხვი გოგონას უსამართლოდ გაძევებისთვის!

რაკი რომანისთვის გული ველარ დაუდვია, ახლა თავის ელფოსტას გადაავლო თვალი... მერე ბლოგოსფეროშიც შეიჭრა და ნაცნობ ბლოგერებს დაუწყო ძებნა და კითხვა!... მაგრამ ვერც ეს შველის – აღარც ეჯდომილება, აღარც ედგომილება!..

ამჯერად თავისით კი არა, რაღაც ამოუცნობ ძალას დარბაზიდან რობოტივით გაჰყავს!..

დრო კი გადის – ამასობაში დღე საღამოსკენ მიიხარა!..

მალე ისევ შემობრუნდა. გაშავრკინებულ სახეზე ისეთი მტკიცე გადაწყვეტილება ასახვია, კაცს ეგონება, სათქმელის ოქროს ძარღვისთვის ახლა კი მიუგვნია და დარბაზის დაკეტვამდე კომპიუტერს აღარც მოსწყდებაო!!!

მაგრამ არა! როგორც უთანასწორო ბრძოლის ველზე მეთაურის ფიცხელი ბრძანებისამებრ მეტყვიამფრქვევე ციბრუტივით დატრიალდება ხოლმე პოზიციის გამოსაცვლელად, უმისამართოდ გაგულისებული კომპიუტერისტიც იმნაირადვე ირჯება: ელექტროქსელიდან შტეფსელი ისე გამოგლიჯა, ლამის როზეტიც თან გამოაყოლებინა!.. თავის ავლადიდებას დანარჩენებისთვის ანგარიშგაუწეველი ბრახუნ-რაკარუკითა და ფხრაწუნით ილაგებს და მხარზე კომპიუტერგადაკიდებული, რაღაც შურმაძიებლურად კოპებშეყრილი, დარბაზიდან მედიდური ნაბიჯებით გადის!

„მის“ დაცარიელებულ მაგიდაზე „ნაბელლავის“ გამოწრუპული ბოთლიღა რჩება!..

ეეეჰ, ქვეყნიერება თანდათან ივსება ვერმახტის მეტყვიამფრქვევისებურად თავდაჯერებული, ფეხისხმასაყოლილი თვითმარქვია შემოქმედ-კომპიუტერისტებით!

„ობობების ციხე-კოშკები“

რა მწარედ ცდება, ვინც ფიქრობს: ჭკუა-გონების გამოჩენით საზოგადოებას თავს მოვაწონებო. პირიქით, ადამიანების უდიდეს უმრავლესობაში ეს თვისება სიძულვილსა და გაბოროტებას იწვევს.

არტურ შოპენჰაუერი (1788-1860)

ეს ძველისძველი, თანაც ნებაზე მიშვებული ტყეპარკი შუახნის მხატვრისთვის სულმოსათქმელ კუთხესა და შთაგონების აღსადგენ წყაროს წარმოადგენდა. ხელს თუ არა უშლიდა რა, ყოველ დილა-საღამოს, ზოგჯერ კი, თავის პატარა სახელოსნოში მუშაობით გამოფიტული, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად იქ შუადღისასაც გადადიოდა ხოლმე. თანაც ეს არანაირ სირთულესთან არ იყო დაკავშირებული. შინიდან გამოსული, ორიოდე კორპუსსა და უფასო კვების სასადილოს უკან მოიტოვებდა, ავტოსტრადას გადაკვეთდა და ცოტა ხნით ჩამდუმარებული ტყეპარკის ნებაყოფლობითი მძევალი ხდებოდა. მაგრამ...

ამ დილასაც, როგორც კი ტყეპარკში თავი შეყო და ერთმანეთში ტოტებგადაკვანძილი მუხნარი გალია, თვალი შორიდანვე გაუწვდინა ერთ აწოწოლავებულ ფიჭვს, ბუნებრივი ფლუგელის მაგივრობას რომ უწევდა: მრხეველი სუსტი ნიავი მტაცებლის ნისკარტივით მოკაუჭებულ ფიჭვის წვეროკინას კომპასის ისარივით აწვალებდა... ღამით თანაბრად ჩამონამული ხეები თითქოს მოთმინებით იცდიდა, როდის შეაშრებოდათ სისველე! თუმც როგორ უნდა შეშრობოდათ – მნამავი თქორი ახლაც ცრიდა!..

წლევანდელი წელი რაღაცნაირი უჟმურობით გამოირჩეოდა. აქა-იქ ჩაგლეჯილი ღრუბლებიდან ჟამ-ჟამად გამოჭვრეტილი მშიშარა, უსითბო მზით გულმოცემული გაზაფხული ვითომ თავისებურად შეფხუკიანებას ლამობდა, მაგრამ ბაიყუში ზამთარი ფეხს არ იცვლიდა! წესით ამ დროს შვინდები მაინც უნდა გადაყვითლებულიყო, მაგრამ შვინდებს ვილა დაეძებდა – ჯიბრიანმა სუსხიანობამ ხეებს ჯერ კოკორიც არ გამოატანინა!..

გზიდან გადახვეული მხატვარი მოუთმენლად, თუმც მოგო-

ნილი გულგრილობით ვითომ ალალბედური მიმართულებით მიაბოტებდა ბღაუჭა ბარდებს შორის, ვინმეს ეჭვი რომ არ აერთვა – ეგეთი დამიზნებით მანდეთ რისთვის მიდისო!

გუშინ დილას ბარდნარის სიღრმეში შემთხვევით ერთი ისეთი ჯუჯა გრაკლის ბუჩქი შენიშნა, შემოქმედებითი აღმაფრენისაგან მაშინვე დაიმეხა, მაგრამ თავისებურად ველარ დააკვირდა! მოახლოებული მოსეირნეების შიშით იმ ჯაგეკლიანს გულგრილად გაეცალა, რადგან გამოცდილებით იცოდა: რაც შენში დაუოკებელ ინტერესს აღძრავს, სხვას კი ეს არ ესმის, უმალ ბოროტდებიან და თუკი შესაძლებელია, მაშინვე ანადგურებენ! იმ საოცრების განადგურებას კი რა უნდოდა: ჯოხის ერთი-ორი გადარტყმა ან სქელლანჩა ბოტასიანი წიხლის კვრა და მორჩა – ნაკვალევიც აღარ დარჩებოდა! თუმც, ვინ იცის, იქნებ იქ შემთხვევით შეფრთხიალებულმა ჩიტებმაც მოსპეს! ან თავისითვე...

არა, შემოქმედის ბედისწერამ მაინც რა სახილველით დააჯილდოვა! გრაკლის ტოტებში ერთმანეთის ახლოახლოს, თანაც სართულ-სართულ ობობებს იმხელა და ისეთი ძაბრისებური, მჭიდრო ქსელები გაებათ, მომავალი ნახატი და თვით მისი სახელწოდებაც კი ელვისებურად დაებადა – **„ობობების ციხე-კოშკები!..“** თუ გაუმართლებდა, ვან გოგის „მზესუმზირებისნაირი“ რაღაც უნდა გამოსვლოდა, ანდა... თუმც ყველაფერი შთაგონების შენავარდებასა და ლაგამამოდებულ დაკვირვებაზე იქნებოდა დამოკიდებული!

ნახატი უნდა ყოფილიყო სადა და პლასტიკური!.. ოღონდ უნაკლო რაკურსის შესარჩევად ახლოდან დაკვირვება იყო საჭირო!.. ან მის ბუნებრივად გადმოსაცემად რომელი ხერხი უფრო გაამართლებდა – ხაზობრივ-სიბრტყობრივი თუ მოცულობით-სიღრმისეული!.. თუმცა ეს ერთი და იგივე იყო! მთავარია...

როგორც მუდამდღე, ტყეპარკის შუაგულში ახლაც მოულოდნელად ატყდა ერთმანეთში არეულ-დარეული ძაღლების გაავებული ყეფა-ღრენა... მალე ამაყი პატრონის მიერ წიხლნადრუზი ძაღლის წკავწკავ-წკმუტუნიც გაისმა...

უღვედოდ და უალიკაპოდ გამოყვანილი ძაღლების მფლობელების გამომწვევი უნაღვლელობისგან აქ მოსეირნე მასიველებს სიცოცხლე ჰქონდათ გამწარებული, მაგრამ რა უნდა ექნათ –

ძაღლის პატრონები არავის ჩივილს აინუნშიაც არ აგდებდნენ!..

ძაღლების მედგარმა ყეფა-ღავღავმა მხატვარს აბრეშუმის ძაფივით გაეწყვიტა მღელვარე ფიქრი და თვითონაც იმ ძაღლებზე უარესად აეღრინა გული! ოღონდ ამხელად საკუთარ თავზე – რამდენი ხანია აპირებს ერთი ბარაქიანი კეტი თვითონაც გამოეჭრა, მაგრამ ვერა და ვერ დააყენა საშველი! ვერა, აგერ, რა ამბავი ჰქონდათ – გავლა-გამოვლა არ გინდოდა?!.

ნავარდსა და ერთმანეთს დანატრებული, თანაც ამძუვნებული ძაღლების ყეფა-ღმუთუნი უფრო მატულობდა. რომელიღაც ხმაგამძლე ვაჟბატონის კორძიანი ბრძანება ყველას შიშით ახედებდა იქითკენ.

– მოდი აქ!.. მოდი აქ-მეთქი!..

– როკი, როკი!.. თავი დაანებე, შე საძაგელო! – ისმოდა ძაღლიან კაცებს ამ ბოლო ხანებში საეჭვოდ ატორღიალებული ბულდოგიანი ქალის თვალთმაქცური წივილ-კივილი, – ტოგო, შენ როგორმე ეგ გაათრიე, ამას მე თვითონ მივხედავ, – როკი, როკი!.. მე შენ გიჩვენებ!..

საქმეგაჩენილმა პატრონებმა ახლაც დააცალკევეს იმოდენა მოჩხუბარი ძაღლები. ისინი ისე შორს იყვნენ, მათგან რაიმე ხიფათი არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ მხატვარმა მაინც გეზი გაიმრუდა და მთავარი გზიდან ნეკერჩხლის კორომის შემოსაბრუნისკენ დაუხვია, რათა თავიანთი მოვლილი ძაღლებით ჯერ ტყეპარკის ქედმაღალ მბრძანებლებს გაევლოთ!

კორომს რომ დაუმხარდამხარდა, უკანიდან წამოპარებული ძაღლი ეცა და გულმკერდზე აეტოტა.

– მიშველეთ! – შეიღრიალა მხატვარმა და პირისახეზე ხელები აიფარა, ყანყრატოში რომ არ სწვდომოდა. ელვისებურად მიხვდა, წინააღმდეგობის გაწევა ძაღლს უფრო გააავებდა. თან იგრძნო რა შეუპოვარი ძაღლის გასაკვირი სიმძიმე და ძალ-ღონე, არამცდაარამც არ უნდა წაქცევინებოდა, თორემ..., – მიიიშვე-ლეეეთ!

გახალისებული ძაღლი არ იკბინებოდა. უკან-უკან ბარგანაობით დახეულ მსხვერპლს ფეხდაფეხ მისდევდა და გულმკერდიდან ტორებს არ აშორებდა – ცხვირ-პირში დორბლსა და ცხელ ოხშივარს აფრქვევდა და შემოგებებულ თითებს დინგით ისე იცილებდა, თითქოს ამ უცხო კაცის გადაკოცნა დაუვალებიათო!

– ჰე, ჰე, ჰე! – ატყდა ერთი წიოკობა და განწირულის ირგვლივ უმალ შემოგროვდნენ ჯოხიანი და უჯოხო მოსეირნეები. ერთ-ერთმა მათგანმა, ცხვირდასიებულმა კაცმა ძაღლს თეძოში ჯოხი გამეტებით უთავაზა. თავის მსხვერპლს ძაღლმა ახლა კი თავი ანება, ბოლომომწვარ ჯოხს გაავებით სწვდა და ღრღნა დაუწყო.

– ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ! – გამამხნევებელი სიცილით მოირბინა ძაღლის პატრონმაც. იგი ოცდასამიოდე წლის შავშუბლა ქალიშვილი აღმოჩნდა. თავის ძაღლს ქეჩოში ჩააფრინდა, ჯოხს პირი გააშვებინა და წრიდან გაათრია.

– მიგიყვანო შინა, რას გიზამ! – ძაღლს ყურში ალერსით შემოუწკაპუნა და ზეზელა მიცვალებულს დამსგავსებულ უცნობს, დადორბლილ სახეს ცხვირსახოცით რომ იწმენდდა, ისევ სიცილ-სიცილით მიუტრიალდა, – ტყუილა შეშინდით – ჩემი ძაღლი არ იკბინება!

ამასობაში წეღან ერთმანეთთან მოჩხუბარი და უკვე შერიგებული ძაღლების პატრონებიც მობრძანდნენ და გამომწვევად შედგნენ თავ-თავიანთი ძაღლებიანად. ოღონდ არა დაზარალებულის გამოსასარჩლებლად ან ვითარების გასარკვევად! ეს დაგვიანებული შავშუბლაც მათი მარაქის ახალი წევრი გამხდარიყო და ზედვე ეწერათ – თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყვნენ, განუკითხავად წაჰქომაგებოდნენ!

– რომ იკბინებოდეს, ხომ გიკბენდათ კიდეც, არა?! – გაქვავებულ მხატვარს რაღაც შტერულად გაუმეორა მომხრეთა გამოჩენით გულმოცემულმა შავშუბლა ქალიშვილმა, – ჩემი ძაღლი არ იკბინება!

– აბა, სამაღარიჩოდ მქონია საქმე, ყელის გამოღადვრას რომ გადავრჩენილვარ! – გადაფითრებულ სახეზე მხატვარს სნეულმა ღიმმა ხოჭოსავით გადაუარა, – მე აქ ცდისპირი კი არა ვარ, ეს ვაზუსტო – ვისი ძაღლი იკბინება და ვისი – არა!.. დაკბენასაც თავი დაანებეთ – ელდისაგან კაცს შეიძლება გული გაუსკდეს!.. ამაზე გიფიქრიათ ოდესმე?!

გადაფითრებული უცნობის ნაბჭობს დაძაბული მოსეირნეები თავის მხურვალე კანტურით ადასტურებდნენ.

მეძაღლეებიდან ერთი ტანმოქნილი, კადნიერსიფათიანი

მუტრუკი მხატვარს წინ ფალავნურად წარუდგა და აგდებულ კილოზე ჩამოუმარცვლა.

– არა, ტო, ხო გეუბნება, ჩემი ძაღლი არ იკბინებაო და მეტი რალა გიყოს, ჰა?!

– კი მაგრამ, აქ მოსიარულეებმა როგორ უნდა გავიგოთ, რომელი ძაღლი იკბინება და – რომელი არა?! – ორჭოფულად შეუტრიალა მხატვარმა, – მაშინ რა გამოდის – თქვენი ძაღლების ფერადი ფოტოსურათების პატარა ალბომები უნდა შემოვიღოთ და ტყეპარკში გაშლილი ალბომებით ვიაროთ: ო, ის ძაღლი იკბინება და უნდა მოვერიდო!.. აი, ეს ძაღლი კი არა და შემიძლია მშვიდად გავიარო!.. თან დროთა ვითარებაში თქვენი ახალ-ახალი ძაღლების ფოტოსურათები ვცვალოთ და თითოეული მათგანის ზნე-ნირიც ჩავიწეროთ, რათა...

მოსეირეებს დამცინავი სიცილ-ხარხარი აუვარდათ და ძაღლების გაპირქუშებულ პატრონებს გამომწვევად დაუწყეს ყურება – წუპაკი თაგვებივით ხომ გამოთხარეთ კატაო! მაგრამ ნიშნმოგებულები მაინც არ აპირებდნენ ფარ-ხმლის დაყრას.

– შენ ეხლა იგეთ რამეებს გაიძახი... – მხატვარს გულმშრალად შეაწყვეტინა ერთმა ტუჩებგადმობრუნებულმა მეძაღლემ, – ეს გოგო გასაგ...

– რატომ არ გინდათ, გამიგოთ, – შავშუბლა მაინც თავისი აზრის გაყვანას ლამობდა, – ეს ლაბრადორის ჯიშისაა – უბრალოდ, გაგეთამაშათ!

მხატვრის თავშეკავებულმა ამოოხვრამ უნებურად გახაზა ამ შავშუბლა ქალიშვილის გონებაშეზღუდულობა.

– გესმით, გაიგონეთ – გაგეთამაშაო! – მხატვარმა ჯერ გარშემორტყმულ მოსეირნეებს მიმართა, მერე კი ისევ შავშუბლას მიუბრუნდა, – კი მაგრამ, იმას აღარ კითხულობთ, მეც მსურდა თუ არა მასთან თამაში?!. ძაღლთან თამაშის წუთისოფელი რომ მქონდეს, მე თვითონ გავიჩენდი!..

მხატვარი წამით დადუმდა და ცოტა მოშორებით, წელან ნაჩხუბარ, ახლა კი ერთმანეთთან შეხმატკბილებით მოთარეშე ძაღლებისკენ – შავშუბლას ლაბრადორიც მათ შორის უკვე კამარა-კამარა რომ დანავარდობდა – ჯერ სევდიანად გაიშვირა ხელი, მერე კი თითი სქლად ჩამოლაფული ბრეზენტის საწვიმარზე

დაიდო, – ყველა მათგანი ყოველდღე ასე რომ გამეთამაშოს, ტლაპოში ამოვლებულ ჩურჩხელას არ დავემსგავსები?!

ნალად შემომდგარ მოსეირეებს ხელახლა აუვარდათ ხალვათი ხარხარი. მათ ზედვე ეტყობოდათ – ეს კაციც სწორედ იმას ეხებოდა, რაც დიდი ხანია, თავადაც აწუხებდათ, მაგრამ მათ ამგვარად ჩამოყალიბება და გადმოცემა არ შეეძლოთ! ეს კი ადგილიდან ფეხს არავის აცვლევინებდა! პირიქით, დაგვიანებით გამოსული მოსეირნეებიც ემატებოდნენ და ემატებოდნენ – თან თავის მიტრიალ-მოტრიალებით ხმადაბლა კითხულობდნენ, რა ხდებაო!.. ბოლოს ვიღაც მიხვდა და პირიდან პირში ჩურჩულით გადადიოდა – მგონი ეს „ის მხატვარი“ უნდა იყოსო!

ძაღლების პატრონებს გულ-მუცელი ემღვრეოდათ არა იმდენად ნაიძულევ ორატორზე, რამდენადაც მისი მსჯელობით მოცინარ მსმენელებზე.

– ამას აღარ უკვირდებით, – მხატვარმა შავშუბლას მორიდებით გაუგრძელა, – შინ ყოველდღე ასეთი ამოგანგლული რომ დავბრუნდე, მყავს გამრეცხავი?!. დრო?... ენერგია?.. ამდენი სარეცხის საშუალების ფული?.. ანდა, აქედან იქნებ პირდაპირ საქმეზე ვიყავი წასასვლელი, გამოსაცვლელი კი არა მაქვს, მაშინ?!.

მხატვარს სახე მოეღრუბლა და ლაბრადორის პატრონს ყოყმანით გახედა.

– ან რა მოვუხერხო იმ შეურაცხყოფას, რაც წელან მომაყენეთ?!

შავშუბლამ თვალდაცეცებით იკითხა.

– ვინა, მე?!. რა შეურაცხყოფა მოგაყენეთ?

– ახლავე აგიხსნით, – მხატვარმა იმ ყაიდაზე მიუგო, ქალიშვილს ეს საწყენად არ უნდა დარჩენოდა, – თქვენთვის სრულიად უცნობი კაცი ტყეპარკში ჩემთვის მივსეირნობ, თქვენ კი დამცინავი კივილ-წივილით „ნუ გეშინათ, ნუ გეშინიათ!“ -ო გამორბიხართ და ყველა ჩემკენ მოახედეთ – ვინ არის ეს მშიშარაო! ჰოდა, ერთი ამიხსენით, თქვენ ვინ დაგავალათ – აგერ, იქ ვიღაც კაცი რომ მიდის, ერთი გამოსცადეთ – მშიშარაა თუ გიჟივით მამაციო?!

მსმენელები კვლავ ახარხარდნენ. მხატვარს უნიროდ გაეღიმა და განაგრძო.

– ვილაცის ამხელა ძაღლი მოულოდნელად ზედ რომ შემომვარდა და კინაღამ გადამაქცია, თან ენას ცხვირ-პირზე მისვამდა, ცხადია, შემეშინდებოდა, მაშ, რა მომივიდოდა?!. აბა, თქვენებურად რა უნდა დამმართვოდა – ხელები ჯიბეებში არხეინად ჩამეწყო და ყელი მომელერებინა, სასულე ამომფათროს-მეთქი?!

მხატვარი წამით ჩადუმდა.

– სხვა გრძნობების მსგავსად შიშის გრძნობაც ხომ ღვთისგან გვაქვს დანათლებული და რა არის ამაში დასაცინი?!. ეს გრძნობა რომ არ გაგვაჩნდეს, ადამიანს როგორ უნდა ეარსება – იგი მთის დაკლაკნილ გზაზე მიმქროლავ უმუხრუჭებო ავტომობილს არ დაემსგავსებოდა?!

მეძაღლეებს ერთი თავშიშველა, ქოჩორდანამული ჯმუხი გამოეყო და მხატვარს ძველბიჭურად გაეჭიმა.

– არა, აღარ გაჩერდები?!. ეს საწყალი გოგო ხო არ უნდა გაანადგურო, ჰა?!

– არ კი უნდა გავანადგურო, პირიქით, როგორმე იქნებ თვალი ავუხილო! – მოჭრილად მიუგო მხატვარმა, შავშუბლას მიეახლა და მოულოდნელად მხარზე მამაშვილურად გადასდო ხელი, – ყველას გაფიცებ, ერთი გულახდილად მითხარი – ეგ შენი ძაღლი ღვედითა და ალიკაპით რატო არ დაგყავს?

– უჰ, მარტო მე დამინახეთ!.. აბა, ასე ვის დაჰყავს, მე ვატარო! თან...

– შენ სხვებს რას უყურებ?!. ვინმე რომ დაგლიჯოს, ხვდები, მერე რა დაგიჯდებათ მისი მკურნალობა?!

– ჩემი ძაღლი არ იკბინება!

– ვააააჰ!.. თქვენ მაინც თქვენსას იმეორებთ! ასე თუ შევყევით, კამათს ვერასოდეს დავასრულებთ!.. კეთილი, ეგ შენი ძაღლი თუ არ იკბინება, საკუთარი თავი მაინც როგორ არ უნდა გებრალებოდეს?!

– მებრალებოდეს?!.. რატომ? რისთვის?

– მაგასაც აგიხსნი! – მხატვარმა ქალიშვილის მხრიდან ხელი ჩამოიღო და სახე ყოყმანით შეულბა, – ოღონდ არ იფიქრო, შენი დამცირება მეწადოს!

– არა, არა!

– კარგი! წელან ეგ შენი ძაღლი რომ შემომახტა, წივილ-კი-

ვილით შორიდანვე გამოიქეცით – ნუ გეშინიათო!.. მაგრამ როგორ დავიჯერო, ეს პირველი შემთხვევა იქნებოდა! ჰოდა, როცა შინიდან გამოგყავს, ვინ იცის, ვის, სად და როდის გაუქანდება და „გაეთამაშება“ ხოლმე!.. რა გამოდის? შენ კიდევ მის კვალდაკვალ... მაპატიე და.. გიჟური წივილ-კივილით დარბიხარ – ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათო!.. ახლა ერთი ამიხსენი, ვინა ხარ, რას საქმიანობ და საერთოდ, რას აპირებ – ნუთუ შენი მიზანი ესღა არის: ნებაზე მიშვებულ საკუთარ ძაღლს მთელი სიცოცხლე უკან წივილ-კივილით სდიო და დაზარალებულებს ეჯიყჯიყო?!. ეს რაღა გასეირნება ან დასვენებაა?! ეს ხომ თვითგვემაა?!. ჰოდა, ასწილ არ აჯობებდა, ძაღლი ღვედითა და ალიკაპით ატარო, რათა...

მსმენელები ჯგუფურ ქანდაკებებს დამსგავსებოდნენ, მეძაღლეები ერთმანეთში ქუშად ტრიალებდნენ.

– არა, კი... – ნაყიშ-ნაყიშ ალაპარაკდა შავშუბლა, – მართალი ხართ... ასე უფრო აჯობებდა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ... პრობლემა ის არის, რომ...

– ნულარ წუხდები, მე ვიცი, რაც არის ეგ თქვენი „პრობლემა“! – დაბეჭდა მხატვარმა და მეძაღლეებს თვალი უშიშრად გაუმართა, – ეგ ჯიშიან-ჯიშიანი ძაღლები ახალმოდურად კი გაგიჩენიათ, მაგრამ არ გაგაჩნიათ ძაღლის ყოლის უმარტივესი კულტურა!

ძაღლის პატრონებს მგლისფერმა გადაჰკრა – ეს უკვე დაუკრეფავში გადასვლად მიიჩნიეს.

– შ...ეცი მაგ შენს კულტურას! – კბილებქვეშ გამოსცრა ერთმა ნიკაპწამოვარდნილმა ქურთუკიანმა და მხატვარს შემოსაკრავად მიადგა, – რა კულტურას გვიწუნებ, ერთი ლოთიანად გაგვიიასნე, თორემ!..

– ახლავე! – მიაგება შეუკრთომელმა მხატვარმაც, – ეს ისეთი მარტივია, უმალ მიხვდებით!

– როგორმე!!!

– მთელ მსოფლიოში ასეა მიჩნეული და ამაზე იდიოტებიც აღარ კამათობენ!.. როცა შინიდან ძაღლი გამოგყავს, იქ ვინმეს დაკბენის საშიშროებაც რომ არ იყოს, ალიკაპი მაინც საჭიროა...

– რისთვის? – მოთმინება არ ეყო როკის პატრონ ალქაჯს.

– რაიმე სიბინძურეს რომ არ გადაეყაროს და სამკურნალო არ გახდეს ანდა შეიძლება ფეხებიც გაფშიკოს!!!

თვალახელილ მსმენელთა შეძახილების ტალღამ ქარაშოტივით შეიშრიალა.

ძაღლის ერთ-ერთმა პატრონმა კი იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და მხატვარს სიტყვა აუკრა.

– არა, ჰო... ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ... ამ პარკში ისეთი რა უნდა იყოს...

– როგორ არ შეიძლება იყოს! – მეძაღლის უტიფრობამ მოთმინებიდან გამოიყვანა ერთი ხელჯოხიანი ქალი და წინ გამოვარდა, – აქ იმდენს ატკინეთ გული, რომ შეიძლება დარიშხანიანი პურის ნატეხები დაგიყარონ ან... ან... ან ხორცის ნაჭრებს ნემსები გაუყარონ და... მერე უყარეთ კაკალი!

ნათქვამმა ორივე მხარეზე ისე იმოქმედა, ხიფათიანი მდუმარება ჩამოწვა.

– გაიგონეთ, რა წამოსცდა, ამ ჩათლახს?! – ერთი თვალჩამშრალი კაცი ჯერ თავისიანებს ჩაეკითხა, მერე იმ ქალთან გაჩნდა, – აქ ვისიმე ძაღლს ნემსი რომ გადაეყლაპოს, დედას გიტირებ – ეს უეჭველად შენ იქნები!

– მე არაფერიც არ ვიქნები!.. მე ისე, სიტყვის მასალადა ვთქვი!. – შიშმა აიტანა ხელკეტიანი ქალი და მხატვარს მავედრებელი მზერა გაუწვდინა.

– შენ იქნები-მეთქი! – ისე გაიძახოდა თვალჩამშრალი, ეტყობა, ლელოს გატანა დაუკვირვებელი ლაყაფით სჩვეოდა, – უკვე გაიყიდე, სხვა არ იქნება!..

მხატვარმა ისე ჩაიცინა, თვალჩამშრალს მისკენ მოეხედა.

– ძმობილო, აბა, ერთი დაუკვირდი: მერე რაღა მნიშვნელობა ექნება, მაგას ვინ ჩაიდენდა! ექნებაღა მნიშვნელობა?!. ჩვენ აქედანვე იმის მარჩიელობას კი არ უნდა გადავყვეთ, ეგ ვის შეეძლო ჩაედინა, არამედ საქმე აქამდე არ მივიყვანოთ! ეს არის და ეს!

ყველა მიხვდა, საკამათო ბუნებრივად რომ ამოიწურა. მეძაღლეებმა შვებით ამოისუნთქეს, მოსეირნეები კი მხატვარს თითქოს სინანულიანი თვალით შემოაცქერდნენ – რამდენი წელია, აქ დაიარებოდი, ჩვენ კი ახლაღა გავიგეთ, თურმე რა ყოფილხარო!

– აბა, კარგად იყავით! – მხატვარმა ყველას შემრიგებლური ღიმილი გადააფრქვია, – უნდა წავიდე და ეს საწვიმარი დროზე ჩავალბო, თორემ აყალო თუ შეახმა, მერე ამოყვანა ძნელია!

– მართალი ხარ, – გადაუქარაგმა თვალჩამშრალმა, – მალიარებს ეგ არ შეგეშლებათ!

მეძაღლეები ერთმანეთს უშნოდ გაეკრიჭნენ, დანარჩენებს აღშფოთებისაგან სახეები მოემანჭათ.

– იმიტომაც ვართ მალიარები! – უმტკივნეულოდ შეიშვნია მხატვარმაც და წასასვლელად გამოტრიალდა. მაგრამ სამიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, გაიხედა და ჯერ ხომ ადგილზევე გაქვავდა, მერე ისევ წელანდელ ადგილს დაუბრუნდა და პირჯვარი სამჯერ ზედიზედ ისეთი თვალაპყრობით გადაიწერა, თითქოს მთის წვერზე მარტოდმარტო დგასო.

მხატვრის საქციელმა ყველა გაახეტა.

– რა იყო, მალიარო, ეხლა რაღა მოხდა?

მხატვარმა თავი გაიყრუმუნჯა. გარშემორტყმულთა შემოშტერება მასზე ველარ მოქმედებდა და მარტომყოფივით სადღაც თვალგაშტერებით გაიყურებოდა.

ძაღლებმა მოულოდნელად შეწყვიტეს ერთმანეთში თამაშ-კოტრიალი და შეურიგებელი ყეფა-ღავღავით გაექანენ.

და აჰა, მხატვრის მიერ თვალდაჭერილი მაღალი, თხელი ქალიც გაუპირისპირდათ, დაძაგრული ღვედით თავის ძაღლს ძლივს რომ იარშიებდა.

ბეწვისქუდიანი ქალი ორმოციოდე წლისა იქნებოდა. თხელქუსლა, სადა ჩექმები და ბოლომდე ჩაღილული, წელთან შენაოჭებული ხაკის ქურთუკი სამხედრო ნაწილში მოსამსახურე სამოქალაქო პერსონალს ამსგავსებდა... რომელიღაც მომცრო ჯიშის, მაგრამ თვალშისაცემად ტანნაკვთიან, ფეხებდაცრეხილ ძაღლს არამარტო ალიკაპი ეკეთა, საიმედო სამხარიღლიე ღვედებითაც იყო დასარტყლული!.. გასაკვირი იყო: ყეფა-გნიასით ადევნებულ ძაღლების ხროვას არც კუშტსახიანი ქალი და არც მისი ბეწვდალაგებული ძაღლი ბაიბურშიც არ იტარებდა!..

კისერწანვდილი, დორბლმორეული ძაღლი მრუდე ფეხებით წინ ისე ღონივრად მიიწევდა, თითქოს სახნავის კვალს ავლებსო... ქალი კი, თავისი ძაღლის ამგვარ სიღონივრეს ნაილაჯევად რომ

უმკლავდებოდა, წეროსებურ მუხლებში დროდადრო გმირულად იხრებოდა და შორიდან ისე ჩანდა, დაძაგრული ღვედით თითქოს გუთნის მიმართულებასა და სახნავის სიღრმეს აწესრიგებსო!!!

ერთად შეყრილ, დადუმებულ მოსეირნეებს კუშტსახიანი ქალი ისე გაუსწორდა და გასცდა, როგორც ცარიელ ადგილს... გაღიზიანებულმა ძაღლებმაც მოასუსტეს ღავღავი და ერთმანეთის მიყოლებით უკან უხალისოდ იწყეს დენა.

გაკვირვებით შემოჩერებულ თანამოძმეებს მხატვარი ჯმუხად ჩაეკითხა.

– ხედავთ იმ რუსის ქალს?

– ვხედავთ რა – თავისი ძაღლით ყველგან სულ ასე არ დაიარება!... მერე?

– მერე?! ჰმ!.. მერე ისა, რომ ამით თავში გვიფაჩუნებს: აი, მე რუსი ვარ და პატივს ვცემ წესრიგიანობას!.. თქვენ კი ძაღლები სულ მუდამ უღვედოდ და უალიკაპოდ დაგყავთ და ვინ მოსთვლის, ვის რა უბედურება დაატეხეთო!..

მხატვარს ჯავრისაგან ჰაერი ძლივს ჰყოფნიდა.

– და რაკი არც წესრიგიანობა გიყვართ, არც კანონმორჩილება, არც ურთიერთპატივისცემა გაგაჩნიათ და ყველანი თავის ქეიფზე მიერეკებით, ამიტომ თქვენით ვერც რიგიან სახელმწიფოს ააშენებთ, ვერც სრულფასოვან საზოგადოებას ჩამოაყალიბებთ და სულ მუდამ ამგვარ უბედურებაში იყურყუმელავებთ, სანამ ისევ ჩვენი მფარველობის ქვეშ შემოძრომას არ შემოგვეხვეწებითო!.. ახლა მაინც გაიგეთ რამე?

მხატვარს არავისი პასუხისთვის არ მოუცდია – ძაღლის პატრონებს კუშტი მზერა ტყვიამფრქვევის ჯერივით მიმოატარა და თავის გზას გახევებული ნაბიჯით გაუდგა...

„ობობების ციხე-კოშკები?!“

ეჰ, ბრუდასხმულ მხატვარს ის ყველაფერი ახლა სისულელედ ეჩვენებოდა... თუმცა, ვინ იცის, შეურაცხყოფილი შთაგონება საბუდრიდან იძულებით ამონაფრენი კრუხივით იქნებ ისევ დაბრუნებოდა თავის შეცივებულ კვერცხებს...

მტირალა ტირიფები

> კილიმანჯარო მარადთოვლიანი მთაა. ამბობენ, აფრიკაში ამსიმაღლე მეორე მთა არ არისო... ზედ მწვერვალზე ლეოპარდის გაყინული და გამოფიტული გვამი გდია. კაცმა არ იცის, რამ აიყვანა იმსიმაღლეზე.
>
> *ერნესტ ჰემინგუეი*
> „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა"

ოდესლაც სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდა მწერალ N-ს ნათესავი ქალების მიერ გარიგებით შერთული თბილისელი ბინიანი ქალი შიზოფრენიით დაავადებული გამოადგა! ეს უკვე აშკარა რომ გახდა, თავბედის წყევლით გადაწყვიტა, დროზე გასცლოდა, ვიდრე ამგვარი სენი ყველას უფრო საზარელ უბედურებას არ დაატეხდა! ორწლინახევრის თამარელას მიტოვებას სიკვდილი ერჩია, მაგრამ ასწილ აჯობებდა, დედასთან უმამოდ გაზრდილიყო, ვიდრე მშობლების გაუთავებელი წენვა-გლეჯისთვის ეცქირა და ჯამ-ჭურჭლის ლაწალუწი ესმინა!

საცოლის შერჩევას ახლა კი შემოქმედთათვის დამახასიათებელი სიფრთხილით შეუდგა, რაც, როგორც წესი, მაინც სავალალო ნაყოფს გამოიღებს ხოლმე! თან უეჭველად მარტოხელა უნდა ყოფილიყო და, ცხადია, ბინიანი! გაგონილა მეტი თავდამცირება?! მაგრამ რა წყალსა და ღვარს მისცემოდა, როცა თავს ზევით მეტი ძალა არ იყო – მწერლობის გულისთვის ამგვარი თავგადადება გმირობადაც კი ესახებოდა!.. მალე მართლაც გაიცნო ბინიანი ქალი. ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი სწრაფად მოგვარებულიყო: მეორე მეუღლის მიერ მითითებულ ნებისმიერ კუთხეში დაზგიანი ტყვიამფრქვევივით ჩაედგა თავისი გერმანული საწერი მანქანა „Erika" და თავდამავიწყებელ შემოქმედებით წვას მისცემოდა.

* * *

პირველ მეუღლეს მოსხლეტით გაეყარა. უფრო სწორად, ერთი ვირის საპალნე თავისი ბარგი-ბარხანა გამოაშორა და ოროთახიანი ქალი შეირთო!.. ეს იმ პირველზე არანაკლები აღმოჩნდა: ფეთხუმი, ლაფაჩი და ზარმაცი, ზარმაცი, სახლ-კარი ნაგავში რომ ჩაძირულიყო, ქმარი მაგრად გაწურული ტილოთი იქაურობას სარკესავით თუ არ მოაკრიალებდა, თვითონ მშრალ ცოცხს ყასიდადაც არ გამოუსვამდა! თან ერთი იმისთანა ზნე ჰქონდა დაჩემებული, მწერალი ლამის ჭკუიდან გადასულიყო!

ლოჯიის კუთხეში ტახტზე მიწვებოდა, აგვისტოს ხვატშიც დამზრალ მუხლებზე შალის „ადიელას“ მიიფენდა და გაზეთ „თბილისის“ ყოველ ნომერში გამოქვეყნებულ თითოეულ სამგლოვიარო განცხადებას საჭადრაკო ეტიუდებივით არჩევდა: ცნობილი საზოგადო მოღვაწე თუ „დიდი ხალხის“ წრიდან თურმე ვინ ვისი რა ყოფილა!..

როგორც თავისი, ისე პაწია ბესოსა და მანონის სარეცხის რეცხვაც მწერალს უხდებოდა. ჰმ! ღვიძლი შვილების ძონძმანძებს კი არა, მისი უშრეტი ენერგია თუგინდ მთელი ვაკე-საბურთალოს რაიონების ბავშვების ფალასფულასის რეცხვასაც აუვიდოდა, ოღონდ ამის შემდეგ მაინც მისცემოდა წერისა და ფიქრის საშუალება! მაგრამ ამას ვინ აღირსებდა: შემოქმედებითი ხილვებითა და დღიური საოჯახო საზრუნავით ისედაც ჯვარცმულ მწერალს ეს მუხლებდამზრალი ქალი თან ბეცური ჯიმჯიმით ტვინს უღრღნიდა – კარგად უნდა გვაცხოვრო და მოდურად ჩამაცვაო!!!

მსწრაფწარმავალი მოდის თვალგაუვალ წალკოტოვანში მეუღლის უგზო-უკვლოდ მოტანტალე რეგვნული გემოვნება მწერალს ჯვარზე აკრავდა! ჯერ ერთი, რაღაც „სახელოებჩამოფრიალებული ბატისტის კაბა“ ანდა „პლატინის სირმებით შემოღობილი ბრილიანტის ბაღჩის“ ბეჭედი რა სინდისით უნდა მოეთხოვა, როცა ცოცხის ხსენებაზეც კი წელი სწყდებოდა! მეორეც, კარგად რითი და როგორ უნდა ეცხოვრათ, როცა ორივეს ხელფასით თავი ძლივს გაეჭონდათ!.. თუმც ესეც უნდა ითქვას: შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, მწერალი თავის ცოლ-შვილს ფუფუნებაში მაინც არ ამყოფებდა, ვინაიდან ამქვეყნად მისი

არსებობის მრწამსს მხოლოდ ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის მკაცრი ცხოვრების უღალატო პრინციპი ასაზრდოებდა, რაც თავისი წინდაუხედაობით ცოლსაც ალალგულად გაუზიარა – ეს შვილებს სულიერად გამოგვიწრთობს და მერე ყოველგვარ სიძნელეს უფრო ადვილად გაუმკლავდებიანო!

ამგვარი გულახდილობით თავზარდაცემულმა ლაშფანდურა ქალმა კი მთელ ახლობლობას მოურიდებლად მოსდო – ქმარი თურმე სადისტი მყოლიაო და მის „გამოსასწორებლად“ ჩიჩინს უფრო და უფრო უმატა: თავს ტყუილა რაზე იცდენ, ისტორიასა და ენა-ლიტერატურაში აბიტურიენტები მაინც მოგემზადებინა – აბა, რას გვიყრის ეგ შენი რაღაც ნაჯღაბნებიო!

მწერლისთვის ნათელი გახდა: ამ ქალსაც თუ არ გაეცლებოდა, სისხლთან ერთად შემოქმედებით დვრიტასაც წურბელასავით ამოსწოვდა და საფლავში ნაადრევად ჩააგდებდა! განქორწინების გამოცდილება კი, იცოცხლეთ, უკვე ჰქონდა! თანაც პირადმა უიღბლობამ თავისებური შეხედულება ჩამოუყალიბა – ქალები ერთმანეთისაგან თურმე მხოლოდ გვარ-სახელით განსხვავდებოდნენ! ამიტომ მათი ამორჩევა-გამოცვლისას თავი უსარგებლო სიფრთხილით კი არ უნდა გაეტანჯა, არამედ ბედისწერას ნაპოლეონისებურად მინდობოდა!.. ისიც მიენდო და ერთ დღესაც მეორე ცოლის ოროთახიანი ბინიდან ახლა მესამე ცოლის ერთოთახიან უჯრაში ამოყო თავი!

* * *

პირველი ორი მეუღლისგან ჯალათურად განაწამები, ვერასოდეს წარმოიდგენდა, ბუნებაში ამგვარი ქალი თუ შეიძლება ყოფილიყო! ამიტომ ზღაპრად წარმონადგენ ოჯახურ სიამტკბილობაზე სამუდამოდ ხელჩაქნეულს, ყველა ქალის ერთნაირობაზე ჩამოყალიბებული მცდარი შეხედულება ახლა სინდისის საქენჯნად ექცა!

ცისია სოფლად, თანაც შვიდშვილიან ხელმოკლე ოჯახში ყოფილიყო აღზრდილი და მცირედითაც დაკმაყოფილება, სიმხნევე, კეთილგონიერება, მოთმინება, ძუნწსიტყვაობა, მომჭირნეობა-ყაირათიანობა, ქალური დათმობა, დაუზარებლობა, სისუფთავისა და წესრიგიანობის სიყვარული დედის რძესთან

ერთად ჰქონოდა შენაწოვარი!

ქალი რომ ატყობდა, ერთოთახიან სოროში ქმარს სული ეხუთებოდა, თვის თავზე გულღიად განუცხადა.

– ყველაფერი გადავარჩიოთ და რასაც ზედმეტად მივიჩნევთ... დედ-მამის სულს გეფიცები, არ დამენანება – თავიდან მოვიშოროთ!

მწერალიც ფარულად სწორედ ამაზე ოცნებობდა, მაგრამ ვერ უბედავდა, უფრო სწორედ, ჯერ ვერ უბედავდა!.. ერთ შაბათს მიჰყვნენ და ჭკუანასწავლი მსაჯულებივით შეუდგნენ ყველაფრის გადარჩევას! სოფლად წვრილშვილ უმცროს დასთან თუ უპოვართათვის ეკლესიაში მისატან იმოდენა ნივთეულობას, გამოუყენებელ საოჯახო საგანძურსა და ტანსაცმელ-ფეხსაცმელს გვერდზე წყობისად რომ ალაგებდნენ, ქალი ყველაფერს უკრთომლად ეთხოვებოდა! ოლონდ ეგაა, ცხოვრებისეულ მაცდურობაზე თვალახელილი, უხმო ამოოხვრით შიგადაშიგ ამასღა წაურთავდა ხოლმე.

– ეჰ, მაშინ რა ვიცოდი!.. ასე მეგონა!.. რაკი იშოვებოდა, მეც... ეს სამსახურში მოგვიტანეს... ეს კი რიგაში მივლინებისას მაქვს ნაყიდი, მაგრამ არასოდეს მიხმარია!.. ან ეს რაღაში უნდა გამოვიყენოთ?!.. ან ეს?.. ან ეს?.. ან ეს?.. ეს?! შენ რამეში გამოიყენებ?!. არადა, ეგეც გვერდზე გადადევი!..

სავსე ყუთებსა და გაძეკილ ქათქათა ტომრებს ორი სკამი, ბოხვერა ტუმბო, ჟურნალ-გაზეთების ცერკუთხეებიანი დაბალი მაგიდა, ერთ-ერთი მასიური სავარძელი, სამზარეულოს ძველებური, „ვარა დეიდას დანატოვარი“ ორკარიანი მკვიდრი, კალათბურთელევით მაღალი კარადა და ოთხსართულიანი ლერწმის ეტაჟერიც რომ მიაყოლეს, ბინა თითქოს გაფართოვდა და კოსმონავტების კაბინას დაემსგავსა – ზედმეტი აღარაფერი ჩანდა! სუნთქვითაც კი უფრო თავისუფლად ისუნთქებოდა!

დაცლილ ლოჯიაში მოთავსებული მწერლის მომცრო, ცალტუმბოიანი საწერი მაგიდა და აუცილებელზე აუცილებელი წიგნების მოკლე თაროებიც უფრო გამოიკვეთა და მეტი მიმზიდველობა შეიძინა!.. წერით თავდავიწყებულ თუ ხილვებით შებოჭილ ქმარს მხატვრული ზმანებები რომ არ გასხლტომოდა, გულთმისანი ქალი ყველაფერს აზრიკვალად უხვდებოდა და

უსრულებდა!.. მწერალს თავი გამოუტანელ სიზმარში ეგონა!.. ასეთი შემართებით ჯერ არასოდეს ემუშავა!.. თუმც აღმაფრენა ერთობ ნაადრევი გამოდგა. ოთხიოდე თვის შემდეგ გაზაფხულის პირდაპირმა მზემ დაბალჭერიანი ბინა ულმობლად რომ მოახურა, ნირჩამკვდარ მწერალს თვალი მაშინღა აეხილა: აქ ახლავე ასე რომ აცხუნებდა, ზაფხულის თბილისური ხვატისას რაღა იქნებოდა!.. კონდიციონერის გაგონება კი არც სურდა!

* * *

ისიც თავგადაკვლით შეუდგა ღია ცის ქვეშ ერთი მივარდნილი საზაფხულო თავშესაფრის ძებნას. იპოვა კიდეც! მასივგადაღმა, ჯაგმაგებიან გორაკებშუა, მუხების თხელ კორომში ოდესღაც რაღაცის ასაგებად (ალბათ, სამნვადის ან სახინკლის – ქართველს სხვა რა მოაფიქრდებოდა?!) მოზიდული, მერე კი რატომღაც სამუდამოდ თავმინებებული, ერთმანეთზე უწესრიგოდ მიწყობილი რკინაბეტონის ფილები აღმოაჩინა.

ფილები ერთ ბოლოში ისე იყო მიწეულ-მოწეული, კაცი თუ ცოტას გაიჭირვებდა, ადვილად შეიძლებოდა სკამ-მაგიდის მაგივრობა გაეწევინებინა. წვიმას რომ არ დაესველებინა, ბაზრის სამფეროვანი ქოლგის ჩასამაგრებლად ხელმარცხნივ ბეტონი სატეხით ამოხვრიტა და შიგ რეზინის შლანგის მონაჭერი ჩაჩურთა. მხეხავ ფილაზე საამისოდ შეკერილ უხეში ბრეზენტის საფენს იგებდა. საწერ ქაღალდს კი ქვეშ **„ლიტერატურული საქართველოს“** მთლიან ნომერს უშლიდა, თანაც სახელწოდებით ზევით, სულ თვალქვეშ რომ ჰქონოდა სიმხნევის მომგვრელი მისი გრაფიკული მოხაზულობა!

გატაცებით წერას კი მეტი რა უნდოდა?!.

ქვევით, ხრიოკიანი გამინდვრებულის ბოლოს რომელიღაც გაუქმებული დაწესებულების ოთხსართულიანი გრძელი შენობა წამოყუდებულიყო, ლტოლვილებს რომ გამოეჭედათ. სარკმლები, ღია აივნები და ეზო სულ მუდამ სარეცხითა და გასამზეურებელი ლოგინით იყო აჭრელებული... იქაურობას ვრცელი, ბეტონისგალავნიანი ბაღი ერტყა... ხასხასა მწვანობზე ხან იქ, ხან აქ ყოველთვის მოჩანდა ერთმანეთისაგან კარგა დაშორებით, გრძლად დაბმული ძროხები და ერთმანეთში მოკუნტრუშე ხბორები... ამ

ადგილის აღმოჩენიდან უკვე მესამე კვირა იწურებოდა, ბეტონის ფილებს ტკიპივით დაკრული მწერალი კი ერთხელაც არავის შეუწუხებია! ყველაფრიდან ჩანდა, ამ უსიცოცხლო, არმატურაჩაჟანგებულ რკინაბეტონის ფილებთან ყოფნა არავის იზიდავდა!

მწერალსაც სწორედ ეს უნდოდა!!! მუშაობით გატაცებული, სიხარულს ძლივსღა ერეოდა, მაგრამ ყისმათი არ გინდა – ამჯერადაც საშინელი იმედგაცრუება ელოდა!

* * *

ეს გაზაფხულის მიწურულს გაცხადდა, ლტოლვილთა ბაღის რამდენიმე მტირალა ტირიფმა ბარაქიანად რომ დაიყვავილა და აქამდე კამკამა სივრცე უგზო-უკვლოდ მორიალე ბუსუსების კვამლით დაიფარა!!! ნიავს შორეული შტოქედებიდანაც რომ არ წამოებერა, ბურტყლის სქელი ღრუბელი სულ ამ აწეულ-დაწეული გორაკების თავზე გულგრილად ტრიალებდა და სისხლგამშრალ მწერალს ირგვლივ უნესტრო ბაცი კრაზნებივით ეხვეოდა: ბუსუსები თვალებში, ნესტოებსა და ყურებში უძვრებოდა და უღიტინებდა, რასაც მხედველობის დაქვეითება, ხველა, ცხვირის წარამარა ზედიზედ ცემინება და უპეების დაუმებელი ქავილი მოსდევდა!.. უკვე ფილტვები სტკიოდა და ენა-ხახა უშრებოდა ამდენი ბერვა-ბერვით, მაგრამ რას მოიგერიებდა დღედაღამ დაუძინებლივ უმისამართოდ მიმომცურავი მახრჩობელა ბუსუსის ფიფქების ურდოსთან – როგორც უნდა ეფხიზლა, წვნიანის ნახევარლიტრიან ქილაშიც უხვდებოდა და ხის კოვზსაც ედებოდა! ეს კიდევ არაფერი! ბუსუსები შეუმშრალ მელანსაც ეწებებოდა, ავტოკალმის ოქროს წვერსაც შეუმჩნევლად ეხლართებოდა და იმ ადგილას ხელნაწერს ისე დღაბნიდა, აღარ იკითხებოდა!!!

სასოწარკვეთილებისგან ილაჯგაწვეტილს ეჩვენებოდა, უაზროდ მტოკავი ბურტყლის ჭუჭყისფერი ფარდა მარტო სივრცესა და მწერლურ შემართებას კი არა, ავტორისეულ თხრობასაც, დიალოგებსაც, სტილსაც აბუნდოვნებდა და მთლიან ნაწარმოებს მხატვრულობას უსახიჩრებდა! ამას კი ლამის სიგიჟემდე მიეყვანა! ოდესღაც დაწუნებულ ელექტროსაპარსიდან შემთხვევით შემორჩენილი პაწია ჯაგრისით სულ ამ ავტოკალმის ფაქიზი ხახის წმენდა-რეცხვას უნდებოდა – როდისღა ეწერა?! ერთი პირობა

ესეც კი გაიფიქრა, თვითონაც პასტის ბურთულიან კალამზე გადასულიყო, მაგრამ გული არა და არ უშვერებოდა – მისი სტიქია ჟამულრანებიდან შესისხლხორცებული, იდუმალსურნელოვანი მელანი და მიმინოსნისკარტა საფირმო ავტოკალამი იყო!.. ამიტომ გადაწყვიტა, ისევ მოეთმინა და ტირიფების გადაყვავილებისთვის დაეცადა.

ამ დრომაც მოატანა, მაგრამ თითქმის არაფერი შეცვლილა – აქა-იქ თოვლივით მინამქრული, თანაც მტვრითა და მიკრობებით სავსე ბუსუსების ღრუბელი ნიავის სუსტ შეფხუკიანებასაც კი კვლავ ჰაერში აჰქონდა და ყველაფერი ძველებურზე უარესად მეორდებოდა!!!

მწერალს მოსეული „მტრის“ ხელმიუწვდომლობა უფრო აწამებდა! თავშესაფრის გამოცვლაც სცადა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ან თუგინდ ეპოვა კიდეც, ამით რა შეიცვლებოდა – მთელ იმ არიარეზე ყველაფერი სქელი, უსიცოცხლო ბურტყლით იბარდნებოდა!.. მოუხელთებელ ბუსუსებზე მეტად ახლა ამ ლტოლვილებზე ელრინებოდა გული – როგორ უძლებდნენ ამგვარ წამებას და ტირიფებს ძირში არ ჭრიდნენ!..

* * *

შეურბილებელი ტანჯვა მთელი ზაფხული გაგრძელდა, სანამ მტირალა ტირიფები მთლიანად არ განიძარცვა და აქა-იქ მინაშულ ბურტყლის ვეება ფთილებს შემოდგომის ცივი წვიმები არ ჩაალბობდა და წარეცხავდა!.. სულმობრუნებულს მაშინ კი მიავიწყდა ბუსუსების აბეზრობა და აქ რომანის გატაცებით წერას პირველი სიცივების დაჭერამდე განაგრძობდა...

გაზაფხულზე ტირიფებმა ხელახლა რომ იყვავილა, ისევ ისე დაიწყო ძველებური წამება! მოთმინებადაშრეტილმა ახლა კი კბილებდაჭერით დაიმუქრა: მეყო ამდენი ჯაბნური ყოყმანი!.. მხედართმთავრები ბრძოლის ველზე ათიათასობით მოკლულს წარბშეუხრელად ტოვებდნენ ხოლმე და ბოლოს და ბოლოს მე რა გამიხდა ეს სამი ჩაბინძურებული ტირიფი – ერთხელაც გადავჭრიო!!!

გამონგრეული გალავნიდან ერთ ნარიჟრაჟევს ბაღში მართლა გადიპარა – მერე, გამთენიისას სხვებში რომ არ არეოდა, შორი-

დან კარგად მოინიშნა ბარდნარებს შორის მდგარი, ბურტყლით საზიზღრად ჩამოთოვლილი ის რაღაც სამი მტირალა ტირიფი!..

ნიავწანწალასაგან წათამამებულმა ბუსუსის ღრუბელმა ერთხელაც ისე გააცეცხლა, ფიცხელი გადაწყვეტილება იმავწამიერად მიიღო – მორჩა, დილაზე კი გადავჭრიო!!! მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გულმომბალს, ხეები ისევ შეეცოდა, თან გულში შიშიც ჩაუვიდა – ემანდ რამე შარში არ გავეხვიოო...

ასე გაილია ოთხი წელი...

* * *

1999 წლის 13 მარტის შაბათი იდგა. წინადღით ცისია სოფელში დას ჰყავდა დაბარებული სანოვაგისა და რძის ნაწარმის გამოსატანებლად. ამხელადაც ასე იყვნენ შეთანხმებულნი: ორშაბათს მეუღლე შუა გზიდან ბინის ტელეფონზე დაურეკავდა და ისიც თვითნაკეთი ოთხთვალათი ზედ მათი მასივის სიახლოვეს გამავალ ავტოსტრადაზე ჩვეულ სალოდინოსთან დაუხვდებოდა!

ამას წინათ ამოუხსნელად ჩასახულ ახალ რომანზე ფიქრს ისე ჰყავდა აყოლილი, მარტოკას შინ აღარ ედგომებოდა. ისიც იქვე, საჯარო სკოლის ნახევრადჩაბნელებულ ცარიელ ეზოში ხეებს შორის არეულად მიმოდიოდა და ველარ გრძნობდა, შუაღამე დიდი ხნის უკან რომ გადასვლოდა. ბოლოს მაინც გაახსენდა, შინ დაბრუნება იყო საჭირო!

დაყრუებულ ბინაში ისევ რომანზე ფიქრით ტვინგაბრუებული შეიძურწა. ახლაღა მიხვდა, რა ხანია კუჭი თურმე შიმშილისგან ელადრებოდა. მაგრამ დაწოლის წინ რაღა დროს ჭამა იყო, თანაც...

მოულოდნელად ტელეფონმა სეტერის მიერ ღიჭნარიდან წამოფრთხიალებული მამალი ხოხობივით ზავთიანად დაიზრიალა. „ცისია?!. ახლა რატომ რეკავს – რამე ხომ არ...“ – უსიამოდ გაჰკრა და თავის საწერ მაგიდას მოწყვეტით მიმჯდარმა, ჩალისფერი ყურმილი შიშით აიღო.

სიკვდილამდე დაუვიწყარმა პირველი მეუღლის ხმის გიჟურმა კილომ მაშინვე გაახევა და ტვინის ძველებური ტრუსვა დაუწყო.

– აქამდე სადა გდიხარ, შე გარეწარო, სად – მაგ მათხოჯს რესტორნებში დაათრევ, არა?!. ვაი, თქვენს პატრონს!.. ნერვები

დამაწყდა ამდენი რეკვით!.. მობილურს რომ არ იკარებ, მაგაზეც გეტყობა, რა კრეტინი ეგოისტიცა ხარ!.. აძაღლდეს დედაშენი შენი გაგდებისთვის!.. დაიცა, შენებურად ყურმილი არ დამიკიდო!.. მომისმინე!.. ვაი, გული!.. შენმა შეყვარებულმა ქალიშვილმა ვილაც ბიჭისთვის წელან კაფეში კლასელი გოგო დანით სასიკვდილოდ დაჭრა და ეხლა მილი... პოლიციაში ჰყავთ!.. გესმის?!.. სიკვდილმა გისმინოს – ეგე, რა მოსდევს უმამოდ გაზრდას!.. დილაზე მოეთრიე და გოგოს მშობლებს მაინც დაელაპარაკე, ლამის...

მწერალი გაითიშა. მოეჩვენა, აგვერდელავებული სკამი მოსხლეტით გამოეცალა და ბნელ, უძირო უფსკრულში ელვის უსწრაფესად ეშვებოდა!.. აღარ ახსოვს, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ბრუდამხვევი ჩაფრენა – გონი რომ დაუბრუნდა, ისევ იმავე მაგიდას უჯდა, ჩალისფერი ყურმილი კი აპარატზე დამნაშავესავით მოკუზულიყო.

„ო, შვილო, შვილო, ეგ რამ ჩაგადენინა?! – თავი მარტენის ღუმელივით უხურდა, – აი, სად გამოჟონა დედაშენის გენებმა: როგორც კი რაღაცაზე შეფხუკიანდებოდა, მაშინვე პურის დანას წამოავლებდა ხელსა და იატაკის ჯოხით ძლივს გავაგდებინებდი ხოლმე, რამე არ ჩაედინა!.. მოგიკვდეს ჩემი თავი – ვერც მე გაქცევდი მამობრივ ყურადღებას, მაგრამ რა მექნა: დედის გავლენით ყველაფერში სულ მე მადანაშაულებდი და ახლოს არ მიკარებდი!.. ესეც რამდენს ცდილობდა, შენ, მანონის, ბესოს, საერთოდ, ჩვენ ყველას თანხმობით გვეცხოვრა, მაგრამ არავისი ხსენება და დანახვა არ გინდოდათ!.. გემახსოვრება, ამ საწყალმა ერთხელ სოფლიდან ჩამოტანილი იმოდენა რძე-მაწონი თავისი ფეხით ამოგიტანათ, დედაშენმა კი მთელი კორპუსის სასეიროდ მეექვსე სართულიდან თავზე სულ წივილ-კივილით გადმოაყარა – თქვენი მოწამლული რძე-მაწონი არა გვჭირდებაო! აბა?!. ეგ როგორ ჩაიდინე, როგორ?!. სადღა გამოგვეყოფა თავი?!. ან იმ გოგონას მშობლებს რა პირით შევხედო? – უცებ ლაჩრული ქვითინი აუვარდა, – მე ესღა მინდოდა?! ამ დღეებში ცოდვილივით სულ მზესა და თერმომეტრს შევცქეროდი – ერთი როდის გამოთბება, სუფთა ჰაერზე გავიდე და ახალი რომანის წერას... თუმცა რა – ორიოდე თვეცა და ისევ ის ბურტყლი!..“

უშნოდ მოქვითინეს მტირალა ტირიფების გულგრილად მოქანავე ბუსუსების ფარდის წარმოდგენამ გონება უარესად აურია: ბურტყლის ბურუსმა სულ დაფარა ჰაერი... ჩაფიქრებული რომანი... ხელნაწერი... გაფანტულ-გაუბედურებული შვილები... მწერლური შემართება... დარჩენილი ცხოვრებაც!...

„ოოო, კაცი კი არა, ნაგავი ვარ, აქამდე რომ ვერ!..“ – უელვა და ნადირივით წამოვარდა. სათავსოდან გამოღებული ხერხი ცელოფნის ტომარაში ალახმალახ წაახვია, თხელი ქურთუკი გზადაგზა შემოიცვა და ძირს ჩაქანდა.

* * *

ერიჟრაჟა. ცისპირი უკვე დაძრულიყო. ცივად თენდებოდა. შურმაძიებლის მოუთმენლობისგან მიწაზე ფეხი აღარ ედგომებოდა! ნაღამური კამკამა ჰაერი გამამხნევებლად ეყნოსებოდა... გამონგრეულ გალავანში წაკუზვით შესხლტა და მიდამო არც კი მოუზვერია, პირველივე ტირიფს მოსისხლესავით ეკვეთა!

ისეთი შლეგური მოწყურებით ირჯებოდა, თითქოს ელექტროხერხი ხრიალებსო – ხვავრიელი ნახერხი გაყინულ ხორხოშელასავით ეცრებოდა ყელიან ფეხსაცმელებზე... მძვინვარება გრძნობა-გონებას უხშობდა...

გვერდზე გადახრილმა ტირიფმა კრძალვით დაიკვნესა და ლილოჭრელში უნდომრად წამოწვა. აშვერილი მოქნილი ტოტები თან ისე ექნეოდა, თითქოს შველას ითხოვსო. სიამოვნების ზარმა გაოფლილი მწერალი მეცხრე ცაზე ააფრინა! „ესეც ასე!“ – ჟინიანად დაბეჭდა, მაშინვე მეორე ტირიფთან გადაინაცვლა და იმასაც ისეთივე გააფთრებით ეკვეთა.

ტირიფი შუამდე გადახერხილი ექნებოდა, საიდანღაც მონარბენი მაწანწალა ძაღლი ზურგიდან რომ წამოატყდა. უცნობის უცნაური საქმიანობით დამფრთხალ ძაღლს არც კი შეუყეფია – აქეთკენ ყურება-ყურებით დათავქვევებულზე ფხაჭაფხუჭით დაეშვა... ამ ტირიფსაც ოხვრა-კვნესა რომ არ აღმოხდენოდა, ხერხი გამოაძრო და ახლა მეორე მხრიდან დაუწყო შემოხერხვა. გიჟური თავგადადებით აფორიაქებულს თან ეჩვენებოდა, ხერხის ჟინიანი ხრიგინის კვალდაკვალ ბურტყლის ფარდისგან როგორ იწმინდებოდა ცა... მუხნარი... მომავალი რომანის ფაბულა... დია-

ლოგები... სტილი... სიცოცხლე... თვით შვილებზე ფიქრი... თუმც წელან რა აუწყეს – ეს სინამდვილე იყო თუ ნასიზმრი?!

– არა! – მხეცურად შეიყმუვლა და ხერხი ისეთი გაშმაგებით აახრიალა, თითქოს ის საშინელი შეტყობინებაც ძირში გადაიხერხება და ღამეული კოშმარივით გაქრებაო!.. გულმა ორჯერ უცნაურად დაიძგერა!.. ტირიფი მონური მორჩილებით უხმაუროდ წამოწვა. „ეგრე!" – ჟინმობანილმა ქშენით შეიღრინა. ტირიფის კენწეროს ქვეშ მოყოლილი ჯმუხი ბარდნარი მომაკვდავის სასთუმალს დაემსგავსა!.. გიჟური შეწყვეტებით მიქანცული გული ბუდიდან ამოხტომას ლამობდა!.. აღარც ჰაერი ჰყოფ... თუმცა საგათენებო წმინდა ჰაერის მეტი რა იყო, მაგრამ მისი ჩვეულებრივი ჩასუნთქვის ილაჯიც აღარ შესწევდა!.. ჰაერი ჩაესუნთქა კი არა, ვულკანის ლავასავით გავარვარებული გული და ფილტვები ცდილობდა, ყველაფერი ზევით ამოენთხიათ და თვითონაც უკან ამოჰყოლოდნენ!.. ო, რა იქნებოდა ახლა ერთი ოთხი-ხუთი წუთით შექაქანება!.. მაგრამ ამაზე ფიქრის დროც კი არ იყო: აისის ციალ-კიალი თანდათან მკრთალდებოდა... მოწმენდილ სამზეურსაც პირისფერი შეჰპარვოდა – სადაცაა შეთენდებოდა და საქონელსაც გამოირეკავდნენ!.. მანამ იმ ერთის დაწვენაც უნდა მოესწრო და თვალმოუკვრელად მოჩვენებასავით გამქრალიყო აქედან, თორემ...

მაყვლოვანის გადამღობავი ბღაუჭა ყლორტები წიხლით მითელ-მოთელა და მესამე ტირიფსაც რომ მიადგა, საკუთარი მოუაზრებლობის ელდამ ძალ-ღონის ნარჩენიც გამოაცალა – პირველ რიგში დანარჩენებზე უფრო მოსქო, თანაც ერთმანეთზე გადაბმული ხშირ-ხშირი, კუმში როკებით ტანდაკორძილ ამ დედახეს უნდა გასწორებოდა!.. მაგრამ აღარაფერი ეშველებოდა – აგერ, რა ხდებოდა სამზეურთან!!!

კორძებს შორის უფრო სადა ადგილი შეარჩია და ხერხვას შეუდგა, მაგრამ მაშინვე იგრძნო – ეს იყო არა წელანდებური შეუოკებელი მძვინვარება, არამედ საკუთარი თავისადმი უადამიანო ძალდატანება!.. უცებ ფეხმოპარვით ზურგში მახვილჩაცემულისამებრ გაელიმა – შიმშილმაც სწორედ ახლა წამოუყენა მძიმე ანგარიში! ოღონდ ამჯერადაც საკვებს კი არ ითხოვდა, არამედ მთელი მწერლური ცხოვრების მანძილზე მკაცრი მოპყრო-

ბისთვის სამუდამოდ შემომწყრალ კუჭს თითქოს სწორედ ახლა სურდა სამაგიეროს გადახდევინება!!!

– შტურმი!.. ბლიცკრიგი!.. ფოლკსტურმი! – სასიკვდილო ალყაში მომწყვდეულის გააფთრებით ამოიხავლა ყველაზე გადამწყვეტი წამ-წუთებისთვის შემონახული თავისი მრავალნაცადი, შემართების ჩამომკვესებელი საბრძოლო ბრძანებები, მაგრამ გრძნობდა, ძალ-ღონისგან როგორ იცლებოდა – ჩამოწყვეტილ მკლავებს აღარ სურდა ძველებური მორჩილება... მუხლებიც შიშისმომგვრელად ეჭრებოდა... მოქანცული ხერხიც მოსაჩვენებლადღა ღიღინებდა!.. ახლა ლტოლვილების უცაბედი წამოწყვეტების შიშიც გაუქრა – განგაში აეტეხათ კი არა, საცა სამართალია, ეს უბედურები მადლობლებიც უნდა დარჩენილიყვნენ, თუკი ამ... თუმც მაინც დროიანად გაცლა ემჯობინებოდა!.. გაურჩებულ ხერხს თავისკენ ორივე ხელითაც ძლივსღა ეწეოდა, ხოლო იქითობას უკვე მთელი ტანით აწვებოდა – ნახერხი კი თანდათან მაინც წვნიკად ცვიოდა!..

უეცარმა თვალის ამხელმა გაორებამ კინაღამ შეშალა! მოეჩვენა, ტირიფს მართლა თვითონ კი არ ხერხავდა, არამედ თავის საბედისწეროდ აკვიატებულ წარმოდგენებში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე, დაბეჩავებული საკუთარი ორეულის საცოდაობას ზურგიდან სიბრალურით უთვალთვალებდა, რაიმე რჩევის მიცემა კი უკვე ნაგვიანევი იყო!!! ახლა ყველაფერი კარტივით გაეშალა: რაც თბილისს შემოეხვეწა, იმდენს წერისთვის სად იცლიდა – სულ ამ თავისებურად წარმოდგენილი მწერლური ოჯახისა და გარემოს მოცოდვილებას უნდებოდა, საშველი კი არა და არ ადგებოდა! რაღაცას თუ არ დათმობდა და ზოგ რამეს სხვა თვალით არ შეხედავდა, ალბათ, არასოდეს დაადგებოდა!!!

მან კი ოჯახში მბრძანებლის მოპოვებისა და სანიმუშო დისციპლინის დასამყარებელ ამაო ბრძოლას რამოდენა დრო და ჯაფა შეახარჯა! ახლაღა ჩახვდა თავის საბედისწერო შეცდომას: ქალს არ კი უნდა ეომო, არამედ იმპერიასავით მართო!!! მას კი მართვის ტალანტი არ აღმოაჩნდა! თუმც როგორ არ აღმოაჩნდებოდა, თუკი ამას მოინდომებდა, მაგრამ ეგონა, ეს ბევრ დროს დააკარგვინებდა, ბრძოლა-ბრძანებებით კი დროში მოიგებდა! არადა, პირიქით კი ხდებოდა!.. ქალთან შეურიგებელი ბრძოლა

ხომ თვით დედაბუნების წინააღმდეგ ბრძოლაა და აქედან ვერასოდეს გამოხვალ გამარჯვებული! უბრალოდ, განგება არ გაგამარჯვებინებს!!! ან თუგინდ გაემარჯვა კიდეც, რა შავ ქვად უნდოდა ამგვარი გამარჯვება?! ის კი სიცოცხლეს იმწარებდა, რათა თავის პირველ ორ მეუღლესაც მისი ლიტერატურული იდეალებითა და გაურკვეველი მომავლის რწმენით ეცხოვრა!.. ო, ბრმა აკვიატებავ!.. მაგრამ ეს როგორ უნდა მომხდარიყო, როცა მათ შემოქმედებითი იდუმალებისა და დაუძლეველი მიმზიდველობის არაფერი გაეგებოდათ და ეს არც აინტერესებდათ! ქალი ხომ ბუნებასავით პირდაპირი და ულმობელია: მას ყოველთვის დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს!!!

თვითონ? თვითონ კი, როგორც საბედისწეროდ თავგადადებულ შემოქმედს, არც ქათმის მოლოდინი ჰქონდა, არც კვერცხის, არც ვარიის, არც ყვინჩილის... არც გოჭის, არც ბატკნის... არც რემონტის... არც სიმდიდრის, არც ფუფუნების, არც კომფორტის... არც ბრბოს მიერ წარმოდგენილი ბედნიერების... არც მოსვენების, საერთოდ, არც არაფრის!.. ღმერთო!.. აბა, მაშ, რა იყო მისი ყოფნა-ცხოვრება? ამას ახლა გარკვევით თვითონაც ვეღარ ჩამოაყალიბებდა: მაცდურად წამოლანდებული შორეული და ბუნდოვანი რაღაც მხატვრული ზმანებების მოხელთება და პირველი თოვლივით უმტვერო ფურცელზე იისფერი მელნით მათი თავისებურად გადატანის ნუგეშმწველი სატანჯველი!.. ამისთანა კაცს კი რა გაუძლებდა?! ამიტომ იქნებ არც არასოდეს უნდა დაოჯახებულიყო?!

მოდამბლავებული გული უარესად ჩასწყდა, ამას რომ მიხვდა – ნეტავი ვერც ვერასოდეს მიმხვდარიყო!.. ან რა შუაში იყო ტირიფის ბუსუსები?! ასე თუ მიჰყვებოდა, ამგვარ მიზეზებს რა დალევდა!.. ის კი შემოქმედებით გზაზე შემხვედრ ხელის შემშლელ ყოველგვარ წვრილმანს მტკივნეულად განიცდიდა და გაუაზრებელი თავგადაკვლით ალევდა იმოდენა დროსა და ძალ-ღონეს, ყველაზე უმთავრესი კი მხედველობიდან ეპარებოდა ანდა მასზე ფიქრს უფრთხოდა – **სიცოცხლის ლიმიტი!!!** მაინც რამდენ ხანს აპირებდა სიცოცხლეს – როდისღა უნდა დაეწერა უზურში ალინთული ნაწარმოებები, მათზე გამუდმებულ ფიქრს მუდამ შეჯაჭვული რომ ჰყავდა და იდიოტს ამსგავსებდა!..

განგებას ის თუ მართლა მწერლად ჰყავდა ჩაფიქრებული, ტირიფისბურტყლიან მყუდრო მუხნარში კი არა, გახურებული აგლობრძმედის გვერდითა და ბაზრის ჩაბინძურებული საპირფარეშოს მიბინდულ კუთხეშიც უნდა ეწერა!.. ან რაზე მიატოვა სოფელი: მჯდარიყო სამების ეკლესიის ტყიანი ფერდობის ძირას ჩაფენილი თავიანთი მიმყუდროებული ვენახის ქოხწინ, მოლიან ყალთაღზე და დამამშვიდებლად მოშრიალე კაკლის ჩრდილნარში ხელშეუშლელად ეწერა და ეწერა!.. მან კი დაჰკრა ფეხი და!.. თუმც არც თბილისს შემოკედლება გაემტყუნებოდა: ლიტერატურულ მავნებლებთან ყოველდღიური ხმალდახმალ ბრძოლითაც კი ფონს რის ვაი-ვაგლახით გადის და სოფელში რომ ჩარჩენილიყო, შემთხვევიდან შემთხვევამდე ჩამოსვლით ვისთან რას გახდებოდა! თუმც ამათთანებთან რას უნდა გახდეს?! რა თავში სახლელად უნდოდა ათ-თორმეტ წელიწადში რაღაც ერთი თხელი წიგნაკის სამოწყალო გამოცემა ან ჟურნალ-გაზეთებში მკითხველებისათვის თავისი გაუხარელი მწერლური არსებობის შესახსენებლად ნოველის თუ რომანის კუდმოკვეცილი ნაწყვეტის დასაბეჭდად იმდენი დამამდაბლებელი ხვეწნა-ღიჯინი, მკვახე შესიტყვებისთვის თუჯისშუბლიანთა სამუდამო გადასევა!.. ამათნაირებთან უაზრო ბრძოლას როგორ შეალია საუკეთესო წლები!.. თუ მართლა მწერლურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, მჯდარიყო სამების ძირას, ეწერა და შეენახა – დრო მერე ყველაფერს თვითონ... ო, ღმერთო, ღმერთო, რაღა საჭირო იყო იმ ქვეყნად ჯოჯოხეთი, თუკი ამქვეყნად იარსებებდა მწერლობაც!.. მაგრამ რაკი დაიწყო, შუაგზაზე ვეღარ შეჩერდება – ეს ტირიფიც უნდა დააწვინოს და მერე მორჩა: არასოდეს აღარაფერს მიაქცევს ყურადღებას!!! წერას შექსპირისებურად... ბალზაკისებურად... პრუსტისებურად ჩაუჯდება და...

და აჰა, თავზე დასთენებოდა კიდეც, დასთენებოდა კი არა, უკვე ჩვეულებრივი დილა იდგა!

– ფოლკსშტურმი! – ფილტვებდამწვარმა საკუთარ თავს ნიშნგებით შეუყეფა, მათარით წყლის წამოღებაც რომ ვერ მოფიქრებოდა და უკანასკნელი ძალების მოკრება სცადა! მაგრამ... ხის სიღრმეში წურბელასავით ჩამკვდარი ხერხი ლამის გამოეძრო და საკუთარ მაჯებზე გამეტებით გაესვ-გამოესვა

– ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ასეთი მოღალატე მკლავები ესხა!.. ხერხს პირდაპირ თავს აკლავდა, მაგრამ ამაოდ – კბილის ჯაგრისივითლა უცაცუნებდა!

ულონო შეუპოვრობამაც კი თავისი გაიტანა – ტირიფმა მორჩილი კვნესა-ჭრიალი ამოუშვა და ბარდნარზე მომაკვდავივით გადაესვენა, თუმც ასუნებულ გადანამორს მაინც არ შორდებოდა!

თავით ფეხებამდე ოფლში მცურავი, აქოშინებული მწერალი წაქცეულ ხეს უღონოდ გადააწვა და უხილავ ხერხს ცალი ხელით ანდედღა უსვამდა, ტირიფი ფუძისგანაც რომ მოეშორებინა... მაგრამ ეს რა ხდებოდა: მიდამო თითქოს დაგვერდდა... თან ისევ დაბინდვა დაიწყო!.. ახლახან გათენებული დილა ასეთ უცნაურ ბინდბუნდში რაღად იძირებოდა?!. მუხლებიც ლოდებივით ეწეოდა... მუხლებს ვილა ჩიოდა – აღარც გონებას ეწადა ჩვეული დამორჩილება!.. ტირიფი ფუძისაგან გაეცალკევებინა კი არა, ნეტავი რამეღა გაეფიქრებინა!.. „არა, კოჭებჩამოდრეკილ მამაპაპურ სახლ-კარს... არ უნდა... მოვწყვეტოდი... მწერლობა იქაც... იქ უფრო... ო, შვილო, შვილო... ეგ რამ ჩაგა..." – ამის გაფიქრებაღა მოასწრო – ხერხი თითებიდან გამოუძვრა და წამოწოლილ ტირიფს პირთავქვე ჩამოეკიდა...

* * *

მოდღევდა. ჯოხიანმა ქალმა საქონელი რომ გამოირეკა და მოჭრილ ხეზე ხურჯინულად გადაკიდებულ მკვდარს წაადგა, ჯაჭვათრეულ ფურს თავი ანება და ჩამდუმარებული შენობისკენ მიბრუნებულმა, წივილ-კივილი მორთო!..

მალე მთელი კორპუსი იქ შეჯარდა!..

ლტოლვილებს არაფერი ესმოდათ: ეს ტირიფები დასახერხად ან ბოძებად არ გამოდგებოდა... ან გაუსხეპავი ამხელა ხეები აქედან რითა და როგორ უნდა გაეტანა – რკინის ალაყაფი ჯაჭვზე ჰქონდათ დაკეტილი!.. კალათებისთვის უნდოდა? მერე, ჯერ რა დროს კალათების წვნა იყო – ხეს წყალი ხეირიანად არ ჩასდგომოდა! ეგეც არ იყოს, კალათებისთვის ტირიფებს შიგ ძირში ვინ გიჟი ხერხავს – წვრილ-წვრილ საღ ყლორტებს შერჩევით შეასხლავენ ხოლმე!.. ანდა ასე ერთბაშად მაინც რამდენი კალათა უნდა დაეწნა?!. მართლა ვინმე გიჟი იყო?!. მაგრამ გიჟი-

საც რომ არა ეცხო რა!..

სასწრაფო დახმარება და პოლიცია ერთმანეთს მოჰყვა. ახალმოსულები ჯერ ცხედარს დაუტრიალდნენ და თავ-თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს.

პოლიციელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ფინურმა ხერხმა და მისმა შავპრიალა, ბოხვერა წარწერამ „TOLSEN" მოახდინა. ერთმანეთს ხელიდან მოუთმენლად ართმევდნენ და ისეთი ცხოველი ინტერესით ატრიალებდნენ, ათვალიერებდნენ, ჩანდა, ექსპერტიზის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი დაინარჩუნებდა! ანდა, შეიძლება ექსპერტიზამდეც სხვა რომელიმე ჩვეულებრივი ხერხით შეეცვალათ – ხერხს რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა მისი პატრონი ცოცხალი აღარ იყო!

ერთმა სქელმა პოლიციელმა (თუმცა აქ ყველა მათგანი სქელ-სქელი იყო) აღელვებული პირველმოწმე კარებგაფრიალებული თავიანთი ავტომობილის თბილ კაპოტთან მიიყვანა, რაღაც შეკითხვები დაუსვა და ბატიფეხურ ოქმზე ხელიც მოაწერინა. მერე ბოთლისფერი რეზინის ზეწარგადაფარებული ცხედარი გორგოლაჭებიანი საკაცით სასწრაფოს ავტომობილში შეაგორეს, ცელოფნის პარკში გადახვეული ხერხი კი პოლიციელებმა ჩაიდეს და წავიდნენ.

* * *

მას აქეთ თვრამეტმა წელმა განვლო...

ძირში გადაბელილმა, სწრაფმზარდმა ტირიფებმა ბარაქიანად იბარტყა და რაკი მათი გამოხშირვა ფიქრადაც არავის მოსვლია, კორომებად იქცა!.. ზაფხულ-ზაფხულ იმ მიდამოებში ახლა ძველებურზე უფრო სქელი ბურტყლის ღრუბელი ტრიალებს ხოლმე, მაგრამ ეს, მგონია, არავის აწუხებს...

ამ ხნის განმავლობაში ქვეყნიერებაზე რა არ მოხდა და რაღას არ აეხადა ფარდა!..

რომელიღაც გაუქმებული დაწესებულების სევდიან შენობაში თავიდან ვითომ ცოტა ხნით თავშეფარებული, მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნების ოცნებისგან გადაღლილი ლტოლვილებისთვის კი საგამოცანოდ დარჩა – ნეტავი მაშინ ვინ იყო ის კაცი?!. რას ერჩოდა ამ უდანაშაულო ტირიფებს?!.

შინიდან ციებცხელებიანივით გამობარბაცდა და მეტროსადგურის გადაღმივ, მიმყუდროებულ ფიჭვნარში მდებარე ძმაკაცთა უცვლელი სალოდინოსკენ გასწია.

საშუადღეოზე აწეული შემოდგომის ლიბრიანი მზე ლეგა ღრუბლებიდან დროდადრო სნეულივით იჭვრიტებოდა...

სუფთა ჰაერმა ნაარყევი გონი ცოტათი მოუცოცხლა, მაგრამ მაინც ვერ იხსენებდა: წუხელ შინ თავისით მიეთრია თუ ახლაც ძმაკაცებმა მიიტანეს და ლოგინზე პირდაპირ გაუხდელი დადეს!.. თან წელან სახლის გასაღებიც ველარსად იპოვა. დარდი კოლას! თუ გუნებაზე არ იყო, თავის ერთოთახიან ბინას აღარც კეტავდა ხოლმე: სამეზობლოდ არავინ ეკარებოდა, ქურდებს კიდევ რა უნდა წაელოთ?!

ტროტუარზე ბორძიკ-ბორძიკით მიდიოდა და აღარც ის ახსოვდა, გადაბმულად რამდენ დღე-ღამეს ლოთიფოთობდნენ! ეს კი აღიდგინა – არყის საყიდლად ბოლოს ჯიბეები სულ დედის დაგინებით ამოიბრუნეს და იმოდენა ფული დახარჯეს! ეხუმრებით – ოცდაშვიდი ლარი!!! სამაგიეროდ ო, რა სუფრა გაიშალეს რბილი ლეიბების საამქროს გამონგრეული გალავნის შიგნით, გაუკრეჭავი ბუჩქნარის ძირას: არყები... შპროტი... ძეხვი... შავი პური... მჟავე კიტრი... „ბალტიკა“... გადაუბანელ ხელებზე ანადენი შებოლილი თევზის მინაზებულ სუნს ლამის ჭკუიდან შეეშალა: ნამშევი კუჭი ყოველივე ამის უფრო მხეცური ჟინით განმეორებას მოითხოვდა, მაგრამ თავი რა ქვისთვის ეხალა – გროშიც აღარსად მოეძებნებოდა!

ძილაყოლილსა და უმისამართოდ გულაღრენილს, ქუჩაში მიმომავალი თანამოძმენი უცხო პლანეტებიდან გადმოყრილ სირეებად ეჩვენებოდა!.. ერთ ქალს მაინც ბეცურად გაუშტერა თვალი და გამოსალაპარაკებლად ნაბიჯი დაიმძიმა.

ქალმა ეს მაშინვე იგრძნო და ყოველ შემთხვევისთვის შუბლი შეიკრა, თან ფეხსაც აუჩქარა.

– აი, დაძმურ გაგებაში!... დღეს კვირაა თუ... შაბათი?

– ოთხშაბათი.

პასუხმა სულ აურია დავთრები. არა, ბირჟაზე შეყრილი

„საბუტილნიკების“ მეტი ველარავინ უშველიდა – როგორც ყოველთვის, ახლაც ერთად რაღაცას მაინც მოიფიქრებდნენ! ვინ იცის, იქნებ უკვე მოფიქრებულიცა ჰქონდათ და იმასღა უცდიდნენ, თან უკანასკნელი სიტყვებით ამკობდნენ – აქამდე სად უგდიაო!!!

ფეხს შეუფერებელი პატივმოყვარეობის საამო განცდით აუჩქარა, მაგრამ ფიჭვნარშიც იმედი ჩაუკვდა – მაგიდა-სკამებად გამოყენებულ ბეტონიტის ჯმუხ ლოდებზე ძეხორციელი არ ესკუპა! არადა, აქამდე შინ რა გააჩერებდათ – თქვენ რას ლაპარაკობთ!.. ან იქნებ ძილს ველარ აატანა და დააგვიანდა?! თავიანთ მიერვე გაშანშლული, თვალშეჩვეული ძველი ნამუსრევი ისევ ისე ეყარა, დღეს ჩვეული „პახმელიიდან“გამოსვლის რაიმე ნიშანწყალი კი ირგვლივ არაფერს ეტყობოდა!!!

ჰოდა, იმანაც ხელად დაიჯერა – არც შინ გამოუარეს, აღარც აქ შეუცადეს და სიფთაზე ლუდ-არყის საყლურწად სადღაც დედაბოზურად აეთესნენ! ჰმ, ესეც ყისმათი იყო – „ნოკიაც“რაღა წინა დღეებში დაკარგა! თუმც რა შორსაც ისა ცხოვრობს – ემანდ შემოხმიანებას რა უნდოდა, მაგრამ...

სათვალავში ჩაუგდებელი კაცის განცდამ ცივი ურჟოლა მოჰგვარა და უნებლიეთ მგლისებურად წამოიყმუვლა. „დაიცა, ათესვა ეგეთი არ უნდა, პედერასტებო!“– კბილებდაჭერით დაიმუქრა გუნებაში, თუმც წინდაწინვე ხვდებოდა, მის ამ უნდილ მუქარას არანაირი ძალა ან შედეგი არ ექნებოდა! არადა, რა წყალს მისცემოდა – ნაბახუსევი მუცელი ისე გვრემდა, თითქოს შიგ ნარის კონას უჩუჩხურებენო!

ერთი დაპირება დააპირა კიდეც, ისევ მეტროსპირა ფარდულები ჩამოევლო, ეგებ რამე ნისიად ახლაც გაეშანსა, მაგრამ ყველასთან პირშერცხვენილი და თავლაფდასხმულია! ძველებურად კი ვინმეს ველარც აცდუნებდა, ველარც აშინებდა – უკვე მოხარშულს იცნობდნენ!

გაუცხოებულ ბირჟას ზამთრის სასაფლაოსავით უბრუნა მხარი და კორპუსებისკენ გადაყელა, თუმც არ ესმოდა, საით ან რისთვის მიჩერჩეტობდა.

* * *

კორპუსებშორის, სეიფისოდენა სახარაზოს გვერდით მოულოდნელად სოფლელ დედაკაცს წაატყდა. წენგოსფერ ბაწრის შალში გამოხვეული შავოსანი შინიდან წამოღებულ მტკავლიან სკამუნაზე მობღუნძულიყო. ბრეზენტის გამოხუნებულ საფენზე ერთმანეთთან ხოხმიკად ეწყო ნვნიკი ხახვის, ნივრის, ლობიოს, ასკილის, სიმინდის ჩანაკლულებული ტოპრაკები... ქლიავის დანახვაზე ბიჭს პირწყალი მოედინა.

– რა ღირს ე შენი ქლიავი?

– აქ ქლიავს სადა ხედავ, ბიჭო – ეგ შაშალაკი ლეღვია!

– ჰო, რაც არი! კილოს რო...

– ჯამი...

– ჯამი?!

– ჰო, რა გაგიკვირდა – ჯამი! – მოუჭრა დედაკაცმა და ციდიანი სასწორი აჩვენა, – სხვა ყველაფერს ამითა ვწონი. ლეღვი კი ზედმეტად რო არ დაიჭყლიტოს, ჯამობით ვუშვებ...

– ჰოდა, როგო...

– აი, ერთი ვედრო სუ ორლარობაზე გავყიდე!.. მაგრამ რაკი ეს ერთი ჯამიღა დამრჩა, ლარნახევრად... ჰა, ლარადაც მოგცემ – ალალი იყოს!

– მოიტა, აბა!

– დაიცა, პარკში გადავიტანო!

– პარკით სადღა ვატარო!

ბიჭი ისეთი მოსხლეტით ჩაცუცქდა, თითქოს ბუქნაობა უნდა დაიწყოსო და ლეღვით თავმობმული თიხის ჯამი თამამად გადაიდგა.

გაკვირვებული დედაკაცი მორიდებით აკვირდებოდა უცნაურ მუშტარს, ლეღვს გაუფცქვნელად და ყუნწიანად რომ ელალებოდა. თუმც ცივი ლეღვი რა თავწყალს გაადენდა, როცა მისი მოკუპრული კუჭი არაყს ითხოვდა.

ბიჭმა სოფლურ ნობათს თვალი გულგრილად გადაავლო, რაკი იქ თავისი საკბილო არაფერი ჩანდა.

– რაღა აქ მოსულხარ, აგე, მეტროსთან უნდა დამჯდარიყავი – იქ ზღვა ხალხი ირევა და...

– განა არა – დილას იქ ვიჯექი, მაგრამ...

– იქ იჯექი?.. მე სუ მანდა ვტრიალებ ხოლმე და, აბა, რატო აქამდე არ დამინახიხარ?

– არა, არა!... გითხრა!.. – აჩქარებისაგან დედაკაცს ენა აუბორძიკდა, თან სახეზეც დაეტყო, მალე დამნაშავესავით გაეღიმებოდა, – დღეს პირველად გამოვყევი ჩვენებურ მემაწვნე ქალებსა და დილას მართლაც მეტროსთან დამსვეს, მაგრამ... – აქ დედაკაცს შემჭკნარ პირისახეზე უნირო ღიმილმა გადაურბინა, – საცდელად თან ერთი ჩარექა არაყიც (ბიჭს ყურები თავისით დაეცქვიტა!) გამოვიყოლე, მაგრამ ოთხიოდე „რუმკაც"არ მექნებოდა გაყიდული, პოლიციელი დამადგა თავზე – მაგ შენი არყიანად ეხლავე მოშორდი აქაურობას, თორემ ყველაფერს ჩამოგართმევო! ჰოდა, მეც შემეშინდა და აქეთ გადმოვი...

– კიდე იაფად გადარჩენილხარ! – ყასიდად უთანაგრძნო ბიჭმა და ლეღვი აბივით გადაყლაპა, – შეიძლება სხვას პოლიციის განყოფილებაშიც წაეყვანე და ჯარიმა გამოეწერათ!.. წელს ბევრი არაყი გამოხადეთ?

დედაკაცს პირისახეზე გაკვირვება შეაფრინდა.

– ჯერ რა დროს არყის გამოხდაა, შვილო – ღვინოც არ გადაგვწმინდავებია!.. წლევანდელ არაყს დეკემბრისკენ გამოვხდით, ეს კი შარშანდლიდან გვქონდა მონარჩუნებული!

– ჰოდა, ბევრი მოინარ... ჩუნეთ?

– რა ვიცი, შენ ბევრს რას ეძახი, – დედაკაცი გულღიად ალაპარაკდა, თან ზედ მომდგარ ქალს ორი კილო ლობიო აუწონა, ფული გამოართვა და გაუშვა. მერე ისევ ბიჭს გაუგრძელა მუსაიფი, უკვე მიწაზე რომ დამჯდარიყო, – რაც საოჯახოდ მოგვინდება, კაცმა ის ცალკე გადაინახა... თან მალე ახალიც გამოგვეხდება!.. ჰოდა, ერთი სამი ათლიტრიანი შტოფი იქნება გაგვეყიდო...

– ჩამოიტანე აქა – ჩემთან შეგინახავ!... გაყიდვითაც სუ მე გაგიყიდი!

– თუკი მაგ სიკეთეს გვიზამ! – მიაგება დედაკაცმა და ალალი სახე ანგარიშმა დაუძაბა. – დღეს ოთხშაბათია... შაბათამდე აღარ ჩამოვალ!.. მაშინ შაბათს კაცსაც გამოვიყოლებ და ჯერ მოილა...

– რაღა მოლაპარაკება უნდა – მაშინვე წამოიღეთ!.. ხილის არაყია?

დედაკაცს მიმტევებლურად გაეცინა.

– ჩვენებურ გოგობიჭობას ხილი საჭმელადაც ენატრება – ხილს საარყედ ვინ გაიმეტებს?!. ან გინდაც გაიმეტონ, იმოდენა ჭაჭას რაღა უნდა უყონ?! ხილის არყის ხდა უვენახო მთის სოფლებში სცოდნიათ!.. ჩვენთან სუ ჭაჭის არაყია, შვილო!

ბიჭი თვალებს ისე აფეთებდა, გეგონება, სადაც არი, გულყრა მოუვლისო.

– რა უყავი ის ნარჩენი – აბა, ერთი დაასხი!

– უი, არა, არა!.. წელან მილი... პოლიციელმა სუ თითის ქნევით გამაფრთხილა – წვეთიც აღარ გაყიდოო!.. არ დამინახოს, თორემ!..

– ნუ გეშინია, იქიდან აქ როგო უნდა დაგინახოს?!. თუ არადა, აქ არა ვარ – ეგენი სუ ჩემი ძმაკაცები არიან! დაასხი!

– ბიჭოოო!..

დედაკაცმა კორპუსების ეზო-ყურეს ბებრული მზერა მიმოატარა, მერე ვედროში ჩაყრილი ფალასფულასიდან არყის ბოთლი ამოაძვრინა და ძველებური მოხდენილი, ქუსლიანი თლაშო გაავსო. ოლონდ სანამ ბიჭს გადააწოდებდა, ჯერ ვითომ ვაჭრულად აუხსნა.

– იცოდე, ჭიქას ორმოცდაათ თეთრად ვყიდი!

– ვიცი!.. აქ სუ ეგრეა!.. შენ მე რას მასწავლი!..

ბიჭმა ისეთი მოუთმენლობით გადაჰკრა, დედაკაცს გული გადაუტრიალდა – რაღაზე ჭიქაც გადაეყლაპებოდაო!

– დარწმუნდი?

– ჰო, რა, ნაღდი ჭაჭაა – არ უნდა რიჟა ბაზარი! – ამოიხავლა ბიჭმა და მიდამო გაღიზიანებით მიათვალ-მოათვალიერა, – სად არიან, ის შკოდნიკები!

– ვინა, შვილო?

– ძმაკაცები!

დედაკაცმა არყის ბოთლი ისევ ვედროში მიაფანიერა, ბიჭმა კი ლეღვის ჭლაპაჭლუპით ჭამა განაგრძო. თან ისე მტკივნეულად იმანჭ-იგრიხებოდა, ეს დედაკაცსაც შეენიშნა. შიგადაშიგ ოხვრა-კვნესასაც ურევდა.

– რა იყო, შვილო, არაყმა ხო არ გიხამა და ყელი ამოგშუშხა?!

– არაყმა კი არა, ა ლეღვმა მუცელი სუ ამიქოთა – უეჭველად რაღაც ჭია შემიყვა!

– უი, მომიკვდეს თავი! – დედაკაცმა მუხლზე მუშტი შემოიკრა, – გაუფცქვნელად, თანაც შეუბერავად რო დაუწყებ ჭამას, შეიძლება...

– მოიტა, ერთიც დაასხი – იქნებ ჩამიყუჩოს!

დედაკაცმა მაშინვე დაუსხა. ბიჭმა წელანდებური ასწრაფებულობით გადახუხა.

– მოსაკლავი ვარ! – ბიჭი ახლა საკუთარ თავს აულაპარაკდა და მუცელზე ხელები მოწამლულივით შემოივლო, – მეც რას მივაძეხი?!. იცი, როდის მოკრეფილია?!. ვისი მოკრეფილია?! უუუხ!

– ვიშ, ქა, რაღა ვქნა! – შეიცხადა დედაკაცმა, – „როდის მოკრეფილია?!"რა სიტყვის პასუხია?! ეგე, ზედ არ ეტყობა?!. სისხამ დილით ჩემმა შვილიშვილმა კიბე აიყუდა და კავით სუ სათითაოდ ჩამოკრიფა!.. თან ისეთი სუფთა გოგოა, ისეთი სუფთა, იტყვი...

– გათხოვილია?

– არა, არა – ათწლედი შარშანწინ დაამთავრა!

– მერე, რაღას უცდით – რატო აქამდე არ გაგითხოვებიათ?!

– ეჰ, იქ ვიზე უნდა გათხოვდეს, – გულმტკივნეულად მოიჩივლა დედაკაცმა, – სოფელი სუ დაგვეცალა... სანდო და რიგიანები აღარ არიან!

– აღარ არიან და ამოიყვანე აქა, გვაჩვენე – უცოლო ძმაკაცების მეტი რა მყავს! სუ დარჩეული ბიჭები არიან! ოღონდ ქალაქელ გოგოებს ვერა ნდობიან – რა გვესწავლება?!. რა ჰქვია?

– თამილა.

– თამარა?! ო, კაი სახელია!

– არა, არა, თამილა!

– უჰ, თამილა უფრო უკეთესი სახელია!... ჩემს გარეთა ბიძაშვილსაც თამილა გვიქვიან!.. რასა საქმიანობს?

– ვინა, ჩემი შვილიშვილი?

– ჰო, აბა, ვისი?

– რაიონში ქარგვისა და ჭრა-კერვის წრეზე დადის!

– ეგ კარგია! გათხოვდება, ქმარ-შვილი ეყოლება... ოჯახი, ბავშვები... ნემსი, ძაფი, რამერუმე...

– მერე არ იკითხავ, რა ხელი აქვს, ბიჭო! – დედაკაციც ადვილად მიეცა აღფრთოვანებას, – ბაზრობაზე ნაყიდ ჟაკეტს

გულისპირი ხო სულ დაურღვია და ყაისნაღით თავისებურად მოქარგა, კალთების გადაყოლებაც ისე შემოუქარგა...

– თან დაასხი!

დედაკაცმა ბიჭს ცალი წარბი გამაფრთხილებლად აუწია.

– აქაოდა, სასმელი გამეყიდოსო, მე მაგიტომ... გეყოფა, შვილო, არაყს ნუ დაიძალებს – გაზნევს!

– აქ რა იმდენიც მე დავლიე?!. დაასხი-მეთქი!

– კარგი, აი, საბოლოოსაც დაგისხამ!.. აჰა და გეყოფა! ეს მერამდენეა?

– ეგ შენ დაითვალე – გენდობი!

ბიჭმა კვლავ მუნჯურად გადაჰკრა. დედაკაცმა ბოთლი და ჭიქა ისევ ვედროში ჩამალა და ყაჭივით გააბა.

– ჭრა-კერვის მასწავლებელს ეთქვა, მე ჯერ თამილასთანა მოწაფე არა მყოლიაო!.. თვალები და თითები საქარგავად ასხიაო!..

– სა... ქარგავად და... – ბიჭს გონი და ენა ძველებურად აღარ ემორჩილებოდა, – ამოიყვანე აქა და... ძმაკაცებს მოსაქარგი... ნოხების მეტი რა უკიდიათ!

– რას ამბობ, ბიჭო, ნოხს რაღა მოქარგვა უნდა!

– ნუ, რა ვიცი!.. რასაც უნდა!.. ერთი ტრუსიკის ძმაკაცი მყავს, აბრეზა! ჰოდა, მაგის დეიდას მთელი თურქეთი გაბილიკებული აქვს – იმოდენა ფართალსა და იმას ეზიდება!. ამ მასივს სუ ის აცმევს და ახურავს!.. ჰოდა, მოსაქარგის მეტი რა იქნება!.. კაროჩე, ჯერ თამუნა ამოგვიყვანე, ნატურში რო გაიჩითოს!. იტოგში თუკი ერთმანეთი მოეწონებათ... მერე... ჰმ! მე ხო ვიცი – აბრეზა ყველაფერს მიაქარ-მოაქარგვინებს!

– ჰო, შვილო, მაგრამ ბედის საკითხიც არი!..

უცებ გრძელი, ავი დუმილი ჩამოუვარდათ.

– არა, რატო აღარ ასხამ? – ბიჭი კორძიანად ჩაეკითხა და ნერვებმაც უმტყუნა, – უმოტობა არ იყოს!

– არა, ჩემი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლემ – სუფთა ჭაჭაა! – შეცმუკდა შეურაცხყოფილი დედაკაცი და ვედროდან ამოღებული ბოთლი გაბედვით შეანჯღრია, არყის ჯაჭვი და სიკამკამე უნდო მუშტრისთვისაც რომ დაენახვებინა, – აბა, ამას წუნი შეედება?!

ბიჭმაც დრო იხელთა – ბოთლი უტიფრად გამოსტაცა.

– აქ რაღა მდგარა?!

ბოთლი პიონერების საყვირივით მოირგო და სულ ყლარწაყლურწი აუყენა.

– რას შვრები, შვილო! – აწრიალდა დედაკაცი და თავისი ჭკუით ბოთლის წასართმევად წაეტოტინა, – გულ-მუცელს სუ გამოგითუთქავს!.. მაიტა აქა, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!..

ბიჭი მარცხენათი დედაკაცის წატანებულ ხელებს იგერიებდა, თან ცდილობდა, მარჯვენა ხელით ბოთლი მტკიცედ სჭეროდა, თუმც არაყი ნიკაპზე ჩამოეკლაკნა და უკვე გულმკერდზეც ეღვრებოდა. ბოლოს გამოწრუტული ბოთლი ტოპრაკებთან ფალავნურად მიაგდო.

– აჰა, შე კაი ქალო, რა იყო! – დებილურად გაიღრიჯა და წვალებულივით აიყაყვა, – ეხლა წავედი და...

– წახვედი?! ფული? ფულს ვინ გადამიხდის?!

– რაც არა მაქვს, საიდან გადაგიხადო?!. მერე, მერე!.. ხო დაინახე, ძმაკაცებიც არ გამომიჩნდნენ, რო..

– მე შენი ძმაკაცები არ ვიცი! – დედაკაცი თანდათან წიწმატდებოდა, – ფული თუ არა გქონდა, მაშ... მაშინ თავიდანვე უნდა გეთქვა!.. ერთი ჯამი ლეღვი შემიჭამე!.. იმოდენა არაყი დამილიე!.. ეხლა კიდე მეუბნები!.. ფლასიან დედაკაცს მიბრიყვებ, არა?!. გადამიხადე ჩქარა!

– დამიჯერე, ბებუკავ, მერე... სხვა დროს გადაგიხდი!

– შენ არც როდისაც არ გადამიხდი!

– რააა... ო?!. იცი, მე ვინა ვარ!!!

– ეგ რაში მეკითხება – მე ჩემი ეხლავ გადამიხადე!

– ვაა, ეს მაინც თავისას უკრავს! საიდან გადაგიხადო, როცა ჯიბეში კაპიკიც არ მიგდია!

– არ გიგდია და მაშინ რაღასა სვამდი?!

– ო, ეგ უკვე... როგორ აგიხსნა?!. ეგ სხვა პონტია!.. შენ ამას ვერ გაიგებ!.. მართლა არა მაქვს, თორემ!.. – ამოღერღა დედაკაცის მოულოდნელი სიმედგრით ნირშეშლილმა ბიჭმა და უფულობის გამოსახატავად ხელისგულებს ერთმანეთს რომ უსვამდა, ოქროს წვრილმა ბეჭედმა თავი მაშინღა შეახსენა.

წეღან ეზოს კუთხეში მოთამაშე ბავშვები ახლა შეჯგუფებუ-

ლიყვნენ და შორიდან შიშით იმზირებოდნენ.

– აჰა, ოქროს ბეჭედი! – ლოთური გაბედულებით შეიხავლა აღგზნებულმა ბიჭმა და წვალებით წაძრობილი ბეჭედი დედაკაცს კალთაში მოწყალებასავით ჩაუგდო.

გაოგნებულ დედაკაცს თვალი ახლაღა აეხილა და სიბრალულმა გულზე მარწუხივით მოუჭირა – მის წინ აწეწილი ცხოვრებისგან ნაადრევად დაბერებული ყმაწვილი რაცრაცებდა!

– ეგ ბეჭედი თუგინდ ათ ყუთ ლეღვსა და ქლიავს გიყიდის!.. გაიგე ეხლა?!. რაშოტსა ვართ?!. ადოის!

– მოიცადე, შვილო, სად გარბიხარ?!. მოიხედე!.. მობრუნდი! – დაადევნა წამომართულმა დედაკაცმა, თან ცდილობდა, მხრებიდან შალი არ მოსცურებოდა, – შენი არაფერი მინდა!.. მოდი, უკანვე წაიღე ბეჭედი!..

ატორტმანებულმა ბიჭმა შორიდან უკანმოუხედავად ძლივს აუწია ხელები – ყველაფერი მესმის, მაგრამ მე მანდ მომბრუნებელი აღარა ვარო!

– ეხლა ნასვამი ხარ და!.. როცა გამოფხიზლდები, ინანებ! – დედაკაცი მაინც თავისას მისძახოდა, – შაბათს ისევ ჩამოვალ!.. ეს შენი ბეჭედიც თან მექნება და წაიღე!.. კომშსა და ჩურჩხლებსაც ჩამოგიტან!.. აბა, თუ შეისმინოს!..

ბიჭი კორპუსების ეზო-ყურეს გადასცდა და გაუჩინარდა.

* * *

გამტკნარებულ დედაკაცს სამსახურიდან დაბრუნებული ორი ქალი მოადგა. ერთმა ოთხი კილო ხახვი იყიდა, მეორემ – კილო-ნახევარი ნიორი.

– ცერცვიც ხომ არ გექნებათ? – იკითხა სქლად ტუჩებშეღებილმა ქალბატონმა, – ერთი ჭიქაც რომ იყოს, მეყოფა – თმის შესაღების გასაზავებლად მასწავლეს!

– არა, შვილო, ჩვენ ცერცვი არ მოგვყავს!

შემოდგომის მოკლე დღე თანდათან მიიწურა. არემარე მიმკრთალდა.

– ელო ძალო! – სოფლურ კილოზე მოუქცია მეტროსადგურისკენ მაღალი ჩანთების ქნევით მიმავალმა მემაწვნე მეზობლის ქალმა, – ნახევარ საათში ავტობუსიც მოგვივა – ნულარ დააგვიანებ!

– არა, არა!.. დააგვიანებ, რასა ჰქვია?! აი, რაც გამეყიდება, რაც არადა!.. აქ არ დამაგდოთ, ეთო!

– არა, არა, ნუ გეშინია!

ბინდი კორპუსებს შორის შეუმჩნევლად ჩამოიპარა, ეზო-ყურეც გადაიბინდა. ბინებიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოციმციმებდა შუქი. ქუჩის ლამპიონებიც აინთო.

ელოს ახლა რომელიღაც კორპუსის მეზობელი ქალები შემოეძვნენ და ხელი უმალ დაუცალეს – ყველაფერი იყიდეს. თან შაბათისთვის ნაირ-ნაირი შეკვეთებიც მისცეს.

– შინდის კერკი არ დაგავიწყდეს!

– ოღონდ ფელამუშის ტყლაპი რბილი უნდა იყოს – ბოვშვი სულ მაგასა მთხოვს!..

ელომ შეიკრა ბარგი-ბარხანა და თავისიანებისკენ გაეშურა. თან ფრთხილობდა, მხარი არ ჰქცეოდა! ერთმანეთში არეულ ერთფეროვან კორპუსებს გამოსცდა და ცარიელ რაღაც სკვერს რომ გაუსწორდა, ღრენანარევმა ხვრინვამ ელექტროშუქით განათებული კუთხისკენ მიახედა – წეღანდელი ყმაწვილი ტუიის შეწეულ ბუჩქებში ჩადგმულ ზურგიან მერხზე გულალმა გაშოტილიყო, თან ცალი მკლავი ძირს მოტეხილივით ეთრეოდა!

ელო ყოყმანმა შეიპყრო. ჯერ გადაწყვიტა, გაეღვიძებინა და ბეჭედი დაებრუნებინა, მაგრამ იმავწამიერად გადაიფიქრა – ნასვამია და თავის ამქარში ამღამვე შეჭამს ან არ დაეკარგოსო! თან არ უნდოდა, ძილი ჩაემწარებინა! „ამ უბედურს არ დაგრილოს!“– უცებ სიბრალული მოერია და დედაბრული გადაწყვეტილებაც თავისთავად ეწვია – თავისი ახალთახალი ბაწრის შალი გადაეფარებინა, მაგრამ გულში ახლა შიში ჩაეპარა – ვაითუ მერე აღარ გამომიჩინოს და მე რაღა მეშველებაო! „არ გამომიჩენს და აღარც მე დავუბრუნებ ბეჭედს!.. აბა, ერთი ნუ გამომიჩენს!.. მართლა ყაჩაღობა ხო არ არი!“– ბოლოს ამნაირად გაიმხნევა თავი.

მძინარეს ჯერ გადმოვარდნილი მკლავი შეუკრიფა. მერე ვედროდან ამოღებული შალი სიგრძივ დააშალა და გვერდებიდანაც დედაშვილურად შეუგო.

არყით გახეთქილ ყმაწვილს ერთხელაც არ შეუჩუჩუნია. მის ფარეზობას რომ მორჩა, თავისებურად დაიმედებულმა ელომ ბარგი აიღო და თავის გზას აჩქარებით გაუდგა.

* * *

გვიანი ვახშმობაც გადავიდა.

უზარმაზარ ქვაბულში ჩაფენილი თბილისი უთვალავი ელნათურით გამომწვევად, თუმც რაღაც უაზროდ ჩახჩახებდა...

ნაადრევად დაბერებული ყმაწვილი შიმშილმა და სიგრილემ გამოაღვიძა. თავწამოწეული, ელექტროშუქისაგან დასხივებულ თვალებს მტკივნეულად აბლატუნებდა და ვერ გარკვეულიყო, ამჯერად სადღა ეგდო ან ზევიდან ეს რა ეფინა! მაგრამ თვალში გადავსებული სანაგვე ურნა რომ ჩაუვარდა, ყველაფერი თავისებურად გაივარაუდა! აბრეზასა და კარანდაშას ატამანობით ამას ძმაკაცები იანგლებდნენ: მისთვის სანაგვეზე გამოტანილი რაღაც ბინძური საფენი წაეფარებინათ, თავად კი, ცხადია, ხოსროს დუქანში გრიმიტობდნენ, თან მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ და სიცილ-ხარხარისგან იგუდებოდნენ!

– ოხ, თქვე განდონებო! – შლეგურად წამოვარდა და ზიზღით მოძრობილი შალი ნაგვის ურნისკენ გააფრიალა! ფურთხვა-ფურთხვით ტანსაცმელსაც მონდომებით იფერთხავდა!.. მერე გულცხელზე ჯავრის ამოსაყრელად და ხელახლა ჩასაცეცხლად „ცხვირდასაჟეჟი"ძმაბიჭების საძებრად გაესწრაფა!.. მაგრამ ვერავის პოულობდა – ვინ იცის, ვისთან ქუჩილაობდნენ ანდა რომელი სად იყო და რას აკეთებდა!..

იმ ნაშუაღამევს შემთხვევით შემოყრილებს მობილური ტელეფონით ორიოდე სიტყვის გადარეკას დაუფიქრებელი დარდიმანდობით სთხოვდა, მაგრამ ყველა რაღაცას იმიზეზებდა და ფეხაჩქარებით შორდებოდა!

მარტო დარჩენილი გემოჩატანებით იგინებოდა და იხტიბარს მაინც არ იტეხდა: ცოცხით მოგვილი საძმაკაცოს ჯოგურ ურთიერთობას შეტკბობილი, ქუჩა-ჩიხებში შებერტყილის ჟინმორევით დაწოწიალებდა...

* * *

მთვარე?

„მთვარეო?! – იკითხავს შეცბუნებული მკითხველი, – კი მაგრამ, აქ რა შუაშია მთვარე?"

ჰმმმ, აქ მთავარი მთვარეა!!!

ადამიანებისაგან იმედგაცრუებული, გაფითრებული მთვარე წალურჯო ცაზე გოგრსავით ეკიდა და ქვეყნიერებას შემაძრწუნებელი გულგრილობით გადმოსჩერებოდა: დამღალა თქვენმა ურიგმარიგობამ!.. როდემდე და სადამდე?! არ იქნა თქვენი გამოსწორება!.. არადა, თავშიც ქვა გიხლიათ – რაც გინდათ, ისა ქენით!.. მე კი თავი დამანებეთ და ჩემზე ლექსების თხზვასაც შეეშვითო!..

საიტის ტურები

ინტერნეტი მშვენიერი თავშესაფარია
თვითმარქვია ადამიანებისთვის.

თადეუშ დომბროვსკი (1979 წ.)
პოლონელი პოეტი

ერთ-ერთი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის წერილში „ბოქვნის მწერლუკანები" შუახნის მწერალმა ოროველ მეგუთნიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა „ლიტერატურულ ინოვაციებში" დაბეჭდილი დამწყები პროზაიკოსის, ჯერალდ ტოლერაშვილის ე. წ. მოთხრობა „იქ, ქალის ფეხებშუა" თანაც გააკრიტიკა ნოვატორული წინდახედულობით! მიუხედავად იმისა, ტექსტი თავიდან ბოლომდე აღმაშფოთებელი ბილწსიტყვაობით იყო ნათითხნი, ამაზე საგანგებოდ არც შეჩერებულა! თორემ ყურადღება ამ კუთხით რომ გაემახვილებინა, შეიძლება მკითხველებს მცდარი წარმოდგენა შეჰქმნოდათ: რაკი ასეთი „გაბედული" მოთხრობა დაუბეჭდეს, ეს ტოლერაშვილი, ალბათ, ნიჭიერია, ცნობილი მწერალი კი მარტო გადამლაშებული უხამსობისთვის უხირდება, სხვა ყველაფერი კი წესრიგში ექნებაო!!!

მეგუთნიშვილმა მხოლოდ შესავალში, ისიც გაკვრით გადაუარაკა ქართული ენციკლოპედიის მე-9 ტომის ილუსტრირებულ სტატიაზე „ტილები". როგორც ბუნებაში არსებობს თმის, ტანსაცმლისა და ბოქვნის ტილები, ისე ბოლო დროს ქართულ ლიტერატურაშიც მრავლდებიან ბოქვნის მწერლუკანები, სახადივით რომ აშინებთ ადამიანური ურთიერთობის მრავალფეროვნებასთან მხატვრული შეხება და ბოქვნის ტილებივით ერთთავად ქალისა და მამაკაცის ფეხებშუა ფუთფუთებენო!

ოროველმა მოურიდებლად გახაზა ავტორის უცენზურო აზროვნება და ჭკვაგარკვევით გაათვალსაჩინოვა: ვინც მწერლად გახდომას მოინდომებდა, უნდა შესძლებოდა თემის ბუნებრივი გამოკვეთა და თხრობის მხატვრული დამორჩილება! მწერლობაში მხოლოდ თვითმიზნური სკაბრეზის იმედით თავლაღად მომავალ ტოლერაშვილსა და კამპანიას კრიტიკული წერილის სუსხ-

იანი დასკვნა არჩევნის წინაშე აყენებდა – ან უნდა შეეცნოთ მხატვრული ლიტერატურის რაობა და მიზანი, არადა სამუდამოდ ჩამოსთხოვებოდნენ ამგვარი უწმაწური ტექსტების მჭადივით ცხობას და სხვა რომელიმე ხელობას მოჰკიდებოდნენ!

* * *

უმცროსი კოლეგისადმი, სიცოცხლეში თვალითაც რომ არასოდეს დაენახა, თან რაღაც მამაშვილური თანაგრძნობით ატანილ მეგუთნიშვილს ეგონა, უფრო საფუძვლიანად გარკვევის მიზნით გაკრიტიკებული დებიუტანტი სადმე შეხვედრას სთხოვდა, ხოლო თუ სიმორცხვე გადასწონიდა, მაშინ ბინის ტელეფონით (თვითონ მობილურ ტელეფონს არ საჭიროებდა) თვალის ამხელ უფროს კოლეგას ზრდილობის გულისთვის მჩატე მადლობას მაინც შემოუთვლიდა.

კრიტიკული წერილი მარტის ნომერში დაიბეჭდა. აპრილი და მაისი შეუმჩნევლად ჩამოიძაფა, ტოღერაშვილისგან კი რაღაც არაფერი ისმოდა! მეტ ალალბედურ ცდას აზრი აღარ ჰქონდა – ოროველის გაშუალებული რომანი სოფლის სიმყუდროვეში გაგრძელებას ითხოვდა. თავის ქერქში ვეღარც მეუღლე დგებოდა: დაუცადებელი საზაფხულო სამუშაოებისას და და სიძე ცას ცხვირით რომ ეკიდა, თუ დახმარება იყო, სწორედ ახლა უნდა დახმარებოდნენ, თორემ მერე დაგვიანებული იქნებოდა!

საგულდაგულოდ გაემზადნენ და სამ ივნისს გაემგზავრნენ.

* * *

თბილისში ოქტომბრის ბოლოს დაბრუნდნენ. ჰაერდახუთულ ბინაში ბარგი ის-ის იყო შეზიდეს და ჯერ სარკმლების გამოღებაც არ დაესრულებინათ, რამდენიმე ნაცნობმა მწერალმა ერთმანეთის მიყოლებით ისეთი ყოფით დარეკა, აშკარა იყო – მთელი ეს ხანი მის გამოჩენას მოუთმენელი მახარობლის ჩასაფრებით უცდიდნენ!

– სადა ხარ, სად? – კოლორატურული სოპრანოთი შემოსწიოდა რომელილაც ლიტპრემიის ლაურეატი და საქართველოს ათი-თორმეტი რაიონის საპატიო მოქალაქე, პოეტი ჩარიტა კონოლაძე, – მთელი ზაფხული ვის აღარ ვურეკავდი, მაგრამ არ-

ავინ იცოდა შენი ასავალ-დასავალი! გაგონილა ასე?!. აქ ლამის...

– რა მოხდა, ქალბატონო ჩარიტა?

– რაღა რა მოხდა!.. ჩარიტამ ხმას უფრო შეუმაღლა, – ტოღერაშვილის მომხრეებს ინტერნეტსაიტებზე იცი, რა ამბავი აქვთ ატეხილი – პირდაპირ ცოცხლად გმარხავენ!.. მოკლედ, თავს მიხედე!.. ისე, მე თუ მკითხავ, შენი ბრალიც არის – მაგათ ხმა შეეძრახება?! ეგენი მარტო აქე და ერიდე, აქე და ერიდე!.. ჩვენ კიდევ იქნებ ღია წერილი გაგვეშანშალებინა?!. არავისი არ მეშინია – ხელს პირველი მე მოგიწერ!..

* * *

ინტერნეტსაიტებით დამუქრებამ მეგუთნიშვილს წარბიც ვერ შეახრევინა, ვინაიდან ამ ფორმით გავრცელებული ვისიმე კრიტიკა რაღაც ირეალური და ამდენად, არასერიოზული ეჩვენებოდა, როგორც ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი და უკონტროლო! მართალია, კომპიუტერის გამაოგნებელი შესაძლებლობების წინაშე ქედს იხრიდა, მაგრამ ამავე დროს თან შავი ჭირივით უფრთხოდა!

მეუღლის მიერ მის წასაქეზებლად ნაყიდ „კომპიუტერის ტერმინოლოგიის განმარტებით ლექსიკონში“ მჭიდროდ ჩარაზმული უცხო, თანაც პირველად განაგონი სიტყვები: **სკაიპი, პრინტერი, ვინდოუსი, ექსელი, ვორდი, ბაიტი, ბიტი, გიგბაიტი, პლეერი, ფლირჩატი, ჩიპი, ჩატი, გაჯეტი, ფოლდერი, სკანერი, ფაილი, შპინდელი, პიქსელი, ჯეოსტიკი, კამკორდი, ტვიტერი, კლასტერი, კეში, სიმულაკრი, კარტრიჯი** და სხვა მრავალი მის საფრთხენაგრძნობ წარმოდგენაში მშობლიური ენის გასანადგურებლად რომელიღაც უცხო პლანეტიდან ნავარჯიშევი სიმწყობრითა და გამაბრუებელი წუილით მონაფრენი ჯიშიანი კოღოების ღრუბელს ემსგავსებოდა, გზადაგზა შემხვედრ სხვადასხვა უცხო ენებს ნაცადი სიადვილით რომ ანადგურებდნენ და ყველგან თავიანთი ამპარტავნული მეუფების დამკვიდრებას ლამობდნენ!!! ამიტომ მოსაღოდნელ პირად საფრთხეს ბიბლიური წინათმგრძნობელივით ჭვრეტდა: მისთვის ჯერ უცხო ჰანგზე მოზუზუნე ამ გაუგებარი სიტყვების აზრს რომ ჩასწვდენოდა და რაც ყველაზე საშიშად ეჩვენებოდა, მერე ზუსტად თავის დროსა და ადგილას მათი გამ-

ოყენების მაცდურ მშვენიერებასაც ზიარებოდა, მაშინ მწერლურ გაარარავებას ვერ აიცდენდა – მისი უპატიებელი „ღალატით“ გულნატკენი მშობლიური ენის სიფაქიზე და ტანჯვა-წვალებით მიგნებული იდუმალება სამუდამოდ ზურგს შეაქცევდა!

წაცდენის აღმძვრელი კომპიუტერული ტერმინები – **ციფრული მარყუჟი, ავარიული დასრულება, საინტერფეისო ბარათი, კასკადირებული სარკმლები, ოპციათა სია, დაკარგული კლასტერები, ბრძანებების ინტერპრეტატორი, დინამიკური სიმტკიცე, ლოკალური სალტე, ჩამტვირთავი ვირუსი, სისტემის კრახი, ფატალური შეცდომა, ობიექტების იერარქია, პროგრამული უტილიტები, მეხსიერების ბუფერი, ეკრანზე ობიექტის გადათრევა, პროვაიდერის სერვერი, მამრობითი შესაერთებელი, გამოყენებითი სისტემის არქიტექტურა, ეკრანირებული კაბელი, სიგნალის დაკვანტვა** და სხვა უამრავი ცნება ქართული ენის უკიდეგანო ულრანებში წლობით ნაწრთობ მის მოქნილ ათვისებისუნარიანობას ცდუნებაატანილ ბავშვივით აგულიანებდა: ნაცნობების დაცინვის გასაბათილებლად – შენ მაგის ამთვისებელი არა ხარო, მშობლიური ენისა და მწერლობისთვის დროებით სულ მიენებებინა თავი და ახლა კომპიუტერულ სამყაროსაც ისეთი ჩვეული გაქანებით ჩაღრმავებოდა, მთელ თბილისში თითით საჩვენებელი ინტერნეტასი გამხდარიყო!!! მაგრამ გულში კომპიუტერის შეძენის საცდელი სურვილიც რომ ჩაჰპარვოდა, ისევ და ისევ ნაცადი შიში დაბორკავდა ხოლმე: ვაითუ მაშინ თავს ვეღარ მორეოდა და მილიონების მსგავსად ისიც ამ ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ჯადოსნურ-ჯოჯოხეთური ყუთის მოდურ მონად და მის დაჩლუნგებულ მომსახურე ტექნიკურ პერსონალად ქცეულიყო!

ნაცნობებზე დაკვირვებით კომპიუტერი მის წარმოდგენაში თანდათან ემსგავსებოდა აქა-იქ ნათრევ უნივერსალურ კახპას, რომელმაც მწერლისთვის საჭიროზე მეტისმეტად ბევრი რამ იცოდა და შეეძლო! ამიტომ გლეხური გეში ყურში სულ ამას ჩასძახოდა – კომპიუტერი იმდენს არაფერს ასარგებლებდა, რასაც არ მოაცდენდა და გამოფიტავდა!!! ამასთან უკიდურეს შეურიგებლობამდე მიჰყავდა ყოველ ნაბიჯზე თვალში საჩხერ აკადემიურ აბრებსა და ბატიფეხურ ნაჯღაბნს – „კომპიუტერის რემონტი: გაწმენდა, დაზეთვა, ხმაურის ჩახშობა, დაჯეკვა...

ნაწილების შეცვლა, დიაგნოსტიკა... ანტივირუსის ინსტალაცია... ქულერის და კეისის გაწმენდა... ჯეკის დასმა...“

ღმერთო, როგორ შეიძლებოდა ამის წარმოდგენა, დაშვება და მით უმეტეს, ატანა: საყოფაცხოვრებო რაგინდარა ჯაბახანა ტექნიკის მსგავსად მარტომყოფი მწერლის შემოქმედებითი იდუმალების ერთადერთ მოწმესაც, კომპიუტერს ამდენი სახის რემონტი დასჭირვებოდა და მის გამოსაფაშვავად წარამარა ვიღაც უნაღვლელ-თავდაჯერებული უცხო ხელოსნის უხეში ჩარევა გამხდარიყო აუცილებელი!... არადა, დარწმუნებულიც რომ ყოფილიყო, კომპიუტერი მოულოდნელად გენიოს მწერლად აქცევდა, მაინც ველარ შეელეოდა უკვე სისხლ-ხორცში გამჯდარ თავისი მუშაობის ყაიდას, სამად სამ მშვენიერებაზე რომ ეფუძნა: კალმისტარი, მელანი და ქაღალდი!.. ამგვარი შედარება გულს უპირატესობის განცდით შეუტოკებდა ხოლმე, ვინაიდან დარწმუნებული იყო, ბუნებაში ვერასოდეს გაჩნდებოდა მწერლური გამორჩეულობის შეურაცხმყოფელი ყინჩი აბრები – „კალმისტარის რემონტი: წვერის გამონკება, გაქლიბვა... დაზეთვა და ჯეკის დასმა... წერისას ხმაურის ჩახშობა... ქაღალდის დიაგნოსტიკა და გაწმენდა... მელნის ანტივირუსის ინსტალაცია“ და სხვ!.. ხელნაწერები კი ერთ-ერთ კომპიუტერულ ცენტრში, რედაქციებსა და გამომცემლობებში ამ საქმით გატაცებულ მეუღლეს მიჰქონდ-მოჰქონდა!..

* * *

ოროველის თბილისში დაბრუნება, ეტყობა, ჩარიტამ ქვეყანას მოსდო – ნაცნობი მწერლები წამუწუმ ურეკავდნენ და თავ-თავიანთი კომპიუტერებით მომსახურებას სთავაზობდნენ. მაგრამ ოროველი ერიდებოდა ვისიმე შეწუხებას. მესამე დღეს ქალაქის ერთ-ერთ ინტერნეტკაფეში მივიდა და თანამოკალმეებისგან ნანიშნი საიტები მოანახვინა.

„დოქტორო მეურმევ თუ მეგუთნევ, ჯერ ერთი ეს გაგვაგებინეთ, ვინა ხართ ანდა როგორია თქვენი ნამდვილი სახელი – ოროლა თუ ტოროლა?!. როგორ ბედავთ და წუმპეში ამოსვრას უპირებთ ქართული პროზის ამომავალ ვარსკვლავს, ჯერალდ ტოლერაშვილს,

რომელიც ჩვენი გენიალური ლიდერია!.. ამგვარ მიქარვას გაპატიებთ, როგორც დასტრესილ გრაფომანს, ოღონდ ერთი პირობით – სახალხოდ ბოდიში უნდა მოგვიხადოთ! გაიგეთ?"

გაერთიანება „პოსტმოდერნიზმის" ახალგაზრდა მწერალთა ავანგარდი: ჯუმა შუტლაყიშვილი, მაკა გალუმპული, ბისმარკ წარაფელი, უშბა ესესაიძე, გაბედულ გაბედავა, ლომკაც პატარკაცი, თინათინ უხმარი, მადლენ ნახმარი, პირქუშა, ია საძეკი, ზოია ნაძეკი, ცაცო დუყლუყაძე, ცირიკო ცრიატი, ტატკა ზედაზნელი, ელვირა ქვედაზნელი, მაია მონბლანი, ცათამბჯენ ულაყიშვილი, ვერიკო ვაკანსია.

„გლეხკაცო მეგუთნევ, ხელად მიგიხვდით ვირეშმაკობას – იმ სულელური კრიტიკული წერილით საკუთარი უსუსური შემოქმედების გარეკლამირება გსურდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაიგდე!.. ჯერ ისედაც რა მწერალიც შენა ხარ და ამის შემდეგ ცხოვრება სულ გაგანულებს... განულებულიცა ხარ და ეგაა!"

ცნობილი ახალგაზრდა მწერლები, საიტური კონკურსების ლაურეატები: ზიზო კრაჭაჭუნაშვილი, ნიბელუნგ მთაწმინდელი, პელო ხლერჩოშვილი, გარიბალდ სურსავა, დიანა ჭაჭლიკაური, ვასილ ბროშანაშვილი, ჯომოლუნგ ჩქაფანაიძე, ხათუნა იორღა, ნოშრევან თარჩაყიშვიილ, ელისო ნიამორი, მათე მეხთამტეხელი, მაგული თურაშაული.

„გზას აცდენილო მეგუთნევ, საცოდავი ხართ, ჩვენი ტოლერას გენიალურ შედევრს სოცრეალიზმის დამყაყებული პოზიციიდან რომ იხილავთ!.. არ გესმით, რომ ჯერალდის პერსონაჟის ქალთან ურთიერთობა ონტურ-შრეობრივ სტრუქტურებში იმანენტური სახით ვლინდება, როგორც ეგოს შიგნით კონსტრუირებადი კოგიტატიუმი! თქვენ კი პოსტსტრუქტურალიზმში ენის ონტოლოგიური დეკონსტრუქციის იდეა მის პროცესში გერევათ!.. თუმც ამაზე ვის ველაპარაკებით – დეკონსტრუქცია თქვენ, ალბათ, რეკონსტრუქცია გგონიათ!.. ხა-ხა-ხა!"

გაერთიანება „თამამი ყლორტების" ახალგაზრდა მწერალ-

თა ერთი ჯგუფი: თეა კიპაძე, ათადანბაბა პაჭიჭურაშვილი, ჯანო უშუნთიშვილი, ჟუჟუნა ოჯალეში, ნინი ნიმუში, აფრაკ აფრიკელი, ნესტან ნესტარი, სერვანტეს ვერელი, ლედი გაშხლართული, ინგა გასაშხლართი, ბიჭიკო ძგათანაშვილი, კაკო სატეხი, ციალა ცდუნება, კარლო ზვრიტანიშვილი, დურუ თავისნათქვამა, გეგე აპალაჩელი, სოსო საიტელი...

* * *

ამდენი უცნობი გვარისა და უცნაური ფსევდონიმების ამოკითხვამ ოროველს თავი გაუბრუა! ინტერნეტსივრციდან ოპონენტების ხმა წარმოსახვით კი ჩაესმოდა, მაგრამ აქ ჩამოთვლილთაგან სახით არც ერთ მათგანს არ იცნობდა, ლიტერატურულ პრესაში ჯერ მათი არაფერი წაეკითხა, ვინაიდან მათი მწერლური სანავარდო ინტერნეტსაიტის არხაჯი ყოფილიყო – ვინც რას შეხანხლავდა, საიტზე გულდაგულ დადებდა და მერე თავს მწერლად გამოაცხადებდა!!!

ამგვარმა გაიოლებულმა ინტერნეტცუღლუტობამ ერთი ძველისძველი თავგადანახადი გაახსენა. მათ მივარდნილ სოფელს გრძელი, მიხრამულ-მოხრამული ოხერხევი ჩაუდიოდა. ხევგაღმა წამოყუდებული ტყიანი გორები ტურებით იყო სავსე! ოღონდ ზაფხულ-შემოდგომობით მათი ჩამიჩუმი არ ისმოდა. მაგრამ ზამთარში ყინვა და შიმშილი რომ შეაღონებდათ, ღამღამობით ისეთი გაუთავებელი კივილ-ღნავილი ედგათ, ყურთასმენა აღარ იყო – თითქოს ემანდ, ბაღჩებში და გომურებთან დაძრწიანო!.. ნუღარ იკითხავთ მთელი სოფლის ძაღლების საპასუხო ღავღავს!..

მეცხრე კლასის მოსწავლემ ერთხელ ცდუნებას ვეღარ გაუძლო – ერთ ჩასაფრებაზე რამდენიმე ტურას მოვინადირებო! ვაზნები იყიდა და კარის მეზობელს, კრიზეინაანთ ფიდოს ორლულიანი თოფი ეთხოვა. დახშირბინდებულზე თბილად ჩაიცვა და თოფგადაკიდებული, სანეტარო გორებისკენ გულის ფანცქალით გაეშურა.

უთოვლო ნოემბრის ცივი, მთვარიანი ღამე იდგა... ბღაუჭა ეკლებით გადართხმულ გოხნართან ორტოტა ბილიკს წაადგა. ერთი ბილიკი ჩაუვალ ფლატიანში ხლართულად ეშვებოდა, მეორე – გორის უროიან ზურგს გადასდევდა. ბილიკისპირა ღიჭნარ-

თან იმსიმაღლე შამბი აშლილიყო, შიგ თუგინდ კამეჩი ჩაიმალებოდა! ისიც სწორედ ამ ლიხნარში ჩასაფრდა და ლოდინად იქცა – ტურები ან ფლატედან ამოძვრებიან, ანდა მეორე ბილიკზე ამირბენ-ჩამომირბენენო! მაგრამ იმედი მოუცდა – იმოდენა ნამშევი ტურების მოუსვენარი კივილ-ღნავილი გორების გაღმა-გამოღმა დაუძინებლივ ისმოდა, თოფმომარჯვებული ნორჩი მონადირის ცხვირწინ კი ერთსაც არ აურბენ-ჩაურბენია!!!

მეტს ველარ გაუძლო და საფარი დააგდო. სიცივისაგან ხელფეხი ისე დაბუხებოდა, შინამდე ძლივს აატანა!

* * *

იხტიბარი მაინც არ გაიტეხა – მესამე ღამითაც წავიდა! მაშინ ძირს რომ ვიჯექი, ალბათ, სუნი იკრესო და ამჯერად ერთი ჯმუხი, შუროსკენ წაწვენილი მუხა აირჩია. ზედ რის ვაი-ვაგლახით აბობღდა, თოფი და მამის დურა ტყავი კი აპეურით აითრია. სქელი ტოტების იღლიაში საიმედოდ მოიკალათა. შემთხვევით რულმორეულს ძირს ზღართანი რომ არ მოსდენოდა, თავიცა და თოფიც აპეურებით დაიბა... ახლაც იგივე განმეორედა: მთელ იმ არიარეს ტურების ცივი კივილ-ჩხავილი იკლებდა, მუხის ქვეშ კი სულიერს არ გაუჭაჭანია!

საფათერაკო ახირებაში გადაზრდილ ჭაბუკურ იმედს მაინც არ კარგავდა: ხვინჭიან ბილიკზე ტურები აი, ახლა კი ჩამოიცუნცულებდნენ და თოფს ორივე ლულიდან აუცდენლად დააჭექებდა!.. მაგრამ იმედი იმედადვე ჩაუკვდა – გაბარჯღული ტოტებიდან მოჩინარი, მთვარით განათებული უჩამიჩუმო ბილიკი თავისთვის გაბუტულივით ეგდო, უხილავი ტურები კი ისრის მანძილზე გულის გამაწვრილებლად ღნაოდნენ და ჩხაოდნენ!

უყისმათობისგან ლამის ატირებულიყო! თოფის დაქუხებას და ტურის ამოკოტრიალებას აღარ დაეძებდა – ახლოდან ცოცხალი ტურა მაინც დაენახა, ერთი რანაირი იყო ან როგორ დასუნსულებდა! თავისი სიწრფელის ნათელსაყოფად თოფიდან ვაზნებიც კი ამოყარა!..

შაშვების შეჭახჭახებამ შეაფხიზლა – თვლემამორეულს თავზე დასთენებოდა!.. ირგვლივ იმგვარი სიწყნარე იდგა, ტურების წუხანდელი კივილი ნასიზმრად ეზმანებოდა... მიდამოს თხელი

ჭირხლი ეფინა... დურა ტყავსაც ველარ ეშველა – სიცივისაგან გახევებულს მოეჩვენა, მუხის როკიან ტოტებს ფითრის ბულუ-ლასავით შეზრდოდა და ველარასოდეს შეძლებდა მათგან გამო-ცალკევებას!.. დაკრუნჩხული თითებით თავი ძლივს აიშვა. ჩა-მობობღებისას მაინც მოსძვრა მსუბუქი ზღართანი, თან ლოყაც გაიკაწრა, მაგრამ ამასღა ჩიოდა – კიდევ კარგი, ნათხოვარი თოფი უდაღოდ გადაურჩა!.. მაღალი სიცხე იმ დღესვე მისცა... მერე კი კვირა-ნახევარი გამოუბრუნებლად აცივ-აცხელა და რაისაავადმყოფოს ექიმებმა სიკვდილს ძლივს გააგდებინეს პირი-დან!.. გამოსაღებული, მაგრამ გასავათებული შინ რომ ჩამოიყ-ვანეს, ყველაფერი ისევ ძველებურად გაგრძელდა: აღნავლებული ტურები სოფლის ძაღლებს მთელი ღამით აყეფებდნენ, თავად კი არსად ჩანდნენ!..

* * *

კომპიუტერთან მიმჯდარ თავგაბრუებულ ოროველს მოეჩვე-ნა, ახლაც თითქოს მსგავსი რაღაც უმეორდებოდა: ამოდენა უხილავი ოპონენტები უკიდეგანო ინტერნეტსივრციდან საიტის ტურებივით თავდაჯერებით შემოჰკიოდნენ, ის კი არც ერთ მათ-განს, როგორც მწერალს და პიროვნებას, არ იცნობდა!

„მეგუთნეობის დოქტორო, სანამ ახალგაზრდა მწერლების კრიტიკას შეუდგებოდით, ჯობდა, ჯერ დერიდა, ჟან-ლუი ნანსი, მარტინ ჰაიდეგერი, ედმუნდ ჰუსერლი, ბოდრიარი, კიერკეგორა, მიშელ ფუკო, პოპერი, ნატორპი, კოჰენი, ალბერტ ლანგი თუ რი-ჩარდ ჰონიგსვალდი წაგეკითხათ!.. ან იმაში მაინც ერკვეოდეთ, რას ნიშნავს ცნობიერების ნაკადი, თხრობის ეზოთერიული ხასიათი, იდეის კონოტაცია, განცდის არდეფაქტად გაფორმება, თხრობის მაიევტიკური სტილი, ენობრივი სედიმენტაცია, ტექსტის პროფეტ-ული გაგება, ენისადმი ტემპორალური მიდგომა, იდეის დიქტოტო-მია!.. თუმც ველარც ამის ცოდნა გიშველიდათ, ვინაიდან სუსლოვის იდეოლოგიით გაგრანიტებული თქვენი ლიტგემოვნება ახალგაზ-რდა მწერლებს მხოლოდ ხელს გვიშლის, შევქმნათ ახალი მხატ-ვრულ-ლიტერატურული მიმდინარეობები!“

ლალი ტოპრაკაშვილი, ათაბაგ გრაგანაშვილი, კობა კრავიმკრეჭელი, მარი თენთანაური, პრუსტი მტკვრისპირელი.

„ჯერ კიდევ შექსპირმა ათქმევინა ოფელიას ფეხებთან წამოწოლილ ჰამლეტს – ვა, რა კარგი ყოფილა ქალის ფეხებშუაო, თქვენ კი ჩვენს ტოლერას არაფერს პატიობთ!.. არადა, აქ ტექსტი და სექსი დეკონსტრუქციულად იაზრებს ახალი სტილის არსებობას ლოგიცეტიტის საფუძველზე. ამიტომ მის თხრობაში კარტეზიანულად ვლინდება დემიურგოსის ქვეცნობიერების თეოფანიური მანიფესტაცია, რამაც მის ეზოთერიულ ხასიათს ახლებური კონოტაცია შესძინა!.. მაგრამ ეგეთი ფოკუსები არ გაგივათ და ახალთაობელებს გზას ვერ აგვირევთ – ვისაც როგორ მოგვეხოშება, ისე და იმას დავწერთ!“

ფალავან ფალავანიძე, ჯუდი მარკესაშვილი, ლოლიტა დამყოლი, ენრიკო კოსაძე, ანტონ დღეგრძელი, სონეტა არჯაკელი, ლომისდარ ტყრუშელი, დიმა სნაიპერი.

„ბატონო მეგუთნეთმახერო, იქნებ ჯობდა, მწერლობასთან უშედეგო ჯახირს შეშვებოდით და ეგ ხელები ისევ გუთნისთვის მოგეკიდათ! მით უმეტეს, მეხრეს არ დაღონდებით! ქართულ მწერლობაში თქვენსავით კიდევ ერთი უმაქნისი ვიღაც ჯემალ მეხრიშვილია! ჰოდა, ის კიდევ მეხრედ წაგეყვანათ და!.. მაგრამ აი, უბედურება: დღეს გუთანი ვიღას რაში სჭირდება – მიწებს ტრაქტორები ხნავენ!.. სამწუხაროა, სამწუხარო!“

ადის-აბება ულერია,
ჯერალდის ტალანტის თაყვანისმცემელი, მწყერჩიტას პრემიის ლაურეატი.

ოროველმა აქ კი ველარ შეიმაგრა მარილიანი ღიმილი. იმწუთას ო, როგორ მოეწყურა ეს ადის-აბება ანუ ამჰრულად ახალი ყვავილი, გვერდით მოესვა და ერთი მამაშვილურად გამოსაუბრებოდა!. ალბათ, აუწერლად მიამიტური მზერა და თვალები ექნებოდა!.. აშკარად ჩანდა, ის აზრზეც არ იყო, დღეს რომ უფრო მძლავრი და სრულყოფილი გუთნებია, ვიდრე ოდესმე! ხოლო

სადღაც შემთხვევით თვალმოკრული ტრაქტორის მუხლუხების ნაკვალევი, ცხადია, ნახნავი ეგონებოდა! ამიტომ წარმოუდგენლად მოუნდა ამ ადის-აბებასთვის აეხსნა – მიწას უშუალოდ ტრაქტორებით კი არ ხნავდნენ, არამედ ტრაქტორებს მიბმული საკიდი, საბრუნი, მისაბმელი, ხრახნული, ნახევრადხრახნული, ღრმა ხვნის, საპლანტაჟე, საერთო და სპეციალური დანიშნულების გუთნებით!.. რომ ნებისმიერი მარკის გუთანს აქვს საკვეთი, საგლეჯი, წინსახვნელი, სახნისი, ფრთა, ფარცხის მისაბმელი... თუმც ექნებოდა კი აზრი ამის ახსნას?!. ეჰ, ამათნაირები მწერლობაშიც ასეთი მცდარი წარმოდგენით თვალაბმულები მოაბოტებდნენ: ეგონათ, ლიტერატურულ ნიჭს თავაწყვეტილი სკაბრეზი და უკიდეგანო ინერნეტლაჟვარდები ჩაანაცვლებდა!!!

„გუთნის დირექტორო თუ დოქტორო, მაგ თქვენი კრეტინული კრიტიკული წერილიდან ახლაღა გავიგეთ ამ ქვეყნად თქვენი არსებობა! მაშ, თუ არ დაგვზარდებით, ერთი ლოთიანად „გაგვიიასნეთ“, საერთოდ, ვინ ხართ და რას წარმოადგენთ, ჰა?!“

ახალგაზრდა მწერალთა წაღვერის შეკრების მონაწილეთა სახელით: **კაკალა ტონჩიშვილი, ნუკრი მოუთმენელი, ნანი ცისარტყელა, ფატუშა ცოცმანაშვილი, შმაგი შმაგური, ფიქრია ფიქრისგორელი, ბაყბაყ მგმინავი, ვულკან თოხჩიძე, კოკა კალმახი, ბესო ფარხაჩიშვილი, თეთნულდ თოშიშვილი.**

განაბრუებმა ოროველმა თავი ანება ამგვარი ერთფეროვანი საიტების კითხვას. მომსახურების საფასური გადაიხადა და სუფთა ჰაერზე გამოვიდა. იქვე, ცარიელ სკვერში განმარტოვდა, განუყრელი ხალვათი უბის წიგნაკი ამოიღო და რომელიმე ლიტერატურულ ორგანოში მისატანი პასუხის წერას შეუდგა.

„საიტელ ცნობისმოყვარეებს!

(ჩემ მიერ ჯერალდ ტოღერაშვილის ე.წ. მოთხრობის გაკრიტიკებასთან დაკავშირებით).

მე თქვენთვის და თქვენნაირებისთვის არასოდეს არაფერს არ წარმოვადგენდი, არც ახლა წარმოვადგენ და, ცხადია, არც მომავალში ვიქნები რამე...

საიტებზე თქვენი გამოხმაურებებიდან მე ასე გავიგე: მტკიცედ გადაგიწყვეტიათ, ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს ლიტერატურული მოღვაწეობით ემსახუროთ!

მიზანი კეთილშობილურია და ღმერთი გიკურთხებთ!

მაშ, საზოგადოებას დროზე უჩვენეთ, რის შემძლეა თითოეული თქვენგანი.

კეთილი სურვილებით.
ოროველ მეგუთნიშვილი
03.11.16

რაწამს უბის წიგნაკი და ავტოკალამი შეინახა, გადაწყვიტა, უკანვე დაბრუნებულიყო და მეუღლეს რამეში მიხმარებოდა. მაგრამ გულმა შინისკენ არ გაუწია – მალამოსავით ჯერ რაღაცას ითხოვდა!

მიზეზს მალე მიხვდა: 124-ე სამარშრუტო ავტობუსს ამგზავრებოდა და გუნების დასაწმენდათ მთაწმინდის პლატოდან თბილისისა და მისი შემოგარენისთვის გადმოეხედა...

შეიხი

ეძღვნება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ სუსტი სქესის წარმომადგენლებს!

თბილისის ამ განაპირა კუთხის მაცხოვრებლები მოულოდნელად გავრცელებულმა ცნობამ ააფორიაქა – მასივის ირგვლივ მდებარე ცარიელ-ცარიელი ადგილები ვიღაც მილიარდერ შეიხს თურმე ისე მოსწონებია, სულ მთლიანად ყიდულობს, ჩვენ კი კუდის მოსაქნევიც აღარ დაგვრჩებაო!

ეჰ, ბოლო წლებში გადამთიელებზე საქართველოს მიწა-წყლის გასხვისების მაგალითების მეტი რა ისმოდა! ჰოდა, მასიველებსაც ყური უკვე იმზომ ჰქონდათ გახედნილი, აღარც ამჯერად ამოიღებენ ხმას. მაგრამ ყველას გულს უღრენდა სიტყვა **„შეიხი“**, რომლის ზუსტი მნიშვნელობა აქ ჯერ არავინ იცოდა! ამიტომ ამ ჩხვლეტია წოდებას რაღაც განსაკუთრებულ უბედურებას გაზვიადებული ვარაუდით უკავშირებდნენ!.. თან ცეცხლზე ნავთს ასხამდა სამოცდაშვიდიოდე წლის ომა დოროყაშვილი.

ეს ომა, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოცენტი, წლის ყველა დროსა და ამინდში უბნის მსმელებით გამოჭედილ ფაცხაში სწავლულ მდივანივით უჯდათ! ჰოდა, შემთხვევას ხელიდან რას გაუშვებდა!

– როგორ, გრიგოლ ხანძთელის დროს არ გვეყო არაბების ოთხასწლიანი ბატონობა, კიდევ ვიღაც არაბი შეიხი დავისვათ თავზე?! – ორატოროობდა ყანწაწეული ომა, – შთამომავლობა არ გვაპატიებს არაბობის განმეორებას!.. მაგათი ჯილაგის ამბავი მე მკითხეთ – ერთი თუ გაიდგეს ბორჯი და იბარტყეს, მერე უყარეთ კაკალი: ჩვენ სარეველა ბალახივით გაგვმარგლავენ, თვითონ კი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაფუფუნდებიან!.. სამასი არაგველივით დავიხოცებით, მასივში ვიღაც შეიხ-მეიხებს კი არ შემოვაწაწანებთ!

ცოცხით მოგვილმა ლოთიფოთებმა „ჯიგარო“ დოცენტს ნასიბრძნი თავაწყვეტილი სტვენითა და ღრიანცელითი დაუკვერეს!.. მალე საქმე იქამდეც მივიდა, ადგილობრივმა ძველბიჭებმა მასივის დასაცავად **„მამაცთა ბატალიონი“** ჩამოაყალიბეს!

ღმერთმანი, არ გეხუმრებით! შემოდგომის ერთ ბურუსიან დილას ზოგიერთი კორპუსის დიასახლისებმა სამზარეულოს შეორთქლილი სარკმლებიდან გამაშეშებელ სურათს შეასწრეს თვალი: შეძლებისდაგვარად გამოწყობილი და შეთოფიარაღებული ბატალიონი გორაკებგადაღმივ საბრძოლო წვრთნის შემდეგ შინ რაღაც მედგარი იერით ბრუნდებოდა!... თან ნამდვილი საკაცით მკლავდაბინტული „დაჭრილიც" მოჰყავდათ!

ჰოდა, გულაჩუყებულ ქალებსაც მეტი კი არ უნდოდათ!

– უი, უი, ერთი დასჭრიათ კიდეც! – ბევრს ცრემლი მოეგუბა, – ნეტა, ვინ იქნება?!. შეხე, შეხე, შვილო, როგორ მოდიან – იქნებ გვეშველოს რამე!..

ერთი სიტყვით, როცა მოიგუნებებდნენ, ბატალიონი გორაკებგადაღმა ხე-ბუჩქნარიან შეყოლებაზე მოწადინებით გაემართებოდა ხოლმე! თუმც მალე ხმა გამოვიდა – გაძეკილი ზურგჩანთებით სანიავოზე პურ-მარილი დააქვთ და იქ ქეიფის მეტს არაფერს აკეთებენო!

* * *

ასე იყო თუ ისე, „მამაცთა ბატალიონი" ვითომ სრულ მზადყოფნაშიაო, შეიხი და მისი ხალხი კი რაღაც არ ჩანდა! მასივში მოულოდნელად ახლა სულ სხვანაირი ხმები დაირხა! ჩვენს მთავრობას მაინც ღვთის ანაბარას ვყავართ მიგდებული და იქნებ სხვამ მაინც გვიპატრონოსო!.. ამ (იმ) მილიარდერ შეიხს თურმე გაგონილი ჰქონია ქართველების პურ-მარილისა და ვაჟკაცობის ამბები და თავისი სიამოვნებისთვის მტკიცედ გადაუწყვეტია, ამ ჩვენი მასივის უდაბურ ადგილებში იმნაირი ინფრასტრუქტურა განავითაროს, ვინც კი დასაქმებული ეყოლება, სუ დოლარებში აყურყუმელავებსო!.. პირველ რიგში კი ამ „ხრუშჩოვკების" პირწმინდად დანგრევა სურვებია და გრძელვადიანი კრედიტებით ისეთ კორპუსებში შეგვასახლებს, თავი შვეიცარიასა და ჩიკაგოში გეგონებათო!.. ბევრი ჩვენი ლამაზმანი უეჭველად „მის-ნავთობის" სილამაზის კონკურსზეც მოხვდებაო!.. გამორჩეულ ნიჭიერებს ნავთობის ბიზნესში ჩასაბმელად შეიხი დუბაიში თავისი ხარჯით წაიყვანს და მერე ვინც ფხას გამოიტანს, „ზაპრასტა" გახდება მილიონერიო!.. ის კი არა, ვიზეც ძალიან შეუვარდება

გული, შეიძლება იშვილოს კიდეცო!..

აბა, დაბეჩავებულ-გაუბედურებულ მასიველებს ამისთანა სისულელეების გაგონებაღა უნდოდათ?! დიდსა და პატარას პირზე სულ **„შეიხი“** ეკრა და პირდაპირ ავადმყოფური მოუთმენლობით ელოდნენ მის გამოჩენას!.. მოქეიფეებმაც სასწრაფოდ გააუქმეს ისედაც დაშლაზე მისული თუ მიყვანილი თავიანთი ბატალიონი და ახლა იმის თადარიგს შეუდგნენ, მასივის მომავალ ამყვავებელს საკადრისი პურ-მარილით შეგებებოდნენ! საამისო რჩევა-დარიგების მისაღებად დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთ არაბულ რესტორანში თავიანთი კაცებიც გააგზავნეს!.. ზოგიერთები კი ცდილობდნენ, სადმე გაეგოთ და უბის წიგნაკში ჩაეწერათ, არაბულად როგორ იქნებოდა, მაგალითად: გამარჯობათ!.. კეთილი იყოს თქვენი ფეხი ქართულ მიწაზე!. რას ინებებთ?.. როგორ იმგზავრეთ?.. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი და სხვა ამგვარი საყველპურო გამოთქმები!..

როგორ თუ მე აღარაფერს მეკითხებიანო, ომა დროყაშვილი გაწყრა და მოქეიფეთა ფაცხას სათოფეზე აღარ ეკარებოდა!

– ვნახავ ერთი, რას მოუტანთ ის შეიხი! – წარამარა რიხიანად იმუქრებოდა.

მოკლედ, უცხო ქველმოქმედის ქებისაგან ადგილობრივებს ყბები გადააცვდათ, ნანატრი მილიარდერი შეიხი კი არა და არ ჩანდა! გამომფიტავი მოლოდინით გადაქანცული მასიველები ახლა ქუჩურმა გაპირქუშებამ მოიცვა – სად არის ის ჩემალალა შეიხია თუ რალაცა, თუ მოსასვლელია, ბარემ მოვიდესო!!!

* * *

მასივში კაციშვილმა არ იცოდა, საიდან ან როგორ ვრცელდებოდა შეიხთან დაკავშირებული ხმები. ისე კი, ყველანი ჯანიკოს აბრალებდნენ, რაკი ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის გენერალური დირექტორის პირადი მძღოლი იყო და სულ ამგვარი ამბების შუაგულში უწევდა ტრიალი.

თვითონ ჯანო ამ ბრალდებას არც ადასტურებდა, არც უარყოფდა. ოღონდ ეგ იყო, ყველას წყალწყალა პასუხებით იშორებდა ხოლმე.

უბნის ლამაზმანებისგან რაკი „მის-ნავთობის“ სილამაზის

კონკურსი ყურში ჩაიწვეთა, შეიხით განსაკუთრებითი ჯანიკოს ჭერზედა, მეცხრე სართულელი მეზობლების ქალიშვილი, თათული იყო თავდავიწყებული! ყველაფერში გამოცდილი უფროსები როგორც კი პირველად თვალს შეავლებდნენ, მაშინვე ჩერდებოდნენ.

– დედააა!.. ვისია, რა ლამაზი ბავშვია – ნეტავი ეს რა გაიზრდება!..

თუმც თათულის სხვების ქებათა ქება რაში სჭირდებოდა – სარკეს საათობით თვალმიშტერებულს ეჩვენებოდა, ამქვეყნად მასზე ლამაზი არავინ იყო და აღარც მომავალში შეიძლებოდა ვინმე ყოფილიყო! ამიტომ თავისთავად ჩაეგონა: მართალია, თორმეტი წლისა ახლახან გახდა, მაგრამ შეიხი როგორც კი შეხედავდა, სილამაზის კონკურსზე, გამონაკლისის სახით, პირველში სწორედ მას წაიყვანდა!!! ამიტომ ჯანიკოს როგორც კი შეეჩეხებოდა, გზას გადაუღობავდა, ზედ შტერულად აეტმასნებოდა ხოლმე და უნდოდა, სულ შეიხზე ელაპარაკებინა!

– არა, არა, მაინც როგორია ის შეიხი?

– ვააა!.. რამდენჯერ უნდა გამამეორებინო?! ხო გითხარი: სულ ახალგაზრდაა... მაღალი, ლამაზი... დაყენებული წვერ-ულვაშითა და ისა.... რა ჰქვია, მოქარგული ჩალმა... ბაჯაღლოს ბეჭდებით გაჭედილი თითები...

– დედააა!... მერე, მერე?

– რაღა მერე?!.. და რაც მთავარია, ზოლებიანი გრძელი ხალათი... თავისი რამერუმეებით, რაღა!.. ახლა მაინც გაიგე?

– ბრილიანტის კრიალოსანი?!

– ნუ, ეგ თავისთავად!.. ბრილიანტის უკრიალოსნო შეიხი, აბა, რაღა შეიხი იქნება!

– მაშ, როდის მიჩვენებ შეიხს, როდის?!.. ხვალვე წამოგყვები და მაჩვენე!

– რანაირად?! – განაბეზრებ ჯანიკოს მოთმინების ფიალა თანდათან ევსებოდა ხოლმე, ყოველი წუთი დათვლილი რომ ჰქონდა და მუდამ გასაქცევად იყო შეწკეპილი! ფირმის ხელმძღვანელები ნარიჟრაჟეევიდან გვიანობამდე „TOYOTA“-ს მოტორს არ აციებინებდნენ და სულ გზას იყო გაკრული – თათულის გასართობად ეცალა!

– ჰოდა, გუშინ უკანვე გაფრინდა... როცა კიდე ჩამოფრ... ცოტა გაიწიე!..

– უიმე, რანაირი ხარ, იცი!.. – გონებაგაბრუებული თათული მაინც თავისას გაიძახოდა, ტანნაკვთიან მეზობელს უფრო ეხახუნებოდა და მარწყვივით ტუჩებს მართლა ასაკრული ქალივით უბურცავდა, – შენ მარტო მპირდები და მპირდები, მაგრამ მერე ყველაფერი გავიწ...

– არაფერიც არ მავიწყდება!.. გაიწი-მეთქი!... ყველაფერიც მახსოვს!.. გეუბნები, როცა... ან თუ კიდევ ჩამოფრინდება, უეჭველად წაგიყვან და გაჩვენებ! მეტი რა გიყო?!.. ახლა გამატარე – ბანკში დირექტორი მელოდება! –გზაგადაღობილი ჯანიკო სიტყვას ყოველთვის ბანზე უგდებდა, რათა რაც შეიძლება მალე გაშვებინებოდა ამ თავტანდაკარგულ გოგუცუნას!

არც გაემტყუნებოდა! ჯანიკოს სულ არ ანაღვლებდა თათული, შეიხი და მით უმეტეს, „მამაცთა ბატალიონი“, გუნებაში „ლოთების ბატალიონს“ რომ ეძახდა – მას თავისი უბედურება სჭირდა!!!

აგერ, უკვე მეხუთე წელი იწურებოდა, რაც დაოჯახდა, სამი წლის ბიჭუნაც ჰყავდათ, მაგრამ მეუღლეთა შორის მაინც ვერა და ვერ აეწყო ვერანაირი ურთიერთობა! ამაში ერთმანეთს გაავებით ადანაშაულებდნენ და უფრო და უფრო ძაღლკატურად ცხოვრობდნენ. ეს კი ტვინაფორიაქებულ ჯანიკოს ეჭვიანობისკენ უბიძგებდა!

ჯანიკოს გულგამოჭმული მშობლებიც ვერ გარკვეულიყვნენ, ვინ უფრო ტყუოდა – რძალი თუ შვილი. ერთ რამეს კი კარგა ხანია გრძნობდნენ – ოჯახში დღითი დღე უცხონი ხდებოდნენ! ამიტომ სულ ამას ცდილობდნენ, ახალგაზრდები მარტონი ემყოფებინათ – ეგება თავისით ჩაცვივდნენ ჭკუაშიო!

ახლაც, როგორც კი ივლისმა თავისებურად ჩამოაცხუნა, ვასო და ივლიტა გაემზადნენ, დედ-მამის გაუთავებელი აყალმაყალისაგან დაბეჩავებულ პატარა რიჩარდს მოავლეს ხელი და სოფელში გაემგზავრნენ...

* * *

ჯანიკო ამხელადაც გვიანღამისას დაბრუნდა. ავტომობილი გარაჟში დააყენა და დღეიდან მთელი ზაფხული მეუღლესთან მარტომყოფობის ცდუნებით აღგზნებული, ზევით ლიფტით ასრიალდა.

ტატკა უკვე იწვა, მაგრამ ჯერ არ ეძინა. ბალიში აემაღლებინა და ბრის მომქრქალო შუქზე რაღაც ბომონდურ ჟურნალს ჩაშტერებოდა. მან ისე წაილაპარაკა, თითქოს ქმარს კი არა, ჟურნალის მთელ გვერდზე გამოსახულ ქერაქოჩრიან მამაკაცს მიმართავსო.

– ვახშამი დაბალი კარადის...

– არა მშია!... რესტორანში ვიყავით!..

– რა თქმა უნდა!

– რა „რა თქმა უნდა?!" – ჯანიკო კუმეტად ჩაეკითხა ჟურნალში თვალჩაციებულ მეუღლეს. საწოლს ბოლოდან გაჩქარებით წამოუარა და ცოლს სულ მთლად გაუტიტვლდა. მერე ჟურნალში გამოხატული მამაკაცის ჯიბრითა თუ რა იყო, ხელი მუქარით მოიკიდა და მეუღლეს კეტივით დაუქნია.

– იშ! – ტატკამ მელანქოლიური გამომეტყველებით წაიკრუსუნა და ჟურნალი მასში გამოხატულ მამაკაცთან წასწრებულივით გადადო, – ამ კაცებს ისე მოგაქვთ თავი, თითქოს...

ჯანიკოსაც მეტი არ უნდოდა – სულ კბილების კრაჭუნით ჩაეკითხა.

– შენ საიდან იცი, კაცებს რითა და როგორ მოაქვთ თავი?

– მაგას რა ცოდნა უნდა – აქ არა მყავხარ!.. ყველა კაცი ერთნაირია!

ჯანიკო უფრო გაშმაგდა.

– შენ ან როდის შეამოწმე ყველა კაცის ერთნაირობა, ჰა?

– ოჰ, დამანებე თავი, მეძინება! – ტატკა განზრახ ხმააწევით გამოეკაპასა. მერე ბალიში ისევ დაიდაბლა, ბრა გამორთო და ფუმფულა საბანში წაეხვია.

დამაბნეველ სიბნელეში გაშეშებული ტიტველი ჯანიკო ორ ცეცხლშუა იწვოდა. ერთი გული ეუბნებოდა, უკმეხი ცოლი წამოეხტუნებინა და ჭკუის მასწავლებელი აყალმაყალი აეტეხა, თუმცა თან ცხოველური შიში ბღუნძავდა: დარწმუნებული იყო, მათ

მეზობელ „პრაშმანდოვკას“ ყური ახლაც შუა კედელზე ექნებოდა მოწებებული!.. ბოლოს ისევ ვნებამ გადასძლია – მონდომებით ამოგებული საბანი ნელ-ნელა გამოშალა და ჩამთბარ მეუღლეს შეუწვა.

ტატკა მაშინვე კედლისკენ გადაუბრუნდა და მალე კვნესა-კრუსუნით აუჭუჭყუნდა, თან უშედეგოდ ცდილობდა, მეუღლესთვის ხელი უკანვე ნაელებინებინა.

– მომასვენე... დამასვენე... გააჩერე ხელი!.. უიმე, ეს ვინ არი – არ გესმის, კაცო, შენ გეუბნებიან! – გააჩერე-მეთქი ეგ ხელი!.. ხო იცი, ვერ ვიტან მანდ თითების ცაცუნს!

– ჰმ, ჩემსას ვერ იტან, თორემ!..

– აბა, ვისას ვიტან, შე კრეტინო! – ტატკა კელანაჭამივით გადმოუბრუნდა, – ერთი ამას უყურე! მომწყდი თავი...

– მოძალლე პირი! – კბილდაჭერით ჩაუღრინა ჯანიკომ, – ხო იცი, ამაღამ თვალს არ ჩაგახუჭინებ, სანამ... სულ ასე რატო მიშლი და მაწვალებ?!.

– უიმე, ეს ვინ არი!.. – ამოიკვნესა ტატკამ, – ვინ გაწვალებს... თუ რამე გინდა, დროზე მორჩი და მომასვენე-მეთქი!.. დღეს მთელი დღე ლეიბებს ვშლიდი... ხვალ ახლა საბნები მაქვს დასალიანდაგებელი...

მეუღლის ნართაულმა ნებართვამ ჯანიკო ცოტა შეალბო. საცვალი და ღამის პერანგი ისე გააძრო, ტატკა არც შეწინააღმდეგებია. ეს რომ გაინაღდა, გადასწვდა და ახლა ბრა აანთო.

ტატკას პირისახე მოემანჭა. შეეცადა, ბრა ისევ გამოერთო, მაგრამ ქმარმა არ დაანება.

– ეგ რაღად გინდა?

– უნდა ვუყურო!

– რას უნდა უყურო?!. აქ რა არის საყურებელი?!

– ეგ მე ვიცი, რასაც უნდა ვუყურო!. – ჯანიკომ საბანი სულ გადაიხადა და მეუღლის შეხუჭუჭებულ სამკუთხედს ხამივით ჩააშტერდა.

– თავშიც ქვა გიხლია!.. იჯექი და უყურე!

ზურგზე გაწოლილმა ტატკამ თვალები დანაბა, ტუჩები ვნებიანად გაიპო და მუხლებში მოხრილი ფეხები მაცდური მინიშნებით ოდნავ დააშორიშორა. მაგრამ ქალის ფაქიზი მისახვედრი ჟინაქა-

ფებული ჯანიკოსთვის ამოუხსნელი დარჩა – ის თავისი შმაგი სურვილების ულრანებს ველური კერატივით მიამტვრევდა!

მეუღლის მოუაზრებლობამ ქალს ყოველგვარი სურვილი დაუკარგა. ჯანიკო უეცრად ცოლს მოჭიდავესავით წელში შეუვარდა და მსუბუქად აიტაცა, კუთხეში თავმიბჯენით რომ წამოეჩოქებინა.

ტატკა ხაფანგში მოხვედრილივით აფართხალდა.

– ნელა, ფეხი არ მომტეხო!.. რას მაწვალებ... რა გინდა?

– გეხვეწები, მუხლებზე დამიდექი!

– ოჰ, მუხლებზე არა, ახლა იმაზე დაგიდგები!

– გეხვეწები... გემუდარები... – ჯანიკოს ციებცხელებიანივით აბოდებდა, – დღეს იპოდრომზე ვუყურე, ცხენი ცხენს ჭიხვინ-ხვიხვინით რო შეახტა და იმსისქე...

– ჩაიწყვიტე სული!

– ო, როგო მომინდა, მეც ცხენი ვყოფილიყავი და შენც იმ თავლაში მყოლოდი!

– ჰო?!

– არა, არა, ცხენი რო...

– ცხენი და აქ რაღა მოგარბენინებდა – წასულიყავი იპოდრომის ცხენებთან!.. მე ცხენი კი არა, ქალი ვარ!.. გამიშვი ხელი!.. ხელი გამიშვი!..

უცებ შეზიზღებულ ქმარს ძალდატანებით წამოჩოქებული ტატკა მკლავებიდან კალმახივით გამოუსხლტა და სულმოსაბრუნებლად ისევ ზურგზე გაწვა.

ჩამუხლებულმა ჯანიკომ ცოლს კოჭში ახლა ისე წამოუპოტინა, თითქოს პლაჟზე საერთო მოხმარების რეზინის გასაბერი ქალთევზა ყოფილიყოს!

– რას შვრები, – ამოიკნავლა ხალისდაკარგულმა ტატკამ, – სად მიმათრევ? ფეხი არ...

ქმარი არც უსმენდა. მეუღლე საწოლის შუაში ჩაათრია და ერთმანეთზე შედებული ორი ბალიში საჯდომქვეშ წვალება-წვალებით ამოუდო. მერე ფეხებშუა მოექცა და ჩამოქნილ წვივებს ორთვალას უბეებივით ამოიღლიავება დაუპირა.

– ნელა!.. ნუ მამტვრევ!.. იმდღანდელივით არ ჩამალურჯო!.. უიმე!.. ახლა რაღა გინდა?

აქოშინებული ჯანიკოს შეშლას აღარაფერი უკლდა: იქ, სადაც ორივეს ურთიერთგაგებით უნდა ეფიქრა და ემოქმედა, ჯანს ყოველთვის მხოლოდ თვითონ იგდებინებდა, ხასიათშეუწყობელი ცოლი კი მხარს არასოდეს უბამდა, არაფერში ეხმარებოდა! პირიქით, ყველაფერში ხელს უშლიდა და სულ მუდამ ისე აწვალებდა და ამადლიდა, თითქოს...

– ვერა ხვდები, ქალო, რაც მინდა, – ჩაუხრალა ოფლმოდენილმა ჯანიკომ, – ფეხები მხრებზე შემაწყობინე!

– უჰ, ახლა აქ პოზები მომინდომა!

– რატო ვითომ?!. მე რა – კაცი არა ვარ?!.

– დამანებე თავი! – შეფხუკიანდა წვალებული ტატკა და მარჯვენა ფეხი ქმარს თავზე ტანმოვარჯიშესავით გადაატარა. მერე წელან გვერდზე მოსროლილი ბიკინი ხელგაწვდით აიტაცა, გაწაფულად ამოიცვა და სუნთქვაარეული გვერდზე გადაბრუნდა.

– არადა, მაშინ!.. – ამოიგმინა მოთმინებადაშრეტილმა ჯანიკომ და მეუღლეს ჩოქით მიეტანა.

ტატკამ პირი გველნაკბენივით არიდა და შლეგურად წამოუჯდა.

– ოხ, შე გაოხრებულო!.. ოხ, შე გათახსირებულო!.. ოხ შე... რამდენჯერ გაგაფრთხილე და შენ შენსას მაინც არ იშლი, არა?!. მაგიტომ გიხაროდა ბავშვის სოფლად გაგდება და მარტო დარჩენა, ხომ?!. მე შენ გი..

– მოიცა, რა მოგდის ხოლმე... მომისმინე!.. მე შენთვის სიკეთე მინდა... ქარვის მძივი უნდა გიყიდო... – ხმას ითაფლავდა ჯანიკო, – ნუ გეშინია... აბა, სხვა ქალები როგო...

– დახე, ეს საზიზღარი, მაინც თავისას გაიძახის!. – ტატკას ხელახლა აენთო პირი, – მაგნაირები აგერ, ცირკთან დგანანო – იმათთან იარე და მძივებიც იმათ უყიდე!.. ან ეგ რაში მაინტერესებს, სხვა ქალები რასა და როგო... აქ თავზე ტყუილად ნუ დამდუდუნებ – გაიწი იქით!.. გაიწიე-მეთქი!..

– ნელა, ქალო, არ მომტეხო!.. შენ ხო არ გინდა, ცხვირ-პირი...

– ჯანო, მომწყდი ახლა თავიდან, თორემ იამზეს სულსა ვფიცავ, არ ვიცი, რას ჩავიდენ!.. გესმის თუ არა?! – აქ ტატკამ ხმას ისე აუწია, ქმარს მაშინვე ენა მოაკვნეტინა!

მსგავსი ვითარებისას ტატკა ყოველთვის ჯაბნიდა – სულ არ ანაღვლებდა, ამ საგათენებო შეკივლებას მეზობლები როგორ შეუფასებდნენ! ის კი არა, ეს ხერხი უკვე ქმრის მოსადრეკად ჰქონდა მომარჯვებული! ჯანიკოს კი ამ დროს შიშნარევი სირცხვილისგან სული კოჭებში ეპარებოდა ხოლმე, ვინაიდან ასე სწამდა – კედელზე ფხიზლად ყურმოდებული იმ „პრაშმანდოვკას" ვირთაგვისებური სმენა ყოველ ბგერას იაპონური მაგნიტოფონივით იწერდა!

ტატკამ „სხვისი" ბალიში ხელუკუღმა მოისროლა, თავისი კი ისევ კუთვნილ ადგილას მიდო და გააბუა. მერე ბრა გამორთო და საბანში ტოლმასავით გაეხვია, ქმარი რომ ველარანაირად შესვლოდა.

მამრული თავმოყვარეობის გადასარჩენად ჟინმოუკლავმა ჯანიკომ ყასიდად ახლაც დაიმუქრა.

– შენ თუ ამას შეგარჩენ და მაშ, მე კაცი არა ვყოფილვარ!

სავარძელზე დაზვინული თავისი ტანისამოსი ალაფივით აბოჭა, ლოჯიაში გაიტანა და გულაბაგუნებულმა ძლივს ჩაიცვა.

სადაცაა, ირიჟრაჟებდა. სამზარეულოში ერთი ჭიქა წყლის დასალევად გავიდა, მაგრამ წყალი რომ წყალია, მადლიანად ისიც აღარ ჩასდიოდა – გემოგამოცვლილი ბოყინ-სლოკინით უკანვე უბრუნდებოდა! მოსმული ჭიქა ისევ დადგა და ქურდული ნაბიჯებით ძირს ჩავიდა. გარაჟიდან ავტომობილი კი გამოიყვანა, მაგრამ არ ესმოდა, საით ან რისთვის მიდიოდა...

გონი თანდათან გადაეწმინდა. თავისი უფროსის ბინის ახლოს, სკვერის ჩასაბრუნთან გაჩერდა და ღამე მანქანაში გაითენა...

* * *

დილით ჯერ გენერალური დირექტორი მიიყვანა ოფისში. იქიდან კი მთავარი ინჟინერი და ღამის ნათების დიზაინერი ელიავას ბაზრობაზე წაიყვანა. მერე გარე რეკლამის სპეციალისტი...

მართალია, დაუკმაყოფილებელ-შეურაცხყოფილი ჟინი შურსაძიებლად სისხლს ავად უდუღებდა, მაგრამ შინისკენ გული ჯერ მაინც არ მიუწევდა. რაკი შაბათი იდგა და ტატკა სამსახურში არ იყო წასასვლელი, იცოდა, ცოტა მოგვიანებით ამდგარი

მეუღლე თავიდან წვრილმან საქმეებს მოითავებდა, ლოჯიის დივანზე წყობისად დალაგებულ საბნებს კი მოგვიანებით ჩაუჯდებოდა! ამიტომ მოუთმენელი მოთმინებისაგან გული ეწურებოდა – საქმით გატაცებულ ცოლს თავზე სწორედ მაშინ წამოსდგომოდა და წუხანდლიდან გამოყოლილი ჯავრი პირდაპირ დასალიანდაგებლად გაშლილ საბანზე ამოეყარა!!!

უფროსს თორმეტ საათზე ძლივს გაეშვა. ოღონდ ოთხი საათისთვის ახლა მის სიმამრთან უნდა გამოცხადებულიყო და კიკეთში რაღაც ბარგი-ბარხანა აეტანინებინა! ხოლო იქიდან... ეეეჰ, უსულგულო ხელმძღვანელობას სააბეზრო დავალებებს რა გამოულევს!..

უფროსებისგან თავდაღწეულ ჯანიკოს გულმა ჩიტივით შეუფართხალა და შინისკენ გაქროლდა.

ავტომობილი თავისი კორპუსის შორიახლოს, ჭადრების ჩრდილნარს შეაფარა და სადარბაზოსკენ გაფრენილი ნაბიჯებით გაეშვა. ფიჭვნარში მოწყობილ ბავშვთა ატრაქციონთან თათული შეეჩეხა, მაშინვე ზედ რომ აეკრა.

– შეიხი ჩამოფრინდა?

– ჰო, ჰო!.. არა, არა!.. კი, კი, ჩამოფრინდა!.. გამიშვი!.. ტატ...

– მაშ, როდის მაჩვენებ, როდის?

– მალე!.. მერე!.. როცა იტყვი!.. ტატა ხომ არ დაგინახავს?

– არა, არ დამინახავს!.. ჯანი, ლიფტი კიდევ გაიჭედა!

ჯანიკომ კიბე სულმოუთქმელად აირბინა.

ლოჯიაში დასალიანდაგებლად გაფენილ საბანს ხელიც არ ჰქონდა ნახლები. საბნის შუაში ნართის დიდ-პატარა გორგალი ეგდო. პატარა გორგალში ნართგაყრილი მახათი იყო გამობნეული. მონდომებით გაუთოებული ჩარსავი და მითელი სკამებზე ეკიდა. საუთოებლის თუნუქის სადგარზე წამოსკუპებულ უთოს ჯერ კიდევ შერჩენოდა სითბო, თვითონ ტატკა კი არსად ჩანდა!..

სამზარეულოს მაგიდაზე რაღაც ნაბარათევი ახლაც ჭიქით იყო დამაგრებული, კარის შემოხსნისას სადმე რომ არ გადაფრიალებულიყო.

„თაკომ დამირეკა ბავშვი მომეწამლა,
საავადმყოფოში დავაწვინე და მომეშველეო
იქ წავედი არ ვიცი როდის დავბრუნდები“

ტ.“

უინგაცრუებულ ჯანიკოს უცებ მოეჩვენა, ჭკუიდან იშლებოდა: გაშლილი საბანი ცოლმა თვალის ასაბმელად დაუტოვა და საყვარელთან გავარდა, დაქალის ბავშვის მოწამვლას კი იგონებდა!!! თუმც უკანასკნელ წამს მაინც საღმა აზრმა გადაძალა: ამას რომელი ჭკუათამყოფელი მოიტყუებოდა – მერე ყველაფერი ხომ გამჟღავნდებოდა და!..

არა, თაკოს ბავშვის მოწამვლა სრული სიმართლე იქნებოდა!!!

ამის მიხვედრამ სამზარეულოს მაგიდასთან გაშეშებული ჯანიკო ცოტათი დაამშვიდა, მაგრამ უეცრად ახალი აზრის გაელვებამ ტვინი უარესად აურია: ეს სიმართლე ნებისმიერ ტყუილზე უფრო საზარელი და მოურეველი იყო, ვინაიდან ამას ტატკა თითზე აბრეშუმის ძაფივით დაიხვევდა და ვინ იცის, რა დრომდე ყველაფერზე დამაჯერებელი კითხვა-პასუხები ექნებოდა!!! „რას მეკითხები, შენით ვერ ხვდები, სად ვიქნებოდი?! სადა და საავადმყოფოში თაკოსთან ვიყავი!.. საიდან და საავადმყოფოდან მოვდივარ!.. ვააჰ, რა არის ერთი და იგივე, ერთი და იგივე! ქვაბს მაინც ვერა ხედავ – ბავშვთან ბულიონი მიმაქვს!.. კუჭამორეცხილი სანდრო ცოცხალმკვდარივით ეგდო და გაგიჟებულ თაკოს მარტოს ხომ ვერ მივატოვებდი – ამიტომ შემომალამდა!.. აქამდე სადა ვარ კი არა, ბედად თაკოს ნათესავმა კაცმა წამომიყვანა, თორემ ვინ იცის, ავტობუსით როდის მოვჯაყჯაყდებოდი!.."

არა, მსგავსი საბუთებიც თავისთავად მართალი იქნებოდა, მაგრამ აქ საკითხავი სულ სხვა რამ იყო – რა ხდებოდა საავადმყოფოში ამდენი მიმოსვლის შუალედებში!!! ტატკა მთელ იმ დროს მართლა თაკოს ანდომებდა თუ სადღაც ვიღაცას ხვდებოდა, საავადმყოფოში ოსტატურად დაგეგმილ მიმოსვლას კი მზაკვრულად იყენებდა!.. ან თაკოს იმ ნათესავმა კაცმა პირდაპირ შინ წამოიყვანა თუ ჯერ თავისთან აიყვანა ან სადმე გადაუხვიეს და!..

ო, ეს ამტუტებული ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ინკუბატორის წიწილებივით ღალატის რა მაცდურ-მიმზიდველ შემთხვევებს ჩეკდა!..

ლოჯიაში ისე გავარდა, თითქოს ტატკა იქ მიელოდებაო! გაშლილ საბანს თვალს ველარ უსწორებდა, რაკი იმედი მოუცდა და წელან ტატამის მაგივრობა ვერ გააწევინა!.. ეს რა უბედურება

იყო: ჟინმორევას ლამის შეეშალა, კანონიერი ცოლი კი ხელქვეშ არ ჰყავდა! გარე-გარე ტლაკუნის მოტრფიალე ტატკას სულ ეს დღე ჰქონდა: ვარა მამიდას ფეხი მოსტეხია!.. ნანულიმ – შპალერი შემარჩევინეო!.. თეონას საქორწილო ბეჭდები უნდა ვაყიდინოო... პეპელას ... გვანცას... მანცოს...

უცებ გიჟურმა გადაწყვეტილებამ წამოჰკრა – ყველასგან ფარულად ერთი ათდღიანი შვებულება აეღო, სულ ცოლისთვის ეთვალთვალებინა, ვინმესთან წაესწრო და ზედვე დაეკლა! მაგრამ უმალ მიხვდა, აქაც სრული იმედგაცრუება ელოდა! ამგვარ სიფლიდეში გამობრძმედილი, თანაც ამ მობილური ტელეფონებით შეიარაღებულნი, თავიანთ საწადელს ისე მოქნილად აისრულებდნენ, ის აზრზეც ვერ მოვიდოდა და მუდამ პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებდნენ!.. არადა, რა ექნა – გიჟივით უნდოდა, ცოლი შინ ჰყოლოდა! შინ ყოფნასაც აღარ დაეძებდა – მისი ხმა გაეგონა ან საავადმყოფოს მისამართი მაინც შეეტყო!

ჯინსის უკანა ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოაცურა და თითის ცახცახით აკრიფა ნომერი. მაგრამ ნეტავი არ აეკრიფა! ოპერატორი ქალის ცივმა, მოსხეპილმა კილომ ისე აუწყა ნახევარსიმართლე – **„აბონენტი გასულია მომსახურების სფეროდან!“** – თითქოს ამით ქვეწარმავლურად ახვედრებდა: კრეტინი თუ არა ხარ, დანარჩენს შენით მიხვდიო!

მორჩა, კრეტინ ჯანიკოსაც ახლა ყველაფერზე თვალი აეხილა: ქალი შინიდან არ გაიშვება!.. ყველა ქალს სულ საღალატოდ უჭირავს თვალი!.. არავის არ უნდა ენდო!.. არავინ არ უნდა დაინდო!.. ყველაფერი ო, რა ტუტუცურად შემოუტრიალდება ხოლმე: ახლაც ბავშვი და დედ-მამა სოფლად დიდი ამბით გაიცილა, ცოლთან თავის გემოზე რომ ებაირამა! ჰმ, იბაირამოს კი არა, ამით მხოლოდ ტატკას გაუხსნა ხელ-ფეხი, თვითონ კი ეშმაკივით მარტოკა დარჩა!.. სად უგდია, რატომ ემალება?!.. თვითონ დღედაღამ ფირმის თავკაცებისა და მათი განებივრებული საახლობლოს მიყვან-მოყვანას ვერ ასვლია, ტატკა კი ვინ იცის, ვის სადა ჰყავს მიმწყვდეული და როგორც მოეხოშება, ისე იმსახურებს!.. ოოო! ქმარს კი თავისი „სტოიკებით“ სიცოცხლეს უმწარებს და თავს წმინდანად აჩვენებს!.. არ ვიცი, როდის მოვალო!!! ჰმ, არ იცის, არა?! მაგრამ როცა იქნება, ხომ მოეთრევა!

კრინტსაც არ დააძვრევინებს, მაშინვე საძინებელში შეათრევს და ჟინს ისე მოიკლავს, როგორც უნდა! ისევ წუხანდელივით გაუწიწმატდება და კნუტივით მიახრჩობს ანდა დასტაცებს ხელსა და თავის ჭკუანაღრძობ ცოლიანად მერვე სართულის სარკმლიდან ტროტუარს კამიკაძესავით დაენარცხება!!!

ბინას უცებ უცნაური გაუცხოება გადაეჩრდილა. კარი შურმაძიებელივით გამოკეტა და ძირს ჩაქანდა.

თათული უჟანგავი ჯაჭვებით ჩამობმულ პლასტმასის ერთერთ საქანელაში მოკალათებულიყო და მარტოკა თავისთვის უდარდელად ქანაობდა. ცალი ფეხით სასურველ სიჩქარეს აიღებდა თუ არა, მერე ორივე ფეხს თოფის ლულებივით ატყუპებდა და ჭიმავდა. მოკლე კაბის კალთა მოთვინიერებული მტრედივით უფარფატებდა.

– ჯანი, ჯანი, მართლა და მართლა, როდის წამიყვან შეიხთან?

– შენ და შენი შეიხი!.. დედაშენი სად არი?

– მუხიანში ნუცა პაპიდასთან წავიდა!

– იქ რა უნდა?

– სიზმარი უნდა ავახსნევინოო!.. როდის მაჩვენებ იმ შენს შეიხს, როდის?

– მართლა გინდა შეიხის ნახვა?

– მინდა!!!

– გაიქე, დაჯექი – წინა კარი ღიაა!

– რა კარგია!

თათული სიხარულით ჩამოხტა საქანლიდან, მანქანისაკენ გაკურცხლა და კაბინაში სეტერივით შევარდა!

* * *

ჯანიკომ „TOYOTA" სულ დრიგინ-დრიგინით ატარა და სადღაც ქალაქგარეთ, ერთ უდაბურ ადგილას უწესრიგოდ დახვავებულ სამშენებლო მასალებში ჩაკარგულ ვაგონს ფრთხილი მიხვევ-მოხვევით მიადგა.

ვეებერთელა კლიტით დაკეტილი კარი გააღო, ჯერ თათული შეატარა და თვითონაც რომ შევიდა, ზურგს უკან ურდული ხელგაწაფულად გაუგდო.

მინებჩამტვრეულ ვაგონში შიშველი ხის ტახტის მეტი არაფერი ჩანდა.

ჯანიკომ თათული ტახტზე ჩამოსვა და თავზე საფლავის ქვასავით წამოადგა.

ცარიელ ვაგონს თათულიმ მზერა გაკვირვებით მიმოავლო.

– აბა, შეიხი?

ჯანიკომ შარვალი ჩაიხსნა და მედგრად ამოუგდო.

– აი, შეიხი!

გულგადატრიალებულ თათულის მიმქრალი ხმა სლოკინივით ამოსცდა.

– ჰიიი!..

გოგონა ელდაზე არანაკლებ განცვიფრებამ დაამუნჯა! ახალგადმობარგებული კარის მეზობლების, რვა თვის აჩიკოს ჩაწვენა-აყენებისას რამდენჯერმე თვალი გააპარა და რას წარმოიდგენდა, მის პაწაწკინტელა ყავისფერ კაკლებზე დასკუპებული მოხარშული ვერმიშელის ნამცეცი კაცებს მერე ამხელა თუ ეზრდებოდა!!!

თან ელვისებურმა თვალახელამაც გააშტერა: შეიხის დაკომბლილი თავი რა საოცრად ჰგავდა ვარდის ვეებერთელა მკვრივ კოკორს, წყლიან ლარნაკში თაიგულის მოთავსებისას დედიკო რატომღაც ფარული სინაზით რომ ეხებოდა ხოლმე, მერე კი თითოეულ მათგანს ტუჩებგაწვდილი ვნებიანად ყნოსავდა!..

აქამდე განუცდელმა შიშმა უეცრად ისიც გაახსენა, რაღაცაზე ეჭვაღებულმა დედამ ამას წინათ რომ დაიმარტოხელა და საიდანღა არ შემოუარა, რაღაც წამოეცდენინებინა! ბოლოს კი ჭოჭმანით გააფრთხილა – კაცებს მარტოკა არსად შეჰყვეო! ხოლო მის გამომწვევ წამონაცდენზე – ნეტავი რა უნდა მიყონო, დედა სულ აიმრიზა და კილოკავურად გადაუარაკა, რაც შეიძლება ექნათ!!!

ჰოდა, უცებ ტანმა თავისთავად უგრძნო: ახლა რაღაც მდედრული ხიფათი თუ სახადი არ ასცდებოდა და ძარღვებში სულ ურუანტელი უვლიდა – ამხელა პალო იქ რანაირად უნდა შესტეოდა?!. ხოლო როცა ჯანიკო მაჯაში სწვდა, ხელი წაავლებინა და აღარც გააშვებინა, შეიხის სიმხურვალემ და სიფოლადემ სისხლი ტვინში აუგდო!..

გონს ისევ რომ მოეგო, ყველაფერი უკვე დამთავრებული-ყო: საქალწულე საპნის ბუშტივით გასკდომოდა, მის ადგილას კი სისხლით მიმოსვრილი, ბნელცურად შენაგლეჯი მტკივნეული ხვრელი გასჩენოდა...

ტობრუკის ალხი

I

როგორც კი ჩამოცხებოდა, ორმოც წელს გადაცილებული მათემატიკოსის სულიერი ტანჯვა-წამებაც იწყებოდა, რაც აცივებამდე გრძელდებოდა! თუმც ჩვეული ცხუნების ჩამოდგომას ვინ უცდიდა – ადრე გაზაფხულობით უსითბო მზეს ორიოდე წუთითაც რომ გამოეჭვრიტა, დანახვის ხატებიც რაღაც ქალაჩუნური სულწასულობით მოიშილიფებდნენ ხოლმე. ხოლო როცა თაკარა მზე თავისი სხივების ქვეშ ყველაფერს საგრძნობლად მოახურებდა, მაშინ თბილისი შორტოსან მამაკაცთა ფარეხსა თუ ურდოს ემსგავსებოდა!

შორტიც არის და შორტიც! ბევრი მათგანის გამაოგნებელ მენჯგადგმულობასა და ცისტერნისებურ ჩუმპეს მსოფლიოს რომელი ფირმის შორტი მოერგებოდა! ამიტომ ეჩვენებოდა, ზოგიერთი თანამოძმის თქანთქარა ბარძაყებსა და ღიპს საფირმო შორტი კი არა, საზღვაო მუზეუმიდან გამოტანილი, XVI საუკუნის კარიბელ მეკობრეთა კარაველის ჩამოცვეთილი იალქნის ხალვათი ნაფხრეწიდან ძაფაღებით ბლარდნილი უსახურობა ფარავდა!

ყველას მიერ თავისებურად წარმოდგენილი პიროვნული კომფორტის აყვავებისას კაცებისთვის სიფრიფანა წინდაც უკვე ზედმეტად ქცეულიყო. ერთმანეთზე უჯიშოდ შეგრეხილ-გადაგრეხილი თითებით დამახინჯებული ტლანქი ფლოქვები ბეცური მიხვედრილობით წაეყოთ ცალკაპა სანდლებში და ყველგან თავლაღად დაატყაპუნებდნენ! ხოლო ზოგიერთი კლაკნია ქეთინო თავის კოპწია, ჭრელ ქოშებს ისეთ ვნების აღმძვრელ ტკაცატკუცს გამოაცემინებდა ხოლმე, გათხოვებაზე ოცნებით გადაღლილ ქალწულებსაც კი შეშურდებოდათ!!!

საბუთების სატარებლად მოკლესახელოებიანი პერანგი უმრავლესობას ჯერ მაინც ეცვა, მაგრამ რად გინდა – არც ერთი ღილით შეკრული, უშნოდ გაფარფარებული პერანგი და ღიპს ქვევით უსირცხვილოდ ჩაცურებული ფართხუნა შორტი უფრო თვალში საჩხერს ხდიდა მთელი სიცოცხლის მანძილზე მახინჯი ცხოვრების ყაიდითა თუ თავდაუჭერელი ჭამა-სმით ჩამოყალ-

იბებულ მათ ბეჰემოთურ მოხაზულობასა და მამრულ ღირსებასთან დეზერტირულ დამშვიდობებას.

ჭრია სიცხეში მათემატიკოსის შინიდან გარეთ გაბიჯება სატანჯველს ეფარდებოდა, ვინაიდან უმალ თვალში საცემი იყო: იმპორტული საეჭვო დემოკრატიით გულმოცემულ ერთფეროვან მამრთა რიგიან ჩაცმა-დახურვასა და ღირსეულ ყოფაქცევას თანდათან პირუტყეული სიამოვნებისკენ ჯოგური ლტოლვა ენაცვლებოდა.

ბევრ ვითომ მამაკაცს, ეტყობა, ყურიც არ ჰქონდა მოკრული ანდა უკვე პანტადაც აღარ უღირდათ: სტუმრად თუ ხალხის თავშეყრის ადგილებში ჯდომისას მუხლები, წესისამებრ, საკუთარი მხრების სიგანეზე უნდა სჭეროდათ! ეს შორტიანი ხვადაგები კი საზოგადოებრივ ტრანსპორტში ცხვირწინ მჯდარ, უხერხულობისაგან ალანძულ მანდილოსნებს ისე სალახანურად ეჩაჩხებოდნენ, მათ მაიმუნურად შებალნილ ფეხებშუა თუგინდ ხარკამეჩი გაეტეოდა!

სარკმლის კარნიზებისთვის მეუღლესა და მეათეკლასელ ქალიშვილს ბაზრობაზე თვითონაც წაჰყვა, მაგრამ ნეტავი რამე გამოვარდნოდა და იქ არ მიხისფეხებულიყო. ეჩვენებოდა, სავაჭრო პასაჟებს შორის კი არა, თითქოს მეტალურგიული ქარხნის გახურებული აგლობრძმედების საამქროში ბრმადმავალივითღა მიბარბაცებდა: რკინის სარწეველა შეზლონგებზე უხამსად გადაშხლართული და თავქვეშ ტორებამოდებული, თანაც საქამრეს ზევით სულ მთლად ტიტველა ბეხლეწები, ასფალტზე დაბჯენილი ბოძებივით ფეხები იმზომ რომ გადაეჩაჩხათ, ხალვათი შორტიდან ლამის პენისი გამობრექოდათ, ამგვარი დახვედრით ატკრეცილ-აღელვებულ ქმრებთან თუ მარტოკა მოსულ ქალებს ისეთ კილოზე ებაზრებოდნენ, თითქოს ახვედრებდნენ – როგორც ვიძახი, თუ გინდათ, იყიდეთ ამ ფასად, არადა, აი, დამახტით ზედაო!.. ოოო!..

ერთ დილით ხალხით სავსე გაჩერებაზე ნახულმა სურათმა კი გულისრევა მოჰგვარა. ორმოციოდე წლის თავმსხვილი კითხული მამაკაცი – სანოვაგეზე შორტისა და ფლოსტების ამარა რომ გამობრძანებულიყო – სახეშეწუხებულ ნაცნობ მანდილოსანს მძიმე ავადმყოფ დედაზე რაღაცას აუწყებდა, თავისუფალი ხელით თან

გაბეყვილ ფაშვს გუნებიერად იფხანდა. მერე კი კოტიტა ნეკზე წანაზარდი მოკაუჭებული ფრჩხილით ახლა ჭიპის ჩიჩქნას შეუდგა!!!

ალმურის უეცარმა ადენამ უბედურ მათემატიკოსს მუშტები თავისთავად მოაკუმშვინა და ნაბიჯიც წაადგმევინა!.. მაგრამ სისხლაჩქლორებული ჭაბუკი ხომ აღარ იყო, ასე ცამოწმენდილზე განუჭვრეტელ შარში გახვეულიყო! თან პირწყლის უეცარმა წამოსლოკინებამაც სასა შეუმჟავა. თავს მაშინვე მოერია და შემდეგი გაჩერებისკენ გაფრენილი ნაბიჯით გაეშვა!

ქართველ მამრთა ამ საყოველთაო დატიტვლებაზე უფრო საზარელი სხვა რამ იყო – მათი კაპიტულანტური სახისმეტყველება!!! მშობლიური ამინდის სულ უმნიშვნელო გაუარესების ან მისი გაზვიადებული წარმოდგენითაც კი პირდაპირ ლაჩრულ სასოწარკვეთილებაში ცვივდებოდნენ და პირისახე ისე გულშესაღონებლად ეღრიც-ექრუშებოდათ, რომ ავბედით სეისმოგრამასავით ადვილად იკითხებოდა – ისინი თითქოს ამ მიწა-წყლის ოდინდელი კანონიერი და ღირსეული აბორიგენები კი არ იყვნენ, არამედ აქ საიდანღაც საცდელად ჩამორეკილი, ახალაღმოჩენილი რომელიღაც ზრდადაგვიანებული ტომის უიმედო ნარჩენები!

აგერ, პაპანაქებაშიც კი სულ სქლად ჩაცმულ-დახურულ, დაწვრილშვილებულ ვაჩაგან ფაირატიანს სად ეცალა წნევიანი ქალივით მთელი დღე სულ სიცხეზე საჭორაოდ ან უკანა ეზოში ცივ-ცივი ლუდის გადაბმით საყლურწავად. მუშტრები თავს დოგა-დოგა ადგნენ და საშველს არ აძლევდნენ! კაფელი გინდა, პარკეტი, მეტლახი, ლესვა, ღებვა, შპალერის აკვრა, სახურავის დაგუდრონება – ყველაფერში ხელგაწაფული იყო! კოპტონივით გამომწვარი ვაჩაგანი წელიწადის დროს შეიძლება ვერც გრძნობდა ან აინუნშიაც არ იტარებდა – დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა!.. ფულს არნადით ხვეტავდა!.. ტუჩებგადმობრუნებული სირანუშა ბაზრიდან ხორაგის ზიდვასა და იმოდენა აჭალბუჭულების საცმლის რეცხვა-შრობას ძლივს აუდიოდა!..

დასაღამოებულზე, სიცხისაგან ფოთლებჩამოკეცილი ვერხვების სტუმართმოყვარე ჩრდილნარში დილიდანვე უაზრო და უშედეგო **„გამაგრილებელი სმით“** განაბრუები, ხვითქისაგან დაწუწული უსაქმური ქართველი ღიპოსან-შორტოსნები კორპუსებშორის

როგორც კი თვალს მოატანდნენ სამუშაოდან შინისკენ მიმავალ აბგიან დაღლილ ვაჩაგანს, მაშინვე შემოაბრუნებდნენ ხოლმე ცივ ლუდზე დასანვევად, როგორც ოქროსხელიან ოსტატს – ვინ იცის, ვის როდის ან რისთვის დასჭირდებოდა!

სიცხისგან დაოსებული ქართველებით რკალშემორტყმულ კაფანდარა ვაჩაგანს ორიოდე კათხის შემდეგ ეშმაკურად გამომცინარი თვალები გაკვირვებით უნაპერწკლდებოდა და ღიმილდაუფარავად ვითომ ხუმრობდა. „სიცხით იმიტომ იტანჯებით, ძმებო, რომა ეს თქვენი თავდაპირვანდელი საცხოვრებელი ადგილი არა ყოფილა!.. მაშ, რატო არ წახვალთ აქედან, ჰა?" „სად?" – უმად კითხულობდნენ ოფლსა და ლუდში დამბალი ქართველი ღიპოსან-შორტოსნები. „მაგას რაღა კითხვა უნდა, ჩემო კარგებო, – ჩამოქუნდრული კუპრივით წარბები ვაჩაგანს დამრიგებლურად ეფარჩხებოდა და თვალდაუხამხამებლად ბრძნობდა, – სადა და, საცა არც შეგცივდებათ და არცა დაგცხებათ!.. მაშა!" „ხე-ხე-ხე!" – ქერნაჩევი ჭაკებივით მიმტევებლურად ფრუტუნ-ხვიხვინებდნენ ოფლითა და ლუდით დალუმპული ქართველი ღიპოსან-შორტოსნები.

ვაჩაგანმა ერთხელ მათემატიკოსსაც მოუსინჯა კბილი. აგვისტოს ნაშუადღევს მარკეტწინ შემოხეჩებისას დაბალი სალამი მიართვა, თვალი გამოცვეთილი თერძივით აავლ-ჩაავლო და მფარველურად აუჯაჯღანდა. „ჯიგარო-ჯან, რა სუ მაგრე შაკრულ-ჩაშარვარებური დაიარები – სიცხისა შენ არ გეშინიან?!" „ჩემს მიწა-წყალზე რისა უნდა მეშინოდეს?!" – მათემატიკოსმა ჭირხლიანი მზერა შუბურად შეაგება. „რა ვიცი, – ახლა კვიმატურად გაეკრიჭა საღებავებით მოთხუპნილი ხელოსანი, – თქვენმა კაცებმა ლამის ი ნიფხვებიც დაიძრონ და გადაყარონ!"

პირზე მომდგარი სიტყვა მათემატიკოსს ტუჩებზე შეახმა – სომხის კაცი ცამდე მართალი იყო! მთელი ზაფხული, აულაგებელ ხარაზულ სუფრასთან დილიდან ნაშუაღამემდე ჩაცივებული ლუდ-არყის შტერული ყლურჭვისა და დომინოს რიხიანი ტყაპა-ტყუპისაგან გამოლენჩებული შორტოსნები ღვარად მომსკდარი ოფლისაგან დაჟივებულ პერანგებს თავიანთი სალოთაო ფანჩატურის ლარტყებსა და ვერხვების ჩამოფარჩხულ ტოტებზე თავდიშვილურად იკიდებდნენ, ხშირად ღამღამობითაც იქვე რომ

რჩებოდათ ხოლმე. პაპანაქების მოსაბაბებით რაკი შინ ასვლა ყველას ესიკვდილებოდა, დღისით-მზისით, აივნებზე გადმომდგარი ამრეზილი ქალებისა და გარაჟებს უკან მოთამაშე, გაკვირვებაგადაჩვეული გოგო-ბიჭების თვალწინ, იქვე, აყვირებული ლიხნარის პირას, ოღონდ, რაც მართალია, ზურგშექცევით გაბოტილნი, მაკე ფაშატებივით წარამარა თქრიალ-ჩხრიალით ბარაქიანად შარდავდნენ, ხოლო საკუთარი ავტომობილის საბურავთან კვნესა-ხვნეშით ჩაცუცქებულებს, ჩახვეტილი შორტიდან გორილასებრი უკანალი ლამის საჯმურამდე მოსტიტვლებოდათ!

მათემატიკოსს ერთ დღესაც შემაძრწუნებელი თვალახელა ეწვია, რაც პირველ ხანებში თან თავისებურად აამაყებდა კიდეც: პაპანაქების მიუხედავად თავისი რიგიანი ჩაცმა-დახურვითა და გადამდები სიმშვიდის მფენი გამომეტყველებით უბნისთვის ნამდვილ უბედურებას წარმოადგენდა, ვინაიდან პირუტყვულად დატიტვლებულ დანარჩენ მამრებთან შედარებისა და სავალალო შედეგის სწორუტყუარ ნიმუშად ქცეულიყო! ამიტომ შართხაბურთხა ქმრის მეუღლეების ერთი ნაწილი სულ თვალების გადაბრეცით ხვდებოდა, ზოგნი კი პირიქით – თვალებს ზედ ალევდნენ!

რაკი უბნის ბეჭმოტიტვლებული ღიპოსან-შორტოსნები პაპანაქებისაგან დაუძლეველი, ტანმოქნილი მათემატიკოსის გვერდით თავს რაღაც არასრულფასოვან არსებებად გრძნობდნენ, მასთან ურთიერთობასაც სულ თავს არიდებდნენ და მხოლოდ მესხლეტი სალმით იფარგლებოდნენ. ცხადია, თავიანთ შესაკრებელ ფანჩატურშიც არასოდეს იპატიჟებდნენ. თუმც მათემატიკოსს სად ჰქონდა იქ ჯდომისა და მათთან გათქვეფის წუთისოფელი! მისი სტიქია **კომბინატორიკა** იყო – ელემენტარული მათემატიკის დარგი, დაკავშირებული იმ რიცხობრივი კომბინაციების შესწავლასთან, რომელთა შედგენა შეიძლება ობიექტთა მოცემული სასრული სიმრავლისგან, როდესაც ეს კომბინაციები ამა თუ იმ პირობას აკმაყოფილებს!

მათემატიკური ანალიზის ორწოხებში ცეცებისას საფიქრალი ერთმანეთში რომ არ აჰბურდვოდა და თან უხერხულ მდგომარეობაში სხვებიც არ ჩაეყენებინა, ცდილობდა, ზაფხულ-ზაფხულ თავის უბნელებს თვალში ადვილად არ ჩავარდნოდა. მაგრამ

სად გაექცევი ყოველდღიურობას ან ბრმა შემთხვევას! ლიფტთან, კომუნალური გადასახადების რიგში, შუა ქალაქში თუ სადმე გაჩერებაზე შეხეჩებული ნაცნობი ცოლ-ქმარი ყასიდადაც რომ არ გამოლაპარაკებოდა, მათი გვერდიგვერდ მუნჯური დგომაც კი უკვე თავისთავად ახდენდა შეურაცხყოფის მომყენებელ შედარებას!

ეს საზაფხულო სადა, გემოვნებიან ტანსაცმელ-ფეხსაცმელში მამრული ღირსებით გამოწყობილი: ქამარი ჯარისკაცურად გაჭერილი, გაუთოებულ შარვალში ჩატანებული გრძელსახელოებიანი პერანგი ჩაღილული და მხოლოდ ყელთან შეხსნილი; მოკლედ შეკრეჭილი, დავარცხნილი თმა... სუფთად გაპარსულ აზრიან პირისახესა და მათემატიკურ სიდიდეებზე ჩვეული ფიქრისგან გაცისკროვნებულ მზერაზე ეტყობოდა – მშობლიური კლიმატის ნებისმიერ გამოხატულებას ღვთის წყალობასავით რომ ეკიდებოდა და მასთან არასოდეს ჰქონდა ლაჩრული სამდურავი!

მეზობელი ქალის მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე მიკიტნურად გადაგებული თავგასაკრეჭი ქმარი? პატრონის ტანმძიმობისა და ტლანქი ტერფებისგან მიცრეხილ-მოცრეხილი, ნაადრევად ლანჩებდახეთქილი საფირმო სანდლებიდან გამოჩრილი, ქუჩის მტვრისაგან ჩაშავებული თითები და ბოხვერა ქუსლები, კოჭებგამქრალი, შესქელებული წვივები, კუს ზურგივით გონჯად ამობურცული უსწორმასწორო ხორციანი მუხლისთავები, ოფლისგან უბეში გამოსველებული ხმუჭებიანი შორტი, ახალმოდურად გადაღეღილი პერანგიდან ქვეყნის განსასჯელად მოჩინარი, ფეხდადგმული გარგარივით ჭიპი, ხორაგის გადამამუშავებელ საიმედო რეზერვუარს მიმსგავსებული მკვრივი ღიპი, ხშირი ბალნით დაბარდნილი გულმკერდი, სქელი ყელ-კისრის ჭუჭყიან ნაკეცზე შემოვლებული ოფლის წვეთების მძივი... სამი-ოთხი დღის გაუპარსავი ჯაგარა წვერი!.. არასასურველი ამინდის უკმაყოფილების გამომხატველი სახემოღმეჭილობა და რაც ყველაზე მთავარია, მოუსვენარ თვალებში კამეჩური მოუთმენლობის ალმური: შინ ერთი მალე მისულიყვნენ, რათა ეს ჭირად გამხდარი პერანგიც გაეძრო და ვერხვებქვეშ დაფისულ ლუდიყლურწია თავის ამქარს თვითონაც დროიანად მიმატებოდა!!!

ქმრის საპირისპიროდ გემოვნებით მორთულ-მოკაზმულ

ცოლს ამ დროს თხელი ნესტოები საფრთხენაგრძნობ ფურირემი-ვით აუთრთოლდებოდა ხოლმე და ნაპინცეტარ მომშვილდულ წარბებს ისეთი ფრთხილი მწუხარებით იჭმუხნიდა, თითქოს წბილობდა ასეთი მამრის თანამეცხედრეობას. მაგრამ მიმიკურად გამოხატულ მის ამგვარ ნაგვიანევ განცდებს უკვე აღარ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა: რაკი ამისთანა კაცს ეკარებოდა და იკარებდა, ეს თითქოს ფარდას ხდიდა გარეგნულად თავდაჭერილი ამ მშვენიერი ქალბატონის სექსუალურ სულწასულობასა და განურჩევლობას!

ჩაცმულობით გამორჩეულობა ბრბოზე იაფფასიანი შთაბეჭდილების მოსახდენად როდი სჭირდებოდა – ეს მისი ბუნებრივი თვითგამოხატვა იყო. თან იგი მათემატიკური აზროვნების უშრეტობას თავისებურად უკვებავდა და უწესრიგებდა! თუმც ბოლო წლებში თანამოძმეთა უკადრისმა გატიტვლებამ და უგვანო მანერებმა მაინც გადაწონა – სანიმუშო ჩაცმულობამ და სიცხისადმი არისტოკრატიულმა უყურადღებობამ ჯერ გარიყულობის განცდა გაუჩინა, ბოლოს კი საფრთხობელასებურ ეულკაცად აგრძნობინა თავი!

ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში ფაშვმოტიტვლებული, გაუთავებლად ლუდის მყლურწავი მოხრუშული კაცების ცქერა ისე თრგუნავდა, გონება ებინდებოდა. „ნუთუ ესღაა საქართველო?!“ – ასეთი კითხვით შთაგონებაჩაკლულს გაშუალებული სადოქტოროს წერა განეგრძო კი არა, ხშირად ერთმანეთში დომხალივით ერეოდა კომბინატორიკის ყველაზე გავრცელებული ფორმულები: წყობათა რიცხვი, გადანაცვლებათა რიცხვი, ჯუფთებათა რიცხვი და კომბინატორიკის ანალიზის პრობლემათა სამი ტიპი: გადათვლის ამოცანები, არსებობისა და აგების ამოცანები, ამორჩევის ამოცანები... ერთხელ კი მოეჩვენა, გიჟდებოდა, რადგან საშინელმა აზრმა უელვა: საკუთარი შესაძლებლობები, ალბათ, უკვე ამოვწურე და ყველაფერს ემჯობინება, კომბინატორიკას სამუდამოდ ჩამოვეთხოვო და როგორც ერთი უხელობო კაცი, სადმე დარაჯად ან თუგინდ მეეზოვედ წავიდეო!

დაეჭვება ისეთი ფესვმაგარი აღმოჩნდა, ახლა ამგვარი სამაცდურო აზრი აეკვიატა: კომბინატორიკისთვის მართლა თავი

დაენებებინა და სხვა რომელიმე მონათესავე სფერო აერჩია – ვთქვათ, **მათემატიკური ლინგვისტიკა**, ბუნებრივი და ზოგიერთი ხელოვნური ენის სტრუქტურის აღმწერ ფორმალურ აპარატს რომ ამუშავებდა! თუმც საკუთარი უცებობისაგან თვითონვე შერცხვა: ასეთი ნაგვიანევი გადაბარგება უშედეგო იქნებოდა!..

ტანჯვიანი განცდები დღითი დღე ურთულდებოდა. შინაგანად კვლავ მოუწესრიგებელი ძიების შემოგზნებით იწვოდა, არაჯანსაღი საზოგადოებრივი გარემო კი შემოქმედებით გაქანებას უმოწყალოდ უსპობდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, ირგვლივ ყველაფერი თითქოს მის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული!!!

ნარკომანიულ წყალდიდობას, საყოველთაო გაშიშვლებას თუ საზოგადოებრივ მოდუნებულობასა და მიზანდაკარგულობასაც რომ გამკლავებოდა, ვერაფერს უხერხებდა და პირდაპირ სიცოცხლეს უმწარებდა ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მისაბრუნ-მოსაბრუნში მოთმინებიდან გამომყვანი, სიმყრალის აღმძვრელი წარწერები, კაცს ყოველგვარ კეთილშობილურ იდეალს ძირშივე რომ უტრუსავდა და მხოლოდ კუჭით აზროვნებას აჩვევდა: მწვადი... ხინკალი... ბატკნის მწვადი... ღორის მწვადი... შაურმა... სამეფო ხინკალი... ხბოს მწვადი... საცივი... თონეში შებრაწული გოჭი... ლულა-ქაბაბი... ღორის სუკის მწვადი... ხაშლამა... მუჟუჟი... ჯიგრის ყაურმა... წალამზე შემწვარი მწვადი... კუპატი... ჩანახი... მოტაბაკებული ვარია!..

ამ ალმურში არავის აგონდებოდა, არ კადრულობდნენ ანდა არ ჰყოფნიდათ პირის ჩამაგემრიელებელი ერთი ჯამი მაწონი... ბულიონი... სალათა... ერთი პეშვი მხალეული... ბარდისა თუ მუხუდოს წვნიანი... წიწიბურა... ერთი ფინჯანი რძე ან დო.. ჩიხირთმა... მწვანე ლობიო... მოთუშული კომბოსტო... ეკალას მხალი ნიგვზით... სტაფილო არაჟნით... ჭინჭარი... საწებლიანი თევზი... ოქრომხალა კვერცხით... არა, სულ ფაშვის ჩამბეტონებელი, ადამიანის გონებრივად დამაჩლუნგებელი და გულ-სისხლძარღვების შლაკითა და ქოლესტერინით გამომჭედავი მძიმე-მძიმე კერძები: მწვადი... ხაშლამა... სამეფო ხინკალი... შემწვარ-მოხრაკული!... ან ეს სამეფო ხინკალი რაღა ჯანდაბა იყო და რითი განსხვავდებოდა სხვა ხინკლისაგან?!

ოოო, რუსთაველის საქართველო თანდათან რეგვნული აზ-

როვნებისა და სურვილების ტლაპოში იძირებოდა, რაც აღარავის ანაღვლებდა! პირიქით, ასე უფრო სიამოვნებდათ, ვინაიდან უმრავლესობის გონებაჩლუნგობა ასერიგად თვალში საცემი აღარ ხდებოდა, ხოლო სწავლამოუთავებელ პატივმოყვარე გვამებს ამგვარი ვითარება ადვილად გაბელადებისა თუ გაერისკაცების დასაშურებელ საშუალებად ესახებოდათ!..

რესტორან-სამწვადე-სახინკლეები დღე და ღამე მოქეიფეებით იყო სავსე!.. ყველგან ისეთი გახელებით ღრეობდნენ, თითქოს თავ-თავიანთი ფასდაკარგული სიცოცხლე მხოლოდ ამ ერთი თავაწყვეტილი ჭამა-სმისთვისღა უნდოდათ და ეგ იყო!..

აგვისტოს ჩახუთულ პაპანაქებაშიც კი ღამის თბილისი სულ მწვადის მქისე სუნსა და ბოლში ეხვია!.. უბედური ქალაქის თავზე თითქოს ავად მოღრჭიალე ჯოჯოხეთის უზარმაზარი სასიკვდილო კარუსელი ბრუნავდა: ხვატიან შუაღამისას, თანაც ძილის წინ ოფიციანტები ძლივს ასწრებდნენ ამოდენა დალაღებული მოქეიფეებისთვის შემწვარ-მოხრაკულის მირთმევას!.. დასტაქრები – უზომო ჭამა-სმისაგან გულ-სისხლძარღვებით დაავადებულ თვითმკვლელ-კამიკაძეთა შუნტირებას!.. გადაქანცული სანიტრები – საოპერაციო მაგიდებზე დაღუპულთა მორგში გადაგორებას! პატრონები – თავიანთი მკვდრების ამოცნობა-დამარხვას!..

ღმერთო, ეს ცხადი იყო თუ ნასიზმრი: ზომაზე მეტად შემწვარ-მოხრაკული მწვადის სუნით გაბრუებული უნაღვლელ-უდარდელა ერი თითქოს ხალისითაც კი იყო ჩაბმული უზომო ღრეობით თვითგანადგურების ჰეროიკულ ხორუმში!..

ყველას ქეიფის მეტი არაფერი ახსოვდა და აგონდებოდა!.. ყველა რესტორან-სამწვადეებისკენ მიიწევდა!.. ხოლო თუ საამისო ფული არ ებადათ, იმათაც ჰქონდათ ნაშველი: ყოველ ნაბიჯზე, ყველა ჩრდილნარში ლუდ-არყის ცარიელ-ცარიელი ბოთლები სხვადასხვა ყალიბის ქვემეხის დაცლილი ჰილზებივით იყო მიმოფანტული!.. ამ დახაციცებულთა ნახირს ადამიანური ზომიერება მაინც ჰქონოდა – აქა-იქ უდარდელად მიტოვებული ლუდის ორ-სამლიტრიანი პოლიეთილენის ბოთლები და ექვსლიტრიანი ბალონები ხშირად ჩანახევრებულიც ვერ იყო ხოლმე!... კორპუსების ირგვლივ, აქა-იქ დიდკაცურად დასკუპული ახლადწვერულვაშამწვანებული ყმაწვილები უფროსი ღიპოსნების წაბაძვით

ყოველღამ მამლის პირველ ყივილამდე ცარიელ კუჭზე ლუდარაყს ისეთი სპორტული ჟინით ძაბრავდნენ, ზედვე ეტყობოდათ – აზრზე ვერ მოდიოდნენ, ამ დროს სხვა რაღა უნდა ეკეთებინათ ან რაზე ემსჯელათ! უსახური სავაჭრო ფარდულებიდან გამომზირალი, თვალდაგეშილი გამყიდველები კი მოთმინებით უცდიდნენ ჭაბუკების ტვინარევას, მათი პირველი გიჟური შეჭყივლებისთანავე მორიგი ულუფა ფარისევლური მორჩილებით რომ მიეშველებინათ!..

მათემატიკოსს თვალი ავბედითად ეხილებოდა: ნიშანში ამოღებულ საქართველოს ეს ამოდენა სამუცლაო ბუნაგები და ლუდ-არყის ღრმა ოკეანე სასიკვდილო კაკანათივით ჰქონდა დაგებული, ხალხი კი ამას ვერ ხვდებოდა ანდა თავშეკავების მუხრუჭები დაბოშებოდა!

თვითონ რესტორანში ბოლოს როდის ან ვისთან იყო, აღარც ახსოვდა. ცხრა აპრილის შემდეგ მგონია აღარც ყოფილა! გაუბედურებული სამშობლოს პატრონს დღეს რესტორანში რაღა შეეყვანდა, იქ რა უნდა ეკეთებინა?! რაღაც აუცილებლობისას ძალითაც რომ წაეყვანათ, თავად კი დამნაშავესავით თავჩაქინდრული იჯდებოდა, მაგრამ რა გაუძლებდა მომღერალთა ცრუპატრიოტულ სიმღერებსა და სართულებიან დარბაზებში დაზღვავებულ ამოდენა ჭკუამხიარულთა წრეგადასულ აცეტებას!.. ბოლო ხანს ეს რაღა იდიოტური სიახლე დამკვიდრებინათ: ნებისმიერი შუბლგახურებული თუ ჩიტირეკია მოსუფრალი ფულს გადაიხდიდა და რომელიმე თავისი სასურველი პიროვნების სადღეგრძელო დამაბრმავებელ-გამაყრუებელი, გახანგრძლივებული ფეიერვერკით აღინიშნებოდა!!! აბუჩად აგდებულ თბილისს ღამეჩაუგდებლად ამგვარი გადაბმული ფეიერვერკების წარღვნა დასწვიმდა და ისეთი გრიალ-გუგუნი აყრუებდა, მაღლივი კი არა, ხუთსართულიანი ხრუშჩოვულა კორპუსებიც ჰაუბიცისებურ ბანს იძლევინებოდა!..

დამფრთხალ-დარეტიანებული მაწანწალა ძაღლები თავშესაფარს წკავწკავ-წკმუტუნით დაეძებდნენ!.. ოთახის ძაღლები ღია სარკმლებს ებღოტებოდნენ და ღმერთს შეჰყმუოდნენ!.. დამცირებულ-დაბეჩავებული, ძილბურანში წასული მოსახლეობა 2008 წლის რუსული ოკუპაციის განმეორებისა და მისი უსასრულოდ გაგრძელების ავადმყოფური წარმოდგენით იტანჯებოდა!

მათემატიკოსს ამ ვულკანისებურ დამაბრმავებელ ამოკაშკაშებასა და დამარეტიანებელ გრუხუნზე მეტად ამგვარად მოქეიფეთა გამოთაყვანება უფრო აგიჟებდა – ნუთუ მართლა მეტი ჭკუა და საქმე არ ჰქონდათ?! რა დროს ვიღაც-ვიღაცეების სადღეგრძელოთა ფეირვერკებით „მუსიკალური“ გაფორმების დრო გვედგა, როცა საქართველოს საბლის წვერები ყელში ეჭირებოდა!!! ხოლო თუ პოლიტიკური მკვახეტვინიანობა სჭირდათ, მშიერ-მწყურვალი, დაჩაგრული, ლტოლვილი, დაღლილ-დამაშვრალი, სნეული, მშობიარე თუ სულის მღაფავი მოყვასის ცოდვა-ბრალი მაინც როგორ არ უნდა ჰქონოდათ?! ნუთუ მადიანი ჭამა-სმის, ფეირვერკებით თავგართობის, ტკბილი ძილის, ნაჭამ-ნასვამის ბარაქიანი მონელებისა და ხბოს აღტაცების მეტი სხვა რამ უნარი, გაგება, საწუხარი, ღირსება თუ იდეალი არ ებადათ?!. ამიტომ აღარ იცოდა, ამნაირ თბილისს სად ან როგორ გაჰქცეოდა!.. თუმცა რა შუაში იყო ეს დალოცვილი თბილისი, ურომლისოდაც სიცოცხლე ვერ წარმოედგინა! მათემატიკოსს თავისთავად თბილისი კი არა, თბილისში საიმედოდ დაბუნაგებულ უმეცართა ურყევი მეუფება აწამებდა!!! ბრმა შემთხვევითობა კი ნამებისთვის ახალ-ახალ საზრდოს არ ულევდა!

სწორედ იმხანად ტელევიზორში აი, ახლა რას მოჰკრა ყური: ჩრდილო კორეის ხელისუფლება თავის მოქალაქეებს სასტიკად აფრთხილებდა – სიკვდილით დაისჯებოდა ყველა, ვინც უცხოეთში გაქცევას შეეცდებოდა და ასევე ისინიც, ვინც ზედმეტ საკვებს მოითხოვდა!!!

„ვინც ზედმეტ საკვებს მოითხოვდა!“ – უეცრად თვალახელილი მათემატიკოსი გააოგნა როგორც გაფრთხილების სისასტიკემ, ისე მისმა გამომწვევმა სავალალო სინამდვილემ! ჩვენი პლანეტისთვის სამყოფი საკვების წარმოება უკვე გადუხჭირებული იყო!.. მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა, თავისი ასაკითა და ეკოკატასტროფებით დაღდაკრული დედამიწა კი ველარ იძლეოდა საჭირო რაოდენობის მოსავალს!.. ამიტომ მისი მოსახლეობის საკმაო ნაწილი შიმშილით იხოცებოდა!.. ამგვარ ვითარებაში ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, მაშ, რა მორალური უფლება ჰქონდა, ორი ან მეტი თანამოძმისთვის განკუთვნილი საკვები ვირთაგვასავით თვითონ შეესანსლა?! ჩვენ-

თან? ჩვენთან კი ბევრი ცხრამუცელა ორი-სამის კი არა, რატო ოცი კაცის სამყოფ ულუფას არ ანადგურებდა!.. მერე, რატომ?.. რისთვის?.. როდემდე?..

ამგვარი ფიქრებით გონებაარეულს ეჩვენებოდა, რაღაც ღონისძიების გატარება იყო საჭირო, თორემ უზომ-უსაზღვრო ღრეობის მანიით გახელებული ერი მალე ლეშის ერთ უზარმაზარ, მთლიან მეწყერად გადიქცეოდა და გაქრობა-დავიწყების უხილავ უფსკრულში თავისით ჩაქანდებოდა!.. ან თუგინდ მუქთი და თავზე საყრელიც იყოს, მასას რატომ ვერ შეუგნია – ზედმეტ საკვებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს! მაგრამ როგორც კი რესტორანში მოხვდებოდნენ და ცოტა შებრუჟდებოდნენ...

რესტორანი კი არა, ბოლო წლები ისე გაჰყავდა, თვითონ ერთ კათხასაც არ დალევდა, მიუხედავად იმისა, ხარისხიანი ლუდი უყვარდა. მაგრამ ერთი ბოთლი რა თავწყალს გაადენდა! ხოლო თუ სხვებივით ისიც ლუდის სმას მიჰყოფდა ხელს, მაშინ ყოველდღე თუ არა, ზაფხულობით კვირაში ერთი ბოთლი მაინც ხომ უნდა ეყიდა?! მაგრამ სად ჰქონდათ მაგდენი ფული! თუმც აქ მთავარი ფული როდი იყო! სავალალო გარემოებით აღშფოთებულს თითქოს მუცლიმონა ლუდიყლურწია თანამოძმეების მსუნაგური ცოდვების გამოსყიდვა თუ საკუთარი სულიერი სიფოლადის ნათელყოფა სურდა, რათა თავისი გარემოცვა როგორმე მიეხვედრებინა: ნიადაგ ლუდის წუმპეში ფართხალებდე კი არა, შეიძლება მთელი წელი სტომაქში ერთი ყლუპიც არ ჩაუშვა, მაგრამ ამის მიუხედავად იყო ჭეშმარიტი მამაკაცი და შემოქმედი, ბრბოსგან შტერულად გაღმერთებულ წვრილმანებზე ძალდაუტანებლად ამაღლებული პიროვნება!.. თანაც უკვე აღმოჩენილი ჰქონდა ერთი საიდუმლო: ფხიზლობა ამქვეყნად ყველაზე ძლიერმოქმედი და უღალატო ალკოჰოლი იყო!..

„დღეს სიურპრიზი მოგიმზადე!“ – პირმხიარულად აუწყა ცოლმა, სადილად რომ სხდებოდნენ. „რა სიურპრიზი?“ – გაფანტვით იკითხა თავისი საფიქრალიდან მძიმედ გამორკვეულმა მათემატიკოსმა. „წეღან ერთი ბოთლი გერმანული ლუდი ამოგიყოლე!“ – თავდაჯერებით მიახარა ხმამომტკბარმა მეუღლემ. „შენ შენსას მაინც არ იშლი! – მუქარიანმა ღიმმა კაცს სახე გაუბზარა, – მაშინდელივით მაგასაც ჩავიტან და იამზეს უკანვე ჩავაბარებ!“

„ვერაფერიც!.. უკვე გავხსენი და ჩამოვასხი!“ – სიყვარულიანი თვალების შენათებით მოუჭრა ქალმა. მერე მაცივრიდან სავსე კათხა სიფრთხილით გამოიღო და ცვილის ბიუსტად გადაქცეულ ქმარს წინ გამომწვევი თავმოწონებით დაუდგა.

საზარელი დუმილი ჩამოწვა!!! „კაცი გგონივარ თუ ვიღაც ლუდის წუწკი ნაძირალა?!“ – ქალს კბილებდაჭერით ჩაეკითხა ცვილის ბიუსტი.

ბიუსტმა სავსე კათხა აიღო, გადიხარა და ცარიელ ბაკანში მშვიდად ჩაღვარა.

ამას კი ვერ წარმოიდგენდა ქალი! სკამზე მოცელილივით დაეშვა და ქმარს საწყლურად აუქვითინდა. „უბნის კაცები სულ ერთად სვამენ..., – წყვეტილად სლუკუნებდა, – შენ კი არავის ეკარები და... მთელი წელი თავს ისე იტანჯავ, ერთ ბოთლსაც არ...“ „ვინ გითხრა, საიდან დაასკვენი, რომ ვიტანჯები?! – პირზე ცეცხლდანთებულმა კაცმა ცოლს სათქმელი შუაზე გადაუტეხა, – აბა, შენთვისაც რომ ვერაფერი შემისმენინებია, სხვას რა შევასმინო?! ლუდ-არყის უსმელობა კი არა, მე სულ სხვა რამე მტანჯავს!.. ლუდისთვის სული რო მცვიოდეს, წინ რაღა დამიდგებოდა – ავდგებოდი და მეც... თუ არადა, რამდენჯერა მაქვს ნათქვამი: დისერტაციას რომ მოვრჩები, ერთ ბოთლს სიმბოლურად მე თვითონ...“ „ვინ იცის, ეგ როდის იქნება, – ნაიქვითინა ქალმა, – არ შეიძლება მანამდე ერთი...“ „ვააახ! – ამოიგმინა ქმარმა, – მე არ მეჩქარება და არ მესმის, შენ რა გაჩქარებს?!“ „რა და, ამ სიცხეში თუკი სხვები სულ ლუდის სმაში არიან... – ქალმა ხმაკანკალით გამოაცალა პირიდან სიტყვა, – შენ რაღა... ან ერთი კათხა რას გიზამს, როცა...“ „შენ სხვებს რას მადრი?! – მათემატიკოსს თანდათან ცეცხლი ეკიდებოდა, თუმც ცდილობდა, შინაგან გააფთრებას მორეოდა – თეონა წუთით წუთზე იყო მოსასვლელი, – დიახაც, ვერც ერთი კათხა მიზამს რამეს და ვერც ათასი!.. კარგი, რაკი მაგრე გდომებია, ხვალიდანვე მეც მაგ ვერხვებქვეშ დავიდებ ბინას და: ყლარწ-ყლურწ, ყლარწ-ყლურწ, ყლარწ-ყლურწ – დილიდან შუაღამემდე თუგინდ ოც ბოთლ ლუდს ჩავისხამ!... მაგრამ რატომ, რისთვის, რასთან დაკავშირებით, ეს ვის რას მოუტანს?! – მძვინვარებისგან კაცს სათქმელი წამდაუწუმ უწყდებოდა, თან ერთმანეთშიც ერეოდა,

– მილიონზე მეტი ქართველი უცხოეთში ყოფილა გადავარდნილი!.. სადოქტოროს ველარ გავკარებივარ!.. ნარკომანია შავი ჭირივითაა მოდებული!.. აფხაზეთი და სამაჩაბლო დაკა... თუმცა მაგას ვიღა ჩივის – გაეროს მონაცემებით უახლოესი ორმოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში ქართველები უმცირესობაში მოექცევიანო!.. გესმის, ეს რას ნიშნავს?!. სამშობლო თვალსა და ხელს შუა გველუპება, ეს გულგრილსიფათიანი ცრუკაცები კიდევ ვითომც აქ არაფერიაო, დილიდან ხან ცისკრამდე უსხედან მაგ ჩაბინძურებულ ფანჩატურქვეშ და ბოყინ-ბოყინით ლუდის ყლურწვის მეტს არაფერს აკეთებენ!.. ლუდი! – ზიზღით აღმოხდა და მოულოდნელად ხმაც აუტირდა, – ლუდი კი არა, წყალს რომ ვსვამ, ჩემთვის ისიც კი მეარმება, შენ კი აქ გერმანული „პივა" ისეთი ზეიმურობით წამომიდგი, თითქოს სამშობლოსთვის რამე..." „ჰო, მაგრამ, – ხმამომბალი ქალი მაინც თავისაზე იდგა, – ქვეყანას ხომ შენც უნდა უყურო?!" „ვინ ქვეყანა, რა ქვეყანა?! – მათემატიკოსი უარესად აენთო და აირია, – მარტომყოფობის შიშით ნაძალადევად გაერთიანებული ეგ ლუდიყლურწია გვამები შენ ქვეყანა გგონია?!. უთავბოლო ჭამა-სმაც თავისთვის იყოს – იმოდენა ნამუსრევი სანაგვემდეც ვერ მიუტანიათ და საწყალ ხაზოლეს მაგათი მაგიდის დასუფთავებისაგან სიცოცხლე აქვს გაშხამებული!.. ან... ან რაღა მე უნდა ვუყურო შენს „ქვეყანას", „ქვეყანამ" ბარემ მე... ო, შეუძლებელია ასე ცხოვრება!.. მოისვენე და მეც მომასვენე!.. ჩემ თავს როგორმე მე თვითონ მივხედავ, არადა..."

გულადუღებულმა კაცმა ლავასავით მოწოლილი სათქმელი ველარ მოიარშია და რაკი ველარც ბუნებრივი გაგრძელება მოუძებნა, ენა მოიკვნიტა. თან მეცნიერის კეთილგონიერებამაც დროზე გამოუნათა: ცოლთან დაუსრულებელი ომი ამქვეყნად ყველა ომზე უფრო უაზრო და საშინელი ომი იყო, რადგან ვერასოდეს გაირკვეოდა, ვინ მართალია, ვინ – მტყუანი, გამარჯვებული თუ დამარცხებული!..

სკამის საზურგეს ძლეულივით მიესვენა და ჭერს აშტერებულს, გულმა უგრძნო: განგება რამე ხსნას თუ არ მოუვლენდა, ამგვარ გარემოში უეჭველად დაფუტუროვდებოდა როგორც პიროვნება, ისე მეცნიერიც...

განსაცვიფრებელია, განგებასაც აღარ დაუხანებია, თუმც სამარჩიელოა: ეს მართლა ცით მოვლენილი ხსნა იყო თუ მისმა განწირულმა წარმომსახველობამ თავისით გამოიგონა და სასიკვდილოდ დევნილი ნადირივით შეეფარა.

II

მეორე დღეს სამსახურში მოგვიანებით წავიდა, რადგან თავისუფლების მოედანზე ბუკინისტ ქალს ჰყავდა შეპირებული – ამ დღეებში კომბინატორიკაზე ინგლისურენოვანი ბროშურები მექნებაო. მაგრამ ჯერ არაფერი მიეღოთ. თაროების თვალიერებისას თვალში შემთხვევით ჩაუვარდა მთელი ყდიდან გამომზირალი ვერმახტის ფელდმარშლის პორტრეტი. ეს იყო 1999 წელს რუსულად გამოცემული გერმანელი ავტორის, ლუტც კოხის წიგნი „Эрвин Роммель“.

მათემატიკოსმა მხოლოდ ზოგადად იცოდა მეორე მსოფლიო ომის ისტორია. არც მაშინდელი მხედართმთავრებით იყო დაინტერესებული – მათემატიკის რთული, მწყობრი სისტემა მსგავსი გატაცებებისთვის ადგილს აღარ უტოვებდა! ახლა კი სახეგამოწრთობილი ფელდმარშლით მოსყიდულმა, ალალბედად გადაწყვიტა – იმედგაცრუება ამ წიგნის შეძენით მაინც შეემსუბუქებინა და თავგასართობად ცოტა ხნით სულ სხვა სამყაროში გადატყორცნილიყო.

სამსახურში მისვლისთანავე ჩაიკეტა და კითხვას შეუდგა.

1941-1942 წლებში იქ, შორეული ლიბიის უკიდეგანო გახროკილ უდაბნოში თურმე როგორი სასტიკი ბრძოლები წარმოებდა ფელდმარშალ ერვინ რომელის აფრიკულ საექსპედიციო კორპუსსა და დიდი ბრიტანეთის ჯარებს შორის!.. სამხედრო თეორეტიკოსების უნდობლობის მიუხედავად უდაბნოს პირობებში ტანკებს სასწაულებრივად გაემართლებინა... ყოველ პატარა, მივარდნილ დასახლებასაც კი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა... მაგრამ ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლები ზედ ეგვიპტის საზღვართან მდებარე ტობრუკისთის მიმდინარეობდა, ვინაიდან ვინც ტობრუკს საბოლოოდ დაეუფლებოდა, მთელი ჩრდილო აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ბატონ-პატრონიც ის იქნებოდა!.. ეს პატარა ქალაქი-ციხესიმაგრე ხელიდან ხელში გადადიოდა!..

გაოგნებამ წიგნიდან თავი ააღებინა და მზერა გაუშტერა: სასტიკ გარემოში ხამად მოხვედრილი, თავად რბილ კლიმატურ პირობებში დაზრდილი გერმანელი და ბრიტანელი მეომრები რა იგავმიუწვდომელი სიმამაცით იტანდნენ როგორც ომის საშინელებას, ისე უდაბნოს სისასტიკეს: მედიკამენტები არ ჰყოფნიდათ... გაძნელებული იყო დაჭრილების ევაკუაცია... დახოცილებს ადგილზევე ასაფლავებდნენ... განუწყვეტელ ბრძოლებს ბოლო არ უჩანდა... ჯარისკაცის იარაღი და ამუნიცია 15-20 კილოგრამს აღწევდა... პაპანაქება 50 გრადუსს ქვევით იშვიათად ჩამოდიოდა... ირგვლივ ერთი ხემცენარეც არსად დაინახვებოდა – მხოლოდ ალმურიანი უდაბნოს ქვიშნარი!.. დღე-ღამეში ერთი მათარა თბილი წყალი სიცოცხლის შენარჩუნებას უდრიდა!..

ეს კიდევ არაფერი! ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა მსოფლიოში ყველაზე საშინელი სილიანი ქარიშხალი **ხამსინი**[1], აპრილიდან ივნისამდე ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში ორმოცდაათი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ რომ ქშუოდა! უმოწყალოდ მბერავ ქარიშხალს ჰაერში ათობით ტონა სილანარევი მტვერი აჰქონდა და ასობით კვადრატულ მილს ხვავრიელად აცრიდა!.. ამ დროს ირგვლივ აღარაფერი იხილვებოდა!.. ჯარისკაცები მოჩვენებებს ემსგავსებოდნენ!... უდაბნოს ქარიშხლიანი პუდრისთვის სულ ერთი იყო – მოტორი... კაბინა... რადიატორი... აირწინაღი... მჭიდრო სათვალე... დაგმანული სარკმლები... საკვების რეზერვუარები... სასმელი წყლის ავზები... სულიერის პირი, ყურები, სასუნთქი გზები, თვალის გუგები – ყველგან ატანდა!.. ჯარისკაცებს ხრჩობა, უძილობა, ცრემლდენა და დეპრესია აწამებდა... სმენა და მხედველობაც დროებით უქვეითდებოდათ... ხოლო თუ უადგილო ადგილას მოეტანებოდნენ, ქარბუქი გუდავდა!

ამის მიუხედავად, ქაფში მცურავი მეომრები ყველაფერს მამაცურად უძლებდნენ!!!

სირცხვილის მოწოლამ მათემატიკოსი გააფითრა და თავი ხელახლა ააღებინა: მაშ, ასე რამ დაადედლა ნიავიან თალრებსა და სქელ ჩრდილობებში გუნებაშერჩევით თავშეფარებული ეს ჩვენი ლუდიყლურწია შორტიანი თუ უშორტო ლოქოები?!.. ბოლოს

---

1 **ხამსინი** (არაბ.) – ორმოცდაათი.

და ბოლოს მათგან რაიმე მსგავს გმირობა-ამტანობას ხომ არვინ მოითხოვდა – ნუთუ იმდენი კაცური შნო და ღირსება მაინც ვერ უნდა გამოეჩინათ, საზოგადოებას მოსათმენად ჩაცმულ-დახურულნი სჩვენებოდნენ... ბავშვების თვალწინ ლუდ-არყით გაჯერებული შარდის ქაფმოგდებული მყრალი გუბეები არ დაეყენებინათ... თავიანთი ნამუსრევი ყოველღამ ფანჩატურის მაგიდაზე მაწანწალა ძაღლ-კატების საქექად არ დაეტოვებინათ... და საერთოდ, მტრებშემოხვეული თავიანთი მიწა-წყლის კანონიერ და თავმოყვარე, რიხიან პატრონებს დამსგავსებოდნენ!..

ისინი კი რას ჰგავდნენ ან როგორ იქცეოდნენ?!.

ალხითა და დენთის ბოლით გარუჯულმა სტრიქონებმა მისი გაშეშებული მზერა მაგნიტივით მიიზიდა და კვლავ ტობრუკისთვის გაჩაღებული ბრძოლების ქარცეცხლში აღმოჩნდა!.. ტყვედჩავარდნილი ბრიტანელი ჯარისკაცები მერე კეთილშობილურად აღიარებდნენ: ერვინ რომელი რაინდული ბრძოლის წესების დაცვით გვეომებოდაო... ტყვეებს მაშინვე თითო მათარა წყალს გვაძლევდა, თორემ ცოცხლები ვერ გადავრჩებოდითო...

მოულოდნელად სუნთქვაარევით იგრძნო: უღირსთ შორის ყოფნა-ცხოვრებით გატანჯულ-დამცირებული, სტრიქონებშუა უცებ ღირსეულთა შორის მოხვდა და ტობრუკის ალხიან მიდამოებში მებრძოლი იმ მამაცი ჯარისკაცებისკენ გულმა ჭაბუკური შეთრთოლებით გაუწია! ოღონდ არა ვისიმე სისხლის საღვრელად, არამედ საკუთარი თავის გამოცდა-გამოწრთობის მიზნით მრუჯავი უდაბნოს ყოველგვარი საშინელება თავადაც მათთან ერთად რომ გადაეტანა!..

შეგვიანებულმა მიხვედრამ გული შეუკრთო: ასე თავაუღებლად რომ ეკითხა, შეიძლება საღამომდე ხელში შემოსდნობოდა, მაგრამ ხვალ-ზეგ რაღა ეშველებოდა?! არა, ეს წიგნი უებარი, მაგრამ ძლიერმოქმედი წამლის დოზასავით გამოზოგვით უნდა წაკითხულიყო! გვერდი დაიმახსოვრა და წიგნი უჯრაში საიმედოდ შეინახა... საღამოთი ავტობუსიდან გაბრუებული რომ გადმოვიდა, მოეჩვენა: თითქოს მართლა თავიანთი კვარტლისკენ კი არა, ამუნიციით შემძიმებული, ჯარისკაცების კოლონასთან ერთად თვითონაც ტობრუკის მიდამოების ღრმა სილნარში მიაბიჯებდა!!!

ტანჯვიანი მოთმინება-მოუთმენლობით წიგნის კითხვა სამ დღეს გაწელა. როცა ჩაამთავრა, თავი ტობრუკის ბატალიების სრულუფლებიან ჯარისკაცად წარმოიდგინა – ეჩვენებოდა, იქაური ალხი აწრთობდა და ამოქმედებდა! ოღონდ გული ერთ რამეზე ეთანაღრებოდა: მაშინ მეუღლე რომ გააწბილა და ატირა! ამიტომ ბოდიში მოუხადა და თავისი გააფთრებაც უღიარა.

გულმობრუნებულმა ქალმა ეს თავისებურად გაიგო – მაშინვე ჩაქანდა და იგივე ლუდი ხელახლა ამოუტანა! გაცბუნებულ კაცსაც რაღა დარჩენოდა – ბოთლი გახსნა და დაისხა! აივნის მოკლე კანაპეზე გულის ამაჩუყებელი ოჯახური პორტრეტი დაიხატა: ქმრის მხარზე ნაზად თავჩამოყრდნობილ ქალს ორივე ხელით ჩაბღუჯული მისი მარცხენა მკლავი კალთის სიღრმეში ნადავლივით ჩაედო და განაბული უცდიდა მის ჩვეულ ამოძრავებას!..

კაცს სავსე კათხა მოემარჯვებინა და ცოლის მოსათაფლავად ლუდს ვითომ გემოჩატანებით ხვერპდა, მაგრამ ღმერთი ხომ მოწმეა, არც კი აინტერესებდა, ეს რა იყო: მართლა გერმანული ლუდი „ვარშტაინერი“, კვიცის ფსელი თუ დუბელა, ვინაიდან იქ, შორეული ტობრუკის ალხიან უდაბნოში მის მორალურ ყოფნა-არყოფნას ცივ-ცივი „პივა“ ... ვისკი... შნაპსი... სამეფო ხინკალი, მწვადი, ხაშლამა... კლიმატზე დედაბრული წუწუნი თუ შორტით ლაჯუნი კი არ წყვეტდა, არამედ რამდენიმე ნაჭერი ხმელი პური, ერთი მათარა თბილი, უგემური წყალი და მამაკაცური სიფოლადე...

ორიოდე დღის შემდეგ სასწაულებრივი რამ დაემართა. ტობრუკის ალხის სანიშნო შემოგზნებამ ლოგინიდან შერიჟრაჟებამდე მხედრულად წამოაყენა, საწერ მაგიდას მიუსვა და სადოქტორო ნამუშევარი მოაძებნინა! აქამდე დაუძლეველ შიშს რომ ჰყავდა შებორკილი – სადისერტაციოს, ალბათ, ველარასოდეს წავეკარებიო, ოდესღაც გაწყვეტილ-მივიწყებული აზრები ახლა მიყოლებით დაულაგდა და სუფთა ფურცელზე ერთმანეთს ისე ბუნებრივად გადააკვანძა, როგორც ხელგაწაფულმა ფეიქარმა დანერწყვილი თითებით მიულმანქანაზე უეცრად გაწყვეტილი ნართი!..

ნამუშევარი დასასრულისკენ ისეთი შეუფერხებელი სიმწყო-

ბრით მიიწევდა, ფრთაშესხმულ მათემატიკოსს ხან მართლა ეგონა: იქ, შორეული ლიბიის უდაბნოში სახელგანთქმული ფელდმარშლების – ერვინ რომელისა და ბერნარდ მონტგომერის მამაც ჯარისკაცებთან ერთად უმკლავდებოდა უდაბნოს ულმობლობას და დისერტაციასაც თავისით კი არ წერდა, ტობრუკის ალხი აწერინებდა! თუმც ხშირად ყურს უგუბებდა და შემოქმედებით შემართებას უთენთავდა თბილისის უბნების ჩრდილნარებიდან ნასმენი ლუდიყლურწია შორტოსანთა გაუთავებელი ვახვახი. „ვახ, ვახ, ატყობ, ტო, დილიდანვე როგორ დაცხა – ძლივსღა ვსუნთქავ!.. ვატყობ რომელია – მეც ლამის გავიგუდო!.. გუშინ გამოუცხადებიათ, კვირის ბოლოს უფრო აუწევსო!.. ნეტავი რა გვეშველება – ივნისი რო ეგეთია, ივლის-აგვისტო რაღა იქნება!.. ჰმ, ცოლი კიდე წელან ელიავაზე გაგზავნას მიპირებდა – საკეტი იყიდეო!.. გიჟი არ იყო – ეხლა გარეთ ცხვირი გაიყოფა?!.. რა ვუთხარი ვახო გორგასალსაც – ამ ჩახუთულ ხეობაში დედაქალაქის აშენება იქნებოდა!.. მეც სუ მაგას არ გავიძახი – გორგასალს რო ცოტა მეტი... დაიცა თუ ძმა ხარ – რა დროს გორგასალია, ყელი მიხმება!.. დანარჩენები სად არიან, რატო არ ჩამოდიან – რაღას უცდიან?!. დღეს ვისი რიგია, „პივაზე“ ვინ მიდის?..“

ყოველ ნაბიჯზე „პივის“ ძახილძუხილი მათემატიკოსს მაშინვე ყურს აუწივლებდა ხოლმე და დემონურ ოცნებებში ისროდა: სულ მუცელზე მოტირალი ეს ამოდენა მუქთამჭამლები საექსპედიციო კორპუსში უნდა ჩაერიცხათ და ლიბიის უდაბნოში გადაესროლათ! ოღონდ არა ომში ვისიმე საულეტად, არამედ მშვიდობიან რომელიმე პროექტში მონაწილეობის მისაღებად – არქეოლოგიური გათხრები, სარწყავი არხების გაჭრა, ტრანსაფრიკული ავტობანის მშენებლობა... ჰმ, სიცხე იქ უნდა ენახათ! მშობლიური კლიმატის მადლს მაშინღა დააფასებდნენ!..

ექიმი-დიეტოლოგების ზუსტი ანალიზის მიხედვით თითოეულს მხოლოდ მისი ჯანმრთელობა-აგებულების გათვალისწინებით შედგენილი საკვები ულუფა დაენიშნებოდა! ერთი ყლუპი ალკოჰოლის დალევა კი არა, მარტო მისი ხსენებისთვისაც კი საჯარიმო ბატალიონში ამოაყოფინებდნენ თავს! თუმც იქ ალკოჰოლურ სასმელებს ვინ მიართმევდა!.. მედიცინის მუშაკთა

ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ ყველაფერი მკაცრად, ოღონდ ცივილიზებულად იქნებოდა განსაზღვრული: მუშაობა, დასვენება, ძილი, გართობა, სპორტი...

ო, რაღაც ათიოდე თვის მანძილზე ლიბიის უდაბნოს ალმურში, ვინ იცის, რამდენი ათასობით ტონა ზედმეტი ქონ-ლეში ჩამოდნებოდა და უკვალოდ გაქრებოდა!.. ამ უბედურებს გაუმჩატდებოდათ ღიპი, გამოეკვეთებოდათ წელი, გაუთხელდებოდათ ფერდები, გასიებული ქეჩო, მთელ ტანზე ოქროს ქვიშის ქისებივით შემოკრული ქონის ტომსიკები... დონდლომანდო პირისახე დაეხვეწებოდათ და თითოეული ნაკვთი ისევ ბუნებრივ მოხაზულობას დაიბრუნებდა!.. ამინდზე დედაბრული ჭორაობისთვის ენას აღარასოდეს დაისველებდნენ!... უდაბნოს ალხში კუჭგამოწრთობილებს, თვალი აეხილებოდათ და ზომიერი სმა-ჭამის მშვენიერებას ეზიარებოდნენ!... თვალების ბეცურ ტანტალსაც გადაეჩვეოდნენ და მის ადგილას გამჭრიახი, მომთმენი, აზრიანი, ვაჟკაცური მზერა ენთებოდა!.. საქართველოში რომ დააბრუნებდნენ, სასწაულისაგან დავთრებდაფანტული ბევრი დამხვდური, ალბათ, მაშინვე ვეღარც იცნობდა ახლადდაბადებულ თავისიანს!..

მაგრამ ეს იყო ფუჭი ოცნება და ამით არაფერი შეიცვლებოდა!..

მათემატიკოსი მიხვდა, თავისას თუ არ მოიშლიდა, ლუდიყლურწიათა მიმართ წარამარა ნაფეთქი აღშფოთება შეიძლება სახიფათო აკვიატებაში გადაზრდოდა... მათთან არაფერი აკავშირებდა – მას თავისი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა...

ერთმა ძილბურანიანმა ღამემ შვების მომგვრელი მზადყოფნა აგრძნობინა – განგებას ის სიკვდილამდე ტობრუკის ალხისთვის ჰყოლოდა ამორჩეული...

უკანასკნელი სათხოვარი

ფიშერი დარბაზში მაყურებლების მიერ
გამოწვეულ უმცირეს ხმაურსაც კი გრძნობდა.

ვლადიმერ პაკი, ანდრეი ბარანიუკი
„რობერტ ფიშერი“

ქალბატონო, გულით შემიყვარდით და მერე როგორ – სიცოცხლეში ასე ჯერ არავინ მყვარ... თუმც ამას რას ვჩმახავ – ეს ხომ თითქმის არაფერს ნიშნავს! როგორც ჯერ არავინ მყვარებია კი არა, ქვეყნიერების გაჩენის დღიდან ქალი, ალბათ, ჯერ ასე არავის შეჰყვარებია, თქვენ რომ შემიყვარდით! მაგრამ ეს როგორ აგიხსნათ ან რით დავამტკიცო?! აი, სასოწარკვეთისას მინდა, რომ ერთგული... არა, არა, ერთგული კი არა, მადლიერი ძაღლივით სულ მაგ ფეხებს გილოკავდე და გიკოცნიდე!...

მოითმინეთ, მოითმინეთ, ჩემი ამგვარი უცებობით შენამკრთალი ფეხებს ნუ შეიკეცავთ – მუხლზევით არამც და არამც არ წავალ!.. თუმც მაპატიეთ, ენის წვერიდან ეს რა წამომიფრინდა – ან მუხლებამდე რა მინდა?!. წვივები და მუხლები კი არა, ჩემი ენა და ტუჩები ფეხის ზურგზე, ტერფებსა და თითებზეც არ შეგეხებათ! იმ ქვეყნადაც მადლიერი ვიქნები, თუკი მაგ თქვენი ჩექმების ლანჩების ამბორის უფლებას მაინც მაღირსებთ, ანდა...

არა, არა, მღელვარებისაგან ისეთი აბურდულ-დაბურდული აღსარება გამომდის, თავადვე ვხვდები, ასე ვერაფერს გაგაგებინებთ – პირიქით, უფრო დაგაფრთხობთ! ამიტომ ყველაფერს ჩაყოლით მოვყვები, რათა იქნებ ყველასთვის გასაგები გავხადო.

* * *

მწერალი ვარ. ეს მეოთხე წელია, რაც ჩემს მესამე, უშვილო მეუღლესთან ერთად მის ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობ. ერთი თვის შეუღლებულებიც არ ვიქნებოდით, მოულოდნელად თავს საშინელი უბედურება დამატყდა – ჩვენმა ჭერზედა მეზობელმა, მეექვსესართულელმა ქალმა ჩემთან დაუცადებელი გამიჯნურება მოიწადინა!!! ჰმ!..

ახლა გულწრფელად გაგენდობით და თუ სიტყვაზე არ დამი-

ჯერებთ, მაშინ კითხვაც აქვე უნდა შეწყვიტოთ... დაბადებიდანვე არ მახასიათებს სიტლანქე თუ ბაიყუშობა... პირიქით, ძალიან მორიდებული, ჩუმი და მშვიდი ბუნების კაცი ვარ... ნერვებიც საღზე საღი მაქვს, ხოლო ჩემს კაჟისებურ მოთმინებას ნაცნობები ხან დასცინიან, ხან დანატრიან!.. მაპატიეთ, მაგრამ არც თვინიერი მეუღლისადმი მაკლია სითბო, სინაზე და გულისხმიერება!.. ოღონდ დილდილაობით, როცა უკვე წინასწრობით ვიცი, ნასაუზმევი, თანაც მობილური ტელეფონით შეიარაღებული ქალი სამსახურში უნდა გავაცილო, მე კიდევ რკინის კარი უმალ ყველა საკეტით ჩავიკეტო, ბინის ტელეფონი გამოვრთო (მე თვითონ მობილურ ტელეფონს ჭირივით ვუფრთხი) და ჩემს მხატვრულ სამყაროსთან პირისპირ მარტოკა დავრჩე, მეც არ მესმის, ამ დროს რა მემართება! უეცრად ღვარცოფულად მოვარდნილი მხურვალე შთაგონების თუგინდ რამდენიმეწუთიანი გარდაუვალი ყოფითი უმნიშვნელო შეფერხებაც კი – მე საუკუნედ რომ მომეჩვენება ხოლმე! – შეშლილს მამსგავსებს! ამიტომ რაღაცის მომიზეზებით წინკარიდან მაშინვე რომელიმე მოფარებულ კუთხეში ვინაცვლებ და თავშესაკებლად მკლავებს მსუბუქად ვიკბენ, ჩემ გამო ისედაც აფაცურებულ მეუღლეს უცებ მხეცურად რომ არ ავუღრიალდე.

– ცხვარივით როდემდე უნდა იტრიალო მაგ სარკის წინ?!. ჰა, აიღე ხელჩანთა და დროზე წაეთრიე!... თუ ეგ სარკეც ჩაქუჩით დავამსხვრიო?!.

ახლა განმსაჯეთ: მე კარის მეზობელს გავიმიჯნურებდი? ჰმ!!! ეს ახალგაზრდა ქალი კი არა, თვით მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე მომხიბლავი მანდილოსანიც რომ ყოფილიყო, არც იმას გავიკარებდი!!! ეს ხომ იგივე იქნებოდა, შინ სქელტანა აფრიკული გველგესლა შემომეჩვია და ტანჯვა-წამებით შექმნილ საკუთარ მხატვრულ სამყოფელში თავდამავიწყებელ ტრიალს სამუდამოდ ჩამოვთხოვებოდი!!!

ამას კი ატეხილი პირუტყვის მეტი ვინ ჩაიდენს?!

* * *

გარდაუვალ წარმატებაში დარწმუნებული მეზობლის ქალი, როგორც იტყვიან ხოლმე, ტაქტიანად მივახვედრე – მე მაგის კაცი

არ ვიყავი! მაგრამ მოულოდნელი უარით გაწბილებულ-დამცირებული მდედრი ნიშანში ამოღებული მამრის მჩატე ტაქტიანობას რა პამპერსად გამოიყენებს, თუკი საწადელს ვერ ისრულებს! ამიტომ სამაგიეროს გადახდა მეორე დღიდანვე დამიწყო და მერე როგორ – სიცოცხლე ჯოჯოხეთად მიქცია!

დილით ხალხი რომ გაიკრიფება და ქმარიც სამსახურში წაუვა, სკოლამდელი ასაკის თავის ორ ბიჭუნას მეზობლების ბავშვებსაც განზრახ შემოუმატებს ხოლმე და მთელი დღე იმისთანა ხტომა-ხუნტრუცი, ურიამული, ბრაგაბრუგი და თავისი მეუღლის ჰანტელების რახუნ-გრუხუნი ჩამოისმის, გეგონება, კორპუსს ფუგასური ბომბები აცვივაო!!!

ამგვარ პირობებში „მხატვრულად" ფიქრსა და წერას ვიღა დაეძებდა – წვერის პარსვისას ხელები დამბლიანივით მიკანკალებდა და ველარც ადამიანურად ვაზროვნებდი. ასეთი ხმაურის მიზეზს მეუღლე, ცხადია, ვერ ხვდებოდა, თუმც კარგად ხედავდა, რა დღეშიც ვიყავი ჩავარდნილი!.. დაჟინებული რახუნისაგან ტვინდაუეჟილმა ზედდამატებით თან ერთი უპატიებელი წინდაუხედაობაც გამოვიჩინე – ვერ მოვასწარი თანამეცხედრის გაფრთხილება, ზედა მეზობელთან ამაზე კრინტიც არ დაეძრა!!!

ჰოდა, ამ საწყალს ერთხელაც დური გულღიაობით შეეჩივლა: მაგული, გენაცვალე, ასეთ რახარუხში მეუღლე სულ ველარ მუშაობს და მაგოდენა ბავშვებს ცოტა მეტი ყურადღება მიაქციეო.

ისიც თურმე სწორედ ამას უცდიდა!!!

– არა, თქვენიც მესმის, მაგრამ... – პურის მაღაზიასთან მაგულიმ ჟინმობანილი მტარვალის თვალაღგზნებით გამიყარა ნესტრიანი მზერა და გარედან მიკერებული თანაგრძნობით ამიბურცა ტუჩები, – მაგრამ მითხარით, როგორ მოვიქცე – ჰა, ჩემები გინდაც ცემით დავხოცო, მეზობლების მობარებულ ბავშვებსაც ხომ ვერ...

– ეგ რამ... გაფიქრებინათ, ქალბატონო მა... გული!... ქალებს ყველაფრის გაზვიადება გჩვევიათ... – გაფანტვით გავაწყვეტინე, თან ვიგრძენ, გონება კი არა, სათქმელსაც ენა თავისით გზადაგზა იგონებდა და ჩემ დაუკითხავად ამზეურებდა, – ბავშვებს ნუ შეზღუდავთ!.. მაგათ ასაკში მე უარესი ვიყ... ვიქნებოდი!.. თანაც

მეუღლეს ეს ჩემზე გადამეტებული ზრუნვით მოსვლია!... ქვეყანა რომ ინგრეოდეს, წერით გატაცებულს... აღარაფერი მეყურება, თუკი...

სისულელეების მჩმახველს მოულოდნელად გონება გამეხსნა და დანარჩენი ალალბედური სათქმელი ენაზე დამელექა: ჩემგან გულნაჩხვლეტი მაგული ის ჩიტი არ იყო, ამგვარი ნაროში წამოეკენკა! ამიტომ თითქოს ახლა ჩემი ნათქვამის შემოწმება თუ მისი განიორწყლება განუზრახავსო, უფრო მეტი გაკაპასებით დამიწყო რახარუხი!!!

* * *

წერის ილაჯი სულ დამეშრიტა. ძილშიც კი რახუნ-ბრაგა-ბრუგი მელანდებოდა და შლეგიანივით მაფეთებდა!.. გაგიჟებას აღარა მაკლდა რა!.. გაასპიტებული ქალი რაკი სულ ერთ ჭდეზე იდგა, არ დაგიმალავთ, უკიდურესი უსასოობისას გულში ხან ნაგვიანევად თვალახელილი, ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობის მომაბეზრებელ წვრილმანებში მოუაზრებელი შემოქმედის მაცდური სინანული გამიკრთებოდა ხოლმე: თუკი ამ დღეში ჩამაგდებდა, ჯანი გავარდნოდა, ლიტერატურის ხათრით ნეტავი ისევ მის ნება-სურვილს დავყოლოდი... ამაზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო?!. ანდა, ვინ იცის, გვიანი იქნებ არც ახლა იყოს-მეთქი! მაგრამ ამგვარი მჟრჟოლავი ცდუნება მხოლოდ ჯაბნური რყევის წამებში მეუფლებოდა და მაშინვე წიხლის კვრით ვიშორებდი!.. არა-მეთქი!.. კაცურად გეუბნებით და დამიჯერეთ: დილით მეუღლეს როგორც კი გავაცილებ და კარს გადავიკეტავ, მერე მორჩა – ვინმემ მომიკაკუნოს და ლუკლუკი გამიბას კი არა, ამ დროს თვით დედამიწამაც უნდა შეწყვიტოს მოძრაობა და ერთ ადგილას გაირინდოს!!!

რა ვქნა, ბუნებას ასეთი დავუგდივარ და ჰა, თუგინდ ჩამქოლეთ, მაგრამ ეს ვის რაღას მოუტანს?!.

ერთი სიტყვით, საქმისთვის სხვანაირად უნდა შემომევლო. მართალია, რომანის გამოცემისთვის მტკიცედ გამოკვანძილი ფულის დაკოჭლება არ მინდოდა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო – „დანიურ სახლში" საკეცი სკამ-მაგიდა შევიძინე და მწყემსურად წამოკიდებული ბარგი-ბარხანით თავს ჩვენი მივარდნილი მასივ-

ის უკაცრიელი შემოგარენის დაბურულ ღელე-ღრანტობებში შევიხიზნავ ხოლმე.

დილიდან დახშირბინდებამდე სუფთა ჰაერსა და ასარჩევი ჩრდილნარების სამარისებურ სიმყუდროვეში ხელშეუშლელად წერა-აზროვნებამ შთაგონება ისევ დამიწმინდა და იმისთანა დებიუტანტური შემართება ჩამიდგა, ხან ასეთი ფიქრიც კი ამიტანს ხოლმე: ეს გაკაპასებული ქალი უზენაესის ბრმა იარაღი ხომ არ იყო-მეთქი!!!

* * *

ეს ზაფხულ-შემოდგომობით, მაგრამ ზამთრის ყიამეთში რაღა წყალს მივცემოდი?! ამიტომ ერთი მყუდრო, ხელმოსაცემი კუთხის შესაგულებლად თბილისის ყველა ცნობილი და უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკების არც ერთი სამკითხველო დარბაზი არ დამიტოვებია მოუსინჯავი! მაგრამ ჩემმა იმედმა ყველგან ფალია აიღო და ნაგვიანევმა თვალახელამ სასოწარკვეთაში ჩამაგდო: ჩემი სტუდენტობისდროინდელი დარბაზები თურმე სულ სხვა განზომილებითა და ვნებებით ცხოვრობდა, მე კი...

დღეს სადღა ნახავთ წიგნებსა და კონსპექტებზე თავაუღებლად მხარწახრილი სტუდენტებით გამოჭედილ ჩამყუდროებულ სამკითხველო დარბაზს, ფურცლების შარიშურის მეტი რომ არაფერი ისმის!!! მაგიდების გრძელ რიგებშუა კი თვალდაგეშილი, ფაჩუჩებიანი (ეს კარგად დაიხსომეთ!!!) მორიგე ბიბლიოთეკარი მკითხველების თვალიერება-თვალიერებით წინ და უკან მბრძანებლურად დაიარება და დადგენილი წესრიგიანობის სულ უმნიშვნელო დამრღვევს სქელი ფანქრის მუქარიანი კაკუნით აფრთხილებს ანდა რამდენიმე საათით სულაც აძევებს, თან მკითხველის ბილეთის ჩამორთმევის საფრთხესაც ახსენებს!

გელიმებათ, არა?! გაგელიმებათ კი არა, იქნებ სიცილიც აგიტყდეთ! დემოკრატიისა და კომპიუტერის ეპოქაში წესრიგიანობასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკრებს ვიღა რას ეკითხება ანდა თავიანთი მოკრძალებული მოვალეობის მოხდის მეტი რაღა შეუძლიათ! თავ-თავიანთ კუთხეებში თუ მაღალი ბარიერების მილმა ხმაჩამორთმეულებივით მობუზულან და თავისებურად გაგებული დემოკრატია-ავტონომიით შემთვრალი გოგო-ბიჭების წრეგა-

დასულ თავნებობას ბედს შერიგებული მაყურებლის თვალითღა გამოსცქერიან!

თუმც ნათქვამია: ერთი ცხვრისკენ და ერთიც მგლისკენო! დღევანდელ სტუდენტობას გულითაც რომ სურდეს სანიმუშო წესრიგის დამყარება, ეს როგორღა უნდა მოხერხდეს?! კომპიუტერის შალითებისა და საფირმო ჩანთების მკვიდრი ელვასაკეტების ამოუხსნელი ჯიბრიანობით გახსნა-დაკეტვისას მთელი დღე ისეთი მკვახე ფხრაწაფხრუწი გაისმის, სამკითხველო დარბაზი თეთრეულის კუსტარულ სამკერვალო საამქროს ემსგავსება! ხოლო პერსონალური კომპიუტერების, ლეპტოპების, პლანშეტებისა და მათი მოდემების, სატენების, დინამიკებისა და ბოხვერა როზეტების გამომწვევი გაშლა-ალაგებისას ატეხილი ცივი რაკარუკისაგან კაცს თავი სოფლის სამჭედლოში ეგონება!

დღევანდელ სამკითხველო დარბაზებში ხომ ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა ერთმანეთში შეხმატკბილებული მარაქის კომპიუტერთან თავყრა და ხმააწევით კამათი, ლაყაფი, შიგადაშიგ თავშესაქცევი ამბების მოყოლა და თუგინდ ნაძალადევი სიცილ-კისკისი... ღლაბუცი, ფათური, მსუბუქი ხვევნა-კოცნა... თმის ვარცხნა, მაკიაჟი... სასუსნავის პარკების გაუთავებელი ჭრაჭუნი... მაგიდებიდან წარამარა გადმოვარდნილი მინერალური წყლის ბოთლების შემაკრთობელი ბასტაბუსტი... კევის ტყლაშატყლუშით ღეჭვა... საკმაოდ დაშორებული მაგიდებიდან ერთმანეთისთვის კანფეტების ცუღლუტური თუ საარშიყო ტყორცნა და ჰაერში დაჭერა ანდა ვისიმე ხელნაწერზე წკაპანით დაცემა!... დარბაზის რომელიმე მიმყუდროებულ, ტოტებგაფარჩხული დეკორაციული მცენარეებით შემომესრილ კუნჭულში მეცადინეობით ტვინგადაღლილთათვის გათვალისწინებულ ჩამოსაჯდომ კანაპეზე უგვანოდ წამოშხლართული ოტროველა, რომლის გამომეტყველება დაკვირვებულ ადამიანს სატანჯველში აგდებს – ამას აქ რაღა უნდა?! ნეტავი გამართული წერა-კითხვა მაინც თუ ეცოდინებაო!.. ერთ მოკლეკაბიან გოგონას კი – კალთაში დებულ ლეპტოპის ეკრანს თითებს კეკლუცად რომ უცაცუნებდა – ცალი ფეხი ქუსლით მაგიდაზე ამერიკულად ისე შემოედო, გაჩაჩხული უბიდან ლაგამივით ამოდებული ბიკინი მოუჩანდა! მაგრამ ეს არავის შეურაცხყოფდა! ვითომც არაფერი! გოიმი ხომ

არა ხარ, მსგავსმა „წვრილმანებმა“ თვალი მოგტაცოს, გაგაკვირვოს ან აღგაშფოთოს! დღეს ხომ დემოკრატიას გვასწავლიან და თანაც უმაღლეს სასწავლებლებს ავტონომია აქვთ მინიჭებული! ჰოდა, ვიღას რა ესაქმება – ვისაც როგორ უსწორდება, ისე გაისწორებს! მორჩა და გათავდა!

მობილური ტელეფონები?! ოოო! ვრცელ სამკითხველო დარბაზში, სადაც ყოველ მაგიდასთან მობილური ტელეფონის სამაცდურო ზარის მომლოდინე მოუსვენრობაშეყრილ ახალგაზრდას თავისი ღვიძლი სამეცადინოსთვის გული ვერა და ვერ დაუდვია, შეუფერებლად წრიალებს და ეს გადამდები მოუსვენრობა-მოუთმენლობა სხვასაც აწამებს, ხოლო ამდენი მობილური ტელეფონი (ზოგს თურმე ორი-სამიც ჰქონია!) ირგვლივ წარამარა სასოწარკვეთით წრიპინებს ან ნაირ-ნაირ მელოდიაზე ჟღრიალებს, იქ მწერალს რა გააძლებინებს?!

მართალია, საჭირო ადგილას გაწებებული მითითება თუ სარეკლამო ნიშანი სასტიკად კრძალავს სამკითხველო დარბაზებში მობილური ტელეფონით სარგებლობას, მაგრამ ამას ვინ დაგიდევს! თუმც ბევრი ვითომ „დისციპლინებული“ მკითხველი ამ წესს პირნათლად იცავს, მაგრამ ვაი ამნაირ დაცვას: აქაოდა, ხაზი არ გამიწყდესო, ადგილიდან სკამის უხეში ხრიგინ-ბრახუნით წამოვარდნილი და გასასვლელისკენ შმაგი ბრაგაბრუგითა თუ მკვახე ბაკაბუკით გასწრაფებული, მტაცებლურად ჩაბღუჯულ ტელეფონს იმხელა ხმით ჩაჰყვირის ანდა ჩასწივის, ასწილ აჯობებდა, ისევ ადგილზე დარჩენილიყო და მრეკავი ხმამოდაბლებით გაესტუმრებინა!!!

ან ეს მაინც რაღა უბედურებაა: აკუსტიკიან ვრცელ ფოიეში ერთად შეყრილ ლომკაც პოლიციელებს დილიდან საღამომდე ერთმანეთში ისეთი ანგარიშგაუწეველი როხროხ-ხათხათი აქვთ გაბმული, რომ მთელი ბიბლიოთეკა გოგოლის „ტარას ბულბაში“ აღწერილ ზაპოროჟიე სეჩს ემსგავსება!..

* * *

სამკითხველო დარბაზის შერჩევისას პირდაპირ გული მეკეპებოდა, როცა ვხედავდი – მართლა სწავლისა და გაუბედურებული სამშობლოს უანგარო მსახურებისთვის მოწოდებული ღირ-

სეული სტუდენტები იძულებულები იყვნენ უსიტყვოდ აეტანათ უმაღლეს სასწავლებლებში ჯოგური წამხედურობით შემოხვეტილი, უაზრო გატაცებებით დამახინჯებული თანამოძმე მუტრუკებისა და გომბიოების უმიზნობა, უნაღვლელობა, უსაქმურობა, ჭკუათხელობა, უსაქციელობა!..

ყველაზე მეტად კი სიცოცხლეს აი, რა მიშხამავდა, რაც რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის სამკითხველო დარბაზში ჩემ დამკვიდრებას შეუძლებელს ხდიდა: ბევრ სტუდენტს სიჯეილე, ეტყობა, მარადიული საჩუქარი ეგონა... ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა და მერე მიგლეჯილ-მოგლეჯილი ჯინსით რეგვნული თავმოწონება – სავალდებულო სტუდენტური სახადი... სამშობლო – მტერთაგან ხელშეუხებელი საკუთრება!.. მობილური ტელეფონი – დედის მუცლიდან თანდაყოლილი ერთ-ერთი ორგანო, ხოლო ამ ტელეფონის მოციმციმე ეკრანზე ერთთავად ცერის ბეცური ცაცუნი ან ვინმესთან ბოლომოუღებელი უაზრო ლაყაფი – თავიანთი ცხოვრების უპირველესი მიზანი და საქმიანობა!... და რის ცქერაც პირდაპირ სულს მიხუთავდა: მდოვრედ მიმავალი დროის გასაყვანად თავ-თავიანთი მშობლიური თუ ვითომ მშობლიური სასწავლებლის წინ, თანაც გამონაბოლქვით აყროლებული გაჩერებისპირას მთელი დღე ჯგუფ-ჯგუფად დგომა-სხდომა და ბაზრული დადანი!.. ოოო!..

ეჰ, ვინ მიხვდებოდა, ერთი მყუდრო კუნჭულის მძებნებლი, რა საკირეში ვიწვოდი! ან თუგინდ სცოდნოდათ კიდეც, ჩემთვის ვინ მოაწყობდა სანიმუშო წესრიგიანობის სამკითხველო დარბაზს?! მოკლედ, ამდენ ძებნა-რჩევაში დრო უსარგებლოდ მეფლანგებოდა! ამიტომ თავში ქვა უნდა მეხალა და სასტიკი სინამდვილისთვის თვალი უშიშრად გამესწორებინა – ბოლოს და ბოლოს რომელიმე მათგანს შინიდან გამოძევებული ბედდამწვარი შემოქმედის თავგანწირულობით შევკედლებოდი და შევგუებოდი!

* * *

ქალბატონო, გადაქანცული არჩევანი ბოლოს მეორე სართულზე მდებარე მაგ თქვენს სამკითხველო დარბაზზე შემიჩერდა! ჟანრობრივი ლიტერატურის მიზეზით რაკი მანდ უფრო ასაკოვანი მეცნიერ-მკვლევარები ბუდობენ, ამიტომ სხვასთან

შედარებით მუდამ მეტი სიმყუდროვე სუფევს ხოლმე! მე უბედურიც სწორედ მაგას წავეტყუებინე!.. თუმც აქ არც სტუდენტობის ნაკლებობა იგრძნობა, მაგრამ ცხრილში გატარებული უფროსი თაობის ხათრითა თუ წაბაძულობით ახალუხლებით გამოჭედილ სხვა სამკითხველო დარბაზებთან შედარებით სისხლაჩქლორებულ სტუდენტთა ჯერ ჩამოუყალიბებელი, ბოლომდე გაუცნობიერებელი ყოფაქცევა აქ უფრო მაინც მოსათმენ ფარგლებში თავსდება.

ეს ყველაფერი მეც სანდოდ მომჩვენებოდა და წერას დანატრებული შემოქმედის ბრმა გატაცებით განვაგრძე რომანზე მუშაობა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგვე გაცხადდა ყველაფერი – ჩემივე გულუბრყვილობითა თუ მოუთმენლობით თურმე ყველაზე აუტანელ სატანჯველში გამეყო თავი!!! ამიტომ გულში მაშინვე საკუთარი თავის ნაგვიანევ კრულვას შევუდექი, ვინაიდან აი, ასეთი ცდუნებაატანილი ვარ და მყუდრო კუთხეს დანატრებული შემოქმედის მხურვალე ჟინით გონებააფორიაქებულს, ხშირად ყოვლად საეჭვო, ჯერ კარგად კბილგაუსინჯავი გარემო უცებ სასურველ ნავსაყუდლად მომეჩვენება ხოლმე და თავდავიწყებით მივენდობი!

* * *

ამხელადაც სწორედ ასე დამმართოდა! მიზეზს არ იკითხავთ? ო, ქალბატონო, სათქმელადაც კი სატანჯველია და ენას ძლივს ვიბრუნებ: თქვენივე ბიბლიოთეკრები მკვიდრად დაგებულ, გამომხმარ პარკეტზე რკინის ბოხვერაქუსლიანი ჩექმებით მთელი დღე ისეთი გამომწვევი სიმედგრით დააბრახუნებენ, ბისმარკისდროინდელ გრენადერებსაც კი შეშურდებოდათ!!!

სამეცნიერო სამკითხველო დარბაზში რკინისქუსლიანი ჩექმებით ბრახუნ-ბაკუნი ჯერ ვარსკვლავებთან მოთამაშე, თავდავიწყებით შეყვარებულ გოგონასაც კი არ ეპატიება და ბიბლიოთეკრებს, თანაც უკვე შეხნიერებულებს?! ჰმ!.. მაგრამ ეს ასაკობრივი უფსკრული, როგორც მე შევატყე, მათში კეთილგონივრულ თავდაჭერილობას კი არ ბადებს, არამედ მდედრულ შურს, პათოლოგიურ კაეშანს, მწველ შეურიგებლობას, მათთან გატოლების მოურეველ ჟინს: აბა, კარგად შემოგვხედეთ, მაგ გო-

გუცანებს ჩვენ რითი ჩამოუვარდებითო და ეს სახეჩამომდნარი, საკმაოდ შემძიმებული ქალები ამსიგრძე დარბაზში ისეთი თავგანწირული ბრახაბრუხით მიმოიჩქარიან, რომ იატაკი და კედლები ქანაობას იწყებს, მე კი ყურთასმენა მიგუბდება, შეურაცხყოფისაგან შთაგონება მეთუთქება და არწივის ჭანგივით საწერად მომშვილდული მტევანი მომაკვდავივით მიდუნდება!

სწორედ ამ ბიბლიოთეკის პირდაპირ ამერიკელები რაღაც უშველებელ სავაჭრო ცენტრს გვიშენებენ თუ იშენებენ. ჰოდა, მშენებლობის ჩვეულებრივი ხმაური და მანქანა-მექანიზმების დგანდგარ-ღრჭიალი ჩვენთანაც თავისუფლად ატანს. ხოლო ერთი ხმაგამძლე ბრექია სამუშაოთა მწარმოებლის მოუღალავი ყვირილი – ვირა!.. მაინე!.. ვირა!.. მაინე!.. ვირა!.. მაინე!.. – ალბათ, ნახევარ თბილისს ეყურება! მაგრამ გარედან შემოჭრილი ეს ხმაური ჩემზე სულაც ვერ მოქმედებს, ვინაიდან ჩვენ – იმ მშენებლებსა და მკითხველებს – ერთმანეთთან არაფერი გვაკავშირებს და გვავალდებულებს!!! მაგრამ სულ სხვაა სამკითხველო დარბაზის მუზა, ქ-ნი ბიბლიოთეკარი! ამიტომ აქ მაწამებს არა იმდენად ბიბლიოთეკრების რკინისქუსლიანი ჩექმების თავდაუჭერელი ბრახაბრუხი, რამდენადაც მათი მოუაზრებლობა თუ მკითხველების არაფრად ჩაუგდებლობა!

სულ პირველად კი ეს რომ დავინახე, მეგონა, ტვინში სისხლი ჩამექცეოდა! წიგნსაცავიდან ელექტრონული კატალოგის მაგიდისკენ გაშურებული, წონაში საგრძნობლად მომატებული ერთ-ერთი ჯანიანი ბიბლიოთეკარი სქელ ნოხზე კი არა, განზრახ ნოხის გასწვრივ, შიშველ პარკეტზე მედგრად მოაბოტებდა და თან ზედვე ეწერა: რკინისქუსლება ჩექმების მეხისებური მქუხარება რაღაც უსაშველო ვნებათა ღელვას უამებდა!!!

მერე და მერელა ამეხილა თვალი: ეს აქ თურმე ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა!..

* * *

ეს ძველი მკითხველები მაინც რატომ არ აიმაღლებენ ხმას?! ოჰ!... რაღაც საბაბით უაზროდ აფუსფუსებულმა და ერთმანეთში არეულმა ბიბლიოთეკრებმა თავის ქალის ამხდელი ბრახუნ-ბაკუნით დარბაზი ბოროდინოს ბრძოლის ველს რომ დაამსგავსონ,

ობისსუნიან ფოლიანტებში ცხვირჩარგულ, ციტატების გადმოწერით გართულ მხცოვან მკვლევარებს უნიშანწყლო სახეზე ობოლი ნერვიც არ გაუტოკდებათ ხოლმე – ბოლოს და ბოლოს ეს სამეცნიერო სამკითხველო დარბაზია თუ საცხენოსნო მანეჟიო!..

მე მაინც რატომ არ დავძრავ კრინტს? ეჰ, ეს არ გამიჭირდებოდა, მაგრამ წინდაწინვე ვგრძნობ, რაკი აქ ახალი უცნობი მკითხველი ვარ, ამას სასინანულო უკუშედეგი მოჰყვება და უეჭველად ქალთმოძულე კაცის დამღას მომაკერებენ! არადა, შთაგონების მკეპავმა ამგვარმა ბრახუნ-ბაკაბუკმა ქალები კი არ შემაძულა, პირიქით, უფრო შემაყვარა და რაც მთავარია, მათი გარჩევა მასწავლა!!! თორემ ახალგაზრდობაში ჩემთვის ჯოხზე ჩამოცმული კაბაც რომ აეფრიალებინათ, ედსონ არანტეს დო ნასიმენტოსავით მაშინვე შეტევაზე გადავდიოდი!!!

ამგვარი მკვახეტვინიანობისთვის ო, ახლა როგორ მძულს ჩემი ცხოვრების ის მონაკვეთი!..

ჰოდა, თან რაღა დაგიმალოთ, აქ ყველანი ცოტა სხვანაირი თვალით მიყურებენ: ვინა ვარ (თუმც შეიძლება იცოდნენ ან ხვდებოდნენ მაინც, ვინცა ვარ, მაგრამ რატომღაც არ სურთ ამის აღიარება), აქამდე აქ რატომ არავის დავუნახივარ?! ან ყოველთვის სულ პირველი როგორ მოვდივარ, მუნჯი ასკეტივით ვიკავებ ამოჩემებულ მაგიდას და დარბაზსაც მუდამ უკანასკნელი ვტოვებ!.. არანაირი წიგნებით არ ვსარგებლობ და ვინმესთან ზედაპირულ დაახლოებასაც თავს ცივი წინდახედულობით ვარიდებ!.. ამიტომ დარბაზის ხანმოკლე მყუდროებას როგორც კი ბიბლიოთეკრების რკინისქუსლიანი ჩექმების ბრახუნ-რაკუნი გააყრუებს ხოლმე, სხვები თუ გაქვავებული აუღელვებლობით განაგრძობენ ნაპოვნი ციტატების დინჯად ამოწერას, მე მაშინვე ვითიშები და წერით თავდავიწყებული წეღანდელი შემოქმედი გათანგულ დამკვირვებლად გადავიქცევი ხოლმე!..

ჰოდა, ნუთუ დამნაშავე ვარ, ღმერთს დაკვირვების უნარით რომ დავუსჯივარ?!.. დაკვირვებამ კი აი, რა მიჩვენა! ეს ბიბლიოთეკრები თავიანთი რკინის ბოხვერაქუსლა ჩექმებით ასე მტარვალურად მკითხველების დასასჯელად კი არ აბრახუნებენ, არამედ ამ განუყრელი, მაგრამ უიმედო იარაღით ქალურ

და ცხოვრებისეულ ამაოთა ამაოებას გაუცნობიერებელი თავგადაკვლით ერკინებიან: თითქოს ამ ყეყეჩ საკაცეთს პარკეტს ნიორივით ანაყავენ, ანდა თავიანთ რაღაც უკადრის სიცარიელეს ფუთიანი უროებით უზარმაზარ ფანერებს აჭედებენო – ბრახ-ბრუხ!.. ბრახ-ბრუხ!.. ბრაააახ-ბრუუუხ!..

ერთი სიტყვით, დეკარტისა არ იყოს: მე ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობო, ამათაც დაახლოებით ასე ემართებათ – მე რკინისქუსლიანი ჩექმებით ვაბრახუნებ, მაშასადამე, ქალი ვარ!!!

* * *

ქალბატონო, ამ სამკითხველო დარბაზის შვიდი ბიბლიოთეკრიდან თქვენ ხართ ერთადერთი, ვინც აქ მუდამ თხელქუსლება, რბილლანჩიანი ჯადოსნური ჩექმებით დაიარება! უფრო სწორედ, მაგ შვიდეულიდან თქვენ ხართ ერთადერთი, ვისაც ესმის – ნამდვილი ღვთის გმობაა მკითხველებით სავსე დარბაზში გიჟური ბრახაბრუხის ატეხა!!! ოღონდ ერთი რამ საგონებელში მაგდებს: ეს დანარჩენებსაც როგორ ვერ შეუგნიათ – ამის მიხვედრა ნუთუ ასე ძნელია?! ხოლო თავისით თუ მართლა ვერაფერს ხვდებიან, მაშინ რატო არ მოგბაძავენ – ამას მაინც რაღა უნდა?! თუ ყველაფერს თავისითაც კარგად ხვდებიან, მაგრამ ვერ მორევიან... რას ვერ მორევიან?! ეეეჰ!..

მოულოდნელად ატეხილი შტერულ-შლეგური ბრახაბრუხისგან შთაგონება რომ ჩამიკვდება და გავითიშები, თქვენი ერთი გავლა-გამოვლაც კი ისევ მოაზროვნე არსებად მაქცევს ხოლმე! ამ დროს მეჩვენება: ნოხზე თუ ნოხგარეთ უჩამიჩუმო ჩექმებით თქვენ კი არ მოდიხართ, არამედ ჰაერ-ჰაერ თვით ჩემი მხსნელი ქალღვთაება მონარნარებს!!! ამ დროს ხელს მწველი სურვილი დამრევს ხოლმე: თქვენი უზომ-უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად და იქნებ მავანთა გონზე მოსაყვანად თქვენ ფერხთით დავემხო, ჯარისკაცური ხოხვა-ხოხვით აგედევნო და უხმაურო ფიფქებს დამსგავსებული ეგ თქვენი ნაფეხურები სულ კოცნით ავკრიფო!..

* * *

ქალბატონო, თქვენი ჩექმები ჩემზე უკვე ჰიპნოზურად მოქმედებს. ამას წინათ რომანის მეორე ნაწილი მქონდა დასაგ-

ვირგვინებელი და დაძაბული გელოდი. რა ვუთხარი ჩემს ყისმათსაც – ბიბლიოთეკრების გაუთავებელი ბრახაბრუხისგან პირდაპირ ტვინი მენაყებოდა, თქვენ კი არა და არ ჩანდით! შიშით ვერც ვკითხულობდი, მოხვიდოდით თუ არა, თქვენს ღირსებას რაიმე მწიკვლი რომ არ მოსცხებოდა! არადა, თითქოს ჯიბრით, ანბანურ თაროზე გადანახული ვადაგასული წიგნების განზრახ გაჭიანურებული გადარჩევა-გადმორჩევის საბაბით რაღაცაზე ამრეზილი თუ სულ მუდამ ამრეზილი მხრებაწეული და თავმოღერებული ერთ-ერთი ბიბლიოთეკარი შემძიმებული თეძოების ქნევით ჩემ ირგვლივ ისეთი ჩაჟინებით აბაკუნ-აბრახუნებდა, თითქოს დაეფიცოს – მაშ, მე ქალი არა ვყოფილვარ, ეს კრეტინი თუ ვერ ავახედოო!!! ურჟოლაატანილი, მე კიდევ ჩემებურად ვკერპობდი – ზვარაკივით ხელნაწერზე რომ დამაკლან, მაინც არ შემოგხედავ-მეთქი და წერას ჩვეულებისამებრ ვაგრძელებდი!!! ოღონდ არ გეგონოთ, მართლა რამეს ვწერდი: ამ პათოლოგიური სიშმაგით ატანილი ქალის წინაშე იხტიბარს არ ვიტეხდი და რაგინდარა ასოების ალალბედური მიყოლებით რაღაც უაზრო სიტყვები და წინადადებები გამომყავდა! თან გული მიკვდებოდა, ძვირფასი ფრანგული იისფერი მელანი „WATERMAN“-ი ასე ფუჭად რომ მელუპებოდა!.. სადაცაა, აშუადღევდებოდა!.. ვიგრძენ, უკვე აღარ გამოჩნდებოდით!.. შეფარული დუელი კი გვიგრძელდებოდა: ძალს ის ქალი, ძალს – მე! რომ არ შევშლილიყავი, ბოლოს ისევ მე დავაგდე ბრძოლის ველი – გუდა-ნაბადი თავჩაღუნვით ავიკარი და ქუჩაში გამოვჩერჩეტდი... ირგვლივ მიმომავალი ადამიანები უცხო პლანეტიდან ჩამოხვეტილ მწვალებლებს ჰგავდნენ!.. მეჩვენებოდა, სადაცაა თავის ქალა გადამეხსნებოდა და ნაწამები ტვინი ფეხწაკრულ ბაბუაწვერასავით ჰაერში გაიფანტებოდა!.. მსგავსი უსასოობისას №103, 4, 90, 10 ან 112 სამარშრუტო ავტობუსებიდან პირველივე მათგანს ავემგზავრები ხოლმე და იქ, ტაბახმელას, წავკისის, ოქროყანას, კოჯრისა თუ შინდისის სამოთხისებურ შემოგარენს თავმიცემულს, ისევ მილაგდება მხეცური შეურაცხყოფისგან აწეწილი ღირსება და შთაგონება!

სხვა გზა აღარ დამრჩენოდა, ამჯერადაც ასე უნდა მოვქცეულიყავი. გაჩერებას რომ ვუახლოვდებოდი, უცებ თქვენ შეგასწარით თვალი – ხელში რაღაც შეჭრელებული, ვარდისფერი

ზონრით გაბანტული მუყაოს საფირმო კოლოფი გეკავათ და ავტობუსში უკანა კარიდან ადიოდით!... თქვენი ასვლა, კარის დახურვა და ავტობუსის გაძვრაც ერთ იყო, მაგრამ თქვენი ჩექმების გაელვებაც ჩემთვის საკმარისი გამოდგა: უცებ გამიქრა შეურაცხყოფა, ძალმიხდილობა, სასოწარკვეთა და კვლავ გადმოუცემელმა შემოქმედებითმა აღმაფრენამ ამიტაცა!... როგორ იქნებოდა ამ წამ-წუთების ხელიდან გაშვება!... თბილისის შემოგარენში იძულებით საყიალოდ ვიღას ეცალა!.. მაგრამ ისევ ბიბლიოთეკაში მიბრუნება თვითმკვლელობა იქნებოდა!.. შინ ხომ ჯერ არა და არ მიმესვლებოდა!.. თან ყინავდა!.. რა მექნა?.. კიდევ ერთხელ ვიგრძენ, რა უბედური ვიყავი!.. გავიხედე და პროსპექტგადაღმა „თიბისი ბანკის“ თვალგულმისასვლელი შენობა დავინახე!.. გაბღენძილ მეანაბრეებს შევერიე და გარეგნულად ვითომ მკაცრ, მაგრამ ლონდრე პოლიციელს აბვერის აგენტივით შეუვედი!.. ოპერატორების მაღალი ბარიერის უკან, სამსეგმენტიანი დარბაზის მოფარებულ კუთხეში ერთ-ერთ თავისუფალ მაგიდას მაშინვე ტკიპივით დავეკარი და თავ-თავიანთ ფინანსურ საფიქრალში ჩაძირული კლიენტებისკენ ზურგშექცეული შევუდექი წერას.

უცხო გარემოთი გაარჯღლებული რომანის მეორე ნაწილის ეპილოგს სწორედ მაშინ დავუსვი შვების მომგვრელი წერტილი, პოლიციელმა მხარზე დაეჭვებით რომ მომწია – ამდენ ხანს რასა წერ, აგერ, უკვე ვიკეტებითო და დაცარიელებული ბანკის კედლებს წყლიანი თვალები სქელ საღებავში ამოწებულ ფუნჯივით მიმოავლო.

* * *

ქალბატონო, მე არ ვიცი თქვენი ვინაობა დ ასავალ-დასავალი. არც ის ვიცი, გყავთ თუ არა ქმარ-შვილი, შვილიშვილ(ებ)ი... თუმც ჩემისთანა უბრალო მოკვდავს რა უფლება აქვს თავისი სალოცავი ქალღმერთის ანკეტური მონაცემებით დაინტერესდეს!.. ანდა, განა შეიძლება ქალღმერთს ამგვარი ბიოგრაფიული წვრილმანები გააჩნდეს – განგების ნებით ის ხომ ქალღმერთადაა მოვლინებული!.. ჰოდა, თქვენი სიმშვიდის მფენი ქალღმერთისებური მიხრა-მოხვრითა და სპეტაკი გამომეტყველებით უკვე იმზომ შემაყვარეთ თავიცა და ეგ თქვენი მაგიური ჩექმებიც, აზროვნების დამხშობი ბრახუნ-ბაკუნისას დარბაზში თქვენი

გავლა-გამოვლაც აღარ მჭირდება: შორეული კუთხის მაგიდას მიმჯდარი ახალშემოსულ წიგნს კეტერს რომ აწებებდეთ და მაგ თილისმური ჩექმის თუგინდ წვერს ან საქუსარს მაინც ვხედავდე, ვერანაირი ბრახაბრუხი ველარაფერს მაკლებს და წერას ისევ ჩემებურად ვაგრძელებ!!!

ძილ-ღვიძლშიც კი სულ თქვენი ჩექმები მეზმანება და მენატრება!.. თუმც ბოლო ხანს საშინელი შიში შემომეჩვია: სამსახური რომ გამოიცვალოთ... ეგ ჩექმები შემოგაცვდეთ... ან ნაადრევად გადაყაროთ, მაშინ მე რაღა მეშველება – დავიღუპეთ და ეგ იქნება!!! ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ცხოვრებაში ჩემი უკანასკნელი სათხოვარი შემოგბედოთ – ეგ ჩექმები მე დამითმეთ!

რად მინდა? მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ ჯარისკაცებს სულ თან რომ დაჰქონდათ აირწინაღი, თქვენეულ ჩექმებს ხაკის შალითით მეც სულ თან ვატარებ, ვინაიდან თქვენმა სიყვარულმა მაწამებინა: ჩემი ქალღმერთის კეთილგონიერებით გასხივოსნებული ეგ უჩამიჩუმო ჩექმები წერისას თვალქვეშ რომ მექნება, მაშინ შემოქმედებით ნირს ველარ ჩამიკლავს გაანჩხლებული ზედა მეზობელი ქალის ჰანტელების რახარუხი... რკინისქუსლიანი ფეხსაცმელების ცხენისებური თქარათქური... ჩვენი ბინის სარკმელში ღვარივით შემოვარდნილი ბრბოს ღრიანცელი... ჩვენს ისედაც გაუბედურებულ კვარტალში გამოჩენილი ვიღაც მოდებილო ვაიბაიკერის მაყუჩმოშლილი მოტოციკლის – „Kawasaki“ -ის დღელამური კივილ-ტკაცატკუცი...

მაშ, თუ არ გავიწირები და მაგ ჩექმებს შეელევით, საბადლოდ რომელსაც მოისურვებთ, იმას გიყიდით! ხოლო ამგვარ შემოთავაზებას თუ შორს დაიჭერთ და ერთ ჯვარცმულ მწერალს დიდსულოვნად უწყალობებთ, ამაზეც ყმურად გიყაბულებთ, ვინაიდან ჩექმები კი არა, თქვენისთანა გაწონასწორებული მანდილოსნის მიერ მოწვდილ გესლით სავსე ფიალასაც უკრთომლად მოვიწაფებ, ვინაიდან უკვე ასე მჯერა – თქვენი ხელშენავლები შხამის ფიალაც კი ნექტარად გადამექცევა!

ჩემო სალოცავო ქალღვთაებავ, ოღონდ ეგ ჩექმები მიწყალობეთ და... და... და...

და რა?!

თავს არ დავზოგავ, უკვდავად გაქციო.

ასტეროიდის ნატეხები

გამოიჩინო საკუთარი ჭკუა-გონება – ეს ნიშნავს მიუთითო სხვის უნიჭობასა და სიჩლუნგეზე.

არტურ შოპენჰაუერი (1788-1860)

არმიაში მხატვარი სამი წელი ჩინეთ-ყაზახეთის საზღვარზე მსახურობდა. ამ ხნის განმავლობაში ახლოდან გაიცნო ყაზახი ხალხი. იქაური ბუნებით ხომ მოიხიბლა და მოიხიბლა!..

მრავალი წლის შემდეგ, ფუნჯი ლაგამს რომ მიაჩვია, მაშინდელმა მივიწყებულმა შთაბეჭდილებებმა ახლა ისეთი სიცხადით შეახსენა თავი, მხატვარმა ყველაფერი გვერდზე გადადო და ყაზახურ ციკლს ისეთი ჭაბუკური შემართებით შეება, თვითონვე უკვირდა – რა იოლად გამომდისო!

ღმერთია მოწმე, ეხატებოდა და იმანაც დახატა თარბაღათაის ქედებს შეყუჟული ყიშლაყები... მეჯოგეები და მათი რემა... სარიარკა[1]... მარკოქოლის ტბა... ზეისანის, ბურანისა და ურილის დაბები... პირველი სიყვარული... კუმისის დიდოსტატი... ყაზახი ქალიშვილი... მდინარე კურჩუმის სათავე... თოვლიანი ჯუნღარიის ალათაუს მთისწინეთი... ასე ცეკვავენ ტეპენკოკს![2]... იურთის ბინადარნი...

ყოველი ნახატის იდეა თავიდანვე ისე გამოკვეთილად ებადებოდა, ხოლო ტილოზე ისეთი სიადვილით გადადიოდა, მხატვარს თავგასართობი შიშიც კი იპყრობდა – ასე რომ გავყვე, მთელი სიცოცხლე ყაზახურ თემატიკას ვერ ამოვწურავო! მაგრამ რა ექნა – ველარაფერს უხერხებდა ახალგაზრდობისას განცდილ გაუხუნარ შთაბეჭდილებებსა და ფუნჯის წამტყუებელ მორჩილებას!..

ოცდაშვიდი ნამუშევრიდან ხუთი საშემოდგომო გამოფენაზე გაიტანა. მაგრამ ნახატებმა სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. უფრო მეტიც – დამთვალიერებლებისთვის გაუგებარი დარჩა, ქართველი მხატვარი ასე რატომ იყო გატაცებული მაინცდამაინც ყაზახური თემატიკით!

---

1 სარიარკა (ყაზახ.) – ყაზახეთის წვრილგორაკები.

2 ტეპენკოკი (ყაზახ.) – მამაკაცის ყაზახური ხალხური ცეკვა.

* * *

იღბლად ამ ნახატების ამბავი საქართველოში ყაზახეთის საელჩოს თანამშრომლების ყურამდეც მისულიყო და გამოფენა საგანგებოდ დაეთვალიერებინათ. მშობლიური ყოფა-ცხოვრებისა და გარემოს ამსახველი ნამუშევრები ისე მოსწონებოდათ, მხატვრის მისამართი შეეტყოთ და შინ წვევის ნებართვა ითხოვეს. დანარჩენმა ნახატებმა ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა!

სტუმრებმა ნახატები თანნაქონ კომპიუტერებში შეიტანეს.

ორი კვირის შემდეგ საელჩოდან დაურეკეს – წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა, ყაზახეთში ამ თავისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო შესაბამისი ჰონორარით, თანაც გამოფენასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ხარჯებს შემკვეთი მხარე იხდიდა.

მხატვარს საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა, პირიქით! თვით გამოფენაზე არანაკლებ აცდუნებდა ჭაბუკობისას უცხო მხარეში განცდილ შთაბეჭდილებებთნ ხელახალი შეხვედრა!

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ყველაფერი გაუჯანჯლებლად შეათანხმეს და სექტემბრის ბოლოს მხატვარი ასე აღმოჩნდა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში.

მასპინძლებმა სამი გამორჩეული სასტუმრო აჩვენეს – „აიკუნი“, „მარიოტი“ და „ალანდა“ . მან უკანასკნელი აირჩია.

დახვედრა მეტად გულთბილი გამოდგა. სანამ სამხატვრო გალერეის პერსონალი გამოფენის დარბაზს მოამზადებდა, მხატვრის პატივსაცემად მასპინძლებმა შვეულმფრენით მეორე დღესვე გადააფრინეს ჩინეთ-ყაზახეთის სახელმწიფო საზღვრის იმ მონაკვეთზე, სადაც ოდესღაც ემსახურა.

უსწორმასწორო ხეობაში სამხედრო „ჯიპი“ წვალებ-წვალებით მიღოღავდა. სადაცაა ერთ-ერთ საგუშაგოს მიუახლოვდებოდნენ.

– თუ შეიძლება, აქ გააჩერეთ. – ითხოვა მხატვარმა და როგორც კი გაუჩერეს, ძირს ჩავიდა. მძღოლი, სერჟანტი შურხან კარიბჟანოვი საჭესთან დარჩა, სამი ყაზახი თანმხლები კი – ერთი ალმა-ათას საკრებულოს წევრი და ორი სამხედრო – ზრდილობიანად გადმოჰყვა.

მხატვარმა მძღოლს მორიდებით მიმართა.

– ნიჩაბი ხომ არ გექნებათ?

– რა თქმა უნდა! – სამხედრო ყაიდაზე უპატაკა შურხანმა, კაბინიდან გადმოხტა და საბარგულში დებული წყრთის სიგრძე ნიჩაბი გადმოუღო.

ნიჩაბმომარჯვებული მხატვარი უხეტმახეტი გზიდან გადავიდა და ერთ უზარმაზარ, ალბათ, სამყაროს გაჩენის დღიდან დაუძვრელ ლოდთან აბობღდა. ლოდს დაკვირვებით გაუარ-გამოუარა, მერე ერთგან ცალ მუხლზე მიუჩოქა და ლოდის ძირას თხრა დაიწყო.

მასპინძლებმა ერთმანეთს გახეტებით გადახედ-გადმოხედეს – რას შვრებაო.

ქართველი სტუმარი ერთი ხუთიოდე წუთი ფრთხილად ჩიჩქნიდა, მერე კი ნაჩიჩქნიდან ამოღებული პლასტმასის დანესტილი რაღაც პატარა ყუთი მასპინძლებთან მიიტანა.

ყუთში საგანგებოდ შეფუთული ორი ბოთლი ღვინო ყოფილიყო!

– მეგობრებო, ეს განთქმული ყაზახური ღვინო „შირინი" და ქართული „რქაწითელი" ჩემი სამსახურის პირველივე წელს ამ ლოდის ძირას ფარულად ჩავფალ, – გულაჩუყებით დაიწყო მხატვარმა, – რადგან თვით განგებამ მაწამებინა – ბედისწერა აქ ოდესმე კიდევ მომახვედრებდა და ყაზახ ძმებთან ერთად სწორედ მაშინდელი ღვინით დამალევინებდა ამ მადლიანი მიწა-წყლის სამადლობელსა და სადღეგრძელოს!

– Акылға сыймайтын, Акылға сыймайтын ![1] _ ერთმანეთის მიყოლებით ბუტბუტებდნენ განცვიფრებული მასპინძლები.

– ხოლო თუ ვერ ამიხდებოდა, მაშინ ყველასაგან მიუგნებელი ეს ორი ბოთლი სამუდამოდ ამ ლოდის ძირას ჩამარხული ჩარჩებოდა!.. მაგრამ იღბალმა თუ ბედისწერამ...

აქ მხატვარს ხმა წაერთვა და შემდეგი სიტყვები ტუჩებზე დააკვდა. ბოთლები ძირს დააწვინა და ოთხივეს რიგრიგობით მამრულად გადაეხვია...

იმ პატარა, ნაცნობ დაბაში რომ შევიდნენ, მხატვარმა კაბინაშივე იგრძნო, საკუთარი მუხლები მას აღარ ეკუთვნოდა. ძირსაც ძლივძლივობით გადმოვიდა და გაიარა.

მასპინძლებმა ერთ-ერთი თავიანთი ნაცნობის ოჯახში მიი-

---

1 Akilea сыймайтын! (ყაზახ.) – დაუჯერებელია!

ყვანეს. თვითონ მსუბუქი სადილის თადარიგს შეუდგნენ, ის კი ცოტა ხნით მარტოკა გაუშვეს წარსულის მოგონებებთან შესახვედრად.

– ოღონდ არ გვალოდინო! – ხუმრულად დაადევნა ერთ-ერთმა სამხედროთაგანმა და გასეირნების ვადაც დაუსახელა.

* * *

თვითონ დაბა თითქოს დაპატარავებულიყო... თან შიშისმომგვრელად შეთხელებულიც ეჩვენა. ჰაერში მაინც ძველებურად ტრიალებდა შემწვარი ცხვრის ხორცის ნაცნობი სუნი!.. სად არ შეიარა და ვის აღარ გამოელაპარაკა, მაგრამ მოლოდინი ყველგან მოუცდა – მაშინდელი ნაცნობთაგანი ვერავის ანიშნა!

ვერც წიგნაკში ჩამოწიკწიკებულმა გვარ-სახელებმა და უბის ალბომმა უშველა! კითხული ხნიერები გაკვირვებით ხან მას შემოსცქეროდნენ, ხან ოდესღაც გადაღებულ ფოტოებზე აღბეჭდილ ჯიგიტებს, „Кыз"[1]-ებსა და „Кызалак"[2]-ებს აშტერდებოდნენ და ვერ გაეგოთ, ან ეს თვითონ ვინ იყო ანდა ვის ეძებდა!!! მას კი შიშითა და სიფრთხილით არავისთან ახსენებდა, არც მის ფოტოსურათს აჩენდა!..

ცალადირე ხიდი გადაიარა და არეული ნაბიჯით გაემართა დაბის განაპირა კორტოხისკენ, სადაც კამირა დედ-მამასა და თავის ექვს და-ძმასთან ერთად ცხოვრობდა!..

წელან დაბას დაჩერებლი მზე უკვე მთებისკენ მიდრეკილიყო.

ნეტავ იქ ახლა ვინ და ვინღა იქნებიან?!. ძმები მიაშენ-მოაშენებდნენ თუ ისევ ის ძველებური, ოდესღაც საყვარელი სახლი დახვდებოდა?!

სახლიო?! სახლი კი არა, იქაურობას ნასახლარობაც აღარ ეტყობოდა!.. მაშინ ყორეშემოვლებულ ბექიანს ახლა შამბი და ბარდეკლიანი ქედმაღლურად მოსდებოდა!

უცებ ველარც ის ინიშნა, სად ჰქონდათ ფარეხი და საზაფხულო ახორი ან რომელ ფიჭვზე ეკიდათ ხოლმე ფაფარნავარცხნი ულაყის წელმორთულობა!.. ბალაბურდიდან დარცხვენით თავამოყოფილი სკამლოდი კი მაშინვე იცნო!.. შემომდგარი ხშირი

---

1 **Кыз** (ყახახ.) – ქალიშვილი.

2 **Кызалак** (ყახახ.) – გოგონა.

ბალახი გადასწ-გადმოსწია, აქვითინებული ზედ დაემხო და ცივ ლოდს კოცნა დაუწყო!..

ოდესღაც, ვინ იცის, იქნებ თემურლენგის ან სულაც ჩინგიზ ხანის დროს გამოკოდილ ამ ლოდზე შეტყუპებულები რამდენჯერ მსხდარან!.. როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი!.. მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, შეუღლებულიყვნენ კიდეც! მაგრამ...

უეცრად ირწმუნა, ამ ბოლო სიტყვაზე უფრო ტევადი სხვა რომელიმე სიტყვა არ არსებობდა – იგი ცხოვრებისეულ მთელ უკუღმართობას იხიზნებდა და ითმენდა!..

ბოლოს ერთმანეთს გაუცხოებულებივით რომ დაშორდნენ, იმის მერე ერთი აღარც წერილი... აღარც ტელეგრამით თუ ღია ბარათით შეხმიანება!.. აბაბაბა, აღარაფერი!..

ო, ღმერთო, მაშინ, ცხოვრებაში საკუთარი გზის ყრუმუნჯური გაწალდვისას რაც ჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენებოდა, ახლა რა მიუტევებელ, გონებამიღმურ უსულგულობად აღიქმებოდა!... ნეტავ, გათ... ცხადია, გათხოვდებოდა!.. ჰყავს შვილები... რძლები... სიძეები... შვილიშვილები?!.. ან სად ცხოვრობს – აქვე, ახლომახლო რომელიმე პატარა დაბაში... ალმა-ათაში... თუ სადღაც მივარდნილ ყიშლაყში?!. ხოლო თუ... მაშინ სად, რომელ სასაფ...

ნაღველმა გასანთლული მარყუჟივით დაუწყო ხრჩობა. მუხლები ეკვეთებოდა, მაგრამ უკვე გაუცხოებულ სკამლოდზე ცალად ჩამოჯდომა ვეღარ გაებედა!.. იქვე, გაბარჯღლული არყის ხის წამოშვერილ ტოტსღა ჩაეჭიდა... ჯაგის ძირას ოქროს მონეტებივით ეყარა ნაადრევად გაყვითლებული და ქუჩქუჩად დაცვენილი ფოთლები – ეტყობა, წელს ამ მხარეში ნაადრევი და მკაცრი ზამთარი იქნებოდა!..

არყის ტოტზე ხელჩავლებულმა, ფიქრიანი მზერით გადასერ-გადმოსერა ოდესღაც ასე თვალმომტაცი მიდამო... ჩვეული დაკვირვება მწუხარებას უფრო უმძაფრებდა: ჯუნღარიის ალათაუს შტოქედზე უძრავად აზვინული თეთრი, რბილი ღრუბლები შორიდან თითქოს ყაზახური სიდინჯით აკვირდებოდნენ, ახლა რას გაიფიქრებდა ან როგორ მოიქცეოდა!.. თვალძაფის გაწყვეტამდე აშტერდებოდა შემოყრილი ღრუბლებიდან აქა-იქ მოჩინარ შორეულ მწვერვალებს და...

გონებააფორიაქებულს ადამიანები ახლაც ცხოვრების კიბის უძრავ საფეხურებად კი აღარ ეჩვენებოდა, როგორც მაშინ, მუხის თანაბარ ძირკვებთან შედარებისას, არამედ თავგადადებით მქროლავ ასტეროიდებად წარმოუდგა!..

* * *

ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენის გახსნისთანავე გაცხადდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ჯერისამებრ ეზრუნა – დარბაზი ყოველდღე დამთვალიერებლებით ივსებოდა! ისინი ცოცხალი, თუმც ფრთხილი ინტერესით აკვირდებოდნენ უცხო თვალით დანახულ თავიანთ სამშობლოს!

შთაბეჭდილების წიგნის მაგიდასთანაც მუდამ რიგი იდგა!

გამოფენის გახსნის პირველ დღეს, იმ აბუბუნებულ დარბაზში, წამყვანი ტელეარხის ჟურნალისტებმა აღელვებული მხატვარი შუაში მოიმწყვდიეს და ნაირ-ნაირი ბოხვერა მიკროფონები წამების იარაღებივით მიუშვირეს.

მხატვარმა რუსული ენა რაკი გამართულად არ იცოდა და თან არც სათქმელის ერთმანეთზე მშრალად მიკოწიწება სურდა, კითხვებზე პასუხების გაცემისას ხან სიტყვები ეყლაპებოდა, ზოგჯერ კი ენა უვარდებოდა, მაგრამ იმდენს მაინც ახერხებდა, თავისი გულისნადები მისახვედრი მიმზიდველობით გადმოეცა. ეს კი უფრო მეტ ბუნებრიობას სძენდა მის გულწრფელ მსჯელობას, ხოლო ნახატებისადმი ინტერესს ერთიორად აღვივებდა!

მესამე დღეს ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი მოვიდა მცირე ამალით. გამოფენის კონსულტანტი, ყაზახი ქალიშვილი ბიბისარი უმალ თავისი პრეზიდენტის გვერდით გაჩნდა და თუ საჭირო შეიქმნებოდა, მოკლე-მოკლე განმარტებებს აძლევდა.

პრეზიდენტი ყოველ ნახატს შედგომით ათვალიერებდა. ბოლოს მხატვარიც მოიკითხა, ხელის ჩამორთმევით გაიცნო და გულღიად გამოელაპარაკა.

– თქვენს ნახატებზე უკვე გვქონდა ლაპარაკი. ჰოდა, თუ შეელევით, გამოფენის დამთავრების შემდეგ ჩვენ შევისყიდით, – საქმიანად შენიშნა პრეზიდენტმა და კულტურის მინისტრს ისე შეხედა, როგოც თავის უშუალო უფროსს, მერე კი ისევ მხატვარს

მიუბრუნდა, – ფასი ნუ შეგაფიქრიანებთ – ყაზახი ხალხი არ არის ძუნწი!

– მაგაში ჯერ კიდევ აქ სამხედრო სამსახურის გავლისას დავრწმუნდი, – ზრდილობიანი ღიმილით დაუბრუნა მხატვარმა და წამიერი ჭოჭმანის შემდეგ დაატანა, – თანაც ალდარ ქოსესავით[1] მე აქ გასამდიდრებლად არ ჩამოვუსლვარ!

პრეზიდენტის ამალაში მოწონების სიცილ-ხარხარმა იფეთქა. ერთ-ერთმა მათგანმა კი ქართველ სტუმარს მხარზე ხელი წაუთათუნა, როგორც სანდო და უკვე შინაურ კაცს, რაკი ყაზახური ზღაპრები სცოდნოდა!

დამთვალიერებლებმა მათკენ კისერწაგრძელებით იწყეს ცქერა – მხატვარმა ჩვენი პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ასე რანაირად გააცინაო!

– თუ რამე პრობლემამ იჩინა თავი, არ მოგერიდოთ, – მოჭრით განუცხადა პრეზიდენტის ჭალარამორეულმა თანმხლებმა და სავიზიტო ბარათი მოაწოდა, – ნახატების ბედ-იღბალზე კი, როცა თქვენ ჩათვლით საჭიროდ, მაშინ ვილაპარაკოთ!

პრეზიდენტი მხატვარს თანასწორულად დაემშვიდობა და გასასვლელისკენ გაემართა. ამალა მწყობრად მიჰყვა უკან... ერთ-ერთი მათგანი ადევნებულ დამთვალიერებლებს წამოუტრიალდა და ხელით ზრდილობიანად ანიშნა – პრეზიდენტის დაბლამდე ჩაცილება არ არის საჭიროო...

ის რამდენიმე წუთიც საკმარისი გამოდგა, ქართველი მხატვარი სწორუტყუვრად მიმხვდარიყო – ნურსულთან ნაზარბაევი ხალხის წიაღიდან გამოსული, ხალხის საყვარელი ეროვნული მოღვაწე იყო! „ჩვენ?!.. ჩვენ რა გვჭირს?!" – მხატვარს გულში ჭვალივით გაევლო და მწუხარებამ დავთრები აურია.

* * *

პირველ დღეებში ყაზახი მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების მონაწილეობით სხვადასხვა ტელეარხმა ქართველ მხატვარს პირდაპირი გადაცემა მოუწყო. ცენტრალურ გაზეთებშიც – „Казахстанская правда" და „Ана тыл" („დედაენა") დაიბეჭდა ინტერვიუები და სტატიები მისი ნახატების რეპროდუქციებით...

---

1 ალდარ ქოსე – ყაზახური ზღაპრების პოპულარული პერსონაჟი.

მხატვარი აქ უფრო არ ღალატობდა ძვალ-რბილში გამჯდარ პასუხისმგებლობას – საგამოფენო დარბაზში ყოველდღე პირველი ცხადდებოდა და უკანასკნელი ტოვებდა, რათა რაიმეთი დაინტერესებული არც ერთი დამთვალიერებელი ლოდინით არ დაღლილიყო, ხოლო თუ მოცდა არ შეეძლო, გულნაკლული არ წასულიყო! ამიტომ ნაირ-ნაირ პიროვნებებთან ყოველდღიურად ალალბედური გასაუბრება მეტად ღლიდა. მაგრამ ეს იყო სასიამოვნო დაღლა, რადგან თავისთავად ხდებოდა პროფესიული გეშის ბუნებრივი შემოწმება და გამოცდილების აფხავება!

ერთადერთი, რაც მართლა უსაშველო სატანჯველს ჰგვრიდა, ეს იყო კოლეგების მიერ ყოველ საღამოს, თანაც მრავალფეროვნებისთვის სხვადახვა რესტორანში გამართული ნადიმები.

თბილისელ მხატვარს კოლეგები რომ დაერწმუნებინა, ის არ იყო მოქეიფე და მით უმეტეს, სასმლის წუწკი, მთელი საღამოს განმავლობაში მათ გასაკვირად, მხოლოდ ორიოდე ყლუპს სვამდა! ხოლო სუფრაზე რომელი თავი კერძიც უნდა მოსულიყო – ეს იქნებოდა ბეშბარმაკი, კაბირგა, მანტი, შელპეკი, თუშფარა, სორპა, ლაგმონი, აირანი თუ ჩუზმა – თითოეულ მათგანს უცხოსათვის დამახასიათებელი თვალში საცემი აზიზმაზიზობით კი არ ეკიდებოდა, არამედ როგორც ოდესღაც განშორებულ, მაგრამ დაუვიწყარ ნუგბარს!

მართალია, აქაც ცოტ-ცოტას, მაგრამ ისეთი გულმისასვლელი მადიანობითა და მოგონებებით გათიშულის გემოჩატანებით მიირთმევდა, ერთხელ რესტორან „საქსაულში“ პირდაპირ მჯდომმა ერთმა ქალბატონმა ხმამინაზებით გადმოულაპარაკა.

– საკვირველია!... ჩვენი კერძები ასე რამ შეგაყვარათ?

მოგონებათა ქაოსებიდან ისევ მიწაზე დაშვებულ სტუმარს ენის წვერიდან თავისით მოსწყდა.

– კამირამ!

ყურნაცქვეტმა მასპინძლებმა ერთმანეთს გადახედ-გადმოხედეს და, ალბათ, თავგასართობი შეკითვების სეტყვაც წამოუშენდა, სტუმრის თვალებში ცრემლის ლული რომ არ გამკრთალიყო...

* * *

გამოფენის დღეებში მხატვარს ყველაზე დიდ ბედნიერებად ექცა საკუთარ თავთან მარტოდმარტო დარჩენა და ასტანას მთავარი პროსპექტის, „Мангилик-Ел"-ის, (მარადიული ხალხი) ცქერისას კამირაზე ფიქრი! როგორც კი თავს გაითავისუფლებდა და პროსპექტზე გამოვიდოდა, მაშინვე მოეჩვენებოდა ხოლმე – ხალხით სავსე ეს ჯადოსნური პროსპექტი მარტო დინჯად მიმომავალ, მშვიდსახეებიან აბორიგენებს კი არა, თვით მასაც, მის ნახატებსაც და კამირას ხატებასაც გააუკვდავებდა!.. ამიტომ ამგვარი ზმანებებით გულშეტოკებულს, ყოველ შემოხვედრილ ცოცხალსახიან ყაზახ ქალიშვილში კამირა ელანდებოდა – აი, როგორც კი იცნობდა, ყოფილი მესაზღვრისკენ ღიმილით წამოესწრაფებოდა!.. მაგრამ რანაირად შეიძლებოდა, სიცოცხლით სავსე ეს რომელიმე ქალიშვილი კამირა ყოფილიყო! ამ ხნის მანძილზე ორივე უკვე ისე იქნებოდა შეცვლილი, სადმე სკვერის მერხზე შემთხვევით გვერდიგვერდაც რომ აღმოჩენილიყვნენ, ერთმანეთს, ალბათ, ვეღარც იცნობდნენ, ერთიმეორეს რაიმე სანიშნო ამბებსა და შემთხვევებს თუ არ შეახსენებდნენ!

ეს თვითონაც ესმოდა, მაგრამ ამის დაჯერება იყო ძნელი!!!

ერთ დღესაც, პროსპექტის ხალხის ნაკადზე თვალმიშტერებულს, მოეჩვენა: მისკენ მომავალი ყველა ყაზახი ქალიშვილი კამირა იყო, მაგრამ თან არც იყო! უეცრად შლეგური ჟინი შემოეგზნო – გამოფენის შემდეგ ჰონორარის ფულით მთელი ყაზახეთი შემოევლო და მაინც ეპოვა!.. მაგრამ ამხელა ქვეყანას რა შემოივლიდა – ტერიტორიის სიდიდით ყაზახეთს ხომ მსოფლიოში მეცხრე ადგილი ეჭირა!.. ან რა სისულელე იყო ამგვარი ძებნა?! მოეძებნა კი არა, სამისამართო ბიუროში რომ შეეტყო, აგერ, აქვე, ახალი დედაქალაქის მთავარი პროსპექტის პარალელურ თუ პერპენდიკულარულ ქუჩაზე ანდა რომელიმე მივარდნილ ყიშლაყში ცხოვრობსო, ასე ცამოწმენდილზე როგორ უნდა მისდგომოდა ან რა ეთქვა?!. ყველასათვის მოულოდნელი მისი ამგვარი მიდგომა ხომ უცხო ოჯახში გაკვირვებას გამოიწვევდა ანდა მათ შორის შეიძლება ურთიერთუნდობლობა და განხეთქილებაც ჩაეთესა!..

არადა, ნეტავი გაიგებდა თუ ვერა გამოფენის შესახებ?! ან

ენდომებოდა კი მასთან პირისპირ შეხვედრა?!. თუმც შეიძლება გულითაც ნდომებოდა, მაგრამ შინაურების შიშითა თუ ხათრით ეს ვერ გაემჟღავნებინა! ანდა იქნებ რომელიღაც მივარდნილ კუთხეში ისე ღატაკურად ცხოვრობდა, ასტანაში ჩამოსვლისა და ორიოდე დღით დარჩენის სახსარიც არ ებადა!.. ანდა... ანდა... ანდა არამც და არამც არ სურდა, ცხოვრებისაგან კლანჭგაკრული თუ... უკვე სენმორეული სჩვენებოდა!.. ვინ იცის, ვინ იცის!.. თუმც მოიცა, მოიცა – შეიძლება გამოფენა დაათვალიერა კიდეც, მაგრამ თავი არ გაიმჟღავნა!!!

შეძრულ მხატვარს ახლაღა გაახსენდა, სხვადასხვა დღეს ხნიერი ყაზახი მანდილოსნები თავის ბიოგრაფიულ წვრილმანებსა თუ რომელიმე მოწონებულ ნახატზე რა ჩაძიებით ეკითხებოდნენ, თან თვალებში დაკვირვებით შემოსციცინებდნენ!.. ნუთუ რომელიმე მათგანი **ის** იყო, მან კი ველარ იცნო?! ვაი, სირცხვილო!.. ეს თავიდანვე როგორ ვერ მოიაზრა – მაშინ უფრო ფხიტად იქნებოდა!.. მსგავსი შემთხვევებისთვის ო, რა მოუწევარი ტვინი აქვს!..

აქ მისმა გაავებულმა გონებამ ისევ ჯუნღარიის ალათაუს მთისწინეთში, თხემთოვლიან მწვერვალ ბესბასქანისკენ გადაიელვა და ატოკებულმა გულმაც იქითკენ უაზროდ გაუწია. მაგრამ იმავწამიერად ამასაც ჩახვდა – წარსულის მწველი მოგონებებით თვითგვემა ყოველთვის შეიძლებოდა, სიჭაბუკისა და პირველი სიყვარულის დაბრუნება კი აღარასოდეს!..

ამის სევდიანმა მიხვედრამ მოულოდნელად თავის დღიურ საზრუნავს დაუტრიალა. უკვე მესამე კვირა იწყებოდა, რაც ასტანაში იყო! მისი ნახატების გამოფენა კი აქ ორმოცი დღით იყო ნავარაუდევი!.. მერე ალმა-ათა იდგა რიგში... ბოლოს კი, როგორც ესენი ამბობდნენ, შეიძლება ყარაგანდაშიც გაგრძელებულიყო!... მასპინძლები რას კარგავდნენ – მაგას რა ჯობდა, მხატვარს თავის ნახატებთან კაპრალივით ებადრაგა და ცნობის-მოყვარე დამთვალიერებლებთან უშუალოდ მას ჰქონოდა ცოცხალი ურთიერთობა! თანაც...

ერთი სიტყვით, დროა, საქართველოსკენ ექნა პირი! ამ ხნის მანძილზე შინ რამდენჯერმე დარეკა. მეუღლე ყოველთვის ამშვიდებდა – აქ ყველაფერი წესრიგშია, ყველანი კარგადა ვართო! შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მხატვარმა იცოდა –

საახლობლოში რამე უბედურებას რომ ეტრიალა, ასმათი ტყუილუბრალოდ მაინც არ ააფორიაქებდა!

იმავე დღეს ეწვია ავიაბილეთების სალაროს. ბილეთი კი მისცეს, მაგრამ ფული არ გადაახდევინეს.

– ეს როგორ... – შეცბუნებული მხატვარი უნდოდ დაჰყურებდა ავიაბილეთსა და თავის პირადობის მოწმობას, – რატომ?

– ასე ვართ გაფრთხილებულები! – ნელთბილი ღიმილით ამოიჭვრიტა ნუშისთვალება მოლარე ქალიშვილმა.

სამხატვრო გალერეის თანამშრომლებმა რომ შეიტყვეს, მხატვარი ზეგ მიფრინავდა, პირველი საათისთვის მინისტრთა საბჭოსა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლების თანდასწრებით გალერეის დირექტორის კაბინეტში საქმიანი შეხვედრისთვის განცალკევდნენ.

– ასე უცებ რატომ გადაწყვიტეთ შინ დაბრუნება, – სევდიანად შემოეკითხა მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, მოკვალთულკაბიანი ქალბატონი და ჩამქრალი ხენდროსფერი პომადით შეღებილ ტუჩებზე წრფელი სინანული დაეტყო, – ნუთუ უკვე მოგბეზრდათ ყაზახეთი?

– პირიქით, ქალბატონო, შიშმა ამიტანა – კიდევ დიდხანს რომ დავრჩე, შეიძლება შინ დაბრუნება გადავიფიქრო!

ნაამებ მასპინძლებს გულწრფელად გაეცინათ.

მოლოდინით სავსე მდუმარება ჩამოვარდა.

– კეთილი... აბა, რა გადაწყვიტეთ თქვენს ნახატებზე?

– მე ეგ თბილისშივე მქონდა გადაწყვეტილი!

– მაშინ ჯერ თქვენ დაგვისახელეთ თითოეული ნახატის თქვენეული ფასი, – საქმიანად წამოიწყო მხატვრისთვის უკვე ცნობილმა ტურსენ რახინბაევმა, ფერწერული ნამუშევრების ექსპერტმა და ხმაში თავდაჯერება გაერია, – მერე ჩვენ კი... დარწმუნებული იყავით, ჩვენგან არავითარ...

– მე ამ ნახატებში ერთ ტენგესაც[1] ვერ ავიღებ! – ჭაბუკური აღფრთოვანებით დაიწყო მხატვარმა და საკითხის გადაწყვეტის ნიშნად ადგილიდან პირველი წამოდგა, – ანდა რა ნამუსით უნდა ავიღო, როცა სამი წელი მესაზღვრედ აქ ვმსახურობდი და ყაზახეთი მეორე სამშობლოსავით შემიყვარდა!.. პირიქით, მეგობრე-

---

1 **ტენგე** – ყაზახური ფულის ერთეული.

ბო, სიკვდილამდე მადლიერი ვიქნები, თუკი ამ ნახატებს თქვენი ქვეყანა დაიტოვებს და უპატრონებს!

გაოგნებული მასპინძლები ერთმანეთის მიყოლებით დგებოდნენ.

– არა!.. აბა, ეს რას ჰგავს?!. ასე სად გაგონილა!.. უხერხულია!

– რატომ?

– ჩვენ ყაზახეთის დამსახურებული მხატვრის წოდებას განიჭებთ, თქვენ კი... ეს ხომ ვაჭრუკანულ გარიგებას ემსგავსება!

– ღმერთმა ხომ იცის, ჩვენ შორის მსგავსი არაფერი ყოფილა და ორივე მხარე ერთმანეთთან გულწრფელები ვართ! – ვალმოხდილივით გაიღიმა მხატვარმა და ყველას დაძმურად გადაეხვია.

* * *

გათენდა მეორე დღე. მხატვარმა შხაპი გადაივლო, წვერი გაიპარსა და სასტუმროს კაფეში ისაუზმა. მერე სამხატვრო გალერიისკენ გაეშურა, ამხელადაც პირველი რომ მისულიყო.

– ო, როგორც ყოველთვის! – მხატვარს მაშინვე მიეხმატკბილა უნიფორმიანი შეხნიერებული მეთვალყურე ქალი და პირისახეზე ქვის ღიმილი აისახა, – მე ცოტა ხნით ძირს ჩავალ... შეიძლება?

– ჩაბრძანდით, ქალბატონო ხურდა, მე სულ აქ ვიქნები! – გულთბილად გაეპასუხა მხატვარი, – მით უმეტეს, აქ ეს ჩემი უკანასკნელი დღეა!

– რას მეუბნებით!.. ასე მალე?!. თუ ბატონი ამანგელდი გამოჩნდა და მომიკითხა – ოც წუთში დაბრუნდება-თქო!

ჰაერგაწმენდილ დარბაზში დილის სიგრილე იდგა... გარინდებული მხატვარი ურთიერთსაპირისპირო განცდებს ჰყავდა შებოჭილი... აშკარად ხვდებოდა, უკანასკნელად იმყოფებოდა ყაზახეთში და ვეღარასოდეს ნახავდა ჯუნღარიის ალათაუს მთისწინეთს... მათ ნამოსახლარს... ალმა-ათას... ასტანას... ამ დარბაზში გამოფენილ თავის ნახატებს... ხვალ კი, თუ უხიფათო ფრენა იქნებოდა, ამაღელვებელი შეხვედრა ელოდა პატარა ლევანთან... ცოლ-შვილთან... ახლობლებთან...

დამთვალიერებლებმა თანდათან იწყეს დენა... ფიქრებით გარემოცული მხატვარი ღია სარკმლიდან გაფანტულად გაჰყ-

ურებდა ქუჩის მეორე მხარეს უცხო ფირმების მიერ ჩადგმულ თვალმახარ შენობა-ნაგებობებს, თუმც ცდილობდა, თვალყური მაინც დამთვალიერებლებისკენ სჭეროდა...

ნაგვიანევმა გონს მოსვლამ შეაკრთო! თითქოს წეღანვე შენიშნა, მაგრამ ჯეროვანი ყურადღება მაშინვე ვერ მიაქცია: მისი ერთ-ერთი ნახატის ქვეშ გაქვავებული ხნიერი ქალი ნაბიჯდამძიმებით მიმომავალ დამთვალიერებელთა შორის, ეტყობა, რა ხანია, მოუსვენარი მოთმინებით გამოსცქეროდა – ბოლოს და ბოლოს მხატვრის ყურადღებას მიიქცევდა!!!

მხატვარი მისი ფაქიზი გამომეტყველების მიხედვით იმასაც მიხვდა, რომ ის არ დაიზარებდა, შემოქმედს თვითონ ხლებოდა, მაგრამ ჩანდა, ამ შემთხვევაში თვითონ მხატვრის მისვლა იყო უპრიანი!

გაჩქარებული მხატვარი მოფარჩულ მომლოდინეს ბოდიშიანი გამომეტყველებით წარუდგა. „ღმერთო, ნუთუ ეს კამირაა?!. ის არის!.. არა, არა!.. არადა...“

– მაპატიეთ, ქალბა... უკაცრავად, როგორ მოგმართოდ?

– ფატიმათი!

– მაპატიეთ, ქალბატონო ფატიმათ, გვიანღა მიგიხვდით...

– რას ბრძანებთ! – შორს დაიჭირა ფატიმათმა, – პირიქით, მე უნდა მოვსულიყავი, მაგრამ...

– აქ ეს ჩემი უკანასკნელი დღეა, – შეუტრიალა მხატვარმა, – და ისე ვარ აღელვებული – დილაზე მივფრინავ!

– ერთ ბედქვეშ ვყოფილვართ! – სწრაფი ღიმილით ჩამოართვა ფატიმათმა, – ჯალაბთან ერთად ისიყ-ყულის ტბაზე ვისვენებდით და რამდენიმე საათში ჩვენც მივფრინავთ!.. არც კი მიშვებდნენ – ვაითუ დაგაგვიანდესო!.. – ქალს თავდაჯერებით ჩაეცინა,- ის საწყლები, სასტუმროს ფოიეში პირდაპირ ბარგზე სხედან და მეღა მიცდიან!..

– ოოო!

– სიმართლე გითხრათ, არც მე ვაპირებდი თქვენი გამოფენის დათვალიერებას, – მიმტევებლური ღიმილით უღიარა ფატიმათმა, – მაგრამ სტუდენტობისდროინდელმა აქაურმა ნაცნობმა წუხელ დამირეკა და...

ქალმა ერთ-ერთ ნახატზე წარბაკვრით ანიშნა.

– ამ ნახატის სახელწოდება – „ყაზახი ქალიშვილი“, რა თქმა უნდა, მისადაგებულია, მაგრამ მაპატიეთ და... მაინც ტრაფარეტუალდ ჟღერს! – აბულბულებდა ფატიმათი, – ჩემი ნება რომ ყოფილი... იყოს, მე ამ სურათს სახელწოდებას ახლავე გამოვუცვლდი და მივაწერდი „კამირა!“

მხატვარს მოეჩვენა, დარბაზი მიწისძვრამ შეაქანა. ელვისებურად ისიც იგუმანა, ეს ნამდვილ მიწისძვრასავით რამდენიმე წამს კი არა, ვინ იცის, რამდენი ხნით შეიძლება გაგრძელებულიყო!

– დიახ, დიახ, – ყაზახი ქალბატონი ახლა უკვე ჩამარცვლით ამბობდა, – ერთი ინსტიტუტელი მეგობარი მყავდა, კამირა, ზუსტად მისი ალი-კვალია!

– მჯერა, ქალბატონო, – დაუყაბულდა გონს მოსული მხატვარი, – მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეიძლება იგივე ეთქვა ყველა ყაზახი ქალიშვილის ნაცნობსაც, რომელიც...

– არა, არა! – უეცრად შეაწყვეტინა აქამდე ჯიუტად ბაგემოკუმულმა ფატიმათმა, – თქვენს ნახატზე გამოსახული...

– გარდა ამისა, – ახლა მხატვარმა შეაწყვეტინა, – იმ თქვენს ინსტიტუტელ მეგობარს დები რომ ჰყოლოდა, შეიძლება იმათთვისაც მიგემ....

– ჰყავდა კიდეც! – ხალისიანად მიაგება თვალაციმციმებულმა ფატიმათმა და მათ ჩამოსათვლელად ტუჩ-პირი ხალისით გაეპო, მაგრამ მხატვრის გონება უფრო სწრაფი აღმოჩნდა – „სალიხა! ბაგლა!“

– ბაგლა!.. სალიხა! – აღფრთოვანებით გაიხსენა ფატიმათმა, – მაგრამ ეს ნახატი არც ერთ მათგანს არ მაგონებს! გამოცხადებული...

– თუმც არც არის აუცილებელი, თქვენთვის მაინცდამაინც მისი რომელიმე და გაეხსენებინა! – გამომცდელად მიაწოდა მხატვარმა, – იმ თქვენს დაქალს აი, ძმაც რომ ჰყოლოდა, შეიძლება...

– ძმებიც ჰყავდა!.. თანაც ოთხი! – ფატიმათმა მოსაუბრეს უმალ სიტყვა მიატოვებინა და ნელტკბილ მოგონებებში გადაფრინდა, თუმც მხატვრის გონება ამჯერადაც უფრო სწრაფი აღმოჩნდა – „არმანჟანი! რაიმბეკი! აბილაი! კაირატი!“

– აბილაი!.. – დაძაბულობისაგან ფატიმათს თვალები ეჭუტებოდა, – რაი... რაი... ღმერთო, გამახსენე! მგონის რაიმბეკი!.. კაირატი!.. გოგოები ხუმრობით კაიროს ვეძახდით!.. ხოლო მეოთხის სახელი ახლა აღარც მახსენდება!

– ჰოდა, ამ ნახატს რაიმე შტრიხით შეიძლება იმ ოთხიდან რომელიმე ძმაც კი გაეხსენებინა!

– არა და არა! – წარბმოჭმუხვნით ჯიუტად დაბეჭდა ფატიმათმა და ისევ ნახატს შეაშტერდა, – ასეთი თვალები... მზერა... იერი... კიდევ რა ვთქვა?! მხოლოდ კამირას ჰქონდა!.. მე ისღა მაკვირვებს, როგორ შეძელით, თანაც სხვა ეროვნების ფერმწერმა, მისი ასე... თუმც მას სად ნახავდით!.. საერთოდ, ყაზახი ქალიშვილის ბუნებისა და განწყობილების ასე ზუსტად შემჩნევა და განზოგადება!

უნდო დუმილი ჩამოუვარდათ. დამთვალიერებლები გვერდს მოწინებით უვლიდნენ.

– კეთილი... არ შემოგეკამათებით, მაგრამ... – წათქვა მხატვარმა და მარტენის ღუმელისებური სიმხურვალის შემოგზნება იგრძნო, – მაგრამ იმ თქვენმა დაქალმა რა გითხრათ – თვითონ თუ აღმოაჩინა რაიმე მსგავსება?

ფატიმათს ისე ზაფრიანად გაეცინა, მხატვარი მისდამი უმალ თაყვანისცემით განიმსჭვალა – ამ ქალს თვით ღმერთისგან ჰქონოდა დანათლებული, სად როგორ უნდა გასცინებოდა!

– ინსტიტუტის შემდეგ ერთმანეთი აღარც გვინახავს! – უხმო ამოოხვრით წამოიძახა ქალმა და მღელვარებამ გადაუბმელად აალაპარაკა, – მე მაშინვე ჯეზყაზგანში მშობლებთან დავბრუნდი... მალე გავთხოვდი კიდეც!.. ინჟინერმა ქმარმა ალდანში წამიყვანა!.. გაგიგონიათ ალდანი?

– კი, იაკუტიის მხარეშია.

– ჰო, ჰო, გცოდნიათ!.. ახლაც იქა ვცხოვრობთ!.. სამედიცინო სასწავლებელში ლექციებს ვკითხულობ!..

ქალმა სული მოიბრუნა და კილოიანად განაგრძო.

– მეორე წელს ბაიკალზე ვისვენებდით!.. ირკუტსკის აეროპორტში შემთხვევით თანაკურსელს გადავეყარე... ჰოდა, მისგან გავიგე: კამირა კიდევ თურმე ჩემზე ცოტა უფრო ადრე გათხოვილიყო ჩინელ თარჯიმანზე და შანხაიში ცხოვრობსო!.. მას მერე...

მხატვარს მოეჩვენა, მთელმა დარბაზმა რყევა დაიწყო, ოღონდ ესღა აკვირვებდა – ჭერი თავზე გრუხუნით როგორ არ ენგრეოდათ ან დამთვალიერებლები აქეთ-იქით რატომ არ გარბოდნენ!..

– ეგ არის და ეგ! – ხმაშეკავეით ამოაბაბანა ფატიმათმა, – მას აქეთ კამირაზე აღარაფერი მსმენია!.. რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ცხოვრება!..

ქალმა საათზე ისე დაიხედა, ჩანდა, ეს აქ მისი უკანასკნელი დახედვა იქნებოდა! ამიტომ მოწოლილი სათქმელის მოსწრებას დაუფარავად ლამობდა. ოღონდ არ ესმოდა, ყოველივე ამას უცხო მამაკაცს რისთვის შესჭიკჭიკებდა – ეტყობა, თვით განგება ალაპარაკებდა!

– არადა, ერთმანეთის როგორი მესაიდუმლენი ვიყავით! – ფატიმათი თითქოს გულზე ხელის დადებით ლაპარაკობდა, – პირველივე კურსზე გამენდო – თვითონა და ვიღაც მესაზღვრე ჯარისკაცს ერთმანეთი თავდავიწყებით რომ შეჰყვარებოდათ!.. დაქორწილებასაც ვაპირებდითო! მაგრამ...

ფატიმათს სიტყვა ტუჩებზე შეეყინა და მოგონებების აღსადგენად ცალი თვალი უცნაურად წაჭუტა.

– როგორც მახსოვს, – ჩამწყდარი ხმით განაგრძო ქალმა, – ის ჯარისკაცი თქვენებური, კავკასიელი ყოფილიყო!.. ოღონდ ამდენი ხნის შემდეგ ვეღარ გამიხსენებია – ჩერქეზი, ლეკი თუ სომეხი... მაგრმა არა, არა, სომეხი არა!.. თუმც ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს! ჰოდა...

მხატვარს გულმა უგრძნო: ტკბილ-მწარე მოგონებათა ხლართულ ბილიკებზე თავდავიწყებით მონარნარე ფატიმათი სადაცაა ბუნებრივი თვალახელის ნაღმზე აფეთქდებოდა!

– სხვათა შორის, ის ჯარისკაციც თითქოს დამწყები მხატვარი ყოფილიყო, – ირონიულად გაეღიმა და ისედაც აზიდული წარბები მიმტევებლურად მიმოუქანდა, – მთელი სტუდენტობის მანძილზე კამირას სულ თავთით ეკიდა მის მიერ დახა... დახა.. დახა...

ქალს უეცრად სიტყვა გაუშრა და **„ყაზახ ქალიშვილს“** მოგონებებით დანისლული მზერა მიაცივა.

– რომ ვაკვირდები... ეს ნახატი და... ის ნახატი... ეს ნახატი...

იმ ნახატს ისე... არა, ეს შეუძლებელია! არადა...

ცალთვალმოჭუტული ფატიმათი მხატვარს თვალახელილ მისანივით შეაცქერდა.

– დაიცა, ის ჯარისკაცი... თქვენ ხომ არ იყავით?!

პასუხისთვის არც დაუცდია. თუმც ვეღარც მხატვარი ახერხებდა კრინტის დაძვრას. ერთმანეთს საუკუნის უნახავებივით ჩაეხვივნენ.

რბილ სკამზე დასკუპებული ქ-ნი ხურდა თავისი ჩვეული კუთხიდან მოსათმენი გაკვირვებით გამოიცქირებოდა... დამთვალიერებლებიც ნახატების ნაცვლად ახლა მათ შემოჰყურებდნენ და არ ესმოდათ, ეს რას ნიშნავდა!

ფატიმათის ხელში სუნამონაპკური ცხვირსახოცი გაჩნდა. მან ჯერ მხატვარს შეუმშრალა ცრემლები, მერე თვითონ შეიმშრალა.

– მისი დ-ძმებისა არაფერი იცით?

ფატიმათმა ისე მოიკუმა ტუჩები, თითქოს აღარასოდეს გახსნიდა და თავი სევდიანად გააქნია. იმავდროულად კი ჯიბიდან გაწაფულად ამოასრიალა აწრიპინებული მობილური ტელეფონი.

– მოვდივარ, მოვდი... ო, ეგ კარგად მოგიფიქრებიათ!.. არა, მოვასწრებთ!.. ჩემი ჩემოდანიც ხომ... აი, ჩამოვდივარ!

დამუნჯებული ტელეფონი ფატიმათმა რომელილაც ჯიბეში გააუჩინარა.

– სასტუმროდან პირდაპირ აქ მომაკითხეს!.. ტაქსით დაბლა მიცდიან!.. აქ დარჩით!.. ამ დროს, როგორც ყაზახები ვიტყვით ხოლმე, აბა, **айрылысарда коштасу**![1]

ქალმა ფეხის წვერებზე მონდომებით აიწია, მხატვარს დაძმურად ეამბორა და რაკი დამთვალიერებლები გზას მოწიწებით უთმობდნენ, დარბაზი პირდაპირ გადაჭრა.

კიბეს ფეხაჩქარებით ჩამდევარ ფატიმათს საფეხურები თითქოს თავის უხილავ წიაღში უმტკივნეულოდ ითრევდა და თანდათან ამოკლებდა.

და აჰა, განგების ნებით მოვლენილი ჯადოქალი თავის მოგონებებიანად სამუდამოდ გაუჩინარდა!!!

სარკმლიდან ქუჩას დამზერილი მხატვრის თვალები არაფერს არ გამოხატავდა. გონებააფორიაქებული, ის ახლა შანხაის ქუჩებ-

---

1 **айрылысарда коштасу** (ყაზახ.) – გამოსალმება განშორებისას.

ში კითხვა-კითხვით დაჩერჩეტობდა!.. მაგრამ იქ რა ესაქმებოდა?!. ან რა ენაზე უნდა ელაპარაკა და ვისთვის რა უნდა გაეგებინებინა?!. ანდა, რის დაზუსტება შეიძლებოდა ჩინეთის ამ ყველაზე დიდ, ოცდახუთმილიონიან ქალაქში?!. წუთიერად დაკარგული განსჯის უნარი ისევ დაუბრუნდა და ამხელა კაცი დარცხვენით მიხვდა: ეს ოდესღაც პირველი სიყვარულით დანესტრილი შემოქმედის ჟინის აუხდენელი ახირება იყო!

გაუღწეველი შანხაის უბნებში წარმოსახვით კარიკარ მავალი მხატვრის ცნობიერებაში უეცრად დაუჯერებელი გადატრიალება მოხდა: კამირას... ბიბისარის... ფატიმათის და საერთოდ, ამ დღეებში აქ შენახვედრი ყველა მონღოლოიდური რასის ლამაზმანის ხატება გაუქრა და მათ ადგილას ასმათი აელანდა!..

მოულოდნელმა თვალახელამ მხატვარი გააოგნა: აქამდე ასმათი არამცთუ ერთხელ მაინც არ დაეხატა, არამედ ეს აზრადაც კი არასოდეს გავლებია! ხოლო ზოგიერთი მხატვრის წაბაძვით თვითონაც „უკვდავეყო", რაკი მისი კანონიერი ცოლი იყო, მსგავსი წარმოდგენა მის ბუნებაში ადგილს ვერ პოულობდა!

ერთ წერტლს თვალმიშტერებული მხატვარი ახლა გადმოუცემელმა სიხარულმა აიტანა, მეუღლე აქამდე არასოდეს რომ არ ჰყავდა დახატული! ეს ადრე რომ მომხდარიყო, შეიძლება თვითმიზნური ან ძალნატანიც გამოსვლოდა! მაგრამ ახლა... ამდენი მოგონებების, მღელვარების, ბუნებრივად ამოტივტივებული შედარებებისა და თან ასეთი გამოცდილების შემდეგ ასმათის ისეთ სახეს შექ... თუმც აქ უცებ ამასაც მიხვდა: ამ შემთხვევაში ასმათი მხოლოდ მიზეზი და პირველწყარო იქნებოდა!

ასმათის სახით უნდა დაეხატა საუკუნოვან კერაზე დედა არწივივით დაბუდებული თანამედროვე ქართველი მანდილოსანი, რომელსაც, მისი აზრით, მსოფლიოს ვერც ერთი ეროვნების ქალი ახლოსაც ვერ მიუდგებოდა!

უეცარმა ჯაბნურმა გულაჩვილებამ მხატვარს ცრემლი მოუგუბა: სამოც წლამდე რაღა დამრჩენია – ნუთუ უფალი მანამდე არ მაცოცხლებს, ეს ჩანაფიქრიც ავისრულოო!

* * *

თვითმფრინავმა დაბორცვილ მიდამოს რომ შემოუფრინა და ილუმინატორიდან თბილისი ბუნდოვნად გამოჩნდა, სიხარულით გულშემკრთალი მხატვარი უეცრად ისეთმა სიმხნევემ აიტაცა, იმავწამიერად ირწმუნა – სამოცამდე კი არა, სამოცდაათ წელსაც ვიცოცხლებო! ანდა რატო ოთხმოცამდეც არ უნდა ეცოცხლა?!. ხოლო იალნოს მთისწინეთს, ივრის ზეგანს, მთაწმინდის პლატოს, ტაბახმელისა და თაბორის ზემოდან თვალის ერთმა მოვლებამ მეცხრე ცაზე ააფრინა: ამ ადგილმდებარეობამ შეიძლება ტიციანის ასაკსაც მიმაღწევინოს და გადამაჭარბებინოს კიდეცო!..

აეროპორტიდან შინ ტაქსით მისრიალდა. თავიანთ სადარბაზოსთან ავეჯის კარლია ავტომანქანას ეზო გარდიგარდმო გადაეღობა.

მხატვარმა ტაქსი ცოცხლად გაისტუმრა და რაკი ავეჯის ავტომობილის კაპოტზევიდან ეზოს შორეულ კუთხეში, თავშესაკრებ ჭადრის ქვეშ ფუტკრებივით აღელვებულ თანაკორპუსელებს შეატანა თვალი, ეცადა, ავეჯის ავტომანქანის ამოსაფრებით თავის ჩემოდნებიანად სადარბაზოში ვისიმე თვალშეუსწრებლად გაუჩინარებულიყო!

ლიფტთან და სართულის ბაქანზეც არვინ შესჩეხებია. შინ ისეთი დახშული ჰაერი დახვდა, მაშინვე მიჰყვა და ყველა სარკმელი გამოაღო. მერე გრძელშნურა ტელეფონის აპარატი ლოჯიის გაფარფარებულ სარკმელთან მიიტანა და ქალიშვილთან დარეკა.

– ჩამოხვედი?!. – გულაჩუყებულმა ასმათმა ენა ძლივს მოიბრუნა და ხმაში სიხარულის ცრემლი გაერია, – მადლობა უფალს!.. შენს გამოფენაზე, იცი, აქ რა ამბავი იყო პრესასა და ტელევიზიაში!.. თქვენი რექტორიც გამოვიდა!.. ქვეყანამ გაიგო, ყაზახეთის დამსახურებული მხატ...

– შენ ეს მითხარი, მანდ როგორა ხართ?

– ვართ, რა!... ვარამ ახლა ღვიძლი აიტკია და საავადმყოფოში გვიწევს... მარეხი თავზე ადგას... სოსომ ისევ თავისებურად აიწყვიტა და ისიც არ ვიცით, ძმაკაცებთან ერთად სად არის გადავარდნილი! გუშინ...

– ყმაწვილი როგორ არი?

– ნულა იკითხავ! თანდათან ენას ვატეხინებ და სულ „პა-პა-პაპა"-ს გაიძახის!

– ოოო!

– წეღან ვაჭამე, ვასეირნე და ახლა ეს კი იყო, დავაძინე!.. მზია სამსახურშია და...

– შენ როგორ მყავხარ?

– ოჰ, როგორ ვიქნები!.. აბა, მანდ რომ არაფერია, რით უნდა...

– ეგ ნუ გაფიქრებს! საუცბათო საუზმე იქიდანვე წამოვიყოლე!.. აი, შხაპს გადავივლებ, მოვწესრიგდები და გამოვალ! გკოცნი!

– ოჰ!.. გამოდი, გამოდი – მანამ ლევანიც გაიღვიძებს!

– შენ ვერ წარმოიდგენ, ყველასთვის რანაირი საჩუქრები მოამაქვს!.. გკოცნი!

– უიმე!..

მხატვარმა გადაწყვიტა, ბარემ გაძეკილ ჩემოდნებს დასტრიალებოდა და ყველაფერი რიგისამებრ ამოელაგებინა, მაგრამ დაუძლეველი საცდური მოთმინებას უშრეტდა: შუა კარით ჯერ თავის სახელოსნოში გასულიყო, სარკმლები იქაც დაელო და იქ ცოტა ხანს ყოფნით საბოლოოდ დამშვიდებულიყო – უბრალოდ, შინ კი არ მოვიდა, არამედ ისევ თავის საბუდარს დაუბრუნდა!!!

სერვანტის ზედა, მარჯვენა უჯრის კუნჭულიდან ზონარგაყრილი გასაღები რომ გამოიღო, გულმა უცნაურად დაუწყო ძგერა.

შემოსასვლელ კარზე მოულოდნელად გაბმულმა თავდაჯერებულმა კაკუნმა ბურძგლი აუშალა. გულშექანებულმა გასაღები უკანვე ჩააბრუნა, უჯრა ისევ შესწია და კარის გასაღებად გაეშურა.

როგორც მაშინ, მავრასა და მის ძაღლთან დაკავშირებით, ბაქანზე ახლაც ჯოგად იდგა კორპუსის რჩეული საკაცეთი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამხელად პირისახეზე ყველას ტლანქი ღიმილი დასთამაშებდა, რაკი ოჯახისთავი შინ შეისწრეს.

– მთელი კორპუსი შეკრებილია, – ამოუროშა ერთ-ერთმა მათგანმა, – შენღა გელოდებით!

ცხოვრებაში ათასგვარ უმადურობასა და იმედგაცრუებას წვნეულმა მხატვარმა, როგორც ყველა თვითნაბადმა შემოქმედ-

მა, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა! ამიტომ უცბად ასე წარმოიდგინა: ეტყობა, ჩემზე გული მობრუნებიათ და რაკი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამათაც გაუგიათ, მოთმინება აღარ ჰყოფნით და ყაზახური შთაბეჭდილებების მოსაყოლად ახლავე მიხმობენო! და რაკი ჩათვალა, წელან ტაქსით მოსვლისთანავე თურმე თვალნადევნები ვყოფილვარო, შემცდარი ბავშვივით დაიბნა და თავს ძალა დაატანა, გამაბრუებელი თვითკმაყოფილება უცებ წრფელი გაკვირვებით შეეცვალა.

– რა ისეთი სასწრაფოც ეს არი?! – პირღიმილით ამოშაქრა, – ეს მერე, მერე!

გაკვირვებულმა კაცებმა ერთმანეთს ისეთი ხალისით გადახედ-გადმოხედეს, თითქოს სულელს უსმენენო და გულდაგულ აუყაყანდნენ.

– რა „მერე, მერე", ტო?!. მთელი კორპუსი სუ ძირს არი ჩამოსული!.. წუხელ ომას კინაღამ აგურით თავი გაუხეთქეს და ამის გარჩევა არ არის სასწრაფო?!. არა, გესმის, რას ლაპარაკობ?!. „კაროჩე", შენღა გვაკლიხარ – წამო, წამო!..

მხატვარი უმალ მიწაზე დაეშვა და გუნებაში ღმერთს მადლი შესწირა, გონს დროზე რომ მოაგო და თავი სულ არ გაიმჟღავნა!

– ჩადით და აი... მეც ჩამოვალ!

დაიმედებული კაცები კიბეზე ბრაგაბრუგით დაეშვნენ.

შინ შებრუნებულმა მხატვარმა უცებ ისეთი მოწყვეტა იგრძნო, პირველივე სკამზე მოცელილივით დაეშვა. არა, ხსნა არსად და არაფერში იყო!.. სადაც უნდა წასულიყავი ან საიდანაც უნდა ჩამოსულიყავი, ეს შეუბრალებელი და დაუმარცხებელი ბრბო შენს ნებაზე მაინც არ გაცხოვრებდა!..

ახლა საკუთარ თავზე აეღრინა გული! ბოლოს და ბოლოს სიკვდილამდე სულ ამაზე ხომ არ უნდა ევალალა?! რით ვეღარ შეიგნო და გაითავისა – თავისი შემოქმედების ხათრით ყველანაირი ყოფითი უკუღმართობა ღვთის სურვილად მიეჩნია და აუღელვებლად გადაეხარშა!

ფეხზე ოლიმპიური სიმაღლეზე მხტომელივით აიმართა. ჩემოდნებს თავისუფლად რომ ამოესუნთქა, მხოლოდ ქამრები და საკეტები შეუხსნა. მერე წინკარის სარკეში თავი გაკვრით მოიწესრიგა და ძირს ულიფტოდ ჩავიდა.

* * *

კლიტედადებულ საქეიფო ფაცხის სიახლოვეს, ტოტებგადმოწვდილ ჭადრის ჩრდილნარში, ლუდიყლურწიათა საზაფხულო მაგიდის ირგვლივ ახლა ერთისამად უფრო მეტი ხალხი შეჯარებულიყო, ვიდრე მაშინ, მხატვარი მავრას გულისთვის რომ ჩაიყვანეს. ზოგიერთი ბერიკაცი და ჯანსუსტი ქალბატონი შინიდან თავისი სკამით ჩამოსულიყო. უმრავლესობა, ეტყობა, ბოლომდე ფეხზე გმირული დგომით აპირებდა თავისი გამძლეობის ჩვენებას.

რამდენიმე ქშენია ჩუმპიანი მამაკაცი კი ირგვლივ შემომწკრივებულ კარლია მსუბუქი ავტომობილების სავარძლებში გარეთ ფეხებგადმოყრით ჩაჭედილიყო და შეუფერებელი მოუთმენლობით იცდიდნენ, ეს ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო, ისევ ლუდის სმა რომ გაებათ!

მაგიდასთან აყუდებული აბრეზა შეუფერებლად ღელავდა და სადარბაზოებისკენ წამუწუმ ისე იყურებოდა, აშკარა იყო, მას ჰქონდა დავალებული შეკრების გაძღოლა.

თავშიშველა ომა, როგორც სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილი, მაგიდასთან საპატიო ადგილას დაესვათ. პირდაპირ ღიმილის მოგვრელი იყო, ეს თავაწყვეტილი ლოთბაზარა თავს როგორ უშედეგოდ ატანდა ძალას, მამა აბრამის ბატკანს რომ დამსგავსებოდა! თუმც დროდადრო ითიშებოდა და მაინც ძველბიჭური ეჭირა!

შიშის მომგვრელი მტკიცებულება – თვალშისაცემად სქელი, გვერდებღიობიანი წითელი აგურის ორი ვეებერთელა ნატეხი თუნუქგადაკრული მაგიდის შუაგულში იდო!

ერთმანეთთან დაახლოებულ-დამეგობრებული, თანაც რატომღაც ჭარბად მორთულ-მოკაზმული ქალები მეორე სართულის ორ აივანზე მოურიდებლად მარიაჟობდნენ და წარამარა ძირს ისეთი ყელმოღერებით გადმოიმზირებოდნენ, თითქოს სადაც არის, მხეცებთან გლადიატორების შებმას უნდა უყურონო!

ერთ-ერთ აივანზე ქალებით გარშემორტყმული „ჩაცმული მაკა" აიკლაკნა და თან რკინის მოაჯირზე დაყრდნობით მკლავები განგან ისე გაზიდა, ქვემოდან შემოჩერებული კაცებისთვის უფრო გამოკვეთილად ეჩვენებინა თავისი სავსე მკერდი და ბრტყელი ქამრით დავიწროებული ისედაც ვიწრო წელი.

„ჩაცმული მაკას“ ზურგს უკან მჯდარმა სახეგრძელმა ქალმა მეორე ქალს მანჭვით ანიშნა – კაცებს უკვე თავისებურად ეკლაკნებაო. იმანაც მიმიკურადვე დაუბრუნა – ამისაგან, აბა, სხვას რას ელოდიო!

– ბატონო ნოდარ! – „ჩაცმული მაკა“ ტუჩებს ვითომ სექსუალურად იბურცავდა, – ბატონო ნოდარ, დაიწყე, შენ შემოგევლე, თორემ ყველას ათასი საქმე აქვს!.. ვიღას ველოდებით?

– მალიარს! – კაცებიდან კიცხვით წამოტორტლა ვიღაცამ, – ჩადით, მეც ახლავე ჩამოვალო, მაგრამ, აბა, სად არი?

– მემრე, თქვენც დაუჯერეთ?! – გულგრილად მოუჭრა ბოხხმიანმა და ენა გაიმჭევრა, – როგორ იქნება ხელოვანი ხალხის ნდობა!.. ვინ იცის, ეგ როდი... ან იქნება არც... მაგრამ არა, აგერ, მოდის, მოდის! – ვითომ მობოდიშებით შესძახა იმავე ხმამ, მაგრამ იმ კილოზე, მხატვრის სიტყვისკაცობა მაინც შემთხვევითი და დასაცინი მოსჩვენებოდათ.

მხატვრის მისვლისთანავე დამხვდურნი არაბუნებრივად შეირხნენ. როგორც მაშინ, მავრას შეკრებაზე, საერთო მისალმებაზე არც ახლა უპასუხეს. ჩანდა, მხატვარი სხვანაირ დახვედრას არც ელოდა. მან აივნებზე თვალდაცქვეტით გადმოყრდნობილ მანდილოსნებს ცალკე, თანაც ისეთი ხაზგასმული მოწიწებით მოუდრიკა ქედი, ქალებმა მაშინვე დამცირებულად იგრძნეს თავი, ვინაიდან მდედრული გეშით ხვდებოდნენ: მხატვართან თითოეული მათგანის ურთიერთობა ამ რაინდული მისალმების ფარგლებს ვერასოდეს გასცდებოდა! ასეთი გადაულახავი მშრალი სალამი კი მათ მაცდურ ოცნებებს ფრთხებს აკვეცდა და ყველას არასრულფასოვნების განცდას უმძაფრებდა!

მხატვარმა შეჯგუფებული კაცების სიახლოვეს, ჭადრის აფოთლილ ტოტებქვეშ მშვიდად დაიკავა ადგილი.

– როდემდე ვიცადოთ?!. ვიღას ველოდებით?! არ დავიწყოთ?!. – მოუთმენლად გაისმა იქით-აქედან, – დავიწყოთ, დავიწყოთ!

ატუზული აბრეზა გატოკდა და მუჭაში უაზროდ ჩაახველა.

– მეგობრებო!.. ქალე.. ქალბატონებო!.. ძვირ... კეთილო მეზობლებო!.. ალბათ, უკვე ყველას გეცოდინებათ, წუხელ, ოთხის ნახევარზე აქ რაც მოხდა!.. ჩვენი საძმოდან გამორჩეულ... ყველაზე „დუშკა“ ძმაკაცს, ომას...

დაზარალებულივით კი არა, დამნაშავესავით მჯდარ ომას აქ აბრეზა მხარზე უგერგილო მოწიწებით შეეხო.

– სასიკეთოდ ეხლოს ჩემი ხელი!.. ხოდა, წუხელ, ოთხის ნახევარზე ჩვენი კორპუსის რომელიღაც სართულიდან აი, ეს აგური მოსაკლავად ესროლეს!

მამრების წყრომა-მუქარა ჭადრის კენწეროს ასწვდა. ქალებმა წივილნარევი შეშფოთებით შეიცხადეს.

აბრეზამ მაგიდიდან სისხლისფერი აგურის ორი ნატეხი აიღო და მაღლა აწევით ერთმანეთს შეუტყუპა, რათა ყველა დარწმუნებულიყო – მიზანს ამცდარი ნახევარი აგური სროლის დროს კი მთელი ყოფილიყო, მაგრამ ტროტუარზე დანარცხებისას აგერ, ორ არათანაბარ ნაწილად გადატეხილიყო!

– აი, ამ აგურს ზედ საფეთქელთან ჩაუქროლია, – განაგრძო აბრეზამ და გამთლიანებული აგური ორივე ხელით ისევ წელანდელ ადგილს დაასვენა, – ხოდა, რო მოხვედროდა, ომა ახლა აქ კი არ გვეჯდებოდა, არამედ...

ქალებმა ახლაც თავისუბური ხანმოკლე ვიშვიში ატეხეს.

– მაგრამ ღმერთმა გადაგვარჩინა და... – აბრეზა ქშუტუნ-ქშუტუნით აყალიბებდა თავის სათქმელს, – ახლა აქ უყურეთ ომას ვაჟკაცობას! თვითონ ხო არა და არ გამოუძახია საპატრულო პოლიცია და არც ჩვენ გვაძახებინებს – კორპუსს სახელი გაუტყდებაო!.. ჰმ, ჰმ!.. ისა... ამას ხო გაგება და დაფასება უნდა, არა?!. „ვობშემ“, დილას ბიჭებმა მოვილაპარაკეთ – ჩვენი პრობლემა ჩვენ თვითონვე მოვაგვაროთ!

– როგორ? – აივნიდან კუდიანურად გადმოიძახა ქალის ხმამ.

– ვინც ესროლა, ვაჟკაცურად გამოვიდეს და ომას ბოდიში მოუხადოს! – აბრეზა მაინც თავისას აწვებოდა, – რაც მოხდა, არ მოხდა კაი ამბავი, მაგრამ რას ვიზამთ – კაცნი ვართ!.. ხოდა, ურჩევნია, თავისით იკისროს – დედიჩემისა მივირთვი და მაპატიეთო, თორემ სულ ერთია, გაუგებარი მაინც არ დარჩება და მემრე უფრო „ხუჟე“ იქნება!

– შენ რას ლაპარაკობ!.. ახლა ვიღა იკისრებს?! – ნაიძულევ ორატორს მსმენელები დამცინავად აუტატყანდნენ, – მაგის იმედი არცა გქონდეს!

– არადა, – აბრეზა ველარც თავის მოუაზრებლობასა და სი-

ტყვაჩლუნგობას უმკლავდებოდა, ველარც შეუსმენელ მოყაყანეებს, – მაშინ... იქნებ... ვინმემ რამე დაინახა – გამოვიდეს და დაგვისახელოს!

ამან უარესი ჟლავჟლავი მოიყოლა.

– მაგას ვინ იტყვის – მერე ისეთ დღეს დააყრიან, რა დღეც არ ენახოს!

ჯუბა საკაცეთს მედიდურად გამოეყო და მხარბეჭი ფალავნურად შეაქანა.

– თუ ვინმემ რამე იცის, თქვას და რა გინდათ, „ატვეჩაი" მე ვარ – ბუზსაც ვერავინ აუფრენს! ერთი კაი დედიმისის შვილი იქნება და!...

ეგრეზას ზედვე ეტყობოდა, წამოსაძახებელი არ ასვენებდა! ჰოდა, წინ ისე გადმოვიდა, თითქოს შალახო უნდა იცეკვოსო.

– არა, ერთი რამ „Ясния" ! – შეუძახა და თავისებურ ოცობოცოს მოედო, – ომას ნაჩვენები ადგილი ცარცით შემოვხაზე და როგორც კი ზევით ავიხედე, მაშინვე მივხვდი – აგური პირველი „პადიეზდის" რომელილაც ზედა სართულიდან არი ნასროლი! სხვა...

აღშფოთებამ ალხიანი ქარაშოტივით შეიშრიალა.

– შენ რა ბებიაშენის მუთაქებსა თელავ, ტო – ხელს ჩვენკენ რატო იშვერ?! – დენთივით იფეთქა ვახტანგმა, – რა...

– ვახო მართალია! – ლეკური სიტყვა გადმოისროლა გეგენამ. ისა და ვახტანგი ახალი დამძახლებულები იყვნენ და თავისი მოყვრის მხარი ალა-ალა დაიჭირა, – რატო არ შეიძლება...

– მართალი ხარ, მართალი! – მეზობლებმა გეგნას მაშინვე დაუკვერეს.

– მოდი, მაშინ ცდა ჩავატაროთ! – გუგუნა ხმით ბობოქრობდა ძალღონემოჭარბებული ვახტანგი და ალმურიანი მზერა ქალებით შეხუნძლული აივნებისკენ გაურბოდა, – შენ იმ წრეში ჩადექი, დილას ცარცით რო შემოგიხაზავს, მე კი ნახევრის მაგიერ მთელი აგური მომეცით და თუგინდ მესამე „პადიეზდის" „ლუბოი" სართულიდან გესვრი! ჰოდა, ვნახოთ ერთი...

– აუ, ჩემი კარგები!.. – ვახტანგს პირიდან სიტყვა გამოაცალა შავლეგომ და ლოთიფოთური პირისახე სალაქუცოდ მოერღვა, – შენ იქიდან პირველ სადარბაზომდე კი არა, გაჩერებასაც

გადააცილებ, მაგრამ ყველანი შენნაირი ჯანის პატრონები ხო არა ვართ, არა?!

ზომიერი ლოთის ნაბჭობი უთავბოლო შეძახილებითა და კანტიკუნტი ტაშით დაჯილდოვდა.

– აბა, რას გაიძახის – პირველი „პადიეზდიდან" იქნებოდნენო! – ხმამოდაბლებით წაიბურტყუნა ნაამებმა ვახტანგმა და გვერდზე ბღენძით მიდგა.

გაურკვეველი მოლოდინით დანესტილი დუმილი ჩამოვარდა. მოულოდნელად აბრეზამ შეუხამებლად წამოაყრანტალა.

– ქალბატონო ფატი, შემთხვევით თქვენ ხომ არაფერი დაგინახავთ?

– უი, მე საიდან უნდა დამენახა!

უცებ ატეხილი სიცილ-ხარხარი შემოხეთქილ ქარაშოტს დაემსგავსა. საიდანღაც წამოფრენილმა მტრედების გუნდმა ეზო-ყურეს ფრთების ტკაცატკუცით დაბლა-დაბლა გადაუფრინა!.. ყველა გულიანად ხარხარ-კისკისებდა! თვით ქ-ნი ფატი კი ტუჩმოპრუწვით ლამობდა თავშეკავებას, მაგრამ რაკი არაფერი გამოსდიოდა, იმასაც რაღა ექნა – დამსახურებისამებრ ელიმებოდა!

შუალა სადარბაზოს მესამე სართულზე მაცხოვრებელი დიდი ოჯახის ეს ასაკოვანი ქალი მთელ კვარტალში ცნობილი იყო, როგორც დაუღალავი და თანაც შუმცდარ-სამართლიანი თვალმადევნებელი! თვალსადევნებელი კუნჭულები კი ორივე აივანზე ჰქონდა, საიდანაც დღე-ღამის განმავლობაში უნაკლოდ იზვერებოდა როგორც კორპუსის მთელი შიდა ეზო და ღია აივნები, ისე ტროტუარი, გაჩერება და ხეივანი!

ჰოდა, ქ-ნ ფატის ვერვინ რას გამოაპარებდა – ამ ფარგლებში კატას კუდი რომ გადაბრუნებოდა, იმასაც კი იგებდა! აბა, ასაკსრული ქალებისა რაღა გესწავლებათ, მისგან თვალნადევნები გოგუცანები კი რაიმე საწინააღმდეგოს სათქმელად ენას ვერ მოიტრიალებდნენ ხოლმე! მაგრამ ქ-ნი ფატიც ჩვეულებრივი მოკვდავი იყო და დილის ოთხის ნახევარზე შეიძლება მართლა სძინებოდა – ვერც ვერაფერი დაენახა, ვერც გაეგონა! ამიტომ შეუმაგრებელი ტკარცალ-ხარხარის მიზეზი იყო არა მისი პასუხის სიწრფელეში დაეჭვება, არამედ გამოჯეკილი მოთვალთვალის

არტისტული თავმოკატუნება!

– არა, რომ შემოხედო, აივანზე ბევრს შუქი უნთია ხოლმე და საქმიანობენ ან გათენებამდე „ჰარი-ჰარალო“-ს გაიძახიან!.. ჰოდა, როგორ დავიჯეროთ, ამხელა კორპუსიდან ვერავის ვერაფერი დაენახა! – უაზრო სიჯიუტით ყველა ამასღა იმეორებდა, – ადრე თუ გვიან მაინც ხმა გამოვა, ვინ ესროლა!

– მაგის გაგებას რა უნდა! – რატომღაც ენას განზრახ იჩლექდა წინ გამობაკუნებული მადლენი. კაცებმა მგლებივით დაუწყეს ყურება, ქალებმა კი მელანქოლიური მზერა გადმოავლეს, რადგან ეს გასათხოვარი ახალგაზრდა ცხრა ზნის დედად ჰყავდათ მიჩნეული, თვითონ მადლენი კი ისე იქცეოდა, როგორც შეუხებელი ქალწული.

– ჩამოუარეთ ყველა ლოჯიას და ვისაც ასეთი აგურის ნარჩენი ექნება, სროლითაც ის ესროდა!

ამგვარად ნასიბრძნმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

– მერე, სართულზე გამოტანილი ნარჩენი აგურიდან რატო არ შეიძლება სხვა რომელიმე მეზობელს აეღო?! – აივნიდან გაწიწმატებით გადმოისისინა ქალის მოუთმენელმა ხმამ.

– ეჰ, დილასვე ჩამოვუარეთ, მადი, – მადლენს გულგრილად მიუგო ერთმა მსხვილთავა კაცმა, – მაგრამ სწორედ ეგეთი აგური არავის აღმოაჩნდა!

– მაშასადამე, საიდანღაც სპეციალურად ჰქონიათ მოტანილი! ისე გაეცინათ, როგორც ბავშვის ნატიკტიკევზე.

– საქმეც ეგ არი!..

თვალთმაქცურმა ლაყაფმა ყველა გააბეზრა, წინდაწინვე სასეიროდ განწყობილებს კი დაშლა არ ეწადათ. აბრეზამ, როგორც იქნა, შენიშნა აივნიდან „ჩაცმული მაკას“ ფრთხილი ნიშნება.

– გათიშეთ ტელეფონები!.. შეწყვიტეთ ყაყანი!.. ვის ველაპარაკები?!. შეწყვიტეთ-მეთქი! – აბრეზა უცნაურად გამოცოცხლდა და მხატვარს რატომღაც ჩაცმულობა აუთვალიერა, – აბა, შენ რას გვეტყვი, მხატვარო?

– ვინა, მე?! – შეიცხადა მხატვარმა, – მე რა უნდა გითხრათ – ნახევარ თვეზე მეტია, აქ არ ვიყავი და ყაზახეთიდან წელან ჩამოვფრინდი!

– ყაზანიდან? – უგულოდ შემოეკითხა რომელიღაც მამრი.

– არა, ყაზახეთიდან! – მხატვარმა ჩამომარცვლით გაიმეორა და ელვისებური შინაგანი ყოყმანის შემდეგ საბედისწერო სატყუარასავით გადმოაგდო – აბა, ერთი ყასიდად მაინც თუ დაინტერესდებიანო, – იქ ჩემი ნახატების პერსონალური გამოფენა მქონდა და...

გულგრილი დუმილი ჩამოვარდა. მხატვრის ყურსაც მისწვდა მოპირდაპირე ჯგუფში რომელიღაც კაცის მიერ ყველას გასაგონად წაბუტბუტებული – რა დროს ახლა ნახატები და გამოფენაა, წუხელ კაცი კინაღამ მოგვიკლესო.

– გამოდი, გამოდი, გვითხარი რამე! – აბრეზამ ხმა უკვე ბატონკაცურად ჩაიბოხა.

მხატვარმა შემოჩერებულ მსმენელებს ხელები უმწეოდ გაუშალა.

– ჯერ ერთი, წელან ჩამოვფრინდი და ახლაღა გავიგე, აქ წუხელ რა მომხდარა!.. ეგეც არ იყოს, რაც მაშინ მავრასა და მის ძაღლთან დაკავშირებით ვიწვნიე, რაღა გულით უნდა გამოვიდე?!

ჩამოვარდნილი სიჩუმე კრაზნების დანესტრილს დაემსგავსა.

ლერსომ მხატვარს ქუშად გამოხედა. ბოლომდე მოწეული სიგარეტი გადააგდო და ახალს მოუკიდა.

– იცი, რას გეტყვი – მოდი, შევეშვათ არქივის ქექას!

ერთ-ერთ აივანზე მოულოდნელად ქალების წიოკობა ატყდა.

– ახლა რისთვის გამახსენა ის დასაწვავი დღე!.. ვაი! – შეუწივლა ცირამ და გული გაიპარა.

– წყალი, წყალი!.

„ჩაცმული მაკა“ დიასახლისზე უფრო სწრაფი აღმოჩნდა – ხელად გამოარბენინა ჭიქა და ყვავილებიანი გრაფინი.

მხატვარს წელან აქეთკენ გულდაგულ მონაშური, თავისი სადარბაზოელი ყასაბი ჟორა აეტუზა და გადაუჩურჩულა.

– მე ხო ვიცი, აღარ მოგეშვებიან!.. შენცა თქვი რაღაცა და მორჩი!

– ისე მაინც არ გაგიშვებთ! – ქალების ალერსიანი გადმოძახილი ყველას ზევით ახედებდა, – გელოდებით!

დაღლილი, თანაც მოშიებული მხატვარი თავს მოერია და წინ დათანხმებულივით წააბიჯა.

სამარისებური სიჩუმე თავისთავად ჩამოვარდა.

– ვისმენ თქვენს გამოსვლებს და თავი სიზმარში მგონია! – მხატვარს კერპ მზერაზე შეეტყო, თავის სათქმელს დაურიდებლივ იტყოდა, ეს თუგინდ სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, – ოღონდ ვერ გავრკვეულვარ – თავს იტყუებთ თუ ერთმანეთს ატყუებთ!.. ყველანი მუქარით მხოლოდ ამას გაიძახით – აგური ვინ ესროლა, ვინ ესროლაო! პირდაპირ გასაკვირია – საქმის გამოძიებას ბოლოდან რატო იწყებთ?!

მხატვარმა სული მოიბრუნა.

– თქვენ მართლა ომას ან სიმართლის დარდი რომ გქონდეთ, ჯერ ამას უნდა კითხულობდეთ – კი მაგრამ, რატომ ესროლეს, რატომ უნდა ესროლათო?!.. ხოლო თუ ამას დააზუსტებთ, მაშინ იქნებ აღარც დაინტერესებულიყავით, ვინ ესროლა! თვითონ ომას კი შეიძლება გადაეთქვა კიდეც – ისე... ვიხუმრე, თორემ დილის ოთხის ნახევარზე მე იქ რა მინდოდა – ის ვიღაცა... სხვა იქნებოდაო!..

უაზროდ აღშფოთებულ მსმენელებს თავდაუჭერელი ჩანჩხური შეუდგათ, მაგრამ უთავბოლოდ მოყაშყაშეებს მხატვრის მსჯელობამ ენა მოაკვნეტინა.

– მე თუ არ ვიცი, იქნებ თქვენ მაინც მიკარნახოთ, – მხატვარმა დაკითხებით მიმართა მსმენელებს, – ნუთუ ომას მტერი ჰყავს და ისიც ჩვენს კორპუსში?!.. თან აქ აი, რა არის გასაშტერებელი: ვინმემ იცოდა, დილის ოთხის ნახევარზე ომა ტროტუარზე, ჭადართან გაივლიდა?! შეიძლება ეს ვინმეს სცოდნოდა? არავის!.. ესეც ხომ ნათელზე ნათელია, სხვა რომელიმე კორპუსიდან აქამდე აგურს ვერაკაცი ვერ მოაწვდენდა! მაშასადამე...

მხატვარმა უცებ თავი ისეთი გამომეტყველებით დაიმუნჯა, თითქოს ველარ გადაუწყვეტია, ღირს თუ არა მსჯელობის გაგრძელებაო.

– მაშინ ვინ გიჟი დაიჯერებს, ჩვენს კორპუსში მცხოვრებ ომას მოსისხლე მტერს მთელი კვირეების, თვეებისა და შესაძლოა, წლების მანძილზეც ხეირიანად არ სძინებოდა და აგურით ხელში სიცხესა თუ ყიამეთისას თავის აივანზე ედარაჯა – ოდესმე ომა გამთენიისას ტროტუარზე თუ გაივლიდა, ზუსტი სროლით სიცოცხლეს გამოესალმებინა!.. რომელიმე თქვენგანს

სჯერა ამგვარი სისულელის?!. ნუთუ უფრო მოსახდენ დროს, ადგილსა და საშუალებას ვერ უპოვიდნენ?!.

დამნაშავეებივით შეშმუშნილ მეზობლებს მხატვარმა უშიშარი მზერა მოავლო.

– ერთმანეთს კიდევ დიდხანს ვეთამაშოთ კატათაგვობანა?!. რატო არ გინდათ აღიაროთ, ომას რატო ესროლეს აგური?

ლაჩრული დუმილი არა და არ ირღვეოდა. აქამდე თითქოს თვინიერად მჯდომი ომაც უცნაურად შეშმაშურდა.

მხატვარს მწარედ ჩაეცინა.

– ჩვენი ეს შეკრება ერთ ქართულ ანდაზას მაგონებს: დათვს ხედავდნენ და მაინც კვალს ეძებდნენო!!!

კვლავ ატყდა უთავბოლო ჭაჭყანი, მაგრამ გამოსვლას მაინც არავინ აპირებდა.

– რახან ასეა... რა გაეწყობა! – დაწმენდილი ხმით ამოთქვა მხატვარმა და ომას მიეახლა, – ომა, ადამიანურად გეტყვი და ნუ მიწყენ... მე შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა!.. ჰოდა, მთელ ჩვენს კვარტალს სისხლი აქვს გამშრალი შენი გადაბმული ლოთობისა და მერე ყოველღამ ქუჩა-ქუჩა ატეხილი თავაწყვეტილი ღრიანცელისაგან! ჰოდა, ეგ აგურიც მაგიტომ გეს...

ომა მხატვარს დამდუღრულივით წამოუვარდა.

– შენ რა, ტო – „ნახალკას“ მტენი?!

ერთმანეთში აირია სიცილ-ხარხარი და კუჭკუჭ-ფრუტუნი... ერთ-ერთ აივანზე რომელიღაც ქალი სიცილით იფხრიწებოდა!.. თუმც მალევე ჩაჩუმდნენ, რათა მოესმინათ, როგორი იქნებოდა სიტყვამოჭრილი მხატვრის პასუხი.

– ომა, – მხატვარმა თანასწორულად მიმართა, – არასოდეს დამავიწყდება მაშინდელი შენი კეთილშობილური რჩევა – მავრას ახლავე ბოდიში მოუხადეო! შენ წინაშე ვალში ვარ!.. ჰოდა, მიუკიბ-მოუკიბავად გეუბნები – როგორ არ გბეზრდება თენებისას ამდენი ლოთიფოთური წყვეტება, გინება და ღრიანცელი?!. ან ძილგამფრთხალი უბედური მასიველები არ გებრალება?!. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შიში მაინც როგორ არ გეუფლება – ამდენს როდემდე მომიმთენენო, ჰა?!. ეტყობა, ეგ აგურიც ვიღაცამ გასაფრთხილებლად გესროლა – მოგვასვენე, თორემ უარესს...

– ეს არი გაფრთხილება?!. აგურამ ზედ საფეთქელთან გამი-

არა და... რაკი არ იშლით, აი, რა მიყო!

ომამ პერანგი დარდიმანდულად გადიღელა და მეზობლებს დალილავებული მხარი აჩვენა.

ქალებსაც მეტი კი არ უნდოდათ!

– უი, გაუხმეს იმას ის მარჯვენა!.. დედა, დედა – ბეწვზე გადარჩენილხარ!.. ვინ იქნებოდა, ის თვალებდასაბნელებელი!.. ქვა და ლოდი კი დაედოს მის ოჯახს!..

ომამ ჩალურჯებული ადგილი ახლა მხატვარს მიუშვირა.

– გეკითხები, ტო – ეს არი „პრედუპრეჟდენია?!"

– ომა, მე არ ვიცი, რა იყო, ან როგორ იყო, – მხატვარმა სიტყვების რჩევით დაიწყო, – თუ მართლა მოსაკლავად გაგიმეტეს, მაშინ მით უარესი!.. ან იქნებ ვერ მოზომა და მეტისმეტი მოუვიდა!.. ანდა, შეიძლება იფიქრა – ყასიდად რომ ვესროლო, უფრო გული მოეცემა და მეტს გვიზამსო!.. ერთი სიტყვით, ჩემი ადამიანური რჩევა ეს იქნება – სულ ჩამოეხსენ ვითომ ძმაკაცებთან არყის სმასა და ღამღამობით კორპუს-კორპუს გაუთავებელ ღრიანცელობას!..

მხატვარმა სევდიანად გააქნია თავი.

– ერთი გამაგებინე, რა გჭირს სამაგისო – სახლ-კარი გაქვს, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ხარ... აქაოდა, დედ-მამა ნაადრევად დამეხოცაო... ნუთუ მაგიტომ... ომა, მშობლები ვის არ დახოცვია!.. ჰოდა, სადმე დაიწყე მუშაობა, რო მერე დაოჯახდე კიდეც და...

– ოჰ, შენც იგრე ლაპარაკობ, ვითომ ციდან იყო ჩამოფრენილი! – მხატვრის გამამხნევებელი კილო არ იჭაშნიკეს და კვლავ აუბუბუნდნენ, – რა, ეგრე ადვილია სამუშაოს შოვნა?!

– ვისაც არ უნდა, ის ვერც ვერასოდეს იშოვის! – ცივად გაეპასუხა მხატვარი.

– რაკი გული დაგწვია, მიდი, ერთი უშოვე!

– შევეცდები, ვუშოვო კიდეც! – მხატვარმა ცალყბად გასძახა ჯიუტად მორატრატეებს და ისევ მაგიდასთან ასვეტილ ომას წამოუტრიალდა, – თავს თუ არ შეირცხვენ, ჩვენთან, სამხატვრო აკადემიაში კარზე მდეგად...

ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, ყველაფერს ფარდა აეხადა – აქ მოწყენილობისგან საგანგებოდ შეყრილებს თავგართობის

მეტი არაფერი ანაღვლებდათ!

ომას სახეზე ისეთმა წრფელმა უტიფრობამ შეითამაშა, თვით მხატვარმაც ძლივს შეიმაგრა პირღიმილი.

– ჰო, მაგრამ მე როგორ გავიგო, იქ რომელი კლიენტი უნდა შევატარო და გამოვატარო?!

უხელობო ლოთის ამგვარმა ენაკვიმატობამ ისევ სიცილი მოიყოლა. ამან ომა უფრო წააქეზა.

– არა, დიდი მადლობა, მაგრამ მეკარეობა არ მევასება!

მხატვარი საქმიანად ჩაფიქრდა.

– მაშინ მუშად მოგაწყობ.

– სადა?

– სადა და ჩვენთან, სამხატვრო აკადემიაში.

– მემრე, მე იქ რა უნდა გავაკეთო?

– რასაც სხვა მუშები აკეთებენ!

– მაიცა, რა!.. მხატვრები... „კისტები" და „კრასკები" ჩემი „პონტი" არ არი!

– აბა, რა არის შენი „პონტი", – აღარც მხატვარმა დაუხვალია – გადაბმული ლოთობა და ყოველღამ ატეხილი ქოთქოთ-ღრიანცელით მთელი კვარტლის წამება?!. ომა, ეგერ, წუხელ რა...

მსმენელები მხატვარს ისე დათარსულად აუყაყანდნენ, იმანაც თავი ველარ შეიკავა.

– მე თუ მკითხავთ, ეს კაცი სულ თქვენი ხელშეწყობითაა გალოთებული!.. არა, ეს მაინც რა ჩვევა გაქვთ შემოღებული – აქ ერთი ისეთი ამბით ჩამოუდგამთ ხოლმე ლუდ-არყის ბოთლებს, თითქოს ეს რამეს შველოდეს!.. თქვენ თუ ომასთვის მართლა კარგი გინდათ...

მხატვრის მოურიდებლობამ მამრები უკიდურესად გააღიზიანა. ერთმანეთში ირეოდა მათი ჯავრიანი ჟიჟინი და ჯლიყინი.

კაცების დასტას ერთი სუფთად პირგაპარსული, გვერდზე თმაგადავარცხნილი კლაკნია გამოეყო და მხატვარს შორიახლო ზრდილობიანად გაუჩერდა.

– შეიძლება?

მეზობლებისგან კრინტჩაწყვეტილმა მხატვარმა თავისდაკვალად ანიშნა, გისმენო.

მოხდენილად თმაგადავარცხნილი მხატვარს მთელი სერიო-

ზულობით შემოეკითხა.

– რაც აქ გადმოხვედით, ომა კი არა, რომელიმე კაცთან ერთი ბოთლი ღვინო მაინც ჩამოგიტანიათ, დავლიოთო?!

– არასოდეს!

– მეტი შეკითხვა აღარა მაქვს. გმადლობთ!

შეკრებილებს ჟინმორეული სიცილ-ხარხარი და კრეჭა-ღრეჭა შეუდგათ, რაკი ამფსონებისგან დე გოლად მონათლულმა გვერდზე თმაგადავარცხნილმა მხატვარს „მასტერკლასურად" აკისრებინა თავისი ვითომ წუწურაქობა და გარიყულობა! თავის მხრივ მხატვარს კიდევ სევდიანად ელიმებოდა ერთფეროვან თანაკორპუსელ კაცებზე, სულ სმა-ჭამა და არიფანა რომ აგონდებოდათ და ყველაფერს ამით ზომავდნენ!

სახედამწუხრებულ თალიკოს წამოდგომამ მაშინვე სიჩუმე ჩამოაგდო.

– ფერმწერის საყვედურმა – თქვენ ომასთვის ავის მეტი არა გინდათ რაო, გეფიცებით, გული დამიკაწრა, – დასაწყლებული ხმით წაიტყუილა და მხატვარს უმზრახის თვალით გადახედა, – ღმერთმა ცოდვა ნუ დაულიოს, ვისაც ომასთვის ავი სურდეს!.. ჩემს ხელშია გაზრდილი და მერე რა, თუკი ათასში ერთხელ ლუდი და არაყი მეც ჩამომიდგამს!..

აქ თალიკო შეყუჩდა და თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა.

– ყველამ იცით, მე და ცხონებული ფოცია დებივით ვიყავით, – თავისებურად დადანებდა ენაპიროსანი, – ჰოდა, როცა... დაიწვას ის დღე!.. ანდერძად დამიტოვა – ჩემს ომიკოს შენ მიმიხედეო!.. თალიკოსა და ხიტოს შერჩენამ, ომა გულზე მაბია და!.. ეს კი რა მოსატანია, მაგრამ ხშირად ცხელ-ცხელი კერძებიც შემაქვს და... დიახ, სასმელიც მიმიყოლებია!.. მაშ, ნუთუ ეს დანაშაულად უნდა ჩამითვალონ და ამისთვის...

– ქალბატონო, – მხატვარი შეეცადა, სიტყვა რიდით ჩამოერთმია, – მე იმის თქმა კი არ...

მსმენელები შეკრულებივით აუყიჟინდნენ – რამდენჯერაც ლაპარაკის ხელახლა წამოწყებას შეეცადა, იმდენჯერვე ჯიბრით ჩაათქმევინეს!

რეტდასმული მხატვარი გრძნობდა, ერთმანეთთან დროებით შეხმატკბილებულ მოწინააღმდეგეთა ჯიბრიანობის ალმური

საფეთქლებს როგორ უტრუსავდა და თან სათქმელსაც უბურდავდა.

იმასაც ჩახვდა, ის არ იყო ორატორი და მით უმეტეს, ბრბოს ორატორი!.. მის მოწოდებას ფუნჯი, საღებავები, ტილო, მოლბერტი და სიმარტოვისას შემოქმედებითი ფიქრი წარმოადგენდა! ამიტომ ყველა ხერხი წელანვე უნდა ეხმარა, რათა ვირეშმაკა მოსეირეების მიერ დაანგებ მახეში ასე ყეყეჩურად არ გაბმულიყო! მაგრამ ახლა აღარაფერი ეშველებოდა – თავში ქვა უნდა ეხალა და აბუჩად აგდებული ეს თავის გამოსვლა როგორმე რიგიანად დაესრულებინა, ხოლო სამომავლოდ მათი მოსაღორებელი თადარიგის დაჭერაც ესწავლა! მაგრამ უიმედობამ გულში ყინულის ფირფიტასავით გაუსრიალა! შემოქმედებით ხილვებს თავმიცემულს, ალალბედად რაც უნდა ელონა, მსგავს გარემოებაში არაფერი გამოუვიდოდა – ისინი ყოველთვის მაინც თავიანთებურად შეკერავდნენ!..

– ქალბატონო, ქალბატონო! – მხატვრის ხმაში უიმედო მუდარა გაისმა, – თუ შეიძლება, ერთი წუთით...

– რა „ქალბატონო, ქალბატონო?!“ რა არი... მართლა და მართლა! – ყველასაგან მოულოდნელად გაისმა უზომოდ აღშფოთებული მევლუდას ხმა და ამსიმძიმე კაცმა უკანა რიგიდან წინ წვალება-წვალებით იწყო გამობაჯბაჯება, – თელეთობაა?!.

სიცილ-ხარხარის ისეთმა ნიაღვარმა მოხეთქა, მსგავსი რამ ამ ეზო-ყურეს, ალბათ, არც ხსომებია! მევლუდას იმხელა გულმკერდი ჰქონდა, ზურგზე რომ გაწოლილიყო, ზედ თუგინდ ბულდოზერი იტრიალებდა! მისი სტომაქის ტევადობასა და გამძლეობაზე დარხეული ხმები ხომ პირიდან პირში გადადიოდა! მაგრამ თვალყურშეჩვეულ მეზობლებზე შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენდა მევლუდას ვერც უქმი გოლიათობა და ვერც ჭამა-ყლაპაში მაგრობა! მსმენელებს ატყვევებდა და აცინებდა მისი ბობღინი!!!

– შენ აქ ისა... რა „პრავაკაჩატი“ დაგვიწყე, ჰა?! – ჯმუხად ატაკა ყურადღებით მოჩერებულ მხატვარს და ტლანქად ნაჩორკნი პირისახე მხეცურად მოემანჭა, – შენ ვინ გეკითხება, ომა რატო არ მუშაობს ან სად დაიწყებს... რა ჰქვია... ისა... მუშაობას?!. ან კიდევ ლუდ-არყის ბოთლებს ვინ ვის ჩამოუდგამს!. ეგღა გვაკლია...

– გენაცვალე მაგ ენა-პირში, მევლუდ! – მოუთმენლად შე-

მოუძახეს აქეთ-იქიდან, – მიდი, მევლო, მიდი!..

გასაკვირი იყო, მევლუდაზე სულ არ მოქმედებდა წამქეზებლური ღრიანცელი და ის თავის სათქმელს დინჯად, ოღონდ თავისებურად აყალიბებდა.

– შე კაი კაცო, მთელ ქვეყნიერებაზეა განთქმული ქართული პურ-მარილი და ისა!.. შენ კიდევა აქ თურმე თვალი გჭერია – ვინ ვის რამდენ ბოთლს იმას... ისა!.. აბა, ეეე... ეეეს... რასა... გავს?!.

მსმენელებმა ფიცხი ტაში შემოჰკრეს და გახევებულ მხატვარს ჟინმორევით გადმომზირეს – ხო მიიღე, რასაც ეძებდიო!

– მე... აქ... ისა... რა ჰქვიან... – მევლუდა ჩვეულად განაგრძობდა ბობღინს, – იმდღეს გაზეთში ჩემი თვალით რო არ წამეკითხა, არც... გოჩა მაშინვე გავაქციე და შვიდი ცალი კიდე ვაყიდინე – მქონდეს-მეთქი!.. ქართველები რა მაგრები ყოფილხართ და ეს რა საკვირველი... ისა.. ქეიფობა გცოდნიათო! ეგეთი რამე არც ერთ ხალხში არ მოინახებაო!.. ჰოდა, ჩვენებური პურ-მარილის ადათ-წესები... რას ეძახიან...

– იუნესკო, იუნესკო!

– იუნესკოს თურმე თავის იმაში შეუტანია, როგორც ისა... ეხლა აღარ მაგონდება, ზუსტად როგო ეწერა: როგორც ნაციონალური დროსტარების კულტურის ისა... მემკვიდრეობა თუ მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი საოცრებაო!

გოლიათი „პურიმჭამლის" მჭევრმეტყველებით აღფრთოვანებული მოსეირეები, აბა, ამას ტაშისა და ყიჟინის გარეშე რას დატოვებდნენ!

– თუმცა იუნესკო რათ გვინდა, – მევლუდამ ისეთი ფიქრიანი ტკეპნით განაგრძო, ჩანდა, თავს ძალას ატანდა, აგურებივით წინასწარ დაწყობილი სათქმელიდან არა გამორჩენოდა რა, – იუნესკოს ეგ ეხლაღა უქნია, ისა... რუსთაველმა კი აგე, მეათე საუკუნეში დაგვიბარა: ჭამა-სმა დიდად შესარგი, გდება რა სავარგულიაო!.. ჰოდა, რასაცა შესჭამ, შენია, რაც არადა, დაკარგულიაო!.. ეხლა?!.

მსმენელების აღფროვანება და ძახილძუხილი საზღვრებს ვერ პოულობდა – რა ეშველებოდა ამ კორპუსს, მევლუდა რომ არა ჰყოლოდათ!!!

– ეს იცოდე, მხატვარო! – ჟრიამულის ჩაცხრომისთანავე

მევლუდა მუქარით ალაპარაკდა, – რაც უნდა მოიწადინო, ერთმანეთზე ჯიგარს მაინც ვერ გაგვაციებინებ!.. აქ სუფრაც გაიშლება... ისა... ბატკანიც ჩამოტყავდება!.. მწვადიც აშიშხინდება!.. და გოჭიც... რა ჰქვია... შეიბროწება!.. აბა, როგორ?!. ეგე, შეთერანა – ხელზე გაზდილი ბოჩოლა უნდა გაეყიდნათ და ისა.. რა ჰქვია... „სტენკა" ეყიდნათ! მაგრამ სამარიობოდ ჩამოიყვანა და ჩვენ დაგვიკლა – ერთი ქართველური პური ვჭამოთო!

ერთმა გვერდგამოხლართულმა კაცმა ჩახრინწიანებული ხმით მოუთმენლად შეახსენა.

– რამაზანა?!

– ვიცი!.. მანდამდეც მივალ! – მევლუდა მოკარნახეს ისე გაეპასუხა, იქითკენ არც გაუხედავს და მოგროვილი საკაცეთი მთავარსარდალივით მოათვალიერა, – აგე, რამაზანაც აქ გვიზის!.. ცოლის დაბადების დღისთვის... ისა... სოფლიდან ორმოცლიტრიანი ბალონი ჩამოიტანა, მაგრამ სანამ შინ შეგვატანინებდა, ჯერ აი, აქ, საძმაკაცო მაგიდასთან დაგვადგმევინა: ბიჭებო, თქვენი ჭირიმე, აბა, ერთი დამიჭაშნიკეთ – ქვევრს ხელი ხო არ მიუცია, სტუმრებთან არ შევრცხვეო!

კაცებს თავმომწონე სიცილ-ფრუტუნი აუვარდათ. თვითონ მევლუდასაც გაეღიმა დევისებურად.

– დავუჭაშნიკეთ კი არა, რო შევყევით, ის ორმოცი ლიტრა რქაწითელი იმავე საღამოს ხო სუ დავულიეთ და რაკი არც ის გვეყო, მემრე ბიჭებმა – ვისაც ჰქონოდა – შინიდანაც გამოიტანეს!

სასმელში კუჭმოკუპრულმა კაცებმა ყიფურ-ამაყურად გადაიტრიალ-გადმოიტრიალეს თვალები – აი, რა მაგრები ვართ, არავის რა შეეშალოსო!

– მაგრამ ისა... რა ქვია... მართლა დაცემა ხო არ არის, არა?! – მევლუდა თავის სათქმელს ჯაბახანა ტრაქტორივით მიარახრახებდა, – მესამე დღეს თარხანა რწყილას მანქანით ნაშუადღევს თავის ქვისლთან გავარდა და ჯერ დაბინდებულიც არ იქნებოდა, რამაზანასთვის იმავე ბალონით ატენური წელი ღვინო რო შემოაგრიალა! აბა!!!

– ოოო!..

– ქვისლს ჩვენთან კიდევა ოცლიტრიანი და დაკლული ბურ-

ვაკი გამოეტანებინა – არ დამივიწყოთო!.. აი, რა არი ქართველობა!. შენ კი... „კაროჩე“, შენ აქ სხვის ლუდ-არყის ბოთლების ისა... აღრიცხვას თავი დაანებე და შენს ყანწებს მიხედე – ობობებმა შიგ... რა ქვია... აბლაბუდეები არ გაგიბან!

სიცილ-ხარხარი კი გაისმა, მაგრამ ისეთი უღონო, ჩანდა, აღარ შესწევდათ საამისო ხალისი და ილაჯი, სეირი კი მაინც არ ეთმობოდათ!

მევლუდა თავისი ადგილისკენ ვალმოხდილის გამომეტყველებით დაიძრა, ოღონდ მედიდური სიფრთხილით – გზადაგზა რამეს არ გამოსდებოდა, ან ეს მთაკაცი არავის დასჯახებოდა!

მხატვარს მევლუდას საპასუხოდ რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ უთავბოლოდ შემოჰკიჟინებდნენ და ხმის ამოღების საშუალებას არა და არ აძლევდნენ. ბოლოს მაინც დაუწყნარდნენ, ისიც სეირის გახანგრძლვების იმედით.

– ასე რატომ მიკიჟინებთ?! – იმედგაცრუებით იკითხა ჩამქრალმა მხატვარმა, – ნუთუ დამნაშავე ვარ, რასაც ვფიქრობდი, ის რომ განვაცხადე?!.. ღმერთია მოწმე, მე ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადე!.. ახლა თქვენ იცით და ომამ!.. კარგად იყავით!

– მოიცა, მოიცა, სად გაგვირბიხარ! – გაბიჯებულ მხატვარს ლაზღანდარულად დაადევნეს, – ჯერ არ დაგვიმთავრებია!

– აქ რაღა ვაკეთო? – ალალგულად იკითხა წამოტრიალებულმა მხატვარმა და უმალ ელდა მოჰგვარა ომას ობლურ-ლოთურმა გაბღენძილობამ, რაკი ყველანი მას ემხრობოდნენ, – მეც გამიგეთ!.. ოთხსაათიანი ფრენით არაქათი გამომეცალა... ტანსაცმლის გამოცვლაც კი ვერ მოვასწარი!.. მაპატიეთ და – შხაპი უნდა გადავივლო, წავიხემსო და შვილიშვილის სანახავად წავიდე!.. მე მეტი სათქმელი აღარაფერი მაქვს!.. ბოდიში!.. მაპატიეთ!.. კარგად იყავით!..

მუხლმოკვეთილმა მხატვარმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ეზო ფეხაურევლად რომ გადაევლო ანდა შუა გზაში არ ჩაკეცილიყო. ერთი თავის სადარბაზოში როგორმე უფათერაკოდ შეეღწია და მერე იქიდან ლიფტამდე კედელ-კედელ მიბარბაცდებოდა!..

* * *

ამ შეხვედრის შემდეგ მხატვრის აშკარა გამოჯავრებით ომას უფრო გულუხვად დაუწყეს ლუდ-არყით მომარაგება. მეზობლების მზაკვრული მხარდაჭერით გულმოცემული ომაც ხან მარტოკა, უფრო ხშირად კი ვიღაც ცოცხით მოგვილ ძმაკაცებთან ერთად მთელი დღე სასმელში იღრჩობდა თავს. ქათმების შესხდომის დროს კი ძილად მიეგდებოდა ხოლმე. ნარიჟრაჟევს, თავს ჩვეულებისამებრ, ეღვიძებოდა, კორპუსებს შორის დაჭრილი მხეცივით აწყდებოდა და ძველებურზე უფრო მედგარი ღრიანცელით მთელ უბანს დილის ძილს უმწარებდა!

– „პრაშლიაკების" დედა ვატირე!.. ვისაც არ ვევასები, ჩამოვიდეს და დამხატოს – მე აქ ვურჭვივარ!.. ვამეეე, ჩემი კარგების... ყველამ ტვინს წიხლი დააჭიროს, თორემ ფაჩიკოს გარმონივით დავშლი!.. გამოდით, რატო არავინ ჩამოდიხართ – წვიმისა გეშინიათ, თქვე „შკოდნიკებო?!" ხა-ხა-ხა!... ლეჟო, შენ მაინც რაღა მოგივიდა, ტო, ჩამოდი და გამისწორე – დალევა მინდა!..

ამგვარი თავაწყვეტილი ღრიანცელობით ომას კორპუსელები სხვა კორპუსელებზე მეტად იტანჯებოდნენ, მაგრამ ამას კულაკური ჯიბრიანობით იტანდნენ, რაკი ეგონათ – მხატვარი უფრო ეწამებოდა და „მუზები უფრთხებოდა!"

თავიანთ სარკმლებდაბლა ატეხილი ერთ-ერთი ასეთი აურზაურისგან ძილგამფრთხალმა ასმათმა ქმარს სასოწარკვეთით შესჩურჩულა.

– რა ვქნათ, კაცო... ბოლოს და ბოლოს, ბინა ხომ არ გადაგვეცვალა?

– რატომ?

– როგორ თუ რატომ?!. აბა, ასე როდემდე და სადამდე... ჯანდაბას ჩემი თავი – შენ არ წუხდები?

– პირიქით! განგებამ ომა თითქოს ღამის გუშაგ იუპიტერივით მომივლინა – მეც თავი გავიფხიზლო ხოლმე და საგათენებო სიწყნარეში ვხატო!.. დაიძინე! – მიუგო წამომდგარმა მხატვარმა და ჩაცმას შუქაუნთებლად შეუდგა.

მართლაც, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, დასაძინებლად თვითონაც ადრე წვებოდა, ხოლო განთიადისას, გარეთ გამოვარდნილი ომას პირველი შეღრიალებისთანავე ჯარისკა-

ცურად ფხიზლდებოდა და იცვამდა. მერე ფეხაკრეფით გადიოდა თავის სახელოსნოში და იმ ჰაერკამკამა სიწყნარეში ადრინდელი შემართებით მუშაობდა!.. მაგრამ ერთმა ამოუხსნელმა თავსატეხმა მოსვენება დაუკარგა!

ასტანაში ყოფნის უკანასკნელ დღეს თავისი მეუღლის დახატვის სურვილი რომ შემოეგზნო და ეგონა, შინ დაბრუნებისთანავე შევუდგებიო, ახლა საიმისო ჟინი საპნის ბუშტივით გაჰქრობოდა.

მხატვარს ის უფრო აფორიაქებდა, ამის მიზეზს ვერც პოულობდა, ვერც ხვდებოდა!

* * *

შემოდგომის იმ დღეებში ერთმანეთთან შეხმატკბილებულ „პურიმჭამელ" კაცებს ფული შეეგროვებინათ და კახეთის რომელიღაც სოფლიდან „სუ მორჩეული" ორი ტონა რქაწითელი ჩამოიტანეს!

რაკი ერთგან ვერ დასტევდნენ, აბრეზას, მევლუდას და ტაპჭიას სარდაფებში დაწურეს. მაჭარი, ვინ იცის, ჯერ როდის დაუდულდებოდათ, მერე როდის დაუწმინდავდებოდათ. მანამდე კი რა მოათმენინებდათ! ამიტომ თავიანთ მოუთმენლობას ყოველდღე ლუდ-არყის თავგამეტებული ყლარწაყლურწით იქარვებდნენ!

ამ დროს თავის სადარბაზოსკენ დასაკეცი მოლბერტითა და ჩამოცვეთილი ზურგჩანთით ხევ-გორაკებიდან მომავალ დაღლილ მხატვარს ფაცხის სათვალთვალო ღრიჭოებიდან თუ დაინახავდნენ, არ შეიძლება რომელიმე მათგანს ცელქი მომლხენივით არ შეეყვირა.

— ვოე, ვოე, ვოე!..

მაჭარი კი რაღაც აგვიანებდა დადუღებას და მით უფრო, დაწმინდავებას!

კორპუსის სულწასული „პურიმჭამლები" და ახლომახლო სამეზობლოდან გადმოპატიჟებული მათი გამორჩეული თანამეინახენი დილიდან საღამომდე სულ ამ სარდაფებს უტრიალებდნენ და ზედვე ეტყობოდათ, ამის მეტი საქმე და საფიქრალი სხვა აღარაფერი ჰქონდათ! ანდა, სხვა რაღა უნდა ჰქონოდათ, როცა საქართველოს ბედ-იღბალი წამოსადუღებლად შებურცულ,

ელიავას ბაზრობაზე ნაყიდ იმ ორასლიტრიან პლასტმასის ამერიკულ კასრებთან წყდებოდა!!!

ჰოდა, ისინიც ამ სარდაფებს ველარ შორდებოდნენ და გალა-გალა მიმოდიოდნენ! თან მოგონილი საქმიანი იერით მიმოჰქონდათ წყალგამოვლებული დიდ-პატარა შტოფები... სათადარიგო სხვა კასრები... პლასტმასის ახალმოდური ძაბრები... შლანგები... მერე ჭაჭისთვის განკუთვნილი ორმოცლიტრიანი მინანქრის ქვაბები... მათ მიმოხრასა და გამომეტყველებაზე აშკარად იხატებოდა – ამდენ მომქანცველ ფუსფუსს ისე არ ჩაიტარებდნენ და მალე თავიანთებურად აინაზღაურებდნენ!

ერთ ცრიატ დღესაც სარდაფიდან რამდენიმე სავსე ჩაის ჭიქა ამოიტანეს და თავიანთი მოუთმენელი რუდუნების შედეგს ვითომ მზის ანაშუქზე დაუწყეს სინჯვა.

– დაწმენდილა, არა?!.. მაგას რაღა ბაზარი უნდა, ტო, ვერ უყურებ, როგორ კამკამებს!.. ჰო, რა, დაწმენდილა და ეგ არი!.. აბა, ერთი გემო გამასინჯეთ – იფ, იფ, იფ!.. გადაღების მეტი აღარაფერი უნდა!.. გეყოფათ მაგდენი ჩითვა – დღესვე დავიწყოთ გადაღება, თორემ... რა ქვია იმას... ისა... „ვაბშე", რაცა ქვიან – იგრევ ზევით წამოვა და მერე უყარეთ კაკალი!..

მიუხედავად იმისა, ჭაჭა ჯერ ხეირიანად არ დაძირულიყო და არც ჩალექილი ლექე შებლანტებულიყო, ხოლო მაჭარი ისევ განაგრძობდა ფარულ დუღილს, კასრებს ჭიანჭველებივით შემოეხვივნენ და სახელდახელოდ გადაიღეს ვითომ დაწმენდილი მაჭარი და ხარულ სმასაც შეუდგნენ!

არადა, დუღილდაუსრულებელი მაჭარი რას უზამდა მსმელის ღვიძლს, თირკმელებს, ნაღვლის ბუშტს, კუჭ-ნაჭლავს, გულსისხლძარღვებს! მაგრამ ვის უნდოდა სცოდნოდა, რა იყო მაჭრის სრული დადუღება... ჭაჭის დროულად გამოცლა... პირველი გადაღება... მეორე გადაღება... მესამე გადაღება!... საბოლოო დაწმინდავება... ღვინის დამწიფებ-დავარგება.. დასვენება... თავის სანაქებო თვისებათა კონდიციამდე მიყვანა!... მოგცლიათ ერთი! ეს თუგინდ სცოდნოდათ კიდეც, ვერც ეს ცოდნა წაადგებოდათ, ვინაიდან აქ ბატონობდა არა ცოდნა, არამედ მათი შეუხამებელი სულწასულობა... შეუოკებელი მუცლის გვრემა..: საშემოდგომო განწყობილება... წუთისოფლის ამაოება... სას-

მელით გულაჩუყება და ერთმანეთის მოფერება... გულის ბუხრის ამოყრა... წასულების გახსენება... საშინელი სინამდვილისაგან თუგინდ რამდენიმესაათიანი დეზერტირული თავარიდება... საახლობლოსთან „მევლოს „პადვლაში“ დოლ-გარმონზე“ ნაქეიფრობით თავმოწონება... ყველაზე მეტად კი აი, რა აცდუნებდათ: როგორც ყველა მათგანი ბაქიობდა, მათ მიერ დაყენებული ნატურალური ღვინო „სუ ნაპერწკლებს ისროდა!..“

ჰოდა, შებინდებისთანავე ყველაზე დიდ, საქეიფოდ მოწყობილ მევლუდას სარდაფში ერთმანეთის მიყოლებით ისეთი აჩქარებით ჩადიოდნენ ხოლმე, როგორც მეტროს დაკეტვამდე უკანასკნელი მგზავრები! მერე კი ნაშუაღამევამდე ამოისმოდა სასმლით გულაჩუყებული მამრების გაურკვეველი ჯიყჯიყი და რაღაც დანჯღრეული მუსიკალური ინსტრუმენტების გულშესაწუხებელი პრიწინი!..

* * *

მხატვართა კავშირმა გაზაფხულზე დავით კაკაბაძის დღეები გამართა მის მშობლიურ ხორგაში, მარტვილსა და ქუთაისში. ერთი კვირით მხატვარიც იქ იმყოფებოდა. შინ რომ დაბრუნდა, სამწუხარო ამბავი დახვდა – ომა წინა დღით დაეკრძალათ!

მევლოს სარდაფში „პურიჭამის“ შემდეგ თანამეინახენი რომ წასულ-წამოსულიყვნენ, ჯუნას სიმამრთან ახალგამოხდილი არყით გამტყვრალი ეს ომა თურმე კორპუს-კორპუს მხეცივით აწყდებოდა და ყველას ლანძღვა-გინებით ღრიანცელობდა!

ერთ-ერთი კორპუსიდან მოთმინებადაშრეტილი, თანაც აფხაზეთში ნაომარი ვიღაც „ფსიხი“ მაჯის სისქე არმატურის კეტით გამოხტომოდა და ომასთვის თავი კვერცხივით ჩაეფეფქვა! მერე თვითონვე გამოეძახებინა საპატრულო პოლიცია – მთელი უბანია მოწმე, წლების განმავლობაში ღამღამობით სიცოცხლეს გვიმწარებდა!.. მე თვითონ „ფსიხოს“ აღრიცხვაზე ვარ და უკვე ყვლაფერი მკიდია – თუგინდ აქვე დამხვრიტეთო!..

ომას მარცხენა კარის მეზობელს, ენაპიროსან თალიკოსა და მარჯვენა კარის მეზობელს, ყველით მოვაჭრე მალხაზას ერთმანეთში შეცილება ჰქონოდათ: ომა არა მე უნდა დავასაფლავო, არა-მეო! ამგვარი ცილობის მიზანი გასაგებია – ვინც ომას

დაკრძალავდა, მის მეურვე-მემკვიდრედ ის ცხადდებოდა და თუკი საჭირო ჩინოვნიკებს ოქროს აბებს გადააყლაპებდა, „უმემკვიდრეო გარდაცვლილის“ ბინაც მას დარჩებოდა!

ჰოდა, თალიკოსა და მალხაზს მაინც გამოეჩინათ კეთილგონიერება და ომას მოკრძალებული დაკრძალვის ხარჯები ორივეს გაელო. მერე მისი ოროთახიანი ბინაც თავისებურად გაიყვეს. თალიკოს პროექტით აგურის ისეთი ტეხილი შუა კედელი გაავლეს, განცვიფრებული მეზობლები მის სანახავად იქ ისე დაიარებოდნენ, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში!

– თუ ქალი ხარ, იქ ფეხი არასოდეს შედგა! – მხატვარმა თავშეკავებით სთხოვა მეუღლეს.

– რა გაფრთხილება მინდა! – ითაკილა ასმათმა და თვალები მოუწყლიანდა, – როგორი ზრდილობიანი... როგორი ნიჭიერი ახალგაზრდა იყო და როგორ... სანამ არ მოიდნეს, მანამ...

კორპუსის საკაცეთმა მაშინ ომას „დანავსვისთვის“ მხატვარს ამგვარი სასჯელის მეტი სხვა ვერაფერი გამოუგონა: ფაცხაშიც და მევლუდას სარდაფშიც თითო-თითო ბოთლი ნაძირალა ღვინო საგანგებოდ ჰქონდათ შენახული. ვინც მხატვრის სახელს დაიცდენდა, ერთი ფიალა ლექიანი ღვინო „დედიმისის იმასავით ულაპარაკოდ უნდა მიერთმია!“

ამჟავებული ლექიანი ღვინისა და სანაგვედან მოტანილი, გაურეცხავი პლასტმასის ფიალისადმი ზიზღი და შიში იმზომ მოქმედებდა, ერთხმად მიღებული სასჯელის ზომით ჯერ არავინ დასჯილიყო!

* * *

ანდერძის თანახმად, რაკი ომას მშობლები სოფლად ემარხა, ზოგიერთ ჩასაფრებულ მეზობელს სალაპარაკოდ რომ არ გაეხადა, თალიკომ და მალხაზმა სასწრაფოდ მოანესრიგეს ომას ეული სამუდამო სამყოფელი.

ხშირწვიმიანობისგან მოკლე დროში გამქრალი სამარის ბორცვი მესაფლავეებს ხელახლა აამაღლებინეს, პირწმინდად აკენჭეს და გააფხვიერეს. მერე რკინის დაბალი მესერი შემოავლეს და კრემისფრად შეღებეს. ხოლო საფლავის თავთით, ორივე კუთხეში რწყილას მანქანით ამოტანილი შავპრიალა კერამიკის

ვეებერთელა, მფრინავი თეფშისებური მძიმე ქოთნები ჩააცემენტეს და შიგ გამყიდველი ქალის ნაქები, წითელყვავილა ზაუშნერიები გადარგეს. ბოლოს კი მარცვლოვანი მარმარილოს საკმაოდ მაღალი, ძირში შედარებით ვიწრო, ზევით და ზევით თანაბრად გაგანიერებული თხელი ფილაც აღმართეს. შავ ფილაზე ფეხდგომელა, მუხლებამდე ბუნდოვნად გამოსახულ ომას გამოშვერილი ჭიქა ეჭირა.

მსხვილი ასოებით ამოტვიფრულ გვარ-სახელსა და დაბადება-გარდაცვალების ციფრების ქვეშ რაღაც კუსტარულ-დარდიმანდული ასოებით გამოეყვანათ, ღმერთმა უწყის, როდის ან ვის მიერ შეთხზული კუპლეტი.

სანამ აქ ვიყავ
მეჭირა ჭიქა
არ ვუღალატებ ჩემ რჯულს
მე იქაც

ომას საფლავის მოწესრიგება რომ დაასრულეს, უბნის „პურიმჭამლები“ იქ ბუხრისქუდიან მედუდუკეთა დასტით ასულიყვნენ!.. მერე კი ფაცხასა თუ მევლოს სარდაფში – ეს ამინდსა და თანამეინახეთა რაოდენობა-განწყობილებაზე ეკიდა! – ომას გახსენების საბაბით გამართულ ღრეობებს ბოლო არ უჩანდა!..

* * *

მალე უბანში ჩურჩულ-ჩურჩულით დაუჯერებელი ამბავი გავრცელდა.

მეზობელ კორპუსში მცხოვრებ, ფოსტის ოპერატორ როზმარის და „ჩაცმულ მაკას“ სკოლისდროინდელი ურთიერთობა აკავშირებდა. ორივე ენების მკრეფავი ბრძანდებოდა და როგორც კი სალაპარაკო დაუგროვდებოდათ, ერთმანეთთან დაუხანებლად გადად-გადმოდიოდნენ და იწყებოდა შვების მომგვრელი ენის სარსალი.

ჰოდა, ეს ლაშფანდურა როზმარი „ჩაცმულ მაკასთან“ ვითომ ყავის საწრუპავად შემოგროვილ გულის მესაიდუმლეებს თვალის დაუხამხამებლად ექათქათებოდა.

– მამამთილის საფლავზე ჩვენ შაბათს ვაპირებდით გასვლას, მაგრამ რაიონიდან ჩამოსული მაზლი შემოგვეხვეწა – ზეგ ისევ

უფაში მივფრინავ და ვინ იცის, როდისღა ჩამოვალ... ბარემ დღესვე გავიდეთო! აბა, რაღას ვიზამდით – ერთი-ორ ახლობელს გადავურეკეთ, რაცა მქონდა, სახელდახელოდ გავამზადე და წავედით!.. ის უბედური ომარი ხომ ჩემი მამამთილის შორიახლოს ასაფლავია!.. აქედან როგორც... აბა, რა ვთქვა?!

– ვიცით, ვიცით!.. მერე, მერე?

– ჰოდა, ომას საფლავს რომ გავუარეთ – რა „შიკარნად" მოუწყვიათ – ყოჩაღ თალიკოს! – ერთი წუთით შევჩერდით და ცოტა წავუტირე!.. მერე მამამთილის საფლავის მაგიდაზე სუფრა გავშალეთ და მივუსხედით!..

როზმარი სულმოსაბრუნებლად წამით დადუმდა და გაუნძრეველ მსმენელებს თვალი ისე გადაავლო, როგორც ყეყეჩ შეგირდებს.

– უცებ გავიხედე და!.. ომას საფლავს ეს ასმათის ქმარი... მხატვარი არ მიადგა!

მსმენელთა სახეებს სევდის ღრუბელმა გადაუარა.

– მალიარი! – მოუთმენლად შეუსწორა ცირამ და წამოიღრინა, – გაუხმეს იმას ის ენა-პირი – ჩემი გიოსი არ იყოს, უბედური ომაც მაგან დათარსა!.. იქ რა პირით ამობედა?!. ან თქვენი მაინც როგორ არ უნდა მორიდებოდა?!

როზმარმა ტუჩებზე სევდიანი ღიმი დაიფინა.

– ჩვენკენ, ალბათ, არც გამოუხედავს!.. ან იქნებ სულაც უცხოებად მიგვიღო!

– დედა! – შეიცხადა „ჩაცმულმა მაკამ", – შენ მაინც არ უნდა მოგსალმებოდა, ქალო?

– მომსალმებოდა კი არა, შვილებს გეფიცებით, ამქვეყნად ჩემი არსებობა თუ იცოდეს!.. სასაფლაო რად გინდათ – შენთან მომავალი, აქაც რამდენჯერ შევჩეხებივართ, მაგრამ ბაიბურში არ არის – ეგ სულ ასე გათიშული არ დაიარება!.. საცოდავი ასმათი – ნეტავი როგორ უძლებს?!

– როგორ უძლებს კი არა, ალბათ, ღმერთს ემადლიერება, ასეთი ქმარი რომ შეახვედრა! – გადმოუარაკა ღიდღიდანა ელვასიმ (ელიკოსა და ვასოს სიყვარული).

– რატო ვითომ? – თავკატუნით იკითხა როზმარმა.

– ოჰ, ეგ მთელმა ქვეყანამ ისედაც იცის! – მოსხიპა სქელ-

ლოყება ნორამ, – მერე, მერე?

როზმარი ისევ თავის სათხრობს მიუბრუნდა.

– ჰოდა, შინიდან წამოღებული რაღაც ძონძით სურათი გადაწმინდა, სანთელი აუნთო და იმ დაბალ სკამზე გაშტერებით იმდენ ხანს იჯდა... აი, არ ვიცი... ომაზე კი არა, ალბათ, თავის ნახატებზე უფრო ფიქრობდა!.. ჩვენმა კაცებმა – მოდი, მოვიწვიოთო! მე დავუშალე – არ გინდათ-მეთქი!

– მერე, მერე?

– მერე ცელოფნის პარკიდან ხელადა და ერთი ლუკმა რაღაც ხემსი ამოიღო, ჭიქა აივსო და ომას ჭიქას მიუჭახუნა! რაც დალია, ხო დალია, რაც არა და საფლავზე მიაწუწ-მოაწუწა!.. მერე ჭიქა, შოთის ამხელა ნატეხი და ცელოფნით თავშემოკრული ხელადა იქვე მიალაგა, ომას სურათს აკოცა და წამოვიდა!..

ქალებმა რაღაც არ იჭაშნიკეს ამგვარი დასასრული. როზმარს უნიროდ ჩაეცინა.

– ოჰ, ეს კაცები და ღვინო! ამ ჩემმა ვაჟბატონმა – აბა, ერთი რა ღვინო ამოიტანაო! მე შევუწყერი – ღვინო წინ არ გიდგათ, თავი დაანებე, ღმერთმა არ გვიწყინოს-მეთქი! რატო უნდა გვიწყინოს – უფრო მისავალი იქნებაო! ადგა და ხელადა მოიტანა!

უეცრად დადუმებულ როზმარს ტუჩები ჯიუტად მოეკუმა.

– კაცებმა რო დაისხეს და ჯერ გემო გაუსინჯეს, ყველას მუცელში ჩაუვარდა ენა!

– რატო, რატო?! უვარგისი გამოდგა, არა?!

– უვარგისიო?! – თავიანთი კაცების სახელით ითაკილა როზმარმა, – ამისთანა ღვინო ჯერ არ გვიგემია – ღმერთების სასმელიაო!

– წარმოგიდგენიათ!. თუმცა რა – მაგას ხომ სოფლად ძმა თუ ვილაცა ჰყავს და მოწნული დიდი ბოცით ის მოართმევს ხოლმე!

– იჰ, რა ვიცი, გენაცვალე, ჯერ ეგ ჩვენს კაცებთნ მოქეიფე არავის დაუნახავს და!..

– ჰოდა, ძალდაძალ ცოტა მეც დამალევინეს, მაგრამ... – თავის ჩაქანებით შენიშნა როზმარმა, – კონიაკი კიდევ ჰო, მაგრამ მე ღვინისა რა ჭირი გამეგება!.. გოგიმ სულ კბილები აკრაჭუნა – კაცები კი არა, ღორები ვართ, მაღაზიებში ნაყიდ ამ შხამს რომ ვსვამთო და ექვსლიტრიანი ბალონით წამოღებული ჩვენი ღვინო

სულ წამოღვარა!.. ის საწყლები, იმ ერთ ხელადა რქაწითელს ისეთი ხელის კანკალით ინაწილებდნენ, თითქოს უკვდავების წამალიაო, მაგრამ როდემდე...

„ჩაცმული მაკა“ აღარ უსმენდა – მისმა გონებამ სადღა არ გადაიელვა-გადმოიელვა და რა აღარ მოიფიქრა!

– მერე ის ხელადა რა უყავით – ნეტა წამოგეღოთ!

– წამოვიღეთ კიდეც! – მიაგება როზმარმა და თვალგაყრილმა ძველმა დაქალებმა ერთმანეთს ყველაფერი უსიტყვოდ გაუგეს.

– უი, რა კაი გოგო მყავხარ!.. მერე გადმომიტანე – ომასა და მხატვრის სამახსოვროდ ბიჭებს ფაცხაში დავადგმევინებ! მაშ, როდის გა...

– აი, აქა მაქვს! – მოწაფურად ჩაუსხაპასხუპა ფოსტის ოპერატორმა და ცელოფნის ანწლისფერი პარკიდან „Hollywood“ ამოქანებული თიხის ძველებური ხელადა ყავის ჩალექილ ფინჯნებთან მედიდურად წამოდგა, – სასაფლაოდან წამოსვლისას ერთი პირობა კი...

დაქალების მარაქა რომ დაიშალა, „ჩაცმულ მაკას“ მაგიდა არც აულაგებია – მაშინვე აივანზე გაქანდა და ეზოში ჩაიჭვრიტა.

ფაცხიდან მცირერიცხოვან მამაკაცთა დადანი ამოდიოდა.

ისევ შინ შესხლტა, „დიორისიმო“ საჭირო ადგილებში იპკურა, მერე სარკეში ხელის ერთი გასმით თავი მიილამაზ-მოილამაზა და რაკი როზმარისეული პარკი არ გაემეტა, სხვა სადა, მომქრქალო პარკში წახვეული ხელადით ფაცხაში ჩავიდა.

შექეიფიანებული კაცების უზრდელ აღტაცებასაც მეტი რა უნდოდა – ერთმანეთის დასწრებაზე გაინ-გამოიწიეს და ქალი სულწასულად ჩაისვეს შუაში.

– ო, რა კაი გოგო ხარ, რო გაგვიხსენე და ისა! – არა, უნდა გაკოცო!

– გადმოიხარე, მეც უნდა გაკოცო!

– ერთმანეთის გაგებასა და იმაში!.. შენ იგეთი „დუშკა“ ხარ, საცა თითს დაიდებ, კაცმა იქ უნდა გაკოცოს!

– უჰ! – ტუჩები დაეპრუწა ქალს.

– არა, არა, მართლა!.. ალავერდი შენთანა ვარ!

„ჩაცმულმა მაკამ“ კაცებს როზმარის ნაამბობი თავისებური გადასხვაფერებით გადასცა!

– ეს ხელადა კი ომასა და მხატვრის სამახსოვროდ აქ შეინახეთ!.. შეხედეთ, რა ლამაზია – ახლა ასეთს ვიღა გაგიკეთებს!..

დიდი ხვეწნა-მოფერების შემდეგ „ჩაცმულმა მაკამ“ ორი-სამი ჭიქა რქაწითელი მოგონილი ამრეზილობით გადაყლურწა და ცოტა წაიკმაკნა კიდეც. კაცებს თვითონაც მიეალერსა, მოსათმენად მიესრეს-მოესრესინა და თავიც დაალოშნინა. მერე ისევ შინ აბრუნდა...

მესამე დღეს, დილაადრიანად მხატვარი მუხნარში გასასეირნებლად ძირს რომ ჩავიდა, სუფთად დაგვილ სადარბაზოში მაშინვე იცნო თავისი ხელადის ნამტვრევები.

* * *

ავისმზრახველებმა ახლა ამ ხელადის დამსხვრევა გაიხადეს ერთმანეთში საჩურჩულოდ. ეგონათ, მხატვარს ეს გულს ცოტათი მაინც დაუიარავებდა და მის ოხტში ამივიდოდნენ!

მხატვარს გული ატკინა არა იმდენად ხელადის დამსხვრევამ, რამდენადაც მავანთა რეგვნულმა ვერაგობამ.

ხელადაო! ხელადა კი არა, სხვადასხვა მოვლენები, შემთხვევები და ამბები ერთმანეთს ისე წაება, მხატვრის თვალში ადამიანები მზის ორბიტაზე უწესრიგოდ მქროლავ ასტეროიდის ნატეხებს დაემსგავსნენ!!!

ვარა მოულოდნელად გარდაიცვალა და ისიც თავისი ქმრის გვერდით დაკრძალეს...

ტანდაყრილ მევლუდას პროსტატიტის სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და რაკი შარდის შეუკავებლობა დაეწყო, ბოთლჩადგმული განთქმული მსმელ-მჭამელი ორ-ორი ყავარჯნითაც ძლივს დაიკაკვებოდა...

სამხატვრო აკადემიის ახალი რექტორის არჩევნების წინ სამ კანდიდატთა შორის მხატვარიც დაესახელებინათ, მაგრამ მან თავისი კანდიდატურა მაშინვე მოხსნა – მე სარექტორო კაცი არა ვარო. ამან კი გარკვეული წრეების იმედგაცრუება და გულისწყრომა გამოიწვია!..

კორპუსელთა ცხოვრებაში სასეირო რამ მოხდა. ოდესღაც სარეცხის თოკიდან ჩამოვარდნილი ქსენიას შალის შავი კაბა მართლა ტურფას კი არ აეღო და დაემალა თავისი სოფლელი დისთვის, როგორც ეს მაშინ ფოფოლას ჩაეგონებინა, არამედ მაკე კატას ხარახურით გამოტენილ ტუხოს არმატურის ფარღალალა სათავსოში შეეთრია – ზედ კნუტები დაეყარა და დაეზარდა!

გულნატკენი ქსენია მხოლოდ თავის „სანდო“ დაქალებს გაენდო – ფოფოლამ კი ეჭვი ტურფაზე მიმატანინაო! „სანდო“ დაქალებმაც იმდენი იფუჩუნეს, რომ ქსენიას აღსარება ტურფას ყურამდეც მისულიყო!

კაპარჩხინა ტურფას გააფთრებას მეტიც აღარ უნდოდა! ცალკე ფოფოლას ეტაკა და საქვეყნოდ რაღა არ უწოდა, ცალკე ქსენია დაცოფა – ეგ როგორ დაუჯერე ან რატო მაშინვე არ მითხარიო!..

მხატვარსა და ასმათს თავს საშინელი უბედურება დატყდა. ოკეანისგაღმიდან ვაჟიშვილმა აღფრთოვანებით აუწყა: აქაური მილიარდერის ქალიშვილზე ვიქორწინე, ამერიკის მოქალაქეობაც მივიღე და სიმამრმა დეტროიტის ავტომრეწველობის დიდ ბიზნესში ჩამაბაო!.. რაც ჩავიფიქრე, თუ გამიმართლა, მთელ საქართველოს მარტო მე შევინახავო!

კაცი ვერ მიხვდებოდა, მამა სკამიდან ელდამ ჩამოაგდო თუ პარკეტზე თავისით ჩამოცურდა და ზურგით დივანს მიეყრდნო. მან თავჩამოგდებით ესღა წაიბუტბუტა.

– მთელი საქართველო ერთი სერგო ორჯონიკიძემ შეინახა, მეორე – სოსო ჯუღაშვილმა!

ასმათმა კომპიუტერს ისეთი აღშფოთებით დაუწყო ალაგება, თითქოს ტექნიკის სასწაული კი არა, მათი უბედურების მიზეზი ის ყოფილიყო!

ფიქრწაღებული მხატვარი ცოტა ხნის შემდეგ აიყაყვა, თაროდან „ვეფხისტყაოსანი“ გადმოიღო და თავის სახელოსნოში განმარტოვდა...

* * *

კორპუსში თავმოსაჭრელი დავიდარაბა გაჩაღდა. მალხაზას მეუღლე დეა ენაპიროსან თალიკოს აშარებოდა: ომას დაკრძალ-

ვისას თქვენ ჩვენზე ნაკლები ხარჯი გასწიეთ, ფართი კი მეტი შეიხვედრეთო!

– არა გჯერათ? – განარებული დეა მოჭრით ეკითხებოდა ყურნაცქვეტ ქალებს, – მაშინ ავზომოთ მთელი ბინის კვადრატურა და ყველაფერს ნათელი მოეფინება!

– ჰო, მაგრამ ეხლა რაღა ეშველება, – ცეცხლზე ნავთს ასხამდა ალა, – როცა შუა კედელი უკვე გავლებულია!

– რას ქვია „გავლებულია!“ – ანკესზე წამოგებულ დეას ლოყები ეტკრიცებოდა, – ბერლინის კედელი დაანგრიეს და!.. ეგ კედელი ახლავე უნდა ავიღოთ, სანამ შპალერიც არ გაუკრავს!

– აჰ, ეგ უკვე მეტისმეტია! – დეას გასააასპიტებლად გულგრილად ამბობდა ნაქაშურებიანი მარგო, – აკი შუაზე გავიყავითო?!

– მაგ ხმას თვითონ თალიკო ავრცელებს! – დეა თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა, – შუაზე გავიყავით, არა?! კეთილი! თუკი შუაზეა გაყოფილი, მხარეები გავცვალოთ!

– კარგი რა, დეა, რა მოგივიდა – მაშინ თალიკომ იქ როგორღა იაროს?

– როგორ და კოხტად! მაგანაც ჩვენსავით საძინებლიდან შუა კარი გამოტეხოს და ისე!

– მართლაც!.. დედა, რა ჭკვიანი ყოფილხარ!.. ვინ ვინა და თალიკომ ეგ თავიდანვე როგორ ვერ მოიფიქრა!.. აი, ნახავთ, თუ სიხარულით არ დაგვეთანხმოს!.. ოღონდ იცოდე, მერე პირი აღარ შეგვიშალო!..

საქმეგაჩენილმა ქალებმა დეას განაზრახი თალიკოს ისე გადასცეს, როგორც მათ აძლევდათ ხელს.

თალიკომ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა.

– კარებში კაბაგადახდილი დავწვები, ამის დასანგრევად კი თავცოცხალი აქ არავის შემოვუშვებ!!!

შუამავალმა ქალებმა სწორედ ის მოისმინეს, რის მოსმენაც სურდათ!..

მოკლედ, სეირის გასახანგრძლივებლად კორპუსის საქალეთი შუაზე გაიყო: ზოგი დეას ემხრობოდა, ზოგი – ენაპიროსანს და არავინ უწყოდა, ეს უკადრისი დავა როდის ან რით დასრულდებოდა!..

ერთ დღეს მხატვარმა მეულლე კბილდაჭერით დამოძღვრა.

– გთხოვ... გთხოვ კი არა, გაფრთხილებ – მანდ შენც არავის ჩაეთრევინო!

– უჰ, რამდენჯერ მეც მითხრეს, მაგრამ...

– აი, ხედავ!.. თუ მაინც არ მოგეშვნენ, გთხოვ, ყველა ამ სიტყვებით მოიშორო: მეულლემ გამაფრთხილა, მაგ ტაკიმახსარაობაში შენც არ ჩაება, თორემ აუკუწავს არ გაგიშვებო!

– ღმერთო!

– ღმერთო კი არა, გაიგონე, რაც გითხარ?!

ასმათს სევდიანად გაელიმა.

– თუკი ასე გსურს!..

* * *

მავრამ ნაბიჭვარი გააჩინა. აბრეზა რაკი სირცხვილით ხალხში ველარ ჩნდებოდა, შარშანდელი თოვლივით გაქრა. ჯალაბი ამბობდა, სოფლად სახლ-კარი და ბაღ-ვენახი გველუპება და იმის მისახედად იქ გადასახლდაო.

– სოფლის სახლ-კარი და ბაღ-ბოსტანი ეხლაღა გაახსენდათ?! – ტუჩაკვრით იჩხვლიტებოდა აზა.

უბანში მალე სულ სხვანაირი ხმები დაირხა – აბრეზა აშხაბადში გადავარდა, იქ თურმე ჯარიდანვე ვიღაც „გაზავიკი" რუსის ქალი ჰყოლიაო!

– მართალი იქნება! – მყისვე დაადასტურა „ჩაცმულმა მაკამ" – აქაც ჰყავდა!.. ღმერთო, ამ რამდენიმე წლის წინათ მთაწმინდაზე ჩემი თვალით დავინახე ერთად!.. უეჭველად ის იქნება!..

ქალებს მოთმინებას უშრეტდა არა იმდენად აბრეზას დაუზუსტებელი ადგილსამყოფელი ან თუგინდ მავრას ჩანადენი, არამედ ვინ იყო ბავშვის მამა!.. ვიღაზე არ მიჰქონდათ ეჭვი!!! მათი დაუდგრომელი ვარაუდი კი უფრო რაიონულ პოლიციას უტრიალებდა – „თავგასახმობი" მავრა ხომ იქ „მაგისთვის მიიტყუეს!" თუმც ამგვარი საქმისა რა გაიგება!..

– უჰ, მაგას, ალბათ, თვითონაც ველარ გაიხსენებს, ვინ არის ბავშვის მამა! – ბრაზდაგუბებით სისინებდა „შეუხებელი" მადლენა.

– გაუხმეს ეგ თავი! – ტუჩებს იბრეცდა მუზა და სახეზე

ეხატებოდა – მავრას კიცხავდა არა მაინცდამაინც ნაბიჭვრის გაჩენისთვის, არამედ ფარდა ასე ურცხვად რომ ჩამოგლიჯა მდედრთა ბუნებასა და შესაძლებლობებს!..

* * *

ყველასგან ფარულად მარეხს საჭირო საბუთები გაეშანშალებინა და ერთ დღეს კვიპროსზე სამუშაოდ ისე გაემგზავრა, გამცილებლების ხლებაც კი არ ისურვა! სოსო სულ კბილებს აკრაჭუნებდა!

სამი თვის შემდეგ მარეხმა თავისიანებს მედიდურად შემოუთვალა: ცალფეხა უმდიდრეს თურქზე გავთხოვდი, ისტამბულის (გესმით, სტამბოლის კი არა, ისტამბულისო – უკვე იმათებურად იჩლექდა ენას!) პრესტიჟულ რაიონში ვცხოვრობთ და ზღვაში პატარა კუნძულიცა გვაქვსო!

ჰოდა, ძმასა და რძალს დიდი ამბით ეპატიჟებოდა – ეგ სახლკარი გინდ გაყიდეთ, გინდ ვინმეს აჩუქეთ და ჩემთან ჩამოდით – სამივეს ფუფუნებაში გაცხოვრებთო!

სოსო სიხარულით ცას ეწია და იმწამიდანვე სურდა, სამზადისს შესდგომოდნენ! მაგრამ მზიამ შორს დაიჭირა – ჩემი შვილი თბილისში უნდა გაიზარდოს და არა „ისტამბულშიო!“ ამაზე ცოლ-ქმარს ფიცხელი ჩხუბი მოუვიდათ და აცეტებულმა სოსომ მეუღლეს ცალი თვალი დაულილავა!

შეძრწუნებულმა ასმათმა მეუღლეს დაურეკა – როგორ მოვიქცე, საპატრულო პოლიცია გამოვიძახო თუ არაო. მხატვარმა დაუშალა – ეგ უარესი იქნებაო და საერთოდ, იქ არც გასულა, მისი გამოცხადება თვალჩაღვიძლებული ქალიშვილის განუსჯელ მხარდაჭერად რომ არავის ჩაეთვალა!..

* * *

მძაფრი მოვლენებითა და განცდებით თავტანდაკარგულმა სოსომ მალე ისევ თავისებურად აურია. წინა ნოველიდან გემახსოვრებათ, სოსო და მისი ძმაკაცები ვიღაც უცხოელი მომღერლის გალა-კონცერტზე ბათუმში რომ გაცვენილიყვნენ და იქ შემთხვევით გაცნობილ ვიღაც რუსის გასტროლიორ კახპებთან მთელი კვირა „ეგრიმიტათ!“

იმ ქალებთან სატელეფონო ურთიერთობა თურმე ისევ ჰქონოდათ. ჰოდა, მათი მიპატიჟებით გულაჩუყებულ სოსოსა და იმ ერთ-ერთ ფულიან ძმაკაცს ცამოწმენდილზე მოსკოვში ამოეყოთ თავი!

მოსკოვში ერთკვირიანი თავაწყვეტილი დროსტარების შემდეგ, ღმერთმა უწყის, ეს რა ჭკუაში დასჯდომოდათ – თანაც იმ ყიამეთში! – მთელი ეს „კოდლა“ სოსოს გოგოს, ლიუბას დეიდასთან, მორდვეთის პროვინციულ ქალაქ ატიაშევოში გამგზავრებულიყო!

იქ კი, პირველივე დღეს სამიკიტნოში ადგილობრივ ძველბიჭებთან ჩხუბი მოსვლოდათ და სასიკვდილო ალყაში მიმწყვდეულ სოსოს მზარეულის დანით კაცი შემოჰკვდომოდა! სოსოს ძმაკაცი გამსხლტარიყო და უგზო-უკვლოდ გამქრალიყო, სოსო კი რამდენიმე დღეში გაესამართლებინათ და ოცი წელი მიესაჯათ!

ცალი თვალიდან მხედველობადაქვეითებულ მზიას ეს დიდად არ უგლოვია. ერთი ეგ იყო, უკვე წამოჩიტული ლევანი გულსაკლავად სულ ამას სლუკუნებდა.

– მამა სად არი... რატო აღარ მოდის?!. სხვების მამები რო მოდიან, ჩემი მამიკო როდის მომივა?!. უუუ!..

ასმათისთვის სამუდამო საიდუმლოდ დარჩა – ეს ყველაფერი მარეხს სტამბოლში ვინ შეატყობინა! იმანაც მზიას იქიდან დაურეკა და რა დღეც არ ენახა, ის დღე აჩვენა: მაშინ შენ ჩემთვის რომ დაგეჯერებინა და ყველანი აქ ჩამომსვლოდით, სოსოს ეს არ დაემართებოდაო!.. შენ კი შენი გულუკმეხობით ჩემს ძმას გზა-კვალი სულ აურიე და სამუდამოდ გამიუბედურეო!.. რაც მამაშენია, შენც ისა ხარო!.. ღმერთსა ვთხოვ, შენი ძმა ამერიკიდან ცოცხალი აღარ დაგიბრუნდესო და სხვ. და სხვ.!...

* * *

გასაკვირი იყო: აქ, თბილისში მარეხის არაერთი ტლანქი მინიშნებით უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებულ მხატვარს არამცთუ მისი დახატვის არანაირი სურვილი არ უჩნდებოდა, არამედ ისიც კი ვერ წარმოედგინა, ეს ქალი ტილოზე რანაირად უნდა გადასულიყო! ან თუნდაც თავს ძალდაძალ მოჰქცეოდა, ფუნჯი და გონება მაინც არ დაემორჩილებოდა!

ახლა კი მარეხის დახატვის ცინცხალი სურვილი დაებადა და მომავალი დასრულებული ქმნილება ისე მაცდურად აელანდა, მხატვარს მოთმინება ეკარგებოდა!.. თუმც მარტო მარეხის დახატვა გონებაში არც ამჯერად უთავსდებოდა. ჰმ! ან რა პოზაში და რის ფონზე უნდა დახატულიყო?!. ტილოზე მარტო მარეხი რა იქნებოდა, არაფერი!

მარეხი უნდა დახატულიყო მხოლოდ თავის ცალფეხა თურქ ქმართან, მიუხედავად იმისა, მხატვარმა არ იცოდა ამ თურქის ასაკი, გარეგნობა, გამომეტყველება, ხასიათი, განათლება! მაგრამ დამთვალიერებლებისთვის ამას რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა – რანაირსაც მხატვარი შესთავაზებდა, ისინიც ისეთს მიიღებდნენ! აქ მთავარი უნდა ყოფილიყო ქართველი მარეხის გაბღენძილობა და მხატვრის წარმონადგენი ცალფეხა თურქის სულთანისებური მედიდურობა, გურჯ თანამეცხედრეს რომ ეღირსა!

ნახატის შექმნის ბიძგს იძლეოდა მარეხის მოულოდნელი გაპარვა... მოკლე დროში გათხოვება... ქმრის ცალფეხობა და მისი სიმდიდრე... სტამ... ისტამბულის პრესტიჟული უბანი... რომელიღაც ზღვაში პატარა კუნძულიც...

ფონი? დიდებული თურქული სრასასახლის დარბაზი, ინტერიერი ან სულაც ღია აივანი... უკანა პლანზე მეჩეთის მინარეთი ანდა...

ო, ასმათის მოფერებისასაც კი მხატვრის აღგზნებული თითები ფუნჯს ითხოვდა, ნესტოები – საღებავების სუნს!

და ისიც გატაცებით შეუდგა მუშაობას!

* * *

არა, ესეც ბედის ჯილდო იყო თუ სასჯელი: მარეხისა და მისი მეუღლის წარმოსახვაში ჩამოყალიბებული პორტრეტი ახალდაწყებული ჰქონდა, ახლა ატიაშევო რომ აეჩონჩხა მთელი თავისი დრამატული საშინელებით!

დიდი ფორმატის ტილოზე „დაშენდებოდა“ რუსული ზამთრის ერთფეროვან სივრცეებში ჩაკარგული საღამოს ატიაშევო... უღიმღამო არქიტექტურა და უსახური ქუჩა-ჩიხები... იქ მიმომავალი აბორიგენები... მათი თავისებური ჩაცმულობა

და მზერა-გამომეტყველება... ნახატის მთელ ცენტრს დაიჭერდა აღრიანცელებულ სამიკიტნოში ატეხილი მხეცური ჩხუბისას რალაცით გაღიზიანებული ადგილობრივების მიერ სასიკვდილო ალყაში მიმწყვდეული უცხოტომელი...

მხატვარი გონებაში მომავალი ნახატის წვრილმანებს რომ აზუსტებდა, ცრემლი თავისით წამოსდიოდა...

მხატვრის ცხოვრებაში ჯერ ასეთი რამ არ მომხდარიყო: ორივე ნახატზე ერთდროულად, ძალდაუტანებელი მონაცვლეობით მუშაობდა!

ასმათის პორტრეტის იდეა კი გაუცივდა და სადღაც თავისთავად გაუქრა!..

* * *

ერთმა ახალმა ამბავმა დეასა და ენაპიროსან თალიკოს უკანდაუხეველი ქიშპი, მართალია, ცოტა ხნით გააფერმკრთალა, მაგრამ მალე ახალი საცდური შესძინა.

„ჩაცმული მაკა" რაიონის გამგეობის ცოლგანაშვებმა თავმჯდომარემ ითხოვა!!!

ჯერ ისედაც რა იყო, ქალი ახლა კი თავზე მამალ ბუზსაც არ ისვამდა! თბილისის რომელიღაც ცნობილ უბანში ნაყიდ ბინას სანამ ევრორემონტი ჩაუტარდებოდა, პატარძალი ისევ თავის კორპუსში ცხოვრებას განაგრძობდა და ქმრის სამსახურებრივი ავტომანქანა ემსახურებოდა.

ამისთანებში გამოცვეთილები დროს ფუჭად არ კარგავდნენ: მერე შორს რომ აღარ ეწოწიალათ, რაიონის ფარგლების შესახებ საქმეებს „ჩაცმულ მაკას" ბარემ აქვე აკვარახჭინებინებდნენ!

შუამავალმა ქალებმა ახალი, თანაც მტრობის გამღვივებელი გართობის თადარიგი დაიჭირეს: დეასა და ენაპიროსან თალიკოს ჩააგონეს, სადავოდ გამხდარი „იმ რაღაც" შუა კედლის ბედ-იღბალი „ჩაცმული მაკასთვის" მიენდოთ!

მოქიშპეები ხაფანგში გამომწყვდეულებს დაემსგავსნენ: აქ უარს მხოლოდ საკუთარი უიმედო მდგომარეობის აღიარებად მიიღებდნენ! ამიტომ შუამავლებს ორთავენი უსიტყვოდ დაუყაბულდნენ!

ახლა მარტო კორპუსი კი არა, მთელი უბანი განაბული იცდიდა, რანაირ გადაწყვეტილებას მიიღებდა რაიონის პირველი ლედი!..

* * *

მხატვრის ბედის ვარსკვლავმა მოულოდნელად თავისებურად შეიკამკამა!

ასტანაში ნამყოფმა ნორვეგიელმა ხელოვნებათმცოდნეებმა და ორმაც თბილისში დახვედრილმა მათი საელჩოს წარმომადგენელმა მხატვარი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მიიწვიეს და ასეთი პროექტი შესთავაზეს. მხატვარს მეუღლესთან ერთად ანდა მარტოკა სამიდან ხუთი წლის მანძილზე შეეძლო თავისი სურვილისამებრ – დროდადრო ან მუდმივად – ნორვეგიის ნებისმიერ ქალაქსა თუ დასახლებაში ეცხოვრა და ემუშავა. თემების შერჩევა მხოლოდ მასზე იქნებოდა დამოკიდებული. ყოველგვარ ხარჯებს მასპინძლები კისრულობდნენ, ოღონდ ერთი პირობით – პროექტის ბოლოს თვით მხატვრის მიერ შერჩეული სამი ნახატი სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ უნდა გადაეცა.

– რამდენი დღე დაგჭირდებათ მოსაფიქრებლად?

– ერთი.

სტუმრებმა ერთმანეთს ფრთხილად გადახედ-გადმოხედეს, ოღონდ გაკვირვება არ გამოუხატავთ. ანდა რატომ უნდა გამოეხატათ – ისინი ხომ ნორდიული რასის შვილები იყვნენ!..

ავტობუსით შინისკენ მიმავალ მხატვარს ეს ყველაფერი სიზმარი ეგონა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაებადა მაშინ თითქმის დიადი საბჭოთა სამშობლოს ღალატად მიჩნეული ოცნება, რომელიც მერე დროდადრო თავს ახსენებდა და საბჭოთა მოქალაქის კარჩაკეტილობის განცდა შემოქმედებითად უფრო და უფრო ასაჭურისებდა – იქ, შორეული ნორვეგიის ფიორდების საუფლოში ცოტა ხნით თავისუფლად ეცხოვრა და ეხატა!.. და აჰა!!! ადამიანი თუ რამეს მართლა წრფელი თავგადადებით ინატრებს, ნუთუ განგება მერე უეჭველად უსრულებს?!

მხატვარს მოეჩვენა, გოჯიანი ბუმბულის წონისაც აღარ ვიქნებიო და გაუკვირდა – სკამზე რაღა აჩერებდა! ეს განცდა იმდენად შიშის მომგვრელი იყო, ცალი ხელი წინა სავარძლის საზურგეს ჩაავლო – ღია სარკმლიდან შემონაქროლმა ჰაერის ნაკადმა არ ამიტაცოსო!.. უცებ გონებაც თავისებურად გაეხსნა – მეუღლის დახატვის ჟინი და ოცნება, ალბათ, იმიტომ ებადებოდა

და ისევ უქრებოდა, თითქოს ამ დროს ელოდა – ასმათის, უფრო სწორედ კი ასმათის სახით ქართველი ქალის პორტრეტი, ალბათ, იქ, მკაცრი ოკეანის სიახლოვეს, რაღაც ზღაპრულად წარმონადგენ ფიორდების სიმშვიდეში უნდა შექმნილიყო!..

ახლა კი მხატვარი და მისი მეუღლე საერთაშორისო აეროპორტში ერთმანეთის გვერდიგვერდ შემთხვევით აღმოჩენილ უცხო მგზავრებს დამსგავსებოდნენ.

დივანზე თავჩალუნვით მჯდარმა მხატვარმა კრიჭა ძლივს გაიხსნა.

– მაშ... როგორ მოვიქცეთ?

– მაგას რაღა კითხვა უნდა?! – გამოწონით მიუგო ასმათმა და შეეცადა, გულაჩუყება დაეოკებინა, – რაკი შენი სტუდენტობისდროინდელი ოცნებაც ეგა ყოფილა, უნდა წახვიდე!

– შე... ე... თქვ... ე... ენ?

– მე... ჩვენ რა!.. მე მეტწილად მაინც ბავშვთანა ვარ და... ბარემ სულ მზიასთან გადავბარგდები!..

– სამსახური?

– სამსახურშიც იქიდან ვივლი... ამდენ გულხეთქებას, ორივემ გადავწყვიტეთ, ნახევარ-ნახევარ განაკვეთზე გადავიდეთ და ბავშვთან რიგრიგობით ვიყოთ!

– აქ რო გადმოსულიყავით?!. ის ბინა კიდევ გაგე... ან თუგინდ... ეს გააქირავეთ!

– აბა, რას ამბობ!.. აქ ვინმეს შემოვუშვებ?! კლიტეც რომ დავადო, მაინც გატეხენ და შენს სახელოსნოს, ვინ იცის, რა დღეში ჩააგდებენ!

– არა და აქ...

– იქ რომ გამოხვალ, სამივემ ყველაფერზე მაშინ მოვილაპარაკოთ!..

მძიმე დუმილი ჩამოუვარდათ. მხატვარმა მეუღლის ხელი აიღო, კალთაში ჩაიდო და სათუთად მოუჭირა. ქალმაც ამითვე უპასუხა. მათი ხელები ერთმანეთის განცდებსა და გრძნობებს ისე გადასცემდა, როგორც ორმხრივი მიმართულების მრავალძარღვა ელექტროკაბელი...

* * *

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მხატვარი კარგა ხნით ადრე მივიდა, რაკი შინ მარტოკას გული აღარ უთმენდა. თავისი ბარგი შემნახველ საკანში ჩააბარა და მეორე, გამგზავრების „DEPARTURES“ დარბაზში გადაინაცვლა.

დარბაზში ინდოელების, დედაწულიანი არაბების, მონღოლოიდური რასის წარმომადგენელთა, ზანგების და, ცხადია, ევროპელების ტევა არ იყო... შავ ჩადრებში საგულდაგულოდ გამოხვეულ უდაბნოს პირმშო მანდილოსნებს, ჩანდა, ამ შუა აგვისტოშიც ჩალადაც არ უღირდათ თბილისური სიცხე!.. როგორც მენაგვეები პლასტმასის ახალმოდურ ურნებს, მგზავრებიც ისე დააგორებდნენ თავ-თავიანთ გორგოლაჭებიან ჩემოდნებს, ზოგიერთ მათგანში დაკლული დეკეული რომ ჩაეტეოდა...

აეროპორტის მომსახურე ტანკენარი ქალიშვილები ისე დაიკლაკნებოდნენ, ჰოლივუდელ კინოვარსკვლავებს თვალი ზედ დარჩებოდათ და, ალბათ, უნიროდ გაეღიმებოდათ – კინოვარსკვლავები ესენი ყოფილან ან უნდა ყოფილიყვნენო!..

შედარებით მყუდრო კუთხეში, „სამოგზაურო დაზღვევის“ ჯიხურთან, უცხოელების გვერდით იღბლად იპოვა ერთი თავისუფალი ადგილი და მაშინვე მოცელილივით დაეშვა.

თავის სიცოცხლეში არ ახსოვს ასეთი გამოსავათება, გამოფიტვა და გაორება – გამართულად ჯდომის ილაჯიც აღარ შესწევდა. თავს ამითღა ინუგეშებდა – გონი თუ დავკარგე, მეზობლები რაღაცას იღონებენო!..

წინა ორი ღამე ცოლ-შვილთან და შვილიშვილთან გაათია, მაგრამ ვაი ამ გათევას!.. მძახლები ცოცხლები აღარ იყვნენ... მარეხი სტ... ისტამბულში იყო... ცრუმედიდური სიძე მორდვეთში ოცწლიან სასჯელს იხდიდა!.. ჰოდა, ამ ბინაში ახლა რაღაც უტიფარი ოკუპანტის განცდა აწამებდა – კანონიერი პატრონების ნაწილი თითქოს ამოეწყვიტოთ, ნაწილიც სადღაც გაეძევებინოთ, სხვისი კერა კი თვითონ დაესაკუთრებინოთ!.. ესეც ყისმათი იყო – ლევანისთვის წინა დღით მაღალი სიცხე მიეცა და ისე იყო გათანგული, აზრზე ვერც მოდიოდა, პაპა მასთან რომ იყო მისული! თხელი კაბაშურის ქვეშ მბორგავი, მხოლოდ „მამიკო, მამიკოს“

აბოდებდა და მსმენელებს გულს უსერავდა!..

ცოლ-შვილმა ახლაღა გაუმხილა – მარეხს გული მობრუნებოდა და ათასი დოლარი გამოეგზავნა, ჩემს „საყვარელსა და სანატრელ ლევანიკოს" უმამობა არ აგრძნობინოთო!

– ვეცდები! – გესლიანად დააკვესა მზიამ და მამის გასაგონადღა წაამატა, – ეგ კი არა, ყოველთვე აქ ათასობით დოლარიც რომ აგზავნოს, იქიდან კაპიკსაც არ დავხარჯავ!.. სალაროში შევიტან და შვილზე გადამკვდარი ძმა რომ ჩამოუვა, იმას დავახვედრებ!..

მხატვარმა პირზე კლიტე დაიდო, რადგან ხვდებოდა, აქ რაიმეს თქმა საქმეს უფრო გააფუჭებდა, მით უფრო, ქალიშვილი სიცხიან ბავშვს დასტრიალებდა.

– მზიას ვეღარაფერს უბედავს და გუშინწინ კიდევ დამირეკა, – ასმათმა ქმარ-შვილს რიგრიგობით ისე გადახედა, უნდოდა, ეს ორივესთვის ერთად მოესმენინებინა, – აბაო... მანდ რა არი... გაგიჭირდებათო!.. ჰოდა, მზია ბავშვით ჩემთან ჩამოვიდესო!

მზიამ ენაზე მაშინვე ნიორწყალი გადაისხა და ბავშვის გაოფლილი ზეწრის გამოცვლას შეუდგა.

– მეც თურქეთში ჩავიდე კი არა, ნეტავ იქ ერთი ქართველი ქალიც არ ჭაჭანებდეს! რა ხელღირსიც მაბადია, ჩემი შვილი მე იმით უნდა გამოვზარდო!

მშობლები უმალ მიხვდნენ, რა იყო მათი ქალიშვილის ასეთი გაანჩხლების მიზეზი და უმალ გაუჩუმდნენ...

მხატვარი აქ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოსაცდელ დარბაზშიღა მოეგო გონზე – გუშინწინ თვალებმკვესავი თავისი ქალიშვილი რა გამორჩეული ნატურა იქნებოდა!.. ახლა ახალმა აღმოჩენამ გააოგნა! მეუღლეს ვიღა დაეძებდა – შვილები და პატარა შვილიშვილი არამცთუ არასოდეს დაეხატა, არამედ გამოუღწეველ შემოქმედებით უღრანებში გადაკარგულს, მათი დახატვის ბუნდოვანი სურვილიც კი არასოდეს გავლებია! ან თუგინდ გავლებოდა კიდეც, მარტო ეს არ იკმარებდა!.. რა ექნა, მხატვრის ფუნჯიც ციფრული ფოტოაპარატი როდი იყო – უცებ ვინც შენ მოგეპრიანებოდა, ან ვისაც მოეპრიანებოდა, მაუზერივით მიგეშვირა და უშურველად გეჩხაკ... ან თავიანთი მარტივი,

მაგრამ საიმედო წინამორბედების მსგავსად თანამედროვე ფოტოაპარატებიც ჩხაკუნობს თუ ეს საცნაურ-სამახსოვრო თვისებაც ტექნიკურმა სასწაულმა შეინირა?!.

მხატვარი მოზღვავებულ განცდებსა და ახალ-ახალ თვალახელას ვეღარ უმკლავდებოდა... ვეღარც ერთმანეთში აბურდული აზრები ულაგდებოდა... თავისი საფიქრალის მორევში ჩაყურყუმელავებულ-ამოყურყუმელავებული ხან უცებ ისიც კი ერთმანეთში ერეოდა, საით მიფრინავდა: მორდვეთში, ატიაშევოს თვალდასაკრავად... სტამბოლში, მარეხისა და მისი ცალფეხა ქმრის დასახატად... ალმა-ათაში... ასტანაში... ჯუნღარიის მთისწინეთში – საყვარელ ნასახლართან გასაქვავებლად... ალდანში ფატიმათთან... ბერლინში... ოსლოში... თუ ბერლინისა და ოსლოს შემოვლით – შანხაიში!..

ჩაუქრობელ ტაბლოებზე დროდადრო იცვლებოდა ავიარეისების დასახელებები და მათი ნომრები... რეგისტრაცია რეგისტრაციას მისდევდა და ამიტომ ვრცელი დარბაზი არც აუტანლად იჭედებოდა, არც თვალშისაცემად თხელდებოდა – რეისების შეუფერხებელი მონაცვლეობა მგზავრების ნაკადს ბუნებრივად აწესრიგებდა!.. დარბაზშიც აღწევდა დაფრენილი თვითმფრინავების მოთვინიერებელი ღმუთუნი და ასაფრენად გასწრაფებული ლაინერების უკანდაუხეველი წივილი!..

ზოზინით მიმომავალ იმოდენა ბარგიან მგზავრებში სევდადაცემულმა მხატვარმა უცებ ანდედ მიმავალ ასმათს ჰკიდა თვალი – ბატივით ზეაწეული თავის წარამარა მიტრიალ-მოტრიალებით მას ეძებდა!

უეცრად თვალახელილ მხატვარს მოეჩვენა, ყინულის გოხს ემსგავსებოდა – ის არ იყო ასეთი გულითადი ძებნისა და გაცილების ღირსი! ამიტომ თავი შეეზიზღა, ქალი კი შეეცოდა, რადგან ამ წამებშიღა გაეხსნა გონება: ასმათთან არანაირი სულიერება არ აკავშირებდა და მასთან მხოლოდ ოჯახური ტრადიციების ჩაჟანგული არმატურით იყო შეკრული!

თვითმფრინავის ყრუ წივილმა გონებაში თითქოს შოკური თერაპია ჩაუტარა: ასმათი თურმე სჭირდებოდა მხოლოდ შვილების აღმზრდელად... მრეცხავად... მზარეულად... თანამესარეცლედ... დამლაგებლად... ერთგულ მეუღლედ... მომავალში

საფლავის დამამშვენებლად და არა სულიერ მეგობრად!!! თორემ ის სულიერ მეგობრადაც რომ ჰყოლოდა მიჩნეული, მაშინ როგორ შეიძლებოდა, ყაზახეთიდან ჩამოსვლისთანავე ჩახუტებული ქალისთვის სულ ჩურჩულ-ჩურჩულით არ ეამბა კამირასთან დაკავშირებული იმ ტანჯვიანი განცდების მთელი მშვენიერება! რა იყო ამაში უზნეო, მიუღებელი ან აღსაშფოთებელი?! პირიქით, ორივე უფრო არ უნდა აემაღლებინა და სულიერად უფრო შეეკავშირებინა?! მან კი ქალს იქ გადატანილი განცდები და ფატიმათის შემძვრელი მონათხრობი უსულგულოდ დაუმალა! თუმცა არც დაუმალავს – ფიქრადაც კი არ მოსვლია, ეს ყველაფერი მისთვისაც ეამბა! მსგავსმა ცდუნებამ შეიძლება უელვა კიდეც, მაგრამ ვერ გაბედა – ვაითუ ვერ გამიგოსო! ჰმ! მაშინ მით უფრო უნდა მოეთხრო, რათა გასცხადებოდა – მთელი ცხოვრება რანაირი შეგნების ქალს უწევდა ჭაპანს! მაგრამ მან...

და რაკი მან მეუღლისთვის ამის განდობა დაუშვებლად მიიჩნია, მაშინ თავისთავად გამოდიოდა, რომ ის ცოლსაც უფლებას აძლევდა... თუმც ის რის უფლების მიმცემი იყო, მას ვიღა ეკითხებოდა?! ქალს თვით ამგვარი გარემოება აძლევდა საპასუხო უფლებას, ქმრისთვის არასოდეს არაფერი ეთქვა თავის „კამირაზე!“ ოოო!..

ან იქნებ გაკვრით ახლა მაინც ეამბა? უჰ, ახლა სწორედ მაგის დრო და ადგილი იყო!..

მხატვარს მოეჩვენა, ნორვეგიაში კი არა, ჯოჯოხეთში უნდა ჩაფრენილიყო და გულით ინატრა – ეს ბარემ დროიანად მომხდარიყო, სანამ მეუღლე თავზე წამოადგებოდა!.. გაფრენამდე სადმე დამალვოდა?! მაგრამ ეს რა საკადრისი იყო ან აქ სად და რანაირად უნდა დამალულიყო?! თან სადაცაა მისი რეისის რეგისტრაციაც გამოცხადდებოდა!.. არადა, ამგვარი თვალახელის შემდეგ მეუღლესთვის თვალებში როგორლა უნდა შეეხედა ან რა ეთქვა?!. აქ ყოველგვარი მინიშნება, გაფრთხილება, თხოვნა, გამხნევება, ნამუსზე შეგდება და მით უმეტეს, მორალის კითხვა იგივე იქნებოდა, ძროხისთვის კვერცხის დადება მოეთხოვათ, ქათმისთვის – რძის მოცემა!

ის-ის იყო, მისი უცხოელი მეზობლები ჯგუფად აიბარგნენ და რეგისტრაციის ბარიერისკენ გაემართნენ, ასმათიც მოვიდა

და გვერდით მსუბუქი მოწყვეტით მოუჯდა.

– უჰ, დავღლილვარ!.. მე კი იქით რამდენს გეძებდი!

– ხო გითხარი, სიცხიანი ყმაწვილი არ მიატოვო-მეთქი!.. მე რა გაცილება მინდა! რო...

– სიცხემ დაუკლო.. მართლა, მართლა – იმის თავს გეფიცები! მზიამ ცოტა ფაფაც შეაჭამა და...

მხატვარი სადღაც უაზროდ გაიყურებოდა, ასმათი კი ქმარს თვალს არ აცილებდა.

– რა იყო?

– რა უნდა იყოს... ა... არაფერი!

– ოჰ, როგორ არაფერი – ვერ გატყობ, რაღაც სათქმელი გაწუხებს!

მხატვარმა თავშეკავებით ამოიხვნეშა.

– როცა ნორვეგიიდან ჩამო... თუ არაფერი შემემთხვა და ჩამოვედი!..

– ჩამოხვალ, ჩამოხვალ – ღმერთი ისევ ჩამოგიყვანს!

– ჰოდა, მაშინ მოგიყვები!

გასაოცარი იყო ქალის აუღელვებლობა.

– კეთილი, მეც მანამდე მოვიცდი!

ასმათმა ქმრის გახევებული მარჯვენა თავის კალთაში გადაიტანა და გაირინდა.

მხატვარმა იგრძნო, წელან წამოლანდებული ჯოჯოხეთი თანდათან როგორ ქრებოდა და ირგვლივ ყველაფერს ისევ თავისი პირველსახე უბრუნდებოდა...

...კარგა ხნის შემდეგ ნამტირალევი თვალებზე ცხვირსახოცაფარებული ასმათი ავტობუსით შინისკენ მიემგზავრებოდა... ფიქრადქცეული მხატვარი კი ილუმინატორიდან გაფანტულად გაჰყურებდა ოღროჩოღროდ მიმოყრილი ღრუბლების ზვინებს და ეჩვენებოდა – თვითმფრინავი კი არა, ბედისწერა ჭაბუკობისდროინდელი ნაოცნებარისკენ მიაქროლებდა...

არ ვიცი, ხანდაზმულობის მიზეზია თუ ჩემი თავისებური ბუნების – ბოლო წლებში რა უბედურებაც უნდა დამატყდეს, ადამიანებს კი არა, საკუთარ თავს ან ბედისწერას ვაბრალებ ხოლმე.

აი, თუნდაც ეს მაგალითი!

მე და ჩემი მეუღლე შეერთების დღიდან თბილისის ერთერთ მივარდნილ მასივში ვცხოვრობთ – რვასართულიანი კორპუსის მეხუთე სართულის ოროთახიან ბინაში. ღმერთმა მანამ თუ გვაცოცხლა, ექვსი წლის შემდეგ ორთავეს ერთდროულად დაგვენიშნება პენსია. რა ხანია, მე უმუშევარი ვარ. მართალია, მეუღლე ისევ მუშაობს, მაგრამ თავს ვერასგზით გავიტანდით, საკონცენტრაციო ბანაკისებური მომჭირნეობით რომ არ ვცხოვრობდეთ... მეშვიდე წელი იწურება, რაც ერთადერთი, თანაც დაუოჯახებელი ვაჟიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებშია გადავარდნილი. დღესაც არ ვიცით, იქ რა მოხელეა ან როდის ჩამოვა ანდა ჩამოგვივაღა თუ არა! ჯერ ისედაც იშვიათად გვეხმიანებოდა, ბოლო ხანებში კი ხმას საერთოდ, აღარც გვაწვდენს – ეტყობა, უკვე ამერიკული ინკუბატორის ნაშიერის ცნობიერება ჩამოუყალიბდა!

მთელი ამ ხნის მანძილზე იქიდან ჩვენთვის ერთი დოლარიც არ გამოუგზავნია, ვინაიდან მისი წამხედურობით გულმოკლულმა გაფრენის წინ ყველა საფიცარი დავუფიცე: ერთი ცენტიც არ გამოეგზავნა, თორემ სულ ერთია, შინ არც კი მივიტანდი – იქავ რომელიმე ფონდის ანგარიშზე გადავრიცხავდი!

– თავს როგორმე ჩვენ თვითონ გავიტანთ!

სამოგზაურო დაზღვევის ჯიხურს აკრული საწყალი მეუღლე უხმოდ იკურცხლებოდა... უცხოელებივით სავსე თბილისის აეროპორტი ავიალაინერების უზარმაზარ სკასავით გუგუნებდა... მამა-შვილი ერთმანეთს თვალგაშტერებით შევცქეროდით და უცებ თავისთავად ვიგრძენ: შორეულმა ამერიკამ ჩვენ შორის უკვე თბილისშივე გაჭრა ურთიერთგაუცხოების თვალჩაუწვდენელი კანიონი!..

* * *

შარშანწინ, 2017 წლის სექტემბერს თავს ისეთი უბედურება დამატყდა, ასი წელიც რომ მეცოცხლა და მეფიქრა, მაინც ვერ მოვიფიქრებდი, თუ შეიძლებოდა ამგვარი უბედურებაც დამმუქრებოდა!

ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი, მარტოხელა დედაბერი ქალსიძემ დამპალოში თავისთან გადააბარგა, ეს ბინა კი მაშინვე გაყიდეს. ჩვენი ტანჯვა-წამებაც იქიდან დაიწყო!.. არა, ესეც მართლა ბედისწერა იყო – რაღა სწორედ ჩვენი ქვედა, მეოთხესართულელი მეზობელი წაგვივიდა! გვერდითა რომელიმე მეზობელი მაინც წაგვსლოდა! ხოლო თუ ჭერზედა მეზობელი გამოგვეცვლებოდა, მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!!!

ასეთი შესავალი მკითხველებს უეჭველად დააბნევს, რადგან ჩვენი უბედურების მიზეზი სწორედ ჭერზედა მეზობლები ეგონებოდათ – ალბათ, მალ-მალ წყალს უშვებენ... მტვრიან ნოხ-საფენებს პირდაპირ სარეცხზე აბერტყენ... სათოკე ნარკომანი ეყოლებათ... ანდა, ერთი ავარდნილი ჯალაბია და მათი თავაწყვეტილი ლოთიფოთობისა თუ ჰუსარული ბუქნა-ბრაგაბრუგისაგან მოსვენება ექნებათ დაკარგულიო!

არავითარი მაგის მსგავსი! ჩვენი გვერდითა და მით უმეტეს, ზედა მეზობლებისაგან რაიმე განსაკუთრებული ზნევა არ მახსოვს! უბედურება ახალი, ქვედა მეზობლების გადმობარგებისთანავე დაგვატყდა. ოთხსულიანი ქართული ოჯახია. შუახნის ცოლ-ქმარი და ქალ-ვაჟი.

– ქალი დიასახლისი ყოფილა, – ორიოდე დღის შემდეგ მეზობლებისთვის ვალდებულივით ჩაეკენჭა შუშტრუკანა როზას, – მამა-შვილებს კი რომელილაც ფირმებში უმუშავიათ!..

მესამე წელი იწურება, მაგრამ ახალ (თუმცა რაღა ახალი!) მეზობლებთან არანაირი ურთიერთობა არ გვაკავშირებს. ამ ხნის მანძილზე ერთმანეთს არც კი დავლაპარაკებივართ, ვინაიდან ამის ბუნებრივი საჭიროება ან აუცილებლობა ჯერ არ გაგვჩენია. როგორც ერთი და იგივე სადარბაზოს ბინადარნი, ერთმანეთს მხოლოდ ვესალმებით და მეტი არაფერი! ერთი სიტყვით, ისინი თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ, ჩვენ – ჩვენით!

საქმიანი, დინჯი და უხმაურო ხალხია, მაგრამ... მაგრამ ერთი

მიზეზით სიცოცხლე ტანჯვად გადამიქციეს!.. თან დამნაშავესავით ვიბოჭები, ვინაიდან მეტისმეტად ფაქიზ საგანს – სხვების მადას უნდა შევეხო! მაგრამ მკითხველებს ხომ ვეღარ გავაწბილებ – რაკი ავიყოლიე, გინდა, არ გინდა, სათქმელი ბოლომდე უნდა მივიყვანო! თან ეჭვიც მთრგუნავს: ვაითუ არ დამიჯერონ, ანდა პირიქით, ქვეყნის საქირდავი გავხდე – მამაცხონებულო, მაგან როგორ გაგაკვირვა, ეგ ხომ ჩვეულებრივი „ამბავიაო!“..

არ ვიცი, არ ვიცი!.. მაგრამ რაკი დავიწყე, დავასრულებ კიდეც – საცა წვრილია, იქ გაწყდეს! ოღონდ ვაღიარებ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ადამიანს, მეტადრე კი მანდილოსნებსაც, ამგვარი მყრალი მადა ჰქონოდათ!!! მთელ ოჯახს რაღაც მხეცური ჟინით ჰყვარებია ღორის მაგრად დამარილებული შემწვარი შაშხი!!!

თან შემწვარიც არის და შემწვარიც! არ გეგონოთ ოდნავ შეთანთქლული, მსუბუქად მოთუშული ანდა თათარიახნად შეხანხლული აკმაყოფილებდეთ! არა! მათი სამზარეულოს ღია სარკმლიდან დახრუკული ღორის ისეთი მყრალი სუნი ამოვარდება ხოლმე, ლამის გული შემიწუხდეს ან პირღებინება დამეწყოს!.. გაოგნებას ვეღარ ვიშორებ – ნეტა, რა კუჭი უმკლავდება ასე მტარვალურად ჩახრაკულ აპოხტს!

ესეც ბედისწერა იყო?! რაც ადრე ღვთის წყალობად მიმაჩნდა, ახლა ღვთის რისხვად გადამექცა! ისრის გასროლის მანძილზე მდებარე ტყეპარკიდან მონაბერი სუფთა ნიავი ჩვენი კორპუსის უკანა მხარეს დღედაღამ დაუძინებლივ ენანავება! როგორ გვიყვარდა სარკმლებღია საწოლ ოთახში ძილი! ის კი არა, ზამთრობით ლოჯიის ფრამუგას ღამითაც შემოღებულს ვტოვებდით ხოლმე, ბინაში სუფთა ჰაერს რომ ეტრიალა!

ახლა? საკმარისია, სადმე ისე წავიდეთ, სარკმლები ღია დაგვრჩეს ან თუგინდ შინაც ვიყოთ, მაგრამ მათი დახურვა რამდენიმე წუთით დავაგვიანოთ, ქვედა მეზობლების სამზარეულოს ღია სარკმლიდან ბოლქვ-ბოლქვად ამოსულ მყრალ ღრუბელს მოუსვენარი ნიავი ისეთი სისწრაფით შემოგვიტანს ხოლმე, ქიმიური თავდასხმა გეგონებათ! თუმც ვერც სარკმლების დროზე დახურვა ანდა სულაც მთელი დღით გაუღებლობა გვშველის: მქისე სუნი ღრიჭოებშიც ადვილად ატანს და ყველაფერს უჯდება!..

სარეცხსაც სულ შინ ვიშრობთ, მაგრამ დიდად ვერც ესა გვშველის!.. წარმოდგენილი მაქვს, გარეთ რომ ვფენდეთ, მაშინ რაღა იქნებოდა!

სადარბაზო?! ოოო! იმ ავადსახსენებელი პუტჩის განუკითხაობით გულმოცემულმა სამ და ერთოთახიანების პატრონებმა ვირთაგვებივით ისარგებლეს და ჯერ ისედაც სამშენებლო ნორმების დარღვევით ჰაიჰარად შეჩონჩხილ ფათერაკიან ლოჯიებს ერთმანეთში კულაკური სულწასულობით გაყოფილი საჰაერო ფართიც მიაშენეს!!! მოკლედ, საცხოვრებელი კორპუსი ქაჯეთის ციხეს დაამსგავსეს! კი მაგრამ, დღის სინათლე, სუფთა ჰაერის მოძრაობა, ლიფტი, ხშირი უშუქობა, მოხუცები, ბავშვები, ინვალიდები, მზის სხივი... საერთოდ, კომუნალური ჰიგიენა?! მოგცლიათ! მაგას ვიღა დაეძებდა, როცა თითოეული ოკუპანტის ლოჯიის სიგრძე ოთხმეტკაველ-ნახევრით ფართოვდებოდა! ეხუმრებით?!

მას აქეთ ჰაერდახშულ სადარბაზოში ჯერ ხომ ისედაც სულ მძიმე სუნი იდგა, ახლა კი ამ მაგრად შეხრაკული აპოხტის ისეთმა მლაშე სიმყრალემ დაისადგურა, მასთან შედარებით თბილისის ყველაზე უკანასკნელი სამიკიტნოს სიბინძურე ედემყვავილის სურნელად მოგეჩვენებათ!

შარშან სულ ზედა მეზობლებს სისხლის გათეთრებით ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი გარდაეცვალათ. სამძიმარზე მოსულთა ნაკადს ბოლო არ უჩანდა. თქმით კი, აბა, ვინ რას იტყოდა, თავიანთ ამრეზილობას კი ერთმანეთს მიმიკურად უზიარებდნენ – ეს რა სუნი დგას... აქ როგორ ცხოვრობენო!..

ქვედა მეზობლები არასოდეს ღალატობენ თვიანთ მყრალ მადას. მათი საუზმე, სადილი, სამხარი, გვიანი ვახშმობა თუ წვეულება იშვიათად ჩაივლის ხოლმე დახრუკული აპოხტის გარეშე!.. ზოგჯერ მამა და ვაჟიშვილი მთელი კვირით სადღაც, მგონი, მივლინებაში არიან, მაგრამ არც მაშინ იცვლება რამე!.. აგვისტოს პაპანაქებისას მთელი ოჯახი საიდანმე ნაშუაღამევსაც რომ დაბრუნდეს, მალე მათ გაზქურაზე ტანკივით შიშისმომგვრელად მაინც გაიჩახჩახებს ხოლმე უკვე ყურშეჩვეული მძიმე ტაფა!

ამ დროს ახალი მითვლემილიც რომ ვიყო, უმალ თავი უნდა გავიფხიზლო, წამოვხტე და სასწრაფოდ დახურულ სარკმლებთან

მოთმინებით ვიბადრაგო – მადააშლილი მეზობლები ღამის სერობას რომ მოითავებენ და მყრალი სუნიც შესამჩნევად გაწყალდება, სარკმლები ისევ დავაღო, თორემ ზაფხულის ხვატისას დაგმანულ საძინებელში ხომ ვერ ამოვიხრჩობით!..

– მანდ როდემდე იჯდები – მაგათ იქნებ... – ძილბურანში წასული მეუღლე საწყლურად გამომეძრახება ხოლმე, – ასე როდემდე გაუძლებ?!. მოდი, დაწექი!..

პირველი ულუფით მადას გაიმგელებენ თუ არა, მერე მათი გაფარფარებული სარკმლიდან ამონაბოლქვის აქოთებული ბურუსი ჩვენს საგულდაგულოდ დახურულ სარკმლებთან სვავივით ფარფატებს, სადმე დანისპირა შემოსაძვრომი მაინც რომ იპოვოს! თავის დღეში გაურემონტებელ ბინაში კი ამის პოვნას რა უნდა!.. იმზომ გამომჯეკეს, შემთხვევით რომელიმე მათგანს შუა ქალაქშიც რომ შევეჩეხო, ცხვირში მაშინვე რჯულზე მოხრაკული მლაშე ლორის საზიზღარი სუნი მეცემა ხოლმე და თავრეტი მეხვევა!

– მერე, თავს რაზე იტანჯავ, შე კაი კაცო, – გაკვირვებით შემომიტევთ, – აიღე და გადაცვალე!.. ან ეგ გაყიდეთ და სხვაგან იყიდეთ!.. მაგაზე ადვილი რა არის?!

ეჰ, მაგას მეუღლეც მიმეორებს, მაგრამ რა ვქნა – მე ამ სამოთხეს ვერ დავთმობ!

„ერიჰააა! – უმალ გაიფიქრებთ, – ეს თურმე გიჟი ყოფილა, ჩვენ კი ნორმალური გვეგონა და თანაგრძნობით ვუსმენდითო!.. თუკი მივარდნილ მასივში, თანაც ურემონტო ბინაში ცხოვრობთ და მეუღლის ხელფასით ძლივძლივობით გაგაქვთ თავი... თანაც, როგორც შენვე იძახი, ახალმა მეზობლებმა სიცოცხლე გამიმწარესო, მაშ, რაღა სამოთხეზე გველაპარაკები, თუ ღმერთი გწამს?!“

მკითხველებს მართლა გიჟი ვეგონები, თუ ყველაფერი გასაგებად არ ავუხსენი. თუმც იქნებ ვერც ამ ახსნა-განმარტებამ მიშველოს, თუ წინასწარ არ გავითვალისწინებთ – ვის როგორ წარმოუდგენია სამოთხე! ამიტომ პირდაპირ ვიტყვი: საკუთარ თავს ეს სამოთხე თურმე მე თვითონ შევუქმენი, ოღონდ ამას ცოტა მოგვიანებით მივხვდი!

მაშ, სხვა ყველაფერზე ფიქრს შეეშვით და მთელი გულისყუ-

რით მომისმინეთ. ჩემი სიცოცხლისა და შემართების საკმაო ნაწილი უშურველად დავბუგე, რათა ჩვენი კორპუსისა და პატარა უბნის ჭრელი სამეზობლოსთვის როგორმე შემეგნებინებინა: ისინი და მე – ჩემი ბუნებისა და საქმიანობის კაცი – ერთმანეთს როგორ უნდა მოვქცეოდით!!!

ამას რომ მივაღწიე, მაშინ კი შვებით ამოვისუნთქე და ცოტა მოგვიანებით თვალიც ამეხილა – უკვე სამოთხეში ვცხოვრობდი!!!

ოღონდ არ გეგონოთ, მეზობლები ხელისგულზე ერბოკვერცხს მიწვავდნენ!.. ჰმ!..

ჩვენი ურთიერთობის ნათელსაყოფად ასტომიანი ახსნა-განმარტებაც რომ წარმოგიდგინოთ, მაინც ვერ შეედრება იმ პატარა მაგალითს, რაც ამას წინათ განგებამ თუ შემთხვევამ თქვენ დასარწმუნებლად ტელევიზორში მაყურებინა.

მე თვითონ ტელევიზორი ჭირივითა მძულს. იმედს ვიტოვებ, ამას მიზეზის აუხსნელადაც მიმიხვდებით. საღამოობით რაკი მეუღლე ზოგიერთ პროგრამას ვერ ელევა, ამ დროს მე თავს საძინებელს ვაფარებ ან სასეირნოდ გავდივარ, ხოლო თუ რამე განსაკუთრებული გადაიცა, მოკლედ და გასაგები ენით მერე ის მომახსენებს ხოლმე!

ჰოდა, სულ ახლახან, ნაგიორგობევს ერთმა ახლობელმა ვიწრო წრეში თავისი პირველი შვილიშვილის ძეობა გადაიხადა. მსუბუქი სერობის შემდეგ სტუმრებმა ვრცელ მისაღებში გადავინაცვლეთ. კედლის ვეებერთელა კორეული ტელევიზორი „BBC"-ის მიერ გადაღებულ აფრიკის ველურ ბუნებას აჩვენებდა. ერთმანეთში ირეოდნენ დინგაწეული აფთრები... ყურაცქვეტილი ჟირაფები... მოუსვენარი ტურების ხროვა... ზებრებს ამაოდ გამოკიდებული ლომები... რაღაცაზე ერთმანეთში კივილით მოჭიდავე სპილოები... თავგადასარჩენად კამარა-კამარა მიმფრინავი ანტილოპები... ერთ ადგილას დატრიალებული სქელშუბლა კამეჩების ბოლუქი, ლომებისაგან თავგანწირვით რომ იცავდნენ თავიანთ ნაშიერებს... ლეოპარდისაგან დამფრთხალი, ტოტებიდან ტოტებზე კივილით მოხტუნავე მაიმუნები...

ტელეეკრანიდან უცებ გაქრა სავანის მრავალფეროვან ბინადართა სრბოლა-გნიასი და გადახრილი მზით განათებულ

სწორ ბილიკზე გამოჩნდა ერთმანეთის საპირისპიროდ ნაბიჯ-დამძიმებით მომავალი ეშვებიანი მამალი სპილო და ფაფარაყრილი ხვადი ლომი!

მედიდურ სიარულზე ეტყობოდათ, გზის დათმობას არც ერთი მათგანი არ აპირებდა!

ნაპურ სტუმრებს სუნთქვა შეეკრათ, რაკი ყველას ეგონა, ახლა კი ლომისა და სპილოს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების მოწმენი გახდებოდნენ! მე კი... მაგრამ მათ ერთმანეთს ისე გაუარეს, ერთიმეორისთვის ბუზიც არ აუფრენიათ, ვინაიდან აკრეფილ ნაბიჯებსა და დაალმაცერებულ მზერაზე ეტყობოდათ – ორთავემ კარგად იცოდა ერთმანეთის ვინაობა და შესაძლებლობა!!!

ყველაფერს მიმიხვდით?

არ გეგონოთ, თავს ლომს ან სპილოს ვადრიდე! ამ შემთხვევაში მთავარია არა სპილოსა და ლომის შიშის მომგვრელი თვისებები, არამედ მაგალითის შთამბეჭდაობა!!!

* * *

ჰოდა, ახლა საცხოვრებელი ალალბედად გამოვიცვალო კი არა, თბილისის ყველაზე პრესტიჟულ უბანში ევრორემონტით გაწყობილი მრავალოთახიანი ბინა რომც მაჩუქონ, არც ამას წავეცდენინები, ვინაიდან ჩემთვის მთავარია არა თუგინდ მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქის რომელიმე რაიონის ყბადაღებული პრესტიჟულობა, არამედ იქ მაცხოვრებელთა შეგნება და ადამიანობა!..

ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, ამ შეშლილ დროში ბინა რომ გამოვიცვალო, ვინ იცის, იქ რანაირი საზოგადოება დამხვდება! მე კი სადღა მომდევს უწინდებური ჟინი, ენერგიის უშრეტობა, თავმოყვარეობა, შემართება, გამძლეობა, თავგანწირვა და მოთმინება ახლა ახალ ჭრელ სამეზობლოს შევაგნებინო: ისინი და მე – ჩემი ბუნებისა და საქმიანობის კაცი – ერთიმეორეს როგორ უნდა მოვექცეთ! ან ამას ვინმესთვის ექნებაღა აზრი?!. გინდაც ჰქონდეს, ველარ შევძლებ!.. ველარც მოვასწრებ!.. ამ მზეგადახრილმა კაცმა თუნდაც მოვასწრო კიდეც, ეს სასიკეთოს ვიღას რას მოუტანს?!.. ის კი არა, იქნებ სასაცილოდაც ამიგდონ მეცა და

ჩემი საქმიანობაც!..

ერთი სიტყვით, ახალ სამეზობლო რია-რიაში თავდაყირა ვეღარ გადავეშვები!.. ამიტომ წინდაწინვე ვარ შეგუებული: ამ უღიმღამო უბნიდან უნდა გამომასვენონ და ზოგიერთმა მეზობელმა თავისი სართულიდან შემთხვევით ორიოდე წამითაც რომ გადმოიხედოს, ესეც მეყოფა... ხოლო საკმლის სურნელს დახრუკული აპოხტის სიმყრალე უნდა ფარავდეს...

რას იზამ, ალბათ, ასეთი ყოფილა ჩემი ყისმათი...

მთავარი ენა

თანამოძმენო, იმდენად იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სამსახური გაქვთ, არამედ იქ ვინ არიან ხელმძღვანელები! ამიტომ იცოდეთ – წარმატებას ვერასოდეს მიაღწევთ და სულ მუდამ გატანჯულ-გაწამებულსაც გიყოლიებენ, თუ არ გეცოდინებათ მთავარი ენა!!!

უჰ, მე ეგ საფრთხე არ მემუქრება, – უმალ სიტყვას მიმატოვებინებს ბევრი ახალგაზრდა, – ინგლისური წყალივით ვიცი!

ნუ ჩქარობთ, ვარსკვლავებთან მოთამაშენო – მე როდისა ვთქვი, ეს მთავარი ენა მაინცდამაინც ინგლისურია-მეთქი?! „არა?! – სიტყვას კვლავ გადამისხეპთ, – აბა, დღეს რომელია მთავარი ენა?. ქართული?! მაგრამ ქართული რაღა სათვალავშია ჩასაგდები!.. მაშ, რომელი: ჩინური?!. ესპანური?!. არაბული?!. ფრანგული?!. გერ....“

ვაი, რა შორსა ხართ!.. ყველაფერს დალაგებით აგიხსნით, ოღონდ თუ ღმერთი გწამთ, მოთმინება იქონიეთ და სიტყვას ნუღა დამილახავთ!.. ჰოდა, თქვენ მიერ თავდაჯერებით ჩამონათვალი ეგ ოთხიოდე ენა კი არა, რაც მსოფლიოში დღესდღეობით ცოცხალი ენებია, ყველა ერთად რომ შეკონოთ, ახლოსაც ვერ მივლენ იმ მთავარ ენასთან!..

ო, იმ ენას არც გაქრობა უწერია, არც დაკნინება – პირიქით, სანამ კაცობრიობა იარსებებს, ისიც იყვავილებს და უფრო და უფრო გაიფურჩქნება!!! გარდა ამისა, მას ჩირადაც არ უღირს რაღაც გრამატიკული კატეგორიები თუ მკაცრი მართლწერა!.. და რაც გადამწყვეტია, ამ ენის ათვისება დამოკიდებულია არა იმდენად მსურველის ნიჭიერებაზე, რამდენადაც მის შინაგან ბუნებაზე!..

მაშ, გულის ფიცარზე ამოიტვიფრეთ: ეს მთავარი ენა თუ ხუთი თითივით გეცოდინებათ, სამსახურში ყოველგვარი სიკეთე უზრუნველყოფილი გექნებათ!.. ეს ენა თუ არ იცით, მაგრამ თავგამოდებით ცდილობთ მის ათვისებას, ხელმძღვანელობისგან მუდამ წახალისებული იქნებით, რათა შეუფერხებლად ხდებოდეს ამ მთავარი ენის მცოდნეთა ბუნებრივი შევსება!..

თავიანთი მოუაზრებლობით ზოგიერთები საერთოდ, ვერცა

ხვდებიან ამ ენის შესწავლის საჭიროებასა და აუცილებლობას!

თქვენ წარმოიდგინეთ, უფროსობა ასეთ ფენას მიმტევებლური ღიმილით ითმენს და ერთგვრად უფრთხილდება კიდეც, რათა დანარჩენებს გაუთვალსაჩინონ – აი, რა გაუხარელი ყოფა ელით ამათთანა ბოთეებს!..

მაგრამ... მაგრამ ვაი, თქვენი ტყავის ბრალი, თუ ხელმძღვანელობამ შეგატყოთ: არამცთუ არ ცდილობთ სამსახურში გაბატონებული ამ მთავარი ენის შესწავლას, არამედ დანარჩენების გონზე მოსაყვანად მას ქედმაღლური ზიზღითაც კი ეკიდებით!!!

ასეთ შემ... ნუ მაწყვეტინებთ!.. წეღან რაზე შევთანხმდით?!. თქვენი ხმა აღარ გავიგონო!.. დამამთავრებინეთ!.. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში მაშინვე სამუდამოდ უნდა მიატოვოთ ასეთი სამსახური!.. თორემ თუ გამოიჩინეთ საბედისწერო წინდაუხედაობა ან რეგვნული თავდაჯერებულობა და ისევ იქ დარჩით, მაშინ სულ ერთია: გინდ მათთან გითანამშრომლიათ, გინდ სქელტანა გველგესლების სოროებით დახვრელილ შამბნარში გულაღმა გძინებიათ!!!

ამგვარი შედარებით, ალბათ, ბევრს ზურგი შეუტენიანდება და შეშლილებივით შემომწივლ-შემომკივლებენ.

– ნერვები ნუ დაგვაგლიჯე – ჰა, გვითხარი, რომელია ეგ მთავარი ენა?

ეს არის ასაკგადაცდენილ, ხასიათამძაღებულ შინაბერებთან სალაქუცო ენა.

იურისპრუდენციის სიღატაკე

დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ, პიპა. ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას სარდლობა.

კონსტანტინე გამსახურდია
„დიდოსტატის მარჯვენა“

სათაურის ნაკითხვისთანავე გაკვირვებით შემომეკითხებით: კი მაგრამ, რაში ხედავ მის სიღატაკესო? ჰმ! ამას თქვენ თვითონ ჯერ კიდევ თუ ვერ მიმხვდარხართ, მაშინ...

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლი იუწყება: მოქალაქის თვითმკვლელობამდე მიყვანა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდეო! მაგრამ იგივე კოდექსი არაფერს ითვალისწინებს, თუ პიროვნება ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს!

მოქალაქის ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიყვანა უფრო მეტი უბედურების მომტანი არ არის ქვეყნისთვის?!

დააკვირდით ჩვენს გაცუღლუტებულ დღევანდელობას: რისამე გამორჩენის მიზნით ანდა საზოგადოებრივი რჯულმდებლის მანტიის ხელგამოსაკრავად თავ-თავიანთ სამოღვაწეო სფეროში ხელმოცარული ჩურუქა ქოსატყუილები, არამკითხე კლიმაქსიანი შინაბერები თუ საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი პირები რომელიმე გამოსადეგ ან მეტ-ნაკლებად ცნობილ, არაფრით გამორჩეულ, მაგრამ იაფფასიანი პოპულარობისთვის ავადმყოფურად გაწუწკებულ ციგანს, ნაძველბიჭარს, პარტიულ რობოტს თუ მთლად ჭკუამხიარულს სნაიპერული სიზუსტით იღებენ ნიშანში და მერე ყბებს ღორის ქონით მოიქნიან ხოლმე, რათა უზომ-უსაზღვრო პირფერობით როგორმე ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიიყვანონ: შენა ხარ ჩვენი მეორე დავით აღმაშენებელი... ლიკურგე... ვახტანგ გორგასალი... ალექსანდრე მაკედონელი... ილია ჭავჭავაძე... სოლონი... მილტიადე... ფეოლა... ბიბლიური მოსე... საქართველოს მესია... სოლომონ ლიონიძე... კუბერტენი... ანაქსაგორა... პელე... ეზოპე... ბუდა... ჟიულ რიმე... ჰანიბალი...

ქართული მეტალურგიის მამა... რიჩარდ ლომგული... ჰეროდოტე... ერაზმ როტერდამელი... პეტრე დიდი... იან ჰუსი... ლე კორბუზიე... ციცერონი... ულრიხ ცვინგლი... მარკუს ავრელიუსი... ჯორჯ ვაშინგტონი... ჯუზეპე გარიბალდი... კასიუს კლეი... პლატონი... პრომეთე... სიმონ ბოლივარი... კარლოს დიდი... ისააკ ნიუტონი... ივანე ჯავახიშვილი... უაბოტინსკი... კოლუმბი... ბისმარკი... მარტინ ლუთერ კინგი... არსენა მარაბდელი... ჰერაკლე... ქართველების გუტენბერგი... ლეხ ვალენსა... ჰელმუტ კოლი... ვაცლავ ჰაველი და კიდევ ვიღა არაო!!!

შედეგი? ამგვარი მავნებლური ხოტბა-ქებით ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიყვანილთა გვამებით თანდათან ივსება ისედაც გაუბედურებული საქართველო!

ჰოდა, ერთ-ერთი ნაძველბიჭარი ტელეეკრანიდან აგერ, რას გადმოგვძახის: საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად მე დამნიშნეთ და რუსებს დონს იქით გადავრეკავო!.. მეორე – გაეროში გამამწესეთ და ბრესტის ზავით დაკარგულ ტერიტორიებს სამ თვეში დავაბრუნებო!.. მესამე, არაინტელექტუალურ პირისახეზე გონებრივად დაქვეითებულის ბეჭედი რომ ატყვია და თან ისე გაურკვევლად ბლუკუნებს, თითქოს პირში ცხელი კარტოფილი უდევსო – ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორად დამნიშნეთ და მსოფლიოში უპირველეს სამეცნიერო ცენტრად ვაქცევო!.. მეოთხე – მთაწმინდაზე დაკრძალვის წერილობითი პირობა მომეცით და თან თუ ძალიან შემეხვეწებით, პრეზიდენტობაზე თანახმა ვიქნები და გაძვალტყავებულ საქართველოს ფეხზე წამოვაყენებო! არადა, ისიც კი არ ესმის, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა ფარული კენჭისყრით ხდება და არა მლიქვნელ-მაამებელთა ფარისევლური შეხვეწნით!.. მეხუთე – ყოველთვიურად სამი მილიონი ევრო დამინიშნეთ და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ოთხ წელიწადში მსოფლიო ჩემპიონს გავხდიო!.. მეექვსე – რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს წარმომადგენლად გამიშვით, ვოვასთან (ე.ი. ვლადიმერ პუტინთან!) საქმეს ჩავაწყობ და აფხაზეთ-სამაჩაბლოს ხინკლით სავსე ხონჩასავით მოგართმევთო!.. მეშვიდე – თბილისი სულ დამანგრევინეთ და რამდენიმე წელიწადში ისეთ დედაქალაქს აგიშენებთ, პარიზი და ტოკიო

მიმიქარავსო!.. მერვე – რაკი ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ ფულის კეთება იცის, გონივრულად მოხმარება კი არა, მთელი თავისი ფინანსები მე ჩამაბაროს და საქართველოს შვეიცარიამდე ავწევო!.. მეცხრე – ჩემისთანა დიდი მამულიშვილი რომ გამოგეცლებით ხელიდან, ვიცი, სახელმწიფო დროშებს დაუშვებენ, მთელი საქართველო გლოვას მიეცემა და ყვავებიც შავს ჩაიცვამენო! ჰოდა, თავსატეხი რომ არ გაგიჩნდეთ, სად დამკრძალოთ – სიონში, სვეტიცხოველში, მთაწმინდაზე, გელათში თუ ალავერდში, ჩემი სურვილი დალუქულ კონვერტში იქნება, რომელიც...

მოკლედ, ყურო, ნუ მოისმენ, თვალო, ნუ დაინახავ!.. ბოლოს და ბოლოს რა გვჭირს – ამდენ თვითმარქვია „მოღვაწეს“ რატომ ვერ დაუოკებია აცანცარებული ტვინის ღიტინი?!.

– ეს რა ყეყეჩი ვინმე ყოფილხარ, – გულიანი სიცილ-ხარხარით ამიყიჟინდებით, – ნუთუ მართლა გჯერა ამ დაბდურთა ბჟუტტურის?!

მაშინ მით უარესი! სულის მღაფავ საქართველოს ამდენი ბჟუტტურით ტვინის გაბურღვაღა უნდა?!. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალთაობელებს ხომ სულ თავგზა აუბნიეს და ვეღარ გარკვეულან – მართლა როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ეროვნული მოღვაწე... თავმდაბალი მამულიშვილი... ერისკაცი... ღირეული სამთაწმინდე... უკვდავების ბინადარი... დიდი ქართველი... გამორჩეული შემოქმედი... კითხული... ხალხის წინამძღოლი...

ჰოდა, ნუთუ ავკაცობაში უნდა ჩამომერთვას, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ოფიციალურ დონეზე მლიქვნელურ-ანგარებიანი ქება-დიდებით მოქალაქის ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლის ჩამატებაც რომ მოვითხოვო სასჯელის უმკაცრესი ზომის...

მჯერა, ახლა კი ხმაგაბმით ამიყვირდებით: რას მიედ-მოედები?!.. აბა, სხვა რომელი ქვეყნის კოდექსშია მაგგვარი მუხლიო?!

კი მაგრამ, თქვენ სხვა ქვეყნებს რას უყურებთ?!

რატო გავიწყდებათ, რომ საქართველო კირილე მიმინოშვილის, კვაჭი კვაჭანტირაძის, ყვარყვარე თუთაბერისა და ასიათასობით მათ მსგავსთა სამშობლოც არის!!!

ღია წერილი ბ-ნ ქსეფარუნგს!

ბ-ნო ქსეფარუნგ, მოკლედ გეტყვით ჩემს სათქმელს, უფრო სწორედ კი ჩემს სატანჯველს! ცხადია, გაგიკვირდებათ: მე რა შუაში ვარ თქვენს სატანჯველთან, მით უმეტეს, როცა ჩვენ ერთმანეთს პირადად არც კი ვიცნობთო!

შეეცდები, ყველაფერი მიუკიბ-მოუკიბავად აგიხსნათ! შარშანწინ დიდუბის პანთეონში დაკრძალეს თქვენი კოლეგა და მეგობარი, ასევე მეცნიერებათა დოქტორი, ბ-ნი რამაზ ცოტაძე.

დაკრძალვამდე პრესაში თქვენ თანაგრძნობა გამოუცხადეთ განსვენებულის ერთადერთ ასაკოვან ქალიშვილს, დაუოჯახებელ ქ-ნ დეას! ის მიმართვა მეტად გულთბილი და თანაც თანადროული იყო! მაგრამ აი, უბედურება: ასეთი მოკლე-მოკლე გასამხნევებელი ღია წერილები თქვენ თვითმიზნად აქციეთ და განსვენებულის ორმოცზე, ყოველ წლისთავზე თუ საკუთარი შეხედულებისამებრ აქვეყნებთ და აქვეყნებთ!

ბევრს უეჭველად არნაუტად მოვეჩვენები: დოქტორ კაცს განსვენებული მეგობრის მარტოხელა ქალიშვილისადმი გამხნევების გამოცხადებას უკრძალავსო! მე კიდევ აქ აი, რა მამჭმუნვარებს: პირადი შეხვედრისას თუ ტელეფონით გამხნევება-თანადგომის გამოცხადებას უფრო მეტი სითბო და გულწრფელობა არ უნდა ახლდეს?! მაშ, რაღა მაინცდამაინც პრესის ფურცლებიდან?!

აქ გლადიატორული სიმედგრე თუ არ გამოვიჩინე, ყველაფერი წყალში ჩამეყრება!

ბ-ნო ქსეფარუნგ, საზოგადოებას უკვე მოთმინება დაუშრიტა თეთრი ძაფით ნაკერი თქვენი ღია წერილების შორს გამიზნულმა წინადადებებმა.

„ქ-ნო დეა, როგორმე უნდა გაუძლო ამ ეროვნულ დანაკლისს... მესმის, შენისთანა სუსტი არსებისთვის ეს მეტისმეტად ძნელი იქნება, მაგრამ მთელი საქართველო შენთანაა და ეს საყოველთაო თანადგომა უეჭველად გადაგატანინებს!.. როგორც სახელოვანი მამის საყოველთაოდ გამორჩეულ ერთადერთ ქალიშვილს, ჩვენი საზოგადოება შენ შემოგყურებს და თუ საჭიროდ მიიჩნევენ, მტლად დაგედებიან, რათა...“ და სხვ. და სხვ.

ბ-ნო ქსეფარუნგ, ყველაფერს საზღვარი აქვს! თქვენ პირდა-

პირ ნემსის ყუნწში გაძრომას ლამობთ, რათა საზოგადოებისთვის აქამდე სრულიად უცნობი, ერთი რიგითი, ჩვეულებრივი შინაბარა დიასახლისი განსვენებული მამამისის ამოსაფრებით რატომღაც ცნობად პიროვნებად აქციოთ და უვაცო ფარას დამსგავსებულ მასას საქმე ისე წარმოადგენინოთ, ვითომ მთელი საქართველო ქ-ნ დეას შემოჰყურებდეს და თუ საჭიროდ მიიჩნევს, მზადაა ზედ წამლადაც დაენაყოს, ოლონდ!..

ბ-ნო ქსეფარუნგ, ქ-ნ დეასადმი გამოქვეყნებული თქვენი ამგვარი მიმართვები დაუძლეველ საცდურს შეიცავს მერყევი ბუნების მანდილოსნებისთვის – ბევრ მათგანს თავისთავად უჩნდება უკადრისი სურვილი, რიამე დამსახურების გარეშე ისიც მოაქციონ საზოგადოების ყურადღების ცენტრში და თუ საჭირო შეიქმნება, მთელი საქართველო წამლად დაენაყოს!

არადა, ჯვარზე გაკრულ საქართველოს ვინმეზე წამლად თვითდანაყვის ილაჯი აღარ შესწევს! პირიქით – თუ სინდისი და თავგადადება გაგვაჩნია, სამშობლოს მალამოდ თითოეული ჩვენთაგანი უნდა დაენაყოს!..

ერთი სიტყვით, საქართველოს ცუდმედიდურად ნურვინ ნუ ეთხლიშება!..

ბ-ნო ქსეფარუნგ, არამც და არამც არ იფიქროთ, აქ თუგინდ იოტისოდენა პირადული რამ მამოძრავებდეს. გწამდეთ, როგორც თქვენთვის, ისე ქ-ნ დეასთვის ჩემს სიცოცხლეში თვალიც არ მომიკრავს!.. ალბათ, არც ეს ღია წერილი დაიწერებოდა, ერთერთ სანდო წრეში მოთმინებადაკარგულთა დრტვინვა რომ არ მომესმინა: დეა სრულიად საღ-სალამათია და ნეტა რად უნდა წარამარა ამდენი გამხნევებაო!.. ან სადაური სუსტი არსება ისაა – ამხელა ქალმა ერთი გამეტებით რომ შემოჰკრას, ხარკამეჩს წააქცევსო!!!

თქვენი მონა-მორჩილი
ოროველ მეგუთნიშვილი
20. 01. 20

დროის პერიოდები

ო, რა დრო დაგვიდგა! რას მოვესწარით!

ციცერონი

ღმერთო, თუგინდ მათუსალას ასაკს გადააშორე დიდებისა და უკვდავებისთვის მოჩალიჩე ეს ამოდენა ე.წ. მამულიშვილები, შემოქმედნი თუ საზოგადო მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხალხს ყელს რომ აჭრევინებენ თავ-თავიანთი გამოგონილი „დამსახურების" გაუთავებელი ჩამოთვლითა და დებილური პრეტენზიების ბუუტურით! თანაც მაშინ, ჭერი თავზე რომ გვენგრევა და გაუბედურებული საქართველო ნალსა და ჩლიქს შუა გამოდის!

ცხადია, მკითხველები დაიბნევიან: თუკი ასეა, აბა, ღმერთს მათ დღეგრძელობას რაღას შესთხოვო?! ჰმ! მათ კიდევ ჯვარი სწერიათ – რაღაც საზღვრებსა და ზომიერებას ასე თუ ისე, მაინც იცავენ!.. მაგრამ რომელიმე მათგანი გარდაიცვლება თუ არა, მერე იწყება, რაც იწყება! მათი ოჯახის ერთ-ერთი, ყველაზე უკანდაუხეველი, თუჯისშუბლიანი წევრი ყოველგვარ კანონიერ წინაღობეს კულაკურ-კამეჩურად აწვება, რათა რადაც უნდა დაუჯდეს, თავისი „ღირსეული", „დაჩაგრული", „აუღიარებელი", „მიჩქმალული", თუ ყველასათვის ჯერ უცნობი „გენიოსი" დროზე გააუკვდავოს!!!

აგერ, ერთ-ერთ ქალბატონს, თუგინდ ცარიელ სატვირთო ვაგონს რომ გადააყირავებს, ერთი ვირის საპალნე ხელმოწერები შეუგროვებია და თავისი ჭკუით საჭიროდ მისაჩნევ ინსტანციებს კარს უტალახიანებს: მთელი თბილისი მოწმეა, ჩემი ძმა სუფრასთან სამი დღე-ღამეც რომ მჯდარიყო და ექეიფა, გარეთ (ე.ი. მოსაშარდავად!) ერთხელაც არ გავიდოდაო!!! ჰოდა, ეროვნულ გმირად ეხლა მაინც გამოაცხადეთ და დედაქალაქის რომელიმე „ფარსაგი" რესტორნის წინ ძეგლი დაუდგითო!..

თბილისში რომელილაც სოფლიდან დილის ავტობუსს ჩამოყოლილი და ამოჩემებულ დანესებულებაში გამოცხადებული გაშავრკინებული ხნიერი ქალი ერთ-ერთი განყოფილების გამგის მისადგმელ მაგიდაზე საქმიანად ალაგებს ავტოავარი-

აში ნაადრევად დაღუპული თავისი დისწულის ლექსების ხელნაწერებს. მერე კი, როგორც წყალგაუვალ თვალსაჩინოებას, მოჩვენებითი მოთმინებით მოჩერებულ სათვალიან გამგეს ცხვირწინ თავდაჯერებით უშლის მრავალტირაჟიანი გაზეთის შელახულ ნომერს.

– აი, ის ადგილები გახაზულიცა მაქვს – 1988 წელს გამოქვეყნებულ თავის პოემაში ლომისდარმა – დეიდა მოუკვდეს! – რუსეთის პოლიტბიუროს წევრები გაუმაძღარ მონღოლ მთავრებს შეადარა!. მითხარით, იმჟამად ამაზე მეტი რაღა უნდა გაებედათ?!. პირველი მდივნის მითითებით რაიმილიცია მოსაკლავად დასდევდა და ერთხანობას მთაში ძმადძრახულთანაც იმალებოდა!..

– ჰმ, ჰმ!

– ხოლო მისი ლექსების ხელნაწერებს მელნის გაშრობასაც არ აცლიდნენ და... დღესაც გაიმღერიან!

– ვინ?

– ყველანი!.. მთელი რაიონის მედოლგარმონეები... მედუდუკეები... ჩვენი ანსამბლის, „შეხტი, შემობზრიალდი!“ წევრები... ჰოდა, ნუთუ არ დადგა დრო, ჩემი დისწულიც ფუნიკულიორზე ანდაც დიდუბის პანთეონში გადმოასვენონ!

– ეგ ასე არ ხდება, ქალბატონო!

– მაშ, როგორ ხდება?!. შეუძლებელია?!. აბა, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაქოდან, ვასილ ყიფიანი კი – აკაკიმ „განთიადისას“ რომ მიუძღვნა! – როსტოვიდან როგო გადმოასვენეს?

– ქალბატონო, ჯერ ერთი, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაქოდან კი არა, განჯიდან გადმო...

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს! ხომ გადმო...

– ხოლო ყიფიანს ვასილი კი არა, დიმიტრი ერქვა და თანაც გადმოასვენეს არა როსტოვიდან, როგორც თქვენ ბრძანეთ, არამედ ნალჩიკიდან!

– მით უმეტეს – ჩვენი სოფელი უფრო ახლოს არ არის?!. აჰ, შეუძლებელია, არა?!. აბა, ლომისდარსაც ჰყოლოდა პატრონი, აქამდე უკვე...

– ქალბატონო, მაგას ჩვენ არავინ გვეკითხება – ეგ დროის საკითხია! დრომ უნდა...

– დრო რა შუაშია?! გულთან დღესვე თუ არავინ მიიტანა, მერე უფრო ვინღა შეინუხებს თავს?!. ან დროს სად ველოდო?!. ამას ისე არ დავტოვებ – ბლუაშვილთანაც მივალ!.. ბოდიში მომითხოვია შეწუხებისთვის!.. ნახვამდის!..

პარლამენტის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის კაბინეტში შეშვებული წარმოსადეგი ქალბატონის თავდაჯერებულ მზერას ვერაფერს დააკლებს ცეხცლი, მახვილი, ტყვია, ხერხი, შიში, ქლიბი, შეგონება, ურო, ელექტრობურღი!.. მას „სამართლიანი" მოთხოვნა ამოძრავებს – მისი ძმა დიდ ქართველად აღიარონ!

– რის საფუძველზე, ქალბატონო?

– 1983 წლის შვიდ ნოემბერს ჩემმა ძმამ რაიკომის შენობის ფასადიდან დილაბნელზე ჩამოხსნა ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" დაგრიხა, მეზობლის თხას თოკივით შეაბა და მერე პარადზე ჩამოატარა!

– აჰა!

– ჰოდა, ჩემმა ძმამ ამით შეარყია კომუნისტური იდიოლოგია და სსრკ მალე დაინგრა კიდეც!.. მაშ, ნუთუ არ არის ღირსი, დიდ ქართველთა სახელოვანი პლეადის კაშკაშა თანავარსკვლავედს ისიც ამშვენებდეს?!

პარლამენტარი ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა – ერთი შეხედვით შეატყო, ვისთანაც ჰქონდა საქმე!

– ქალბატონო, კარგად მესმის თქვენი, მაგრამ ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ არის!.. ამას კი გპირდებით – სადაც საჭიროა, საკითხს იქ დავაყენებ!. პასუხი გეცნობებათ!.. ეს თქვენი განცხადება კი მისაღებში ჩემს მდივანს ჩააბარეთ!.. კარგად ბრძანდებოდეთ!..

დინოზავრისსახიანი ქალბატონი პარლამენტის შენობას გულის ამრევი გამომეტყველებით ტოვებს – თავისი ძმის გაუკვდავების გზაზე უმთავრესი ნაბიჯი უკვე გადადგმულია!..

ერთი რიგითი, უფერული მხატვრის დაია თბილისის მერიაში გადაჭრით მოითხოვს – ჭავჭავაძის პროსპექტის ერთ-ერთ მიმდებარე ქუჩას წოდება შეუცვალონ და მისი ძმის სახელი მიეცეს! რატომ? რატომ და მის ძმას ჯერ კიდევ 1977 წელს ჭიათურელ მეშახტეთა საფარველით „გენიალური" ფერწერული ტილო შეუქმნია – **„მეტი შავი ქვა კომუნისტურ პარტიას!"**

– აჰ, ვიცით, ვიცით ეგ ნახატი!.. თბილისის სხვა რომელიმე რაიონის ქუჩა რომ...

– არავითარ შემთხვევაში! მხოლოდ ვაკეში!.. ილია ჭავჭავაძის...

* * *

ღმერთო, ეს რა დღეში აგდებენ ისედაც ილაჯგაწვეტილ საქართველოს!

შიშით ზოგიერთი გაზეთი აღარ გადაიფურცლება!.. ველარც ტელევიზორი ჩაგირთავს!.. თუ მაინც ვერ ისწავლე ჭკუა ან ვინმეს ხათრი ველარ გაუტეხე და მის შემოქმედებით საღამოზე შეგიცდა ფეხი, მალე ახალი თავსატეხი გიჩნდება: იქიდან როგორმე მეჭორავეთა თვალშეუსწრებლად გამოიძურწო, თორემ ამდენი განდიდების ბოდვისგან შეიძლება გულყრა დაგემართოს – ყველა თავისი სასურველი პერსონის სახელდახელოდ „გაუკვდავების“ უტიფრულ გაწამაწიაშია და თავიანთ პათოლოგიურ მოუთმენლობასა თუ უსაფუძვლო სურვილებს უდანაშაულო საზოგადოებას თავ-პირში მუხის კეტივით ურახუნებენ: თქვე კრეტინებო, ბოლოს და ბოლოს შეისმინეთ, დაიჯერეთ, შეიგნეთ, დაგვთანხმდით, ჩაინერგეთ და სხვებსაც ჩაუნერგეთ – ჩემი შვილი (ძმა... მამა... ქმარი... შვილიშვილი...) პოეზიის დედოფალი (მეფე, კაპიტანი, პრინცესა, უფლისწული...)... დიდი ქართველი... არქიტექტურის მამამთავარი... პრეზიდენტობის უბადლო კანდიდატი... მუსიკის მაესტრო... ვოკალის გრანდი... სამთაწმინდე მამულიშვილი... ბალეტის მეტეორი... ფუნჯის ჯადოქარი... თეატრის ქურუმი... სცენის ფარაონი... ესტრადის ლერწამი...) იყო ან არისო!!!

ან რა დღეში არიან მავანთაგან მავნებლურად წატყუებული ეს ამოდენა – მოდი, მათ პირობითად ასე ვუწოდოთ – სწრაფი რეაგირების კორპუსის მამაცი ჯარისკაცები! ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობმა პირებმა ვისიმე სახელდახელო გაუკვდავებაში იქნებ როგორმე თვითონაც ჩაიდონ წილი და ტელეეკრანებსა თუ გაზეთის ფურცლებზე მათი გვარ-სახელიც ელავდეს, საძრახისი პოპულარობის წყურვილით გათანგული კაცების ერთი კატეგორია დროდადრო ივიწყებს თავის ღვიძლ საქმიანობას: მენახირეობას... გარევაჭრობას... სტამბა-რედაქ-

ციას... დურგლობას... ვითომ სამეცნიერო მუშაობას... ბაზრის მეჩეკეობას... ხოლო ასაკგადაცილებული „საზოგადო მოღვაწე" ქალბატონები – სარეცხს... უთოს... საოჯახო საქმიანობას... სამზარეულოს... შვილიშვილების მოვლა-პატრონობას... ბაღ-ბოსტანს... ნემსსა და ძაფს... კრუხ-ჭუჭულას და მავანთა „გამაუკვდავებელ", თან თავიანთ „თვგამოსაჩენ" რაღაც უკბილო ლექსებს, ბალადებს, შაირებს, ბაიათებს, მილოცვებს, პოემებსა თუ სახოტბო ოდა-სადღეგრძელოებს დამშვიდებული სინდისით მჭადივით აცხობენ და... უქვეყნებენ კიდეც!!!

შედეგი? ოოო!..

ერთი სიტყვით, განსჯა-მოთმინება აღარავის ჰყოფნია – თათარიახნად „გაუკვდავებულთა" ტვინაობებულ პატრონებს ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ურჩევიათ!

არადა, დახედული კაცი მაშინვე ხვდება: მოუსყიდველი დრო ქათმის კი არა, მათ შემთხვევაში ჩიტის კვერცხსაც არ ჩაიფიქრებს! ქათამზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია!

ვინ იცის, ამას იქნებ ბევრი „გაუკვდავებულის" გონებაბნელი, იხტიბარგაუტეხელი პატრონიცა ხვდება, მაგრამ ვეღარ გაჩერებულან! ანდა, რატომ უნდა გაჩერდნენ, თქვენი ჭირიმე – ულმობელ დრო-ჟამს თუ ვერ მოაღორებენ, ჭრელ საახლობლოსა და თავიანთი სადარბაზოს ხათრიან მეზობლებს მაინც ხომ აყრიან თვალებში ნაცარს?!

აი, ასე უტიფრად ითითხნება საგვარეულო თუ სულაც საოჯახო კარიკატურული ლეგენდები: ჩემიანი პოეზიის მეტრად... ჰოლივუდში გასაგზავნ კანდიდატად... დიდ ქართველად... მეორე ილია ჭავჭავაძედ.... წმინდანად... ქართული ლექსის რეფორმატორად... პრეზიდენტობის კანდიდატად... საქართველოს უგვირგვინო მეფედ... სამთანმინდედ უნდა ელიარებინათ, გამოეცხადებინათო, მაგრამ!..

მაგრამ თავმდაბლობის გამო თვითონა თქვა უარი!.. ერთი ხმაღა დააკლდა!.. ქართველურმა შურიანობამ შეუშალა ხელი!.. თანამშრომელთა ინტრიგამ იმსხვერპლა!.. ჟიური თუ დამკრძალავი კომისია განგებ მისი მტრებით გაავსეს, თორემო!..

ბნელეთის მოუთმენელმა მოციქულებმა საქართველოს არსებობა საუკუნეებით ან წლებით კი არა, ლამის თვეებით გა-

მოგვითვალონ!.. საქართველო ცას ცხვირით ჰკიდია, ესენი კი!.. თუ საქართველო აღარ იარსებებს, მაშინ ვიღა შეინახავს ან ჩვენს ნამდვილ უკვდავთა და მით უმეტეს, ან შინაურებისგან თვითნებურად „გაუკვდავებულთა“ ხსოვნასა და სახელებს?!

ამ ტვინშედედებულებს ეს შიში ნეტავი ოდესმე თუ გავლებიათ?!

აბა, ამათ ხელში საქართველოს რა გაახარებს?!.

ვინ იცის, ამათნაირები კიდევ რას გვიმზადებენ!

ამგვარმა შეუპოვარმა მოძალადეებმა თავისიანების ბრინჯაოს ანდა ოქროს უზარმაზარი ძეგლები შეიძლება უცხოეთში ჩამოასხმევინონ, საქართველოში ფარულად ჩამოიტანონ და ერთ დილას რუსთაველის... ილიასა და აკაკის... დავით აღმაშენებლის... არსენა ოძელაშვილის... ვახტანგ გორგასლის... დავით გურამიშვილის... გალაკტიონის... ნიკოლოზ ბარათაშვილის... კონსტანტინე გამსახურდიას... ფიროსმანის... ერეკლე მეორის... ალექსანდრე ყაზბეგის... ვაჟა-ფშაველას... სულხან-საბა ორბელიანის... ზაქარია ფალიაშვილის... ნიკოლოზ მუსხელიშვილის... გიორგი ლეონიძის... მიხეილ თუმანიშვილის ძეგლების გვერდით ანდა სულაც მათ ადგილას აღმართული დაგვახვედრონ!!!

არც გაგიკვირდეთ – ამათნაირებისგან ყველაფერია მოსალოდნელი! აბა, კარგად დააკვირდით: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მავნებლური გამოყენებით ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთურ სამწყვდევს დაამსგავსეს, რათა ისედაც გატანჯულ-გაწამებული საზოგადოების სმენა, მზერა, აზრი, ფიქრი, ვარაუდი, გემოვნება, განსჯა, გულისყური, მეხსიერება, მოთმინება, მახსოვრობა სულ თავისიანების „გაუკვდავების“ ძალადობრივი პროცესის ირგვლივ ატრიალონ და თავიანთი გონებამიღმური ახირება თავში სადისტურად ჩაგვილურსმონ!!! ოღონდ აქ ესღაა გასაკვირი – ეს მარტორქისტვინიანები რატო ვერ ხვდებიან, ამდენი უღმერთო ძალადობა უკუშედეგს რომ იძლევა ანდა ნუთუ არასოდეს სმენიათ: სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადაო!.. კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი არა იყო რაო!.. ქუხილით წვიმა არ მოვა, დაძახებით კი ლაშქარიო!.. ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო!... თავის ქება კიტრის ფასიაო!.. ღმერთმა ნუ ქნა შინაბერას ბუქნაო!.. ააფრინე ალალიო, რაც არ არი –

არ არიო!.. ბოსტნის ბოლოს ქინძარაო, გინდ მდგარა და გინდ არაო!.. მეტისმეტი – რეტისრეტიო!.. ვერ მააწონებ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშიაო!.. კარგნი ვართ, ამას ნუ იტყვი, თავს (შვილს, ძმას, დას...) ნუ დაუწყებ ქებასა, კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა!.. ბევრი მაამო ხარს გააგიჟებსო!.. სინდისიც კარგი საქონელიაო!.. თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო!..

სულში ჩაფურთხებული საზოგადოებაც ხან გებრალება, ხან – გაღიზიანებს: რატომ ისმენს და ითმენს ამდენი ჭკუასუსტის გაუთავებელ ღრიჭინს?! აუცილებლობისას წამქეზებლებსაც და წაქეზებულებსაც გონზე მოსაყვანად ნუთუ ისე ვერ უნდა მოსწიოს სიფხიზლის აღვირი, სულ ლაშები დაეჟეჟოთ?!.

სასოწარკვეთა თავისთავად გპოულობს – ეს რა საზიზღარ მოდას ამკვიდრებენ: აღარავის ხიბლავს თავმდაბალი, რიგითი მოღვაწისა თუ შემოქმედის საჭიროება, აუცილებლობა, მიმზიდველობა, მნიშვნელობა, მშვენიერება!.. რანაირად შეიძლება, ყველა დიდი ქართველი და სამთაწმინდე იყოს?!. ამასთან დაკავშირებით ვინმესთან ლაპარაკი შეგიხვდება და ქვეყნის მომძულებლები მაშინვე პირზე კლიტეს გადებენ – შენ ჩამორჩენილი ხარო!.. ვერ უყურებ, რა დრო დაგვიდგა: შენ თვითონვე თუ არ იზრუნე საკუთარ ან შენიანის გაუკვდავებაზე, მერე თქვენთვის თავს ვილა გაიცხელებსო?!.

ამქვეყნიური ორომტრიალისაგან შენც თავს გარიყულად გრძნობ და ერთადერთი ბედნიერებაღა გრჩება – სევდადაცემული, თბილისური ხმაურისაგან ცოტა მოშორებით, მოუვლელი ტყეპარკის ხექცეულის ტოტებშუა ძაღლივით მოძუძგულმა ღამღამობით შტერულად უცქირო ვარსკვლავებით მოჭედილ ცას!..

თუმც ამდენი შეცქერაც ცრემლმოწოლილ თვალებსა და გონებას გიღლის, რის გამოც ამის მეტი აღარაფერი გეფიქრება: შეუძლებელია, უცხოპლანეტელები ჩვენზე უკეთ ვერ ხვდებოდნენ ამ თავიანთი ექსპერიმენტის წარუმატებლობას! მაშ, რაღას უცდიან და ჩვეული წარღვნით არ გადარეცხენ მატრაბაზების ამ სათარეშოს, რათა ახალმა ექსპერიმენტმა იქნებ ცოტათი უფრო გაუმართლოთ?!

მაგრამ აი, უბედურება: როგორც ყველაფერი, უცხოპლანეტელების არც ეს ვიცით – ამასთან დაკავშირებით როგორია მათი დროის პერიოდები!!!

მტკვრის ხეობიდან გამონაქროლი სუსხიანი ქარი თბილისს ჯიბრიანად შემოსზუზუნებდა. ხრუშჩოვულა კორპუსის ბოლო სართულზე, ერთოთახიანი ბინის სამზარეულოში შეხნიერებული ცოლ-ქმარი ვახშამს მდუმარედ მისჯდომოდა.

წელში გაშლილი კაცი მადიანად ჭამდა რუხ პურსა და ტყემალმოსხმულ გუშინდელი კარტოფილის პიურეს, თან ცდილობდა, პირისპირ მჯდომ მობუზულ მეუღლეს შეუმჩნეველად დაჰკვირვებოდა.

უპეებგამომჭკნარი ქალიც ისეთივე პიურეს შეექცეოდა, თან ძალდატანებით ძიძგნიდა ქათმის ბარკალს. ამასთან პირისახე ისე ემანჭებოდა, ჩანდა, ამ სატანჯველს დიდხანს ვერ გაუძლებდა და სადაცაა მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა. ასეც მოხდა!

– არ შემიძლია, არა, არა! – შემოსტირა ქმარს, ქათმის ბარკალი უაზროდ მოისროლა და ფაფის ჭამაც შეწყვიტა.

კაცს სახე გაუმკაცრდა, რაკი ყველაფერი წყალში ჩაეყარა. გადაეწოდა, აქვითინებულ ცოლს ნიკაპი თითით აუწია და გასამხნევებლად ლოყაში შემოუწკაპუნა. მერე ადგა, იპოვა მონასროლი ხორცის ნაჭერი, მარდი ჭავლის ქვეშ გადარეცხა, მეუღლეს თეფშზე ხაზგასმით დაუდო და მიმიკურად უბრძანა – ეს უნდა შეჭამოო!

– რა მოგდის, გუშინდელი არ იყოს?!.. რა არის აქ იმისთანა, რომ... თავიდან ეს შენ გეჩვენება ძნელი, თორემ... რამდენჯერ უნდა აგიხსნა?!. ხომ ხედავ, ვილუპები!... ნუთუ ეს არ გესმის?!.

– როგორ არ მესმის, მაგრამ... – ცრემლების ყლაპვით უპასუხა ქალმა და ავადმყოფივით განაგრძო ხორცის კუკნა, მაგრამ ვერც ამჯერად მოერია თავს და ისევ ხელუკუღმა გადააგდო, – არ შემიძლია, არა, არა!.. მეც გამიგე!..

დაკუშტული კაცი ჭერს სასოწარკვეთით ააჩერდა და მკლავები უღონოდ გაშალა – მე მეტი აღარაფერი შემიძლიაო! ადგა, გადაგდებული ხორცის ნაჭერი აიღო და ნაგვის ვედროში მშვიდად ჩააგდო. მერე ისევ თავის ადგილს იმედგაცრუებული დაუბრუნდა და თავჩაქინდრულმა განაგრძო ჭამა.

ახლა ორივენი დიდი ხნის უმძრახებივით შეექცეოდნენ უმა-

წივრო ფაფას. ქალმა ვერც ამ წუხილიან მდუმარებას გაუძლო. ადგა, ნაგვის ვედროდან დამნაშავესავით ამოიღო ხორცის ნაჭერი, გადაირეცხა და შეცივებულ პიურესთან ერთად ლამაზად შეჭამა. თან ქმარს მკაცრად დასჯილი სეტერის თვალებით შეხედა.

– აი, ასე!... ყოჩაღ! – კაცს სახეზე მარილიანი ღიმილი გადაეკრა, – აბა, დაინგრა ქვეყანა?!.

ლოგინში ორივე გვიან ღამემდე გაუნძრევლად იწვა, თუმც ერთმანეთის სუნთქვით ხვდებოდნენ, ჯერ არც ერთს არ ეძინა. კაცმა ხელი გადააპარა და ლოყაზე ნაზად მოუთათუნა.

– მაპატიე... ძალიან გეტკინა?

– ისე, რა!... ცოტა!... არა, არა!.. აბა, თუ ჩადგეს ქარი!

– ჩადგეს კი არა, უფრო მოუმატა!.. თუ არ ჩავარდება, ხვალე ნუ წახვალ.

– რას ამბობ – ასე ქარსა და ყინვას რომ ვუყურო!..

* * *

კაცი მწერალი იყო, თანაც უმუშევარი, პენსიამდე კი ჯერ შვიდი წელი უკლდა. ქალი კიბერნეტიკის ინსტიტუტში სანიმუშო პროგრამისტად ითვლებოდა, მაგრამ იქ თავიანთი კადრის ჩასასაფრებლად ნაცებმა უბოდიშოდ მოისროლეს. არადა, პენსიამდე მას კიდევ ექვსი წელი უნდა ეცადა. მათი ერთადერთი ვაჟი ბოლო ათი წელი ხორვატიაში იყო გადავარდნილი. მისგან გარკვევით არაფერი ისმოდა: არც დახმარებას ითხოვდა, არც რამეს აგზავნიდა!..

ქვეყნად რიღასთვის არსებობს მადლი და ბედ-იღბალი – ანი ღვიძლ დასავით შეზრდილმა სტუდქალაქელმა დაქალმა ელიავას ბაზრობაზე ერთ პატარა, სევდის აღმძვრელ რკინის ჯიხურში ჩაიყენა!

მონური არსებობის სახსარი კი გაჩნდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი! მწერალი ღრმა დეპრესიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგან არ ჩანდა, რაზე დაეფუძნებინა მომავლის რწმენა და შემოქმედებითი შემართება. გარედან მავნებლურად დაგეგმილი და შინაური ბედოვლათებისგან მართული საქართველო არ იძლეოდა რწმენისა და შემოქმედებითი აღმაფრენის საფუძველს.

წლების მანძილზე აქ მოქმედებდა არა მართლა პოლიტიკა, არამედ პოლიტიკანობა, არა მართლა ოპოზიცია, არამედ ოპოზიციობანა... და ასე, უსასრულოდ: ქველმოქმედობანა... პოეტობანობა... მამულიშვილობანობა... შავი ზღვის, ნატოსა და ევროპის სამიტობანა... კუთხეების აღორძინებანობა... ნაღვლის გამასიებელი ჟიურიბანობა და ლაურეატობანობა.... ერთნებანობანა... დიდმოხელეთა გაუთავებელი და უშედეგო გადაადგილებანობა... სასჯელაღსრულებანობა... ვიზიტობანობა... მცირე და საშუალო ბიზნესობანობა... ერისკაცობანობანა... ტოლერანტობანობანა... თავაწყვეტილი ტაშფერხულობანა... ინვესტიციობანობა, სასიკეთო შედეგი კი არაფერს ეტყობოდა – საქართველო უარდაუარ მიდიოდა!!!

უბედურ მწერალსაც ესმოდა, გულხელის დაკრეფა დანაშაულს უდრიდა – სამშობლოს გადასარჩენად თვითონაც უნდა გაეღო მწერლური წვლილი. მაგრამ მორალური თავგადარჩენის გარეშე წერას ვეღარ ახერხებდა, რადგან ამ დამყაყებულ გარემოში ხელჩასაჭიდი მაშველი რგოლი არ ჩანდა, შემოქმედებით ჟინს რომ დაუმუხტავდა. უამისოდ კი სულიერი დაჩაჩანაკება ემუქრებოდა!

დაუცხრომელმა გონებრივმა დუღილმა მაინც თავისი გაიტანა – სულიერი გაკაჟების მიკრომოდელი თავისთავად ჩამოუყალიბდა! მეორე მსოფლიო ომის დროს მხოლოდ აღმოსავლეთის ფრონტზე მებრძოლ და დაღუპულ ვერმახტის ჯარისკაცთა ოჯახებს ეძლეოდა ფრთებგაშლილი არწივის ემბლემით დამშვენებული სასურსათო წიგნაკი „Ostfront“. ამ საბედისწერო სპეცწიგნაკის მფლობელი დანარჩენი თანამოძმეებისგან განსხვავებით ცოტა მეტს, რაღაცით განსხვავებულ ულუფას იღებდა, თანაც ურიგოდ! მაგრამ აქ მთავრი ცოტა მეტი ულუფა კი არა, ერის გამაოგნებელი შეგნება და შეკრულობა იყო!!!

მწერალს ერთმანეთის მიყოლებით ახსენდებოდა იმ საშინელი წლების შესახები მხატვრული ლიტერატურა და ფილმები, განსაკუთრებით კი კინოქრონიკის უკვდავი კადრები: შიმშილით გამოფიტულ, ლოყებჩაცვივნულ გერმანელ მოქალაქეთა რწმენასა და ერთსულოვნებას ბზარი არც მაშინ გასჩენია, აღმოსავლეთის ფრონტი რომ დაიშალა და საბჭოეთის თვალგადაუწვდენელი

სივრცეებიდან ვერმახტი თანდათან უკან იხევდა. ამის მიუხედავად, საგანგაშოდ შემცირებული სადღეღამისო ულუფის მომლოდინეთა მწუხარე რიგში „Ostfront"-ის წიგნაკთა მფლობელებისადმი არაფრის წამოყვედრება ან ნიშნმოგებული სიტყვა!.. არავითარი შურიანი, გესლიანი, დამცინავი, უიმედო თუ აჭრილი მზერა! თვით „Ostfront"-ის წიგნაკების მფლობელთა მხრიდანაც არავითარი ყოყოჩობა ან ყალბი მორცხვობა – აქ ყველაფერს ბრბოსთვის მიუწვდომელი ურთიერთთანაფარდობა ასულდგმულებდა!!!

ამგვარ მოგონებებში ჩაღრმავებულ მწერალს ერთხელაც მსგავსება თავისთავად ამოუტივტივდა! ამ გაძაღლებულ ყოფაში მისი მეუღლე რითი ჩამოუვარდებოდა Ostfront-ის მაშინდელ ჯარისკაცებს?! პირიქით, აღემატებოდა კიდეც! ეს ჯანსუსტი ქალი ყინვასა და ქარბუქში, გაუსაძლის ალმურსა თუ თოვლ-ჭყაპში დილიდან გვიანობამდე თავგადადებულ მორწმუნესავით იჯდა იმ რკინის ჟანგიან სარკოფაგში, საარსებო გროშები რომ გამოემუშავებინა! თვითონ კი შინ ნაცარქექიასავით მოკალათებულიყო და... ამას სხვა რომელი ქალი მოუთმენდა?!. კაცი ლამის შეშლილიყო, მაგრამ რა წყალს მისცემოდა, სად გაქცეოდა მწერლურ ბედისწერას?!.

დახშირბინდებულზე მეუღლე ხან ისეთი გაფიჩხებული მოუვიდოდა ხოლმე, კრიჭა ძლივსღა ეხსნებოდა, მაგრამ ზღურბლზე გადმობიჯებისთანავე სიხარულს მაინც ვეღარ ერეოდა.

– დღეს... ღმე... ეეეე... რთმა გა... გა... გადმომხედა – ოცდაორი ლარი მო.... მოვივაჭრე! – ახარებდა სქლად ჩაჯაჯული, მკლავებდაშვებული ქალი. თან მხრებში ამოიწურებოდა ხოლმე და ცდილობდა, ფეხზეც მყარად გაჩერებულიყო, ქმრისთვის სიცივისსუნიანი პალტოს გახდა რომ გაეადვილებინა, – ჩეკისა და საქონლის საფასურიც რომ გამოვედი, შვიდი ლარი მოგება დამრჩა!

– მართლა?! – მოგონილი აღტაცებით შეუძახებდა კაცი და მოსაფერებლად უმალ იხუტებდა, ნამცივარ მეუღლეს მისი მოულოდნელი სახეშეშლილობა ან ნაიძულევი თვალთმაქცობა რომ არ შეემჩნია! მსგავსი შემთხვევისას მწერალს ელვისებურად ახსენდებოდა ხოლმე ქართულ სალაზღანდარაო პოლიტიკაში კლანურ-წრეობრივი ნიშნით დასაქმებულ ამოდენა წვრილფეხათა ქონებრივი დეკლარაციები და საკუთარი მიუხვედრელობით

დავთრებარეულს, გონება ებინდებოდა – ეს სიტყვაჩლუნგი და არაინტელექტუალური სიფათები როგორ ახერხებდნენ ან როდის მოასწრეს ზღაპრული ქონების შეძენა?! თან ზოგიერთი მათგანი თავისი სიმდიდრის ნაწილს თურმე საგულდაგულოდ მალავდა, მერე კი, თუ რამეში დასჭირდებოდათ, ერთმანეთს კახპებივით აბეზღებდნენ!.. ჰმ, ამოდენა ქონება თუკი მართლა პატიოსანი გზით ჰქონდათ შენაძენი და თანაც სამშობლოს კეთილდღეობისთვის დასაბანდებლად უნდოდათ, დასამალი რაღა იყო – პირიქით, არ უნდა ეამაყათ?!. მაშ, რანაირად შეიძლებოდა, ხალხს ამათნაირ მკვახეტვინიანთა ნდობა და იმედი ჰქონოდა! და რაკი ამ ყველაფრის საიდუმლოებათა წვრილმანებს ვერ ხვდებოდა, ამიტომ მათი სიმდიდრე კი არ შურდა, პირიქით, აშინებდა, როგორც გეშიან მგელს ახალბედა მონადირის მიერ ნაჩქარევად დაგებული ხაფანგი!!! ეს კი მეუღლის მიერ ტანჯვა-წვალებით გამომუშავებულ იმ შვიდ ლარს მის წარმოდგენაში პირდაპირ აუზენაესებდა და სასწაულებრივად აახლოებდა!!!

– ერთ დღეში შვიდი ლარი?!. დაიცა, გულს ხომ არ მიკეთებ?!. მაშ, არ გავიწირებით!.. წამო, დაჯექი!

ქალი იმდენი ნეილონისა და ღაზლის წინდებს იცვამდა, ორი ზომით დიდ ჩექმებსაც ვერ იხდიდა ქმრის დაუხმარებლად! სიცივისაგან დაბუხებულ მეუღლეს მწერალი კედელთან მიდგმულ კანაპეზე დასვამდა ხოლმე, მოსასულიერებლად თავქვეშ სანებივრო მოკლე მუთაქას ამოუდებდა და რის ვაი-ვაგლახით აძრობდა ზამშის გაძალიანებულ ჩექმებს!

მართალია, მერე ქალი ყასიდად ყოველთვის უძალიანდებოდა, მაგრამ კაცი არც უსმენდა! ზურგიან სკამზე წინ მხსნელივით დაუჯდებოდა, მუხლებზე პლედს წააფარებდა და ყველა წინდას რომ გახდიდა, ქალის გახევებულ ფეხებს სქელი სვიტერისა და გრძელსახელოებიანი მაისურის ქვეშ, შიშველ იღლიებში მოიქცევდა ხოლმე. ქუსლები ყინულის ნატეხებს უგავდა, ფრჩხილები – სეტყვის მარცვლებს!

– ოი... ოი... ოი... – ცოტა ხნის შემდეგ ამოაბაბანებდა მომთბარ ქალს და სიამისაგან თვალები მომაკვდავივით ელულებოდა, – ძალიან ნუ მიჭერ!

– ასე როდემდე გაუძლებ! – კაცი კბილებდაჭერით ისაყ-

ვედურებოდა, ხმაში ცრემლს რომ არ გაეჟონა, – ბოლოს და ბოლოს, დაიდგი ერთი ელექტროლუმელი და ეგ იქნება!

– აბა, რას ლაპარაკობ! – მოსულიერებული ქალი ოჯახის მარჩენალის კილოთი სიყვარულით საყვედურობდა, – მაშინ მთელი შემოსავალი მაგას არ ეყოფა და ჩვენ რაღამ დაგვარჩინოს?!. მე რომ მეუბნები, შენ თვითონ რატო არ...

ამის გაგონებაზე კაცს სახე ელუშებოდა.

– შენ იქ ქარბუქში სული გხდებოდეს, მე კი აქ...

* * *

როგორი თოშიანი დღეც უნდა გამორეულიყო, მარტომყოფი მწერალი არასოდეს ჩაირთავდა ხოლმე ელექტრობუხარს! იმაზეც მადლობელი იყო, სარკმლებთან მოზუზუნე ნამქერიანი ქარი შიგნით რომ ვერ ატანდა! წერისას პალტო ეცვა, ხოლო მუხლებზე პლედს იხვევდა. ხელთათმანებიც თვითონ შეირჩია ლილოს ბაზრობაზე. ოღონდ ავტოკალამთან შეხების მომხიბლაობა რომ არ დაკარგულიყო და კალიგრაფიაც არ გაუარესებოდა, მარჯვენა ხელთათმანის ცერს, საჩვენებელსა და შუათითს საჭირო ადგილას ნისკარტმოკაუჭებული პაწია მაკრატლით ფაქიზად ამოაჭრა, მეულლეს კი დაარუფიავებინა, რომ არ დარღვეულიყო.

თავდამავიწყებელ მუშაობას კი მეტი რა უნდოდა!!!

ყველიერის სწორზე ისეთი დილა დადგა, კარში ძაღლი არ გაიგდებოდა. ელი არც ამას შეეპუა და მაინც წავიდა. საღამოთი კი ისეთი გაყინულ-გალუმპული მობარბაცდა, ქმარმა ძლივსღა მოასულიერა.

– შენ ნამდვილი Ostfront-ის ჯარისკაცი ხარ! – აუწყა თვალახელილმა მწერალმა, – ამიტომ ამიერიდან ულუფაც ცოტა განსხვავებული გექნება!

– ეგ რას ნიშნავს?

კაცმა სამზარეულოში გაიყვანა, ყველაფერი თავისებურად აუხსნა და თან აჩვენა კიდეც! ამიერიდან მათ ოჯახში მოხვედრილი ნებისმიერი საკვების ყველაზე საუკეთესო მცირე ნაწილს, მწერალი თავისი შეხედულებისამებრ ცალკე რომ გადადებდა და გვერდით მიუდებდა სასწაულებრივ იარლიყს, „Ostfront“, ის მხოლოდ ელის უნდა მიერთმია ან სამუშაოზე წაელო, თანაც დამშ-

ვიდებული სინდისითა და სიტყვის შეუბრუნებლად!!!

– არავითარ შემთხვევაში! – შეურაცხყოფილ ქალს თვალები აუგიზგიზდა. კომპიუტერზე გოთური თოქმა შრიფტით აკრეფილ ციდიან წარწერას ხელი დასტაცა და გადახევა მოუნდომა, მაგრამ რაკი ლამინირებული აღმოჩნდა და ვერ მოერია, სარკმელი გამოაღო და ნესტიან ქარს ფიფქებთან ერთად გაატანა, – აი!

– ვიცოდი, რაღაც მსგავსს ჩაიდენდი, – აუღელვებლად შენიშნა მწერალმა, – ამიტომ ხედავ, რამდენი დავამზადებინე!..

ელი თავიდან მაინც თავგადაკვლით ეწინააღმდეგებოდა ქმრის ამგვარ უცნაურ წამოწყებას, მაგრამ როცა კაცმა დაარწმუნა, ეს ყველაფერი თავგასართობი ახირება კი არ იყო, არამედ შემოქმედებითი შთაგონების აღსაფრთოვანებლად სჭირდებოდა, მაშინ კი დაუყაბულდა. თუმც თავიდან ზოგჯერ პატარა ეშმაკობას მიმართავდა. მეუღლის მიერ საგანგებოდ მისთვის გადადებული და „Ostfront"-ით მითითებული კერძი თუ ხილი ხან „მიავიწყდებოდა" ხოლმე, იქნებ... მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, ყველაფერი თავისივე ადგილას ფუჭდებოდა და გადასაყრელი ხდებოდა, მწერალს კი ხელი მაინც არაფერზე წაუცდებოდა!!! ამიტომ ელიმაც თავისი უშედეგო „გულმავიწყობა" მოიშალა და გატაცებით შეუდგა დაკისრებული როლის შესრულებას. მით უმეტეს, როცა ამის სანაცვლოდ ქმრისგან სითბოსა და ალერსს იმკიდა. ამაზე კი რომელი ქალი იტყოდა უარს!

თვითონ მწერალიც სიხარულით ცას სწვდებოდა, შემოქმედებითი აღმაფრენა ისევ რომ გაიცოცხლა. მაგრამ ერთი რამ მაინც გულს უკოდავდა – მეუღლეს არ ესმოდა, ვერ ხვდებოდა, მის ქმარს ასე ხშირ-ხშირად როგორ ბეჭდავდნენ ქართველ მწერალთა უპირველეს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო". ამიტომ სიამაყისა თუ სიხარულის ნაცვლად მუდამ სამოწყალო გაკვირვებას გამოხატავდა.

* * *

მის ნოველას ამჯერად „ლიტერატურული საქართველოს" სრული სამი გვერდი ეჭირა! უსახსრობის გამო ლიტერატურული პრესის გასაცნობად მწერალი დროდადრო ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიარებოდა, საშინაოდ და შესანახად კი მხოლოდ

„ლიტერატურულ საქართველოს“ ყიდულობდნენ. ჰოდა, გაზეთის ცინცხალი ნომერი კანაპესთან მიდგმულ ცერკუთხეებიან მაგიდაზე ამხელადაც ჯადოსნურ სატყუარასავით იდო.

დაქანცულ-გათოშილი ელი ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა: სწორედ წამოსვლის წინ უეცარ კუდბაწარს იმოდენა წვრილმანი მარტო მისი დახლიდან აეფანტა და ლტოლვილი მოვაჭრის, თათიკა ღელეკვას დახმარებით ძლივს მოეკრიფა!!!

მწერალი მეუღლეს ახლა უფრო მეტი სითბოთი და რაც მთავარია, მხოლოდ მისი მითითებისამებრ ემსახურებოდა. ნიათგამოცლილმა ქალმა პლედით ჯერ ფეხები შეაფუთვნინა, მერე კი პიტნიანი ჩაი მოამზადებინა და მოატანინა. კაცმა ჩაიც რომ დაალევინა, ზურგიან სკამზე წინ მდუმარედ დაუჯდა და ლოდინად იქცა – კანაპეზე ცოცხალმკვდარივით მისვენებული მეუღლე როდის მოუსულიერდებოდა.

ქალი მოთბა და წახუჭული თვალები თავისით გაეხილა. მაგიდას რომ გადამზირა, მიქანცული სახე ოდნავ გამოუცოცხლდა, რადგან, ეტყობა, ახლაღა გაახსენდა – დღეს „ლიტერატურული საქართველოს“ დღეც იყო!

მწერალმა იგრძნო, სადაცაა ნუგეშმწველი ცეცხლი შემოენთებოდა. თავზევით, კედლის ბრა ქალმა წამოუწევლად აინთო და გაზეთი ხელგაწვდით აიღო.

გაშლილი „ლიტერატურული საქართველო“ მეუღლეებს შორის მაგიურ შირმასავით აიმართა!

ამ დროს ქალი არაფერს არ კითხულობდა. ისე იყო ხოლმე მისავათებული, კითხვის ილაჯი სადღა შესწევდა – ამჯერად მხოლოდ შინაარსს ეცნობოდა, თან რაც არ ესმოდა, მეუღლეს ეკითხებოდა. წაკითხვით კი მეორე დღეს, იქ, ელიავას ბობოქარ ბაზრობაზე კითხულობდა, თან მეზობლებსაც აკითხებდა და ხშირად მათ მიერ გამოთქმული სწორუტყუარი შეფასებები და შენიშვნებიც მოჰქონდა!

მწერალი გაზეთს, ჩვეულებისამებრ, ერთი ამოსუნთქვით დილასვე კითხულობდა. ამიტომ მისი დადარაჯებული მზერა ახლა ისედაც ატყობდა, რა ხდებოდა გაშლილი გაზეთის მილმა!

აგერ, ქალი უკვე მიადგა ორ გვერდზე მოთავსებულ ქმრის ფოტოსურათიან ნოველასაც!.. ის იყო, გაზეთს ნელ-ნელა დაუ-

წყო დაწევა, მეუღლისთვის რომ ამოეხედა და რაღაც ეთქვა თუ ეკითხა, მაგრამ რას წარმოიდგენდა, ნოველა აქ არ მთავრდებოდა – თურმე კიდევ გრძელდებოდა! ეტყობა, ამას უკანასკნელ წამსლა მიხვდა! ამიტომ გაზეთი ისევ აიფარა და გადაფურცლა, რამაც ქალის გაშეშება მოიყოლა! სუნთქვაშეკრულ მწერალს ისღა დარჩენოდა, მოთმინებით აღჭურვილიყო – მაინც სადამდე გასტანდა მეუღლის გაშეშება!.. ან ამხელად ნეტავი რას იტყოდა?!

ქალმა მკლავები ნელ-ნელა დაუშვა და გაჭიმული გაზეთის ზედა კიდესთან ამოჩენილი მისი ფართოდ დახელილი თვალები ჩასაქრობად აპარპალებულ სანთლებს დაემსგავსა. ქმარს ისე შემოსჩურჩულა, თითქოს პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ მოზარდს მიმართავსო.

– შე საწყალო, ნეტავი რა გეშველებოდა, ის თამაზ წივწივაძე რომ არ შეგსწრებოდა?!

– როგორც ნაცარში ტილი, ალბათ, ისე ჩავიკარგებოდი.

ქალის ისედაც დაქანცულ-გაცრეცილი პირისახე გაქუცულ ბაბუაწვერას დაემსგავსა. ორჭოფული დუმილი ჩამოვარდა.

– საკვირველია, სხვები ახლოს რომ აღარ გიკარებდნენ, აბა, ეგ ყველაფერს როგორ გიბეჭდავს?

არ ვიცი... – მწერალმა დამნაშავესავით ჩაულაპარაკა და უხილავ წერტილს მოკუმშული მზერა ისე გაუწვდინა, თითქოს მომავალ საუკუნეთა ჟამუღრანების განჭვრეტას ლამობსო, – მხატვრული ლიტერატურის ან ინჩიბინჩი არ გაეგება, ანდა შურგაუკარებელი გენიალური რედაქტორია!

ქალს შიშისაგან სახე შეუკრთა, თვალები კი ისე მიმოუქანდა, თითქოს გაზაფხულის მზიან ამინდში მოღიაო სარკმლიდან შემოფრენილი ფუტკარი ბზუილ-ბზუილით უახლოვდებაო!

– ეგ გარეთაც არავისთან წამოგცდეს, თორემ სამუდამოდ გადაგეკიდებიან!

მწერალს არაფერი უპასუხია. შეეტყო, ამაზე საუბარი არავისთან სურდა, ეს თუგინდ თავისი მარჩენალი მეუღლეც ყოფილიყო. ამას ქალიც მიუხვდა და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. თუმც ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა.

– მაინც რა კაცია ის თამაზ წივწივაძე... პირად ურთიერთო-

ბაში როგორია?

– არ ვიცი... მე მასთან არანაირი პირადი ურთიერთობა არ გამაჩნია.

– როგორ?! – ქალმა შუბლი შეინაოჭა, – აბა, იმოდენა ნოველებს როგორ გიქვეყნებს?

– არც ეგ ვიცი... – ბეცურად გაუმეორა მწერალმა და სულ აირ-დაირია, – უბრალოდ... როგორც მორწმუნე ღვთის მცირე შესაწირავს მოწიწებით შემოდებს ხოლმე საკურთხეველზე და გამობრუნდება, ნოველა მეც ასე მიმაქვს რედაქციაში და მაშინვე უკან მოვდივარ!

– ჰოდა, ხომ ხედავ, მაგის მეტი აღარავინ გიბეჭდავს!... ამიტომ შენც შეეცადე, დაუახლოვდე!

– რისთვის? – უმად იკითხა მწერალმა, – რასაც შენ გულისხმობ, მაგრე რომ დავუახლოვდე, უფრო დავშორდები!.. დავუახლოვდე კი არა, იმ ვიწრო დერეფანში თავს რომ შევყოფ ხოლმე, გუნებაში უფალს ვეველრები – ჯერ მოსული არ იყოს ან წინ არ შევეჩეხო-მეთქი!

– ვაი, შე საწყალო!.. რატო, რატო?

– რატო და ერთხელ კორექტორმა მასთან შემიყვანა, თვითონ კი ამონაბეჭდების მოსატანად გავიდა. იმ პაწაწკინა ოთახში მარტონი რომ დავრჩით, მაშინვე ვიგრძენ: ორი განსხვავებული შემოქმედის სამყარო მოულოდნელად ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა და ისეთი საშინელი დუმილი ჩამოგვივარდა, შემობრუნებულ კორექტორს გვერდების წასაკითხად რომ არ გავეყვანე, შეიძლება გულიც წამსვლოდა!

– მაშ, შენ მწერალი უნდა გერქვას, მე კიდევ ბაზრის მოვაჭრე! – გაწიწმატებით წამოუჯდა მეუღლე და მუხლებზე შემობორბლილი პლედი ბრაზიანად მოიგდებინა, – მერე, ენა მუცელში რამ ჩაგიგდო?!. მწერალს მე გასწავლო, რა უნდა გეკითხა: როგორ ბრძანდებით, ბატონო თამაზ?.. ახალს რას წერთ?.. ამ ზაფხულს სად აპირებთ დასვენებას? ან ხომ არ...

– შენ რას ლაპარაკობ?! – მეუღლეს პირში სწვდა მწერალი და უმალ შეეტყო, წელანდელი დაბნეულობის ბარდნარიდან უკვე სწორ გზაზე გამოსულიყო, – ვინც ლიტერატურული მავნებლების ბლაგვი ჭანგებიდან გამომიხსნა და ისევ მწერლად მაქცია, ჩემს

თვალში ნამდვილ ღმერთს წარმოადგენს, ღმერთს კი რანაირად შეიძლება, შეკითხვები დაუსვა?!.

– იჰ, თუ ასე...

– ან ეგ რაში მეკითხება, სადა და როდის დაისვენებს?!. მე თუ ამგვარი რამეებით დავინტერესდი: თამაზ წივწივაძე სად დაისვენებს... რომელი ღვინო მოსწონს... სანტექნიკოსმა ონკანები როგორ შეურემონტა... მშობლიური კუთხიდან მოსდის თუ არა სამყოფი კვაწარახი და სიმინდის ფქვილი, მაშინ შეიძლება ჩემი გადამრჩენი ღმერთის ხატიც გამიქრეს და ხელში ჩვეულებრივი სარედაქციო დიდმოხელე შემრჩეს! ამიტომ იქნებ მომეჩვენოს, მიბეჭდავს უფრო იმიტომ, ყოფითი ურთიერთობაც რომ გვაკავშირებს-მეთქი და წერის ჟინიც გამინელდეს ან სულაც დამეკარგოს! ის კი არა, იმ დღეს...

აქ კაცმა ენა წაიკვნიტა, მაგრამ ისე უნიროდ, მეუღლემ მაშინვე შუბლი შეიკრა.

– რა „იმ დღეს?“

– არაფერი... იმ დღეს... ერთი ნოველა კიდევ მივიტანე!

– არა! – კილოაწევით მოუჭრა ქალმა, – სულ სხვა რაღაცის თქმას აპირებდი!

– გთხოვ, გაჩუმდი, რა!

– რატომ მაჩუმებ? – ელის ხმაში ცრემლი გამოერია და გაკეცილი „ლიტერატურული საქართველო“ წეღანდელ ადგილას ცივად გადადო, – შენ გინდა, სულ პირზე ხელდაფარებული გყავდე და მარტო ელიავაზე მატარო!.. რა „იმ დღეს?“.. რატომ მიმალავ?

– რას გიმალავ?!. რა არის აქ დასამალი?! – თვალგაყრილი მწერალი უმალ მოულბა გულაჩუყებულ მეუღლეს, – სამოც წელთან დაკავშირებით იმ დღეს ერთმა მწერალმა მთავარი რედაქტორი რესტორანში პურ-მარილზე მიიწვია და რაკი შემთხვევით იქ ვიყავი – შენც წამოდიო. მეუღლე მყავს ძალიან ცუდად-მეთქი, მადლობა ვუთხარი და მაშინვე შინისაკენ გამოვწიე.

ქალი ამას კი არ მოელოდა – გაშრა, გაფითრდა, სულ ჩაინავლა.

– აბა, ამის შემდეგ შენ ადამიანილა ხარ?!

– რა იყო, მართლა კი არაფერი მოგივა!

– მე ეგ არც მიფიქრია! – ბრაზმა ქალს სახე აუპილპილა, – ცხოვრებაში ერთხელ მოგცემია შემთხვევა და ეგ როგორ გაუშვი ხელიდან, შენს რედაქტორს სუფრაზეც დაახლოებოდი, რათა...

– რას აიჩემე ეს სუფრული დაახლოება! – ახლა კაცი აპრიალდა ჩალასავით, – მწერლობა ძველი თბილისის ხელოსან-ყარაჩოხელთა ამქარი ხომ არ არის, ერთმანეთს ყანწ-შამფურებით დაუახლოვდნენ?! რასაც რედაქციაში მივიტან და დავტოვებ, იბეჭდება! ჰოდა, მთავარ რედაქტორთან ამაზე უფრო სასწაულებრივი სხვა რაღანაირი დაახლოება შეიძლება ინატროს წლების მანძილზე მავანთაგან სადისტურად დაკორტნილმა ჩემისთანა მწერლმა?!.

კაცმა ჟინი მოთოკა და ხმაც გაირბილა.

– არა, შენიც მესმის!.. სტუდენტობას, რომელიმე სამსახურს ანდა კარის მეზობლობას თავიდანვე რომ დაეახლოებინა ჩვენი თავი, რატო, ყველაფერი შეიძლებოდა!.. მაგრამ ჩემს სიცოცხლეში თამაზ წივწივაძესთან ერთად ღვინო კი არა, ერთი ჭიქა ლიმონათიც რომ არ დამილევია, ახლა, როცა ღმერთივით მომევლინა, სუფრაზე როგორ უნდა წამოვუსკუპდე: ერთიც ვნახოთ, ნიკაპზე ხინკლის წვენი ჩამომეკლაკნა... ულვაშზე ლუდის ქაფი ამეკრა... ან სასმელისგან სახე მომერღვა – მორჩა, ჩემთვის იქ დამთავრდება ჩვენი უმანძილო ინტელექტუალური თანამშრომლობაც!!!

მწერალმა უცებ იგრძნო, ამგვარი მსჯელობა მეუღლეს როგორ არინდებდა. ამიტომ სათქმელი შეუმოკლა და თან გაუმარტივა.

– ის ჩემთვის სრულიად ბუნებრივად იქცა ქართული მწერლობის სწორუპოვარ ფელდმარშლად. ამიტომ მე კიდევ ჩემი მხრივ ამას ვცდილობ: მის არმიაში ვიყო ლიტერატურულ სარბიელზე ფხიზლად მდგარი ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცი, რომელსაც მხოლოდ კალამ-კარაბინი უჭირავს და არა, ვთქვათ, ქაბაბი... კუპატი... ხაშლამის ხონჩა... ყანწი... ატამი... ხინკალი... ქაფმომდგარი კათხა... მუჟუჟი თუ... ნესვის ნაჭერი!. ეს მე მჭირდება, ამგვარ რწმენასა და წარმოდგენაზეა დამყარებული ჩემი მწერლური შეგნება და შთაგონება!.. ეს რომ დამენგრეს, როგორც შემოქმედი, დავილუპები!.. ეეე, ამასობაში საათი აგერ, სდ გავარდნილა!.. არა გშია, შე საწყალო?!.. გავამზადებ და დაგიძახებ!

კაცი სამზარეულოში გავიდა. ქალმა მუხლებზე პლედი მიიფინა და „ლიტერატურული საქართველო“ ხელახლა აიღო.

* * *

სხვადასხვა გარემოებანი და ემოციური შემთხვევები ერთმანეთს ისე ბუნებრივად ეკინძებოდა, გაოგნებულ მწერალს ხან ეჩვენებოდა – ერთდროულად სხვადასხვა ეპოქაში უხდებოდა ცხოვრება!

ზანდუკელის ქუჩის შემაღლებულ დასაწყისში მდებარე ორსართულიანმა ძველმა შენობამაც კი – პირველ სართულს „დილა“ და „ლიტერატურული საქართველო“ რომ შეჰხიზნოდა, მის თვალში რაღაც ბედისწერული მნიშვნელობა შეიძინა!

მან სამი წლის წინ გამოსცა ფიროსმანთან დაკავშირებული წიგნი. ჰოდა, ახლა როცა „ლიტერატურულ საქართველოში“ უხდებოდა მისვლა, რედაქციის ვიწრო, მიბინდული დერეფანი, უჯრისებური ოთახები, მიწისპირა სარკმლები და ფიროსმანის უკანასკნელი თავშესაფრის ნესტის ნაცნობი სუნიც კი ისე აბრუებდა, თითქოს ზანდუკელის ქუჩაზე კი არ იყო, არამედ ისევ ყოფილი მალაკნების ქუჩაზე მდებარე კიბისქვეშა ფართსა და მიჯრით ჩამწკრივებულ ბნელ სარდაფებში გენიოსი მხატვრის ნაკვალევს მისდევდა! ამიტომ ხან ასეც ეზმანებოდა: ახლა XXI საუკუნის ათიანი წლები კი არ იდგა, არამედ ფიროსმანის სიცოცხლის მიწურული – XX საუკუნის ათიანი წლები იფერფლებოდა!

ზოგჯერ კი, რუსთაველზე მოხვედრილს, სული სცვიოდა ხოლმე „ლიტერატურულ საქართველოში“ მისასვლელად, მაგრამ რაკი იმჟამად იქ არაფერი ჰქონდა მისატანი, ვერ ითმენდა, გვერდზე არ მიმდგარიყო და საოცნებო კუთხისთვის თვალი შორიდან მაინც არ გაეწვდინა. ამ დროს მის ნაფორიაქალ წარმოდგენაში ეპოქათა ბანქოსებური არევა ხდებოდა და ახლა კიდევ ასე ეჩვენებოდა: ზანდუკელის ქუჩის ეს ჯადოსნური შემაღლებაც თბილისის ნაწილი კი არ იყო, არამედ რუსთაველზე ზლაყუნით მიმომავალი და მობილური ტელეფონებით უსაგნოდ მომუსაიფე ხალხის, თვალის ამაჭრელებელი წარწერებიანი ტანსაცმლისა და მაყუჩმოშლილი ავტომობილების ოკეანეში ჩაკარგული

წმინდა ელენეს კუნძული, სადაც ერთი მუჭა თავგადადებული თანამებრძოლებით გადასახლებული რედაქტორ-ნაპოლეონი ტანჯვა-წვალებით ასულდგმულებდა ქართველი მწერლების უპირველეს გაზეთს!

ამ დროს თავს ვეღარ აღწევდა წამ-წუთიერ გაორებას: იქ, ზანდუკელის ქუჩაზე, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თითქოს ორი ეპოქით – XIX და XXI საუკუნეების ათიანი წლებით ცხოვრობდა, რუსთაველის ხალხმრავალი, უნაღვლელ-უდარდელი პროსპექტი კი მხოლოდ XXI საუკუნის ათიანი წლებით ირთობდა თავს!

მწერალს მოურეველი, მაგრამ გაუმხელელი სიხარული ტანჯავდა: მისი ნოველები სწორედ იქ, ზანდუკელის ქუჩის ზურგაწეულ დასაწყისში მდებარე ძველ შენობაში პოულობდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დასახლების უფლებას და ქვეყანაზეც აქედანვე ვრცელდებოდა!!!

ეს პოლიციელებით დაცულ, ელექტროსაშვის უნაკლო სისტემითა და ხალვათი აპარტამენტებით განთქმულ, თანაც შტატებით გაბერილ სხვა რომელიმე რედაქციაში რომ მომხდარიყო, შეიძლება ასე ამაღელვებლად ვერ ემოქმედა, ვინაიდან კარგად აწყობილი კონვეირულ-ავტომატური ელფერი ექნებოდა!

ღვთის სახლს დამსგავსებული „ლიტერატურული საქართველოს“ სადა კარი კი ყველასათვის ღია იყო – სასიკეთოდ მისულ ნებისმიერ ავტორსა თუ მკითხველს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლო საკუთარი თვალით ეცქირა, იმ დამამცირებელ სივიწროვეში ერთი მუჭა, ერთმანეთთან შეხმატკბილებული თანამშრომლების მიერ როგორი წვალებითა და ღირსების შეგნებით „ცხვებოდა“ სულიერი ლუკმა, ყოველ პარასკევ დილას მოუთმენელი მოთმინებით რომ ელოდა თავისი მკითხველი!

როგორც კი ზანდუკელის ქუჩის მოკირწყლულ აღმართს შეუდგებოდა ხოლმე, მაშინვე უამური განცდა ეუფლებოდა, რადგან ეჩვენებოდა, სათვალთვალო კოშკივით წამოყუდებული „მაკდონალდსის“ თავდაჯერებული შენობა „ჩიზბურგერებითა“ და „ფიშმაკებით“ თითქოს ხალხის თვალის ასახვევად ვაჭრობდა, სინამდვილეში კი ეროვნული სულიერებისთვის მებრძოლი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ამვლელ ავტორებს

აღრიცხავდა და იმახსოვრებდა! ამიტომ ისიც ფეხს ბავშვივით აიჩქარებდა ხოლმე! როგორც კი უშიშარი გაზეთის ეზოში აღმოჩნდებოდა, ის უამური განცდაც უნელდებოდა და მელოტგუმბათიან „მაკდონალდსს“ ზევიდან ახლა დამცინავად გადამზერდა, არიფთა მისატყუებელ უშნო კაკანათს რომ დამსგავსებოდა!..

მწერლური ალღო კარნახობდა: „დილასა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ წყალობით ეს უსახური, დაფხავებული და აქა-იქ აგურებგამოჩრილი შენობის ყოველი კუთხე და დეტალიც მომავალ თაობათა თვალში ისეთივე ჯადოსნურ მიმზიდველობას შეიძენდა, როგორსაც ილიასეული „ივერიის“ რედაქციის შენობა, ფიროსმანის, ვან გოგისა თუ მოდილიანის უკანასკნელი სამყოფელი...

თუმც ამის გაფიქრებაზე მაშინვე სასოწარკვეთა დაეუფლებოდა ხოლმე: კი მაგრამ, ეს როგორ უნდა მომხდარიყო?! ან მოხდებოდა კი?! ახლა სასტიკი ეპოქა იდგა, სადაც ყველაფერი გაუაზრებელ გასხვისებას, განუკითხავ ნგრევასა და განუჭვრეტელ გარდაქმნას ექვემდებარებოდა!!!

მაშ, „დილა“ და „ლიტერატურული საქართველო“ აქ რომდემდე იქნებოდა თავშეფარებული?! ხოლო თუ სხვაგან გადავიდოდნენ, ვის ხელში აღმოჩნდებოდა ეს ფართი და რა ბედი ელოდა?!. მემორიალური დაფა მიეჭედებოდა?! ჰმ!.. თავიდან მაინც ხომ ამოუცნობია მავანთა მადა და ჩანაფიქრის საბოლოო მიზანი: უახლოეს დროში შეიძლება სულ აეღოთ ზანდუკელის ქუჩის პირველ ნომერში ერთმანეთზე უხელოვნოდ, მაგრამ ქრისტიანული სიყვარულით მიშენებულ-მოშენებული ხუხულები და ამ ცენტრალურ ადგილას აღემართათ სასტუმრო... მარკეტი... სავაჭრო ცენტრი... საელჩო... მოდერნიზებული თავისუფლების ინსტიტუტი... რომელიმე უცხოენოვანი კოლეჯი... კაზინო... ღამის კლუბი... სილამაზის სალონი...

მემორიალური დაფა გინდაც დაეტოვებინათ ან ახალმოდურად განეახლებინათ, ეს ვის რას ეტყოდა?!

ეპოქალური უსულგულობა მწერალს გულზე მარწუხივით მოუჭერდა ხოლმე და აუხდენელი სურვილი ებადებოდა – ეპოვა ვინმე გამოცდილი კინოდოკუმენტალისტი და სულ პირწმინდად გადაეღებინებინა შეურაცხმყოფელ სივიწროვეში მიმწყვდეული

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია და იქ მუშაობის ერთ-ერთი სანიმუშო მონაკვეთი, რათა მომავალ თაობებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, საკუთარი თვალით ეხილათ – ძნელბედობისას საქართველოს გადასარჩენად ვინ და რა პირობებში რეკდა განგაშის ზარს!.. მაგრამ მწერალი გრძნობდა, ეს მის შესაძლებლობებს აღემატებოდა და თავს ტყუილუბრალოდ ისევდიანებდა...

* * *

სამაგიეროდ შინ ყველაფერი საათივით ააწყო. წერაზე არანაკლებ სიამოვნებდა მეუღლისთვის განკუთვნილი სურსათის გამოცალკევება და „Ostfront“-ის იარლიყით შემკობა. ქალიც ყველაფერს უსიტყვოდ უსრულებდა.

თვითონ ელისაც კარგად მისდიოდა საქმე. „ლიტერატურული საქართველოსა“ და იქ დაბეჭდილი მისი მეუღლის ნაწერების ხათრით ახლომყოფი მოვაჭრეები სხვადასხვა წვრილმანს მასთან ყიდულობდნენ. ზოგჯერ ერთი დღის ამონაგები ათ-თოთხმეტ ლარს აღემატებოდა! ეხუმრებით?!

ელიმ ქმარს გაუმხილა – ცოტ-ცოტაობით იქნებ წიგნის გამოსაცემი თანხაც დაგიგროვოო.

მწერალი თითქოს მეორედ იშვა – იქ ქართული მწერლობის შურგაუკარებელი ფელდმარშალი ეიმედებოდა, ხოლო თვითშთაგონებული „Ostfront“-ი სადღაც შორს, ელიავას ბაზრობაზე გადიოდა. თვითონ კი შინ იჯდა და გატაცებით წერდა!..

ერთ დღეს ქალმა საეჭვოდ დაიგვიანა. მწერალმა ბინის ტელეფონი ჩაირთო, მაგრამ ელის მობილური არა და არ პასუხობდა! მაშინ ჩაიცვა და ელიავას ბაზრობაზე წავიდა.

დაცვის ყმაწვილებმა მწუხარებით აუწყეს: დახლის ალაგებისას გარდაიცვალა და სასწრაფოთი დიღმის საავადმყოფოების პროზექტურაში წაასვენესო...

გულს ემტყუნა... ვაჟიშვილისთვის არც შეუტყობინებია – ეს იმდენ ხათაბალასთან იქნებოდა დაკავშირებული!.. სოფელში წაასვენა და თავისი დედ-მამის გვერდით ღარიბულად დაკრძალეს. ოღონდ ისე, როცა ზარი დაერეკებოდა, თვითონ მშობლებსა და

მეუღლეს შორის ჩათავსებულიყო...

თბილისში რომ დაბრუნდა, შინ ველარ ჩერდებოდა: პირველ დღეებში სულ ელიავას ბაზრობაზე დაიარებოდა. შემინულ პასაჟს ამოსაფრებული, შორიდან მალვით გასცქეროდა საზარელ ჯიხურს, მაგრამ ელი აღარსად ჩანდა – იქ დახლს ახლა სხვა ქალი დაჰფუსფუსებდა!.. მთელი ბაზარიც ბაზრულად ქოთქოთებდა და ყაყანებდა! ისიც მიხვდა: აქ აღარაფერი ესაქმებოდა!.. ელიავას ბაზრობაზე ფეხი აღარასოდეს უნდა დაედგა!..

ახლა სხვა აკვიატებამ გაიტაცა: მთელი დღე ქალაქში უაზროდ ნაყანყალევი, გვიანობამდე თავიანთი გაჩერების მოსაცდელ ჯიხურში ჩამოჯდებოდა და ბოლომდე იცდიდა და იცდიდა – აი, ახლა ამ რეისს კი მოჰყვებაო! მალე ამასაც გაუსწორა თვალი – ელი კი არ მოუვიდოდა, მალე თვითონ უნდა მისვლოდა იქ!

ერთ დილასაც გაახსენდა – ის ლიტერატურის ჯარისკაცი იყო და ამდენი მწუხარება უკვე დეზერტირობას უთანაბრდებოდა.

საწერ მაგიდას თავდაჯერებით მიუჯდა და ის იყო, მაშინ მიტოვებული ნოველა უნდა ამოეღო, სახტად დარჩა – Ostfront-ს ელიავას ბაზრობიდან ახლა აქ გადმოენაცვლებინა და მის საწერ მაგიდაზე სიგრძივ გაწოლილიყო.

შეკითხვა

როგორც ეს ახალგაზრდობას მოსდგამს, არც არმაზს გააჩნდა ცხოვრებისეული გამოცდილება. ამიტომ ყველაფერს თავისი სპეტაკი წარმოდგენით უდგებოდა. ამას კი მძიმე შედეგი მოჰქონდა ხოლმე: სანამ თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტს დაამთავრებდა და მალე ერთ-ერთ სიმფონიურ ორკესტრს ჩაუდგებოდა სათავეში, ორჯერ მოასწრო დაოჯახება და ცოლ-შვილთან დავიდარაბიანი გაყრა!

ამგვარმა იმედგაცრუებამ კომპოზიტორს ისე აურია დავთრები, მტკიცედ გადაწყვიტა – ოჯახს აღარასოდეს მოჰკიდებოდა!.. თუმც მაინც მოუწია თავისი ფიცის გატეხა!

იმ ზაფხულს ბორჯომში ისვენებდა. ჰოდა, იქ შემთხვევით გაიცნო თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტი, ორმოცს მიტანებული შინაბერა, ანიკო.

ანჩხლი, დაუნახავი და მოუთმენელი ცოლყოფილებისგან განსხვავებით ეს ისეთი მშვიდი და გაგებული ჩანდა, ოჯახურ სითბოს დანატრებულ მამაკაცში კვლავ გაიღვიძა მაცდურობის ჭიამ!.. თბილისშიც გაგრძელდა მათი ძალდაუტანებელი ურთიერთობა... ხუთიოდე თვის შემდეგ კი არმაზმა ცოლად შეირთო.

ანიკოს შესაშური სხვა თვისებები დაოჯახების შემდეგ გამომზეურდა. ქალს საოცრად ჰყვარებოდა ლოგინის დაშლა-განახლება... სარეცხი, უთო... ტანსაცმლის დროული განიავება... სისუფთავე და ოჯახური წესრიგი... ყაირათიანობა!.. ნუღარ იკითხავთ სამზარეულოს!..

უკვე თერთმეტი წელი იწურებოდა, რაც ერთად ცხოვრობდნენ და ჯერ არ მომხდარა, ანიკოს ქმრისთვის გიჟური სცენა გაემართოს ან ქალური თვალთმაქცობით მაინც წაჰკინკლავებოდა!..

ცოლ-ქმარს, მეტადრე კი ანიკოს, ერთი რამ ადარდებდა – შვილი არა და არ ეძლეოდათ!

* * *

თვითონ კომპოზიტორის პირველი მეუღლე და მათი ერთადერი ქალიშვილი, მაკა, ამერიკაში იყვნენ გადაცვენილები, ქალაქ სიეტლში ანუ სიმონიკას ეტლში, როგორც არმაზი სევდიანად ხუმრობდა ხოლმე თავის პირველ ნასიმამრალზე. ცისნამი ვიღაც შეძლებულის ჩავარდნილ ბებიას უვლიდა, მაკა კი ქალის მოდური შლაპების მაღაზიაში გამყიდველად მოწყობილიყო. გათხოვებითაც იქვე გათხოვილიყო. სიძე, ლესტერი ქალაქის გარეუბანში თურმე „ბოინგის" ქარხნის საამწყობო საამქროში მუშაობდა. იქ, შორეულ სიეტლში არმაზ კოკორაშვილს უკვე ოთხი წლის შვილიშვილიც ეზრდებოდა – მალკოლმ ბლანჩარდი!

მეორე მეუღლესთან ქალ-ვაჟი ჰყავდა – სალომე და გორდა. სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სალომემ კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში იშოვა უმნიშვნელო ადგილი, მაგრამ დედის ალი-კვალს მოთმინება არ ჰყოფნოდა და დაუდეგარი დაქალების ენას აყოლილს, ცამოწმენდილზე ხორვატიაში, ადრიატიკის ზღვისპირა ქალაქ როვინოში ამოეყო თავი!

გორდამ სპორტისა და ფიზკულტურის უნივერსიტეტი დაამთავრა და თითქოს დაოჯახებასაც აპირებდა, მაგრამ... შუაასაზიელი და ქართველი მთამსვლელების მიერ პამირზე, ფშარტის ქედის ერთობლივი დალაშქვრის შემდეგ ასტანის ცნობილ სასტუმრო „აიკუნში" ვიღაც ტოპმოდელ სტელას გასცნობოდა და მასთან დარჩენილიყო, თანაც ისე, ჯერ თვითონაც ვერ ყოფილიყო გარკვეული – დროებით თუ სამუდამოდ!

გაასპიტებული ქალბატონი ნაირა, როგორც კი შემთხვევა გამოუჩნდებოდა თუ თვითონ გამონახავდა, მობილური ტელეფონით თავის ქმარყოფილს წყევლა-კრულვით იკლებდა: აი, რა მოსდევს შვილების უმამოდ დაზრდას!.. არ ჯობდა, დედაშენს მუცელში გასწყალებოდი!.. ეგე, რა მომიტანა შენმა მუსიკოსობამ!.. დაიწვას ის დღე და საათი, როცა შენ გამოგყევიო!..

შვილების წინაშე არმაზიც გრძნობდა თავისებურ დანაშაულს და გულს უსერავდა მათი ასეთი დაქსაქსულობა, მაგრამ რა ექნა, როცა ასეთია ცხოვრება – წინ ვერვის აღუდგები! აღუდგები და!..

* * *

გაზაფხულის მიწურულს არმაზს მოულოდნელად ახალი სიმფონიის იდეა შთაეგონა. შთაეგონა კი არა, ეჩვენებოდა, ბუნდოვან მომავალ ნაწარმოებში დრამატულ პათოსთან შერწყმული ტრაგიკული ჰეროიკა მის ცნობიერებაში მოულოდნელად ამოხეთქილ მდუღარე შადრევანს ემსგავსებოდა!

მომავალ სიმფონიას სოხუმის დაცემა და დევნილთა ჯოჯოხეთი უნდა აესახა! გასაკვირია, არმაზი არც სოხუმის ბრძოლებში მონაწილეობდა და თან მას აქეთ თხუთმეტ წელზე მეტი იყო გასული, ამაზე მუსიკის შექმნა კი ფიქრადაც არასოდეს გავლებია! მაგრამ ტელეარხებიდან დაგროვილმა ათასგვარმა საშინელებამ ახლა თავისთავად მოძებნა შემოქმედის წარმომსახველობა!

კომპოზიტორმა, შთაგონება თავის ნებაზე რომ ატივტივებდა, გამოცდილებით იცოდა – ჯერ დაულაგმავ ჰანგებს უშიშრად უნდა გაჰყოლოდა და საბოლოო შედეგზე არ ეფიქრა!

სწორედ იმხანად ანიკოს მოულოდნელად უნივერსიტეტელმა გულითადმა დაქალმა, სადღაც მთის სოფელში მცხოვრებმა მართა ცალულელაშვილმა მოაწვდინა ხმა: მაშ, შეიძლება ერთმანეთის ასე „უნიშანგეშოდ“ დაკარგვა?!. ეს შენი მობილური ტელეფონის ნომერიც შემთხვევით ოფელია ბირჩაძემ ჩამაწერინა, თორემ მე სულ არ ვიცოდი შენი ასავალ-დასავალიო!.. მომილოცავს, სახელოვან კომპოზიტორზე გათხოვილხარო!.. მე ქმარი შარშანწინ ავარიაში დამელუპა... გოგო სამტრედიაში გათხოვდა, ბიჭი კი საბერძნეთში გადამეხვეწა და სულ მარტო ვარო!..

მოკლედ, ამოდით ჩემთან და სადამდეც გინდათ, დარჩითო!.. არაფერზე არ შეწუხდეთ: ორი ძროხა მეწველება, იქიდან ფულს მინდიაც მიგზავნის, ამოდენა ხილ-ბოსტნეულია და!.. ანი, მე და შენ გასართობ წვრილმან საქმეს რა გამოგვილევს, არმაზმა კი „ის თავის მუსიკა“ სოფლის სიმყუდროვეში წეროს და წეროსო!.. ამ სიცხეებში მაინც რომ არ ამოხვიდეთ, აი, არ ვიციო!..

დაქალის ამგვარმა შეხმიანებამ ანიკო ისე ააფორიაქა, თავის თავს თვითონაც ვეღარ სცნობდა. მისი მღელვარება მით უფრო ორკეცდებოდა, რადგან ახლა ყველაფერი ქმარზე იყო დამოკიდებული.

არმაზმაც მეუღლეს გულის წადილი აღარ ჩაუკლა, თან სო-

ფლური სიმყუდროვის მაცდური შემოთავაზება, როგორც შემოქმედს, განგების ჩანაფიქრად ეჩვენებოდა.

საგულდაგულოდ გაემზადნენ და ივლისის დასაწყისში პირველივე ავტობუსით გაემგზავრნენ.

კომპოზიტორს ასეთი ბედნიერი მეუღლე ჯერ არასოდეს დაენახა!

* * *

დედაქალაქიდან ოთხმოციოდე კილომეტრით დაშორებული მართას პატარა სოფელი ტყიანი მთების ჩამოსათავარზე ყოფილიყო შეფენილი. პირველი, რაც გადაჩრდილულ ორღობეში გადახვევისთანავე იგრძნო ცოლ-ქმარმა, ეს იყო ჰაერდახშულ თბილისთან შედარებით მაცოცხლებელი ჰაერის სიკამკამე!

– რატომ არ შემატყობინეთ! – შეიცხადა მართამ და ატირებული დაქალები ერთმანეთს რომ ჩაეგრიხნენ, ძლივსღა მოახერხეს გათავთავება!

პირველი დანახვისთანავე თვალს იტაცებდა მასპინძლის სუფთა ეზო-ყურე, დახუნძლული ხეხილითა და ნათესულობით სავსე, მინდორივით ვრცელი ბაღჩა-ბაღი. საძროხე ბაღჩის შორეულ კუთხეში წინდახედულად ისე იყო გამართული, საქონელს მეორე კარით პირდაპირ ქუჩიდან ევლო და აბიბინებულ ეზოსთან შეხება არ ჰქონოდა!

მაღალსახურავიანი, თეთრი თუნუქის მამლებით დამშვენებული ორსართულიანი ქვითკირის სასახლე ორი აივნით გამოირჩეოდა. ერთი მათგანი ბაღჩისა და სოფლისკენ იყო მოქცეული, მეორე ტყიანი მთა-გორებისკენ ამაღელვებლად იყურებოდა!

ბარგი მაღლა აზიდეს და მართამ ცოლ-ქმარს მაშინვე აჩვენა კუთხის ყველაზე მყუდრო, მზიანი ოთახი, სადაც მათი საძინებელი იქნებოდა! მაგრამ არმაზმა თავისებურად გადაწყვიტა: გულითადი დაქალები სულ ერთ ოთახში იცხოვრებდნენ, ის კი მარტოკა იქნებოდა!

ისედაც აღელვებული მართა უცებ ვერც ჩახვდა კაცის ამ გადაწყვეტილების დაფარულ აზრს, მაგრამ გონება მეყსეულად რომ გაუნათდა, როგორც ნაადრევად დაქვრივებულს, თვალები ისე აეცრემლა, ქმრის დაკარგვის შემდეგ ასე აღარასოდეს ას-

ცრემლებია – მადლიერების ნიშნად არმაზს გულმკერდზე აეხეტა და დაძმურად გადაკოცნა!

იქით ყელმოღერებული ანიკო იკურცხლებოდა – აი, რა გულისხმიერი ქმარი მყავსო!..

მეორე დღეს მართას ქმრისა და დედამთილ-მამამთილის საფლავებზე გავიდნენ...

* * *

ღამითაც ერთად ყოფნით გახარებულმა დაქალებმა პირველ სართულზე, კუთხის ოთახში დაიდეს ბინა. ნავახშმევს, გადაუდებელ საქმეებს რომ მოითავებდნენ, ლოგინში შეწოლილები, გინდ ზოგჯერ დენიც წასულიყო, ბჟუტია ლამფის შუქზე გვიანობამდე უფრო გულიანად მასლაათობდნენ მთისას, ბრისას!..

დილით მართა ძროხებს დაწველიდა და ნახირში რომ გაყრიდა, ქალები რძეს ადუღებდნენ... კომპოზიტორს აკვირვებდა გახალისებული დაქალების ჭიანჭველისებური შემართება – ნასაუზმევს მართა გადაიცვამდა ხოლმე საკერებლიან კაბას (ასეთივე კაბა და უთითებო ხელთათმანები ანიკოსაც გამოუნახა!) და მთელი დღე თავაუღებლად საქმიანობდნენ: ბაღ-ბოსტანში ქათმებივით იფუტკნებოდნენ... სამურაბე ალუბალს ჩურჩავდნენ... ვედროებით ნაქარ ხილეულს ეზიდებოდნენ და ახარისხებდნენ... კომპოტებს, ნაირ-ნაირ საწებლებს, ხილფაფასა და ვინ იცის, კიდევ რას არ ხარშავდნენ!.. ხოლო როცა მართა საკმაო რძეს ჩააჩუმავებდა, კარაქს დღევბდნენ ან ყველი ამოჰყავდათ!

დერეფანში მალე გაჩნდა ჩრდილში გასაშრობად გაკიდული, სათბილისე პიტნის ნაწნავები...

* * *

კომპოზიტორმა სასახლის მეორე სართულზე, მეორე აივნის კუთხეში მდებარე ოთახი აირჩია. მისი წინა სარკმლები ტყიანი მთებისკენ იყურებოდა, გვერდითა ორი სარკმლიდან კი ხალვათი სათიბ-საძოვრები და სიმინდის დამიჯნული ნაკვეთები მოჩანდა. თავისი მომავალი სიმფონიით შეჯაჭვულს, ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ის სულ მარტოდმარტო, სადღაც ღრუბლებში ცხოვრობდა, დაქალების საქმიანობის ყრუ ხმაური და მათი გაურკვეველი

ტიტინი კი თითქოს ქვესკნელიდან ამოისმოდა!..

ყოველღამ ძილში ჩაყოლილი შემოქმედებითი საშფოთველი აქ ძალიან ადრე, ნარიჟრაჟევს აღვიძებდა. ეს კი ამოუხსნელი თვითრწმენით ავსებდა, დროის გრძნობა მძინარესაც რომ არ ღალატობდა და საგათენებო სასწაულს დღესაც ბუნების წიაღში მარტოდმარტო შეხვდებოდა!

ჯარისკაცივით უცბად იცვამდა, მეორე კიბით ეზოში უჩამიჩუმოდ ჩადიოდა და შემთხვევით შემოჩეხებული ძაღლების მოსაგერიებელი გალაპლაპებული კეტით სათიბ-საძოვრებისკენ მიიჩქაროდა! ნოტების დასაწერი რვეული, პასტის კალამი, საწვიმარი და მცირე საუზმე ყოველთვის პატარა ზურგჩანთით დაჰქონდა...

აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა, აქა-იქ დასკუპული თივის სურნელოვან ზვინებს შორის რომ ათენდებოდა!.. ქალაქური ყოფნა-ცხოვრებით შებოჭილს, აქ ერთი შეხედვით სულ უმნიშვნელო რამეც კი ბავშვივით ახალისებდა: აწეულ-დაწეული სავარგულები... რომელიმე ზვინზე წამომჯდარი ყორანი, მისი დანახვისთანავე ყრანტალ-ფრაშუნით რომ ფრინდებოდა... კლდიდან ჩამოწყვეტილი ნაკადული... დიდი ხნის წამოტოვებული ქოხი, დიდრონი ხეების ირგვლივობა უფრო მიმზიდველს რომ ხდიდა და მის შთაგონებაზე ტალ-კვესივით მოქმედებდა!.. ერთგან ავსავალი სიპნარი... დაღარტაფებული ფერდობი... ერთმანეთში არეული წიფლისა და მუხის დაბურული ტყეები...

ამგვარმა სანახაობებმა და განმარტოებულობამ კომპოზიტორი თავდავიწყებამდე მიიყვანა და ცოტა მოგვიანებითღა ჩახვდა, პროფესიული ყურადღება რომ მოსდუნეობდა! მაგრამ ერთმა საგულისხმო შემთხვევამ ისევ მგლის ყურები გამოასხა!

მესამე თუ მეოთხე დღეს თავისი განუშორებელი კეტითა და ბრეზენტის ზურგჩანთით იმ ნაკუნტული ქოხისკენ გორიგორ მიემართებოდა და გამახალისებელი ნაღამური ჰაერით შემთვრალი, თვალს ვერ წყვეტდა ქვევით, განათიბში მოძრავ ნახირს... მოკლე წარაფს... მოუსვენარი ძროხების შემოსაბრუნებლად ლანძღვა-ყვირილით გამოდევნებულ მენახირეს.... გაღმა, მაღალ ფერდობზე შეფანტულ ფარას, ცხვრები უწესრიგოდ მოძრავ თეთრ ნოტებს რომ დამსგავსებოდნენ!.. ბორცვზე მოჩინარ სამლოცველოს... პატარა სოფელს, სადაც მინავლებული ცხოვრება

თავისებურად ბოლავდა!..

მოულოდნელად ჟინიანმა ზმუილ-ბღუილმა ბურანიდან გამოიყვანა. ზევით გაიხედა და შიშისაგან გული შეუქანდა: კისერგამრუდებული ბუღა ზმუილ-ზმულით მისკენ მოქანაობდა! ბედად იქვე, ბუჩქებს შორის ერთი ბებერი პანტის ხე იდგა. კომპოზიტორი ჯაგებში უცებ შესხლტა და ტოტებგადმობარჯღლულ პანტაზე აძვრა!

ამასობაში დორბლმორეული ბუღა გაუსწორდა და ისე გასცდა, იმწამს კაცი ვერ მიხვდებოდა – პირუტყვმა აქ სულიერი ვერ იყნოსა თუ მისთვის არა სცხელოდა!

დათავქვევებულზე ბუღა შედგა და ალალბედზე გეშაღებულმა, ერთხელ კიდევ დაიბღუვლა, თან თავის მძიმე მიტრიალ-მოტრიალებით მიუყურადა.

სადღაც ქვემოთ, დაბურულ წარაფში მიმოფანტული ნახირიდან ბუღას რომელიღაც ძროხამ გაუბედავად დაუზმუვლა. ამ დაზმუვლებით ყურნაცქვეტმა ბუღამ ერთი ისეთი დაიბღავლა, ხეობებმა ერთმანეთს გადასცეს მისი ჟინმორეული შებღავლება!

ძროხის სევდიანი დაზმუვლება უფრო გაბმით განმეორდა!

გავეშებულმა ბუღამ თავისთვისღა წაიზმუვლა და ხვინჭიან ფერდოზე ქშენა-ქშენით გვერდულად დაეშვა.

პანტის ტოტებს შენაწილებულ კომპოზიტორს ცრემლი მოეგუბა – ბოლოს და ბოლოს გონებაშეზღუდული ვარ თუ გენიოსიო?! რაც მართასთან ამოვიდნენ, თურმე Sons naturels[1]-ის საუფლოში უცხოვრია, ბუღის ბღავილმა კი ახლაღა შეაგდო აზრზე!..

ქოხს შეუმჩნევლად ასცდა. შეხავსული ნიფლების ქვეშ შედგა, საწვიმარი გაიგო და ზედ გულაღმა წამოწვა. ტოტებს შორის გახლართულ უღრუბლო ცის ნაგლეჯებს ასცქეროდა და გრძნობდა – გარემობის გამოცვლით არეული ტონალური სისტემა თანდათან როგორ უწესრიგდებოდა!

წელანდელი ნასმენიც ისევ ყურში უჟუოდა: ბუღის ზმუილ-ბღუილმა კონტრაბასის ბანის სიმის ხმა გაახსენა! ამიტომ... მაგრამ არა – მომავალ სიმფონიაში ამ კონტრაბასს საქსაფონის ბანის გამოკვეთილი სიმაღლე შეცვლიდა! ის უფრო შთამ-

1 **Sons naturels** (ფრანგ. სონ ნატურელ) – ნატურალური ბგერები.

ბეჭდავად გადმოსცემდა სოხუმის ცაში მტრის თვითმფრინავების კივილ-ღმუილს!..

ამ დღეებში სმენილი ყოველგვარი ხმაური თუ გზაარეული ბგერა, უცხო გარემოს ჯერ შეუჩვეველ, თნ თავის საფიქრალში მოუთმენლად გადაკარგულ კომპოზიტორს აუტანლად რომ ეჩვენებოდა, ახლა მთელი თავისი მელოდიური სიმდიდრით უმეორდებოდა და ამასღა ცდილობდა – ყველაფერი დაემახსოვრებინა და თითოეული მათგანისთვის მომავალ სიმფონიაში თავისი კუთვნილი ადგილი განესაზღვრა! ამიტომ ერთმანეთის მიყოლებით ალანდულ მუსიკალურ სურათებს ძლივსღა მისდევდა: წინადღით მთებისკენ ყაშყაშით გასწრაფებული ორბი ახლა კივილით მინაფრენ კლარნეტს აგონებდა!.. დილდილაობით ბაკიდან გამოშვებული ჯანგირაანთ ფარის გაბმული ბღავილი – ჯანჯალით მიმავალი დაუცველი ლტოლვილების ვაება-გოდებას!.. საძოვარზე გაელვარებული გრძელი ჯაჭვით დაბმული ვიღაცის ულაყის დაუდგრომელი ტრიალი და ჭიხვინ-ხვიხვინი – სოხუმის დამცველი ავტომატიანი ქართველების ომახიან გადაძახილ-გადმოძახილს! ო, ეს იყო არა ცხენის ჩვეულებრივი ჭიხვინი, არამედ თვით ბუნების ნაკარნახევი Tenace[1] – ამ ადგილას თუ როგორი უნდა ყოფილიყო მუსიკის რიტმი, თითეული ბგერის ხასიათი, ძლიერება, ფერადოვნება!..

ხევგაღმა, ტყეში' აზიდულ კაპანზე დაფრენილი რომელიღაც მტაცებელი ფრინველი ძირს რაღაცას მოუსვენრად ჩამოჰყაშყაშებდა! „მაგ ადგილს ეგ გუშინწინაც ასე უყაშყაშებდა! – გაახსენდა კომპოზიტორს, გამოკვეთილი ყაშყაში ტუბას ხმას რომ აგონებდა, – ეტყობა, მანდ სადღაც ბუდე უნდა ჰქონოდეთ, ან...“

ეს გაიფიქრა თუ არა, მეორე ასეთივე ფრინველმა ხეების კენწეროებზე ფრენა-ფრენით ტენორის ტრომბონისებურად გადაიყივლა და გაუჩინარდა!

წამომდგარი კომპოზიტორი ხექცეულს აეტმასნა და ისე გაინაბა, როგორც შეუმცდარი სეტერი ნაბულისას! ო, რა გამოკვეთილი და დასრულებული ხმა ჰქონდა სადღაც ქოთქოთით გადანაფრენ დედა ფრინველს – ბუნებას თითქოს მისი მომავალი

1 **Tenace** (იტალ. ტენაჩე) – დაჟინებით, მტკიცედ.

სიმფონიის ნაწილად წინასწარ შეექმნა, ზედმიწევნით რომ გადმოეცა აფხაზეთიდან ცეცხლით და მახვილით დევნილი მკვიდრი ქართველების ბიბლიური სივალალე!

წიფლის ტოტნარში მოკამკამე უღრუბლო ცის ნაჭერს მუსიკოსმა იღბლიანი ცოდვილივით შეღიმა: ღამით ღია აივანზე ეძინა. ზედ მომდგარი მეზობლის ეზოს მაღალი ვაშლის ხის ზოგიერთი ტოტიდან ხანდახან ჩამოვარდნილი თურაშაული პირდაპირ რაღაც სათავსოს სახურავის კიდეზე ყუმბარასავით გრუხუნებდა და ზუსტად იმეორებდა დიდი დაფის ხმას, რომელსაც, საერთოდ, არა აქვს გარკვეული სიმაღლე! ამიტომ მომავალ სიმფონიაში შთაბეჭდილების გასაძლიერებლად აუცილებელი იქნებოდა ბგერადობის გამძაფრება და გარკვეულ საფეხურამდე მისი შენარჩუნება!..

წინაღამით, თენებისას მოულოდნელად ხეობიდან შემონაქროლი ქარი კი იმავე ფარდულის ორი ავარდნილი თუნუქის ფურცლის ბოლოებს ერთმანეთს ისე ურტყამდა, რომ გამოცდილი ორკესტრანტის მიერ სპილენძის თეფშების დიდოსტატურ შემოხლას ემსგავსებოდა და ძილ-ბურანში მოტივტივეს ეჩვენებოდა – მისი მომავალი სიმფონიის პარტიტურის ნაწილს ბუნება თუ ბედ-იღბალი მასპინძლის დაუმძრახებული მეზობლის ფარდულის სახურავზე უწერდა!..

ტყის სიმყუდროვეში წვეული ჯაჭვური თვალახელა კომპოზიტორს თანდათან აძრწუნებდა – ხომ არ ვგიჟდებიო?! არადა, მის სათუთ წარმოდგენაში ეს ყველაფერი: ბუღის წელანდელი ბღუილი და ატეხილი ძროხის შემოზმუვლება... მტაცებელი ფირნველების ყაშყაშ-ყრიგინი და ფრაშფრაში... თუნუქის სახურავზე ვაშლების დაგრუხუნება... საძოვარზე შემოხვედრილ ფარაში მოუსვენარი ყოჩის ყმუყუნი... მაღლა-მაღლა მიმფრინავი წეროების ბაბანიკი... წვიმის შხაპუნი... გარჩეული ლობიოს განიავებისას ვედროდან ვედროში ატეხილი წკიალ-წკარუნი... ნაიონჯარში ძირ-ძირ მიმფრინავი შაბარდუხის ყიპყიპი... ყოველი გვიანი ვახშმობის შემდეგ რომელიღაც ხეზე ძველი დროის ფოსტალიონისებური პატიოსნებით შემომჯდარი ჭოტის შემაგონებელი კივილი... ღამღამობით კედლებს შეწყვეტებული ქარის ხრამისკენ ჩაქშუვლება... მთელი ღამით სოფლის ძაღლების

განუწყვეტელი ყეფა-ღავლავი... საიდანღაც მოდენილი „დრუჟბის“ კაკან-წივილი, კოურიანი ხეების გადახერხისას რეესტრი ისე რომ ეცვლებოდა, თითქოს Moderator[1]-ით იმართებაო, სხვა არა იყო რა, თუ არა წესრიგის საუფლოდან სივრცეში თვითნებურად გაცვენილი და ყირამალა მოქანავე მუსიკალური ინსტრუმენტების ზღვარდაუდებელი თავაწყვეტილობა, რათა თითოეულ მათგანს თავისი განუმეორებლობა და შეუცვლელობა დაემტკიცებინა!

ერთდროულად შემოსეულ და ერთმანეთში ჯიბრიანად აღრეულ ხმებს დაყურადებულმა კომპოზიტორმა იგრძნო, აქ რა ევალებოდა: ამ თავწვერა ხმების დალაგმვა, თითოეული ბგერის სანოტო ნიშნებით დადუშაყება და მათი გაორკესტრება!!!

* * *

შინისკენ გაშურებული, მოულოდნელად ახლა უმიზეზო სინანულმა შეიპყრო: იმ ოფელია ბირჩაძესაც მართასთვის რაღა ახლა მიეცა ანიკოს მობილური ტელეფონის ნომერი! ეს თუგინდ შვიდიოდე წლით ადრე რომ მომხდარიყო, მაშინ აღარ მოუწევდათ კომპოზიტორთა სახლში ქანცგამწყვეტი „დასვენება“ ან საბერძნეთის კუნძულ ლემნოსზე შვებულების გაწელვა, საიდანაც ზერელე ტურისტული შთაბეჭდილებების მეტი ვერაფერი ჩამოიტანა! აქ კი, სონს ნატურელს-ის საუფლოში... ჰმ! აქ ათიოდე წლის წინათ რომ მოხვედრილიყო, მაშინ!..

კომპოზიტორს თვითონვე გაეღიმა თავის ბავშვურ მსჯელობაზე: ათიოდე წლის წინათ აქ რანაირად უნდა ამოსულიყვნენ?! ჰა, ცოტა ხნით თუნდაც ამოეპატიჟებინათ კიდეც, მართას ქმარ-შვილის თანდასწრებით ასე შეუზღუდავად როგორ იქნებოდა: ყველა შემოქმედის უპირველეს პირობას ხომ შეუზღუდაობა წარმოადგენს!..

თუმც არც ახლა იყო გვიანი! კომპოზიტორმა თანდათან გულით შეიყვარა ეს ტკბილი ხასიათის ქალი!.. აქაური ბუნებრივი ხმები და ბგერები!.. მართას მოვლილი კარ-მიდამო... ბუჩინები... თავისი აივანი... ძველმოდური ავეჯი... ბუხრები... გაჭედილი

---

1 **Moderator** (ლათ. მოდერატორი) კლავიშიან ინსტრუმენტებში – ხმის შესამცირებელი და ჩასახშობი მოწყობილობა.

ალბომი... სპილენძის ბარაქიანი ქაფქირი... მართას განსვენებული ქმრის ხელით გამოხვეწილი საკარაქე ჯამფილა... მძიმე შამფურები... ხაჭომცხვარი... ხის სამარილეები... კუკუშელა... თიხის სადღვებელი... ქარადული... ონჭოს ფოთლების სურნელით გაჯერებული სვრეტილოვანი ყველი... საძოვრებზე შეუმჩნევლად დაცემული ბინდი... წყნარი ნარიყურაყევისას ხის ტოტებიდან ამოუხსნელი გამოშრიალება... სოფლის შემოგარენი, სადაც თვით ჰაერი და სიმყუდროვეც კი თითქოს მუსიკალურად აზროვნებდა!..

არა, მეუღლეს უნდა გაენდოს, რათა მართას მოეთათბიროს და თუ წინააღმდეგი არ იქნება, მუდამზაფხულს აქ ამოვლენ თავიანთი ხარჯით!..

კომპოზიტორი ახლა კი მწარედ გააცინა შემოქმედთათვის დამახასიათებელმა ყოფითმა მოუაზრებლობამ: მართა მართლა წინააღმდეგიც რომ ყოფილიყო, უნივერსიტეტელ უპირველეს დაქალს ამას ხმამაღლა რა პირით განუცხადებდა?!. ვთქვათ და საბერძნეთიდან მოულოდნელად მინდია ჩამოუვიდოდა და დაოჯახდებოდა, თან სამტრედიაში გათხოვილი მზიაც ესტუმრებოდა სამ-სამი ბავშვით!

ჰოდა, ასეთ რია-რიაში როგორ უნდა ეფიქრა ან რა დაეწერა?! ეგეც არ იყოს, იქნებ... იქნებ თვითონ მართას ენდომებოდა სადმე მეორედ გათხოვება ანდა ვისიმე ზედსიძედ მოყვანა, მაშინ?! ჰეეე!.. ო, რა მიუხვედრელია ცხოვრებისეულ წვრილმან-მსხვილმანებში, რაც უშუალოდ მუსიკას არ ეხებოდა!..

გადაფერდებულ ნასათიბარში ცერალმა მიმავალი კომპოზიტორის მოუსვენარი გონება თავისას მაინც არ იშლიდა!.. უცებ თავისუფლად ამოიხვნეშა – გამოსავალი გამოუჩნდა! რა საკადრისი იყო ყოველ ზაფხულს მართას შეწუხება და შევიწროება: სანახევროდ დაცლილი სოფლის ორღობეებში ხეტიალისას რამდენი ბალახგადავლილი ეზო-ყურის ჭიშკარი ჩავარდნია თვალში, სევდიანი წარწერა რომ ამძიმებდა მობილური ტელეფონის ნომრის მითითებით: „იყიდება სახლი...“ „იყიდება სახლ-კარი – ფასი შეთანხმებით...“ „სასწრაფოდ იყიდება სახლი...“

ჰოდა, ბანკიდან გამოტანილი სესხით ეყიდათ ერთი რომელიმე განაპირა, ყველაზე იაფფასიანი ანდა მართასთან ახლომ-

დებარე სახლი და მორჩა! უნივერსიტეტელ დაქალებს მერე წინ რაღა დაუდგებოდათ – თუგინდ მთელი დღე სულ ერთად ყოფილიყვნენ!.. ის კი არა, იქნებ ქათმებიც გაეჩინათ! რატომაც არა?!. როცა ისევ თბილისში დაბრუნდებოდნენ, მართას მიანაბრებდნენ!.. სახლ-კარზეც მას ექნებოდა თვალი!..

ამგვარი ოცნებით გატაცებულს, ჩაგრეხილი ბილიკი ციცაბო ღრანტობთან მოუწყდა. თავისი კეტი ახლა კი მოიმარჯვა და მიხვევ-მოხვევით იოლად მოახერხა ხევიდან შევაკება...

გადაკორტნილ საძოვარს აყოლილ საშეშე გზას დაადგა. მრუდე ნაბილიკარს შემოუდგა და ცოტა ხნის შემდეგ თავის სევდიან საფიქრალში ჩამდუმარებული სოფელიც გამოჩნდა!..

კეტზე მწყემსურად ჩამობჯენილ, ზევიდან სოფელს დაშტერებულ კომპოზიტორს გონების გახსნისაგან ციებ-ცხელებიანივით გააბაბანა! მის წარმოსახვაში ჯერ ბუნდოვნად ჩაწინწილებული სიმფონია თავის დაუხვეწავ პირველსახეს ვერა და ვერ ღებულობდა: თურმე ჰკლებოდა ავტორის მიერ ერთი რაღაც არამუსიკალური წვრილმანის გაუთვალისწინებლობა თუ მიუხვედრებლობა!..

და აჰა, ესეც გაუცხადდა!. ეს პატარა სოფელი, შორიდან უფრო პატარა რომ გამოჩანდა, ახლა სულ სხვანაირად წარმოუდგა! განგებას ოდესღაც თითქოს იმ მიზნით დაესახლებინა, რათა მისი სიმფონია სწორედ აქ დახვეწილიყო და დასრულებულიყო! ეს რომ იწამა, იგრძნო, მუსიკალური პირველადი ფაქტურის სადღაც ჩაწყვეტილი წრედი ყაისნაღური ნოტებით როგორ ამოიქარგა და მანამდე გაჯიუტებული სიმფონიაც წარმოსახვაში როგორ გაუმთლიანდა!.. აქა-იქ ბუხრებიდან ზანტად ანადენი მობარბაცე კვამლი კომპოზიტორისთვის იყო ნამდვილი Tremolo[1] – დაცემული სოხუმის უსაშველო მწუხარება და უგზო-უკვლოდ დევნილთა მისუსტებული გოდება!..

კომპოზიტორი აუწერელმა სიხარულმა მოიცვა, ამხელადაც თავი რომ გაიმარტოვა და იმდღანდელივით უნივერსიტეტელი დაქალები არ იახლა! დიდი ხნის დაცდილი ჰქონდა: ნებისმიერი თანმხლები თუ ალალბედად შემოყრილნი რაზეც უნდა ალაპარაკებულიყვნენ, შთაგონებით შეპყრობილ კომპოზიტორს თავის

1 **Tremolo** (იტალ. ტრემოლო) – ბგერის თრთოლვა.

საფიქრალთან შედარებით სხვა ყველაფერი წვრილმან მოვლენებად ეჩვენებოდა და ლამის შეშლილიყო!

გაშტერებით მაცქერალი კომპოზიტორის თვალში ზღარბივით მოხრუსტული სოფელი უცებ დაემსგავსა მწვანე როიალს, სახლების სახურავები – ნაირ-ნაირად განლაგებულ კლავიშებს... გულატოკებულს არ გასჭირვებია მართას „კლავიშის" მოძებნა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, ეს აღარ აღაფრთოვანებდა – ბავშვური სულასწრაფებით მოუნდა, აქ თავადაც ჰქონოდა ერთი პატარა „კლავიში!" მწვანეში ჩაფლულ სოფელს დაძაბულად დაუწყო თვალიერება, მაგრამ აქედან ძნელი მისახვედრი იყო, რომელი სახლ-კარი იყიდებოდა და რომელი – არა! არადა, როგორ მოესურვა, ევარაუდა მაინც, რომელი მათგანი შეიძლება გამხდარიყო მათი „კლავიში!"

გორის თხემიდან სოფელს დაშტერებულ კომპოზიტორს მუსიკალური ფიქრები სდ არ მიმოუქროდა!.. ერთი დაპირება დააპირა კიდეც, სოფლის ყველა ორღობე შემოევლო და გასაყიდი სახლებისთვის ახლა მუშტრის თვალით შეეხედა, მაგრამ ეს ბევრ დროს წაიღებდა!.. თან ჯერ არც ის იცოდა, ანიკოც ისურვებდა თუ არა, აქ სააგარაკო ბინის შეძენას! ამიტომ ყველაფერს აჯობებდა, შინ დროიანად მისულიყო და დასაშური პირობებით ესარგებლა!

* * *

უნივერსიტეტელმა დაქალებმა კი შემოქმედებითი მუშაობის ისეთი პირობები შეუქმნეს, ამგვარ გარემოში კომპოზიტორი არც მოელოდა. თუმც ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ასეთი შესაშური პირობები უშუალოდ დაქალებმა კი არ შეუქმნეს, არამედ ვითარების გამო თავისთავად შეიქმნა!

ანიკო მართას თანდასწრებით მეუღლეს ყველაფერში წინდახედული თავდაჭერილობით ეკიდებოდა, ქმარგარდაცვლილი დაქალისთვის უნებლიეთ გული არ ეტკენინებინა.

მართაც დაახლოებით ამგვარადვე ირჯებოდა: მიუხედავად იმისა, არმაზი თანდათან უფრო მოსწონდა, ცოლ-ქმრის წინაშე ყოველთვის ჭკვაგარკვევით იქცეოდა, უნივერსიტეტელ უპირველეს დაქალს ეჭვიანობა რომ არ აღძვროდა!

ყოველივე ამან უცნაური ნაყოფი გამოიღო: ერთმანეთს

ისედაც დანატრებული დაქალები უფრო შეაკავშირა, არმაზი კი მანდილოსნებისაგან ერთგვარად გაანაპირა! კომპოზიტორსაც ეს იმხანად საუმჯობესოდ მიაჩნდა – მომავალ სიმფონიაზე ფიქრისთვის მეტი დრო და გულისყური რჩებოდა.

საქმე იქამდე მივიდა, არმაზის მიერ სათავისოდ გამიზნული დროის მიზეზით რაკი საუზმობა და სადილობა სამივეს ერთდროულად ველარ უხერხდებოდა, ტყე-ველად ნახეტიალებ კომპოზიტორს ერთ-ერთი მანდილოსანი – იმჯერად რომელსაც უფრო ეცალა – ემსახურებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ აღარც ამგვარი ფარეზობა იყო საჭირო – ეზოს შორეული მარტოკარიდან შემოსულ კაცს საქმით გართული დაქალები ბაღის რომელიმე ჩრდილობიდან წამღერებით გამოსძახებდნენ ხოლმე – ესა თუ ის კერძი რომელ ქვაბში იყო და სად იდგა!.. მალე ამგვარ დაძახებასაც გაუვიდა ყავლი. არმაზი თანდათან ისე გაშინაურდა, სამზარეულოში ყველაფერს უკვე სხვების კარნახის გარეშეც აგნებდა და გუნებაშერჩევით ისმუსნებოდა!

თავის საფიქრალში გადაკარგულ კომპოზიტორს ქალები საშველად მხოლოდ მაშინ იხმობდნენ ხოლმე, თუ რაღაც სავსე ტომრების მიწევ-მოწევა იყო საჭირო ან ავეჯის გადაადგილება... შემოქმედის წარმოსახვას ფუტკრებივით შემოსეულ, მაგრამ მოუხელთებელ მუსიკალურ ბგერებს არმაზი რაკი ჯერ ნოტების აღვირით ვერ იურვებდა, მეზობლების წამხედურობით ნამგალი თავადაც გაიალმასა და მართას წარაფგაღმა ნაკვეთში „მუსიკალური შტურმით“ სადილობამდე იმდენი აჩოყებული, მაგრამ ტარადაუყრელი სიმინდი აჩალა, ჟიპიტაურის თაყვანისმცემელმა კაცებმა ეს ლამის პირად შეურაცხყოფად მიიღეს და ერთმანეთს სიფათების შენაოჭებით ებუტბუტებოდნენ – ეგეთი არაფერი გვინახავს!.. ეს ვინა ყოფილაო!..

თავდაპირველად მართა თავს იკლავდა და არასდიდებით არ სურდა სტუმრისთვის ამის დანებებაც, მაგრამ არმაზმა შვილები და შვილიშვილი დაუფიცა – ამის ჭრიალ-ჭრიალი მუსიკაზე ფიქრს უფრო მიადვილებსო და ცალთვალა ურიკით საძროხე-სახბორედან ნეხვს მთელი ბაღის გადაჭრით, შორეულ კუთხეში გამართულ სანაკელეზე ყოველდღე თვითონ ეზიდებოდა!

ნაამებმა ანიკომ უნივერსიტეტელ დაქალს არც აქ დაუგვი-

ანა ყელმოღერება – აი, რა შეგნებული ქმარი მყავს, არაფერს უკადრისობსო!!!

* * *

მართა ნახევარშტატზე ექთნად მუშაობდა და სამ დღეში ერთხელ სოფლის ამბულატორიაში მორიგეობა უწევდა. სამსახურში წასვლის წინ დაქალს გასაგებად აუხსნიდა ხოლმე: თუ თბილისელი დილერები ან სოფლის გადამყიდველი ქალები გამოჩნდებოდნენ, ვისთვის რა რა ფასად უნდა გაეტანებინა!

ამგვარი დავალებებით თავგაზვიადებული ანიკოც მთელი დღე შეუმცდარი დიასახლისივით მუხლჩაუხრელად ტრიალებდა, სამსახურიდან დაბრუნებულ დაქალს გული რომ ასჩუყებოდა და ოდესღაც სტუდქალაქში ერთად გატარებული წლების ნუგეშმწველი გახსენებით ერთმანეთს აცრემლებულები ჩახუტებოდნენ!..

ამ დროს სადღაც ჩაქვესკნელებული არმაზი თავისი ნოტების რვეულს ჩაჰკირკიტებდა...

ერთ დღესაც ექიმ მადლენ ქიტესაშვილს მართა სამუშაოდან ცოტა ადრე გამოეშვა. თავის სახლს მოახლოებულმა მართამ შარაგზა დააგდო და დილას ახლო საძოვარზე გარეკილი ბოჩოლების თვალდასაკრავად მიყრუებულ ორღობეში ჩაუხვია. თავის კარ-მიდამოს რომ გაუპირდაპირდა, ბაღის მივარდნილ კუნჭულში, თხილნართან დანახულმა თვალის ამხელმა სურათმა რამდენიმე წამით შეაჩერა.

ერთ-ერთი გაბარჯღლული თხილის ძირას მუთაქისებურად შეკრულ კაჭაჭზე გონჯად მიკრუნჩხული, ნიკაპზე კალამმიბჯენილი კომპოზიტორი თავის რვეულში გათიშულივით ჩაიცქირებოდა!

მართამ ბაღს აკრეფილი ნაბიჯით შემოუარა, არმაზს მისი ფეხის ხმა რომ არ მისწვდენოდა... გულსაფრიანი ანიკო გაზქურაზე აქაფქაფებულ კერძის ქვაბს დასტრიალებდა... მართამ ხელჩანთა მაგიდაზე დააგდო და მაშინვე მეორე ოთახში გავიდა. წალოდან დაკეცილი ფარდაგი გამოაძრო, მერე მოკლე მუთაქას სუფთა პირი გადააკრა და ქალებმა ფარდაგგაფენილი ვიწრო, მუთაქიანი მკვიდრი ტახტი თხილნარში არმაზს ჩაუტანეს!

გაოგნებულ კომპოზიტორს ორაზროვნად მოღიმარე დაქალები უმძრახებივით გაეცალნენ და მალე ახლა ზურგიანი სკამი

და ფეხებგადახარიხებული, შიშველი პატარა მაგიდა მიუტანეს – ასე უფრო კარგად იმუშავებო!

მეორე დღეს მართამ მეზობლის ბიჭი თავისი „შევროლეთი" რაიცენტრში გააგზავნა და ვეებერთელა ლურჯი ქოლგა „ბავარია" აყიდინა.

აღელვებული ლაპარაკით სახეატკრეცილმა უნივერსიტეტელმა დაქალებმა ქოლგას რაღაც კაუჭი რომ გამოაბეს და თხილის გადმოწვდილ ტოტზე ჩამოუკიდეს, უმალ გაცხადდა – ირიბ თავსხმასაც რომ წამოეშინა, სკამ-მაგიდასა და ტახტს შხეფიც ვერსაიდან მოეწვეთებოდა!

ამოჩემებული კუნჭულის ამგვარად მოწყობამ კომპოზიტორს შიშნარევი ეჭვი გაუჩინა: უნივერსიტეტელმა დაქალებმა გაშორჩეული პირობები კი შეუქმნეს, მაგრამ შედეგი – როგორი იქნებოდა შედეგი?!

ასეთი განცდებისგან შეფხიზლებულს, შემოქმედებითი პასუხისმგებლობა დღითი დღე უწმინდავდებოდა, წარმონადგენი ბგერები და ჰანგებიც თანდათან თანახმიერი ხდებოდა... უკვე აღარ უჭირდა მიხვედრა, სად იქნებოდა საჭირო ლიტავრის დიაპაზონის შეცვლა... სიმფონიის რომელი ადგილები ითხოვდა დეტონირებას ან რანაირ სახეს მიიღებდა ამა თუ იმ მონაკვეთის ტონალობა... შესისხლხორცებული გეშით გრძნობდა, ნაწარმოები როგორ დაისრულებდა თავის არქიტექტონიკას!

ერთი სიტყვით, სიმფონიაზე ფიქრი და საცდელი ნოტწერა ისეთი სიმწყობრით მიტბორავდა, ხან ეჩვენებოდა: მთის მივარდნილ სოფელში კი არ ცხოვრობდა, არამედ მტრის ჯვარედინი ცეცხლით გადაღობილ სოხუმის ქუჩებში ქართველ ბიჭებთან ერთად ავტომატით დახოხავდა ანდა დაბომბილ ტრასაზე ნაპოვნი ახუტებული ბავშვით მოვალალე ლტოლვილების კუდში მიტორტმანებდა!.. მაგრამ ერთი რამ კომპოზიტორს მუშაობაში ხელს უშლიდა და პირდაპირ სიცოცხლეს უშხამავდა!

ეს იყო მართას მეზობლების, მოუსვენარი დაქალებისა და ნათესავების მიერ თითქმის ყოველ საღამოს საქეიფოდ გადაპატიჟ-გადმოპატიჟება!

მასპინძლებს, ჯერ ერთი, გზაარეულ კოლოსავით მათ მიყრუებულ სოფელში შემთხვევით შემოფრენილი კომპოზიტორის

გულწრფელი პატივისცემა სურდათ. თან იმედოვნებდნენ, თავის მხრივ არც სახელოვანი შემოქმედი დარჩებოდა ვალში და, როგორც მსგავს შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, თავისი ენამზეობითა და, რაც მთავარია, „არტისტების“ პირადი ცხოვრებიდან ჭრელ-ჭრელი ამბების განდობით მსმენელებს გაანათლებდა და მათ მიმკვდარებულ ცხოვრებას თავისებურად გამოაცოცხლებდა!

* * *

არადა, ღმერთი, რჯული, ის არამცთუ არ იყო „არტისტების“ პირადი ცხოვრებისა და მათ ოჯახებთან დაკავშირებული ჭორ-მართლის მკრეფავი – რის მოსმენაც ასე სწყუროდათ უხვად სუნამონაპკურ სოფლელ ქალებს – არამედ ამისთანა სხვაც სძაგდა!..

და რაც მთავარია, ის არ იყო მოქეიფე, ქეიფის კაცი, უბრალოდ, არ უყვარდა ქეიფი! თუმც ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ქეიფი უყვარდა თუ არ უყვარდა! აქ ძაღლის კუდი სულ სხვაგან ემარხა!

საერთოდ, ქეიფთან და მით უმეტეს, ქართულ ქეიფთან დაკავშირებული ყოველგვარი წვრილმანი კომპოზიტორის ცნობიერებაში ისეთ მტკივნეულ გამოძახილს პოულობდა, მისი ბუნებისა და მოწოდების კაცს არასგზით არ შეიძლება ქეიფი ჰყვარებოდა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განუსჯელად დამცირებულ კომპოზიტორს შეპაექრების ჟინს უღვივებდა და მტრულად განაწყობდა საყოველთაოდ მიღებული უცვეთელი შეხედულებისადმი: ქართველი კაცი მოქეიფედ იბადებოდა!. ქართველი კაცი მოქეიფე უნდა ყოფილიყო!.. ქართველი კაცი ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო ასაკვირაძლებლად და ქეიფის გასაწევად! აბა, როგორ?! თქვენ რას ლაპარაკობთ!.. აქედან: მოქეიფე ქართველი, თავისთავად ცხადია, კარგი კაცი იყო, ხოლო ვისაც ქეიფი არ იზიდავდა, არ აინტერესებდა ან საამისო დრო, სახსრები, ოჯახური გარემო, მოთმინება, გამძლეობა, შემოქმედებითი მოწოდება-თავდავიწყება და თვით სიცოცხლე არ ემეტებოდა, ანდა არ ჰყოფნიდა, ის გასაკილავ-დასაძრახი და სათვალავში ჩაუგდებელ „ცუდ“ ქართველად მისაჩნევი უნდა ყოფილიყო! კი მაგრამ,

რატომ? როგორ შეიძლებოდა ამისთანა უსაფუძვლო შეურაცხყოფის მოსმენა და მით უმეტეს, მისი მონურად ატანა?!

ეს მაინც რაღა ღვთის წყრომა იყო: ქეიფ-ღრეობების უსტაბაშთა დაუწერელი, მაგრამ გაფოლადებული კოდექსი ნებისმიერ ქართველ მამაკაცს სავალდებულოდ რატომ უხდიდა, ისიც უეჭველად „კაი" მოპურმარილე და ყოველთვის ხელგაშლილი მასპინძელი ყოფილიყო ანუ თითოეულ მათგანს რატომ ართმევდა არჩევანის უფლებას, თავად განესაზღვრა ანდა განგების ჩანაფიქრით უკვე ჩანასახშივე განსაზღვრული თავისი მოწოდების, ბედ-იღბლის, ცხოვრების წესის, ჯანმრთელობის, გუნება-განწყობილებისა თუ მისწრაფების ბატონ-პატრონი თვითონ ყოფილიყო! ხოლო ქეიფ-ნადიმების თაყვანისმცემლებს ვინ უშლიდა: მჭიდრო ურთიერთკავშირი ჰქონოდათ და, ღმერთმა შეარგოთ – მთელი ცხოვრება სულ ერთმანეთთან ქეიფ-ღრეობებში გაელიათ! მაგრამ არა! ამგვარი ფიქრები კომპოზიტორს მუდამ გუნებას უმძიმებდა, ვინაიდან მის წარმოდგენაში ქეიფის გრანდები ორთოდოქს კომუნისტებს აგონებდა! მართლაც, როგორც თავის დროზე ის ძველი კომუნისტები ფანატიკურად ცდილობდნენ მთელი მსოფლიოს გაწითლებას, ისე ეს ჩვენი გამოჯეკილი მოქეიფეებიც ცდას არ აკლებდნენ, თითოეული ქართველი მამაკაციც თითით საჩვენებელ მოპურმარილოდ ჩამოყალიბებულიყო, რათა წინააღმდეგობას არსად, არავისთან შეხვედროდნენ და მთელი სიცოცხლე სულ აულაგებელ სუფრასთან მსხდარიყვნენ!!!

არა, რა გასაკვირი იყო: ქართველი მამაკაცის უპირველესი ღირსების საზომად რაღა მაინცდამაინც ქეიფის სიყვარულსა და უნარს მიიჩნევდნენ?! კომპოზიტორს აქ ის უფრო თრგუნავდა, რომ ამგვარად მოაზროვნე „ნამდვილ ქართველებს" არც აინტერესებდათ მოწინააღმდეგეთა აზრის მოსმენა! ანდა, მათებურად, აქ რაღა იყო მოსასმენი?! თავს თუ „ნამდვილ ქართველობაზე" სდებდი, მაშასადამე, „მაგარი" მოქეიფე-მოპურმარილეც უნდა ყოფილიყავი! მორჩა და გათავდა! არადა!.. ასეთი გაბატონებული შეხედულება კი კომპოზიტორს ძირშივე უსპობდა ბუნებრივ მოთხოვნილებას – უკიდურესი აუცილებლობისას თვითონაც ყოფილიყო რომელიმე ხანმოკლე, აზრიანი სერობის ერთი მოკრძალებული წევრი! მაგრამ რაკი ის საერთოდ არ იყო მოქეიფე და

მით უმეტეს, მსმელი, მაშ რაღა უფლება ჰქონდა, ასეთი „უხეირო“ ქართველი ქეიფ-ღრეობებში კუჭგამოწრთობილ „კარგ“ ქართველებს გვერდში ამოსჯდომოდა და თვალში საცემი თავისი უმადობითა და დროდადრო დაუკითხავად ნაწვევი შემოქმედებითი გათიშულობით განთქმულ მოქეიფეთა წრეგადასული ლაღობა გაეფერმკრთალებინა!

შენიშნული ჰქონდა: ნებისმიერი ჩვეულებრივი, ხანმოკლედ ჩაფიქრებული სერობაც კი, თავიდან მართლა მოკრძალებითა და თანამეინახეთა შესაშური ერთსულოვნებითაც რომ დაწყებულიყო, ბოლოს მაინც უგვანოდ ჭიანურდებოდა და უზომ-უსაზღვრო სმა-ჭამაში ოლიმპიურ შეჯიბრს ემსგავსებოდა, რათა ქეიფის სადავეებს დაპატრონებულ მძიმეწონიან „პურიმჭამლებს“ თავ-თავიანთი კუჭების ტევადობა-გამძლეობა ცხადეყოთ და ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს უხილავი მედლები და წამახალისებელი პრიზები მათ შორის განაწილებულიყო!.. კი მაგრამ, ყოველივე ამას ვისთვის რა სარგებელი მოჰქონდა, ჰა?! თქვენ ეგ იკითხეთ და!

ამგვარი სურათების იძულებით მაცქერალი ჯვარცმული კომპოზიტორი ამ დროს გუნებაში მხოლოდ საკუთარ თავს რისხავდა ხოლმე, ჭკუა მაინც რომ ვერ ისწავლა და თავისი მორიგი წინდაუხედაობით თავი კიდევ ერთხელ გაიბა ამგვარ ხიფათში!

გაჯიუტებული მსმელების ურთიერთგაჯიბრებით მოგვრილ გაუმხელელ აღშფოთებაზე მეტად ამოუხსნელი საიდუმლო აგდებდა საგონებელში: ერთ იჯრაზე სად ან როგორ ჩასდიოდათ წლის დროისა და დღე-ღამის საათებისთვის გაუთვალისწინებლად მავნებლურად მორთმეული იმოდენა მძიმე-მძიმე კერძები და ორი... სამი... ხუთი... შვიდი და მეტი ლიტრი ღვინო?! ნუთუ არსად ამოეკითხათ ან ვინმესგან მაინც არ სმენოდათ, რომ მოზრდილი ადამიანის კუჭის სიგრძეა 15-18 სმ, სიგანე – 12-14 სმ. მისი კედლების სისქე – 3-4 მმ. მაშ, როგორ შეიძლებოდა, ამგვარი მოკრძალებული ზომებისა და სათუთი აგებულების საკუთარი ორგანოსადმი ასეთი მხეცური ძალდატანება გამოეგჩინა?!. ნუთუ ასე ძნელი იყო კეთილგონივრული თავშეკავება?! თუმც უნდა ითქვას, ამ შემთხვევაში კომპოზიტორს არასოდეს უხდებოდა არავითარი თავშეკავება, ვინაიდან ეჩვენებოდა, როგორც მის

შემოქმედებას, ისე კვების კულტურასაც მუსიკალური ბგერები მისგან დამოუკიდებლად უწესრიგებდა!

ჯერ კიდევ კონსერვატორიის პირველ კურსზე თავისთავად შთაეგონა: ეს სამყარო ერთ დიდ სიმფონიურ ორკესტრს წარმოადგენდა, ის კი მისი ერთ-ერთი უღალატო ინსტრუმენტთაგანი უნდა გამხდარიყო! ამიტომ მუდამ სიფხიზლე, სიმსუბუქე და უნაკლო მოწყობილობა მართებდა, ორკესტრირების საერთო კონსონანსში დისონანსი რომ არ შეეტანა!

მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ყველაფერს თავისთავად ეხდებოდა ფარდა! ამიტომ ის თავიდანვე მიხვდა: სუფრული უთავბოლო ჯიყჯიყი მუსიკას არ ექვემდებარებოდა! ამ დროს მისი დაკორტნილი შთაგონება მოჩქარე მრევლის მიერ ცარიელ ეკლესიაში მიტოვებული ობოლი სანთელივით უმეთვალყურეოდ იფერფლებოდა! ხოლო უზომო ჭამა-სმისგან დამახინჯებულ მოსუფრალთა სახეები მიღრეცილ-მოღრეცილ ვეებერთელა ნოტებს ემსგავსებოდა, რომელთაგანაც მუსიკალური ნაწარმოები ვერ შეიქმნებოდა!

ის განგებას სმა-ჭამის წუწკად რომ არ გაეჩინა, ესეც სტუდენტობისასვე გამჟღავნდა. ერთხელ საფორტეპიანო ფაკულტეტის დეკანმა, როგორც გამორჩეული სტუდენტი, თავისი ქალიშვილის ქორწილში დაპატიჟა.

ორშაბათს მეზობლის კაცებმა მაშინვე თავშეუკავებლად ჰკითხეს.

– მაგარი პურ-მარილი იყო?

– მაგარი?! აზრზე არა ვარ!.. ალბათ, მაგარი იქნებოდა!.. – ალალგულად უპასუხა თვალხარბად შემოჩერებულ თანამოძმეებს და პირიდან ისეთი პირველყოფილი სიალალით გადმოსცდა, მათ შორის წამიერად გაითხარა სამუდამო ურთიერთგაუცხოების უფსკრული. – კი მაგრამ, ეს თქვენ რაში გაინტერესებთ?!

შუახნის კაცი იყო და თავის დღეში არამცთუ არავისთვის უკითხავს, ყასიდად გულშიც კი არ გავლებია, ამა თუ ამ ადგილას, ნეტავ, როგორი პურ-მარილი ექნებოდათო! თავს ასე როგორ დაიმდაბლებდა! ეს რა მისი განსასჯელი იყო! ან ამის გაგება რას მოუტანდა?! ეგეც არ იყოს, განა არსებობდა პურ-მარილის ავკარგიანეობის ოფიციალური საზომი, რომლის მიხედვითაც უნაკლოდ

შეფასდებოდა გატანჯული მასპინძლის მიერ გადახდილი სერობა?!

მაშ, რა სინდის-ნამუსით აფასებდნენ ხოლმე სხვის მიერ პატიოსნად გადახდილ ქეიფს?! გასაოცარია: როგორი მოკრძალებული პურ-მარილიც უნდა ყოფილიყო, ნუთუ ერთი ლუკმა პური, ერთი პეშვი რომელიმე კერძი და ერთი ჭიქა ღვინო არ მოიძებნებოდა?! ჰოდა, კაცს ერთ ჯერობაზე კი მეტი რად უნდოდა?!

კომპოზიტორს უარეს სატანჯველში აგდებდა ცხრამუცელათა მიერ სხვისი პურ-მარილის ტუჩაკვრით შფასება – „ისე, რა!“ რა გამოდიოდა?! ამ სასტიკ დროში თავისი შესაძლებლობის ფარგლებში თავგადადებულ მასპინძელს არაფერი დაეშურებინა, ესენი კი – ეს ქეიფ-ღრეობების თვალგულგაუმაძღარი მაჭანკლები! – გადახდილ პურ-მარილს უტიფრად უკილავდნენ – ისე, რაო! აბა, მეტი რაღა უნდოდათ – მოდი და ამათთანა ხალხი შინ შეუშვი და სუფრა გაუშალე!..

კარგი, დავუშვათ და მათ მიერ დაწუნებულ ქეიფზე ყოველნაირი სასმელი და კერძი ჰქონოდათ, რაც კი მთელი მსოფლიოს სამზარეულოს მოეპოვებოდა! მერე, ეს უმადური მუცლიმონები ყველაფერს ერთბაშად ხომ ვერ შთანთქავდნენ, რათა ერთი წლის ანდა მთელი სიცოცხლის მარაგი შეევსოთ?!

თვითონ კომპოზიტორს თავი სულ სხვანაირად ჰყავდა გაწვრთნილ-გამოწრთობილი. ღატაკ მასპინძელს სუფრაზე კონიაკის ნაცვლად სამიოდე წლის ბიჭუკელას კამკამა ფსელიც რომ ჩამოედგა, სახის დაუმანჭავად დალევდა და თან შეუქებდა კიდეც – ეს რა სურნელოვანი კონიაკიაო! ხოლო ჭუჭყიანი ანაცერით გამომცხვარ ხმიადს გამტკიცულ პურად მიიჩნევდა, ხელმოკლე მასპინძლის აუგს კი არსად დაიცდენდა!!!

კომპოზიტორს არ ესმოდა, რა საჭირო იყო, სულ ამ პურ-მარილზე ადამიანის გამომათაყვანებელი ღრიჭინი?! ასეთ დროს სულ ჭამა-სმაზე მოლაპარაკე და მეოცნებეებისადმი აღძრული მისი აღშფოთება თავისთავად გადადიოდა ბაქია კაცობრიობისადმი!!!

რატომ მაინცდამაინც ბაქია?! როგორ თუ რატომ: ცირკის არენიდან თუ სხვადასხვა ტრიბუნიდან ყველას ყურებს უჭედდა – ლომი... ცხენი... დათვი... მტრედი... ვეფხვი... ზებრა... მაიმუნი... პითონი... დელფინი თუ სპილო აი, როგორ გავწვრთენიო!

თავის კუჭში მოკალათებულ ღორს კი ვერაფერს უხერხებდა, რათა ნებისმიერ ნორმალურ მოქალაქეს მხოლოდ იმდენი სასმელ-საჭმელი მიერთმია, რაც მისი არსებობისთვის იყო საჭირო და სუფრიდან თავის დროზე ღირსებით წამომდგარიყო!

აქ კომპოზიტორს თავისთავად გაახსენდებოდა ხოლმე შორეული ბავშვობა, ახლა თვითონაც დაუჯერებლად რომ ეჩვენებოდა. მართალია, ტრაქტორები მათ მივარდნილ სოფელშიც თანდათან შემოდიოდა, მაგრამ დაფერდებულ ნაკვეთებს ძველებურად ისევ ხარებით ხნავდნენ!

ჰოდა, რაკი დედაც თაგვის წამალზე დაჰყავდათ, ექვსიოდე წლის ბიჭს სულ გუთნისდედა მამა დაიყოლებდა სახნავში. ხშირად ღამესაც მათთან, ნამჯადაგებულ ქოხში ითევდა.

საღამო ხანს მეგუთნეები, მეურმეები და მეველეები უხალისოდ შემოუსხდებოდნენ ხოლმე თავიანთ ღარიბულ სუფრას. თუ უქონლობაზე რომელიმეს უშმი ქართული დასცდებოდა, განთქმული მეურმე, ნაჯღაანთ ქიტა მუხლზე გაწვენილ ტიკჭორიდან ჭიქაში ღვინოს ჩაარაკრაკებდა და გულიმედიანად შეუძახებდა.

ღვინო ეუბნება პურსა,
რატო მე არ მიგდებ ყურსა,
მე და შენ რო სუფრას გავშლით
ვერავინ ვერ შაგვდებს წუნსა!

– აი, გენაცვალე მაგ ენა-პირში! – ომახიანად შეუძახებდნენ ხოლმე აქეთ-იქიდან და უცებ სულ სხვანაირი მადლი ეძლეოდა ხმიადს, კოფრჩხილას შეჭამადს, ბურბურას მწნილს, იქვე მოკრეფილ ნიახურს, ღადრიდან სახრით გამოყრილ ნაგერალ კარტოფილს...

იმ შორეულ წარსულში ერთმანეთისადმი მაინც რა ადამიანური თქმა და გაგონება იყო. სამიოდე ჭიქის შემდეგ რომელსაც უნდა ეთქვა, ძირს დაუშვებლად სრულდებოდა.

– გვეყოფა, გვეყოფა – დილაზე ადრე ვართ ასადგომები!

მემინდვრეები მაშინვე აილაგებდნენ ხოლმე სუფრას და მიწვებ-მოწვებოდნენ, მეორე დილით ტოროლებს რომ აჰყოლოდნენ!

დღეს? აქ? ამათ? ო, თუ ერთი ღვინოს პირი მოჰკრეს, მერე მორჩა – ამათთვის აღარ არსებობს სამშობლო... სამსახური... ცოლ-შვილი... დღიური საქმიანობა... კაცური დანაპირები... მოძრაობის წესები: ისხამენ და ისხამენ, სანამ რამეს არ შეიმთხვევენ!..

ეს სახელგავარდნილი „პურიმჭმლები“ ვიღაცას ამოიჩემებდნენ ხოლმე და შემდეგ პირიდან პირში გადადიოდა მათი „წყალგაუვალი“ შეფასება – ეგ პურაძვირიაო! კი მაგრამ, ოჯახური გარემო, ფინანსები, ხელობა-საქმიანობა ან შემოქმედებითი თავისებურება მავანს თუკი საშუალებას არ აძლევდა, ისიც მათებურად გულუხვი ყოფილიყო და სულ გრძელ სუფრას სჯდომოდა, ნუთუ ამისთვის უნდა გაკილულიყო!! იქნებ მისი მოწოდება ასწილ უფრო ღირებული იყო, ვიდრე საძრახის ჩვევად ქცეული უთავბოლო ქეიფ-ღრეობები?!

ისინი, ეს კუჭით მოაზროვნენი ვერ ხვდებოდნენ ერთ მარტივ გარემოებას: მავნის პურაძვირობა კიდევ არაფერი – მაგით ქვეყანა არ დაიქცეოდა! პურაძვირი თანდათან მრავალტანჯული დედამიწა ხდებოდა და ახლო მომავალში თავისი სვეკრული მოსახლეობის საკმაო ნაწილს, ალბათ, ვეღარ გამოკვებავდა! მაგრამ ამის გაგება არ უნდოდათ, რადგან სულ მწვადი, ხინკალი, ხაშლამა ემსუნაგებოდათ! ამიტომ ისინი მხოლოდ ერთს მოითხოვდნენ: ყველგან პურ-მარილით დახვედროდნენ!.. ყოველ სუფრაზე საჭმელების ყირანი ყოფილიყო!.. ნებისმიერი სადილი ვახშმად გადაქცეულიყო, რათა ეს ცხოვრება სულ შვება-ლხინში გაეელიათ!.. აბა, სხვანაირად როგორ – საქართველო ხომ პურ-მარილს ეჭირა!..

როცა უფიქრდებოდა, კომპოზიტორს ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ ქეიფთან დაკავშირებით თითქმის ყველაფერი მისი შეხედულების წინააღდეგ იყო მომართული. გამოუსწორებელი მოქეიფეები რად გინდოდა! რამდენი ქართველი მწერლის მხატვრულ ნაწარმოებსა თუ დოკუმენტურ ნარკვევში წასწყდომია და აღშფოთებით ამოუწერია კაცის გამაშეშებელი ფრაზა.

„მათ სტუმართმოყვარე ოჯახში სულ სუფრა იყო გაშლილი!“

მარტო ამის ზერელე გააზრებაც კი კომპოზიტორს ძილს უკრთობდა! ნუთუ ასეთ ოჯახებს სხვა საქმე და მოწოდება

არაფერი გააჩნდა, გარდა სუფრის გაშლა-განახლებისა და ქეიფისა?!. რანაირად შეიძლებოდა ასე უაზროდ წერა?!. ან ვის სჭირდებოდა ამგვარი ყალბი პათეტიკა?!.

მრავალწლიანმა მწარე გამოცდილებამ კომპოზიტორი სრულიად ბუნებრივად მიიყვანა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენამდე: იმაზე უფრო დიდი წინდაუხედაობა არა იყო რა, ვიდრე ცხოვრების კარნახით გამომუშავებული შენი სათუთი კვების კულტურა საღრეობოდ შეყრილთა წინაშე გამოგემზეურეებინა და მათი უთავბოლო განსჯისა და დაცინვის საგნად გექცია!

კომპოზიტორს ეს სოფლური, ვითომ პატარ-პატარა ქეიფებიც სიცოცხლეს უმწარებდა, მაგრამ იძულებული იყო, მართას ხათრით ეთმინა!

ყველას თვალში ხვდებოდა და დაუმთავრებელ ღიმილს იწვევდა თბილისელი სტუმრის პიწკად ჭამა-სმა. შეუძლებელი იყო ამის შეუმჩნევლობა. მით უმეტეს, ადგილობრივი კაცები თავს ღვინო-არაყში იხრჩობდნენ და ქეიფის შემდეგ რჯულზე დამთვრალ-დამძღარი ქმრები ამისთანებში გამოცდილ ცოლებს რაცრაც-ბარბაცით ძლივს მიჰყავდათ შინისკენ!

აქაურ მასპინძლებს ასევე აოცებდა არმაზის სრული გულგრილობა ახალი ხორცისადმი – ერთ პატარა, ისიც მჭლე ნაჭერს თუ გადაიღებდა! ტყე-ღრეში ყოველდღიური საქმიანობისგან გამგელებული სოფლის კაცები კი ვინმესთან ახალდაკლულ შაქსა თუ ბოჩოლას ლამის ძვალტყავიანად ჭამდნენ – ვინ იცის, კიდევ როდისღა გველირსებაო და შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ!

ღვთის წყალობით, მართა მალე მიხვდა – სმა-ჭამას გადაყოლილი ნაცნობი საკაცეთის ტლანქი ჭკუა კომპოზიტორს ტანჯვადა, ხოლო ხშირ-ხშირი ქეიფები ფიტავდა და მუშაობაში ხელს უშლიდა! ამიტომ საქმე ისე მოაწყო, არმაზი უდავიდარაბოდ გამოათავისუფლა ამგვარი ერთფეროვანი ქეიფებისგან. აუცილებლობისას მხოლოდ თვითონ და ანიკო დაიარებოდნენ, ისიც ცოტა ხნით.

არმაზმა ახლა კი თავისუფლად ამოისუნთქა და მთელი გატაცებით მიეცა სიმფონიაზე მუშაობას. მართაც თავს ვალმოხდილად გრძნობდა, შემოქმედი რომ იხსნა უსარგებლო გაწამაწიისაგან.

მხოლოდ ანიკო გამოიყურებოდა ცხვირჩამოშვებული. მას ენით აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა, ყოველი ქეიფისას სოფლელი ქალები ტლანქი ცნობისმოყვარეობით რომ აკვირდებოდნენ, რათა თავიანთებურად ამოეცნოთ მათი ცოლქმრული ურთიერთობის ყოველი წვრილმანი!

* * *

მესამე დღეს, ოც ივლისს, ცა მოულოდნელად მოქურუშდა. ოლონდ საავდრო ღრუბლები არ ჩანდა. დასავლეთის მიწისპირა ქარი უბერავდა. ერთი-ორჯერ მრისხანედ გამოიჭექა. ტყე-ველად გასული კომპოზიტორი თავისი განუყრელი საწვიმრით იყო და მუქარიანი ელვა-რუხრუხი აინუნშიც არ ჩაუგდია! პირიქით, ეს თითქოს შემოქმედებით განწყობილებას უმაღლებდა და საიდანღაც ანიშნებდა – მომავალი სიმფონიის მხატვრული გამომსახველობის გამოსაკვეთად სად იყო საჭირო ტემპის ან მეტრის მცირე შეცვლა.

კომპოზიტორმა ჩაბნელებულ ტყისპირს ზურგი აქცია და გზა გადაიმოკლა. საძოვრებს რომ ჩამოუბრუნდა, ერთგან, ვიწრო შუროში თავმინებებულ ფარას წაატყდა.

გრუხუნ-გრგვინვისაგან დარეტიანებული, კრიჭაშეკრული ცხვრები გაკვირვებით შემოაჩერდნენ ჩომბახიან უცხოს, მათკენ დინჯად რომ მოიმართებოდა.

ქარისაგან მოფარებული ეს ჩავარდნილი საძოვარი კომპოზიტორს უცბად ღია აუდიტორიად წარმოუდგა, გარინდებით შემოჩერებული ცხვრები კი თავის ერთგულ მსმენელებად! ამიტომ მოკლე კეტი დირიჟორის ჯოხივით აზრიანად აუქნ-დაუქნია. ამგვარმა უცნაურმა მოპყრობამ ცხვრები უარესად გააშეშა.

კომპოზიტორმა ორჭოფული ღიმილი ვერ შეიმაგრა – მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნება მაინც რა უცნაური გზით იყო ნატარები! ახლა თვითონაც არ ეჯერებოდა, ვერც კი წარმოედგინა, ასე რანაირად შეიძლება ყოფილიყო: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდეც კი დირიჟორი ორკესტრანტ-შემსრულებლებისკენ ზურგშექცევით იდგა, პირით მაყურებლისკენ!!! ვაგნერის დროიდან ახალი ერა დაიწყო – დირიჟორი აუდიტორიისკენ დადგა ზურგით!..

თითქოს ამის დადასტურებააო, ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, კომპოზიტორმა უმალ ზურგი აქცია თავის „მაყურებლებს“ – თვინიერად შემოშტერებულ ცხვრებს და უხილავი ორკესტრის – მოშავბნელებული ცისკენ თვალაპყრობილმა, ჯოხს ისეთი თავდაჯერებით დაუწყო ქნევა, გაბმულ ჭექა-ქუხილს თითქოს მართლა თვითონ წარმართავსო!..

მთელი ის დღეები არმაზი ისე იყო თავდავიწყებული სიმფონიაზე ფიქრით, ხეირიანად აღარც კი ახსოვდა, ირგვლივ რა ხდებოდა! მოგვიანებით ბინდბუნდად ესღა აგონდებოდა: მართამ და ანიკომ მძიმე-მძიმე ლეიბები სულ გამოფაშვეს, მატყლი და ლეიბის პირები დარეცხეს და აივანზე დააშრეს. მერე კი სივილა საპენტელებით მატყლს მოწადინებით პენტავდნენ და აბუებდნენ!..

მართასთან ხანდახან ყავის დასალევად და ვითომ ნალექზე სამკითხაოდ გადმოსული მეზობლის შეუოკებელი ქალები – თუკი ამის შემთხვევაც მიეცემოდათ, კომპოზიტორს და დიასახლისს ეჭვიანი თვალებით აკვირდებოდნენ და დროის გასაწელად რაღაც უმნიშვნელო მოვლენებზე ენას იგრძელებდნენ!..

ჰო, კიდევ აი, რა დაამახსოვრდა: მათთან ხშირ-ხშირად გადმოსული ერთი უკბილო დედაბერი სულ რომელიღაც ჯიშის ქლიავის დაწვნიკებას უჩიოდა!..

* * *

აგვისტოს შუა რიცხვებში უჩვეულო მღელვარებამ მოიცვა ეს მიძინებული სოფელი. კვირის თავზე აქ უჩვეულო ქეიფი იმართებოდა „მოკლე“ წრეში! როგორც ხმები დადიოდა, მხოლოდ „რჩეულთა შორის რჩეულები“ იქნებოდნენ მიპატიჟებულნი!

ჰოდა, ახლა ყველა მოლოდინით თრთოდა – ვინ ჩაითვლებოდა სოფლის „რჩეულად“ და ვინ – არა!

საწვეულოდ თბილისიდან ქმარ-შვილით მოდიოდა მეგი ცომაია! მას თან მოჰყადა ვაჟიშვილიც, ადგილობრივ ექიმ-თერაპევტს, მადლენ ქიტესაშვილს – მასპინძელიც ის იყო! – სიძედ რომ უნდოდა!

ჰოდა, ახალგაზრდებს თუკი ერთმანეთი თვალში მოუვიდოდათ, ძველი დაქალების დამძახლებას წინ აღარაფერი დაუდგებოდა!

მადლენის მეუღლეს, თარხანს, საამდღეოდ კი გამოემეტებინა ხელზე გამოზრდილი შველი: ნახევარი ცივად მოიხარშებოდა, ნახევარი კი ჩარდახში გაშლილ სუფრაზე სულ შამფურ-შამფურ მოვიდოდა!..

გაშინაურებული შველი თითქოს წინდაწინვე გუმანობსო ზედ მომდაგრ აღსასრულს, მოლიან ეზოში დაუღალავად დაკუნტრუშობდა და საქმიანად მიმომავალ გამწესრიგებლებს გულმინდობით შემოსთამაშებდა!..

სასმელი? საოცნებო სტუმრებს, აბა, უთვისებო ჟიპიტაურითა და ადგილობრივი კაცების მიერ საიდანღაც ამოტანილ გამოქაჯულ ჭაჭაზე დაყენებულ ჭყაპურტა ღვინოს ხომ ვერ აკადრებდნენ?!

წინა დღეებშივე დარეკა თარხანის ქორწილის ნათლიამ, შმაგი ჭუნიაშვილმა – თავანკარა რქაწითელს, კაბერნესა და საფერავს ის ამოიტანდა! ხოლო ლალი ტოპრაკაშვილი...

გათენდა ეს დღეც! საუზმობისას მართა ისე იქცეოდა, ჩანდა, ანიკოსგან წვრილად იცოდა – ბოლო ხანს თავის საფიქრალში გადაკარგული არმაზი არსად წაყოლას არ აპირებდა! ამიტომ ნაასაუზმევს ტილოს სუფთა პარკში მონდომებით ჩაილაგა ცომის სათხელებელი, სახინკლე ცომის მოსაჭრელი ხის ქუსლიანი ჭიქები და დაქალს არმაზის გასაგონად კილოკავად აულაპარაკდა.

– საღამოზე ძროხებს სანათა დამინველის!.. ხბორებსაც ის ჩამიბინავებს!.. მე აქ აღარ ჩამოვალ – ან რიღასთვის ჩამოვიდე?!.. იმოდენა საქმე გვექნება, აქ სასიარულოდ აღარც მეცლება!.. მე კი მაინც გადმოვრეკავ, მაგრამ... პირველი საათისთვის უსიკვდილოდ იქ იყავით!.. ნუ დააგვიანებთ!!!

– არა, არა, რა უნდა დავაგვიანოთ!.. მადლენი რას იფიქრებს?! – ანიკომ დაქალს ქმრის მაგივრადაც უპასუხა და მაგიდის ალაგებას არევით შეუდგა. იქვე, მსხლის ქვეშ ბოლთის ცემით გატაცებულ კომპოზიტორს კი შემოქმედებით გათიშულობაზე ეტყობოდა – ხეირიანად არ ესმოდა, უნივერსიტეტელი დაქალები რაზე მსჯელობდნენ ან სად არ უნდა დაჰგვიანებოდათ!..

მართამ მობოჭა ტილოს ზოლებიან პარკში გადახვეული თავისი ავლადიდება, დილაადრიანად მოკრეფილი რაღაც მწვანი-

ლების გრძელ-გრძელი კონები და ეზოს მარტოკარით ორღობეში ისე გაესწრაფა, შეეტყო, როგორ მიელოდებოდნენ მადლენის მიერ შერჩეული მოთადარიგე ქალები...

ანიკო მაგიდის ალაგება-მოსუფთავებას მალე მორჩა. მერე მართას დანაბარებისამებრ მარანში შეიხიზნა და მინანქარის ფუთიან ქვაბში გუშინ ჩაჩუმავებულ რძეს დაუტრიალდა.

მარტომყოფობით შვებულმა კომპოზიტორმა ამოიიღლიავა ერთმანეთში ალინთული რაღაც ფურცლები, სანოტო რვეული და თხილნარის თავშესაფარს ფუტკარივით მიაშურა!

მთელი საათი მაგიდას მხარწახრით უჯდა და სანოტო ხაზებზე ნოტებს მძივებივთ ასხამდა!.. ფიქრითა და წერით რომ დაიქანცა, ტახტზე გულაღმა გაიშოტა და არეულ ცაზე ნაირფერი ღრუბლების ნაგლეჯების მოუსვენარ მიმორევას თვალი გაუშტერა!.. მოეჩვენა, ეს მისი სიმფონიის ნაწყვეტები დულდა და თანდათან საბოლოო სახეს ღებულობდა!.. შემოქმედის უტყუარი გუმანით ხვდებოდა: მორჩა, სოხუმის დაცემის ამსახველი სიმფონია მის წარმომსახველობაში სწორდ დღეს ან აღარასოდეს დასრულდებოდა!.. ისიც იგრძნო, უკვე მოთვინიერებულ მუსიკალურ ბგერებს რა შვების მომგვრელი თანახმიერება უწესრიგებდა!..

ცას აშტერებული კომპოზიტორი ვიწრო ტახტზე მარმარილოს ქანდაკებასავით იდო და განძრევაც კი აშინებდა – ეს დალაგებულ ფიქრებსა და მუსიკალურ პასაჟებს მოუხელთბლად დამიფრთხობს და სულ დავიღუპებიო!..

ამასობაში თორმეტი საათიც გახდა და პირველი დაიწყო. ავი წინათგრძნობით შეპყრობილმა ანიკომ ყველა შინა საქმე მოითავა. მერე შხაპი გადაივლო და მოიკაზმა.

რამდენიმე „რჩეულმა" წყვილმა ორღობეში მოუთმენელი ნაბიჯით ჩამოიარა და ანიკოს ხელით ანიშნეს – რაღას უყურებთ, რატო არ მოდიხართო!

გაბუსხულმა ანიკომ ქალებს ეზოდან თხილნარისკენ გაუშვირა თითი – ის არაფერს ფიქრობსო!

საზეიმო განწყობით ატაცებულმა ქალებმა ხელები ხმლებივით მიიქნ-მოიქნიეს – იმას ვინა ჰკითხავს, ააყენე და წამოდითო!..

ორ საათზე შეშფოთებულმა მართამაც დარეკა – რა ხდება,

აქამდე სადა ხართო?!

ამასობაში სამი საათი გახდა!.. მალე ოთხიც მიიწურებოდა!..

კომპოზიტორი თავისი თავშესაფრიდან ახლა გინდაც გამოსულიყო, სტუმრად წასვლა გახსენებოდა ან მოჰგუნებებოდა, აზრი უკვე აღარაფერს ექნებოდა!..

ანიკო აივანზე და ეზო-ყურეში თავდამამცირებლად წრიალებდა, მაგრამ ადგილს ვერსად პოულობდა!..

ბოლოს ბაღის კარი შეაჭრიალა, ზურგზე უძრავად გაწოლილ ქმარს წინიდან წამოუარა და ტახტზე გაუბედავად ჩამოუჯდა. მერე მისი მარჯვენა მომაკვდავის მკლავივით აიღო, კალთაში ჩაიდო და ფერება დაუწყო...

– არმაზ, აი... გულახდილად მითხარი – ცხოვრებაში ვინმე გყვარებია?!

კომპოზიტორმა ნათქვამი გაიგონა, მაგრამ არაფერი უპასუხია. ძირ-ძირ მიმცურავ კაჟისფერ ღრუბლებს მხოლოდ თავისებურად შელიმა.

ეს მარტოსული შემოქმედის გაღიმება იყო!

საყოველდღეო ფეხსაცმელების სამდღიანი უშედეგო ძებნისას ბრმა შემთხვევამ თუ ბედისწერამ სადგურის ქუჩაზე, გერმანული ნახმარი ფეხსაცმელების პატარა მაღაზიაშიც შეახეტა. ჯერ ათასნაირი ფეხსაცმელებით შეჩონჩხილი თაროები მდუმარედ შეათვალიერა, მერე კი გამყიდველ ქალს მოკლედ აუხსნა, რომელი ზომის რანაირ ფეხსაცმელებს ეძებდა.

სახიერმა ქალბატონმა მუშტარი დაკვირვებით შეათვალიერა.

– რა პროფესიის ბრძანდებით?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს?!

– როგორ არა აქვს! – გამყიდველს წინდახედულად გაეღიმა, – აბა, ექიმს... მტვირთავს... პედაგოგს... სტუდენტს თუ... ქვის მთლელს ერთნაირ ფეხსაცმელებს ხომ არ შევთავაზებ?!. ნუ გერიდებათ – რა პროფესიის ბრძანდებით?

– მწერალი.

– ოოო! – ნაირ-ნაირი ფეხსაცმელების სუნით გაუღენთილი საუფლოს თავდაჯერებულ დიასახლისს ჩაფიქრებით მოეკუმა ტუჩები. მერე მრავალსართულიანი თაროების უკან მიფანიერებული ყუთიდან რაღაც შავი ფეხსაცმელები ამოაქანა და მწერალს მოკეთურად გაუწოდა, – აბა, ჯერ ესენი გაისინჯეთ!

„RIEKER"-ის ფირმის მსუბუქ ფეხსაცმელებს ისეთი ფაქიზი ნახმარობა ეტყობოდა, თითქოს ახლებიაო. თან გაუკვირდა კიდეც – ასეთებს როგორ იმეტებენო!.. დამაბრმავებლად მოკაშკაშე შიშველი ნათურის ქვეშ, დაბალ პუფზე ჩამოჯდა, თავისი შელახული ბოტასები გაიხადა, გვერდზე მიაწყო და შემოთავაზებულ ფეხსაცმელებს სინჯვა დაუწყო – თითქოს მისთვის შეეკერათ!

– შესანიშნავი ფეხსაცმელებია!.. ვიცი, ვის რას ვთავაზობ!.. – ენასხარტობდა თვის ფიქრებში გადაკარგულ მუშტარზე თავაზიანად თვალდაჭერილი გამყიდველი ქალი, – მერე თუ ჭკუაში აღარ დაგიჯდებათ, უკანვე მომიტანეთ!.. ოღონდ ორ დღეზე მეტს ნუ გადამიცდენთ!.. მე თუ არ ვიყავი...

– მაშინ ვინ ვიკითხო?

– შორენა ნარმანია.

მწერალმა დასახელებული საფასური შეუვაჭრებლად გადა-

უხადა და ცელოფნის შავ პარკში გამონასკვული ფეხსაცმელები გაბრუებულმა წამოიღო.

შინ მისვლისთანავე ფეხსაცმელებს შნურები დააძრო და ორივე მთელი ღამით ნელთბილ საპნიან წყალში ცალ-ცალკე ჩაალბო. დილით კი იმდენ ხანს რეცხა, სანამ ნარეცხს სასურველი სიკამკამე არ მიაცემინა. მერე ჭადრის ხემ რომ მოაჩრდილა, გარეთ გასაშრობ-გასანიავებლად გაკიდა.

საამო შეუბოჭავობას განიცდიდა, მეუღლე ორი დღით სოფელში დასთან რომ იყო წასული და თავის ნებაზე საქმიანობდა!

გადაშუადღებული იყო, ფეხსაცმელები რომ დაუშრა. შნურები ისევ გაუყარა და ახლა კი გუნებიერად რომ დაეთვალიერებინა, საწერ მაგიდაზე დაიწყო... უეცარმა თვალახელამ მწერალი მიწისძვრასავით შეაქანა და ვერ მიხვდა, ამ ფეხსაცმელებით განგებამ დააჯილდოვა თუ სამუდამოდ დასაჯა!

უნაკლოდ დამუშავებულ ბუნებრივ ტყავს ფეხსაცმელებისთვის მერე და მერე ნაოჭები რომ არ გაეჩინა ანდა უშნოდ არ მიღრეცილ-მოღრეცილიყო, თითოეული მათგანი ექვს-ექვსი ცალკეული ნაჭრისგან უნაკლოდ იყო შეკერილი!.. უნგრეველი გალავნის ტყავის ქონგურს დამსგავსებულ რბილ საქუსარს უნაღვლელა პატრონი მუდამ უხეშად ჩცმისას თუ არ ჩაჭყლეტდა, ალბათ, მთელი სიცოცხლე გაჰყვებოდა!.. რბილი საძირე და ასევე რბილი, თითქმის ფაფუკი, მტკიცესარჩულიანი საპირე, ეტყობა, რაღაც ზღაპარწებოთი ერთმანეთთან ისე წარმოუდგენლად იყო შეკავშირებულ-შენივთებული, არც კი ემჩნეოდა, სად გადიოდა გადაბმის ხაზი!

ეს კიდევ არაფერი! ამ ფეხსაცმელების შემქმნელი გენიოსები თუ უცხოპლანეტელები მარტო მარწუხისებური წებოს იმედით არ დარჩენილიყვნენ: საძირისა და საპირის შეწებების საზღვარს თან ქიმიურად დამუშავებული კაპრონის მომსხო, შავი ძაფის ისეთი მკვიდრი, უნაკლო გვირისტი ევლო, კაცი თვალს ვერ მოსწყვეტდა!.. აქ ყეყეჩიც მიხვდებოდა: საძირე პირს ცერასოდეს დააღებდა და მფლობელი თუ რიგიანად იხმარებდა, ეს ფეხსაცმელები დროთა ვითარებაში სულ თანაბრად დაცვდებოდა და დადნებოდა!!!

ფეხსაცმელებს აგვირგვინებდა კოპწია რანტი, საძირისა და საპირის შეერთების საზღვარს ქორფა სუროს წვრილი, მოქნილი პნკარივით რომ სარტყლავდა!..

თვალდაშტერებით დაჰყურებდა შემთხვევით შეძენილ სასწაულ-საოცრებას და ერთდროულ აღტაცებას, გარინდებას და არასრულფასოვნების განცდას თავს ველარ აღწევდა – რა გამომგონებლობას, პატიოსნებას, ეროვნული ღირსების შეგნებას, მომხმარებლის წინაშე პასუხისმგებლობასა და წარმოების რანაირ კულტურას შეექმნა ეს შედევრები!

გონებამ და ტანმა თითქმის ერთდროულად უაზრა: ფეხები არ უნდა მომტვრეოდა, ეს ფეხსაცმელები ჩაეცვა და აქა-იქ ხეპრულად ელაჯუნებინა!.. თუმცა რა ფეხსაცმელები, რის ფეხსაცმელები – ფეხსაცმელები კი არა, საწერ მაგიდაზე ამ ფეხსაცმელებში განსახიერებული თუ მისი გატანჯული წარმომსახველობით წარმოდგენილი საოცნებო ნოველების შესაქმნელი თილისმური ნიმუშები ეწყო!!!

ფეხსაცმელებს თვალს ველარ აშორებდა, აფორიაქებული გონება კი გამაშეშებელ მსგავსებას ერთმანეთის მიყოლებით უთვალსაჩინოებდა: მომავალი ნოველები საძრახის ნაოჭებს რომ არ დაელარა ან იქ დახატულ ამბებს მკითხველებში მიღრეცილ-მოღრეცილის შთაბეჭდილება არ შეექმნა, ამ ფეხსაცმელების ცალკეული ნაწილებისა არ იყოს, მისი ანუ ნოველის თითოეული პასაჟიც ისეთი დამაჯერებელი და დახვეწილი უნდა ყოფილიყო, ერთმანეთს უნაკლოდ შესისხლხორცებოდა!..

ნოველის საძირე ანუ სიუჟეტი და საპირე ანუ მონათხრობი ერთმანეთს უნდა შეკავშირებოდა არა ხარაზულ-ფაბრიკული ძალადობით, არამედ ძალდაუტანებლად – ნამდვილი მწერლის მიერ „მოხარშული“ მხატვრული „წებოთი!“ – თუმც აქ დაუშვებელი იყო დაზგურ-კონვეირული „წებება!“ ამიტომ სათხრობს უნდა დაჰკვირვებოდა არა მხოლოდ მთლიანობაში, არამედ მისი ყოველი ახალ-ახალი პასაჟი, პერსონაჟი, ეპიზოდი, აბზაცი, წინადადება თუ სიტყვა ბუნებრივად „მიიწებებდა“ თუ არა თავის სავარაუდო მომავალ „მეზობელს!“.. ხოლო თუ მიხვდებოდა, ყველაფერი ერთმანეთს თავიანთი „თანხმობით“, „სხვის“ ჩაურევლად „ეწებებოდა“, მხოლოდ მაშინ უნდა გაეგრძელებინა ნაწარმოების

„კერვა!".. აქ გრაფომანულ-კამეჩური ძალადობა ან თავმოსატყუებელი „კოწიწობა" და კუსტარული „მიწებებ-მოწებება" თავლაფის მეტს არაფერს მოიტანდა!.. თუმც არც მარტო მხატვრული „წებოს" იმედით ყოფნა ივარგებდა – ნოველას ძარღვიანი ენის ისეთი გამძლე ჭაპანი უნდა ჰქონოდა გადარტყმული, როგორც ამ ფეხსაცმელებს კაპრონის ძაფის უნაკლო გვირისტი!.. ზედგამოჭრილი სტილი კი ნაწარმოებს ნატიფი რანტივით დააგვირგვინებდა!..

ფეხსაცმელების გვირისტზე დაშტერებულმა, თავი ძლივს აიღო – სარკმლები შემპარავად იბინდებოდა... მეუღლის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი უჯრა ამოაქოთა და რაგინდარა ნაკუწებისაგან ფეხსაცმელებს საშორები მიუბლანდ-მოუბლანდა, დროთა ვითარებაში საპირეები რომ არ ჩამოდრეკილიყო... მერე სამზარეულოს თაროედში წყობისად ჩალაგებული დიდ-პატარა ყაბებიდან ხამი ტილოს პარკი გამოარჩია, ფეხსაცმელები შიგ ჩააწყო და საწერი მაგიდის მარცხენა, სულ ქვედა თაროში, გაძეკილი საქაღალდეების უკან შეინახა, უფრო სწორედ, დამალა.

საქმე რომ დააგვირგვინა, ფიქრებაშლილი სარკმელს მიადგა – კორპუსის წინ გაწოლილი ხეივანი გადაბინდულიყო... იგრძნო, საიმედოდ გადანახულმა სასწაულმა საქმე სხვანაირად გაუჯანჯლა: ფეხსაცმელები კვლავ საყიდელი ჰქონდა, საამისო ფული კი აღარ ჰქონდა! ამიტომ რამდენიმე თვით ისევე იმ შელახული ფეხსაცმელებით უნდა გასულიყო იოლას, სანამ საჭირო თანხას მოიხელთებდა! მაგრამ ეს არც აშინებდა, არც ამცირებდა – „RIEKER"-ის ფირმის ნოველა-ნიმუშების თაყვანისცემის ნიშნად ჭაბუკურ მზადყოფნას განიცდიდა, თუგინდ ახლაც ქალამნებით ევლო, როგორც ოდესღაც, მწყემსობისას...

* * *

იმ ღამით კურდღლის ძილი ეწერა. ნაშუაღამევს გულმა მაინც ვერ მოუთმინა: მეუღლის საშინაო გრძელ ხალათში ნაუცბათევად გამოეხვია, ფეხსაცმელები ისევ ამოიღო და საწერ მაგიდაზე დაიწყო! რა ექნა, პირდაპირ სუნთქვას უკრავდა მისი მკვიდრი შეკერილობა და გამორჩეული მოყვანილობა!!!

აბა, ზუსტად ასეთებს კი ის რას შეძლებდა, მაგრამ დაახ-

ლოებით ასეთი ნოველები რომ „შეეკერა“!

ამის გაფიქრება სატანჯველის უღელში ნებაყოფლობით თავგაყოფასაც ჰგავდა, უსაზღვრო ჟინის მოზღვავებასაც, დაუხანებელი ცდის მოწყურებასაც!.. მაგრამ ასეთი სულასწრაფებით შებმაც საბედისწერო წინდაუხედაობად ეჩვენებოდა! ამ ფეხსაცმელების „ნოველისებური“ შეკერილობა ჯერ ისე უნდა გაეთავისებინა, თავის წარმოსახვაში ახალჩასახული ნაწარმოების თარგ-სიუჟეტებს ბუნებრივად მისადაგებოდა!..

ფეხსაცმელები თავის ადგილას დააბინავა და ისევ ჩაწვა. რამდენჯერმე კიდეც ჩაეძინა და გამოეღვიძა, მაგრამ ფეხსაცმელების „მხატვრული“ შეკერილობის ზმანება ძილს უფრთხობდა და დამსიზმრებულივით აბორგებდა... ძილმღვიძარე ამასღა ნატრობდა – დროიანად ერიჟრაჟა, მუხნარში რომ გადასულიყო! სწამდა, იქ ბოლთის ცემა ფიქრებს დაულაგებდა! ამიტომ კარგა ხანს ილოდინა, სანამ ირიჟრაჟებდა, მაგრამ იმხანად რიჟრაჟი ჯიუტად აგვიანებდა!

საკუთარმა მოუაზრებლობამ მჟავედ გააღიმა – რიჟრაჟიც მატარებელი, რომელიმე დაწესებულება ან თვითმფრინავი ხომ არ იყო, მაინცდამაინც დანიშნულ საათზე დალოდებოდა?! ჰოდა, რა დაშავდებოდა, თუკი ცისკარს ლოგინში კია რა, ჰაერკამკამა მუხნარში შეეგებებოდა!

წამოხტა და სასწრაფოდ ჩაიცვა. მერე ძაღლების მოსაგერიებელი კეტი აიღო და ძირს ულიფტოდ, თანაც ფეხაკრეფით ჩავიდა, ზოგიერთ მეზობელს სალაპარაკო რომ არ გასჩენოდა – ვინ არი ან ასე გაუთენებლივ რისთვის მიიჩქარისო!

ნაღამურმა ჰაერმა მაშინვე გამოაცოცხლა. ცისპირი დაძრულიყო – უკვე გათენებას აპირებდა... მეეზოვეები კარგა მოგვიანებით გამოჩნდებოდნენ... მიმდუმარებული გზატკეცილი გადაჭრა და ის-ის იყო, მუხნარში უნდა გადასულიყო, მოულოდნელმა სურათმა ადგილზევე გააშეშა. ღამის კაშკაშა ლამპიონით განათებული სანაგვე ურნის გვერდით, ტროტუარის ბორდიურზე მამაკაცის შავი, ახალივით ფეხსაცმელები რაღაც კეთილშობილურ შემოთავაზებასავით ეწყო!!!

განცვიფრებისაგან წამით განსჯის უნარი დაეკარგა – ამ საყოველთაო გაჭირვებისას აქ აქამდე როგორ გაუშვესო! მა-

გრამ გონებამ ახლა სხვანაირად უელვა: იმ მადლიანს, ეტყობა, ეს ფეხსაცმელები საღამოთი კი არა, გვიან ღამით, ფეხის მიწყდომის შემდეგ შორსმჭვრეტლურად გამოეტანა და დაეწყო, რათა აქ ნარიყრაუევს გავლილ პირველ გაჭირვებულს ოქროს დიდი პრიზივით რგებოდა!

განგებამ კი ეს პრიზი სწორედ მას არგუნა!!!

იმედგაცრუებას რომ არ დასძლევინებოდა, უცებ ნადირისებური სიფრთხილე დაეუფლა – შეუძლებლად ეჩვენა, ასეთ მოკლე დროში ამდენი სასწაული ერთმანეთს წაბმოდა! ამიტომ წინდახედულად გაივარაუდა – ერთი დახედვით ახალივით ფეხსაცმელები უეჭველად ძირარღვეული, ძირებგათხელებული ან ქუსლებამძვრალი თუ ქუსლებმოცვეთილი იქნებოდა! ამიტომ გულდასმით სინჯვა-სინჯვაში თავს დაითენა კიდეც!

არავითარი ზადი – ცოტა ხნით ნახმარი ჩანდა... თან ოდეკოლონის სუსტი სუნი უდიოდა... ღირსებით გარინდულ ფეხსაცმელებს არაფერზე ეტყობოდა ხეძგერია, ჩორთა ან ჭარბწონიანი პატრონის უნებლიე ძალადობის ნაკვალევი!.. თვალზომითაც თავისი ფეხისა ჩანდა!.. ეს ყველაფერი ისე დაუჯერებლად მოეჩვენა, უნებლიეთ მაღლაც კი აიხედა – უფალი ზემოდან ხომ არ დამყურებსო! მაგრამ გინდაც ეყურებინა, ეს რას დაინახავდა?! ახლა სინდისის ქენჯნა მოერია და ახალბედა ქურდივით აყოყმანდა – ეს ფეხსაცმელები იქნებ ჩემზე უფრო გაჭირვებულს უნდა რგებოდაო! ამიტომ თავის ადგილას ცივად დააწყო და ის იყო, იქაურობას უნდა მოშორებოდა, ახლა საწინააღმდეგო აზრმა გაჰკრა – ვაითუ ეს უფლის ჩანაფიქრის გმობად ჩასთვლოდა!.. ამ შემთხვევაში მთავარი ჩანდა არა მაინცდამაინც გაჭირვება, არამედ საგათენებო პირველობა!..

არა, გათენების ჰაერკამკამა სიწყნარეში ეს ფეხსაცმელები განგებას მისთვის ოლიმპიური ოქროს მედალივით მოემზადებინა და იმასაც დამშვიდებული სინდისით უნდა მიეღო!!!

* * *

ეს ფეხსაცმელებიც იმგვარადვე დარეცხა, დააშრო და გაანიავა. მერე საწერ მაგიდაზე დაიწყო და ისე დაუწყო სინჯვა, როგორც არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნ იშვიათ ნივთს!

სარჩულმოჩითული, რბილი ფეხსაცმელები ავსტრიული აღმოჩნდა. ოდნავ მოცვეთილი შავი ქუსლების სიღრმეში ერთი დახედვითაც იკითხებოდა თოქმა ასოებით ამოტვიფრული ფირმის სახელწოდება „REMUS"-ი.

მწერალმა განგებას თუ თავის ბედ-იღბალს უნებლიეთ ცოდვილივით ისე გაუღიმა, ალბათ, თვითონაც ვერ გრძნობდა, ვის უღიმოდა ან როგორ ელიმებოდა!

რემუსი ხომ რომის მითიური დამაარსებლის, რომულუსის ტყუპისცალი იყო, უზურპატორმა ამულიუსმა ძუძუთა ბავშვები ტიბრში რომ გადააყრევინა, მარსის სურვილის თანახმად კი მდინარემ ნაპირზე გამორიყა და ძუ მგელმა თავისი ძუძუთი გამოკვება! ხოლო შემდეგ...

მერე, ამ მითოლოგიურ ამონარიდებს რა კავშირი ჰქონდა ან სანაგვეზე ნაპოვნ ფეხსაცმელებთან ანდა, თვით მწერალთან?! არსებითად, არაფერი! უბრალოდ, შემოქმედის სათუთ წარმოსახვას ერთმანეთში გადაკვანძილი მითოლოგიური ამბებისა და სინამდვილის ჟამუღრანებში მაცდურად დააფარფატებდა და ისიც რწმენით ივსებოდა, რაკი ეს ყველაფერი უზენაესის ჩანაფიქრად ეჩვენებოდა!..

უცებ ამ ყოველგვარი წვრილმანის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ისეთი სიმბოლიკა აელანდა, ახლა შიშმაც კი აიტანა – რაღაზე წუხელ იქვე დავტოვებდიო! ამიტომ ბავშვივით ირწმუნა: წუხელ თავისი სურვილისამებრ კი არ იქცეოდა, არამედ განგება ამოქმედებდა!..

ფეხსაცმლის ოდნავ გამოხატულ სუპინატორისებურ სატერფულზე მჭიდროდ წაკრულ გოჯნახევრიან აბრეშუმის შვინდისფერ ბირკაზე თეთრად ელავდა „SINCE 1880" ე.ი. ეს ფირმა ამ წლიდან არსებობსო!

ღმერთო, იმ დროიდან, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო მისი ერთ-ერთი საყვარელი კომპოზიტორი იოჰან (შვილი) შტრაუსი!.. ნუთუ ესეც შემთხვევითი იყო?!. არა, სხვები ამას

ვერ მიხვდებოდნენ! ან თუნდაც მიმხვდარიყვნენ, სარაოდ უნდა დაეკავშირებინათ ერთმანეთისთვის და რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცათ?!. ეს ყველაფერი კი მის ნაწამებ წარმოსახვაში ერთმანეთს რა ბუნებრივად ეხამებოდა და შემოქმედებითი აღმაფრენით ავსებდა!

მართალია, კარგად იცოდა დიდი კომპოზიტორის დაბადება-გარდაცვალების წლები, მაგრამ ეს ყველაფერი ისე დაუჯერებლად ეჩვენებოდა, წამოუდგომლად გადმოიღო ქართული ენციკლოპედიის ტომი – ვალსის მეფეს „REMUS"-ის ფირმის დაარსების შემდეგ კიდევ ცხრა წელი ეცოცხლა!..

მოულოდნელი შენაძენით აფორიაქებულს, უცებ მოეჩვენა – უკვე გათავისებული ფეხსაცმელების წარწერებიდან „SINCE 1880" ვალსის გამტაცებელი ხმები თავისით გადმოიღვარა და მისკენ წამოვიდა!.. წამოლანდებული ჰანგები თითქოს აიმედებდა: მწერლის ნარიან გზა-ბილიკებზე ყოველთვის უღალატოდ წაუძღვებოდა, ოღონდ ერთი პირობით – ცხოვრების თავმომაბეზრებელ ყოველდღიურობაში თავისი თავისთვის თვითონ უნდა მიეხედა და შემოქმედის გამომფიტავ ყოფით წვრილმანებში არავის ჩასთრევინებოდა!

ცრემლმოწოლილმა მეტს ვეღარ გაუძლო – საწერ მაგიდას მოშორდა და საწოლზე გულაღმა დაჭრილივით მიეგდო. ცამოწმენდილზე იმდენად ასეთი „მუსიკალური" ფეხსაცმელების პოვნა არ აზეიმებდა, რამდენადაც იღბლიანობა! არა, როგორმე კიდევ ერთი წყვილი ფეხსაცმელების ფულსაც მოიგროვებდა, მაგრამ, ვინ იცის, მერე რამდენი უნდა ეწოწიალა ანდა ზუსტად ასეთებს გადააწყდებოდა სადმე?! განგებამ კი ფულთან ერთად დრო და გულისყურიც დაუზოგა! ეს კი თავისი გაუგონარი მოთმინებითა და შემოქმედებითი ტანჯვა-წვალებით უნდა გადაეხადა!

* * *

ჭერზე თვალგაშტერებულს, მოულოდნელად თავისთავად ჩაეგონა: ამჯერად ქვეყნად მასზე უფრო ბედნიერი არავინ შეიძლება ყოფილიყო! ოღონდ აქ მთავარია, ვის როგორ ექნებოდა წარმოდგენილი თავისი ბედნიერება! ამ მხრივ კი იცოცხლეთ: მეორე მეუღლის ერთოთახიან ხრუშჩოვულა სოროში თავს ისე

გრძნობდა, როგორც სამოთხეში!

ღმერთმა ნუ ქნას, ორ-სამოთახიანი ბინა ჰქონოდათ – მაშინ დამთმენი თანამეცხედრის მრავალრიცხოვანი სოფლელი ნათესავები ქართველური ჩვეულების თანახმად, სტუდენტ გოგო-ბიჭებს არასოდეს მოაკლებდნენ! ცხადია, მობარებული შვილების მიზეზით თავს არც თვითონ მოანატრებდნენ და ისიც, მწერლობაჩაშხამებული, თავისებური პაწაწკინა სასტუმრო-სტუდქალაქის დირექტორ-კომენდანტად უნდა ჩამკვდარიყო!

მწარე ღიმილს ვერ იკავებდა ხოლმე, როცა წარმოუდგენლის წარმოდგენას შეეცდებოდა: მაგალითად, შექსპირს... სერვანტესს... გოეთეს... შილერს... ბაირონს... ბალზაკს... ლერმონტოვს... ტოლსტოის... დოსტოევსკის... თომას მანს... გალაკტიონს... კონსტანტინე გამსახურდიას ან თუგინდ ნებისმიერ შემოქმედს მთელი სიცოცხლე ყვავი ჩხიკვის მამიდებისაგან მობარებულ სტუდენტების ჭრელ საზოგადოებაში ეცხოვრათ და ეაზროვნათ!.. ეს ხომ... ოოო!..

კუთხეში, სარკმელთან მოხოხმიკებული თავისი მორჩილი საწერი მაგიდიდან ყველა სახის ლექსიკონს წამოუდგომლად სწვდებოდა. ეს კი ერთ რამედ ულირდა!!! მეუღლე მუშაობდა. მართალია, თვითონ დიდი ხნის უმუშევარი იყო, მაგრამ ერთ-ერთი გამომცემლობის დირექტორი, როცა საჭიროდ ჩათვლიდა, ჩურუქა ავტორების ხელნაწერებს აძლევდა „შალაშინის გასაკრავად“.

მწერალს სიცოცხლეს უშხამებდა თავისი ღვიძლი საქმისაგან თუგინდ ხანმოკლე მოწყვეტა და ენის უცოდინარი ფეხისხმასაყოლილი ავტორების ნააზრევისა და ყალყზე შემდგარი სინტაქსის აჟურში მოყვანა, მაგრამ რა წყალსა და ღვარს მისცემოდა – მეუღლეს დროდადრო რაღაცით ხომ უნდა ამოშველებოდა... თავის ორ სტუდენტ შვილსაც ხანდახან გულგასაკეთებლად მაინც წახმარებოდა, მით უმეტეს, ი ქალბატონი სულ მამის გულქვაობაზე უსისინებდა! ხოლო თუ ორიოდე გროში ბუნებრივად გადაურჩებოდა, იმას მომავალი წიგნის გამოსაცემად ქვის ქვეშ ამოდებდა ხოლმე!

ეს ყველაფერი მძიმე გადასატანი იყო, მაგრამ სამაგიეროდ გააჩნდა, ალბათ, თვით ღმერთისგან ნაწყალობევი თავისი

ყმაწვილობისდროინდელი ოცნება და სასწაული – „PELIKAN“-ის ფირმის მუქმწვანე, ოქროსნისკარტა ავტოკალამი!

* * *

მივარდნილი სოფლის მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო, პირველი წარმატებით გულმოცემულმა, ერთ დღესაც რაიონულ გაზეთში კიდევ რომ წაიღო ორი მოთხრობა. რედაქციის თანამშრომლებმა ისე მიიღეს, როგორც უკვე სასურველი ავტორი, ხოლო მოწაფური გულმოდგინებით ნაწვალები სუფთა ხელნაწერი წამახალისებელი სიცილით შეუქეს.

სქელულვაშა, კეთილსახიერმა რედაქტორმა თანამშრომლების გასაგონად ორიოდე გულთბილი სიტყვა შეაწია და ყურებამდე გაწითლებულს, უკვე გამოქვეყნებული მოთხრობების ჰონორარიც მისცეს!

ამოუხსნელი წარმატებით განაბრუები, ძლივს მიბარბაცდა ცარიელ პარკამდე, რედაქციას სევდიანად რომ გამოჰყურებდა. სწორედ იქ, ერთმანეთთან შემომწყრალებივით გადაკუზულ-გადმოკუზული ხეებით ჩაჩრდილული პარკის ლაწლაწა მერხზე დახვდა მოდებისა და რაღაც სამრეწველო ნაწარმის უცნაური ჟურნალი. ჟურნალის დაუზიანებლად გადარჩენილ მესამე, მთლიან გვერდზე, მოჩვენებასავით გაზოდილიყო „PELIKAN“-ის ფირმის მუქმწვანე, ოქროსწვერიანი ავტოკალამი! როგორც კი დახედა, მერე ვეღარასოდეს მიხვდა, იმავწამიერად რატომ ან როგორ მოიხიბლა!..

ჟურნალი შინ წაიღო, ავტოკალმის ფოტოსურათი გულის ფანცქალით ამოჭრა და მოგვიანებით შემირჩულ სადა ჩარჩოში ჩასვა. მერე კი სასოებით დაიკიდა მოსწავლის კუთხეში, რაღაც ქსოვილგადაფარებულ ასანთის კოლოფების ფანერის ცარიელ მოზრდილ ყუთს რომ წარმოადგენდა!.. იქიდან მოკიდებული, მრავალი წლის მანძილზე უძლებად აწამებდა ამ ფოტოხატის ოცნება, ახდენა რომ არ ეწერა!.. მაგრამ ბედისწერამ მაინც არ გაწირა – 1987 წლის 17 სექტემბერს, ხუთშაბათს, დასავლეთ გერმანიის დროით თერთმეტ საათსა და ოცდაცამეტ წუთზე დიუსელდორფში სამას სამოცდათქვსმეტ მარკად ზუსტად ისეთნაირი კალმისტარი აყიდინა და ამავე ფირმის ნაირ-ნაირი ავტოკალ-

მებით სავსე ვიტრინასთანვე იგრძნო, მეორედ დაიბადა!!! ოღონდ გულს ესღა უღონებდა – საგანგებოდ გამოკვანძილი თანხის დიდი ნაწილი სულ ამ ავტოკალამმა წაიღო და ამავე ფირმის იისფერი სურნელოვანი მელნის ოცდასამი შუშის მეტი აღარ მოსდიოდა!.. მას კი, თავტანდაკარგულს, სურდა: რაც დასავლეთ გერმანიაში ამგვარი მელანი იყო, სულ ვაგონით... ვაგონით კი არა, ეშელონით... არა, არა, ეშელონით კი არა, ეშელონებით წამოეღო! ჰო, მაგრამ, ეს ხომ სიგიჟე იქნებოდა – რა ჯანდაბად უნდოდა იმდენი მელანი?! არაფრად! იმდენი კი არა, რაც შეიძინა, ნეტავი იმის გახარჯვა მაინც დასცლოდა! მაგრამ ეს იყო უნახავი საბჭოთა მოქალაქის დაფეთება... მწერლური ჟინი... საბჭოურ სამწყვდევში მოტანებული უბედური შემოქმედის ცხოველური შიში: რაც შეიძინა, მართლაც რომ გასთავებოდა, მერე მორჩა – ისეთივე მელანს თვალგადაუწვდენელ ბოროტების იმპერიაში ვეღარსად იშოვიდა!..

თბილისში რომ დაბრუნდა, სამმა-ოთხმა დაძაბულმა დღემ ისე გაიარა, კალმისტარი არ გამოუცდია! თვითონაც ვერ გარკვეულიყო, შინაგანად ჯერ მზად არ იყო თუ განუჭვრეტელი მოლოდინის გაწელვით მღელვარე სიამოვნებას იხანგრძლივებდა!

და აჰა, ჩამოჰკრა ამ წუთმაც! თავის მაგიდას მიუჯდა, ტელეფონი გამორთო და კალმისტარი როგორც კი მოხრახნა, უმალ ბავშვურმა გაუბედაობამ შეიპყრო – ვერ წარმოედგინა, ავტოკალმის უმანკო ხახა-წვერი მელნით როგორ უნდა დაესვარა! მაგრამ სხვანაირად არ იქნებოდა! დგუშს მელანი ინსტრუქციის მიხედით ამოაწოვინა, საწერ მაგიდას მორგებულად შეუნაწილდა და თავისი მომავალი ნოველის ერთ-ერთი, ყველაზე ნათლად წარმოდგენილი აბზაცის საცდელ წერას შუდგა.

ფხაჭნია, წრიპინა, ჯღაბნია, ჯიუტი თუ თხუპნია საბჭოური ავტოკალმებისგან ჯვარცმულს, მოეჩვენა, „PELIKAN"-ის ავტოკალამი არამარტო წერდა, არამედ მის მაგივრადაც აზროვნებდა და ტრაფარეტამოდებულ უმტვერო ფურცელზე იისფერ სტრიქონებს უჩამიჩუმოდ მიალივლივებდა!.. შენ მარტო ხელი უნდა მიგეყოლებინა!..

აბა, ასეთი ავტოკალმის პატრონს ამქვეყნად თავი ყველაზე ბედნიერად როგორ არ ეგრძნო!..

* * *

ალმაფრენის ღრუბლებში ეგოისტურად მონავარდე მწერალი უცებ სულ ჩაინავლა და ისევ მიწაზე დაეშვა: სამაგიეროდ მეუღლეს მხარს ვერ უბამდა ყოფით წვრილმანებში! ვერ უბამდა კი არა, მას, თავის მხატვრულ სამყაროში გადაკარგულს და დროზე ავადმყოფურად დახაციცებულს, აუტანლად მიაჩნდა ბინის რემონტი... ხელოსნების რია-რია... საკუთარი ავტომობილი... რომელიღაც ლუდოვიკოს სტილის საწოლი... ბინის გაფართოება... „ვესტელის" ფირმის ქვაბები და ტაფები... აგარაკი... იტალიური ზეწრები და ჩარსავები... „ტოშიბას" მაცივარი... გერმანული გაზქურა და სხვა მისთანანი, ვინაიდან ასე სწამდა: მსგავსი თვალმახარი ზიზილ-პიპილებისთვის ტანჯვა-წამებით ჯერ ფულის მოგროვება, მერე კი ყიდვა, მოტანა და დადგმა მთელ დროს, ყურადღებასა და ძალ-ღონეს წაართმევდა, მწერლობისთვის კი თავისებურად ველარ მოიცლიდა და შეიძლება შეშლილიყო ან რამე ჩაედინა! ამიტომ აქ მისი ხვეწნა-ღაღადისი მოკლე და გასაგები იყო – რაცა ჰქონდათ, ან იმას რაღა უშავდა?!

ის კი არა, საწყალ ქალს პარკეტზე მასტიკასაც არ ასმევინებდა! აჰა, თავად განსაჯეთ ტანჯული შემოქმედი: მასტიკის ათასში ერთხელ მოსმა პარკეტს რა თავწყალს გაადენდა?! არადა, მთელი სიცოცხლე რა გაუძლებდა მასტიკის მომწამვლელ სუნს?! მართლა აღარ იყო ღმერთი და სამართალი – განგებამ ამქვეყნად ნუთუ იმისთვის მოავლინა, სულის ამოხდომამდე მასტიკის სუნი ესუნთქა?! ჰოდა, ამით რა დაშავდებოდა, მასტიკა სამუდამოდ უარეყოთ, სისუფთავის შესანარჩუნებლად კი იატაკისთვის მუდამ დილა მაგრად გაწურული სველი ტილო მოესვათ!

მეტი რა ჩარა დარჩენოდა; ოღონდ ქმარი არ აჰფორიაქებოდა და დამჯერი ქალიც ასე იქცეოდა!.. მაგრამ დროთა განმავლობაში პარკეტმა ისე იცვალა ფერი, ერთხელ ცოლის დაბადების დღეზე მოსული სტუმრების თანდასწრებით ჩარიტა კოწოლაძემ დარიგებულივით შეიცხადა.

– დედააა!.. ამისთანა ჯერ არაფერი მინახავს – ეს რა შავი პარკეტი გქონიათ!

– აბა, აბა, ჩვენს ოჯახში რასიზმი დაგმობილია!

მწერლის ამ ხუმრულ პასუხზე სტუმრებმა გულიანად იც-

ინეს, მაგრამ ამან მაინც ვერ უშველა! ანდა, ამას ხელიდან ვინ გაუშვებდა! ჰოდა, იმათაც ხმა გაევრცელებინათ – მეუღლე თურმე ისე ჰყოლია დამონებული, პარკეტზე მასტიკის მოსმის უფლებასაც არ აძლევსო!

აბა, ამის გაგონებაღა უნდოდათ ჭორის მკრეფავებს?!

მეუღლის ჭრელი საახლობლოსთვის ამიტომაც იყო გაუგებარი და აუტანელი! მათ ყბად ჰქონდათ აღებული როგორც მისი მწერლური ჩვევები და თვისებები, ისე მისი მწერლობაც!

არა, ზოგადად „მწერლობას“ დიდ პატივს სცემდნენ, ოღონდ თაროებში ჩარაზმული ტომებით, ქუჩა-პროსპექტებითა და ძეგლებით დადასტურებულ „მწერლობას“! მაგრამ იმას კი ვერ ხვდებოდნენ ანდა არასდიდებით არ სურდათ, მიმხვდარიყვნენ – მათ მიერ აღიარებული „მწერლობის“ შესაქმნელად თავგადადებული რიგითი შემოქმედის რა თავისებურებები იყო საჭირო, რაც თავგასართობ ამბებზე ყურებდაცქვეტილ ამათნაირებს საანეგდოტო ახირებად და ერთმანეთში მოსაყოლ სასაცილო უცნაურობად ეჩვენებოდათ!

ერთი სიტყვით, მათი გონებისათვის მისაწვდომი იყო მხოლოდ საბოლოო შედეგი და არა შემოქმედებითი პროცესი!!!

ეს ყველაფერი მწერალს გულს კი სტკენდა, მაგრამ არ სწყინდა. ანდა, მათ თვალში სხვანაირი როგორ უნდა ყოფილიყო?! ამიტომ თავისი საქმიანობის ერთგულების ნიშნად ყველაფერს ღვითისაგან დანიშნულივით იღებდა!..

* * *

„REMUS“-ის ნაპოვნი ფეხსაცმელები რბილი, საოცრად სასიამოვნო სახმარი გამოდგა. აქ მწერალი ბეჩავურ ღიმილს ვერ იკავებდა, რადგან ზოგჯერ ნაპოლეონი აგონდებოდა! ახალშეკერილ მკვიდრ ჩექმებს იმპერატორისთვის ფეხები რომ არ ეტკინა და ყურადღება ამაზეც არ წასვლოდა, მოსაჯდომად ცოტა ხნით ჯერ საამისოდ შერჩეულ ჭაბუკებს აცმევდნენ ხოლმე!..

– რა მსუბუქი ფეხსაცმელებია! – შეუქო სოფლიდან ჩამოსულმა მეუღლემ, – თან მაინცდამაინც არც ნახმარობა ეტყობა!.. რა მიეცი?

– ორმოცდაათი ლარი.

– კიდე იაფად შეგხვედრია!..

წარწერამ „SINCE 1880“ და მწერლის წარმომსახველობამ თავისი გაიტანა: როცა ამ ფეხსაცმელებით იყო გასული, აუწერელი იღბლიანობისაგან მიწაზე ფეხი აღარ ედგმებოდა, ხოლო თვით ფეხსაცმელებიდან თითქოს იოჰან (შვილი) შტრაუსის განთქმული ოპერების – „ვენის ტყის ზღაპარი“, „ხელოვანის ცხოვრება“ და „მშვენიერ ცისფერ დუნაიზე“ – ჰანგები ამოესმოდა, ახალ-ახალ ნოველებს რომ შთააგონებდა!.. ხან კი ტემბრული მრავალფეროვნებით სავსე ეს ჰანგები მოულოდნელად სამწყობრო ან სალაშქრო მარშად გადაექცეოდა ხოლმე და თავის ახალ, ჯერ გამოუკვეთელ ნაწარმოებზე ფიქრით თავდავიწყებული, ისეთ ჯარისკაცურ შემართებას განიცდიდა, ეჩვენებოდა, მთელი დღე დაუსვენებლად სიარულს შეძლებდა, ოღონდ „REMUS“-ის ფეხსაცმელები სცმოდა!..

* * *

საწერი მაგიდის სიღრმეში საგულდაგულოდ გადამალული „RIEKER“-ის ფეხსაცმელები თანდათან ნატვრის თვალს ემსგავსებოდა. როცა შემოქმედებითი შემართება გადაექანცებოდა ანდა თვით ფეხსაცმელების ხელახლა მოსურვილების წყურვილი ისე შემოეგზნებოდა, სხვა ყველაფერი ავიწყდებოდა, თუ მარტო იყო, სასოებით ამოიღებდა, საწერ მაგიდაზე დაილაგებდა და ისეთი თვალის შტერება ემართებოდა, თითქოს პირველად ახლა ხედავსო! ეჩვენებოდა, წინ ჩვეულებრივი ფეხსაცმელები კი არა, უცხო ფირმის მიერ საგანგებოდ მისთვის შეკერილი ნოველების ნიმუშები ეწყო!..

შავი კაპრონის თოქმა ძაფით შემოვლებულ გვირისტში განსახიერებული საკერავი ნემსის ყოველი თანაბარი ბიჯი ხომ სუნთქვას უკრავდა – აი, როგორი უნდა ყოფილიყო მხატვრული ნაწარმოების ენა და სტილი!!!

ერთოთახიანი ხრუშჩოვულა საკნის ბინადარი, არასოდეს უცდიდა თბილისური ხვატის ჩამოწოლას. ჯერ კიდევ ცივ ჰაერში როგორც კი გაზაფხულის სუნი დატრიალდებოდა და მაცდური პირველი სითბო ხეების ადრეულ გამოკვირტვას იწყებდა, ისიც ზურგჩანთითა და კაპრონის სამფეროვანი ქოლგით თავის

რომელიმე საიდუმლო „კაბინეტს“ მიაშურებდა ხოლმე! ამ დროს მთავარი იყო, გაზაფხულისპირა საამო სიგრილეში ბაწრის ხელთათმანიანი ხელით წერა შესძლებოდა, სხვა ყველაფერს ეშველებოდა...

ყოველ მხრივ გაწამებული შემოქმედისთვის დამახასიათებელი გონებახვილობით მოწყობილი, თვალში მოუხვედრელი თავშესაფრები სადღა არ ჰქონდა: სოფელ დიღმის შემოგარენის ჩაუვალ ხევხუვებში... მთაწმინდის ფერდობებზე... ტაბახმელისა და წავკისის მიდამოებში... წყნეთის თავში, მაქსუდის ინგლისურენოვანი კოლეჯის აყოლებით, მერე კი ხშირი რცხილნარის გადასწვრივ... კოჯრისა და კიკეთის ტყეების მიუდგომელ კუნჭულებში... თანაც წლის სხვადასხვა დროისა და ამინდის შესაფერისი – გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის!

აბა, თქვენ რა გეგონათ?

ზურგიანი სკამები და ორ ხეს ან ლოდებს შორის ჩასაჭედი ფირფიცრების მონაჭრები იქვე, ახლომახლო ისეთ ბღაუჭა ეკალბარდნარებსა და შამბმოდებულ ჯაგნარებში ჰქონდა შემალული, იქ ეშმაკიც ვერ იგუმანებდა! ან თუგინდ ვინმე შემთხვევით წასწყდომოდა კიდეც, ვის რაში სჭირდებოდა სანაგვეზე ნაპოვნი, თან მერე ფეხებდამოკლებული, საღებავშემხმარი ჯაბახანა სკამები! რომელიმე მათგანზე ჩამოჯდომას კი არა, შეხებასა და ბარდნარიდან მის გამოთრევასაც არავინ იკადრებდა!

ნებისმიერი თავშესაფრისკენ დილაგრილზე ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით მიემგზავრებოდა. თავის ჩვეულ წინდახედულობას აქაც იჩენდა: ვინმეს რომ არ ეჭქვა, ვინ არის, ამ უადგილო ადგილას მანდ რისთვის ჩავიდაო, მძღოლს კარგა ნაადრევად ან მოგვიანებით აჩერებინებდა და უკაცრიელ გზას ფეხით აგრძელებდა. მერე კი მოასფალტებულ შოსეს თვალიერება-თვალიერებით გადაჭრიდა ხოლმე და ჩამდუმარებულ ტყეს უცხოს თვალშეუსწრებლად შეეფარებოდა! აქ კი, შარშან ფოთლებჩამოყრილ ხეებქვეშ „REMUS“-ის ფეხსაცმელები იწყებდა ჩვეულ „მოქმედებას“ – თავის სამყოფელისკენ გეზაღებულ, ფიქრებით გარემოცულ მწერალს იოჰან (შვილი) შტრაუსის ვალსების წარმოსახვითი ჰანგები მიაცილებდა!

თავის კუთხეს რომ მიუახლოვდებოდა, ჯერ გარემოს მი-

მოათვალიერებდა და დააყურებდა. როცა თავს დაირწმუნებდა, ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა, ტვირთს შვებით მოიგდებინებდა და ლიხნარში ღრმად შეცურებულ ჯოხს გამოაძრობდა. ეს მოგრძო ორკაპა სკამისა და ფიცრის ფაქიზად გამოსაღებად სჭირდებოდა, გაბარჯღლული ბარდეკლიანი ეჭვმისატანად რომ არ მითელილ-მოთელილიყო!

„საწერი მაგიდის“ შეკოწიწებაში უკვე ისე იყო ხელგაწაფული, ორიოდე წუთის მეტი არ ეკარგებოდა. ზედ ვატმანის სადა ფურცელს სუფრასავით დააშლიდა და ტრაფარეტამოდებულ საწერ ფურცელსაც გაისწორებდა. მერე იწყებოდა რაღაც საკულტო თაყვანისცემის მსგავსი შესავალი – ზურგჩანთიდან ავტოკალმის ამოღება!!!

ჯერ მუყაოს კოლოფიდან ავტოკალმის დასასვენებელ ლეიბუკას ამოაცურებდა ხოლმე. ამ ხელისგულისოდენა საფენის შეკერვისას ესეც გაივარაუდა – ორივე ნაპირი ოდნავ ამაღლებული ამოუკემსა, საწერი ფურცლის გამოცვლისას ან წყლის დალევის დროს რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას ავტოკალამი გვერდზე არ გადაეგორებინა და ხმელ ფიცარზე რაკუნით არ დაცემულიყო.

ამას მოსდევდა უმთავრესი – ზურგჩანთიდან თვით ავტოკალმის ამობრძანება! ტყე-ღრეში ამდენი ხეტიალისას ავტოკალამს რამე სავალალო ფათერაკი რომ არ შემთხვეოდა, საიმედო ბუდის მაგივრობას სანტექნიკის პლასტმასის ლურჯი მილის მონაჭერი სწევდა. ამ ტლანქ ბუდეს შიგნით შალის რბილი ლულა ჰქონდა ჩაგებული, ძონძჩაფენილი თავ-ბოლო კი კორპის საცობებით მკვიდრად ეგმანებოდა!.. ავტოკალმიან ამ ბუდეს ზურგჩანთაში ყველაზე საიმედო ადგილას მიჯღანებული ორღილიანი ჯიბით ატარებდა. ამიტომ როცა ავტობუსით მგზავრობა უხდებოდა, ზურგჩანთას არასოდეს იშორებდა, რათა ზოგიერთივით სადმე გულდამშვიდებით მიედო ან რომელიმე მჯდომი მგზავრის შემოთავაზებას დაჰყოლოდა და იდუმალგანძიანი ზურგჩანთა უცხოსთვის მიეანაბრებინა! თუ ზეზეურად მგზავრობა უხდებოდა, ზურგჩანთა ზურგზე დაგვირისტებულს მიუგავდა, ხოლო თუ იჯდა, კალთაში ედო და ორივე ხელით ეჭირა!.. ესეც გათვალისწინებული ჰქონდა: ავტობუსის სალონში მოულოდნელად ხანძარი

რომ გაჩენილიყო, სარკმლიდან მკლავგაყოფილს, ჯერ ზურგჩანთა უნდა მოესროლა, მერე კი თავისი თავისთვის ეშველა! ჰო მაგრამ, ავტობუსის სარკმელი თუ ჩაჭედილი გამოდგებოდა ან უმოძრაო ფართო მინასთან აღმოჩნდებოდა?! ესეც მოფიქრებული ჰქონდა. ზურგჩანთის გარეთა, შუალა ჯიბეში მუდამ ედო ჯინსის ნახევში გადახვეული მუშტისოდენა რიყის ქვა!.. ხშირ-ჩრდილიანში წერით გადაღლილი მზისყურში ბრეზენტის საფენზე მისაწოლად ან წახემსების წინ მუხლის გასაშლელად „საწერ მაგიდას“ ათიოდე წუთითაც რომ მოშორებოდა, ჯერ ავტოკალამს აბინავებდა! მიზეზი მარტივი იყო: საიდანღაც უეცრად წამონაქროლ ქარაშოტს ავტოკალამი თავის ლეიბიანად ნეშოში არ გადაესროლა ან ლოდისთვის არ მიენარცხებინა!

ბავშვობისდროინდელი ნაოცნებარი „PELIKAN“-ის ფირმის ავტოკალმისადმი ამგვარი თაყვანისცემა ბუნებრივად შთააგონებდა მასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ ყოველგვარ ხიფათს, რაც ნაცნობებისთვისაც რომ გაეზიარებინა, მერე ეს პირიდან პირში, ვინ იცის, როგორი გადასხვაფერებით გადავიდოდა და კვლავ სასაცილოდ აიგდებდნენ! არადა, ზოგჯერ გაბარჯღლულ ტოტებზე მარდად შემოფრენილი ჭრელბუმბულა ფრინველები თავის მოუსვენარი მიტრიალებ-მოტრიალებით გადმოსცქეროდნენ თავიანთ საუფლოში დაუპატიჟებლად მობრძანებულ უცნაურ არსებას!

ჰოდა, რომელიმე მათგანს „საწერ მაგიდაზე“ უპატრონოდ მირჩენილი მუქმწვანე ავტოკალამი შეიძლება მსუყე კალია ან პატარა ხვლიკი ჰგონებოდა – ზედ შურდულივით დაფრენოდა და სასიკვდილოდ ჩაენისკარტებინა ანდა სულაც აებოჭა და სადღაც ტყის სიღრმეში გაექანებინა!

მოკლედ, ავტოკალმის გაფრთხილება სამხედრო წესდებით განსაზღვრულ მუხლებს ემსგავსებოდა. ყოველივე ამის დამახსოვრება და განუხრელად დაცვა თავისებურად ღლიდა, მაგრამ ამავე დროს აფხიზლებდა და თვითდისციპლინას უკაჟებდა. ამიტომ საკუთარ თავთან მტკიცე პირობა ჰქონდა დადებული: თავისი წინდაუხედაობით, გულმავიწყობით ან რისამე გაუთვალისწინებლობით ეს ავტოკალამი თუ დაეკარგებოდა ან დაემსხვრეოდა, არ იყო საჭირო სინანული, დედაბრული ვიშვიში და ჯაბ-

ნური თავცემა–განგების ნებით, ალბათ, ასეთი უნდა ყოფილიყო მათი ბედისწერა!!!

ავტოკალამს რომ მოხრახნიდა და სუფთა ფურცელზე ფრთებმოკუმშული არწივივით დაიხრებოდა, მიუხედავად იმისა, ამაში უკვე უთვალავჯერ იყო დარწმუნებული, შთაგონების შესანავარდებლად ორიოდე წამით თავს მაინც ბავშვურ დაუჯერებლობას მისცემდა ხოლმე: საბჭოური ბაიყუში ავტოკალმისგან განსხვავებით ნუთუ ეს შემოქმედებით გაქანებას არ გაუწამებდა და ქაღალდებზე წაკარებისთანავე ერთგულად დაიწყებდა იისფერი თანაბარი ხნულების გავლებას!

და აჰა, სუფთა ფურცელზე შეხებისთანავე ავტოკალამს თითქოს სული ედგმებოდა და სხვისგან დაუხმარებლად იწყებდა ზღაპრულ ბარბაცს!

შემოქმედებით ხილვებში გადაკარგულ მწერალსაც ეჩვენებოდა – ნაწარმოების შინაარსი და სიუჟეტი მის გონებაში კი არა, „PELIKAN"-ის ფირმის ავტოკალმის მუქმწვანე წიაღში იყო ჩაკუმშული და იქიდან იისფერი რბილი ძაფით მის გამოტყუებაზე იოლი არა იყო რა!

წერით თავდავიწყებულს, უკვე გათავისებული განცდაც უმტკივნეულოდ ეუფლებოდა ხოლმე: დანარჩენ მსოფლიოსთან მას აღარაფერი აკავშირებდა – ის თავისთვის იყო, ეს – თავისთვის!!!

წერდა, სანამ შეუმჩნევლად ჩამოპარულ ტყის ბინდში თვალი უჭრიდა. მერე „საწერ მაგიდას" შლიდა და ისევ ბარდნარში მალავდა. გუდანაბადმოკიდებული, მაშინვე მთავარ გზაზე არ ჩადიოდა, შემთხვევით შეხვედრილი უცხოსთვის ეჭვი რომ არ აღეძრა. ამიტომ ჯერ ტყე-ტყე მიდიოდა და ასფალტიან გზაზე ცოტა ხნის შემდეგ ჩაუხვევდა ხოლმე.

ავტობუსს იქვე არასოდეს უცდიდა – მთელი დღე უმოძრაოდ მოხრუსტულს, თანაც დათავქვევებულზე, მუხლში გაშლა დაუძლეველ მოთხოვნილებად ექცა. მოხრეშილ გზისპირს ქვეითი ჯარისკაცივით დაადგებოდა და ნამდვილი სასწაულიც იწყებოდა- ტყის სიღრმეში წერისას ბრძნულად ჩამდუმარებული „REMUS"-ის ფეხსაცმელებიდან ახლა ისევ იოჰან (შვილი) შტრაუსის ვალსის ჰანგები ამოესმოდა! მერე და მერე ის ჰანგები

სამწყობრო მარშის ხმაში თავისთავად გადადიოდა და ტოლით თავგადახურულ ფარდულზე წვნიკი სეტყვის თანაბარ ცვენას ემსგავსებოდა!

ეს ისეთი ჭაბუკური სიმხნევით ავსებდა, ხანდახან ტაბახმელამდეც ფეხით ჩასულა, მაგრამ ასე ყოველთვის არ ხერხდებოდა – ზოგიერთი თვალდაგეშილი მძღოლი უკანმოუხედავად მიმავალ უცნაურ მგზავრს შორიდანვე სცნობდა და ამ დასაღამოებულზე მისი უნაღვლელობით გაკვირვებული, თავისით უჩერებდა!.. ამ შემთხვევაში კი ვისიმე გაწბილება ნამდვილი დუნდუკობა იქნებოდა!.. ამიტომ ისიც, უსაზღვროდ გატაცებული ვალსის წარმოსახვითი ჰანგებითა და 1880 წელს დაარსებული „REMUS"-ის ფირმის რბილზე რბილი ფეხსაცმელებით, რომელიც მხოლოდ სიარულისთვის იყო შეკერილი (ო, საბჭოური აზროვნების ნარჩენებო – ფეხსაცმელები, აბა, სხვა რისთვის შეიძლება ყოფილიყო შეკერილი?!), მადლიერების გამომეტყველებით ადიოდა ხოლმე გაკვირვებით მიჩერებული მოაგარაკე მგზავრებით სავსე ავტობუსში!

უმრავლეს მგზავრებთან ერთად ავტობუსიდან როგორც კი ჩამოვიდოდა ბოლოსწინა გაჩერებაზე – ზაფხულის ალმურით გავარვარებულ თავისუფლების მოედანზე და მიმომავალი ხალხის ჭრელ ნაკადს გარინდებით შეერეოდა, კოჯრის ტყის გრილი მდუმარებიდან გამოყოლილი მხატვრული სამყაროც დროებით აქვე უქრებოდა და თვითონაც დანარჩენი კაცობრიობის უმნიშვნელო ნამცეცი ხდებოდა!..

* * *

ერთხელ, სულ თავდაპირველად, კოჯრის ტყის მოუხვედრელ სიღრმეში შეხიზნული, ნოველას თავდავიწყებით წერდა. უცებ გულმა თავისთავად უაზრა და საკუთარი იდიოტური მოუაზრებლობისგან ბაბანი აუვარდა: ის ბედისწერას ჰყავდა ატანილი!!!

მოულოდნელად წუთისოფელს სწორედ აქ რომ გამოსალმებოდა, თავისიანებს სად უნდა ეძებნათ ან როგორ ეპოვათ?!. თუ დიდი ხნის შემდეგ ვინმე შემთხვევით წაატყდებოდა ნადირ-ფრინველისა და ჭიაღუისაგან გამოხრული კაცის ჩონჩხს... უხელოვნოდ შეკონწიებულ „საწერ მაგიდას"... სიდამპლემორეულ

ზურგჩანთას... რაღაც ქსოვილის მჭიდრო ბუდეში შპაგასავით ჩაგებული ქოლგის ტარსა და ჩახრწნილ ნაფლეთებს... წვნიანის მინის ქილ... კი მაგრამ, „PELIKAN"-ის ავტოკალამი?! ნეშოს ქვეშ სამუდამოდ ჩაიმარხებოდა, ავდრები სადმე მიშლამავდა თუ კოდალები მალევე ნამსხვრევებად აქცევდნენ?!. იქვე სადმე ეგდებოდა?! მაშინ უცხო მპოვნელი ნეტავი ავტოკალამსაც ტელევიზორში გამოსაცხადებელ საცნაურ ნივთთა ნუსხაში შეიტანდა თუ დაუზიანებლად გადარჩენილ ამ მუქმწვანე საოცრებას ისე მიისაკუთრებდა, წარმოდგენაც კი არასოდეს ექნებოდა მის ჰანოვერულ წარმოშობასა და ჯადოსნურ თვისებებზე!.. ოოო!..

აფორიაქებულმა აიბარგა და შინ ჩაქანდა. რამდენიმე დღე მოანდომა ტყეებსა და კლდე-ღრეებში მოწყობილი ყველა თავისი თავშესაფრის რაღაც ტოპოგრაფიული რუკების შედგენას. მერე ეს ნაწერ-ნახატები 21X29 სმ ზომის მუყაოს ფურცლებზე გადაიტანა და დანომრა. ავტობუსის მარშრუტები და გაჩერებები, მანძილი თუ სანიშნო წვრილმანები ყოველ მათგანზე ისეთი გასაშტერებელი გონებამახვილობით იყო მითითებული, ყეყეჩსაც კი არ გაუჭირდებოდა მიგნება... კვალზე დაყენებული პოლიციის გერმანული ნაგაზი ხომ ცხედრამდე ღვედის დაუბოშებლად სულ ბაჯბაჯით მიიყვანდა ჩასუქებულ კვალმაძიებლებს!

მოხდენილად გამოჭრილი, ოცთეთრიანისოდენა მკვრივი მუყაოს ფირფიტებიც დანომრა და მეუღლეს გასაგებად აუხსნა – დილით გული რომელი თავშესაფრისკენაც გაუწევდა, კერამიკულ ლარნაკში სწორედ იმ თავშესაფრის ნომერს ჩააგდებდა! ჰოდა, საღამოთი თუ არა და არ გამოჩნდებოდა, იმ ღამით ძებნას აზრი არ ექნებოდა, მეორე დღეს კი შესაბამისი ნომრის ტოპოგრაფიული რუკით უნდა მოენახათ!

ქალი შეჩვეული იყო ქმრის მწერლურ უცნაურობებს, მაგრამ მაინც გული აუკორკოტდა.

– შენც რა ჯიბრით ექცევი საკუთარ თავს – შენთვისაც გვეყიდა მობილური ტელეფონი!

– მერე წარამარა რომ მირეკონ და!.. – მწერალს სახეზე გატეხილი ღიმილი მატლივით შეაცოცდა, – იმ უღრანებში თუ რაიმე შემემთხვა, მობილური როგორღა მიშველის?!. ამ შემთხვევაში ტოპოგრაფიულ რუკაზე საიმედო არაფერია!

დადუმებული ქალის არიდებული მზერის მიხედვით მწერალმა ჩვეულად იგრძნო, მათ შორის როგორ წვებოდა ურთიერთგაუცხოების ბურუსი. მაგრამ მასზე დიდად არ უმოქმედია, ვინაიდან ეს პირველი არ იყო და, ალბათ, არც უკანასკნელი იქნებოდა.

ჰოდა, ეს გაუცხოებაც გადაივლიდა.

* * *

მათ თავიდანვე უცნაური ცოლქმრული ურთიერთობა სრულიად ბუნებრივად ჩამოუყალიბდათ. მართალია, ორივე ცდას არ აკლებდა, რათა საზოგადოდ მიღებული სანიმუშო ცოლქმრობა ჰქონოდათ, მაგრამ ულმობელ სინამდვილეს მაინც თავისი გაჰქონდა. ამიტომ უშვილო ქალს შუახნის თავისი მწერალი ქმარი ახირებულ დიდ ბავშვად ეჩვენებოდა!.. ხოლო თავის მხატვრულ-ლიტერატურულ სამყაროს თავმიცემული მწერალი რაკი მეუღლეს ამოულეველ ყოფით წვრილმანებში მხარს ვერ უბამდა, ამიტომ, გინდა, არ გინდა, ქალი პირველ რიგში ბედს შერიგებულ შინამოსამსახურეს განასახიერებდა, ვინაიდან არასოდეს უფერხდებოდა აუცილებელი საოჯახო საქმეები: სამზარეულო, სარეცხი და უთო, სახლ-კარის სისუფთავე, ნესრიგიანობა, კომუნალური გადასახადის დაუგვიანებლად გადახდა, სურსათის ზიდვა, ლოგინებისა და ტანსაცმლის დროული გამზეურებ-განიავება...

ხასიათმოუტეხელი პირველი მეუღლისგან ნაწვნევი მწერალი თავის მეორე თანამეცხედრეს ამ თვისებებისთვის აღმერთებდა, ვინაიდან ასე ჩაეგონა: იგი პირადად მას კი არა, არამედ მის მოწოდებას, ქართულ მწერლობას ემსახურებოდა!!!

არადა, ქალს არაფერი გაეგებოდა ქმრის ერთფეროვანი საქმიანობის და ამიტომ მასთან დაკავშირებით არც არაფერი აინტერესებდა! ეს მწერალს გულს კი სტკენდა, მაგრამ გაგებით უდგებოდა: ის იქნებ მწერალი კი არა, ვთქვათ, ასტროფიზიკოსი, პალეონტოლოგი, მეტალურგი ან ინერტული აირების მკვლევარი იქნებოდა და რანაირად შეიძლებოდა, ქალი ნებისმიერ სფეროში გარკვეული და მით უმეტეს, ქმრის სიყვარულითა თუ პატივისცემით მისი ნებისმიერი საქმიაობის თაყვანისმცემელი გამხდარიყო?!

მწერლის მეუღლე სამაგიეროდ თავის შეჩვეულ სამეგობროს-

თან თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში! ყველასათვის მოულოდნელად გათხოვილი ასაკოვანი ქალი პირველხანად უაზრო მოწადინებით ცდილობდა, თავისი მწერალი მეუღლეც – როგორც ციდან ჩამოვარდნილი უცხო არსება, თავმომწონედ ჩაება თავიანთ წრეში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა! მწერალს არავისთვის არ ეცალა, თანაც ამ ასაკში, მით უმეტეს, სპეკულაციური აზროვნებით დაღდაკრულთა მარაქაში ვერ გაერეოდა. ამიტომ იმედგაცრუებული მეუღლის ჭრელი საახლობლო მისთვის მხოლოდ ძვირფას მხატვრულ მასალას წარმოადგენდა!

მალე საქმე იქამდეც მივიდა, ამდენ ბოლომოუღებელ ქართველურ ჭირსა და ლხინში ქალს ძალიან ხშირად მარტოკა უწევდა სიარული. თავიდან ეს მეტად ამცირებდა, მაგრამ თანდათან ამასაც მიეჩივა.

– ამისთანა გულჩარაზულ ქმარს როგორ უძლებ?! – მწერლის გასაგონად ხუმრულად ისაყვედურებოდა ჩარიტა კოწოლაძე, – მე რომ ვიყო, აქამდე ერთი ათჯერ მაინც გავეყრებოდი!.. ჰი-ჰი-ჰი!.. რას ჰქვია „არა მცალია?!.“ შმაგის წვეულებაზე რომ არ წამოხვიდე, იცოდე, ხმას აღარ გაგცემ!..

მსგავსი არაერთი გადაქარაგმებისას მიმტევებლურად გაღიმებული მწერალი პირში წყალს იგუბებდა, ვინაიდან ყოველთვის ეიმედებოდა მეუღლის მშვიდი ბუნება, თუმც შიშს ჰგვრიდა მისი უმრავლესი ახლობლის მოუსვენარი გემოვნება.

– არა, ეს მარეხი მაინც რა მოხერხებული ქალია! – აღფრთოვანებას ვეღარ იოკებდა დაქალისაგან დაბრუნებული მეუღლე, – აბა, შენ არ გეხსომება... აი, დაახლოებით ამ ადგილას კარადა რომ ედგათ, ის აგერ, იქით მიუცურებია... დიდი გაშლილი მაგიდა საკეცი მაგიდით შეუცვლია!.. აი, ამ ადგილას კი პატარა შუაკარი გამოუტეხია!.. ხოლო „კუხნა“ ლოჯიის ბოლოში გაუტანია და ოროთახიანი ბინა სამოთახიანად უქცევია!.. ჰოდა, ჩვენც ეს შენი წიგნების თაროები სადმე იქით ხომ არ გადაგვეადგილებინა ან პელიკოსავით კედლებზე მიგვეკიდ-მოგვეკიდა!.. ასე უფრო ლამაზი არ იქნებოდა?!.. ეს... ეს სავარძლები კი... ერთი მათგანი თუგინდ გადაგვეგდო... ანდა ვარა დეიდასთვის მიგვეცა!.. ეს კედელი აბაზანამდე რომ გაგვეწია, აბაზანისთვის კი კარი შემოსასვლელის მხრიდან შეგვება და...

მწერალს აღარაფერი ესმოდა, ვინაიდან აღტაცებული ცოლის ფლასტიფლუსტი თანდათან გონებას უბნელებდა!

რა ექნა უბედურ შემოქმედს, მეუღლისთვის როგორ გაეგებინებინა, რომ ჩვეულებრივი ავეჯი, რაც მისი ორგუნება დაქალებისთვის თვალის დახამხამებაში მისაცურ-მოსაცურებელი პრიალა ყუთები იყო, მისთვის მიწაში ღრმად ფესვებგადგმულ ასწლოვან ხეებს განასახიერებდა!

თავიანთი შეერთების მესამე დღესვე გადახალისებული დგამ-ავეჯის ახლებურად განლაგება ქალის სურვილისამებრ შეიცვალა. მწერალიც ამას შეეგუა და შეისისხლხორცა. ამიტომ მორჩა – აქ მის სიცოცხლეში სკამების მეტი აღარაფერი უნდა დაძრულიყო!!!

ყოველგვარი სიახლე, ცვლილება, გადაადგილ-გადმოადგილება, მიცურ-მოცურება, სარემონტო დომხალი თუ რამის გადაკეთებ-გადმოკეთება შეიძლება მომხდარიყო მის რომელიმე ნაწარმოებში და არა მათ თვალშეჩვეულ სამყოფელში!

საძინებლის შუაკედელი სამზარეულომდე გავწიოთ, იქ სასიარულოდ აქ პატარა კარი დავატანოთ, სააბაზანოს ეს კარი კი ამოვაშენოთ და შემოსასვლელიდან შევაბათო!

მარტო ამის წარმოდგენისაგან მწერალს მთელი ღამე არ ეძინა. მეუღლე რომ არ გაეღვიძებინა, შიშით ვერც ბორგავდა...

ღმერთო, რანაირად შეიძლებოდა, თითქოს წერისა და მხატვრული აზროვნებისთვის შექმნილი ამ სიმშვიდის, სისუფთავისა და წესრიგიანობის დარღვევა: კედლის ნგრევა... ბეტონის გოხმახების ბრახაბრუხი... სქელი მტვრით დაბარდნილ ოთახში ძილი... ირგვლივ გაშანშლული სახელოსნო იარაღები... აყრილი პარკეტი... ჩამოფხრეწილი შპალერი... ახალი აგურის სვეტები... აქა-იქ დახვავებული სილა... გაჯი... ალებასტრი... თაბაშირი... ცემენტის ტომრები... სანტექნიკის მილები... გაფარჩხული ელექტროკაბელები... ჰმ, სასმელს უნახავებივით დაწაფებული ხელოსნები?!

– უუუ! – მწერალს ნადირივით წამოაყმუვლა.

– რა მოგივიდა? – წამოუჯდა ბნედადაცემული მეუღლე.

– არაფერი!.. ძილში რაღაც მაჯლაჯუნასავით დამაწვა და ხრჩობა დამიწყო!

– იცის ხოლმე... დამშვიდდი... დაიძინე...

ახლობლებიდან თუ სამსახურიდან ცოლს ხშირად ისეთ-ისეთი „საოცარი“ ამბები მოჰქონდა, მწერალზე სულაც არ მოქმედებდა, მაგრამ რა ექნა – ბოლოს და ბოლოს ზრდილობისთვის მაინც ხომ უნდა მოესმინა, დაუღალავ „შინამოსამსახურეს“ გული რომ არ სტკენოდა.

– წერ თუ ათეთრებ?! – გულაფანცქალებით შემოეკითხებოდა ხოლმე შინ დაბრუნებული მეუღლე, პირში ენას რომ ვეღარ იკავებდა, – არ დაიჯერებ, რა მომხდარა!

– რა?

– გულთაზს... გულთაზი ხომ გახსოვს?

– როგორ არა – ნორას ქმარი!

– ოჰ, ნორას ქმარი ხომ კოტეა... გულთაზი ელვირას მეუღ...

– აჰ... ჰო, ჰო, ახლა გამახსენდა!

– ჰოდა, ბაზრიდან „ჯიპით“ მომქროლავ გულთაზს თავიანთ კვარტალში რო შემოუხვევია, ვიღაც სკლეროზიანი დედაბერი შევარდნია და იქვე მოუკლავს!

– უჰ, ციხეღა უნდოდათ!

– დაიცა, გითხრა! ამ გულთაზს უფიქრია: რო გავიქცე, მაინც მიპოვიან და უფრო უარესს მიზამენ – რაც იქნება, იქნებაო! სასწრაფოდ მოტრიალებული მანქანა ცოტა იქით გაუჩერებია და სისხლით მოსვრილ ცხედარს მივარდნია!.. მოგროვებულა ხალხი... ჩამოქანებულან დედაბრის მეზობლები და წიოკი აუტეხიათ: როგორ უსინდისოდ გაქცეულა!.. ამ უბედურს ვინ დამარხავს, ქვეყნად არავინა ჰყავსო! აბა, მე ვინა ვარო, ამ გულთაზს, არასოდეს დამავიწყდება, სტუდენტობისას ლუკმას რომ მიყოფდა და ღმერთმა ინებოს, ჩემს ხელში დაელია სულიო!.. მე ვპატრონობდი და დამარხვითაც მე დავმარხავ!.. აი, ბაზრიდან ახლაც სურსათ-სანოვაგე ამასთან მომქონდაო! უი, შენ გაიხარე შენი ცოლ-შვილით – თუკი მაგ სიკეთეს უზამო!.. ჰოდა, ეს ცხედარი აუსვენებიათ ზევით, ამ გულთაზს სანოვაგეც აუყოლებია და თან ისე დატრიალებულა, ვითომ სულ ხუთი თითივით იცოდა, დედაბერს სად რა ედგა და ედო!.. ერთი სიტყვით, რაღაც საჭირო საბუთები გაუშანშალებია, დედაბერი მართლა ამათ დაუმარხავთ და როგორც მარჩენალსა თუ სამართალმემკვიდრეს, ოროთახ-

იანი ბინაც დაუნარჩუნებია!.. თანაც ვაკეში!.. წარმოგიდგენია?!. არა, იღბალიც, მაგრამ ზოგიერთი მაინც რა ენამოხერხებულია!..

აფორიაქებული ქალის ქაქანს დასასრული აღარ უჩანდა, მწერალი კი ველარ უსმენდა, ვინაიდან ის კიდევ თავისებურ საფიქრალს შეეპყრო – მეუღლემ მზამზარეული, პირდაპირ ნოველისთვის გამოსადეგი ცოცხალი მასალა მოუტანა, რომელსაც უეჭველად გამოიყენებდა!..

ნამარიობევს სამსახურიდან მოსულმა მეუღლემ ტანსაცმელი გამოიცვალა და შხაპიც გადაივლო, მაგრამ ვახშამი არც უხსენებია – ქმარს წინ წამოუჯდა და ისეთი ბეჯითი ხმით გაუბა, ჩანდა, ენაზე ჭალი არ მოადგებოდა.

– ო, ეს როენა იმისთანაა, იმისთანა, რომ ოჯახში ქალიც ის არის და კაციც!

– რატო, ქმარი ხომ ჰყავს?!

– უჰ, ქმარი თორემ!.. – ქალმა ტუჩები მოკეთურად აიბურცა, – ასეთი ქმრის ყოლას!.. ბოსტნის ბოლოს ქინძარაო, გინდ მდგარა და გინდ არაო!.. ეს უმუშევარი შკაფი დილიდან საღამომდე ტახტზე გულაღმა გაშოტილა და მობილური ტელეფონით მთელი დღე ნაცნობ-ნათესავებს ებაზრება!.. ოღონდ გარკვევით თვითონაც არ ესმით, რაზე ლაპარაკობენ, რისთვის ლაპარაკობენ ანდა რამდენ ხანს უნდა ილაპარაკონ!.. ტელეფონები აქვთ და, აბა, დრო როგორ მოკლან!.. ქალი გაგიჟებას არის – თვეში ხან ოთხასი ლარი არა ჰყოფნიაო!

– ოოო, გადახდა არ უნდა!

– აბა, რა ქნას – იხდის კიდეც, რაკი ქმარი ტელეფონის ავადმყოფი ჰყავს!.. მოკლედ, მთელ ოჯახს როენა აწარმოებს!.. თანაც მთელ თბილისში სად რა ხდება, მაგის გაუგებარი არ დარჩება! თუ დასჭირდა, ყველას შეაწუხებს!.. შეუვალში შევა!.. ახლაღა გავიგეთ – თურმე ბინებზე ყოფილა ყურდაცქვეტილი!.. სამ-სამი ბავშვით ამ ოროთახიან სოროში როდემდე უნდა ვიხრჩობოდეთო!.. ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, რაღცნაირად გამოუჩხრეკია დამპალოში მცხოვრები ერთი ფულიანი კაცი, რომელსაც მის კვარტალში, ქალ-სიძის სიახლოვეს გადმობარგება სურვებია! ამ როენასაც ეს არ უნდოდა! ქმარ-შვილის დაუსწრებლად თაჳისი ბინა დაუთვალიერებინებია და ორმაგ ფასად მორიგებია! თან...

– ხედავ!

– ეს რა არის, ეს კიდევ არაფერი!.. – ქალი თანდათან ენას იმჭევრებდა, – ნუცუბიძის პირველ ფერდობზე მცხოვრები ახალგაზრდა ცოლ-ქმარი საცხოვრებლად კანადაში დღე-დღეზე უნდა გაფრენილიყო და თავიანთ გარემონტებულ ოთხოთახიან ბინაში თურმე ჩალის ფასს იხვეწებოდნენ, მაგრამ იმხელად მყიდველი არ ასჩენოდათ! ამ როენას ეფიქრა – მოულოდნელად არავინ შემემუშტროსო! მაშინვე გაქანებულიყო იმ დამპალოელ კაცთან – ზეგ ნაშუადღევს შეგიძლიათ გადმობარგდეთ, ბინა დაცლილი მექნება, ოღონდ ფული ეხლავე უნდა მომცეთ, იმას რომ მივცეო! მიეცათ კიდეც!

– რას ლაპარაკობ! ასე როგორ ენდნენ?

– ვისა, როენას?! ოჰ, როენას ისეთი ენა აქვს, თუგინდ ღმერთს გააცინებს!.. მოყვარულ ცოლ-ქმარს გაყრის!.. ერთმანეთზე სასიკვდილოდ მიწეულებს ხანჯლებს ჩააგებინებს!.. რას ვამბობდი?!. ჰოდა, აქ გასაოცარი იცი, რა არის, ძვირფასო, ამ როენას ეს ფული შინ არც კი მიეტანა, მაშ...

– აბა, რა ექნა?

– დამპალოდან ტაქსით ახლა ნუცუბიძის ფერდობზე გაფრენილიყო! ეკლებზე მჯდომ ცოლ-ქმარს სულ პირჯვარი ეწერა – როგორც იქნა, გვეშველა, ავიაბილეთები აღარ გაგვიუქმდებაო! როენასთვის ბინის გასაღები ჩაებარებინათ, რაღაც ქაღალდები სახელდახელოდ გაეფორმებინათ და თან პიანინო და ავეჯი რაკი არ გაგვეყიდა, თუ ჭკუაში დაგიჯდებათ, თქვენ მოიხმარეთ, გვიჩუქიაო! თუ არადა, ვინმეს მიეცით ან გადაყარეთო!.. ჰმ, როენა ვინმეს რასმე მისცემს ან გადააგდებს!.. ეს გახარებული ცოლ-ქმარი იმავე ღამით გაფრენილიყო. თვითონ როენასაც გაეცილებინა – ვაითუ ისევ უკან მობრუნდნენ და პირი მომიშალონო!

ქალმა ვალმოხდილივით შეიქაქანა და ქმარს თვალები დაკვირვებით შეანათა.

– მეორე დღეს, შუადღისას, იმ დამპალოელ კაცს თავისი ბარგი-ბარხანით დატვირთული ორი მანქანა და ქურთის მუშები რომ მიეყენებინა, ეს შკაფი წინ გადასდგომოდა, თქვენ რაღაც მისამართი გეშლებათ – ეს ჩემი სახლ-კარიაო! დამპალოელს

გული გადასტრიალებოდა – რამე ხომ არ მიხიმანეს და იმოდენა ფული დამცინცლესო! მერე სამზარეულოს გულსაფრიანი როენაც სიცილ-სიცილით გამოვარდნილიყო – ამას ყურს ნუ უგდებთ, თქვენ დაიწყეთ გადმოცლაო!

ატკრეცილ მთხრობელს მრავალმნიშვნელოვნად ჩაეცინა.

– სწორედ იმ დროს ჩვენი სამსახურის მგელივით ბიჭებიც მისვლოდნენ!.. როენას პირველ რიგში ის დიდი ტახტი ჩამოეტანინებინა, იქვე, ცაცხვის ჩრდილნარში დაედგმევინებინა და თავისი ქმრისთვის ეთქვა: ეგე, შენი ტახტი, ეგე, შენი ტელეფონი, წამოწექი და რამდენიც გინდა, იმდენი რეკეო!.. იმდენ ხალხში ისიც უთავმოყვარეოდ გაშოტილიყო და თავის ამქარს თურმე დებილივით ატყობინებდა – აი, რა ყოჩაღი ცოლი მყავს, თვალის დახამხამებაში ოროთახიანიდან ნუცუბიძის პლატოს ოთხოთახიანში მიგვაბარგებს, მე კიდე ეხლაღა გავიგეო!

ქალმა ჯიბრიანი ღიმილი ვერ შეიკავა.

– აბა, როგორ არ განცვიფრდები: ქურთის მუშები ავტომანქანებიდან იმ დამპალოელის ავეჯი რომ ჩამოჰქონდათ, ჩვენი ბიჭები კი ჰაიჰარად შეკრულ როენას ავლადიდებით ტვირთავდნენ! მერე ერთ მეზობელს გადმოეძახა...

ტვინგაბრუებული მწერალი ვეღარ მისდევდა მეუღლის მონათხრობს, ვინაიდან სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილის შეძრწუნება თანგავდა: კიდევ კარგი, ღმერთმა სულ არ გამწირა და მწერლური უხარი მაინც დამანათლა, თორემ მთელი სიცოცხლე რა უნდა მეკეთებინაო! ამგვარი განცდა უმტკივნეულოდ უფოლადებდა მწველ გადაწყვეტილებას: თავის ერთადერთ საქმიანობას ლომკაცის მიერ მომუჭული ლიმონივით დასწურვოდა!

– ჰოდა, დღეისწორს „ნოვოსელიას“ იხდიან და იქ მაინც რომ არ წამოხვიდე, აი, არ ვიცი, რას იფიქრებენ! როენამ დამა...

– ვნახოთ... – მწერალმა მეუღლის დასამშვიდებლად წათქვა, თორემ წინდაწინვე გრძნობდა, რომანის გაძალიანებულ დასასრულს ისე ჰყავდა შეჯაჭვული, იქ წამსვლელი არ იყო! ასეც მოხდა! მაგრამ მაინცდამაინც მთლად ვერც წაუსვლელობამ უშველა!

როენასთან ნაქეიფარი მეუღლის სამეგობრო წერით თავდავიწყებულ მწერალს ნაშუაღამევს ახლაც კისკის-როყროყით შეუვიდა! კაცები და ქალები ჩახვევით კოცნიდნენ და თან

ანამუსებდნენ – რატო არ გვიკადრეო! ყველა მათგანი თითქოს გულღიად ექცეოდა, მაგრამ მაინც აშკარად იგრძნობოდა საერთო გულნაკლულობა – მწერალი მათგან „რაღაცით" რომ განსხვავდებოდა და სულ მუდამ მათთან არ იყო!

ჩარიტა კონოლაძემ არც ამჯერად უღალატა თავის ჩვევას. ხელჩავლებული ცოლი მწერალს დამორცხვებულ პატარძალივით მიუყვანა და გაეშმაკებული მელოდეკლამატორივით წაიმღერა.

– ჰა, ჩაიბარე შენი მეუღლე – ქალი წრფელი და შეურცხვენელი!

ახლაც ჩვეული სიცილ-კისკისი და ხალვათი როხროხი ატყდა.

კაცებმა გადაჭრით იუარეს რამის დალევა და ყველანი ერთხმად წავიდნენ.

– ნეტავი წამოსულიყავი, – ნაწყვეტ-ნაწყვეტად ალაპარაკდა მეუღლე, თვალები რომ ელულებოდა და თან გახდას შეუდგა, – იცი, რა დროს გაატარებდი... ხვალ ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ... ძალიან დავიღალე... ჩავწვები...

მეუღლე რომ დაწვა, შუქი გამოურთო და თავისი ხელნაწერებით სამზარეულოში გადაინაცვლა. მაგრამ წერის ჟინი მოსდუნებოდა. ღია სარკმლიდან შეფიქრიანებული გაჰყურებდა ჭადრის აფართხალებულ შტოებში მოკამკამე ცისკარს და მტკივნეულ საგონებელს ვეღარ უმკლავდებოდა!

ჩარიტას რას აეკვიატებინა ეს ფრაზა ან დანარჩენებს ყოველთვის რაღა აკისკის-ახარხარებდათ?! ეს მართლა ტარაუცა ქალის აჩემებული ხუმრობა იყო თუ შხამგარეული დაცინვა და რქებდადგმული ქმრის მიუხვედრებლობით გაკვირვებულთა ტლანქი თავგართობა?!

ჩარიტას ეს აჩემებული სიტყვის გატარება მწერალს თავდაპირველად ყოველ ჯერზე საგონებელში აგდებდა, რადგან ვერ გადაეწყვიტა, როგორ დაეჭირა თავი. ეს ყველაფერი უბოროტო ხუმრობად მიეღო და თვითონაც დანარჩენებს აჰყოლოდა? მაგრამ ვაითუ მის გარდა ყველამ იცოდა „შეურცხვენელი" მეუღლის ღალატი და ახლა თავისი უადგილო სიმხიარულით უფრო ხაზს უსვამდა საკუთარ სასეირო მიუხვედრებლობას! მაგრამ ჩარიტას მიერ ქარაგმული ჩაწვეთება მართალიც რომ ყოფილიყო, გული არ უშვრებოდა, საზარელი ეჭვიანობის მსხვერპლი გამხდარიყო

და ამ ტარაუცი ქალის დაკრულზე ეცეკვა!

მალე გამოსავალი ბუნებრივად გამოინახა. როცა ჩარიტა თავისებურად ჩაურტყამდა ხოლმე, მწერალი წამწამსაც არ ირყევდა და მოლოდინით შემოჩერებრულ მსმენელებს უსიტყვოდ ახვედრებდა – ის ყოველივე ამაზე უფრო მაღლა იდგა და იქიდან ასე ადვილად ვერავინ ჩამოაგდებდა!

ღმერთმა უწყოდა, ეჩვენებოდა თუ მართლა ასე იყო: მეუღლის ჭრელ სამეგობროს ეს არ მოსწონდა! ის კი არა, მგონი აღიზიანებდათ კიდეც!..

საერთოდ, ნებისმიერ შეკრებაზე მათი უპირველესი თავგასართობი ცოლქმრულ ღალატსა თუ რომელიმე ქალის თავაშვებულებაზე დაუცხრომელი კამათი იყო. ამ დროს ერთმანეთში დომხალივით ირეოდა ხოლმე ჭორ-მართალი.

ერთ-ერთ გრძელ სუფრაზე ბოლო აღარ უჩანდა ახალ ამბავზე გაჩაღებულ ნაღვლის გამასიებელ ჟრიტინს – მავნის ცოლმა ახლა ვიღასთან გადაიხადა კალთაო!

ნასმენით განაბეზრებმა მწერალმა, შიმშილი რომ აწუხებდა, ლუკმა კი არ ეყლაპებოდა, რადგან სუფრაზე საჭმელების ყირანი ეყენა, გამოიჩინა წინადაუხედაობა და ბავშვური მიამიტობით იკითხა.

– ნუთუ სხვა რამ უფრო საინტერესო სალაპარაკო აღარაფერია?!

მოსუფრალთა ერთმანეთში არეული ჟიჟინი უცებ მოისხიპა და სამარისებური დუმილი ჩამოვარდა.

გვერდით მჯდომმა ნაილიმ მწერალს მუხლზე წამქეზებლური მოჩქმეტით შეანათა თვალები და ყველას სათქმელი თვითონ ამოიძახა.

– ამაზე უფრო საინტერესო სხვა რაღა შეიძლება იყოს!!!

მორჩილი დუმილი ახლა მოუთმენელი მოლოდინით შეიცვალა – ამას რა მოჰყვებოდა!

– გასაოცარია, – ახალგამოკეთებულ ავადმყოფივით ამოთქვა მწერალმა და კოსტიუმის შიგნითა ჯიბისკენ ხელი გაუბედავად წაიღო, – გუშინწინ ერთ-ერთ ჟურნალში ისეთი რამ ამოვიკითხე, ფიქრისაგან აღარა ვარ!.. აგერ, მეუღლისთვისაც კი არ მითქვამს და ახლა პირველად თქვენ გიზიარებთ!.. ჟურნალიდან

საგენგებოდ ამოვჭერი და შევინახე... აი, რა წერია!

– რაო, რა წერია? – შემოეკითხნენ იქით-აქედან.

– მარტო ჩვენს გალაქტიკაში ვარსკვლავების რიცხვი ას მილიარდს აჭარბებსო! – ჩამარცვლით წაიკითხა მწერალმა და დამნაშავესავით ალაპარადა, – ასი ათასს ან ჯანი გავარდეს, ას მილიონს კი არა, ას მილიარდსო!.. ოღონდ შეუიარაღებელი თვალით უმთვარო ღამეში ხუთი ათასამდე ვარსკვლავის დანახვა შეიძლებაო!.. თუ მზიდან ჩვენამდე სინათლის სხივი რვანახევარ წუთში მოდის, უახლოესი ვარსკვლავიდან მის მოსვლას ოთხი წელი და სამი თვე სჭირდებაო!.. ზოგიერთი ვარსკვლავი მზეს მილიონჯერ აღემატება მოცულობითა და გამოსხივების ენერგიითო!..

განაცრებულმა მწერალმა ამონაჭერი ისევ შეინახა და მოურჯულებელი მოქეიფე მამრების თავებს ზემოთ, კედელზე რაღაც ნახატს მოთენთილი მზერა გაუწვდინა.

– ჰოდა, აბა, როგორ არ დაგაინტერესებს, რა ხდება ჩვენ გარშემო... ვინა ვართ... ან რა მოგველის?..

მძიმე დუმილის დარღვევა არავის სურდა. ცხადია, უხერხულობა ისევ თამადას უნდა გაეფანტა.

– აბა, შეივსოს სასმისები!

მორიგი სადღეგრძელოს გამოთავებისთანავე დავიწყებას მიეცა რაღაც გალაქტიკა... მზე, ვარსკვლავები, სინათლის სხივი და ისევ წელან გაწყვეტილი მასლაათი გაგრძელდა და გაჭიანურდა.

– არა, ნაირას თვითონ ეთქვა: ქმარმა იცის და არაფერს მეუბნება, მაგათ ვინ ეკითხებაო!

– ღმერთო, სადამდე მივედით!.. კი მაგრამ, ეგ ვისთან ეთქვა?

– ვისთან? ვისთანა და კანცელარიის ქალებთან!

– აჰ, ნაირა იმათთან მაგას როგორ იტყოდა – მტრები უვრცელებენ ხმას!

– რას ქვია „ხმას უვრცელებენ?!“. თუგინდ მაიკო და ადის-აბება ალაპარაკეთ!

– უჰ, მაიკო! შენ მაიკოს რა ყურს უგდებ – ეგ ყველა განყოფილებაში ასე დაიარება და დაჭორაობს! გუშინწინ ჩვენთანაც შემონარნარდა და – გოგოებო, გაიგეთ ახალი ამბავიო...

მადადაკარგულ მწერალს საკუთარ თავზე ერეოდა ჯავრი,

მეუღლეს აქ წამოსვლაზე რომ დაჰყაბულდა. მაგრამ ამ საწყალსაც რა ექნა – სულ ყველგან მარტოკას როგორ ევლო?!. შიოდა, მაგრამ ამოდენა დახორავებული ხორცეულის მარტო ცქერაც კი გულს უსუყებდა! თან სმენას უშხამავდა ერთმანეთთან შემტკბარი სამეგობროს მიერ საკუთარი სიამოვნებისთვის განზრახ გაჭიანურებული ერთფეროვანი ტარტარი.

ირგვლივ ყველაფერი რა აუტანლად გამოიყურებოდა თუ ასე მხოლოდ მას ეჩვენებოდა: ლაინისფერი ღრუბლის ნაგლეჯებს მიმსგავსებული სიგარეტის კვამლის ზანტი ბოლქვები... მეგობართა კიდევ ერთხელ ხილვით აღძრული ხბოს აღტაცება... კოსმოსური ხომალდივით „მიმცურავი" ბროლის ჭაღი... შვება-ლხინში გამოჯეკილი მამრების კუჭების ტევადობა და გამძლეობა... ერთმანეთთან გაჯიბრებული სუნამოების მყრალი სიმძაფრე... სასმელ-საჭმელების უაზრო სიუხვე... დროისა და სიცოცხლის ასე დანაშაულებრივი ფლანგვა...

ეკლებზე მჯდომი მწერალი მოუთმენლად ელოდა ხოლმე ნადიმის დასრულებას, მაგრამ ამ თავისი მიამიტური სურვილით მხოლოდ წამებას იხანგრძლივებდა, ვინაიდან ვერც მოქეიფე ყოჩების სტომაქები ივსებოდა, არც სასმელი თავდებოდა, ვერც ეს ასაკოვანი მდედრები ძღებოდნენ ნუნუანაყლურწი მამრების თვალების ჟუჟუნით... თამადას კი სადღეგრძელოები არა და არ ელეოდა!!! ღმერთო, ფრინველობას აღარ დაეძებდა – ღმერთს ღამურად მაინც ექცია, იმ ფრამუგაში შეუმჩნეველად რომ გამსხლტარიყო და ისევ თავის მყუდრო საწერ მაგიდასთან მიფრენილიყო!

თვალი ხან მოპირდაპირე მხარეს, მოუსვენარ დაქალებში ჩაქარგული მეუღლისკენ გაექცეოდა ხოლმე და ვეღარ გარკვეულიყო – მართლა არ სურდა ამ საერთო მხიარულებაში თავისუფლად ჩაბმა თუ ქმრის გულის მოსაგებად თავს განზრახ იზღუდავდა და იტანჯავდა!..

ო, რა ურთიერთშეუთავსებელი იყო შემოქმედის სიმარტოვისკენ მიდრეკილება და ამაოების ულმობელი ჭანგებით შეკრული ჭრელი სამეგობროს ჯოგური ერთფეროვნება!.. იქნებ მართლა ვერ ისწავლა ჭკუა და საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ხელმეორედ რომ დაოჯახდა?!. მაგრამ რა წყალსა და ღვარს მის-

ცემოდა, უქალოდ როგორ... ეგეც არ იყოს, „შინამოსამსახურეც“ რომ სჭირდებოდა! თუკი ყოველ წვრილმანს თვითონ გადაჰყვებოდა და გამოიფიტებოდა, როდისღა ეწერა?! არა, ხსნა არსად ჩანდა ან ის თვითონ ვერ ამჩნევდა!..

შემთვრალი მოსუფრალები მწერალს, როგორც თავიანთი მარაქის ახალსა და თან მუდამ დაულხენელ წევრს, დროდადრო წამქეზებლური წარბაკვრით აფხიზლებდნენ ხოლმე – რას მოგიწყენია, შენც აგვყევიო!

თავის ფიქრებში ჩაღრმავებული შემკრთალი მწერალი უარეს საგონებელში ვარდებოდა, რადგან მართლა არ ესმოდა – ვიღაცის რაღაც ძველისძველი ნაცელქარის გასახსენებლად და ასაკისკის-ასახარხარებლად ამათ ერთი სანიშნო სიტყვა ან კვიმატი ფრაზაც რომ ჰყოფნიდათ, ეს ვის, რაში ან როგორ უნდა „აჰყოლოდა?!“ ამიტომ თავს ძალას ატანდა, მათთან გამოწვეულ გაუხცოებას პირისახეზე ქუნთრუშასავით არ გამოეყარა!..

ამ დროს სიცხიანი ბავშვივით ისევ და ისევ მეუღლეს გახედავდა ხოლმე და გაორებაც მაშინვე ეწყებოდა: რა საყვარელი და შეუცვლელი იყო საოჯახო საქმეებით გართული „ის“ ქალი, აქ მის თვალში ისევ რომ უცხოვდებოდა, ვეღარ წარმოედგინა, შინ დაბრუნებისას ისე „იმ“ ქალად იქცეოდა თუ არა?!

თავის ლიტერატურულ დინებებში მხარულით მიმცურავს, მეუღლეზე არასოდეს შესვლია ეჭვი, ვინაიდან ეს ორივესთვის შეურაცხყოფად მიაჩნდა. თუმც იქ, კოჯრის ტყის მაცდურ მდუმარებაში ეს ასპიტისებური აზრი ზოგჯერ თუ მაინც ჩაეპარებოდა ხოლმე, მაშინვე უნიათო ღიმილით ეცვლებოდა!

ამგვარი ეჭვიანობით თავგაწამება ხომ დაახლოებით იგივე იქნებოდა, როგორც, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ვერმახტი გააფთრებით რომ უტევდა პოლონეთს... ნორვეგიას... საფრანგეთს... ჰოლანდიას... ბელგიას... საბერძნეთს... ჩრდილო აფრიკას... ბალკანეთს... ბრესტის ციხესიმაგრეს... ლენინგრადს... მინსკს... მოსკოვს... კიევს... ყირიმს... ხარკოვს... როსტოვს, რათა რაც შეიძლება სწრაფად გადაეწყვიტათ მომავალი მსოფლიოს ბედ-იღბალი, სახელმოხვეჭილ ფელდმარშლებს ახალ-ახალი საბრძოლო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებასთან ერთად თან მოუშორებელი ეჭვიანობითაც ეჭყლიტათ ტვინი –

ნეტა რას აკეთებდნენ ან როგორ იქცეოდნენ იქ, შორეულ გერმანიაში დარჩენილი მათი „ჭრაუ“-ები?!

ეს დამოკიდებული იქნებოდა მხოლოდ იმ „ჭრაუ“-ების შეგნებასა და სინდის-ნამუსზე!

ჰოდა, ასეთი ქონდრისკაცუნისებური ეჭვიანობა სამხედრო გენიის მოჩლუნგების მეტს რას მოუტანდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაბმულ ვერმახტის გენერალიტეტს?! არაფერს!

შეუმჩნევლად შემოჩვეული ეჭვიანობის მახრა როგორც კი ღრღნას დაუწყებდა ხოლმე, მეუღლესთან დაკავშირებით მაინც ვერანაირი დასკვნები ვერ გამოჰქონდა და ყოველთვის ისევ საკუთარ პიროვნებაზე ჩერდებოდა: ის ყველაფრისთვის მზად უნდა ყოფილიყო! ხოლო თუ თავს დატეხილი საზარელი უბედურება გაუცხადდებოდა, მაშინ დიდსულოვნად უნდა მორეოდა ჭკუიდან შემშლელ გონდაბნელებას და ისეთი არაფერი ჩაედინა, სულ დაღუპვოდა თავისი ლიტერატურული სამყარო!!!

* * *

ტოპოგრაფიული რუკების შედგენის მეორე დღეს ისევ კოჯრის ტყეს რომ მიაშურა და წერას შეუდგა, ისეთი სულიერი სიხალვათე დაეუფლა, თავის თავზე თვითონვე გაეცინა! აქ კიდეც რომ მომკვდარიყო, ფიქრი აღარაფრისა ექნებოდა- მოგნება არ გაუჭრიდებათო!..

ასე გადიოდა თვეები, წლები... მწერალი შინ ზამთრობით თუ დაიბუნაგებდა, თორემ დანარჩენ დროს სულ ბუნების წიაღს აფარებდა თავს. ამიტომ მეუღლის სამეგობროსთვის თანდათან სათვალავში ჩაუგდებელ კაცად ჩამოყალიბდა. ამას არც თაკილობდა! ანდა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა გულგრილად უარყო მასობრივი გემოვნება და მისი ბედნიერების საფუძველს უცხოსთვის სასაცილოდ მიჩნეული წვრილმანები წარმოადგენდა: „PELIKAN“-ის ავტოკალამი... ნოველების თარგისებური „RIEKER“-ის გერმანული ფეხსაცმელები... აქა-იქა ნათრევი ზურგჩანთა... „REMUS“-ის ავსტრიული „მუსიკალური“ ფეხსაცმელები... ფრანგული იისფერი მელანი „WATERMAN“-ი... თბილისის შემოგარენში მოწყობილი თავშესაფრები... თუმც მოულოდნელად უსაშველო სადარდებელი გამოუვარდა: სიკვდი-

ლის შემდეგ ვის დარჩებოდა გერმანული ავტოკალამი?..

ფეხსაცმელები?! ცხადია, თუ დასცალდებოდა, „REMUS"-ის „მუსიკალური" ფეხსაცმელები დროთა განმავლობაში თანდათან შემოაცვდებოდა, მაგრამ საწერ მაგიდაში გადამალული „RIEKER"-ის თარგ-სასწაულები?!. საფლავში ჩასაყოლებლად და იქ დასალპობად არ ემეტებოდა! არადა, რას იფიქრებდნენ, როცა იპოვიდნენ! ვინმე ახლობელი ირგუნებდა თუ იმასაც ნაგვის ურნაში ჩაუძახებდნენ, როგორც ნამკვდრევს! შეიძლება გადასაყრელად მაინც არ გამეტებოდათ და მერე ურნის გვერდით ვიღაცას ეპოვა, როგორც თავის დროზე თვითონ იპოვა „REMUS"-ის „მუსიკალური" ფეხსაცმელები!.. მაგრამ ეს რა ბედენაა?! ახალი პატრონის თვალში ეს იქნებოდა ერთი ჩვეულებრივი ძველმოდური ფეხსაცმელები და ის ვერასოდეს მიხვდებოდა მასში ჩაკუმშული ნოველების ოსტატურად „კერვის" მიუწვდომელ საიდუმლოს!!!

* * *

მწერლის მეუღლის სამეგობრო კვლავ თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და ჩვეულად განაგრძობდა ერთფეროვან ყოფით ფუსფუსს.

შუა აგვისტოს იმ პაპანაქებაშიც გამოუჩნდათ საქმე: ინსტიტუტის დამთავრების ოცი წლისთავი თანაკურსელებს ზეგ, შაბათს, როლანდის ოჯახში უნდა გადაეხადათ! როლანდის მეუღლემ, ქ-მა ჟასმინამ რამდენიმე დაქალი – მათ შორის მწერლის მეუღლეც – სამსახურიდან შინ ღამედგომით წაიყვანა, „სახლკარი ცოტა წესრიგში" რომ მოეყვანათ.

მწერლის მეუღლემ საღამო ხანს შინ ერთხელ კი დარეკა, მაგრამ რაკი პასუხი ვერ მიიღო, იფიქრა, ალბათ, ჯერ არ მოსულა ან დაბლა რამისთვის ჩავიდოდაო. ამიტომ გადაწყვიტა, მოგვიანებით კიდევ გადაერეკა, მაგრამ იმ რია-რიაში გადააავიწყდა!..

მეორე დღეს სამსახურიდან ქალს გვიან მოუხდა დაბრუნება – ქმარს წუხელ შინ არ გაეთია! აღელვებულმა მაშინვე სამეგობროს შეატყობინა, მაგრამ ღამით, თანაც ტყეში, რას გაიგნებდნენ!

მეორე დილით მწერლის მეუღლემ კერამიკულ ლარნაკში

დებული ნომრით მითითებული ტოპოგრაფიული რუკა ყელვიწრო ხელჩანთაში ჩაიდო და შეფიქრიანებული მეგობრები ხუთი მსუბუქი ავტომობილით ავიდნენ კოჯრის თავში.

ალმურიანი თბილისისაგან განსხვავებით აქ საამოდ გრილოდა: ზოგიერთ კაბამოშილიფებულ ქალბატონს აბაბანა კიდეც! „ჰმ, გემოვნება კი კაი ჰქონია!“ – ერთმანეთს თითქოს მიმიკურად ახვედრებდნენ.

ტოპოგრაფიული რუკით ტყეში ზევით-ქვევით ბევრი იარეს, რამდენიმე ხრამშიც გადაიხედეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. თავიანთი მოუაზრებლობით ტყე-ღრეში სასიარულოდ არც ერთი მათგანი არ იყო გამოწყობილი. ქალებს მეტად აკვირვებდა და თან აღიზიანებდა, დაფერდებულზე მათ მიერ ხელნატანებული ტოტებიდან ცვარი რომ იცრებოდა. თანდათან ყველას მოენამა ტანსაცმელი და შიშველი მკლავები.

ჩასუქებულმა ჯანომ ამოსათქმელი ველარ შეიმაგრა.

– ეგრე როდემდე ვიაროთ – საპატრულო პოლიცია ხომ არ გამოგვეძახა?!

– აბა, რა!

საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების მანქანა ათიოდე წუთში ამოქანდა.

პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი, ტანმოქნილი ქალიშვილი გაკვირვებით დააცქერდა ფაქიზად შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკას.

– ასე როგორ იპოვიდით, – მაშინვე წამოიჭიკჭიკა, – საფარი ბიოკომბინატის მარცხნივ, ზევითაა მითითებული, თქვენ კი ქვევით და ქვევით გივლიათ!

– არა, ჩვენ...

ქალიშვილი აღარავის გაჰპასუხებია. ტოპოგრაფიული რუკა მარაოსავით მოიმარჯვა და გზიდან ტყეში აუხვია. ყველანი ბაწარაღებით აედევნენ. ორმა სასიგნალოფორმიანმა ჭაბუკმა დაკეცილი საკაცეც გაიყოლა. ხნიერები და ჩასუქებულები ავტომანქანებთან დარჩნენ.

პოლიციელი ქალიშვილი თან ტოპოგრაფიულ რუკას დაჰყურებდა, თან ხეებსა და ადგილმდებარეობას აკვირდებოდა. ისეთი თავდაჯერებით იქცეოდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ამნაი-

რი რუკებით უვარჯიშებიათო.

ცოტა ხნის შემდეგ დაბარებულებივით მიადგნენ სადა საფარს.

– დედა! – შეუწივლა ჩარიტა კოწოლაძემ.

გადაქცეულ სკამსა და ორტანა რცხილას შუა მწერლის ცხედარი გულალმა ეგდო. თვალები ფრინველებს ამოეჩიჩქნათ... პირისახე ტურა-მელიებსა თუ იგივე ფრინველებს ეჯიჯგნათ... ნიავს ფირფიცრიდან ხელნაწერები აეფრიალებინა და აქეთ-იქით მიმოეფანტა...

ქალებმა ერთი კი წაიმოთქმეს და მალევე ჩაჩუმდნენ. ყველას გამომეტყველება თითქოს ერთსა და იმავეს ადასტურებდა – ამნაირ კაცს ბოლოც რალაც ამდაგვარი უნდა ჰქონოდაო.

მწერლის აცრემლებულ მეუღლესთან რიგრიგობით მიდიოდნენ და უსამძიმრებდნენ. თუმცა ეს შეფარულ მილოცვას უფრო ჰგავდა, მის უცნაურ ყოფა-ცხოვრებას წერტილი რომ დაესვა.

– პირდაპირ შინ თუ...

– არა, ჯერ პროზექტურაში ექსპერტიზაზე წავასვენებთ! – განმარტა პოლიციელმა ქალიშვილმა, – ყველაფერი წამოიღეთ!

– ეს სკამ-ფიცარიც?

– ყველაფერი, ყველაფერი!

იმ ორმა ყმაწვილმა ცხედარი საკაცეზე დაასვენა და კაპრონის წალურჯო ზეწარი წააფარეს. მერე ფრთხილად ასწიეს და ნეშოიან ფერდოს ირიბულად ჩაუყვნენ.

კაცებმა დაითითოვეს სკამი, ფირფიცარი, ზურგჩანთა, ორკაპა გრძელი ჯოხი, შალითიანი ქოლგა და ქვევით ტურისტებივით დაეშვნენ...

„PELIKAN"-ის მუქმწვანე ავტოკალამი არავის გახსენებია..

ლოჯიის ღია სარკმელთან მდგარი შუახნის მწერალი საგურამოს შტოქედისკენ თვალგაშტერებით გაიყურებოდა, თან მოთმინებით იცდიდა, მეუღლეც როდის გამოეწყობოდა – დღედათვლილი მეგობარი დრამატურგის მოსანახულებლად გლდანში უნდა წასულიყვნენ.

– აი, მეც მოვრჩი. – ქმარს ხმადაშვებით აუწყა ვითარების გათვალისწინებით მოკაზმულმა ქალმა, თუმც მოულოდნელად კილო შეიცვალა, – კაცო, სულ მავიწყდება და მავიწყდება!.. რაკი... ბარემ ხარაზთან ჩემს ჩექმებსაც...

სიტყვა „ხარაზის“ გაგონებაზე მწერალი უცებ ისე გადაფითრდა, შემკრთალი ქალი ქმარს სახეში ბეცურად ჩააცეცდა.

– აბა, ახლებივით ჩექმები გადავყარო?! – თანამეცხედრეს მორჩილად აუჩურჩულდა, – რა იყო, ისეთი რა ვთქვი – ადამიანის ფერი აღარ გადევს!

– ეგ მერე, მერე!... ჩექმები სად გაგექცევა?! – არეული მწერალი ნაჭერ-ნაჭერ ისროდა, – მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობიდან ერთი უსიამოვნო კურიოზი გამახსენდა და იმან... წავიდეთ, წავიდეთ, თორემ შემოგვაღამდება!

კაცი იძულებული იყო, ეცრუა. სინამდვილეში აი, რა გაახსენდა!

* * *

მწერალი ერთ მივარდნილ სოფელში დაიბადა და იქვე გაიზარდა. მეექვსე კლასის მოსწავლე იქნებოდა, ბურთაობისგან მარჯვენა ფეხსაცმელი ნაადრევად რომ გამოეფაშვა. დედამ ლანჩარღვეული ფეხსაცმელი გაურეცხა, გაუშრო და ხარაზთან გაატანა.

ორლობეებში სულიერი არ ჭაჭანებდა. დასავლეთის ცივი ქარი უბერავდა. მოშავბნელებულ ცას გაზაფხულის ანწლისფერი ღრუბლები მუქარით ეგრაგნებოდა.

დამრეცი ხევისკენ გადაკუნტულ სახარაზოში, ჩამბალი ტყავისა და წებოს სუნით რომ ყარდა, გულსაფრიანი ხარაზის მეტი არავინ დახვედრია. დაბალ პუფზე მხარწახრით იჯდა და ჩაბღუ-

ჯულ მუშტას[1] ქალის ჩუსტის საძირეს მონდომებით უბასტუნებდა!

შემოსული სტუმრისთვის სქელულვაშა ხარაზს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია: თავაუღებლად, წარბაკვრით ისე ანიშნა სამფეხაზე, ჩუსტისთვის თვალი არ მოუწყვეტია!

თავისი არსებობის მანძილზე ამ პატარა სოფელმა ვერა და ვერ აღზარდა ერთი ხარაზი! ეს კი მეზობელი სოფლიდან თავისი ხელით შეკოწიწებული რაღაც საფრთხობელა მსუბუქი ავტომანქანით დაჩახჩახებდა და ცოტა არ იყოს, მედიდურად იქცეოდა!

ხარაზმა ორივე ჩუსტს საძირე რომ დაუტკეპნა, მაშინღა აიხედა.

– აბა, რა არი, პატრა ბიჭო?

ბიჭმა გაზეთი გაშალა და ფეხსაცმელი ადგილიდან წამოუდგომლად მიაწოდა.

ხარაზმა ფეხსაცმელში ხელი შეყო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და სინჯვა დაუწყო შიგნიდან, გარედან. მერე დაშაშრული თითებით განარღვევი უფრო გაუგანივრა.

ბიჭმა ხმაათრთოლებით იკითხა.

– რა ეღირება ამის დაკერება?

– ესა?!. ამას სამ მანეთად დაგიკერებ!

ყმაწვილს გულზე მოეფონა – შინიდან ხუთი მანეთი ჰქონდა გამოტანებული!

მოულოდნელად ერთი მკვახედ იჭექ-იქუხა და ისეთი კოკური წვიმა წამოვიდა, სახარაზოს პაწია სარკმლიდან აღარაფერი დაინახებოდა.

ხარაზს ელვა-გრგვინვისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ შიშველი ელნათურა ჩაირთო. კალთაში დებულ ფეხსაცმელს პირლაპლაპა ჯევიჩით[2] ჯერ საპირეს კიდე შემოუსწორა, მერე ბუნაკი[3] გასანთლულ მსხვილ ძაფში ჩააგრიხა და წვერმოკლე სადგისით დაკერებას შეუდგა.

ბიჭი სულგანაბული უცქეროდა, მისი გაფატრული ფეხსაცმელი ხარაზის დაკრუნჩხულ თითებში თანდათან როგორ ახლდებოდა!

---

1 მუშტა – ხარაზის იარაღი – ხელში (მუშტში) დასაჭერი უტარო კვერი, საძირე ტყავის (ლანჩის) დასატკეპნი.

2 ჯევიჩი – ხარაზის იარაღი, – ტყავის საჭრელი დანა.

3 ბუნაკი – ხარაზის ნემსზე აგებული წმინდა ძაფი მსხვილ ძაფში ჩასაგრეხად.

ხელოსანი საქმეს მორჩა და ფეხსაცმელი პატრონს გადააწოდა. ბიჭმა ფეხსაცმელი ისევ გაზეთში გადაიხვია, ფული გადაიხადა და კარის სახელურს წაეპოტინა.

– ამ თავსხმაში სად მიდიხარ?! – გაიკვირვა ხარაზმა, – თვალის დახამხამებაში გაგლუმპავს!

ბიჭი ისევ დაეშვა. ხარაზმა ახლა მამაკაცის ვეებერთელა, გარეთ გადაცრეხილი ფეხსაცმელი გადმოიღო და იმას დაუწყო კირკიტი.

წვიმამ შესამჩნევად იკლო. მოულოდნელად სარკმელში ჭვარ-ჭვალიტა კაბამ იელვა და სახარაზოს კარი ტოღერაანთ რძალმა შემოაჭრიალა. შეკრულა იღლიაში ამოიდო, გაძალიანებული ქოლგა ძლივს დაკეცა და კუთხეში მიდო. ისედაც დახუთული ჰაერი მჭახე სუნამოთი და ოდნავ შესველებული ტანსაცმლის სუნით უფრო დამძიმდა.

ხარაზი უცნაურად გადასხვაფერდა.

– აბა, რამ შეგაწუხა?

– ოჰ! – პომადით სქლად შეღებილი ტუჩები ქალმა გამომწვევად აიბურცა და შეკრულადან გამოხსნილი სანდლები ხარაზს წინ დაულაგა, – თასმები ეჭიმება და ბალთები მტკენს!

– რატო უნდა გეჭიმებოდეს?! – თავდაჯერებით იკითხა ხარაზმა, – პატრა ბიჭო, შენ იმ სკამზე გადაჯექი!

ბიჭი უსიტყვოდ დამორჩილდა. ხარაზი თავის სკამიანად ცოტათი გვერდზე გამოცურდა და ქალი წინ დაისვა.

– აბა, ერთი ჩაიცვი, ვნახოთ!

წვივტიტველა ქალმა სველი ფეხსაცმელები ერთმანეთის მიყოლებით უხელოდ წაიძრო, გრძელთასმიანი მოდური სანდლები მოირგო და ბალთებიც შეიკრა.

ხარაზი ქალს დაკვირვებით უსინჯავდა ჯიშიან ფეხებზე მორგებულ სანდლებს, თუმც თვალი იქითკენ უფრო გაურბოდა, საიდანაც ქალებს თვით ეს ფეხები ეზრდებათ!

ამრეზილი ქალი ისედაც მოკლე კაბას წამდაუწუმ ისწორებდა და ქვევით ისე ეწეოდა, თითქოს რეზინისა ყოფილიყოს!

სუნთქვაარეული ბიჭი გრძნობდა, თანდათან მანამდე განუცდელ ალმურში ეხვეოდა!

– აააა, გასაგებია!.. აქ სადმე ცოტათი უნდა დავაბოშოთ,

რომა... – ენის ბორძიკით ბუტბუტებდა ხარაზი და ვითომ თასმების მოშვების ადგილის დასადგენად ქალს ფერხორციან წვივს ხარბად უსრესდა! ხოლო როცა შეუპოვარი თითები მუხლთან შემოაჭდო, ქალმა თავშეკავებით ამოიძახა.

– ბავშვი!

ამ ერთადერთი საბედისწერო სიტყვის ალალბედურად წამოძახებამ ბიჭს სამუდამოდ შეუტრუსა ტვინი! ჯერ ერთი, ის თავს ბავშვად აღარ თვლიდა და რაღაცის მისახვედრს ამაფორიაქებელი ბუნდოვნებით უკვე ხვდებოდა! მაგრამ ეს კიდევ არაფერი! დავუშვათ და იქ „ბავშვი" არა მჯდარიყო, მაშინ?!. ოოო!..

ბიჭი წამოხტა და სახარაზოდან ნამწყვდევ სამოზვრე ხბოსავით გასხლტა!.. წვიმა შენელებულიყო!.. შინ აღგზნებული მივარდა: კვირას ბაზარზე წადით და სახარაზო იარაღები მიყიდეთ – მეც ხარაზი უნდა გამოვიდეო!!!

– იიიმე, ბიჭს რა მოუვიდა?! – ერთმანეთს გაკვირვებით ეკითხებოდნენ შეშინებული შინაურები.

ის კი შემდეგ დღეებში სულ იმუქრებოდა – მიყიდეთ სახარაზო იარაღები, თორემ თავს მოვიკლავო!..

ჯერ უბანში, მერე კი მთელ სოფელში გავარდა ხმა: მეგუთნიაანთ ბიჭი გაუგიჟდათ – გინდა თუ არა, ხარაზი უნდა გამოვიდეო! ეს ახალი ამბავი პირში გაიჩარეს და ამის მეტი სალაპარაკო სხვა აღარაფერი ჰქონდათ!..

ზოგიერთი უფროსი კუდიანურად აგულიანებდა: ძალიან კარგად მოგიფიქრებია – რაღა სხვა სოფლელი გვბატონობდეს, აზირ ჩვენ ჩვენი ხარაზი გვყავდესო!

მისი უყურადღებობით გულნატკენი თანატოლი მატრაკვეცა გოგონები კი შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, როგორმე რომ გაეკენწლათ.

– ხარაზი, ხარაზი – ცოლი უნდა ლამაზი!.. სადგისი და მახათი! ხარაზების ნახატი!.. ჰი-ჰი-ჰი!.. ჰა-ჰა.ჰაა!..

ბიჭს ეს არ ამცირებდა, პირიქით, უფრო ესახელებოდა და თითქმის საშუალო სკოლის დამთავრებამდე მტკიცედ სწამდა: სოფლის რომელიმე კუნჭულში ექნებოდა თავისი სუფთა, რაზა-კოჭაკიანი სახარაზო და!..

* * *

მას აქეთ ბევრმა კოკაპირმა წყალმა ჩაიარა!..

ბიჭი ხარაზი კი არა, მწერალი გახდა, მაგრამ მაშინდელი ყმაწვილური განცდა და ოცნება დღესაც არ შორდება – სადმე მობღუნძული სახარაზოს დანახვისას თუ „ხარაზის“ გაგონებაზე გული ძველებურად ისევ ჩიტივით შუეფრთხიალებს ხოლმე და გრძნობს, ბედისწერამ სიკვდილამდე ამოუხსნელი საიდუმლოს მძევლობა არგუნა: რანაირად გახდა მწერალი და რატომ ვერ გახდა ხარაზი?!